

ნ. ბახილაია

ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა

რედაქტორები—

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატები:

თ. ზურაბიშვილი, ც. კადაძე

**გამომცემლობა „განათლება“
თბილისი — 1991**

წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელო არის ქართულ ენაზე სტილისტიკის ცრცელი კურსის შექმნის პირველი ცდა. მასში განხილულია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული საკითხები. იგი ემყარება უმთავრესად ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო ლიტერატურასა და, რაც მთავარია, იმ ენობრივ მასადას, რომელიც მიტყვევების კულტურის ამადლების შეაღსაზრისთ მოითხოვს სათანადოდ შესწავლასა და გამოყენებას.

წიგნი ძირითადად განკუთვნილია უმაღლესი სკოლის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, რომლებიც სწავლობენ ქართული ენის სტილისტიკის კურსს.

რეკენზენტები: ა.პაპიძე, ნ.ეკიტიშვილი

460200000- 570
Б ----- 207-91
M -602(08)-89

JSBM 5-505-0023-X_p

© ნ.ბასილაია, 1991

„ქართული ენის სტილისტიკის“ კურსი ამჟამად ისწავლება უმაღლესი სკოლის ფილოლოგიისა და პედაგოგიკის ფაკულტეტებზე. ამ საგნის ელემენტების შესწავლა გათვალისწინებულია საშუალო სკოლის ქართული ენის პროგრამითაც, მაგრამ უმაღლესი სკოლისთვის ქართულ ენაზე სტილისტიკის სახელმძღვანელო დღემდე არა გვაქვს.

წინამდებარე შრომა არის ქართულ ენაზე სტილისტიკის კურსის შედგენის პირველი ცდა, სადაც განხილულია მხოლოდ ძირითადი საკითხები. ეს საკითხებია: I. სტილისტიკის ისტორიიდან, 2. ენა და მეტყველება, 3. სტილისტიკის საგანი, 4. სტილისტიკის საგნის სხვადასხვაგვარი გაგება, 5. სტილისტიკის შესწავლის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, 6. სტილისტიკა და ენის კულტურა, 7. სტილისტიკის ქვეშირი ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგთან, 8. სტილისტიკის დარგები, 9. სტილისტიკის რაობა და საერთო ნიშნები, 10. სტილისტიკის ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები, 11. სტილისტიკის კლასიფიკაცია, 12. სტილისტიკური ნორმა, 13. ლექსიკური სტილისტიკა, 14. გრამატიკული (მორფოლოგიური და სინტაქსური) სტილისტიკა, 15. სასვენი ნიშნების გამოყენება სტილისტიკური დანიშნულებით. შედარებით ცრულად არის განხილული ლექსიკური და გრამატიკული სტილისტიკის საკითხები; სახელდობრ: სიტყვათა სწორად შერჩევა და გამოყენება, სადაც ყურადღება განსაკუთრებით გამახვილებულია ზმნაზე, რაგორც ქართული წინადადების ძირითად აზრობრივ ბირთვზე; მორფოლოგიური და სინტაქსური ნიშნების გამოყენება ტექსტის შინაარსთან, ჟანრთან, მეტყველების პირობებთან, სიტუაციასა და მიზანდასახულობასთან დაკავშირებით.

ლექსიკურ და გრამატიკულ ენობრივ საშუალებათა სინონიმური სახეების შერჩევისა და მიზანშეწონილად გამოყენების საკითხებთან ერთად ვხადავხა მოცემულია ტიპობრივი სტილისტიკური შეცდომების მაგალითები და მიითვლება შეცდომათა გასწორებაც; გამახვილებულია ყურადღება ენის სიწმინდის დაცვის საკითხზე, რომელიც ამჟამად მეტად აქტუალურია.

სახელმძღვანელოს მიზანია მისცეს მკითხველს სათანადო წარმოდგენა სტილისტიკის რაგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საკითხებზე. ერთი მხრით, გააცნოს, თუ რას სწავლობს სტილისტიკა, რა ლექსიკური და გრამატიკული ენობრივი საშუალებანი იხმარება აზრის უკეთ გამოსახატავად, მეორე მხრით, დაეხმაროს პრაქტიკულ რეცეპტების გამოყენებაში, ენობრივ საშუალებათა შერჩევისა და მიზანშეწონილად გამოყენებაში, იმის გარკვევაში, თუ რა არის სტილისტიკურად მართებული, რა - უმჯობესი და რა - უმართებული; საერთოდ, დახმარება გაუწიოს ადამიანს მშობ-

ლიური ენის კულტურის ამადღებში, რასაც საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ყოველი ერისათვის განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

ამ შრომაში სტილისტიკის საკითხები ძირითადად განხილულია გრამატიკულ კატეგორიებთან დაკავშირებით. ეს, ჩვენი აზრით, გააადვილებს მათ შესწავლასა და პრაქტიკულად გამოყენებას.

§ I. სტილისტიკის ისტორიიდან

ს ტ ი ლ ი ს ტ ი კ ა, როგორც ენათმეცნიერების ერთ-ერთი დარგი, შეიქმნა XIX საუკუნის II ნახევარში, მაგარამ სტილის თეაღსაზრისით ენობრივი მოვლენების გამოყენებას საფუძველი ჩაეყარა უკვე ანტიკურ ხანაში, ძვ.წ. აღწ. -მდე V საუკუნეში, საბერძნეთში, სადაც მას უკრადღებამს აქტივდნენ რიტორიკული მსჯელობის დროს საჯარო კრებებზე, სასამართლო პროცესებზე ან სხვა სახის პაექრობისას, ორატორის მთავარი მიზანი იყო საბჭველის საინტერესოდ, მიმზიდველად, ღამაზი ენით (საჯანგებოდ შერჩეული სიტყვებითა და ფორმებით) გადმოცემა.

ეს პირველ ხანებში რიტორიკაში მთავარი ყურადღება ექცეოდა სტილის ისეთ საკითხებს, როგორცაა, მაგალითად, შეტყველების სიზუსტე, სიღამაზე და დარწმუნების ხერხები, შემდეგ მას დამატა ადამიანზე ფსიქიკური ზეგავლენის მოსახდენად სათანადო ენობრივი საშუალებების ძიება. ეინც მხატვრული შეტყველების უნარს ამტკიცებდა, ის დიდ მოწონებას იმსახურებდა. ასეთი ორატორების მოსამზადებლად სპეციალური, ე.წ. რიტორიკული სკოლებიც კი იყო გახსნილი. ამდენად, რიტორიკის ანუ შევერმეტყველების თეორიის განვითარება შემდეგ საფუძველად დაედო სტილისტიკის ცალკე საჯნად გაზოყვას.

ორატორული შევერმეტყველების მამამთავრად ითვლება დიდი ბერძენი ორატორი დემოსთენე (384-322), რომელიც მოღვაწეობდა ათენში. შევერმეტყველების დიდ თეორეტიკოსებად კი - ცნობილი ფილოსოფოსი არისტოტელე (384-322), რომელმაც ორატორული ხელოვნების შესახებ დაწერა სპეციალური შრომა „რიტორიკა“, და არისტოტელეს მოწაფე - ფილოსოფოსი თეოფრასტე (372-287), რომლის კლამს ეკუთვნის წიგნი „სტილის შესახებ“.

არისტოტელე სტილის საკითხებს ეხება „რიტორიკის“ მესამე წიგნის პირველ ნაწილსა და „პოეტიკაში“, სადაც ის იხილავს მათ როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული თეაღსაზრისით, როგორც გ. კიენაძე აღნიშნავს, „არისტოტელის შეხედულებით, თვით სტილი არაფერს ვმეტებს აზრის გეშმამრიტებას, ის მხოლოდ უფრო მისაწვდომად ხდის აზრს... შეტყველებამ რომ საჭირო შამბეჭვიღილება მოახდინოს, არ არის საკმარისი მხოლოდ იმის ცოდნა, თუ რა უნდა ითქვას, არამედ აუცილებელია ეს სათანადოდ ითქვას“¹.

1. უროლი კიენაძე - შეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957, გვ. 3.

არისტოტელე მოითხოვდა, რომ მეტყველება ყოფილიყო ცხადი, ნათელი. ის წერდა: „სათქმელის ღირსებაა, რომ იგი იყოს ნათელი, მაგრამ არა ტრანკი. თუ სათქმელი შედგება მხოლოდ მეტაფორებისაგან, იგი გამოცანაა; თუ იგი შედგება უცხო სიტყვებისაგან - ბარბაროზმია“¹. მისი აზრით, სტილი უნდა შეეფერებოდეს მეტყველების საგანს. ამიტომ არისტოტელე კარგ სტილად თვლიდა ისეთს, რომელიც იყო ნათელი და გამოსახატავი საგნის შესატყვისი. კარგი სტილის მთავარ ნიშნად მიაჩნდა ზომიერების დაცვა, კარგ ოსტატობად - სასაუბრო თქმების გამოყენება, სტილის მაღალ თვისებად - გრძნობების გამოხატვა, ხელო სტილის უარყოფით მხარეებად - აზრის ბუნდოვნად ან ორზროვნად გადმოცემა, ზოგადი ფრაზები, უმნიშვნელო საგნებზე მაღალჯარღოვანი სიტყვებით და ზერღვად ლაპარაკი. შესაბამისობა და ზომიერება - იმ, ორი არსებითი მნიშვნელობის მოთხოვნა, რასაც არისტოტელე უყენებდა მეტყველების სტილს².

არისტოტელეს შემდეგ სტილის გაგება უფრო გაულრმამებია თეოფრასტეს, რომლის შრომას ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ იგი მრავალი ციტატის სახით არის შემონახული მომდევნო მოღვაწეების შრომებში. თეოფრასტეს აზრით, მეტყველებას უნდა ახასიათებდეს 4 თვისება: სიწმინდე, სიყვადე, სათქმელთან შესაბამისობა და სიღამაზე. თეოფრასტი მხატვრულ მეტყველებას მკვეთრად ასხევაებდა ყოველდღიური პრაქტიკული მეტყველებისგან და ყურადღებას აქცევდა მის სიღამაზეს, როგორც აუცილებელ პირობას მსმენელზე ზეგავლენის მოსახდენად. ამის შედეგად სტილის გაგებაში დამატებით თავი იჩინა მეტყველების ფსიქოლოგიური გავლენის ანუ ზემოქმედების საკითხმა.

ორატორულმა ხელოვნებამ ნაყოფიერი ნიადაგი ბოვა ძველ რომშიც, სადაც იგი განვითარების მაღალ საფეხურზე აიყვანა ცნობილმა ორატორმა ციცირონმა (106 - 43). ციცირონს მჭიდრომეტყველად მიაჩნდა ის, ვინც ფორუმებსა და სამოქალაქო პროცესებზე ილაპარაკებდა ისე, რომ დაარწმუნებდა, თანაც ასიამოვნებდა და დაატყვევებდა მსმენელს³. ცნობილია აგრეთვე მჭიდრომეტყველების დიდი თეორეტიკოსი კვინტილიანე (35 - 96), რომლის შრომა - „დაროგებანი ორატორულ ხელოვნებაში“ - ცრვლად მოგვიანრობს ორატორობის ძირითადი მეთოდებისა და ხერხების შესახებ.

ამრიგად, აღნიშნულ პერიოდში რიტორიკამ მიაღწია განვითარების მაღალ დონეს; მეტყველების მხატვრულობა გადაიქცა ხელოვნების სა-

1 არისტოტელე - პოეტიკა, თბ., 1944, გვ. 47, პროფ. ს. დანელიას თარგმ.

2 უფრო ცრვლად იხ. გ. კიკნაძის დასახელებული წიგნი, გვ. I-9, 9-26.

3 Античная теория речники и стили, М., 1936, от. 274.

ქმედ. მასში იგულისხმებოდა როგორც მჭევრმეტყველება, ისე წერის ხელოვნება და მისი შემდგომი განვითარებისთვის უკვე ნოჟიერი ნიადაგი იყო მომზადებული, მაგრამ სამწუხაროდ, შუა საუკუნეებში მდგომარეობა შეიცვალა: კათოლიკური ეკლესიის გაბატონებამ და სქოლასტიკის გამტკიცებამ დიდად შეაფერხა ორატორული ხელოვნების განვითარება. ეკლესია მტკიცებისა და დარწმუნების ნაცვლად მოთხოვდა რელიგიური დოგმების დაცვასა და მისდამი ბრმა მორჩილებას. ამის გამო რიტორიკა შეცვალა საეკლესიო ქადაგებამ, მჭევრმეტყველება - ღვთისმეტყველებამ, მართალია, რიტორიკა შემორჩა შუა საუკუნეების სკოლებს, მაგრამ კათოლიკურ-ფეოდალური ეკლესია მას იყენებდა მხოლოდ თავისი მიზნის - წარმართებისა და ერეტიკოსების წინააღმდეგ ბრძოლის - იარაღად.

საერთოდ, სასულიერო წოდების ხელში რიტორიკის სწავლება იმდენად შეიცვალა (მას დაეკისრა მხოლოდ საეკლესიო ქადაგება), რომ მისმა სქოლასტიკურ-ფორმალურმა და ლოგმატიკურმა ხასიათმა ორატორული ხელოვნება დიდად დააქვეითა.

როგორც ხელოვნებას საქარათველოშიც ღიდი ხნის ისტორია აქვს. მისი ნიმუშები საკმაოდ არის შემონახული როგორც ქართულ, ისე უცხო (ბერძნულ, ლათინურ) წყაროებში: „ეს მდიდარი მასალა, გაფანტული უამრავ მუცნიერულ, მხატვრულ, ეპისტოლარულ, მემუარულსა და სხვა სახის ნაწარმოებებში, განუწიელი თითქმის ოცი საუკუნის მანძილზე, ჩარმოადგენს ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის სანდო პირველ-წყაროს“¹.

როგორც ნ. კანდელაკი აღნიშნავს, ჯერჯერობით პირველი ასეთი წერილობითი ნიმუშია პერიფრაზული სახით შემონახული იბერთა მუღოს -- ფარსმან პირველის მიერ (I ს.) ბრძოლის დაწყების წინ წარმოთქმული სიტყვა, რომელიც შესულია რომაელი ისტორიკოსის - კორნელი ტაცი-პუსის (55 - 120) მეექვსე წიგნში.

ბერძენი ფილოსოფოსისა და რიტორის ლიბანიოსის (314 - 393) კნობით, IV საუკუნეში მოღვაწეობდა ქართული ფილოსოფოსი და ორატორი ბაკური. ამავე საუკუნის ბერძენი მოღვაწე თემისტოისი (317 - 388) ძვირფას ცნობებს გვაწვდის კოლხეთის რიტორიკული სკოლის შესახებ. მისი გადმოცემით, კოლხეთში, ფოთის მახლობლად, IV საუკუნეში უფროა ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლა, სადაც არა მარტო აღგი-ულობრივი მოსახლეები სწავლობდნენ, არამედ საბერძნეთიდანაც მოდიო-ბდნენ უმადლესი განათლების მოსაძებნად. თემისტოისს აქვე, ფაზისის მახლობლად, მიუღია განათლება, სადაც გამოუგზავნია მამას, რომელ-

საც ამავე სასწავლებელში უსწავლია¹.

მომდევნო საუკუნეებში ასეთი ცნობები ბლომად მოგვეპოვება ქართულ წყაროებშიც. ორატორული ხელოვნების განვითარებას დიდად შეუწყვეს ხელი ქართული კულტურისა და მეცნიერების ისეთმა კერებმა, როგორცაა, მაგალითად: იერუსალიმის (IV საუკუნე), ათონის ივერიის (X საუკუნე), სინას მთის (X საუკუნე), პეტრიწონის (XI საუკუნე) მონასტრები. საქართველოში ეს საქმე მაღალ დონეს აღწევს განსაკუთრებით XII საუკუნეში დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებულ გელათის აკადემიაში, რომელიც მაშინდელი დროის უმაღლესი სასწავლებელი იყო. აქ ისწავლებოდა ე.წ. შვიდი თავისუფალი ხელოვნება: გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა, გეომეტრია, არითმეტიკა, ასტრონომია და მუსიკა.

XII საუკუნეში ქართული კულტურის დიდი კერა იყო აგრეთვე იყალთოს აკადემია.

ქართველ მოღვაწეთა შორის რიტორიკის საკითხები განხილული აქვთ XI საუკუნის მეორე ნახევრისა და XII საუკუნის დასაწყისის ცნობილ ქართველ ფილოსოფოს იოანე პეტრიწს შრომაში „განმარტებაი პროკლესთის დიადოხოსისა და პლატონისა ფილოსოფოსისათვის“. XVIII საუკუნის მოღვაწეს - ანტონ პირველს „წყობილსიტყვაობაში“ და ამავე საუკუნის მოღვაწეს - იოანე ბატონიშვილს „კალმასობაში“. XIX საუკუნის დასაწყისში (1828) დაიწერა სახელმძღვანელო „რიტორიკა“, რომელიც იკუთვნის სოლომონ დოდაშვილს.

რუსეთში ამ საგანს ყურადღება იტყვიან XVII საუკუნიდან. მაგალითად, ცნობილია: მაკარის „რიტორიკა“ (1617), მ. უსაროვის „რიტორიკა“ (1699), თ. პოკოპოვიჩის შრომა „პოეტურ ხელოვნებაზე“ (1705 წელს წაკითხული ლექციები) და სხვ.

XVIII საუკუნის დიდმა მოღვაწემ მ. ლომონოსოვმა შექმნა სპეციალური სახელმძღვანელო „Краткое руководство к риторике“, (1748), რასაც შემდეგ მოჰყვა ამ ტიპის მრავალი შრომა (ა. მერზლიაკოვის, ი. რიჟსკის, ნ. კოშანსკის, მ. სპერანსკის, პ. პოპდონოსოვის, კ. ზედენიცკისა და სხვ.)².

ამრიგად, რიტორიკამ, როგორც გამომსახველობითი მეტყველების, მჭევრმეტყველების ანუ ორატორული ხელოვნების თეორიამ, განვითარების დიდი გზა გაწვლია, მაგრამ ამ პერიოდში რიტორიკასთან დაკავშირებით სტრილი უმთავრესად ესმოდათ როგორც მხოლოდ ლამაზი მეტყველება,

1 ს. ყაუხჩიშვილი - რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბ., 1964, გვ. 116.

2 М. И. Михайлов - Стялистика русской речи, Чебоксары, 1968, ст. 17.

პირველს განაკუთვნიებდა ძველ სლავურს, რომელიც იმ დროს არ იყო გაუგებარი; საშუალო სტილად მიაჩნდა ისეთი მეტყველება, რომელიც დამახასიათებელი იყო წიგნიერი ადამიანისთვის; დაბალ სტილს კი თვლიდა ძველი სლავური სიტყვებისა და თქმებისგან თავისუფალ, უბრალო, მდებარე მეტყველებას. მისი აზრით, მაღალი სტილით უნდა შექმნილიყო საგმირო პოემები, ოდები, აკრებვე პოეზიაც მნიშვნელოვან მატერიებზე; საშუალო სტილით - თეატრალური თხზულებები, სადაც საჭირო იყო ჩვეულებრივი ადამიანური სიტყვა, გადუქსილი წერილები, სატირები, ელეგიები; დაბალი სტილით კი - კომედიები, გასართობი ეპიგრამები, სიმღერები, მეგობრული წერილები და საყოფაცხოვრებო შემთხვევითი ან ამსახველი ალწერები¹.

მ. ლომონოსოვის გაგებით, სტილის შერჩევას განსაზღვრავს საგანი, ამიტომ ავტორი „დაბალ სტილს“ კი არ უარყოფდა, არამედ აღნიშნავდა მის დადებით მნიშვნელობასა და აუცილებლობას სათანადო შემთხვევებში².

სამი სტილის თეორია შემდეგ გადაიქცა მაღალი წოდების კლასობრივ იარაღად, დაიწყო ბრძოლა იმ ენობრივი ელემენტების (განსაკუთრებით ჩვეულებრივი სასაუბრო ლექსიკის) წინააღმდეგ, რომლებიც თითქოს არ შეეფერებოდა გაბატონებული წოდების იდეალებსა და გემოვნებას. ამ მოვლენამ დროთა განმავლობაში დიდად შეაფერხა ერთიანი სალიტერატურო უნის დანერგვა, დახვეწა და განვითარება როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიც, სადაც სამი სტილის თეორიამ XVIII საუკუნის 60-იან წლებში პოვა გამოძახილი. ამ საკითხს ჩვენში პირველად შეეხო ცნობილი გრამატიკოსი ანტონ პირველი (თემურაზ ბაგრატიონი - 1720-1788).

ა. რ ი ქ ლ ბ ა ვ ა წერს: „ანტონ პირველმა დანერგა და გააბატონა სამი სტილის თეორია. ეს თეორია ქმნიდა რიტორიკის ქვაკუთხედს. ამ თეორიის თანახმად ყველა საგანზე მსჯელობა ერთი და იმავე ენით დაუშვებლად იყო მიჩნეული: „მაღალ მატერიას“ (მაგ., ლექსის მეტყველებას) ადხევებული ენა. - „მაღალი სტილი“ - შეეფერებოდა; ისტორიული თხრობა, მაგალითად, საშუალო სტილს მოითხოვდა; ყოველდღიური ამბები, საყოფაცხოვრებო მოვლენები „უბრალოდ“ ითქმოდა, მას ჩვეულებრივი სასაუბრო ენა გამოადგებოდა, - ეს იყო „დაბალი სტილის“ სამყარო.

რიტორიკის ნორმები - სამი სტილის თეორია - პრინციპში უარყო-

1 В.П.Воспарский - Стилистическое учение М.В.Ломоносова, М., 1970, ст. 127.

2 М.В.Ломоносов - Полн.собр.соч., т.УП, М., 1952, ст.587.

ფდა ერთი სალიტერატურო ენის საკმარისობას; ერთი სალიტერატურო ქართულის ნაცვლად უნდა შეექმნათ სამი სახის წიგნური მეტყველება - სამი სტილი ქართულში¹.

როგორც ცნობილია, ანტონ პირველი ცდილობდა მწერლობაში გაე-
ბატონებინა პეტრიწონული სკოლის ენა. XIX საუკუნის მეორე ნახევ-
რამდე ანტონის გავლენას განიცდიდნენ არა მარტო საეკლესიო მოღ-
ვაწევები, არამედ მაშინდელი რომანტიკოსი მგოსნებიც, მაგრამ 1850
წელს გიორგი ერისთავის კომედიის - „გაყრის“ -
გამოქვეყნებამ სავსებით შეარყია ძველი ენობრივი პოზიცია ჩვენს
მწერლობაში; საზოგადოების პროგრესული ნაწილი კმაყოფილებით შე-
ხედა გ. ერისთავის წამოწყებას - ახალი სალიტერატურო ენის დაწერ-
ვის ცდას, რასაც პირველად აღფრთოვანებით გამოეხმაურა ცნობილი
საზოგადო მოღვაწე ბატონი იოსებელიანი. სულ მალე
ამ საკითხზე მაშინდელი პრესის ფურცლებზე აშკარა ბრძოლა გაჩაღდა
საზოგადოების ძველ და ახალ თაობებს შორის. ძველი თაობა მტკიცედ
იცავდა სამი სტილის თეორიის პრინციპებს. მაგალითად, ბლეტი-
სიანი დრეზიანი, სასტიკად გამოხდა რა პლატონ იოსე-
ლიანის პოზიციას გიორგი ერისთავის ენის მიმართ, თვლიდა, რომ მარ-
თალია, საეკლესიო ენა უკვე მოქცეულა და სალიტერატურო ენად არ
გამოადგება, მაგრამ საჭიროა მწერლობაში მაღალი წოდების საღაპარა-
კო ენის გაბატონება.

საეკლესიო ენა დრომოჭმულად მიაჩნდა მწერლობისთვის დიმი-
ტრი ყიფიანი. მისი აზრით, ახალი სამწერლობო ენის
შედეგებისთვის არსებობს ორი წყარო: „პირველი - თვით ცხოველი
საზოგადო, თუ დარბაისლური, ენა, მეორე - ჯურადღებთ კი-
თხეა იმ მწერალთა, რომელნიც შეიცავენ უკეთეს საზოგადო
საუბარსა“².

ამგვარად, დიმიტრი ყიფიანმაც წამოჭრა საშუალო ქართულის გა-
ბატონების საკითხი, მაგრამ არა როგორც „ეისრაჰიანის“, „რუსუდა-
ნიანის“, „გვეფხისტყაოსნის“ ენით. წერა, როგორც ამას მოითხოვდა ა.
ორბელიანი, არამედ ისეთი ენით, რომელიც საშუალო ადგილს დაიჭერდა
საზოგადო ენასა და საერო კლასიკურ ნაწარმოებთა ენას შორის, იმ
ენით, რომელიც უნდა აღმოცენებულიყო ზემოთ დასახელებული ორგვარი
წყაროს ნიდადაგზე.

1 არნ. ჩიქობავა - ქართული ენის ზოგადი დახასიათება. ქართ. ენის
განმ. ლექსიკ. I, 1950, გვ. 020-021. იხ. აგრეთვე ე. ბაბუნა-
შვილი - ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ.,
1970, გვ. 236.

2 ჟურნ. „ცისკარი“, 1860, გვ. 328-329.

XIX საუკუნის 60-იან წლებში მოწინავე ქართველი ინტელიგენცია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო არა სამი, არამედ ერთი სახის ენის გაბატონება - ერთიანი სალიტერატურო ენის შექმნა, რომელიც საერთო იქნებოდა ყველა წოდებისთვის. საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი ენა უნდა დადგობოდა საფუძვლად მწერლობას, იმდენად გამწვავდა, რომ ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ბანაკი, რომელთა შორის ერთი (აღიქსანდრე ორბელიანი, ბარბარე ჯორჯაძისა, სარდიონ აღიქსიცი-მცხხიცი და გრიგოლ ორბელიანი) თავგამოდებით იცავდა ძველ ენას, მეორე (პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ყიფიანი, დავით ყიციანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვ.) კი იბრძოდა ახალი სალიტერატურო ენის გასაბატონებლად და საბოლოო გამარჯვებაც ამ ბანაკმა მოიპოვა. სამი სტილის თეორიას ახალმა თარბამ მალე მოუღო ბოლო ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს მეთაურობით. ი. ჭავჭავაძემ საცესებით გამიჯნა ახალი სალიტერატურო ენა ძველი ენისგან როგორც ზედმეტი ასოების (ჟ, ჭ, ლ, ჳ, ჴ) ამოღებით, ისე მისი დაახლოებით ცოცხალ სალაპარაკო ენასთან. ის ამ დიდი ეროვნული საქმის მოგვარების შემდეგ 7თელი სიცოცხლის მანძილზე ზრუნავდა სალიტერატურო ენის დახვეწა-განეთარებისა და მტკიცედ დანერგვისთვის ჩვენს მწერლობაში¹.

XIX საუკუნეში გაიზარდა ინტერესი სტილის საკითხებისადმი და მომწიფდა აზრი რიტორიკიდან პოეტური სტილის ცალკე შესწავლის საგნად გამოყოფის შესახებ, რასაც ჯერ კიდევ XIX საუკუნის I ნახევარში აყენებდნენ ბ. ბელინსკი (1811-1848) და მისი თანამოაზრენი. აღნიშნული საუკუნის II ნახევარში პოეტური სტილისტიკა უკვე საცესებით გამოიყო რიტორიკას. პოეტური სტილისტიკის საგნად აღიარებულ იქნა ისეთი გამომსახველობითი ენობრივი საშუალებანი, რომლებიც სჭირდებოდა პოეტურ მეტყველებას, ხოლო ენათმეცნიერული სტილისტიკა ამ პერიოდში ჯერ მხოლოდ ყალიბდებოდა (ა. პოტებნია - 1835-1891, დ. ოგისიანოვ-კულიკოვსკი - 1853-1920). მისი დრამად შესწავლა დაიწყო XX საუკუნეში, განსაკუთრებით ამ საუკუნის 40-იან წლებში, გამოქვეყნდა ცნობილი რუსი მეცნიერების - ბ. ტომაშევისკის, ვ. ვინოგრადოვის, ნ. ბუღაჩოვსკის, ა. გვოზდევის, დ. როზენტალის, მ. მიხაილოვისა და სხვათა შესანიშნავი შრომები. ამ მხრივ ნაყოფიერი მუშაობა აქვთ გავიწეული ქართველ მეცნიერებსაც. მართალია, დღემდე ქართული ენის სტილისტიკას სრული ჟღერია არ მოგვეპოვება, მაგრამ ამ დარგის სხვადა-

¹ უფრო ვრცლად იხ. ს. გორჯაძის - ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან. ურბნ. „მნათობი“, 1925, №1, №3, 1926, №5-6.

სხვა საკითხზე, განსაკუთრებით მწერლისა და თარგმანების სტილის შესახებ, ბევრი საინტერესო შრომა არის გამოქვეყნებული, მაგალითად:

1. ზ. ჭუმბურიძის „ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები“, თბ., 1956.
2. შ. ძიძიგურის „მწერლის ენა“, თბ., 1957.
3. შ. ლონტის „ქართული მწერლების მხატვრული ოსტატობის თავისებურებანი“, სოხ., 1957.
4. გ. გარეჩილაძის „მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები“, თბ., 1959.
5. შ. ლონტის „ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა“, თბ., 1961.
6. ზ. ჭუმბურიძის „სალიტერატურო ენა და მწერლობა“, თბ., 1962 (I განკ.)
7. შ. ძიძიგურის „ენა და ლიტერატურა“, თბ., 1965.
8. გ. იმედაშვილის, ვ. ბააკაშვილისა და რ. ბარამიძის „ძველი ქართული მწერლობის სტილის საკითხები (V-XIII სს.)“, თბ., 1965.
9. ი. იმნაიშვილის „გაყუ-ფშაველი და ძველი ქართული ენა“, თბ., 1968.
10. შ. ძიძიგურის „ქართველ კლასიკოსთა ენობრივი მემკვიდრეობა“, თბ., 1971 და სხვ.

ენათმეცნიერული სტილისტიკის ძირითადი თეორიული საკითხები ქართულ ენაზე პირველად განხილულია ა. ჩიქობავას მიერ „ენათმეცნიერების შესავალში“, თბ. 1952, VI. პრაქტიკული საკითხების განხილვის პირველი ცდა მოცემულია წინამდებარე წიგნის ავტორის მიერ 1956 წ. გამოცემულ „ქართული მართლწერის ძირითად საკითხებში“.

გარდა ამისა, მცირე მოცულობის ცალკე წიგნებად გამოქვეყნებულია რამდენიმე სპეციალური შრომა:

1. ვ. რამიშვილის „სტილისტიკის სწავლებლისა და მენტყველების სტილზე მუშაობის საკითხები“, თბ., 1965.
2. ა. გვენცაძის „სტილისტიკის საკითხები“, თბ., 1971 „ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები“, თბ., 1974.
3. გ. შალამბერიძისა და რ. გაბეჩიას „ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა“, თბ., 1974.

ამ პერიოდის სპეციალური შრომებთან განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. კიკნაძის საკმაოდ დიდი მოცულობის წიგნი „მენტყველების სტილის საკითხები“, რომელიც გამოიცა 1957 წელს. როგორც წიგნის შესავალშია ავტორის მიერ აღნიშნული, ეს შრომა „არ შეიცავს სტილისტიკის საკითხების სრულ განხილვას“. მაგრამ იგი დიდ ცოდნას აწვდის მკითხველს ამ საგანში. გრ. კიკნაძის წიგნი შეიცავს მდიდარ თეო-

რიულ და საანალიზო მასალას როგორც, საერთოდ, სტილის, ისე, კერძოდ, ენის გამომსახველობითი საშუალებების შესახებ.

§3. ენა და მეტყველება

სტილისტიკასთან დაკავშირებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ენისა და მეტყველების ურთიერთდაკავშირისა და მათი განმასხვავებელი ნიშნების სწორად გაგება.

ენა და მეტყველება არის ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული. ურთიერთგანმამაპირობებელი, ძირითადად ერთნაირი ფუნქციის მქონე მოვლენები. უფრო ზუსტად, ენა ა არის ფონეტიკურ, ლექსიკურ, გრამატიკულ საშუალებათა ერთიანობა და წესების სისტემა, ობიექტურად არსებული საკომუნიკაციო სოციალური მოვლენა, აზრის; გრძნობის, განწყობილების, ნება-სურვილის გამოხატვის იარაღი. მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა კ ი ენის სუბიექტური გამოყენების კონკრეტული ფორმაა, რომელიც ვლინდება ამა თუ იმ სფეროსთან, სიტუაციასთან, საგანთან ან მოვლენასთან დაკავშირებით. ე.ი. მეტყველება არის ენის ინდივიდუალურ-ფუნქციური გამოყენება ანუ ენა მოქმედებაში, როგორც ფ. დე სოსიური წერს - ენის რეალიზაცია კომუნიკაციის პროცესში. ენა საზოგადოებრივი მოვლენაა, მეტყველება - ინდივიდუალური; ენა და მეტყველება ერთმანეთისგან განირჩევა სახეების მიხედვითაც. ე ნ ის ს ა ხ ე ბ ბ ი ა: ეროვნული (ქართული, რუსული, ინგლისური...) საერთაშორისო (ესპერანტო); ფონეტიკური, ფლექსიური, აგლუტინაციური, ამორფული, კინეტიკური; უმწიგნობრო, მწიგნობრული; ცოცხალი, მკვდარი; სალიტერატურო, კუთხური და სხვ. მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ის ს ა ხ ე ბ ბ ი ა: ზეპირი, წერიითი; მონოლოგური, დიალოგური; პირდაპირი, ირიბი; ბავშვის, მოზარდილის; ჯლების, ინტელიგენტის, მასწავლებლის, მოსწავლის, ექიმის, აგრონომის... ორატორული, საზეიმო, სამკლავი-არო და ა.შ.

მეტყველებას ახასიათებს ისეთი ნიშნებიც, როგორცაა, მავალითად, ინტონაცია, სიტყვათა გადატანითი მნიშვნელობით ხმარება, სიტყვათა განმეორება, აზრის უსრული სახით ან წყვეტილად გამოხატვა, მიმიკა და ექსტი და სხვ.

§4. სტილისტიკის საგანი

ადაშიანის მეტყველება რომ უნაკლო იყოს, იგი უნდა იყოს არა მარტო ენობრივად დახვეწილი და სალიტერატურო ნორმების მიხედვით სწორი, არამედ სასიამოვნოც, მიმზიდველიც, ზემოქმედების ძალის მქონე. ამისთვის არ კმარა მარტო ენის სიტყვიერი მარაგის ცოდნა და გრამატიკული წესების დაცვა, არამედ საჭიროა ისეთი ელემენტების (ლექსიკური, ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური ენობრივი საშუალებების) შერჩევაც, რომლებიც უფრო ნათელს, მიმზიდველს, ემოციურს, ექსპრესიულს გახდის გადმოსაცემ აზრს. ამ მიზნით როგორც ზეპირი, ისე წერილი მეტყველების დროს ადაშიანი ეძებს ყველაზე დამაჯერებელ, მართალ, უკეთეს გამოშახებულთ ენობრივ შესაძლებლობებს. სწორედ ენის ამ მხარეს სწავლავს სტილისტიკა.

სახელწოდება სტილიკა მომდინარეობს ძველი ბერძნული სიტყვისგან *stylos* (ლათინურად *stilum*), რაც აღნიშნავდა ჩხირს, რომელიც ერთ მხარეს იყო წაწვეტილებული, მეორე მხარეს - ბრტყელი და იხმარებოდა საწერ იარაღად. ამ ჩხირით ძველი დროის ბერძენები და რომაელები წერდნენ ცვილით დაფარულ ანუ გასანთლულ ფიჭობებზე. წვეტიან ნაწილს იყენებდნენ საწერად, ბრტყელს - შეეღობინ ან დაწერილის წასაშლელად.

პირველ ხანებში სიტყვა „სტილი“ იხმარებოდა აგრეთვე დაწერის ხელის ანუ კალიგრაფიის მნიშვნელობით, უფრო გვიან იგი დაერქვა მეტყველებისა და წერის მანერას, ბოლოს კი - თავისებურ გამოშახებულობით ნიშნათა ერთობლიობას, რომელიც ახასიათებდა მწერლის, მხატვრის, არქიტექტორის, მოქანდაკის, მუსიკოსისა და სხვათა შემოქმედებას და განასხვავებდა მათ სახეებს ერთმანეთისგან. მეტყველებაში სტილი აღნიშნავდა განსახსვავებელ ენობრივ საშუალებებს, რომლებიც იხმარებოდა ორატორულ ხელოვნებაში, ლიტერატურულ თანრებში და სხვ.

სიტყვისგან „სტილი“ მიღებულია საგნის სახელწოდება „სტილისტიკა“ (ფრანგ. *stylistique*). სტილიკა არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს სხვადასხვა სტილსა და გამოშახებას ხვედრით სენობრივ საშუალებების გამოყენებისა და გრძნობების უკეთ გადმოსაცემად.

აზრისა და გრძნობის გამოხატვას ემსახურება აგრეთვე გრამატიკა, განსაკუთრებით სინტაქსი, რომლის შესწავლის საგანია წინადადება - სიტყვების ერთმანეთთან შეკავშირება გრამატიკულად, სტილიკის საგანის სტილიკის საგანის კი სიტყვათა ან წინადადებათა

შერჩევამ ამა თუ იმ საგანთან, მოვლენასთან, კონკრეტულ ციხარებასთან დაკავშირებით. პირველის დანიშნულებაა წინადადების სწორად აგება, მეორისა - სწორად აგებული წინადადების აზრის სიყბაღე. შეუსაბამო სიტყვებითა და გრამატიკული საშუალებებით აგებულ ფრაზაში აზრი ბუნდოვანია ან სრულებით გაუგებარი.

ერთი და იგივე შინაარსი შეიძლება გადმოცემა სხვადასხვაგვარად განსხვავებული ინტონაციისა თუ სტილისტიკურ ენობრივ საშუალებათა გამოყენებით. კერძოდ, როდესაც წინადადების აგებისას ორი შესაძლებლობიდან გასარჩევია: რ ო მ ე ლ ი ფ ო რ მ ა ა ს წ ო რ ი დ ა რ ო მ ე ლ ი ა რ ა ს წ ო რ ი - ე ს გ რ ა მ ა - ტ ი კ ი ს ს ა გ ა ნ ი ა (მაგალითად: რა უქნია? - უნახია თუ უნახავს, დაუფგია თუ დაუფგამს; მიწერა თუ მისწერა; მიყიდა თუ მიჰყიდა; კრეა თუ კრეის; რატომ ტირიხარ თუ რატომ ტირი? და სხვ.), ხოლო, როდესაც რამდენიმე შესაძლებლობიდან ყველა ფორმა გრამატიკულად სწორია, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში აზრის სიზუსტისთვის შეესაბამებოდა, მაშინ უკეთესია: რ ო მ ე ლ ი ფ ო რ მ ა ა უ კ ე თ ე - ს ი - ე ს უ კ ე თ ე ა რ ი ს ს ტ ი ლ ი ს ტ ი კ ი ს შე ს - წ ა ვ ლ ი ს ს ა გ ა ნ ი .

ამრიგად, სიტყვების, სიტყვათა ფორმებისა და წინადადებების სტრუქტურის შერჩევა ხდება აზრის არა მარტო გრამატიკულად სწორად, არამედ ზუსტად, ემოციურად და ექსპრესიულად გადმოსაცემად, საგნებისა და მოვლენებისადმი პირადი დამოკიდებულების გამოსახატავად, ადამიანის გონებასა და გრძნობაზე ზემოქმედების მოსახდენად, ერთად კი მ ე ტ ზ ე ე ლ ე ბ ი ს ს ი ს წ ო რ ე დ ა ს ი ზ უ ს ტ ე არის ენის მაღალი კულტურის აუცილებელი ელემენტები. ენის კულტურა ნიშნავს არამარტო სალიტერატურო ენის ნორმებისა და სიწმინდის დაცვას, არამედ გამოსახველობით საშუალებათა მოხდენილად, ოსტატურად ხმარებასაც. ა. ჩიქობავა წერს: „სიტყვების ურთიერთობა შესიტყვების აგებულების ავალსაზრისით - სინტაქსის საკმეა; სიტყვების ურთიერთობა მნიშვნელობის ავალსაზრისით, გადმოსაცემი შინაარსის ავალსაზრისით - სტილისტიკის საკმეა“¹. იქვე ავტორი აღნიშნავს: „...ყოველი ენობრივი ფაქტი გულისხმობს გ ა დ მ ო - ს ა ც ე მ შ ი ნ ა ა რ ს ს ა და სათანადო გ ა დ მ ო მ ც ე მ ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ს. გადმოსაცემი შინაარსი არის მეტყველის ცნობიერებაში გადამტყდარი ფაქტი სინამდვილისა; მოვლენა, რომელსაც ადგილი აქვს ბუნებაში, ადამიანთა საზოგადოებაში, ადამიანის ცხოვრებაში; გადმოცემაში საშუალება ესაა ე ნ ო ბ რ ი ვ ი ფ ა ქ - ტ ი, ამ სინამდვილის ფაქტის აღსანიშნავად გამოყენებული. გ ა -

¹ არნ. ჩიქობავა - ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ.280.

დ მ ს ა ც ე მ ი შ ი ნ ა ა რ ს ი ს (ს ა თ ქ ი ე ლ ი ს ა)
 დ ა გ ა დ მ ი მ ც ე მ ი ე ნ ა ბ რ ი ე ი ს ა შ უ ა ლ ე ბ -
 ი ს (თ ქ ი ე ლ ი ს) უ რ თ ი ე რ თ ლ ბ ა - ე ს ა ა ს ტ ი ლ ს ტ ი -
 კის ძირითადი პირობებია. სხვანაირად რომ ვთქვათ, ს ტ ი ლ ი ს -
 ტ ი კ ა შ ე ი ს წ ა ე ლ ი ს ე ნ ა ბ რ ი ე ს ა შ უ ა ლ ე -
 ბ ე ბ ს მ ა თ ს მ ი მ ა რ თ ე ბ ა შ ი გ ა დ მ ი ს ა ც ე მ
 შ ი ნ ა ა რ ს თ ა ნ . . . I

ავტორი სათანადო მაგალითების საფუძველზე ნათლად არკვევს,
 თუ რამ განსხვავდება სტილისტიკის გაგება პოეტიკისა და ენათმე-
 ცნიერების თვალსაზრისით და აგრეთვე რა განსხვავებაა - ობიექტურ
 და სუბიექტურ - ინდივიდუალურ სტილს შორის.

პრაქტიკული სტილისტიკის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყუ-
 რადღებოა ა. ჩიქობავას მიხედვითა სინტაქსურ და სტილისტიკურ შე-
 ცდომათა გარჩევის შესახებ. ავტორი წერს:

„შესაძლებელია შესიტყვება სინტაქსურად სწორად იყოს აგებუ-
 ლი, მაგრამ სტილისტიკურად გაუმართავე გამოდგეს; და პირიქით,
 შეიძლება სტილისტიკურად გამართული იყოს შესიტყვება, მაგრამ სი-
 ნტაქსურ შეცდომებს შეიცავდეს; დასასრულს შეიძლება სტილისტიკურა-
 დაც სწორი იყოს და სინტაქსურადაც ანდა კიდევ: სტილისტიკურადაც
 უმართლებული იყოს და სინტაქსურადაც.“

„დავითვა შეურაცხყოფა გ ა უ კ ე თ ა ს ი მონს“: სიტყვათა
 დაკავშირების წესები დაცულია, სინტაქსური მხარე უნაკლოა, ს ტ ი -
 ლ ი ს თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ - ა უ ტ ა ნ ე ლ ი ა: „შეურა-
 ცხყოფა“ და „გაუკეთა“ მნიშვნელობის მიხედვით ქართულში ერთმანეთს
 სრულებით არ შეეფერება; შესიტყვებაში „შეურაცხყოფა გაუკეთა“ სი-
 ტყვეები ფორმით ერთმანეთს შეეფერება, მნიშვნელობით - არა. ქართუ-
 ლია: „შეურაცხყოფა მიაყენა“ . . .

„მატარებელი გარერდა სემანტორზე“: სინტაქსური მხარე წესიერია:
 ს ტ ი ლ ი უ ვ ა რ გ ი ს ი : -ზე თანდებული გამოუსადეგარია იმ
 შინაარსის გამოსაცემად, რომელიც შესიტყვებას აქვს; უნდა იყოს:
 „მატარებელი გარერდა სემანტორთან“.

„დავითვა დაპირდა სიმონს დახმარება“, „დავითვა მოუყვა
 სიმონს ამბავი“ სტილისტიკურად გამართული შესიტყვებებია, მაგრამ
 ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ა დ ო რ ი ე ვ უ მ ა რ თ ე ბ ე უ ლ ო ა, - „დაპ-
 პირდა“, „მოუყვა“ გარდაუვალი ზმნებია და ამიტომ სუბიექტი სახე-
 ლობითში უნდა დაისევას (და არა მოთხრობითში): „დავითვა დაპირდა
 სიმონს დახმარებას“, „დავითვა მოუყვა სიმონს ამბავს“.

სტილისტიკურ შეცდომას სინტაქსურიც ერთვის ასეთ შესიტყვება-

ში: „ვარსკვანი, გამხეცებული ცოლის ასეთ მოქცევაზე, უხეშად სცემს შუშანიკს“... „გამხეცებული“ რით? „მოქცევით“ (და არა „მოქცევაზე“); „სცემს დაუზოგავად“ (და არა „უხეშად“; ცემა არ შეიძლება არ იყოს უხეში; „უხეშად“ აქ უადგილოა). პირველი შეტევა სინტაქსურია, მეორე – სტილისტიკური¹.

§5. სტილისტიკის საგნის სხვადასხვაგვარი გაგება

სტილისტიკის საგნის შესახებ მეცნიერებაში არ არსებობს ერთიანი თვალსაზრისი. ეს აიხსნება იმით, რომ ენათმეცნიერების ეს დარგი შედარებით ახალა და მისი საგანი მალე დაზუსტებული არ არის.

მ. ბ ა ლ ი ს აზრით, სტილისტიკის შესწავლის საგანია ენობრივი ელემენტების ემოციური ექსპრესია და ენობრივი ფაქტების ზემოქმედება, რაც ხელს უწყობს ამა თუ იმ ენის გამოშსახველობითი საშუალებების სისტემის ფორმირებას².

ბ. კ ა ს ა რ ტ ს ი ს განმარტებით, სტილისტიკის მიზანია ანალიზი და შეფასება ელემენტებისა, რომლებიც მეტყველებაში თან ახლავს ლოკუტრად ნეიტრალურ, წმინდა ინტელექტუალურ ცნობას. ასეთ ელემენტებად ავტორს მიაჩნია გამოშსახველობითი და შეფასებითი, მისი ტერმინით – არაკონცეპტუალური (ე.ი. ცნების ლოკუტური შინაარსის არგამომხატველი) საშუალებანი³.

ზოგი სტილისტიკის საგნად თვლის ვარკვეული ეპოქის ენის ლინკვიარი სტილების სახეებსა და მათში დამკვიდრებულ ნორმებს (მაგ., ვ. მურატე)⁴; მსგავსი მოსაზრებისაა ა. ე ფ ი მ ვ ი, რომელიც წერს: „სტილისტიკის პირველხარისხოვან ამოცანათა რიცხვს განეკუთვნება რუსული მეტყველების სტილების შესწავლა მათს მრავალფეროვნებასა და ისტორიულ განვითარებაში“⁵; ზოგი კი, როგორც ჟ. რ მ ზ ე ე ტ ა ლ ი აღნიშნავს, აერთიანებს სტილისტიკის ორივე ამოცანას: ენობრივი სტილების შესწავლისა და ენის გამოშსახველობითი სა-

1 არნ. ჩიქობავა – ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 289-291

2 E. Балли – Французская стилистика, М., 1951, стр. 17.

3 X. Касарос – Введение в современную лексикографию, М., 1958, стр. 116, 119.

4 В. Л. Мурат – Об основных проблемах стилистики, М., 1957, стр. 25.

5 А. Н. Зильов – Стилистика русского языка, М., 1965, стр. 11.

შეაღებების საკითხს (მაგ., ი. გალპერინი)¹. (Очерки по стилист. англ. яз., М., 1958 г., стр.7).

სტილისტიკის საგნის გაგება უფრო გარკვევით მოცემული აქვს ა. გ. ვ. დ. ვ. ს. მისი აზრით, „სტილისტიკა განიხილავს ენაში არსებულ ნორმებთან შესაბამის საშუალებებს იმ ამოცანებისათვის, რომლებიც დგას ურთიერთობის მონაწილეთა წინაშე. იგი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს იმის შეცნობას, თუ როგორ შეიძლება ენაში მოცემულ საშუალებათა უკეთესად გამოყენება, განიხილავს ენობრივ მოვლენებს მნიშვნელობისა და ექსპრესიის მხრივ, ასევე შეფასებას, თუ რამდენად გამოსადეგია ისინი იმისათვის, რომ უფრო ზუსტად, ცხადად და ნათლად გამოხატოს აზრი“².

განსაკუთრებით საყურადღებოა 1954 წელს ჟურნალ „Вопросы языкознания“ -ში გამართული დისკუსია სტილისტიკის საგანსა და სხვა აქტუალურ საკითხებზე.

როგორც ვ. ე. ი. ნ. გ. რ. ა. დ. კ. ვ. ი. წერდა, თუმცა ამ დისკუსიამ ცერ მოგვცა სტილისტიკის ერთიანი გაგება და გარკვეული დასკვნები, მაგრამ გამოითქვა მრავალი ახალი მოსაზრება, დაისახა ახალი ამოცანები და გზები სტილისტიკის საკითხების გადასაჭრელად.

ვ. ე. ი. ნ. გ. რ. ა. დ. კ. ვ. ი. წერდა, თუმცა ამ დისკუსიამ ცერ მოგვცა სტილისტიკის ერთიანი გაგება და გარკვეული დასკვნები, მაგრამ გამოითქვა მრავალი ახალი მოსაზრება, დაისახა ახალი ამოცანები და გზები სტილისტიკის საკითხების გადასაჭრელად.

ამგვარად, სტილისტიკის საგნის გაგება სხვადასხვა ავტორთან შეტად თუ ნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ მათ შორის საერთო ის არის, რომ სტილისტიკის შესწავლის ობიექტად ძირითადად აღიარებულია განსაკუთრებული ენობრივი საშუალებანი და მათი გამოყენება სხვადასხვა შინაარსის გამომცემისას.

ა. რ. ა. რ. ს. ე. ბ. მ. ს. ე. რ. თ. ი. ა. ზ. რ. ი. ს. ტ. ი. ლ. ი. ს. - ტ. ი. კ. ი. ს. ს. ა. ხ. ე. ე. ბ. ი. ს. შ. ე. ს. ა. ხ. ე. ბ. ი. ს. ვ. ბაღის გაგებით, სტილისტიკის სახეობაა: 1. ზოგადი სტილისტიკა, რომელიც იხილავს საერთოდ ენობრივი ურთიერთობის სტილისტიკურ პრობლემებს (ე.ი. საკითხებს, რომლებიც ახასიათებს ყველა ენას ან ენების გარკვეულ ჯგუფს, მაგალითად: სალიტერატურო ენის სახეებს ლიტერატურული ენობრივის მიხედვით, აზრის უკეთ გამოხატვის საერთო ენობრივ საშუალებებს, სტილის რაობას და სხვ.), 2. კერძო სტილისტიკა, რომელიც სწავლობს კონკრეტული, ერთნაირი ენის სტილისტიკის საკითხებს და 3. ინდი-

1. უფრო ვრცლად იხ. Д. Э. Розенталь - Практическая стилистика русского языка, М., 1968, стр. 7-10.
2. А. Н. Гвоздев - Очерки по стилистике русского языка, М., 1959, стр. II.
3. В. В. Виноградов - Итоги обсуждения вопросов стилистики. В. "Вопросы языкознания", 1955, стр. 87.

გიდუალური სტილისტიკა, რომელიც ეხება ცალკეული პიროვნების მეტყველების ექსპრესიულ თავისებურებებს¹.

გ. ვინოგრადოვის მიხედვით, სტილისტიკა არის სამი სახისა: 1. ენის სტილისტიკა, ანუ სტრუქტურული სტილისტიკა, რომელიც იხილავს ე.წ. ფუნქციურ სტილებს (სასაუბროს, სამეცნიერო პუბლიცისტურს, ოფიციალურ-კანცელარულსა და სხვ.), მათი გამოხატვის სპეციფიკური ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) საშუალებების გამოყენებას კონკრეტულ საგანთან ან ვითარებასთან დაუკავშირებლად, რაც გულისხმობს ენობრივი საშუალებების შერჩევას; 2. მეტყველების სტილისტიკა, რომლის საგანია სხვადასხვა ენარის სემანტიკური და ექსპრესიულ-სტილისტიკური ხასიათის მეტყველების სახეები (დისკუსია, ლექცია, კონსულტაცია, პრესკონფერენცია, მოხსენება, საუბარი და ა.შ.), ასევე სტატია, რევენზია, მისასალმებელი ადრესი...), ე.ი. ენობრივ საშუალებათა შერჩევა კონკრეტულ საგანთან ან ვითარებასთან, მოქმედების სხვადასხვა სფეროსა და სიტუაციასთან, ასევე გადაცემის ფორმებთან (ზეპირი და წერილი მეტყველების სახეებთან) დაკავშირებით; 3. მხატვრული ლიტერატურის სტილისტიკა, რომლის კვლევის საგანია ლიტერატურული ნაწარმოების სტილის, მწერლის სტილის, ლიტერატურული მიმართულების სტილის ელემენტები².

ა. ჩიქობავა გამოყოფს სტილისტიკის ორ ძირითად სახეს: პოეტიკურსა და ენათმეცნიერულს³. მისი განმარტებით:

„პოეტიკური სტილისტიკა შეისწავლის მხატვრული ნაწარმოების ენას, როგორც მხატვრული შინაარსის გამოვლინების საშუალებას; მისი საგანია პოეტური ენის ექსპრესიული ფუნქცია.“

სტილისტიკა ენათმეცნიერული ვაგებით განიხილავს არაპოეტურ მეტყველებას, ყოველდღიურ სასაუბრო თუ მეცნიერულ ნაწარმოებთან ენას, რამდენადაც ეს ენა სათანადო შინაარსის გამოხატულების საშუალებაა“⁴.

ავტორი აქვე აღნიშნავს, რომ გამომხატველობით საშუალებანი არ არის უცხო ენათმეცნიერული სტილისტიკისთვის.

„გარდა ამისა ენათმეცნიერულმა სტილისტიკამ უნდა მოგვცეს ამა თუ იმ ენის დახასიათება იმ შესაძლებლობათა მიხედვით, რომლებიც მას გააჩნია, როგორც გამომხატველობით საშუალებას. მოკლედ, ამა თუ იმ ენის ექსპრესიული შესაძლებლობა საგანია სტილისტიკისა, როგორც ენათმეცნიერული დარკისა“⁵.

1 И.В.Валик - Французская стилистика, М., 1961, стр.17.

2 В.В.Виноградов - Стилистика. Теория поэтического речи. Логика, М., 1963, стр. 5-93.

3 არნ. ჩიქობავა - ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 313.

4 იქვე.

5 იქვე.

ამრიგად, სტილისტიკა უნდა წარმოვიდგინოთ ისეთ დარგად, რომელიც შეისწავლის როგორც ენათმეცნიერული, ისე პოეტიკური სტილისტიკის საკითხებს, ობიექტურ და სუბიექტურ ენობრივ საშუალებებს.

სტილისტიკის ასეთ ერთიანობას სამართლიანად აღიარებენ აგრეთვე ა. ე ფ რ ე მ ო ვ ი და ა. ე ფ ი მ ო ვ ი¹.

მაშასადამე, სტილისტიკა არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს სტილის რაობას, სახეებს, ენობრივ გამომსახველობის საშუალებებსა და მათ სწორად შერჩევა-გამოყენებას აზრისა და გრძნობის ზუსტად, ემოციურად და ექსპრესიულად გამოსახატავად ანუ თუ იმ კონკრეტულ ვითარებასთან დაკავშირებით, სახელდობრ იმას, თუ რამდენად შესაფერია გარკვეულ მიზანთან, საგანთან, მოვლენასთან, სფეროსა და სიტუაციასთან დაკავშირებით ესა თუ ის სიტყვა, მისი ფორმა, სიტყვათა წყობა წინადადებაში ან კიდევ წინადადების სტრუქტურა და ინტონაცია.

გამომსახველობით ენობრივი საშუალებანია: ლ ე ქ ს ი კ ა (სრულმნიშვნელოვანი და დამხმარე სიტყვები), გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი ფ ო რ მ ე ბ ი (უმთავრესად საწარმოქმნო აფიქსები), ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ი კ ო ნ ს ტ რ უ ქ ე ი ე ბ ი (სიტყვათა წყობა ანუ განლაგება წინადადებაში, წინადადების სახეები შინაარს-ინტონაციის მიხედვით, წინადადების აგებულება ანუ სტრუქტურა), ზეპირი მეტყველების დროს კ ი ნ ტ ო ნ ა ც ი ა (მახვილი, პაუზა, ტემპი, ტემპრი, რიტმი, მელოდია...), მ ი მ ი კ ა და ტ ე ს ტ ი.

§6. სტილისტიკის შესწავლის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ✓

სტილისტიკას, ანუ მოძღვრებას ენობრივი სტილის, ლექსიკურ-გრამატიკული სინონიმისა და ემოციურ-ექსპრესიულ შესაძლებლობათა შესახებ, ადამიანის განეთარებისთვის აქვს როგორც თ ე ო რ ი უ ლ ი, ისე ა რ ა მ ტ ი კ უ ლ ი მნიშვნელობა. უპირველეს ყოვლისა, სტილისტიკის შესწავლით შევიცნობთ სტილის რაობას, მის სახეებსა და ამ სახეების განმასხვავებელ ნიშნებს, საერთოდ, ენობრივ საშუალებათა სისტემას, რომლის საფუძვლიანად ცოდნასა და მიზანშეწონილად გამოყენებაზე არის დამოკიდებული ზეპირი და წერილი

1 А.Ф.Еромов — О стилистическом изгилизме. Журн. "Вопросы языкознания", № 6, 1954, стр.53. А.Н.Будимов — Стилистика художественной речи, и., 1961, стр.54.

მეტყველების სიტხადე, სიღამაზე და მაღალი კულტურა.

სტილისტიკა იძლევა თ ე ო რ ი უ ლ ც ო დ ნ ა ს ისეთი სა-
კითხების შესახებ, როგორცაა: რა არის სტილი თანამედროვე გაგე-
ბით, ენათმეცნიერების რა დარგებთან აქვს კავშირი, რამდენი სახი-
საა და რა პრინციპი უღვეს საფუძვლად სტილის კლასიფიკაციას, რა
ძირითადი ენობრივი მონაცემები განასხვავებენ ერთ სტილს მეორისა-
გან, რა დანიშნულება აქვს სიტყვათა შერჩევას სემანტიკისა და ფრ-
კმის მიხედვით მეტყველებისთვის, რა მნიშვნელობა აქვს ბუნებრივი
ექიმების დაცვას მშობლური ენისთვის და სხვ.

ამრიგად, სტილისტიკა აღამიანს აძლევს თეორიულ ცოდნას რიგი
მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, უვითარებს ესპერიკურ დამოკი-
დებულებას მეტყველებისადმი და პასუხისმგებლობას ენის სიწმინდის
დაცვისა და კულტურის ამაღლების მიმართ.

მეორე მხრივ, სტილისტიკის შესწავლას აქვს დიდი პრაქტიკული
მნიშვნელობა. ამის შესახებ ა. გეოზღევი წერს: „სტილისტიკას აქვს
გამოყენებითი მნიშვნელობა: გვასწავლის ენობრივ ოსტატობას, გვი-
მუშავებს შეგნებულ დამოკიდებულებას ენისადმი, უმთავრესად აანა-
ღიზებს მნიშვნელობის სხვადასხვა ელფერს მათი გამოყენების თვალ-
საზრისით, გვეხმარება მნიშვნელობის მხრივ ერთმანეთთან ახლოდელი
ენობრივი ხერხების შერჩევაში, რომლებიც ერთნაირი მნიშვნელობისა
კი არ არის, არამედ განსხვავებულია ამა თუ იმ ელფერით და ზოგჯერ
ძნელად მისახვედრია. ასეთი შერჩევა უმთავრესად ოსტატობის სა-
ქმეა“¹. ამ მიზანს ემსახურება პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ს ტ ი -
ლ ი ს ტ ი კ ა. ენის აზრობრივგარამტიკული სისწორე, სიზუსტე,
სიმახვილე, ხატოვანება, სიღამაზე და სიწმინდე პრაქტიკული სტი-
ლისტიკის მთავარი საკითხებია. სწორედ პრაქტიკული სტილისტიკა
გვასწავლის, ესა და რა შემთხვევაში არის უფრო მიზანშეწონილი ამა
თუ იმ ენობრივი საშუალების გამოყენება, რომ იგი ზუსტად შეესაბა-
მებოდეს გადასაცემი შინაარსს ანუ საექიმელს, და სინონიმური ხასიათ-
ის რამდენიმე შესაძლებლობიდან რომელი შერჩერეს აზრის უფრო ნათლად
და გასაგებად გამოსახატავად.

თუ გამოყენებული ენობრივი საშუალება არ შეესაბამება გადასა-
ცემი შინაარსს - ეს სტილისტიკური შეცდომაა: ა. ჩიქობავა წერს:
„...სტილისტიკური მინიმუმის დარღვევა იმაში მდგომარეობს, რომ
გადმოსაცემი შინაარსის თვალსაზრისით, მნიშვნელობის მიხედვით,
გამოთქმაში ნახმარი სიტყვები ერთმანეთს არ შეეფერება“². ამ ტი-

1 А.И.Гвоздев — Очерки по стилистике русского языка, М., 1955, стр. 11.
2 არნ. ჩიქობავა — ენათმეცნიერების შესავალი, თბ. 1952, გვ. 314.

პის შედეგების გასწორება ისეთივე ღირი მნიშვნელობის საქმეა, როგორცაა, მაგალითად, ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური შედეგებისა.

ამრიგად, სტილიტიკის საფუძვლიანად შესწავლა მნიშვნელოვნად დაეხმარება მოსწავლეს ახალგაზრდობას როგორც ლინგვისტიკური ცოდნის გაღრმავებაში, ისე აზრისა და გრძნობის ზუსტად და ნაძლად გადმოცემის ჩვევათა გამოიმუშავებაში, მხატვრული მტკიცებულების დაუფლებასა და ენის სიწმინდის დაცვაში.

§7. სტილიტიკა და ენის კულტურა

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ენის კულტურისთვის ზრუნვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. შეუძლებელია აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეში, დაუწულო ცოდნას, განავითაროს შეცნიერება, ტექნიკა, ხელოვნება და ატყარდო მაღალკვალიფიციური კადრები ლახეველი, ნორმირებული სალიტერატურო ენის გარეშე.

ენის კულტურა უარყოფენებაა. პრაქტიკული გაგებით, იგი ნიშნავს თავისუფლად ფლობდე მშობლიური ენის ყველა შესაძლებლობას, ე.ი. ზეპირ და წერით მტკიცებებაში იცადდე სალიტერატურო ენის ნორმებს ფონეტიკური, ლექსიკური, ცრახოლოგიური, გრამატიკული და ლოგიკურ-სტილიტიკური დედსაზრისით. ენის კულტურის საფუძვლია წიგნიერების მაღალი დონე, რომელსაც უპირველესად ხელს უწყობს ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის ცოდნა.

ენის მაღალი კულტურისთვის არ კმარა, რომ მტკიცებების ძირითადი აზრობრიკ-ენობრივი ერთეული - წინადადება - მხოლოდ გრამატიკულად იყოს სწორი და არ იყოს გამართული სტილიტიკურად ან, პირიქით. ორთოგრაფია და სტილიტიკა ენის სისწორის სხვადასხვა მხარე, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებული მოვლენებია, ე.ი. სალიტერატურო ენის ნორმების დაცვისა და ენობრივ საშუალებათა შერჩევით გამოყენების საკითხები ერთმანეთთან მკიდრად არის დაკავშირებული. ისინი ემსახურებიან ერთსავე მიზანს - ხ ე დ ი მ ე უ წ ყ ო ნ ა ზ რ ე ბ ი ს ა და გ რ ძ ნ ო ბ ე ბ ი ს ს წ ო რ ა დ, ზ უ ს ტ ა დ და გ ა ს ა გ ე ბ ა ლ გ ა დ მ ო ც ე მ ი ს რ ე ვ ე ა თ ა ვ ა მ ო მ უ მ ა ე ვ ბ ა ს, ს ა ე რ თ ო დ, ე ნ ი ს კ უ ლ ტ უ რ ი ს ა მ ა დ ლ ე ზ ა ს.

ამრიგად, ზეპირი და წერითი მტკიცებულების სისწორე, სიზუსტე, ლოგიკურობა, სიწმინდე და გამომსახიერება არის მთავარი საკითხები,

რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული ენის კულტურის ამაღლების ამოცანასთან.

§8. სტილისტიკის კავშირი ენათმეცნიერების სხვა დარგებთან

სტილისტიკა მჭიდრო კავშირშია ენათმეცნიერების ისეთ დარგებთან როგორცაა: ლექსიკოლოგია, სემასიოლოგია, ფონეტიკა და გრამატიკა, რომლებიც ენას სხვადასხვა თვალსაზრისით შეისწავლიან.

1. **ლ ე ქ ს ი კ ო ლ ო გ ი ა** არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ლექსიკას, ლექსიკა კი არის ენაში არსებული სიტყვიერი მარაგი, რომელიც სტილისტიკისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მასალაა. ლექსიკოლოგია მოიცავს სემასიოლოგიის საკითხებსაც.

ს ე მ ა ს ი კ ო ლ ო გ ი ა არის მოძღვრება სიტყვის მნიშვნელობის შესახებ. იგი შეისწავლის სიტყვის მნიშვნელობასა და მის ცვლას, რაც სტილისტიკის თვალსაზრისითაც აქტუალურია, რადგან ამ შემთხვევაშიც საკითხი ეხება სიტყვათა შერჩევას აზრისა და გრძნობის უკეთ გამოსახატავად წინადადებაში.

2. **ფ ო ნ ე ტ ი კ ი ს ს ა გ ა ნ ი ა** ენაში არსებული სამეტყველო ბგერების, მათი წარმოქმნის, აკუსტიკური თვისებებისა და ცვლის შესწავლა. ფონეტიკიდან სტილისტიკას უმთავრესად აინტერესებს მეტყველების კეთილმოვანების ანუ ევფონიის (კეთილმოვანი ბგერების მიხედვით სიტყვების შერჩევა მუსიკალობის თვალსაზრისით) საკითხი, რაც უმთავრესად დაკავშირებულია ზეპირმეტყველებასთან, და ძირითადად პოეზიისთვის არის დამახასიათებელი, სადაც კეთილმოვანება, ჰარმონიულობა, რითმა, რიტმი, ალიტერაცია და, საერთოდ, მუსიკალობა და სიღამაზე აზრისა და ემოციის ძლიერად გამოხატვის ენობრივი საშუალებანია.

3. **გ რ ა მ ა ტ ი კ ა** არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ენის აგებულებას ანუ სტრუქტურას, მის წესებსა და კანონებს სიტყვათა ცვლისა და დაკავშირების თვალსაზრისით. იგი შედგება ორი ნაწილისგან: **მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ი ს ა** და **ს ი ნ ტ ა ქ ს ი ს გ ა ნ**. მორფოლოგია არის გრამატიკის ის ნაწილი, რომელიც სწავლობს სიტყვათა ცვლისა და წარმოების ფორმებს, სინტაქსი კი იხილავს წინადადების სტრუქტურას, სიტყვათა და წინადადებათა დაკავშირების სახეებს. **ს ტ ი ლ ი ს ტ ი კ ა** გრამატიკის იმით უკავშირდება, რომ იგი სწავლობს სიტყვათა გრამატიკული ცვლისა და შეკავშირების

საშუალებათა შერჩევის საკითხებს, სახელდობრ მორფოლოგიასთან ახლოსაა იმით, რომ ვრამატიკული ფორმების სინონიმურ სახელთან შედარევეს კონკრეტული შემთხვევისთვის ყველაზე შესაფერს და აგრეთვე თავიდან აგვაცილებს ფორმათა ერთფეროვნებას. სინტაქსთან კი დაკავშირებულია იმით, რომ არჩევს წინადადების სტრუქტურის, სიტყვათა შეერთებისა და წყობის სახეებს.

4. ს ტ ი ლ ი ს ტ ი კ ა ს კავშირი აქვს სალიტერატურო ენის ისტორია გვიადვილებს სტილისტიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების საფუძვრების ვარკვევას, ამა თუ იმ პერიოდის ენობრივი სტილის ნიშნების შედარების შესწავლას.

5. ს ტ ი ლ ი ს ტ ი კ ა დაკავშირებულია არაენათმეცნიერულ დარგებთანაც, როგორცაა, მაგალითად: პოეტიკა, ლოგიკა, ეთიკა, ესთეტიკა, ფსიქოლოგია, მას კავშირი აქვს ლიტერატურის თეორიასთანაც, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია პოეტური მეტყველება, რაც გულისხმობს მხატვრულ ენობრივ საშუალებათა მართებულ გამოყენებას. ამის გამო მეცნიერთა ერთი ნაწილი სამართლიანად გამოთქვამს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ პოეტური ენის საკითხებს უნდა სწავლობდეს სტილისტიკა და არა ლიტერატურის თეორია.

ლოგიკას, ეთიკას, ესთეტიკას და ფსიქოლოგიას სტილისტიკა უკავშირდება იმით, რომ მეტყველების დროს სიტყვებისა და გამოთქმების შერჩევას ყურადღება ექცევა არა მარტო აზრის სიზუსტეს, არამედ ზრდილობა-თავაზიანობის გამოხატვის, გუნება-განწყობილებისა და შთაბეჭდილების ემოციურად გადმოცემისა და სილამაზის-თვალსაზრისითაც.

ჩამოთვლილ დარგთან სტილისტიკის ძირითადი საყრდენი არის დიქსიკოლოგია, სემანტიკა და გრამატიკა, რომელთა თეორიული მონაცემები და მასალა საფუძვლად უდევს ენობრივ საშუალებათა სტილისტიკური დანიშნულებით შერჩევა-გამოყენებას ამა თუ იმ კონკრეტულ ვითარებაში.

§9. სტილისტიკის დარგები

ამჟამად სტილისტიკის დატვირთვა ითვლება:

I. ფუნქციური სტილის რაობასა და სახეებს, რაც სპეციფიკური ენობრივი საშუალებების შერჩევასა და გამოყენებას გულისხმობს, აქ ძირითადად გამოიყოფა სტილის შემდეგი სახეები: ნეიტრალური,

ოფიციალურ-დოკუმენტური, სამეცნიერო, პუბლიცისტური, სასაუბრო, მხატვრული და ორატორული.

2. ლ ე ქ ს ი კ უ რ ი ს ტ ი ლ ი ს ტ ი კ ა, რომლის შესწავლის ძირითადი საგანია სიტყვების შერჩევა მნიშვნელობის თვალსაზრისით. მასში შედის შემდეგი საკითხები: სინონიმები, ომონიმები, ანტონიმები, პარონიმები; სიტყვების შერჩევა აზრობრივი ელფერის, შესაბამისობისა და შეფასების თვალსაზრისით; სიტყვიერი შტამები ანუ შაბლონები; სიტყვების ხმარება პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით; სპეციფიკური ლექსიკის გამოყენება სხვადასხვა სტილის ნიშნად; ბარბარიზმების, დიალექტიზმების, ტარგონიზმების, არქაიზმების უმართებულ ხმარება, ლექსიკურ-სტილისტიკური შეცდომები, მათი ანალიზი და სხვ.

3. გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი (მორფოლოგიური და სინტაქსური) ს ტ ი ლ ი ს ტ ი კ ა სწავლობს სიტყვის ფორმებისა და წინადადებათა კონსტრუქციების შერჩევის საკითხებს, მათ შორის მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი ს ტ ი ლ ი ს ტ ი კ ი ს შესწავლის საგანია ენის მორფოლოგიურ საშუალებათა შერჩევა და გამოყენება, სახედობრ, მერყველების ნაწილთა სინონიმური გრამატიკული ფორმების (ბრუნვის, საწარმოებელი აფქვისის, თხვისის, უღების, დროის, კილოს, ვწყროვისა და სხვ.) შერჩევა. ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ი ს ტ ი ლ ი ს ტ ი კ ა კი გულისხმობს ენის სინტაქსურ საშუალებათა შესწავლას, ე.ი. სიტყვათა შეკავშირების, წლების, წინადადებათა სახეების, ბუნებრივი თქმების, სხვისი ნათქვამის გადმოცემისა და სხვა სინონიმური სინტაქსური კონსტრუქციების შერჩევის საკითხებს.

4. მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი ე ნ ი ს ს ტ ი ლ ი ს ტ ი კ ა, რომლის შესწავლის საგანია გამომსახველობითი ენობრივი საშუალებანი (ეპითეტი, შედარება, ტროპი: მეტაფორა, მეტონიმია, ალეგორია, პიპერობა, ლიტოტესი, ჰერეფრაზა, ირონია და სხვ.), აგრეთვე ენის განსაკუთრებული ლექსიკური რესურსები (ნეოლოგიზმები, არქაიზმები, დიალექტიზმები, ტარგონიზმები, ბარბარიზმები, პროფესიონალიზმები) და მათი შერჩევა. დ ი ა ლ ე ქ ტ ი ზ მ ე ბ ი, ბ ა რ ბ ა რ ი ზ მ ე ბ ი, ტ ა რ გ ო ნ ი ზ მ ე ბ ი სალიტერატურო ენის სიწმინდის თვალსაზრისით მიუღებელია; მაგრამ მხატვრული სტილისთვის (ამა თუ იმ ეუთხის სოციალური წრის ან პერსონაჟის მეტყველების თავისებურების სარევენებლად ან კომიზმის გამოსახატავად) მნიშვნელოვანი ლექსიკური საშუალებანია.

მეორე ნაწილი

ს ტ ი ლ ი

§10. სტილის რაობა და საერთო ნიშნები

სტილის საკითხი დაკავშირებულია სალიტერატურო ენასთან, რომელიც ვითარდება საზოგადოების განვითარებასთან ერთად, იხვეწება და მდიდრდება ახალი სამეტყველო ელემენტებით. სალიტერატურო ენა უნდა იყოს ზუსტი, დახვეწილი, წმინდა, ემოციური, ექსპრესიული და კეთილხმოვანი.

მეტყველების დროს ერთი და იგივე ცნება ან აზრი შეიძლება გადმოიცეს სხვადასხვა ელფერით მხოლოდ სათანადო ენობრივი საშუალებებით, რომელნიც ამა თუ იმ კონკრეტულ ვითარებასთან დაკავშირებით ხმარებისას მეტყველებათი ქმნიან განსასხვავებელ თავისებურებათა ერთობლიობას, რასაც ეწოდება ს ტ ი ლ ი. სხვაგვარად რამ ვთქვათ, სტილი არის თავისებურ ენობრივ საშუალებათა ერთობაობა, რომელიც ერთმანეთისგან განასხვავებს ადამიანთა მეტყველების სხვადასხვა სიტუაციასთან, საგანთან, მოვლენასთან, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგებთან დაკავშირებას. ახეობას ქმნიან განსაკუთრებული დექსია, შერჩეული გრამატიკული ფორმები, სათანადო გამომსახველობით ენობრივი ელემენტები და ამ საშუალებათა გამოყენების თავისებური ხერხები. ზეპირი მეტყველების დროს აღნიშნულ ენობრივ საშუალებებს ემატება ინტონაცია (ზოგჯერ მიმოქა და ექსტრისი).

„ამრიგად, ერთი რიგის საგნების ან მოვლენების დაპირისპირებისას თუ გამოვლინდა რაიმე განსაკუთრებული ნიშანი, შეგვიძლია ვილაპარაკოთ სტილურ ნიშნებზე და დავადასტუროთ სტილის არსებობა“^I.

როგორც ზეპირი, ისე წერილი მეტყველების სტილურ თავისებურებებს განაპირობებს მრავალი ფაქტორი: საუბროს თემა, საგანი, მოვლენა, პირობები, მოქმედების სფერო, სიტუაცია, მოუბროს მიზანი, შეხედულება, ინტერესი, დამოკიდებულება, ხასიათი, გემოვნება, მისწრაფება, განწყობილება, სოციალური მდგომარეობა, პოეზისა, ნაწარმოების ტანრი, ლიტერატურული მიმართულება, მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგი და ა.შ.

ამ საფუძველზე ირენს თავს მეტყველების სტილური სხვაობა, სათანადო ენობრივი საშუალებების შერჩევით გამოყენება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვადასხვა ადამიანის მეტყველებას ან ნა-

I ა. გვენცაძე - სტილისტიკის საკითხები, თბ., 1971, გვ. 6.

წარმოების ენას არაფერი ჰქონდეს საერთო და ყოველი მათგანის სტილი საცნობიო განსხვავებული იყოს ერთმანეთისგან, ამიტომ მათში ყოველთვის შეინიშნება როგორც საერთო, ისე სპეციფიკური ნიშნები.

„სტილი - ეს არის მოვლენა, - წერს მ. კოტინა, - რომელიც შეიძლება გავიგოთ მიზნების, ამოცანების, სიტუაციის, ურთიერთობის სფეროსა და თვით სათქმელის შინაარსის მიხედვით.

ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ საბჭოთა და საზღვარგარეთულ ლიტერატურაში ასეთი დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოცემულ პრობლემას“¹.

სხვადასხვა სტილის საერთო ნიშნები

ყველა სტილისთვის ს ა ე რ თ ო ა არა მარტო გრამატიკული ფორმების სწორად ხმარება, წინადადებათა მართებულად აგება, და მართწერისა და მართმეტყველების ყველა ნორმატიული წესის ზუსტად დაცვა, არამედ ა ზ რ ი ს გ ა მ ო ხ ა ტ ე ი ს ს ი ს წ ო რ ე ც, ს ი ზ უ ს ტ ე ც, მ კ ა ფ ი ო ბ ა ც, ლ ა კ ო ნ ი უ რ ო ბ ა () და მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ი ს ს ი წ მ ი ნ დ ე ც.

მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა ს წ ო რ ი ა, თუ დაცულია სალიტერატურო ენის ნორმები, თუ წინადადებაში აზრის გამოსახატავად გამოყენებული საჭირო სიტყვები და თვით წინადადებები შინაარსობრივად და გრამატიკულად სწორად არის ერთმანეთთან დაკავშირებული.

მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა ზ უ ს ტ ი ა, თუ აზრის გამოსახატავად წინადადებაში შინაარსობრივად კარვად არის შერჩეული საჭირო სიტყვები, სწორად, გამოყენებული სინონიმები, ფრაზა ზუსტად გადმოსცემს აზრს, წინადადება არ არის ბუნდოვანი, ორაზროვანი ან გაუგებარი.

მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა მ კ ა ფ ი ო ა ნ უ ნ ა თ ე ლ ი ა, როდესაც მოუბარმა კარვად იცის ენა და ამიტომ მის მიერ წარმოთქმულ ან დაწერილ წინადადებას ახასიათებს აზრობრივე-ემოციური სიცხადე, ბუნებრიობა, ზეპირი მეტყველების დროს სიტყვები გარკვევით არის წარმოთქმული, სითანალოდ არის გამოყენებული ინტონაცია, ლაკონური მახვილი, პაუზა, წერის დროს კი - სასვენი ნიშნები. მეტყველების სიცხადეს ენებს უცხო სიტყვების ჭარბად ხმარება და ერთი მეტყველების ნაწილის ნაცვლად სხვა მეტყველების ნაწილის (მაგ. : არსებითი სახელის ნაცვლად ნაცვალსახელის, ზმნის ნაცვლად - სახელზმნისა და სხვ.) ან ერთი ფორმის ნაცვლად სხვა ფორმის გამოყენება.

მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ი ს ლ ა კ ო ნ ი უ რ ო ბ ა ნიშნავს

აზრის გამოხატვას სხარტად, მოკლედ, მკაფიოდ და გასაგებად. შოთა რუსთაველი გვასწავლის: „გრძელი სიტყვა მოკლედ იქმის, შაირია ამაღ კარგი“. ლაკონიურობის არსი შესანიშნავად არის გამოხატული აგრეთვე ცნობილი რუსი პოეტის - ნ. ნეკრასოვის დარიგებაში:

„Правильно следует упорно: чтобы словом было то что - meaning просторно“.

ენის ლაკონიურობის მნიშვნელობას ყურადღება შეაქციეს ჯერ კიდევ ძველი დროის ბერძნებმა და ეს სიტყვაე მათგან მომდინარეობს. ისინი ლაკონიურობას თვლიდნენ ენის სამკაულად. ანტიკური ხანის კომედოგრაფის - არისტოფანეს (446 - 385) სიტყვით: „მოკლე ჭკუის ადამიანს ენა ჩვეულებრივ მებრად გრძელი აქვს“ (კომედია „ბაჰაყე-ბი“). ქართული ანდაზა გვასწავლის: ჭკვიანს ენა მოკლე აქვს, უჭკუოს - გრძელი. ანტონ ჩეხოვის აზრით კი, ლაკონიურობა არის ტალანტის და.

მეტყველების ლაკონიურობის საწინააღმდეგო მიუღწეაა მ რ ა - გ ა ლ ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა, რომელიც ჯულისხმობს აზრთა ბუნდოვნად გადმოცემას ზედმეტი სიტყვების ხმარებით. ასეთი სიტყვები წინა-დადებამში უმთავრესად გვხვდება პლეონაზმების, სიტყვა - პარაზიტების ან ტავტოლოგიების სახით. მრავალსიტყვაობას ხშირად შედეგად მოსდევს აგრეთვე ე.წ. ლუსიტყვაობა (пустословие).

მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა წ მ ი ნ დ ა ა, როდესაც იგი არ შეიცავს სალიტერატურო ენისთვის მიუღებელ სიტყვებს, ჭორმებსა და გამოთქ-მებს, როგორცაა: ბ ა რ ბ ა რ ი ზ მ ე ბ ი, დ ი ა ლ ე ქ ტ ი - ზ მ ე ბ ი (პროვინციულიზმები), ტ ა რ გ ო ნ ი ზ მ ე ბ ი, მ ი უ ლ ე ბ ე ლ ი კ ა ლ კ ე ბ ი, ე.ი. ისეთი ელემენტები, რომლებიც ანაგვიანებენ ენას.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მეტყველებას უნდა ახასიათებდეს ბ უ ნ ე ბ რ ი ო ბ ა. მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი ა, როდესაც შეიცავს ჩვეულებრივ სახმარ სიტყვებსა და გამოთქმებს, არ არის დამძიმებული ხელოვნურად შექმნილი ან არასაჭირო სუბსი-ტყვეებით, ენობრივი შტამებით ანუ შაბლონური თქმებით და სხვ. ბუნებრივი მეტყველება ჯულისხმობს აზრის გამოხატვას ყოველგვარი გა-ზვიადების გარეშე. ეს არის როგორც ზემოთი, ისე წერილი მეტყველე-ბის უბრალოება და ხადუსურობა. გ ა ს ა გ ე ბ ა დ თ ხ რ ო ბ ა და წ ე რ ა თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ი ო ს ტ ა ტ ო ბ ა ც ა ა. ეს უპირველეს ყოვლისა აუცილებელია სახელმძღვანელოებისთვის, პოპულა-რული ხასიათის მცენიერული შრომებისა და საჭმიანი მიმოწერისთვის.

იგი ამშვენებს მხატვრულ ენასაც.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სიტყვათა წყობას. მარჯალია, ქართულში წინადადებაში სიტყვების განლაგება შედარებით თავისუფალია, მაგრამ იგი მაინც სათანადო კანონზომიერებებს ექვემდებარება და მათი გათვალისწინება აუცილებელია.

მეტყველების ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი ნიშნები, როგორც მთლიანობაში მოცემული სისტემა, დამახასიათებელია ყველა სახის სწორი მეტყველებისა და წერისთვის. ამდენად ისინი სტილისტიკის შესწავლის საკითხებიცაა.

§11. სტილის ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები

ყოველი სახის სტილში საერთო ენობრივ საშუალებებთან, პირდაპირი მნიშვნელობით ნახმარ სიტყვებთან, ფორმებთან და წინადადებებთან ერთად შეინიშნება აგრეთვე საგანგებოდ შევსებული ენობრივი შესაძლებლობანი (განსაკუთრებული სიტყვები, ფორმები, წინადადების კონსტრუქციები). ასეთ შემთხვევაში სიტყვასა და ფორმას ახასიათებს კონკრეტული, ე.ი. დამატებითი სემანტიკურ-სტილისტიკური მნიშვნელობა, რომელიც ემატება ძირითად მნიშვნელობას ემოციისა და ექსპრესიის გამოსახატავად. ამით აიხსნება ის, რომ ერთი სტილი მეორისგან განსხვავდება არა სავსებით (მთელი ლექსიკითა და გრამატიკული ფორმებით), არამედ მხოლოდ ნაწილობრივ. რ. ზუბაგოვი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ენობრივი სტილი - ეს არის საერთო სახალხო ენის ნაირსახეობა, შექმნილი ისტორიულად, და ხასიათდება გარკვეული ნიშნების ერთობლიობით, რომელთა ნაწილი თავისებურად, გამორჩევივით, მუდამ სხვა ენობრივ სტილებში, მათი გარკვეული სახით შეწყობა-შეფარდება კი. განასხვავებს ერთ სტილს მეორე სტილისგან¹. სხვა ადგილას ავტორი იმავე აზრს უფრო კონკრეტულად ასე გადმოგვცემს: „განუყოფილი სტილისტიკური საშუალებანი ენაში არ არის ან თითქმის არ არის. ერთი ენობრივი სტილის ნიშნები შეიძლება განმეორდეს სხვა ენობრივ სტილში, მაგრამ განმეორებისას ისინი ჩვეულებრივ ყოველთვის იძენენ სხვა ფუნქციებს²“.

1 Р.А.Будагов - Литературные языки и языковые стили, М., 1957, стр. 68.

2 Р.А.Будагов - К вопросу языковых стилей. Ж. "Вопросы языкознания", 1957, № 3, стр. 61-62.

ამრიგად, სტილის სახეებს შორის სხვაობას უმთავრესად იწვევენ როგორც სათანადო ენობრივი საშუალებანი, ისე მათი თავისებურად გამოყენებაც, რაც დაკავშირებულია, ერთი მხრივ, სწორი სტილის, მეორე მხრივ, უმჯობესი სტილის საკითხებთან.

სუბიექტურ სტილს ობიექტური სტილისგან უმთავრესად განასხვავებენ შემთხვევების მხატვრულ ნაშთს, რასაც ახასიათებს: ემოციურობა, ექსპრესიულობა, ხატოვანება, ინტონაცია, კეთილშობილება ანუ მუსიკალობა.

I. მებრველების ემოციურობა

ემოციურობა შემთხვევებისა, როდესაც საგნის ან მოვლენის ასახვისას გამოყენებულია გრძნობის გამოშხატველი ენობრივი საშუალებანი (ძირითადად სათანადო სიტყვები, ფორმები და ინტონაცია), რომელნიც დამატებით შინაარსობრივი ელფერის მისაცემად ახლავს საექმელს. მებრველების ემოციურობა ადამიანზე ფსიქიკური ზემოქმედების მნიშვნელოვანი საშუალებაა. იგი ამავე დროს არის მხატვრული მებრველების აუცილებელი კომპონენტი, ვინაიდან საჭირო შემთხვევაში წინადადების ასაგებად სიტყვებს გარჩევთ არა მარტო იმის მიხედვით, თუ რას აღნიშნავენ ისინი, არამედ იმის მიხედვითაც, თუ რა გრძნობას გამოხატავენ. მაგრამ ემოციური ლექსი, რომელიც ნიშანდობლივია მხატვრული ენისთვის, დამახასიათებელი არ არის ზრუნობრივი ხასიათის ინფორმაციისთვის, საკანცელარო მიმოწერის ან მეცნიერული შრომების ენისთვის. ამის მიხედვით არჩევენ მებრველების სამ სახეს: 1. ლაგიკურს, 2. ლაგიკურ და ემოციურ ექსპრესიულს და 3. მხოლოდ ემოციურ ექსპრესიულს.

საკითხი ეხება სიტყვის მნიშვნელობის ობიექტურ და სუბიექტურ მხარეებს, რის შესახებაც ა. ჩიკობავა წერს: „სიტყვა რადიკის ნიშანია, ესაა მნიშვნელობის ობიექტური მხარე. მნიშვნელობას სუბიექტური მომენტიც შეიძლება აღმოაჩინდეს ემოციური იერის სახით. სიტყვა „გამოცდა“ სკოლის სინამდვილეში და სიტყვა „ექსკურსია“ განსხვავებულია არა მხოლოდ ობიექტური მომენტის მიხედვით, მათ განსხვავებული ემოციური იერიც ახლავს. „გამოცდა“ უსიამოვნების გრძნობებს იწვევს მაშინაც კი, როცა გამოსაძლედი მას მომზადებული ხედება. სიტყვა „ექსკურსია“, პირიქით, სასიამოვნო განცდებს იწვევს: მიწოდებადების სიღამაზე და მზიურობა მოსავს თითქოს ამ სიტყვას... საათოთ გრძნობებს იწვევენ სიტყვები: „ბავშვი“, „ჩიტ“, „ყვავილი“, მძიმე განცდა ახლავს სიტყვებს: „კუბო“, „სასაფლაო“, „სახარობე-ლა“...“

ამგეარკი განცდები ამ სიტყვებით აღნიშნული ობიექტური ციფრების გამოძახილია. აქ ობიექტური ციფრებაა განსხვავებული¹.

როგორც ვხედავთ, „გრძნობითი იერი სიტყვის მნიშვნელობის შემადგენელი ნაწილია“². ამგვარსიტყვებიანი მიტყვეობა მსმენელში თუ მკითხველში იწვევს სადასა და დღესასწაულებს (სიმპათიას ან ანტიპათიას), დღესასწაულებს (სიამოვნებას, სიწონებას, სიხარულს, აღტაცებას, კმაყოფილებას...) ან უარყოფით გრძნობებს: უსიამოვნებას, მწუხარებას, გაკვირვებას, აღშფოთებას, დაცინვას და სხვ.

ემოცია გამოიხატება როგორც სიტყვებით, ისე მთელი წინადადებებითაც. დღესასწაულებით იმყოფის გამოხატული სიტყვებითა: დედა, საშობლო, პატიოსნება, წესიერება, სიმაართე, სინაღვლე, სიკეთე, მზე, სიხარული, სიღამაზე, მშვენიერება... უარყოფითისა: უსინდისობა, სიურუე, სიბნეღე, სეღედა, სიკეღლი, სიმახინჯე, უზნეობა, ქურდი, ყაჩაღი, საპატიმრო, გეღლი, მორიღი და ა.შ. უარყოფითი ემოციის გამოხატულებით სიტყვებითა უმთავრესად გულგარეზმები: ტუტუცი, მუტუკი, უტინო და სხვ. ემოციის გამომხატველი წინადადებები უმთავრესად არის ძახილისა, ბრძანებითი, კითხვითი ან კითხვითი ძახილის: რა მშვენიერი დღეა! განახარო საშობლო! რას ამბობ! ნუთუ მალე არ ჩამოვა?!

დასახელებულ წინადადებებში ემოციას სიტყვებთან ერთად გამოხატავს ინტონაცია, ხოლო თხრობით წინადადებებში იგი გამოიხატება მხოლოდ სიტყვის საშუალებით. მაგალითად, შდრ.: 1. სარუქარი მისცეს, მასპინძელმა ბრძანა, ფართხალი ჭამა და 2. სარუქარი მიაართეეს, მასპინძელმა ბრძანა, ფართხალი მიიართვა. მაშასადამე, 1. მოუბრის გრძნობითი დამოკიდებულება სათქმელისადმი ძირითადად გამოიხატება შერჩეული სიტყვის მნიშვნელობით.

კეთილი სიტყვა, მშვიდი ინტონაცია მსმენელში იწვევს დადებით ემოციას, უხეში, ავი სიტყვა კი - უარყოფითს. ამ ძეზს გამოხატავენ ქართული ანდაზებიც: „ტკბილი სიტყვით ცხრა მთას იქით ირემი მოწველესა“. „ენა კაცს კიდევ გადაარჩენს, კიდევ მოკლესა“. „ენითა მუწუი სჯობია ავმეტყველ მოუბარსაო“.

2. საგნისადმი მოუბრის დამოკიდებულება გამოიხატება არა მარტო

1 არწ. ჩიქობავა - ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 222.

2 იქვე.

სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობით, არამედ გ რ ა მ ი რ ტ ი კ უ ლ რ ფ ო რ მ ი თ ო ც. მაგალითად, კინოზოთი აფიქსებში ნაწარმოები სიტყვები: დეოკო, შანიკო, გულიკო, სულეო, დაუნია, ჩიტუნია, ციკუნია, გოგონა და სხვ. - ადამიანში აღძრავს დადებით ემოციას, ხალხ სიტყვები: კაცუნა, პებრუტუნა, თავა, კერცა, გლეხუბა და მისა. - უარყოფითი ემოციის გამოწვევა. ამ თვალსაზრისით განსხვავდება აგრეთვე საკუთარ სახელთა ისეთი ფორმები, როგორცაა, დავითი და დავითა; გიორგი და გიორგა, არჩილი და არჩილა და მისა. წინაა ამ განსხვავებებს ერთგვარი სოციალური საფუძველი უქონდა. ამჟამად ფორმები: დავითი, გიორგი ნეიტრალური სტილისაა, ხალხ დათა, დაუნა, დაუნია, დათიკო, გოგო, გიგლა - მოუბრის სიმბათიერ და მოკიდებულებას, მოფერებას გამოხატავენ.

3. ზოგჯერ ამა თუ იმ ემოციის გამოხატველი სიტყვა გ ა - დ ა ტ ა ნ ი თ ი მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ი თ ო ც ი ხ მ ა რ ე ბ ა. მაგალითად, უხეში სიტყვი შეიძლება გამოიხატოს დადებით ემოციას, სასიამოვნო სიტყვიც კი - უხეში მიმართვა. ამ შემთხვევაში დიდ როლს ასრულებს ინტონაცია. მაგალითად, წინადადებაში: უი, რა კარგი ბიჭი ყოფილა ეს მამაძალი! - სიტყვა „მამაძალი“ სააღერსოდ არის გამოყენებული და იწვევს დადებით ემოციას, მაგრამ მამა რამ 25 წლის კაცს მიმართავს: - კიდევ რას ინებებ, ჩემო შვილიკო - ამ წინადადებაში თავაზიანობის გამოხატველი სიტყვიც „ინებებ“ და მოფერებითი სიტყვიც „შვილიკო“ გამოყოფილია დაცივნა, სასიამოვნო სიტყვები საწყენ სიტყვებზე არის გამოყენებული.

2. შტრუქტურების ექსპრესიულობა

სიტყვის ან წინადადების ექსპრესიულობა გამოიხატება დანიშნულებით ისაა, რომ უფრო ძლიერი გაცენა მოახდინოს მსმენელზე, გიფრე ჩვეულებრივად ნახმარმა სიტყვამ ან წინადადებამ, უფრო გააღრმავოს შთაბეჭდილება, მეტი დამაჯერებლობით გამოხატოს აზრი.

შტრუქტურების ექსპრესიულობას უმთავრესად გამოხატავენ სიტყვების განმეორებით, ორმაგი უარყოფით, სიტყვათა ჩვეულებრივი, პირდაპირი წყობის ნაცვლად ინვერსიული რიგის გამოყენების საშუალებით, ინტონაციითა და სხვ. ეს ნაბლად ჩანს შემდეგი წინადადებების შედარებიდან: 1) წაგიღეთ აქედან და წაგიღეთ, წაგიღეთ აქედან! 2) გერ დავესწრები და ვერა, ვერ დავესწრები! 3) ეს კუთვლი ღამაზია და ღამაზია ეს კუთვლი! 4) კარგი სანახარია და ვიშ, რა კარგი სანახარია!

სალიტერატურო ენას მრავალი საშუალება აქვს იმისთვის, რომ ერთი სიტყვა ანდა გამოთქმა საჭიროების შემთხვევაში შეიცვალოს მეორით, რომელიც მნიშვნელობით ახლად პირველთან, მაგრამ განსხვავებულია ემოციური ელფერი. ამით ადვილად ხერხდება როგორც სათქმელის მნიშვნელობის ექსპრესიული განდიდება, ისე დაქვეითება = დაკონცეპტა.

როგორც მ. მიხაილოვი წერს, ემოციურაქსპრესიული ელფერის გამოხატვის თვალსაზრისით ლექსიკური საშუალებები სამი სახისაა: 1. განდიდებული ემოციის გამოხატველი, 2. დაქვეითებული ემოციისა და 3. ნეიტრალური¹. მაგალითად, სიტყვები: გადავიდა, გადამრძანდა, გადაეთრია - სემანტიკურად ერთი სინონიმური წყებისაა, ყველა აღნიშნავს მოძრაობას იქითა მიმართულებით რაიმე დაბრკოლების გადაღახვით, მაგრამ განსხვავებულია ემოციურაქსპრესიული ელფერით.

3. მეტყველების ხატოვანება

ხატოვანობა მეტყველება, რომელიც საგნებსა და მოვლენებს ასახავს ენის გამომსახველობითი საშუალებებით. ეს საშუალებებია: სინონიმები, ომონიმები, ანტონიმები, მეტაფორა, მეტონიმია, ეპითეტი, შედარება, სინეკდოქე, ჰიპერბოლა, ლიტოტესი, ირონია, ეფემერიზმი, ალეგორია; გაპიროვნება, პერიფრაზა, პოეტური ფიგურები; ზრახელოვანიზმები - სიტყვათა მტკიცე შენაერთები, იდიომები, ფრთხილი აქმები, ანდაზები, გამოცანები; მორფოლოგიური ნიშნები, მაგალითად, კნინობითი აფიქსები და სხვ. საერთოდ, დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვის პოლისემიას და გადატანითი შინაარსით ხმარებას. ხატოვანება ახასიათებს მხატვრული ლიტერატურის - პოეზიის, ბელეტრისტიკის, დრამატურგიის, პუბლიცისტიკის და მისთ. ენას. შტრ. მაგალითად:

1) მესმის ხალხთა ბორკილის მტვრევის ხმა - მესმის, მესმის სანატრელი ხალხთა ბორკილის ხმა მტვრევისა!

2) დაღამდა - სამშობლოს ცასა მწვანად გაშლილი მწუხრის ზეწარი გაჯაეფარა.

3) დაუდასტურა - აკერი დაუკრა. შეარცხენინა - თავზე ლაფი ლაასნა. მოატყუა - პირში ჩაღა გამოაეღო: გაამიდრა (გაამედნიერა) ცივ ქვაზე დასახლდა. უკვალად დაიკარგა - ჩაიღურის წყალი დაღია.

4. ინტონაცია

ინტონაცია არის ხმის აწევ-დაწევა, რომელიც ზეპირ-
ში მტყვევების დროს ახლავს სიტყვას, შესიტყვებას ან წინადა-
დებას. ინტონაციით შეიძლება გამოვხატოთ სხვადასხვა აზრი ან
აზრობრივი ელფერი. მაგალითად, სიტყვა „ცეცხლი“, წარმოთქმული
სხვადასხვა ინტონაციით, ავლენს ერთმანეთისგან განსხვავებულ
შინაარსს, სახელდობრ: 1) თხრობითი ინტონაციით წარმოთქმისას გა-
მოხატავს ფაქტს: რა დაინახე? - ცეცხლი (ნიშნავს - დავინახე ცე-
ცხლი). 2. კითხვითი ინტონაციით გადმოცემისას გამოხატავს კითხ-
ვას - ცეცხლი? (პასუხად მოითხოვს დადასტურებას ან უარყოფას).
3) თუ იგივე სიტყვა ბრძანებითი ინტონაციით წარმოვთქვით, წინა-
დადებას ექნება ბრძანებითი შინაარსი - ცეცხლი! (ნიშნავს ისრო-
ლეთ!) 4) ხოლო ძახილის ინტონაციით წარმოთქმული - იქნება გაკვირ-
ვების გამოხატველი: - ცეცხლი! - უცერად წამოიყვირა დაშის დარა-
ჯმა.

საერთოდ, ინტონაციის სტილისტიკური მნიშვნელობა ზეპირ მტ-
ყველებაში იმდენად დიდია, რომ მისი საშუალებით წინადადებაში
შეიძლება გამოვხატოთ არა მარტო სხვადასხვა შინაარსი, არამედ
სხვადასხვა აზრობრივი ელფერი = ე მ ო ც ი უ რ ი
ე ლ ფ ე რ ი ც, სათქმელისადმი შეეფასებოთ დამოკ-
ცნილება (მოწონება, დაწუნება, მოფერება, ზიზღი,
აღშფოთება და სხვ.) ემოციისა და ექსპრესიის გამოსახატავად ინტო-
ნაციის როლი რომ განუსაზღვრელია - ამას ბ. შოუც აღნიშნავს:
„არსებობს არა-ს თქმის ხუთასი სახე და მხოლოდ ერთი სახე მისი
დაწერისა“¹.

ინტონაციის ძირითადი სახეები არის: თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ძახილისა. თხრობითი
ინტონაცია, რომლითაც წარმოითქმის ამბის (ინფორმაციის)
გადმოცემა წინადადება. მას ახასიათებს წინადადების დაწყება
ხმის ამაღლებით და დამთავრება ხმის დადაბლებით.

კითხვითი ინტონაცია, რომლითაც წარმოით-
ქმის კითხვითი წინადადება. მას ახასიათებს ხმის ამაღლება კითხვის
გამომხატველ სიტყვაზე.

ბრძანებითი ინტონაცია, რომლითაც წარ-
მოითქმის ბრძანებითი წინადადება, სადაც ხმის ამაღლებით გამოიყოფ-

¹ ციტირებულია შ. მიხაილოვის წიგნიდან "Стилистика русской ре-
чи", Чебоксары, 1968, стр.58; Б.Шоу - Избранные (русск. по -
ревод), М., 1946, стр.11.

და ბრძანების გამოშვარველი ძირითადი სიტყვა.

მ ა ხ ი ლ ი ს ა ა ი ნ ტ კ ნ ა ც ი ა, რომლითაც წარმო-
თქმის ძახილის წინადადება, სადაც ხმის ამოდებით გამოიყოფა
ბრძანების გამოშვარველი სიტყვა.

ინტონაციას განარჩევენ აგრეთვე წარმოთქმის მახვილის, მე-
ლოდიის, ტემპის, ტემპრის, ტონის, რიტმისა და ხმის ინტენსიურობ-
ის მიხედვით.

მ ა ხ ვ ი ლ ი არის ხმის ამოდება სიტყვაში მარცვლის ან
წინადადებაში სიტყვის (ასევე შესიტყვების) გაძლიერებულად წარ-
მოსათქმელად, სხვა მარცვლებისგან ან სიტყვებისგან გამოსაკლად.

მ ე ლ კ დ ი ა არის ხმის გამოყენება სხვადასხვა სიმაღლის
ბგერათა (ასივთ მარცვალთა) გარკვეული თანამიმდევრობით წარმოთ-
ქმისას.

ტ ე მ ვ ი არის სისწრაფე, მარცვალთა, სიტყვათა, წინადადე-
ბათა წარმოთქმის სიჩქარე დროის ამა თუ იმ მონაკვეთში.

ტ ე მ ბ რ ი არის ბგერის, სიტყვის ან წინადადების წარმოთქ-
მის ელფერი, რომელიც განასხვავებს ერთნაირი სიმაღლის ტონებს.

რ ი ტ მ ი არის მარცვალთა წარმოთქმის პერიოდული მონაცვლე-
ობა.

ტ კ ნ ი არის ბგერის პერიოდული სიხშირით წარმოთქმა, სიტ-
ყვის ან წინადადების წარმოთქმის ესა თუ ის იერი ანუ კილო.

ი ნ ტ ე ნ ს ი უ რ კ ბ ა არის მეტყველების დროს სიტყვის
ან წინადადების გაძლიერებული ხმით წარმოთქმა.

ინტონაციასთან დაკავშირებით აღსანიშნავია აგრეთვე პ ა -
უ ზ ა, რომელიც ნიშნავს ხანმოკლე შეჩერებას (შეყოვნებას) მეტ-
ყველებას დროს აზრობრივ-ენობრივი ერთეულების ერთმანეთისგან გა-
მოსაკლად ან გამოტოვებული სათქმელის ვისანიშნებლად.

ინტონაცია ამასთან არის დ ა ს რ უ ლ ე ბ უ ლ ი, დ ა უ ს -
რ უ ლ ე ბ ე ლ ი, რ ა მ მ თ ე ლ ი თ ი, დ ა პ ი რ ი ს პ ი -
რ ე ბ ი თ ი, მ ი მ ა რ თ ე ი თ ი და სხვ.

ლაპარაკის პროცესში ინტონაციას შეიძლება ახლდეს მ ი მ ი -
ც ა ლ ა ე ე ს ტ ი. სახის გამომეტყველებით, თვალწინა აღვიდავ
შეიძლება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შთაბეჭდილების მოხდენა
მსმენელზე. სასიამოვნო ან არასასიამოვნო განცდის გაზიარება, სი-
მპაათის ან ანტიპაათის გამოხატვა, თანაგრძობის ან სიძულვილის,
დაშვირების, დატინვის აღნიშვნა და სხვ.

5. შერყველების კეთილმოვანება

ყოველ ენას ახასიათებს თავისებური კეთილმოვანება და სიღამაზე, რაც ესთეტიკურ გავლენას ახდენს ადამიანზე. შერყველების კეთილმოვანებასა და სიღამაზეს ქმნის ენობრივ საშუალებათა ხსტატურად გამოყენება, საამოღ უღერადი სიტყვების შერჩევა, მარცვალად დიალექტა, ნარნარა ბგერები, მკლერთა სიმრავლე, ხმოვნებისა და თანხმოვნების თანაფარდობა სიტყვებში, ალტერაცია, შოკლე და გრძელი სიტყვებისა და ფრაზების მონაცვლეობა, შერყველების სასიამოვნო ტემპრი და მელდორობა, მახვილის, პაუზის, ტონისა და ტემპის ზომიერება.

შერყველება არ არის კეთილმოვანი, როდესაც სიტყვებში არის თანხმოვნების ან ერთნაირი მარცვლების თემყოფრა, ასევე ტრაზაში გეაქეს ერთნაირი ძირის სიტყვების განმეორება, სისინა და შიმინა ბგერების შემდეგი სიტყვების სიზარბე და სხვ.

§12 სტილის კლასიფიკაცია

სტილის კლასიფიკაციის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. უპირველეს ყოვლისა იმის მიხედვით, შერყველება ზეპირია თუ წერილობითი, არჩევენ ფუნქციური სტილის ორ სახეს - ს ა ს ა უ ბ რ ო ს ა და წ ი გ ნ უ რ ს.

შერყველების ს ა ს ა უ ბ რ ო ს ტ ი ლ ი არის ზეპირი ურთიერთობისა და ინფორმაციის ენობრივი ყორმა. იგი შედარებით უბრალოა, ლაკონიური, ნათელი, ამასთან ემოციურა და ექსპრესიულიც. ზეპირი, ცოცხალი შერყველების ანუ საუბრის ფორმებია დიალოგი (კითხვა-პასუხი) და გამმული თხრობა, რომელთა ალქმა ხდება სმენის საშუალებით. საუბრის დროს აზრისა და გრძნობის გამოსახატავად განსაკლტრებულ ენობრივ საშუალებათა შერჩევასთან ერთად იყენებენ ინტონაციას, მიმიკასა და ექსტს, რაც ეხმარება მოუბარს თანამოსაუბრისთვის თეცისი სათქმელის გაგებინებაში.

სასაუბრო შერყველებას უპირისპირდება წ ე რ ი თ ი მ ე - ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა, რომლის საფუძველზეა ჩამოყალიბებული ე.წ. წ ი გ ნ უ რ ო ს ტ ი ლ ი. წერილი შერყველება ზეპირისაგან იმით განსხვავდება, რომ ინფორმაციას გამოსატრავს გრაფიკულად და მისი ალქმა ხდება მხედველობის საშუალებით. გარდა ამისა, წერილი შერყველება ექვემდებარება შუკიცე ენობრივ ნორმებს, რომელთა დაცვა ერთნაირაა: მოუთხოვება ყველას, ეცისაც უხდება აზრის გამოსატრავა წერილობით. გადმოცემის დრომის მიხედვით იგი მონოლოგურია (დიალოგი

იხმარება მხოლოდ მხატვრულ ნაწარმოებში), დაწერილის სწორად წარ-
მოსათქმელად საჭირო ინტონაციაზე მიუთითებენ როგორც სიტყვათა
მნიშვნელობანი, ისე დამხმარე სიტყვები, სიტყვათა წყობა და სა-
სცენო ნიშნები. წიგნური მეტყველება იხმარება ადამიანთა ურთიერ-
თობისა და საქმიანობის მრავალ სფეროში, იგი უნდა იყოს დახვეწილი
ენობრივად გამართული და ადვილად გასაგები.

სტილის უანობრივი კლასიფიკაცია ჩვენში მომდინარეობს მ.
ლომონოსოვის მოღვაწეობის დროიდან (მ. ლომონოსოვი ერთმანეთისგან
არჩევდა, ერთი მხრივ, პოეზიისა და მხატვრული პროზის, მეორე
მხრივ, დრამის, მესამე მხრივ, კომედიისა და ეპისტოლური ხასია-
თის ანუ მიმოწერის ენას).

ვ. ცინოგრაფოვის აზრით, სტილის სახეებია: საყოველღეო ურთ-
საყოფაცხოვრებო (საურთიერთო ფუნქცია), საყოველღეო საქმის,
ოფიციალურად-კუმენტური და სამეცნიერო (ცნობის გადაცემის ფუნ-
ქცია), პუბლიცისტური და მხატვრულ-ბელეტრისტული (ზემოქმედების
ფუნქცია)¹. მისი გაგებით, ენის საზოგადოებრივი ფუნქციის სამი
სახიდან (ურთიერთობა, ცნობა, ზემოქმედება) ე ნ ო ბ რ ი გ ი
უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა ელინდება ადამიანთა ყოველდღიურ მოქმედ-
ებაში, ც ნ ო ბ ი ს ფ უ ნ ქ ე ი ა - ლოკურად დაკავშირებულ
ინფორმაციების გადაცემაში, ზ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ფ უ ნ -
ქ ე ი ა კი - ენობრივ საშუალებათა გამოყენებაში მსმენელის ან
მკითხველის შეგნებაზე, გრძნობასა და ნებასურვილზე გაეღწის,
მოსახდენად.

ენობრივი სტილის სახეების დაჯგუფება ფუნქციის ფაქტორის
სტილისტიკის განვითარების თანამედროვე საფეხურზე მნიშვნელოვანი
შენაძენია. ვ. ცინოგრაფოვის მიერ გამოყოფილი სამი ფუნქცია: ურთი-
ერთობის, ცნობებისა და ზემოქმედების (общение, сообщение, воз-
действие - უფრო ნათლად გამოხატავს სტილის სახეებს, ვიდრე
სხვების მიერ მოტყუილი უანობრივი კლასიფიკაცია.

ა. გეოზდოვის მიხედვით სტილის სახეებია: საქმის ქაღალდების,
მხატვრულ ლიტერატურის, პუბლიცისტური, მეცნიერულ-პოპულარული
(როგორც წიგნური მეტყველების სტილის სახეები) და სასაუბრო (რო-
გორც საყოფაცხოვრებო მეტყველების სტილი)².

ა. ეფიმოვის გაგებით, სტილის სახეებია: მხატვრულ-ბელეტრის-
ტული (პოეზიისა და პროზის), საზოგადოებრივ-პუბლიცისტური, მეცნი-

1 В.В.Виноградов - Стилистика. Теория поэтической речи. Поэ-
тика, М., 1963, стр.6.

2 А.И.Гвоздев - Очерки по стилистике русского языка, М., 1955,
стр.24.

ერული თხრობის, საწარმოო-ტექნიკური, ოფიციალურ-დოკუმენტური და ეპისტოლური¹.

რ. ბუდაგოვი გამოყოფს სტილის შემდეგ სახეებს: ზეპირსა და წერილს, სამეცნიეროსა და მხატვრულს².

გ. შურატის თვალსაზრისით, სტილის სახეებია: 1. სასაუბრო-ლიტერატურული, 2. პოეტური, 3. საგაზეთო-პოლიტიკური, 4. ოფიციალური, საქმიანი მიმოწერის, 5. სამეცნიერო, 6. პროფესიულ-ტექნიკური და 7. მდაბიურ-ფამილარული³.

გარდა ამისა, ცნობილი ენობრივი სტილის რამდენიმე სხვა სახის კლასიფიკაციაც. მაგალითად, ზოგს სტილის სახეებად მიაჩნია საზოგადოების სხვადასხვა ფენის - გლეხობის, ვაჭართა წირის, თავად-აზნაურების მეტყველების თავისებურებანი, ზოგს - სხვადასხვა პროფესიული ჯგუფის: აგრონომების, ექიმების, ინჟინრების, ღურგლების, ზენიკლებისა და მისთ. - მეტყველება, ზოგს კიდევ - მეცნიერების დარგების: ქიმიის, ფიზიკის, მათემატიკის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიისა და სხვა საგნების ენა.

სტილის სახეებს არჩევენ პიროვნების (ქალის, კაცის, პატარის, დიდის, უსწავლელის, ნასწავლის და სხვ.) მეტყველების ინდივიდუალური მანერების მიხედვითაც, რადგანაც ერთი ადამიანის ზეპირი მეტყველების ან წერის სტილი შეიძლება საგრძნობლად განსხვავდებოდეს მეორე ადამიანის ენისგან. სტილს განასხვავებენ აგრეთვე არა მარტო იმის მიხედვით, თუ ვინ ლაპარაკობს, არამედ იმის მიხედვითაც, თუ ვის ელაპარაკებიან (მასწავლებელი - მოსწავლეს, ექიმი - პაციენტს, მასპინძელი - სტუმარს, დედა - ბავშვს, მოსამართლე - დამნაშავეს და ა.შ.); მას განასხვავებენ ენის განვითარების საფეხურების მიხედვითაც (ძველი, საშუალო, ახალი); იტყვიან - ეს ძველი სტილი არის დაწერილი, ეს კი - ახლითაო, მაგრამ ამ თვალსაზრისით სტილი იმდენად მრავალფეროვანია, რომ მათ შორის ზღვარის ზუსტად გავლება შეუძლებელია.

ამთამად ყველაზე მისაღებად მიჩნეულია სტილის შემდეგი კლასიფიკაცია: 1. ს ა ს ა ვ ბ რ ო, 2. ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ე ო კ ე - მ ე ნ ტ უ რ ი, 3. ს ა მ ე ტ ნ ი ე რ ო, 4. პ ვ ზ ლ ი ვ ი ს - ტ უ რ ი, 5. მ ხ ა ტ ე რ უ ლ ი და 6. ო რ ა ტ ო რ უ ლ ი. დაშატებით გამოიყოფა ე.წ. ნ ე ი ტ რ ა ლ უ რ ი ს ტ ი ლ ი, რომლის

1 А.И.Ермолов - Стилистика русск.яз., М., 1969, стр.14-20.

2 Р.А.Будягов - Введение в науку о языке, М., 1958, стр.396,411.

3 В.П.Шурат - Об основных проблемах стилистики, М., 1957, стр.

ენობრივი საშუალებანი არ არის სტილური ხასიათისა და საერთო ყველა სახის სტილისთვის.

სტილის კლასიფიკაციის საფუძველია განმასხვავებელი ენობრივი ელემენტები, რომლებიც მეტყველების დროს იხმარება: როგორც პირდაპირი, ისე გადატანით მნიშვნელობით. პირდაპირი მნიშვნელობის ენობრივ საშუალებათა დანიშნულებაა აზრის გადმოცემა ლოგიკური სიზუსტითა და სიყბადით, ხოლო გადატანითი მნიშვნელობის საშუალებებისა - სათქმელის გამოხატვა მხატვრულად, ემოციურ-ექსპრესიულად მსმენელისა თუ მკითხველის გონებასა და გრძნობაზე უფრო მეტი ზემოქმედების მოსახდენად. ამის მიხედვით სტილი არის ორი სახის: ა რ ა მ ხ ა ტ ე რ უ ლ ი და მ ხ ა ტ ე რ უ ლ ი. პირველი მოკლებულია გამომსახველობითს ენობრივ საშუალებებს, მეორე კი ამ შესაძლებლობებზეა დამყარებული.

სტილის სახეები ენობრივად განსხვავდებიან, მაგრამ მათ შორის არის საერთო. ყ ე ე ლ ა ს ტ ი ლ ი ს თ ე ი ს ს ა ე რ - თ რ ა ის ენობრივი შესაძლებლობანი, რომელნიც უზრუნველყოფენ აზრის სიზუსტეს, რის გარეშეც არტყრთი სტილი არ შეიძლება არსებობდეს. ასეთი ენობრივი საშუალებანია ე.წ. ნეიტრალური სტილის სიტყვები, თქმები და გრამატიკული ფორმები.

ფუნქციური სტილის სახეების გამოყოფისას მნიშვნელოვანია აგრეთვე ე ქ ს ტ რ ა ლ ი ნ გ ე ი ს ტ ი კ უ რ ი (არაღინგვის-ტიკური) ფ ა ქ ტ ო რ ე ბ ი: გარემო პირობები, სიტუაცია და სხვ., ანუ რეალური ვითარება, რომლის პირობებშიც ყალიბდება ესა თუ ის სტილი, ამასთან, ამა თუ იმ სტილს საერთო ენობრივ ელემენტებთან ერთად ახასიათებს თავისებური ენობრივი საშუალებანი: სათანადოდ შერჩეული ლექსიკა, ფრაზოლოგიური შენაერთები, სიტყვათა ფორმები, სიტყვათა წყობა, შესიტყვებათა და წინადადებათა კონსტრუქციები, ასევე ემოციის, ექსპრესიისა და შეფასებითი დამოკიდებულების გამოსახატავი საშუალებანი ამა თუ იმ კონკრეტული ვითარებისთვის.

ამრიგად, სტილის საკითხთან დაკავშირებით უნდა ვიცოდეთ შემდეგი:

1. ენობრივი სტილის ყველა სახეს საფუძვლად უდევს ენის ლექსიკა, გრამატიკული სისტემა და ენობრივი ნორმები.

2. ადამიანთა საკომუნიკაციო საშუალებანი - ე ნ ა და მ ე ტ ყ ე ე ლ ე ბ ა - ერთი მთლიანი მონაცემის ორი მხარეა. მათ ერთიანობას განსაზღვრავს საზოგადოებრივი საკომუნიკაციო ფუნქცია, ხოლო სხვაობას - ის, რომ ენა არის ადამიანთა ურთიერთობის საშუალებების სისტემა, მეტყველება კი - ამ სისტემის რეალიზაცია (პროცესი).

3. ფორმის მიხედვით მეტყველება არის ორი სახისა: **ზ ე ბ ი - რ ი და წ ე რ ი თ ი**.

4. ფუნქციის მიხედვითაც მეტყველება ორი სახისაა: **ს ა ს ა - უ ბ რ თ და წ ი გ ნ უ რ ი**.

5. სტილის სახეები ფუნქციის მიხედვით უფრო ნათელი არის მაშინ, როდესაც ისინი დაჯგუფებულია **ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი და ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი ნიშნების მიხედვით**.

§13. ობიექტური და სუბიექტური სტილი

ენის მსგავსად ენობრივი სტილი მჭიდრო კავშირშია აზროვნებასთან, როგორც სინამდვილის ასახვის აქტიურ პროცესთან. აზროვნება ორგანოა: **ა ზ რ თ გ ნ ე ბ ა ც ნ ე ბ ე ბ ი თ ანუ** საგნებისა და მოვლენების განზოგადებული ანარეკლით ცნობიერებაში; და **ა ზ რ თ გ ნ ე ბ ა ს ა ხ ე ე ბ ი თ ანუ** საგნებისა და მოვლენების მგრძნობელბითი შეცნობით.

ცნებებით აზროვნებას შეესაბამება ლოგიკური მეტყველება, სახეებით აზროვნებას კი - მხატვრული ანუ ემოციურ-აქსპრესიული. ლოგიკურობა, აზრის გასაგებად გამოსახატავად ენობრივ საშუალებათა ზუსტი შესაბამისობა გადასაცემ შინაარსთან, არის ყოველი სტილის საერთო ნიშანი; ემოციურობა და ექსპრესიულობა - აზრის გადმოცემის დამატებითი შესაძლებლობანი, რომელნიც განასხვავებენ მხატვრულ ენას არამხატვრულისაგან. მეტყველების ამ ნიშნების მიხედვით გამოყოფენ ენობრივი სტილის ორ მთავარ სახეს - **ო ბ ი ე ქ ტ უ რ - ს ა და ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ს**, რომელთაც ა. ჩიქობავა ასე ახასიათებს: „სუბიექტური სტილი, პირველ ყოვლისა, სიტყვის ემოციურ იერს შეისწავლის... ობიექტური სტილის ნორმათა ფარგლებში სუბიექტური სტილი ააშკარავებს იმ ამოურწყავ შესაძლებლობებს, რომლის საფუძველიცაა გადმოსაცემი შინაარსისადმი მეტყველის დამოკიდებულება, გადმოსაცემი შინაარსის სხვადასხვა თვალსაზრისით დახასიათება... არა თუ ორი მწერლის სტილი არ არის ერთი და იგივე, ორი მათემატიკოსის „ენაც“ განსხვავებულია ხოლმე; ყოველდღიურ მეტყველებაშიც ცალკე პირთა სტილი ისევე განიჩქევა ერთმანეთისაგან, როგორც სიარული, ხმის ტემბრი და ნაწერი ხელი“.

ამრიგად, ერთი და იგივე აზრი შეიძლება გადმოიყოს განსხვავებული ენობრივი საშუალებებითაც, მაგრამ ისე, რომ ისინი სწორად უნდა იყოს შერჩეული. **მ ბ ი ე ქ ტ უ რ ი ს ტ ი ლ ი** შეიცავს ისეთ ენობრივ ნორმებს, რომელთა დაცვა ყველასთვის არის სავალდებულო. **ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი ს ტ ი ლ ი** კი ინდივიდუალური ხასიათისაა. იგი ემყარება ობიექტური სტილის ნორმებს, მაგრამ განსხვავებულია აღნიშნული სტილისგან გამომსახველობით ენობრივი საშუალებების შერჩევამაგამოყენებით ამა თუ იმ კონკრეტულ საგანთან, მოვლენასთან ან ეთარებასთან დაკავშირებით.

როგორც **გ. კიკნაძე** წერდა, „...მეტყველების სტილი, პირველყოფილი, ენობრივი ფაქტია. ამის გამო მისი ცალკეული სახეების შესწავლისას საჭიროა შიათობა იმ **ს ა ე რ თ მ ე** (ხაზი ჩვენია. ნ.ბ.), რომელსაც ექვემდებარება გამოვლენილ სტილთა მთელი მრავალსახეობა.

ანალოგიურად იმისა, რომ არსებობს საერთო სახალხო ენა, ... უნდა ვიგულისხმოთ, რომ არსებობს კანონზომიერება, რომელიც დამახასიათებელია მეტყველების სტილისათვის საერთოდ, და ეს კანონზომიერება ძალაშია სტილთა სხვადასხვა სახის მიმართაც“¹.

უნდა გვახსოვდეს, რომ სტილის ყველა სახის კლასიფიკაცია პირობითია, ვინაიდან ენობრივი შესაძლებლობანი, რომლებიც განასხვავებენ ერთ სტილს მეორე სტილისაგან, არ არის ერთმანეთისგან აბსოლუტურად გამოიწველი. ყოველი სტილი მხოლოდ ნაწილობრივ შეიცავს თავისებურად გამოყენებულ განმასხვავებელ ლექსიკას, ტერმინოლოგიას, სიტყვის ხმარების მანერას, გრამატიკულ ლარმებს და ა.შ.

სტილის დაცობა **მ ბ ი ე ქ ტ უ რ** და **ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ** სახეებად კი არ ეწინააღმდეგება ჟენტიკურ კლასიფიკაციას, არამედ მოიცავს მას და ჟენტიკური სტილის სახეებს აუკუთმებს იმის მიხედვით, თუ რა უღვევს საფუძვლად: ობიექტური თუ სუბიექტური სტილის ნიშნები

წინამდებარე წიგნში ძირითადად განხილულია სალიტერატურო ენის წიგნური სტილის საკითხები (სასაუბრო სტილი მოკლედ არის დახასიათებული), სადაც გამოყოფილია სტილის ორი მთავარი სახე:
 1. **მ ბ ი ე ქ ტ უ რ ი ა ნ უ ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო** და
 2. **ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი ა ნ უ ს ა ზ ე მ ო ქ მ ე დ ო**.

მ ბ ი ე ქ ტ უ რ ი ს ტ ი ლ ი ს **ს ა ხ ე ე ბ ი ა** ნეიტრალური, რომლის ენობრივი საშუალებანი არ არის სტილური ხასიათის

და საერთო სტილის ყველა სახისთვის; ოფიციალურ-დოკუმენტური; სამეცნიერო და პუბლიცისტური: ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი ს ტ ი - ლ ი ს ა კ ი; სასაუბრო, მხატვრული და ორატორული (ასევე პუ- ბლიცისტურიც, რადგანაც იგი არის ორი სახისა: არამხატვრული და მხატვრული).

ქვემოთ თითოეული სტილის დახასიათებისას აღნიშნულია შემდე- გი ზ ა ნ მ ა ს ხ ე ბ ე ე ბ ე ლ ი ნ ი შ ნ ე ბ ი: რაობა, ფე- ნქცია, სტილური თავისებურებანი (შინააქსობრივი, ფორმობრივი, ლექსიკური, გრამატიკული, ინტონაციური) და სახეები.

ობიექტური ფენქციური სტილის სახეები

§14. ნეიტრალური სტილი

ნეიტრალურია სტილი, რომელიც არ შეიცავს თავისებურ ენობრივ საშუალებებს, ე.ი. ისეთ სიტყვებსა და თქმებს, რომელნიც გამოხა- ტავენ ემოციას, ექსპრესიას, და შეფასებითს დამოკიდებულებას.

ასეთ მეტყველებაში სიტყვები იხმარება მხოლოდ პირდაპირი მნი- შენელობით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რომელიმე ასეთი სიტ- ყვის სტილური აღნიშნულებით გამოყენება სხვა შემთხვევაში შეუძლე- ბელი იყოს (მაგალითად: წიგნი სტილურად ნეიტრალურია, მაგრამ წი- გნაკი - სტილურად მარკირებული; ასევე ფორმები: დედა - დედი, დე- დიკო, დედიკონა, დედილა; ან: ნინო დედაა ჩემი - მიწა დედაა ჩემი; ან კიდევ სინონიმების შერჩევა: ღამაზი - მშვენიერი, ავადღწარმტაცი, მზისაღარი; მოვიდა - მობრძანდა; მოატყუილა - გააცურა და სხვ).

ნეიტრალურ ენობრივ საშუალებებს უმთავრესად ციყენებთ საქმეზე მსჯელობიას, ისეთ ფაქტებზე საუბრისას, რომლებიც ჩვეულებრივი სა- ყოფაცხოვრებო მოვლენებია. ასეთ საუბარში ფაქტები აღინიშნება მხო- ლად ლოგიკური სიზუსტით, ყოველგვარი შეფერადების გარეშე.

ნეიტრალური სტილისას უმთავრესად საქმიანი დიალოგი, ჩვეულებ- რივი ადწერა, ახრობა და მისთ. ასეთი მეტყველება ძირითადად ემყა- რება საერთო სახმარ სიტყვებს, რომლებიც ამავდ დროს არის ყველა სტილის საფუძველი.

ნეიტრალური სტილის ნიმუშებია:

- I. ჩ ე ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი ს ა ქ მ ი ა ნ ი დ ი ბ ლ გ ი:
- აქამდის სად იყავი?
- მცხეთას.

- მიხეთას რას ბკეობები?
- ისე, გასართობად წავიდე.
- მარტოა?
- ღიად, მარტოა (ა. ყაზბ.).

2. ა მ ბ ა გ ი :

თბილისის სამხრეთით, ორმოცი ვერსის მანძილზე, სძევს მოზრდილი სოფელი მარაბდა. სამასის წლის წინათ ამ სოფელში სცხოვრობდა მოსუცი აზნაური ხერხეულიძე, რომელიც გადასახლებული იყო ზემო ქართლიდან და რომელსაც ცხრა ვაჟი ჰყავდა. მამა ამ ცხრა ვაჟისა იყო ერთგული მოყვარე თავისი ქვეყნისა და მხურვალე მამულიშვილი; ცოლადაც მას ჰყავდა ყოველად ღირსეული ქართველი მანდილოსანი. ამის გამო ცხრა ძმანი ერთიერთმანეთზე უკეთესი ვაჟები და მამულიშვილები დადგნენ... (ი. გოგებ.).

§15. ოფიციალურ-დოკუმენტური სტილი

v ოფიციალურ-დოკუმენტური სტილია ისეთ ენობრივ სტილს, რომლითაც იწერება საქმის ქაღალდები.

1. ფ უ ნ ქ ე ი ა :

საქმიანი ურთიერთობის დამყარება ხელისუფლების ორგანოებთან. ცალკეულ პიროვნებებთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან, მოსახლეობასთან, ქვეყნებთან წერილობით (საქმის-ქაღალდების) სახით; საზოგადოებრივი ენობრივი კავშირი ოფიციალური განცხადებით საქმიანობის, კურიდოვ და დიპლომატიურ სფეროში.

2. ს ტ ი ლ უ რ ი თ ა ფ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა ნ ი :

შინაარსობრივი:

ახსიათებს აზრის კონკრეტულობა, ზედმიწევნითი სიზუსტე, ენობრივი სტანდარტულობა, სიტყვების ხმარება პირდაპირი მნიშვნელობით, ლაკონიურობა, აზრის გადმოცემა ლოგიკური თანამიმდევრობით; უმთავრესად შეიცავს მსჯელობას, მტკიცებას, დასაბუთებას, ფაქტების დაზუსტებას, ანალიზს, აღწერასა და სხვ.

დოკუმენტური ხასიათის ტექსტებში ხშირად შეინიშნება თავისებური ფორმები. მთავარი ის არის, რომ გადმოსაცემი შინაარსი იყოფა გამოხატული მარტივად, მოკლედ, ნათლად და ყველათვის აღვილად გასაგებად.

ფორმობრივი:

იმის გამო, რომ საქმის ქაღალდები უმთავრესად ადამიანებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, ამა თუ იმ ქვეყნის აღმინის-

ტრადიციულ ცრუებებსა და სახელმწიფოებს შორის ოფიციალური მიმოწე-
რისა და ხელშეკრულებების სახისაა, ასეთი დოკუმენტების ენა არის
წერილობითი: ზეპირად ვადმოიცემა მხოლოდ ზოგიერთი მთავანი, მა-
ჟალითაღ: საანგარიშო მოხსენება, დახასიათება, ბიოგრაფია, გან-
მარტება, განცხადება და სხვ.

ლიქსოკარი:

ხშირი მოვლენაა პოლიესიონალიზმების, სპეციალური ტერმინე-
ჯის, ციფრული მონაცემების გამოყენება; ზმნის საწყისების სიხში-
რე (მიღება, ვაგზავნა, დადგენა, გატანა, შემოზიდვა, განცხადე-
ბა...), ასევე მიმღობებისა (მიღებული, ვაგზავნილი, დადგენილი,
გატანილი, შემოზიდული, გამოცხადებული...), უცხო სიტყვებისა და
ძველებების გამოყენება და სხვ. აღნიშნული ნიშან-თვისებების გამო
ოფიციალური დოკუმენტების ენობრივი სტილი სხვა სტილთან შედარებით
კონსერვატიულიცაა და მას კანცელარულ ენასაც უწოდებენ.

გრამატიკული:

ამ სტილში უმთავრესად გვხვდება ს ი ტ ყ ე ა თ ა მ ტ ე რ -
ც ე შ ე ნ ა ე რ თ ე ბ ი, განსაკუთრებით ზმნების წაცედად (მო-
წაწილეობს - მოწაწილეობას იღებს, დაშვებაარს - გამოწივს დახმა-
რება, მოსთხოვეს - წაუყენეს მოთხოვნა, გაიგზავნა - ვაგზავნილ
იქნა, ვებრძოლო - ბრძოლა გამოუტყუებლო...) ხშირია ს ტ ა ნ -
და ა რ ტ უ ლ ი თ ქ მ ე ბ ი ანუ შ ტ ა მ ბ ე ბ ი. ყოველი დო-
კუმენტის ფორმა ტრადიციულად არის შეშუშავებული, სხვა შემთხვევე-
ლში კი, მაგ., საუბრის დროს, მოხსენების კითხვისას, საზეიმო სი-
ტყვის წარმოთქმისას, განსაკუთრებით მხატვრულ მიდევნებებში, სტა-
ნდარტული, შაბლონური ფრაზები სტილის დიდი ნაგლია. (იხ. §25).

ოფიციალურ-დოკუმენტურ სტილში ხშირი მოვლენაა აგრეთვე რ ა -
რ თ უ ლ ი თ ქ მ ე ბ ი (ჩემი აზრით, ვარჯა ამისა, ჩანს, ამრი-
გად, რასაკვირველია; პირველი, მეორე, მესამე; რაგორც აღვნიშნეთ,
როგორც ადრევე გვერდით და ა.შ.); ს ი ტ ყ ე ა თ ა მ ბ ი რ დ ა -
შ ი რ ი რ ი გ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა შ ი; ა ს ე ე რ რ -
ჯ რ ტ მ ა რ ტ ი ე ნ ი ს ე, ი ს ე შ ე რ წ ყ მ უ ლ ი და უ მ ე -
თ ა ვ ე რ ე ს ა დ რ თ უ ლ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ე ბ ი (იშის
ჯამო, რომ... იმ მიზნით, რომ... რადგანაც... ამიტომ... რაღაც
კვადშირები: ასე რომ, იმიტომ რომ, იშისთვის რომ, არა მარტო -
არამედ, არათუ - არამედ და სხვ.); ა ზ რ ი ს ვ ა დ ე მ ე ე ე -
მ ა რ ა მ ე დ ე ნ ი მ ე ა ბ ზ ა ც ი თ, რ ი გ რ ბ ი თ ი
ნ უ მ ე რ ა ც ი ა, თ ა რ ი დ ე ბ ი და სხვა სპეციფიკური ნი-
შნები.

ზეპირად ვადმოიცემის ან კითხვის დროს ახასიათებს ახლობის

ერთფეროვნება - მხოლოდ თხრობითი ინტონაცია, თანაც ტონის ოფიციალურობა. არ ახლავს ემოციურობა და ექსპრესიულუბა.

3. ს ა ქ მ ის ქ ა ლ ა ლ ე ბ ი ს ა ნ უ ლ კ ე -
 მ ე ნ ტ ე ბ ი ს ს ა ხ ე ე ბ ი ა : განცხადება, ცნობა, მოწმობა, ბრძანება, ბრძანებულება, დაჯგონილება, შუამდგომლობა, წესდება, მინდობილობა, ხელშეკრულება, ხელწერილი, აქტი, ოქმი, საანგარიშო მოხსენება, კანონების კოდექსი, ნოტა, ინსტრუქცია, მიმართვა, განმარტება, ანოტაცია, ანკეტი, რეცენზია, დახასიათება, ავტობიოგრაფია, დიპლომატიური მიწერა-მოწერა, სასამართლოს განაჩენი და მისთ. ეს სახეები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან როგორც შინაარსითა და დანიშნულებით, ისე ფორმით, რომელიც სტანდარტულია. ამიტომ დოკუმენტების გაფორმებას სპეციალურად შესწავლა სჭირდება. ზოგიერთი ასეთი საქმის ქაღალდის მიღებული წესით გაფორმების გასაადვილებლად შემოღებულია სპეციალური ბლანკები, სადაც აღნიშნულია სათანადო კომპოზიციები ან მითითებანი, რის მიხედვითაც წერილობით უნდა აღინიშნოს პასუხები თუ სათანადო ცნობები. ასეთია, მაგალითად, კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი; განცხადების, ცნობის, მოწმობისა და სხვა ფორმები. ამ სტანდარტებს, რომლებიც ერთგვარი თავისებური ნიშანთაგანია საქმის ქაღალდებისა, პრაქტიკულად მალე ერგევა ადამიანი და სათანადო დოკუმენტებს ადგენს ისე, რომ მათი შინაარსი ერთნაირად ადვილად გასაგებია ყველასათვის.

საქმის ქაღალდების სტილისგან ზოგჯერ ცალკე გამოყოფენ ე.წ. ეპისტოლურ ანუ მიმოწერის სტილს, მაგრამ თავისი ძირითადი ნიშნებით იგი ნაკლებად განსხვავდება დოკუმენტების ენობრივი ნიშნებისგან, ამიტომ მისი ცალკე სახედ გამოყოფა მიზანშეუწონელია.

ოფიციალური კომენტარი ანუ საქმის
ქაღალდების სტილის ნიმუშებია:

სოხუმის აკაკი წერეთლის სახელობის VI საშუალო სკოლის
დირექტორს ა. ი. ქარაგელიშვილს

ვატა ზურაბის ძე ჩხეიძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

წელს, იანვარში, ქუთაისიდან სამუშაოდ გადმომიყვანეს სოხუმის
საკონსერვო ქარხანაში, მყავს ვატი, რომელიც 1989 წლის იანვრამდე
სწავლობდა ქუთაისის II საშუალო სკოლის VIII კლასში. ვთხოვე ჩა-
რიცხოთ იმავე კლასში.

განცხადებასთან ერთად გაახლებთ სათანადო ცნობებს.

მისამართი

5.01.1989 წ.

სოხუმი, 7. თბილისის გზატკეცილი
№15, ბინა 7

ვ. ჩხეიძე

ც ნ ო ბ ა

მოქალაქე აღექსანდრე ივანეს ძე მრეველიშვილი ცხოვრობს ქ. გა-
გრაში ლესელიძის ქუჩაზე, №5 სახლში, და თავის კმაყოფაზე ჰყავს
3 სული: დედა ელენე პეტრეს ასული მრეველიშვილი 50 წლისა, მუდღე
ნათელა ვახტანგის ასული თვალთვაძე 25 წლისა და ვატი მამუკა 6
წლისა.

ცნობა ეძლევა გაგრის ხე-ტყის სახეობი ქარხნის კადრების გან-
ყოფილებაში წარსადაგენად.

3.01.1989 წ.

გაგრის II სახლმმართვე.

მმართველი
მღვანეი

(გ. მებრეველი)
(მ. გეგენავა)

ან ასე:

ც ნ ბ ა

შტამბის
ადგილი

მიტყა ცვლადიმერ ნიკოლოზის ძე შინდაძეს, რომ ის დააფუძნებელი იყო სტენოკარდიით და 1989 წლის 5 იანვრიდან I შაისამდე მკურნალობდა ბათუმის II საქალაქო საავადმყოფოში. ამჟამად ის ჯანმრთელია და შეუძლია განაგრძოს მუშაობა.

ბათუმის II საქ.საავადმყ.

მთავარი ექიმი-კარდოლოგი

(ე.დიდებულიძე)

ა ე ტ მ ბ ი ლ გ რ ა ფ ი ა

მე, მიხეილ ვარლამის ძე რობაქიძე, დავიბადე 1950 წელს, I შაისს, საქართველოში, ქალაქ ფოთში, მოსამსახურის ოჯახში. მამა არის ფოთის I საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, დედა - საქალაქო ბიბლიოთეკის გამგე.

1967 წელს, აღნიშნული სკოლის დამაგერებისთანავე, ჩავირიცხე სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დავამთავრე 1971 წელს. ამავდროულად სტუდენტობის დროს ვამუშავებდი საშუალო სკოლაში, სადაც დავმუშავე 1973 წლის ნოემბრამდე. 1974 წლის იანვრიდან ვმუშაობ ფოთის II საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ და ფიზიკის მასწავლებლად.

ვარ ცოლ-შვილიანი. მეთუღე წათვლა მერაბის ასული თაბატა მსახურობს ფოთის №2 საბავშვო ბაღში აღმზრდელად, ვაჟი ზურაბი არის ფოთის I საშუალო სკოლის პირველი კლასის მოსწავლე.

30.12.1989 წ.

(მ. რობაქიძე)

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, ეახტანჯ პეტრეს ძე ჯაფარიძე, ვანდობ ჩემს დას ნინო პეტრეს ასულ ჯაფარიძეს საქართველოს სუბტროპიკული მურწნობის საღაროდან მიიღოს 1989 წლის მაისის თვის მორე ნახევრის ჩემი ხელფასი.

გ. ჯაფარიძე

ეახტანჯ პეტრეს ძე ჯაფარიძის ხელმოწერას ვადასტურებ საქართველოს სუბტროპიკული მურწნობის ინსტიტუტის საქმეთა

მმართველი

ნ. ბარათელი

2.06.1989

(ბეჭედი)

§16. სამეცნიერო სტილი

სამეცნიერო ენობრივი სტილი, რომელიც ახასიათებს სამეცნიერო ლიტერატურის: გამოკვლევების, სახელმძღვანელოების, საჯარო წერილების, მოხსენებებისა და სხვ. მისათვის

I. ფ უ ნ ქ ც ი ა :

ინტელექტუალური კომუნიკაცია, სამეცნიერო ინფორმაციის, სხვადასხვა აღმოჩენის, ახალი გამოკვლევის, სისტემატური კურსის გაენობა მკითხველისა თუ მსმენელისათვის.

2. ს ტ ი ლ უ რ ი თ ა გ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა ნ ი :

შინაარსობრივი:

გამოხატავს ზუსტ, ლაკონურად თანამიმდევრულ და ფაქტების დასაბუთებულ მსჯელობას - აღწერას, მტკიცებას, ანალიზს, განზოგადებას, დასკვნებს; ახასიათებს სიზუსტე, მოღვენათა დამაჯერებლად აღწერა, ფაქტების თანამიმდევრობით გაშუქება.

ფორმობრივი:

ძირითადად არის წერილობითი, მონოლოგური (მეცნიერულ შრომათაგან ზეპირად იკითხება უშთავრესად ლექცია ან მოხსენება; მეცნიერული ცოდნა გადაიცემა ზეპირად გაკვეთილის საითათ).

ღვესიკურია:

სიტყვების გამოყენება პირდაპირი (ძირითადი) მნიშვნელობით. ისინი (ე.ი. სიტყვები) უმთავრესად საშენიერო ცნებების გამოხატულებაა; უხვად გვხვდება სპეციალური ტერმინები, როგორც საშენიერი, ენობრივი სტილის ძირითადი ნიშნები, რითაც ერთმანეთსაგან მკვეთრად განსხვავდება შეცნიერების სხვადასხვა დარგის, მაგალითად: გრამატიკის, ისტორიის, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, მედიცინის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიისა და სხვა დარგების ენა. ხშირად იხმარება სინონიმები ტერმინების ახსნა-განმარტებისთვის. ზარბადად შეინიშნება გენებითი გვარის ზმნები და სახელზმნები.

გრამატიკული:

პოპულარული ტერმინების ზოგჯერ შემოყლებულად ან პირობითი ნიშნებით წერა, ზმნის ხმარება III პირის ფორმით უმთავრესად დროის გაგების გარეშე; ინფორმაციის გადმოცემა მხრობითი წინადადებებით (ბრძანებითი წინადადება იხმარება მხოლოდ რჩევა-დადრიგების გამოსახატავად, კითხვითი - წაკითხულის გაგების შესამოწმებლად); ახასიათებს წინადადების სტრუქტურის სტერეოტიპულობა ანუ უცვლელობა და აზრის ზუსტად, გასაგებად გადმოცემა; მარტივ, შერწყმულ და რთულ წინადადებათა გამოყენება სრული სახით (უსრული, ელიფსური წინადადება იშვიათი მოვლენაა), შეტწილად იხმარება რთული, განსაკუთრებით ქვეწყობილი წინადადებები.

სამშენიერო ენობრივ სტილს ახასიათებს აგრეთვე შემდეგი თავისებურებანი: ახსნა-განმარტების სიხშირე და ამასთან დაკავშირებით შიგრიეტილი კავშირები (ანუ, ესე იგი); დასკვნისთვის ჩართული სიტყვები (ამრიგად, შამასხადამე, რასაკვირველია, როგორც იანს, როგორც გამოიჩქვია, როგორც დადასტურდა...); წინა ნათქვამთან სათქმელის დასაკავშირებლად (ამის შედეგად, ამასთან ერთად, აქედან გამომდინარეობს ის, რომ... მსგავსად ამისა...); ან სათქმელზე ყურადღების გასამახვილებლად (განსაკუთრებით საყურადღებოა, ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, დამატებითი საშიროა ითქვას, აუცილებელია ისიც...) თანამიმდევრობის შიხათივებლად (ჯერ ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე, ერთი, მეორე, მესამე). იხმარება აგრეთვე ნუშერ-ცოხა ანუ დანამერა; ასევე - ციფრები, წომილები, სქემები, დიაგრამები, ტახლები, ნახაზები, ტექსტებში და ა.შ.

სამშენიერო სტილის ნიშანდობლივი თავისებურებაა ციტატების ხმარება გამოთქმული მოსაზრების განსამტკიცებლად ან სხვისი აზრის გასაყნობად თუ გასაკრიტიკებლად, ასევე სათანადო წყაროების მიითებება.

ინტონაცია მხრობითია, არ ახასიათებს ემოცია და ექსპრესია.

3. მ ი ც ე ნ ი ე რ ე ბ ი ს ს ა ხ ე ე ბ ი ა: ენამეცნიერება, ისტორია, ფიზიკა, ქიმიკა, მათემატიკა, ბიოლოგია, ბოტანიკა, ასტრონომია და სხვ.

მეცნიერება, როგორც უაზნადა სისტემა, ობიექტური სინამდვილის, ჰუმანიტეტების შემეცნების ერთ-ერთი ფორმა, მოცლებს ასახავს ცნებებით, ლოგიკური აზროვნების საშუალებით და ფაქტების შესწავლით ავლენს ობიექტურ კანონებს. ამდენად სამეცნიერო ენობრივი სტილი შედარებით სტანდარტულია. მეცნიერება უაღრესად ზუსტი დარგია და ამით არის გაპირობებული მისი ენობრივი სიზუსტე, სიხადე და მკაცრი ლოგიკურობა, ამიტომ სამეცნიერო ენობრივი სტილს, როგორც წერილობით ფორმას, ზედმიწევნით სისწორისათვის საფუძვლად უდევს სალიტერატურო ენის ნორმები.

სამეცნიერო სტილის სტანდარტულობა უმთავრესად გვინდება როგორც თხრობაში, ისე შრომის სტრუქტურაში. მაგალითად, ჩვეულებრივ ჯერ იწერება შესავალი, შემდეგ მოჰყვება ახსნა, მტკიცება, შედეგი, დასკვნა. ამას თან ახლავს აზრების მკაცრი ფორმულირება, სხვისი აზრების დამოწმება, გამოყენებული ციტატების წყაროთა მითითება, ლიტერატურის დასახელება და ა.შ.

გარდა ამისა, სამეცნიერო სტილის თავისებურება ძირითადად განისაზღვრება ამა თუ იმ შრომის შინაარსით, მიზნითა და მოხმობარების განვითარების დონით. მაგალითად, საშუალო სკოლის სახელმძღვანელოები იწერება კლასების მიხედვით, შედარებით მარტივად ელემენტარული თეორიული მონაცემებით. მოკლე და ადვილად გასაგები ენი. უმაღლესი სასწავლებლისათვის განკუთვნილ წიგნში თეორიული მასალა მოცემულია ვრცლად, უხვად არის გამოყენებული სპეციალური ტერმინები როგორც მშობლიურ, ისე უცხო ენაზე.

სამეცნიერო ენობრივი სტილისგან ცალკე სახედ გამოყოფენ ე.წ. სამეცნიერო-პოპულარულ სტილს, რომლითაც იწერება ფართო მასებისათვის განკუთვნილი ლიტერატურა. ამ უკანასკნელის მთავარი დანიშნულებაა ინფორმაციის მიწოდება მეცნიერებათა სხვადასხვა დარგის მიღწევების შესახებ. ამ შემთხვევაში სტილის განმასხვავებელი ნიშნები თავს იჩენს არა მარტო იმის მიხედვით, თუ რა ციწრო სპეციალობას განეკუთვნება და მკითხველის მიმზადების რა დონეს შეეფერება, ეს ლიტერატურა (ნაშრომი, სტატია...), არამედ იმის მიხედვითაც, თუ ვინ არის მისი ავტორი სპეციალობით, განათლებით, როგორია მისი მსჯელობის მანერა, რა თავისებურ სიტყვებს, წინადადებათა სახეებს იყენებს და სხვ.

ასეთი სტილით იწერება აგრეთვე მეცნიერულ-პოპულარული საგან-ზეთო ცნობები, საკურნალო წერილები, ბროშურები, ლექციები და მო-

ხსენებები ყველა სპეციალიზისა და მომზადების მკითხველისთვის. ამის გამო ასეთ ლიტერატურაში ნაკლებად გვხვდება სპეციალური ტერმინები (და, თუ ასეთი რამ აუცილებელია, მას ახლავს ახსნა-განმარტება), მოცენათა დეტალური აღწერა, ღრმა ანალიზი თუ ცრელი დახასიათება. ამ შემთხვევაში თხოვა აჩააკადემიურია, მკითხველის დასაინტერესებლად ავტორები მასალას გადმოსცემენ ცოცხლად, მიმზიდველად; იყენებენ მხატვრულ ენობრივ საშუალებებსაც, რომელთა შერჩევას განაპირობებს უმთავრესად ავტორის მიზანდასახულობა, რომ მიმზიდველად გააცნოს მკითხველს ძიებისა და აღმოჩენის სიძნელეები, მიღწეულის ადგილობრივი ან საქვეყნო მნიშვნელობა. ამისთვის აღნიშნული ტიპის მასალებში ზოგჯერ ხმარობენ ეპითეტებს, კითხვა-პასუხებს, ძახილის წინადადებებს, აღმოჩენა-დადგენის შედეგით გამოწვეული აღფრთოვანების გამომხატველ სიტყვებსა და თქმებს.

სამეცნიერო ენობრივი სტილის ერთერთ სახედ აღიარებულია ავტოთფი ე.წ. ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო = ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი ლიტერატურის სტილიც, სადაც განსაკუთრებით ხშირად იხმარება პრაფსინონალიზმები და ტექნიკური ხასიათის ტერმინები. ამ სტილში მხატვრული ენის ელემენტები არ შეინიშნება.

სამეცნიერო სტილის ნიმუშები:

ენათმეცნიერებიდან

აფიქსის ადგილმდებარეობის გარკვევისას ამოსადგალია მ ა რ - ტ ი ც ი ფ უ ძ ე (ძირი) და ა რ ა ნაწარმოები ფუძე.

ბ რ ე ფ ი ქ ს ა დ იწოდება ისეთი აფიქსი, რომელიც ძ ი რ ს ე წ ი ნ უ ძ ე ც ი ს ... მისი ქართული შესატყვისია რ წ ი ნ ს ა - რ თ ი "...

ს უ ფ ი ქ ს ი ეწოდება ისეთ აფიქსს, რომელიც ძ ი რ ს მ ა ს დ ე ც ს ... ქართულად მის გადმოსაცემად ხმარობენ მ ბ რ მ ს ა რ თ ს "...

ი ნ ფ ი ქ ს ი შიგ რაერთვის მ ა რ ტ ი ც ფ უ ძ ე ს ანუ ძირს... ქართული „ჩასართი“ კარგად გადმოგვეცემს ამ ტერმინს. ინფიქსის ნიმუში იქნება: ვ: ხენა, კვლა, დაძვრა, რაგვრა, შენიშვნა და შიგვერებში. ინფიქსი ც ფანტიკური მიზნების გამო (ლ,რ,ნ-სთან ც-ს შეტათეზისის ანუ გადასმის გამო), რომ ძირულ თანხმოვნებს შორის მოექცა...

აჩნ.ჩიკობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 237-238.

ისტორიიდან

ცხოველთა სამყაროდან ახლად გამოყოფილი პირველყოფილი ადამიანის მდგომარეობა მეტრისმეტრად უმწიკო იყო. მის სამუშაო და თავდასაცავი იარაღს ქვა და ხუხი წარმოადგენდა. იმ ხანას, როცა ადამიანი ტლანქად დამუშავებული ქვის იარაღით სარგებლობდა, ძველი ქვის, ანუ პალეოლითის ხანა ეწოდებოდა. პალეოლითის ხანა, თავის მხრივ, ორ პერიოდად იყოფა: ძველი, ანუ ქვედა პალეოლითად, და ზედა, ანუ ზედა პალეოლითად. ქვედა პალეოლითი ყველაზე უფრო ხანგრძლივი პერიოდი იყო კაცობრიობის ისტორიაში. ის დაახლოებით 30 ათასი წლის წინათ დამთავრდა.

იმ დროს ადამიანმა უკვე კიდევ არ იცოდა ქვის სათანადო დამუშავება და მისგან მოხერხებული იარაღის დამზადება..

ტლანქად დამუშავებული ქვითა და ხუხით შეიარაღებულ ადამიანს მარტო, დამოუკიდებლად არსებობა არ შეეძლო. ამიტომ ადრეული პალეოლითის დროს ადამიანები რამდენიმე ათეული კაცისაგან შექმნილი ჯგუფებად - ჯოგებად ერთიანდებოდნენ. ადამიანთა საზოგადოების ამ საწყის ხანას პირველი მუსონი უწოდებენ, ანუ წინ, ზედა მუსონი სოციალური ხანა ეწოდება.

საქართველოს ისტორია, 7-10, თბ., 1978. გვ. 5-6.

ფიზიკიდან

ფიზიკურ სიდიდეთა ვარჯიში. მათი ერთეულები და საზომი ერთეულთა სისტემები

ფიზიკა არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის რეალურ სამყაროს არსებულ სამყაროს, ე.ი. როგორც არაორგანულ, ისე ორგანულ ბუნებას და ადგენს ყველაზე უფრო ზოგად კანონებს, რომლებიც იძლევიან სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში დადგენილი კანონების ახსნის პრინციპულ შესაძლებლობას.

კერძოდ, ფიზიკა შეისწავლის მატერიალური სამყაროს მოძრაობას (ცვლილებას), აგრეთვე ბუნების ისეთ მოვლენებს (ფიზიკურ მოვლენებს), როგორცაა ბგერითი, სითბური, ელექტრული, მაგნიტური, სინათლის და ადგენს მათთვის გარკვეულ კანონებს.

იმისათვის, რამ სრული წარმოდგენა გვქონდეს ფიზიკურ მოვლენ-

ნებზე, აუცილებელია შესაბამისი ფიზიკური სიდიდეების გაზომვა.

სიდიდე ეწოდება ყველაფერს, რასაც შეუძლია რაოდენობრივად შეცვლა, ხოლო ფიზიკური სიდიდე - ფიზიკური მოვლენების ან მატერიის გარკვეული თვისებების დამახასიათებელ სიდიდეებს, მაგალითად, სიგრძე, მოცულობა და სხვ.

ნებისმიერი ფიზიკური სიდიდის გაზომვა ნიშნავს მის შედარებას რაიმე ერთგვაროვან სიდიდესთან, რომელიც პირობით მიღებულია საზომ ერთეულად, ე.ი. ფიზიკური სიდიდის გაზომვა ნიშნავს იმის გამორკვევას, თუ რამდენჯერ განსხვავდება გასაზომი სიდიდე არჩეული ერთეულისაგან...

ფ. ხუციშვილი, ფიზიკა, თბ., 1971, გვ.3.

ასტრონომიიდან

ასტრონომიის მთავარ დასამზერ იარაღს ტელესკოპი წარმოადგენს. ცნობილია ამ ოპტიკური იარაღის ორი ძირითადი სახეობა. ერთია ტელესკოპი სხივების გარდამტეხი ობიექტივით, მეორე - ტელესკოპი სხივების ამრეკლი სარკით. პირველს ეწოდება რ ე ფ რ ა ქ ტ ო რ ი, მეორეს - რ ე ფ ლ ე ქ ტ ო რ ი. სკოლებში ხშირად სარგებლობენ ე.წ. მ ე ნ ი ს კ უ რ ი ტელესკოპით, რომლებშიც გამოყენებულია სარკისა და ამოზნექილ-ჩაზნექილი ლინზის (მენისკის) კომბინაცია, რაც ოპტიკურ ძალას მატებს ტელესკოპს.

ტელესკოპის დანიშნულებაა, რაც შეიძლება მეტი სხივები შეკრიბოს ფოკუსში, რათა გამოავლინოს და დაგვიანახოს გამოსხივებულ სუსტი წყაროები ანუ მ ე კ რ თ ა ლ ი მნათობები; მასთან, ტელესკოპით უნდა მივიღოთ ცის სხეულის გამოსახულებები...

ე. ხარაძე, ასტრონომია, IO კლ., თბ., 1979, გვ. I

§17. პუბლიცისტური სტილი

პუბლიცისტური სტილი ეწოდება პუბლიცისტიკის ანუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საზოგადოებრივ ლიტერატურის ენის თავისებურებას, რომელიც ახასიათებს პერიოდული გამოცემების - გაზეთებისა და ჟურნალების ყოველდღიურ ნაირფეროვან მასალას: რაიმე საგნის, მოვლენის ან შედეგების აღწერას; საკითხის მიმოხილვას, ანალიზს, კრიტიკას, ჩანახატს, ნარკვევს, მოწოდებას, ცნობას, ადგილობრივ და საერთაშორისო ამბებს, ფელეტონს, პემფლეტს და სხვ. მასალის ნაირსახეობასთან დაკავშირებით თავს იჩენენ თავისებური სტილური ნიშნებიც.

1. ფუნქციონალი :

ინფორმაცია - მიაწოდოს მკითხველს ცნობები საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ფაქტების, მოვლენების შესახებ; გააცნოს შრომის, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის მიღწევები და ნაქლოვანებები, პერსპექტივები, დონისძიებანი; მისცეს საზოგადოებას, ცალკეულ კულტივებს, ხელმძღვანელებს სათანადო საქმიანი რჩევა-დარიგებანი და ა.შ.

ზემოქმედება - პროპაგანდა გაუწიოს ცხოვრების აქტუალურ საკითხებს;

ხელი შეუწყოს მასების მორალურ აღზრდასა და იდეურ მომზადებას; საშირო მსოფლმხედველობის განმტკიცებას, საზოგადოებრივი და პოლიტიკური შეგნების გამომუშავებას; ასევე განათლების დონის, ზოგადი თეორიული და ტექნიკური ცოდნის ამაღლებას; აჩვენოს ადამიანებს, თუ რა არის ცხოვრებაში პროგრესული, დადებითი, მისაბაძი, სასარგებლო და რა არის რეგრესული, უარყოფითი, დასაჯიმი, უსარგებლო და სხვ.

პუბლიცისტური მასალა უმთავრესად იბეჭდება გაზეთებში, ჟურნალებში, ბროშურების სახითაც; გადმოიყვება ზეპირადაც კრებებზე, საზეიმო სხდომებზე.

2. სტილური თავისებურებანი :

შინაარსობრივი :

პუბლიცისტიკას ახასიათებს მრავალფეროვანი თემატიკა ადამიანთა ურთიერთობის სხვადასხვა სფეროსთან, მიზანთან, მისწრაფებასა და მოქმედებასთან დაკავშირებით; ინფორმაციის დროს ახრობის სიზუსტე და სიყვარული, ფაქტების ზუსტად ასახვა, აზრთა და შეხედულებათა მოკლე და მკაფიოდ გამოხატვა, მსჯელობის ლოგიკური თანამიმდევრობა, იდეურად გამართული მასალის მიწოდება პოპულარული ენით; მოვლენათა განზოგადება, შეფასებითი დამოკიდებულება საბჭო-

ღისადმი; ყველა სახის სტილის დამახასიათებელი ნიშნების გამოყენება, რითაც პუბლიცისტები ოსტატურად ახერხებენ თავიანთი აზრების დაშიჯერებლად გამოხატვას, რომ სათანადო იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინონ მკითხველზე, შექმნან მასში მსჯელობის საგნისა თუ მოვლენისადმი შესაფერი დაჯებიანი ან უარყოფითი განწყობა. ამ შემთხვევაში პუბლიცისტური სტილი უახლოვდება სუბიექტურ ფენტეზურ სტილს. მისი დანიშნულებაა საექიმელი არა მარტო კარგად გააგებინოს მკითხველს, არამედ დიდხანს დაამახსოვროს კიდევ.

ფორმობრივი:

პუბლიცისტური სტილისთვის დამახასიათებელია როგორც უანობრივი მრავალფეროვნება, ისე მრავალსტილიანობაც, რასაც გამოხატავენ როგორც ობიექტური (საიაფორმაციო), ისე სუბიექტური (საზემოქმედო) სტილის ენობრივი ნიშნები. ამიტომ პუბლიცისტური სტილი, ერთი მხრივ, ახლო დგაა სასაუბრო, ოფიციალურადოკუმენტურ და სამეცნიერო, მეორე მხრივ, მხატვრული ნაწარმოების სტილთან.

ს ა ნ ე ფ რ მ ა ც ი კ ს ა ხ ი ს ა ა: ცნობა, განცხადება, რეპორტაჟი, ინტერვიუ, მომოხილვა, ნარკვევი, რეცენზია, აღწერა, ბიოგრაფია, ნეკროლოგი, მოწინავე (გაზეთის, ჟურნალის) და სხვ.

ს ა ზ ე მ კ ე მ ე უ კ ა ნ უ ე მ კ ც ი უ რ - ე ქ ს პ რ ე - ს ი უ ლ ი ა: ფელეტონი, პამფლეტი, ჩანახატი, მოწოდება, ლოზუნგი, მისამართი, პოლიმიკური წერილი და ა.შ.

სათქმელის ცოცხლად გადმოსაცემად გარდა ემოციურ-ექსპრესიული ენობრივი საშუალებებისა, საჭირო შემთხვევაში ხმარობენ აგრეთვე ანდაზებს, ნაკვეთებს, ცნობილი მოღვაწეების ბრძნულ ნათქვამებს, ლექსების ნაწყვიტებსა და სხვ.

უ ასეთი მასალის სტილი ბუნებრივი და მიმზიდველი არ არის, იგი ვერ გაამართლებს მიზანს - ვერ მოახდენს სასურველ გავლენას მკითხველზე.

ლექსიკური:

პუბლიცისტურ ენობრივი სტილი მრავალფეროვანია ლექსიკური შედგენილობითაც. განსაკუთრებით ეს იქმნის საგაზეთო ლექსიკაზე. ამის შუაახებ მ.კოჭინა წერს:

„რასაკვირველია, მდლიანად საგაზეთო ლექსიკა ერთნაირი არ არის, იგი შეიცავს წიგნური სიტყვების დიდ რაოდენობას; მეორე მხრივ, აქ იხმარება სასაუბრო, იშვიათად კი ხალხური (მრავლი) მეტყველების ლექსიკაც, როგორც წესი, სპეციალური სტილისტიკური ნიშნებით. თუ-ცა ამასთან ერთად სიტყვათა ზოგი ჯგუფი გაზეთისათვის ტრ.პობრივიცაა, მაგალითად: საზოგადოებრივპოლიტიკური ტერმინოლოგია, გაზეთის

აქტიური მონაწილეობა, მაღალი მარევენებლები...); ზმნის ნაცვლად აღწერილი ფორმები (დახმარებას უწევს, მონაწილეობას იღებს, ბრძოლას აწარმოებს...).

გარდა ზემოაღნიშნულისა, პუბლიცისტური სტილისთვის დამახასიათებელი ნიშნებია: მარტივი თხრობითი ან მოკლე რთული წინადადებები, დახურული კონსტრუქციის შერწყმული ფრაზები, ჩართული თქმები მტკიცებისა და დასკვნისთვის, განუსაზღვრელიპირიანი წინადადებები მოქმედების განზოგადებულად გამოსახატავად და სხვ., აზრის ექსპრესიულად გადმოსაცემად იხმარება ძახილის, კითხვითი, ბრძანებითი და კითხვითძახილის წინადადებებიც, კითხვაჰასუსები; სიტყვის ლოგიკურად გამოსაყოფად - წინადადების წევრთა ინვერსიული წყობა, სიტყვის მნიშვნელობის გასაძლიერებლად - განმეორება; საგაზეთო მასალათა ეფექტურ სახელწოდებებად კი უმეტესად არჩევენ სახელდებით წინადადებებს.

პუბლიცისტურ სტილში ი ნ ტ მ ა ც ი ა სხვადასხვაა მელოდიკის, რიტმის, ინტენსიურობის ტემპის, ტემპრისა და მახვილის მიხედვით.

3. პუბლიცისტური სტილის წ ე რ ი ლ მ ბ ი თ ი მ ა ს ა ლ ი ს ს ა ხ ე ე ბ ი ა: I. ს ა ი ნ ფ რ მ ა ც ი მ - ცნობა, განცხადება, მიმართვა, მოწოდება, მიმოხილვა, აღწერა, კომენტარი, რეპორტაჟი, ინტერვიუ, ნარკვევი, საუბარი, კორესპონდენცია, კონსულტაცია, რევენზია, პოლემიკა, დადგენილება, ბიოგრაფია, ნეკროლოგი და სხვ.
ს ა ხ ე მ კ მ ე ლ ა: ჩანახატი, დელეტონი, პამფლეტი, სიტყვა (წაკითხული კრებაზე, საზეიმო სხლმანზე...), ნაკვესები და ა.შ.

ზეპირი ფორმებია: პოლიტიკური მოხსენება, სიტყვით გამოხვლა, აგიტაცია და პროპაგანდა.

პუბლიცისტური მასალების გამოყენების საშუალებათა სახეებია: გაზეთი, ჟურნალი, ცადლე გამოცემიანი საზოგადოებრივპოლიტიკური ლიტერატურის სახით, რადიო, ტელევიზია, კინოკერანი (განსაკუთრებულად ლექსმენტური სურათების ჩვენებისას).

საქართველოში პუბლიცისტურმა სტილმა თავისი ნამდვილი განვითარება პოვა XIX საუკუნიდან ქართული გაზეთისა და ჟურნალის გამოცემის დაწყებასთან დაკავშირებით.

ქართული გაზეთის გამოცემა საქართველოში დაიწყო 1819 წელს (მას პირველად ერქვა „საქართველოს გაზეთი“), ხოლო ჟურნალისა - 1832 წელს (სახელწოდებით „სალიტერატურონი ნაწილნი ტვილისის უწყებათან“) I.

I ბ. გუგუშვილი - ქართული ჟურნალისტიკა, თბ., 1941, გვ. 49, 79.

მ. გოსტაძე - ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, თბ., 1954, გვ. 47, 172.

ქართული პუბლიცისტური სტილის პირველ ნიმუშებად ითვლება: I საუკუნის იბერთა მეფის ფარსმან პირველის საჯარო სიტყვა, მიმართული მხედრებისადმი ბრძოლის დაწყებამდე, რასაც იმოწმებს ამავე საუკუნის რომაელი ისტორიკოსი კორნელი ტაციტუსი, და VI საუკუნის კლხეთის მეფის გუბაზის სიტყვა; აქველი ასევე ლაშქრის მიმართ მწერთან ბრძოლის დაწყების წინ¹.

პუბლიცისტური სტილის პირველი სახის ნიმუშია:

ტანს აიყრიან ხეები

ბათუმი. (საკ.კორ.). ისედაც მარადმწვანე აჭარაში ყოველწლიურად ფართოდება ბუნების მწვანე სამოსელი, მშრომელები რგავენ და ახარებენ ახალ ხეივნებს, ბაღებსა და ტყეებს. მარტო წელს აჭარაში დაიჩვენება ორ მილიონამდე ხე და ბუჩქი. მათ შორის 40 ათასი - ქალაქ ბათუმში, ნახევარ მილიონზე მეტი - ქობულეთის რაიონში, ასევე ბევრი ხე დაიჩვენება ხეღვაჩაურისა და ქედის რაიონებში.

ახალი ნარგავები დაამშვენებს ქალაქების პარკებსა და გარეუბნებს, საკურორტო ზონას, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა იმ ადგილებს, სადაც ნიადაგი ეროზიულია.

მშრომელებმა იკისრეს დარგვის შემდეგ მზრუნველობა არ მოაკლონ ახალ ნარგავებს. ამით მნიშვნელოვან წილად შეიტანენ საქართველოს მშრომელების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში (გაზ. „კომ.“ 7.04.1972, გვ.4).

მეორე სახის ნიმუშია:

ცინ არის ბედნიერი

სიზარმაცისაგან გადატაკებული ახალგაზრდა მიადგა ერთ სასახლეს.

- ბედნიერი იქნება ამის პატრონიო, - გაივლო გუნებაში და კარი ფრთხილად შეაღო. ოქროვერცხლის მზინვარებაში მოსპრა თვალის და ისე შეებრაღა საკუთარი თაფი, ცრემლიც კი მოერია, უცებ თვალის მოპკრა მდიდრულ სავოლზე ფარჩააბრეშუმებში გახვეულ კაცს. იგი

I იქვე.

საშინელი ტყვიედებისაგან იკრუნჩხებოდა.

- ეინა ხარ, - წამოიკენესა მან. - წყველი სენის შიშით კაცი აღარ ღაცუნებს ჩემს სასახლეში, შენ კი რატომ გაგიწირავს ააგი?

ახალგაზრდა მუხლებზე დაეცა და შეშლადა:

- მიწყალოზე რამე.

- შენც მიწყალოზე რამე.

- ნებაც, ამ სიმიღირის პატრონი ჩემისთანა გლახაკისაგან რა წყალობას ითხოვ?

- მომეცი შენი ჯანმრთელობა და მთელი ჩემი სიმიღირე შენი იყოს.

- ნებაც მართლა შეიძლებოდაც, - წამოიძახა ახალგაზრდამ.

- ამ წყველი სენის წამალი არ არსებობს, შენი სილატაკისა კი გიცი და გასწავლიო.

- მიშვედე, შენი ჭირიმე.

- ჩემზე ბედნიერი ხარ, ზარმაცო კაცო, ჯანმრთელი ხარ, წადი, იშრომე და გეშველება, მე კი განწირული ვარ, - თქვა მდიდარმა კაცმა და ტანჯვაში ამოხდა სული.

ილია წიკლაური

ფედეტონი

სხვისა ცუდის მლომსაო...

- რა ჯიშისაა ეგ ოჯახბერი. ორი წელია ლოგინში გდია და აღარ დაადგა სახველი. სიკვდილსაც ეზარება ეგ ძაღლთაპირი და მე რა ვალებული ვარ მოეუარო. ოოდის იყო რძალი უძლიდა დედამთილს, შეიღი ხარ და მენ მიხედე, - ბრაზით მიუჯახუნა ქმარს სახლის კარი ღიზამ და გარეთ გაეარდა.

ჩხუბში ერთი საათი გასულიყო, სამსახურში აგვიანებოდა და დარდი კლავდა, უჯროსი რას ეტყოდა.

- აღბათ ავადმყოფ ღედამთილზე ზრუნვას გადაჰყვეით, - შეაგება უჯროსმა, - ასე უნდა, ყორად, ქალო!

- რა ექნა, ჩემს მებტი პატრონი არ მყავს, - თვალეპზე ცხვირსა-
ხოცი აიფარა ღიზამ.

- დამშვიდდით და საქმეს შეუდექით. ყოველნიარად შეგიწყობთ ხელს.

„გადაერჩი, გადარჩენა არ ეღირსოს ჩემს ღედამთილს“, - ამოი-
სუნაქა „მზრუნველმა“ რძალმა.

ასე მიორღებოდა თითქმის ყოველდღე. ჩხუბსა და ავეჯიაობაში დრო გადიოდა და ავადმჯოფი დედამთილის სახელით რძალი სამსახურში ფონს გადიოდა.

- კვდება საწყალი, წუხელ მთელი ღამე არ გვიძინია მე და ჩემს მეუღლეს. ამალამ კი ცელარ გაატანს ის საცოდავი, - შესჩიოდა თანამშრომლებს. ისინიც თანაუგრძნობდნენ, მის საკმეს აკეთებდნენ და შინ ადრე უშვებდნენ, ოღონდ იმ საწყალ ქალს მიხებდნენ.

ერთ დღეს, როცა ღიზა სამსახურიდან შინ ბრუნდებოდა, დედა-მთილის დამარხვის ეკონომიურ ვეგმებს აწყობდა და შემოსავალს ანგარიშობდა, ეზოს კართან პატარა გოგონა ზღუქუნით შეეგება - ბებია მოკვდაო.

„უპატრონოდ ჩაძაღვებულია, ხალხი არ ჩანს. გაიხარე ღიზა, სახლიც შენია და კარიც. ჩემს ნებაზე ციქნები, აღარც მხარაჟობზე წამოწოლას დაგიშლის ვინმე და არც აქეთაჟით სიარულს, - გაიფიქრა ღიზამ და შემდეგ ბავშვს დაუყვავა: „ხომ არ შეშინდი, დედა გენაცუებოდა, მარტო იყავი სახლში?“

- არა, დეპეშა რომ მივიღე, ბებო იყო სახლში.

- რა დეპეშა, ეინ ბებია! - იკვირებ ღიზამ.

- დედაშენი გარდაიცვალა, შეილა, - კარი გააღო დედამთილმა და ცრემლი ჩამოუვარდა დანაოკებულ სახეზე.

განო დგებუაძე

ვაზ. „სოფლის ცხოვრება“, 9.04.1972, გვ.4.

სუბიექტური ღუნქციური სტილის სახეები

§18. სასაუბრო სტილი

ს საუბარი არის ლაპარაკი ანუ ბაასი ვინმესთან, ხოლო სასაუბრო სტილი - ისეთი ენობრივი თავისებურება, რომელიც ახასიათებს ზეპირ მეტყველებას ადამიანთა ჭოველდღიური საყოფაცხოვრებო ურთიერთობისას.

სასაუბრო მეტყველება ძირითადად გულისხმობს უშუალო ენობრივ ურთიერთობას ორ პირს შორის, ე.ი. დიალოგს, და, წიგნური ენისგან განსხვავებით, არ არის განსაზღვრული სათქმელის წინასწარი გააზრებითა და ასევე ენობრივ საშუალებათა წინასწარი შერჩევით.

ღუნქცია:

აზრობრივ-ემოციური კომუნიკაცია, ენობრივი ურთიერთობის დამყარება საუბრის პროცესში.

2. ს ტ ი ლ უ რ ი თ ა ე ი ს ე ბ უ რ ე ბ ა ნ ი :

შინაარსობრივი :

აზრებისა და ვრძნობების გამოსატყობად უბრალოდ, მარტივად, კონკრეტულად, ასევე გამომსახველად უმთავრესად საყოფაცხოვრებო მოვლენებზე, პიროვნებებზე, საგნებზე, მოვლენებზე, ადამიანთა საქმიებზე, ხასიათზე, ურთიერთდამოკიდებაზე და სხვ.

აღნიშნულ სტილს ახასიათებს სუბიექტურობის ნიშნები, განისაზღვრება მოსაუბრისა და თანამოსაუბრის ცოდნით, ინტერესით, მიზნით; გამოსატყობს ამბავს, კახვებაშასუხებს, ბრძანებებს, ვრძნობებს; კმაყოფილებას, სიამოვნებას, მოწონებას, აღტაცებას, აღერსს ანდა უსიამოვნებას, დანაწებას, დაცინებას; აღშფოთებასა და სხვ.

ფორმობრივი :

ზეპირი მიტყველება, ძირითადად დიალოგი (საუბარი კითხვაშასუხებით), მოკლე რეპლიკები, ასევე ზოგჯერ მოკლე მონოლოგები ან გაბმული თხრობა.

ლექსიკური :

ახასიათებს მრავალფეროვანი საყოფაცხოვრებო ლექსიკა; ფაშილარული (შინაურული, მოურიდებელი), ემოციის, ექსპრესიისა და შეფასებითი იერის სიტყვები (შორისდებულები, ნაწილაკები...), წინადადებაში სიტყვათა განმეორება შინაარსის ხაზგასმით აღსანიშნავად, ასევე განკრძობული წევრები, ჩარული თქმები, მიმართვა; ზოგჯერ შეკვეცილი სიტყვები (დახე, შეხე, წამო, გამო...), დიალექტიზმები, ბარბაროზმები, ტარგონიზმები, მოუღებელი კალკები; სიტყვების ხმარება როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით.

შენიშნება აგრეთვე ზედმეტი სიტყვების ხმარება, მაგალითად: ნაცვალსახელების სიხშირე ზმნაშემასმენლებთან, ზმნიზედების დამატება მიმართულების აღსანიშნავად ამავე უნქეიის ზმნისწინიან ანუ პრევერბიან ზმნებთან, ხარისხის გამომხატველი ორგანული წარმოებისა და აღწერითი ფორმების აღრევა (აჟი გითხარი - აჟი მე შენ გითხარი; ნიკო, ამოდი! - ნიკო, ამოდი ზეით! ეს ავტოკალამი უკეთესია - ეს ავტოკალამი უფრო უკეთესია) და სხვ.

გრამატიკული :

მრავალგვარი მორფოლოგიური და სინტაქსური ენობრივი საშუალებანი, შეფასებითი აფექსები, როგორც თხრობითი, ისე კითხვითი, ბრძანებითი და ძახილის წინადადებების სიმრავლე; ხშირად რული წინადადებების შენაცვლება მარტივით; აზრის მოკლე გადმოცემის

მიზნით უმთავრესად უსრული და გაურკვევლი ფრაზები (რადგანაც დიალოგის დროს კითხვა აადვილებს პასუხის გაგებას იმიტომ, რომ პასუხში გამოტოვებული სიტყვები კითხვაში არის მოცემული), რთული წინადადებების გამოყენება ასევე შემოკლებულად. ნაკლები კონტროლი ეწევა ენის დახვეწილობას, გრამატიკული წესების ზუსტად დატყობას, ზოგჯერ სიტყვების ბუნებრივ წყობასაც და სხე.

ინტონაციის მიხედვით სასაუბრო მეტყველებას ახასიათებს ხმის მოდულაციის მრავალფეროვნება: თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ძახილის, კითხვითძახილის; ლოგიკური და ტონური მახვილები, მეტყველების ჩქარი ტემპი. ინტონაციის საშუალებით მარტო ერთი სიტყვითაც ადვილად შეიძლება გამოიხატოს არა მარტო სხვადასხვა აზრობრივი ელემენტი, არამედ განსხვავებული აზრიც. მაგალითად, ავტობუსში კონდუქტორი მიმართავს ახალშემოსულ მგზავრს: „ბილეთი!“ - ეს ამ სიტუაციაში ნიშნავს: „ბილეთი შეიძინეთ!“ მაგრამ, თუ ამ სიტყვით მგზავრი მიმართავს კონდუქტორს, მაშინ ნიშნავს - „მომეცით „ბილეთი!“ და, თუ კონტროლიორი - მგზავრს, ამ შემთხვევაში ნიშნავს - „მარევენთ თქვენი ბილეთი!“

ამ სამგვარი აზრის გამოსახატავად სიტყვა „ბილეთი“ (არსებითი სახელით გადმოცემული წინადადება) სრულებით არ სპეციფიკურს სხვა სიტყვის (თუნდაც ზმნის) ან სიტყვების დამატებას, ეინაიდან უამისოდაც ინტონაციისა და სათანადო სიტუაციის წყალობით აზრი ადვილად გასაგებია. წერის დროს კი (თუ პერსონაჟის რეპლიკად არ არის დიალოგში გამოყენებული, იგი გასაგები რომ იყოს, უნდა დავუმატოთ შემასმენელი, ე.ი. უფრო სრული სახით გამოვხატოთ აზრი, მაგალითად ასე: ბილეთი შეიძინეთ! მომეცით ბილეთი! მარევენთ ბილეთი!

ზეპირი მეტყველების დროს სიტყვას ადვილად შეუძლია მიიღოს მეტი გამომსახველობითი ძალა და უფრო ძლიერი გავლენა მოახდინოს მსმენელზე, ვიდრე წერილობითი სახით მკითხველზე. ეს იმიტომ, რომ, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, ენობრივ ელემენტებს, რომელთაც წინადადებაში იყენებენ წერის დროს, ემატება გრძნობის გამოხატვის სხვა საშუალებანი: ინტონაცია (თავისი მრავალსახეობით), მიმიკა: ექსპრესია და აქცენტები.

ზეპირი ინფორმაციის მიღებისას მონაწილეობს როგორც სმენის, ისე მხედველობის ორგანო, ამიტომ მეტყველების დროს სიტყვის ფსიქოლოგიური ზეგავლენა ადამიანზე წერილს მეტყველებასთან შედარებით უფრო ძლიერია.

3. ვარდა დიალოგისა, ზეპირ მეტყველებას განეკუთვნება თ ხ რ თ ბ ა ც! ლექცია, მოხსენება, რაიმე ამზის გამოცხადება, საჯარო სიტყვა და სხე., რომელთა გადაცემა ხდება აგრეთვე წერილო-

ბითაც და ტექნიკური საშუალებებითაც: რადიოთი, მაგნიტოფონით, ტელეფონით, ტელევიზორით, მაგრამ ასეთი მეტყველების სტილი უმთავრესად წიგნურია, სადაც დიდი ყურადღება ექცევა სალიტერატურო ენის გრამატიკული და სტილისტიკური ნორმების დაცვას, რადგანაც მისი საფუძველი არის წერილი მეტყველება.

ჩვეულებრივი სასაუბრო სტილი წერილობით ენაში მაშინ შეინიშნება, როდესაც მწერალი მას საგანგებოდ იყენებს მხატვრულ პროზასა და განსაკუთრებით კი პიესებში პერსონაჟის მეტყველების თავისებურების საჩვენებლად.

საერთოდ, როგორც წერის, ისე ზეპირი მეტყველების დროს სალიტერატურო ენის წესებს ზუსტად იცავს მაღალი კულტურის მქონე ადამიანი, დაბალი კულტურის ადამიანს კი არ შეუძლია ენაში დადგინილი წესების ზუსტად დაცვა და, რაც მთავარია ის ყურადღებას არ აქცევს ენის სიწმინდეს, ვერ ახერხებს აზრის კონკრეტულად, სხარტად გადმოცემას, ახასიათებს მრავალსიტყვაობა, ზოგჯერ არაფრის მთქმელი ზედმეტი სიტყვების, ე.წ. სიტყვა - ჰარაზიტების ხმარებას.

§19. მხატვრული სტილი

„მხატვრულია სტილი, რომელიც შეიცავს გამომსახველობითს (ემოციურ, ექსპრესიულ და შეფასებითს) ენობრივ საშუალებებს, სადაც სინამდვილის ხატონად ასახახავად ყოველი შერჩეული სიტყვა ცნებასთან ერთად გამოხატავს წარმოდგენასა და ესთეტიკურ განწყობას. იგი არის მეტყველების ხელგნება, მაღალი სტილი და ძირითადად მხატვრული ნაწარმოებების (პროზისა და პოეზიის) ნიშანდობლივი ენობრივი თავისებურება.“

ამრიგად, მხატვრულობა არის აზრისა და გრძნობის გამოხატვის განსაკუთრებულ ენობრივ შესაძლებლობა, რომლის თავისებურების გაგება ადვილად შეიძლება, როდესაც მას შევადარებთ, მაგალითად, სამეცნიერო სტილს¹ ამ ორ სტილს შორის არსებული სხვაობა კარგად აქვს აღნიშნული XIX საუკუნის დიდ რუს მოაზროვნეს ბ. ბელინსკის, რომელიც წერდა: „ფილოსოფოსი და პარაკლზის სილგოზმებით, მგოსანი - სახეებითა და სურათებით, ორივე კი ამბობს ერთსა და იმავეს... ერთი ამტკიცებს, მეორე არცენებს, ორივე კი არწმუნებს, ოღონდ ერთი ლოკიკური საბუთებით, მეორე - სურათებით“¹.

1 В.Г.Белкинский - Полит. собр. соч., М., т. III, 1943, стр. 298.

მეტნიერება სინამდვილეს ასახაეც ცნებებით, ლოგიკური მსჯელობებით, ხელოვნება კი მას წარმოგვიდგენს მხატვრულ სახეებში ენის გამომსახველობითი საშუალებებით; ერთი გამოხატაეც მხოლოდ აზრებს, მტკიცებას, დასკენას, მეორე - აზრებს ემოციურ და ექსპრესიულ ფორმებში; ერთი გაცლენას ახდენს მხოლოდ გონებაზე, მეორე - როგორც გონებაზე, ისე გრძნობაზე და აქვს როგორც საკომუნიკაციო, ისე ესთეტიკური მნიშვნელობა.

ამგვარად, ყოველ ენობრივ სტილს ახასიათებს „ტიპობრივი ნიშნების კომპლექსი“¹.

I. ფუნქციია:

სინამდვილის ასახვა გამომსახველობითი ენობრივი საშუალებებით. არა მარტო ინფორმაციის გადაცემა, არამედ მასთან ერთად ადამიანზე აზრობრივ-ემოციური ზემოქმედება, ე.ი. მხატვრული მეთველებების საკომუნიკაციო ფუნქციას ემატება ესთეტიკური ფუნქცია, გაგებინების ფუნქციას - ზემოქმედების ფუნქცია, რის შედეგადაც ნათქვამი გავლენას ახდენს ადამიანის არა მარტო გონებაზე, არამედ გრძნობაზედაც, ამიტომ ყოველი წინადადების შინაარსი უფრო ადვილად გასაგები, საინტერესო და შთამბეჭდავია? ბელეტრისტულ ნაწარმოებებში მისი დანიშნულებაა მხატვრული ენობრივი საშუალებებით გააცნოს მკითხველს დადებითი და უარყოფითი პერსონაჟების საქმიანობა, მიდრეკილება, ხასიათი, მისაბაძი და დასაგმობი მოქმედება, ზნეჩვეულებანი, რაც მკითხველში იწვევს სხვადასხვა გრძნობასა და დამოკიდებულებას ასახული ფაქტებისა და ნაწარმოებში გამოყვანილი ტიპებისადმი.

როგორც ა. ეფიმოვი აღნიშნავს „უმნიშვნელოვანესი ნიშანთვსებები, რომლებითაც მხატვრული სტილი განსხვავდება სხვა სტილისგან, არის ესთეტიკური ფუნქცია, გამომსახველობა და ექსპრესიულობა“².

2. მხატვრული სტილის თავისებურებანი:

შინაარსობრივი:

სინამდვილისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების გამოხატვა, ცხოვრებისეული დადებითი და უარყოფითი, მისაბაძი და დასაგმობი მოვლენების ასახვა, სხვადასხვა ადამიანის ტიპობრივი სახის, სულიერი სამყაროს, მოქმედების, მიზნების, ურთიერთდამოკიდებულების; მეგობრობის, სიყვარულის, გმირობისა და სხვ. მისთ. ცოცხალ სურათებში მოცემა, რასაც ადამიანისთვის აქვს უდიდესი განმავითარებელი, გამაკეთილშობილებელი, გაამაზნევებელი და, საერთოდ, სპოგადობრივი.

1 В.В.Виноградов - Стилистика. Теория поэтической речи. Поэтика, М., 1963, стр. 5.

2 А.И.Ефимов - Стилистика русского языка, М., 1969, стр.15.

ადმზრდელობითი მნიშვნელობა, ასევე ინდივიდუალურისა და კონკრეტულის განზოგადებულად ანუ ტიპობრივად ჩვენება, ემოციურობა, ექსპრესიულობა, შეფასებითი დამოკიდებულების გადმოყემა და სხვ.

ფორმობრივი:

ძირითადად არის წერილობითი, მონოლოგურიცა და დიალოგურიც. ზეპირი შეტყველების დროს გამოიხატება დეკლამაციის სახით უმატრესად საზეიმო ან ლიტერატურულ საღამოებზე; რეპლიკების სახით - სპექტაკლებზე. ყველა შემთხვევაში ახასიათებს მხატვრობა, გამოვსახველობა.

დექსიკური:

ნეიტრალური სტილის დექსიკასთან ერთად ემოციის (სიხარულის, აღტაცების, გაკვირვების, აღშლუთების, ზიზღის, დაცინვის...), მოდალობის (სათქმელისადმი მოუბროს დამოკიდებულების), ექსპრესივის გამოვსახველი სიტყვების ფართოდ გამოყენება; სიტყვების გადატანითი მნიშვნელობით ანუ სხვა აზრობრივი ელემენტით ხმარება; ტროპების (მეტაფორის, მეტონიმიის, ვაპიროვნების, ალევორიის, სინეკდოქეს, პიპერბოლის, ლიტოტესის, პერიფრაზის, ეფფემიზმის, ირონიის...), ასევე ეპითეტების, სინონიმების, ომონიმების, ანტონიმების სიხშირე არქაიზმების, პოეტისიფიკაციებისა და უცხო სიტყვების ხმარება მხატვრული დანიშნულებით.

მხატვრულ შეტყველებაში საჰიროების დროს იხმარება აგრეთვე უარყოფითი ენობრივი ელემენტები (ლიაღერტიზმები, პარაბრიზმები, უარგონიზმები, მიუღებელი კატეგორიები და უელპარიზმები), მაგრამ მათი დანიშნულება მხოლოდ ის არის, რამ რეალურად ასახოს ნაწარმოების ამა თუ იმ პერსონაჟის სახე. ამის შეგალითავე შეიძლება ცაეასახელოთ უცახა შრიამვილის შეტყველება იღია ცაეუაეამის „გღუხა განთავისუფლების პირველდროების სეენებიდან“ ან მიკირტემ განპარირისა და ივანე დიხეუდიძის შეტყველება გ. ერისთავის „ვაყრიდან“.

მხატვრული ენის სტილისთვის დამახასიათებელი სხვა ნიშნებია ზგერთა პარამონილობა, რიტმი, რთმა (გასსაკლერციოთ პუეურ ნაწარმოებებში), მავრამ, სავრთოლ, მთავარი მარინე სიტყვაა. მ. მიხაილოვის აზრით, „სიტყვა მხატვრულ ლიტერატურაში - ეს არის იგივე, რაც ზგერა მუსიკაში; ფერი, ხაზი და სინთაქსი - როგორღი დერწერაში; ფივურა - არქიტექტურაში, მიძრაობა - პორტოგრაფიაში... სიტყვა მხატვრულ ლიტერატურულ ნაწარმოებში ორგინალურად არის შეწყვეტილი სახესთან“. ამ შემთხვევაში სიტყვა შეიძლება შევადაროთ ავურს, რომლითაც ერთ ოსტატს სუეძლია აავოს მხლოდ უმრალ, შეუხედავი

შენობა, მუორეს, უკუთეს ოსტატს, კი - შესანიშნავი სასახლე. შინააარსისა და ფორმის ერთიანობა - აი რა არის მათეარი.

გრამატიკული:

შეუასებითაი გრამატიკული ფორმების ანუ აფიქსების შერჩევა (კენიწობითი, მოფერებითი), მრავლობითი რიცხვის ფორმა მხოლოობითის მინიშნელებით, მხოლოობითისა - მრავლობითის გავგებით, ზმენების ხმა-რება სხვადასხვა კილში, პირსა და დრში, ასევე სხვადასხვა მწკრი-ვში; სიტყვათა მყარი შენაერთების (ფრაზეოლოგიური და იდიომატური თქმების) სიხშირე; ახრობითან ერთად კითხვითი, ბრძანებითი და ძა-ხილის წინადადეგები; სიტყვათა წყობა წინადადეგაში როგორც პირდა-პირი, ისე ირიბი ანუ ინვერსიული; ყველა ტიპის წინადადება აგებუ-ლების მიხედვით, მაგრამ რაღი წინადადეგის ხმარებისას უმთავრე-სად უკავშირო, როგორც სხარტი ფორმა, დიალოგებში კი - მოკლე, უსრული წინადადეგები.

მხატვრული ნაწარმოების სტილისთვის დამახასიათებელია აკრთვერ-სიტატესური ფიგურები; რიტორიკული კითხვები, მიმართვა, შეძახილი; გარდაცია, ელიფსი, ანტითეზა და სხვ. ახასიათებს წინადადეგებში აზრის ხაზგასმით გამოსახატავად სიტყვის განმუორებაც.

ინფორმაციის მიხედვით ეს სტილი განსაკუთრებულია, ნაირფერო-ვანი მასალის ახრობა ან წაკითხვა დაკავშირებულია ხმის მოდუდაცი-ის ნაირსახეობასთან, აზრის ემოციურაექსპრესიულად გადმოცემასთან. ტონური და ლოგიკური მიხედვები ასრულებენ დიდ როლს.

3. მხატვრული სტილით იწერება ბ ე ლ ე ტ რ ი ს ტ უ ლ ი (მო-ახრობა, ნოველა, რომანი, ფელეტონი, პამფლეტი, ჩანახატი...), პ ო ე ტ უ რ ი (ლექსი, პოემა), დ რ ა მ ა ტ უ ლ ი (დრამა, კომედია, ტრაგედია), სხვადასხვა ი უ მ ო რ ი ს ტ უ ლ მ ს ა - ტ ი რ უ ლ ი და მისა. ნაწარმოებები.

მხატვრულ ნაწარმოებათა უანრობრივი სხვაობა სტილის სხვაობა-საც განაპირობებს, ამიტომ მხატვრული ნაწარმოების სახეები ამავი დროს წარმოადგენენ მხატვრული სტილის გარჩიანტებს.

სტილის მიხედვით განსაკუთრებით განსხვავდება ერთმანეთისგან ბელეტრისტკია და პოეზია. გარდა ფორმისა, მათ შორის სხვაობას ისიც კმნის, რომ პოეტური სტილი ჭარბად შეიცავს ენის ემოციურაექსპრე-სიულ საშუალებებს და ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ს მ უ ს ნ ი კ ა ლ მ ბ ა (რიტმი, რითმა, მელოდია).

ამრიგად, მხატვრული სტილი შეიცავს ისეთ ენობრივ საშუადე-ბებს, რომლებითაც შესაძლებელია ყველაზე უფრო ნათლად დაიხატოს ესა თუ ის სურათი, ადამიანის სახე, აზრთან ერთად გადმოიციეს გრძნო-ბა, რაც აძლიერებს ფსიქიკურ და ესთეტიკურ გაცვენას მკითხველსა და

მსმენელზე, იწვევს აღწერილი საგნებისა და მოვლენებისადმი სიმპათიას ან ანტიპათიას, აღრმავებს წარმოდგენას სინამდვილეზე. ეს კარგად ჩანს თუნდაც ასეთი მარტივი მაგალითების შედარებიდან:

ბუხარში ცეცხლი ანთია - მსიარულად გუგუნებს ბუხარი, გათენდა - ცამ მოიხსნა პირბადე; მოხერხებულად გააკეთა - არც მწვადი დაწვა და არც შამურის; ესია მოვინა - გულზე ვარდი გადაეფინა და სხვ., მაგრამ მთავარი ის არის, რომ მხატვრული სტილის ნიშანი უმთავრესად არ არის საერთო ხასიათისა, რომელსაც ერთნაირად უნდა იყენებდეს ყველა, როგორც სავალდებულო სტილურ ნორმას. ამ შემთხვევაში ენობრივი საშუალებების შერჩევა უმთავრესად დამოკიდებულია პიროვნების ენობრივ მარჯვსა და ოსტატობაზე, მის გამოვლენაზე, მიზანზე, ცოდნასა და გამოცდილებაზე. ამიტომ ყოველი ავტორის ენობრივ სტილს ახასიათებს თავისებურება, რის გამოც ზოგიერთის ნაწარმოები სტილის მიხედვით შედარებით მდარეა, ზოგიერთისა კი - მაღალმხატვრული.

მწერლის მტკიცებების ინდივიდუალობა თითქმის ყველა მხატვრულ ნაწარმოებში ხეინიშნება და ზოგჯერ იმდენად ნათლად მჟღავნდება, რომ ნაწარმოების ნაწყვეტიცა ან ერთი ლექსიცა ადვილად შეიძლება გამოიყნოს გამოცდილმა მკითხველმა, თუ ვინ არის მისი ავტორი.

მხატვრული სტილის ნიმუშები

პროზიდან

ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქერივი“, თავი XI.

ორი თვარი

(ნაწყვეტი)

იმ დღეს, როცა გიორგიმ დააპირა არჩილიანას წასვლა მოჯამაგირედ დასაღვთმად, ისეთი მსიარული სახე უტონდა, რომ ოთარაანთ ქერივმა სიამოვნებითა სთქვა:

- ძლივს შეზღვახსნილი არა ვნახე!

სიამოვნებით კი სთქვა?..

ასაზედ ჰოც ითქმის და არაუა. ეს რაღაც „წიანანარღილიანი“ სიამოვნება იყო. მზიანი იმიტომ - რომ უხარდა სვილის სიხარული, ჩრდილიანი იმიტომ - რომ ეწუხებოდა დედური წუხილი, სტკიოდა დედური გული, - რად უხარინ ჩემგან წასვლა და სხვასთან ყოფნა!.. მზე და ჩრდილი, ნათელი და ბნელი, ტკივილი და ამება ერთმა ეთში გაება და ჩაეწნა...

გიორგი პატარა ხანს შემდეგ ხელახლად მიუტრიალდა დედას, ხელი ჩაჰკიდა შეკრულს ბარჯსა და ეგრე, ხელჩაკიდებისაგან ერთ მხრეც გადახრილმა, უთხრა:

- ნება შენი იყოს, დედი!.. ამ ბარჯიშბარხანთ მიუვად...

სთქვა ესა, მხიარულად შეიგლო მხარზედ ბარჯი და გასწია.

ოთარაანთ ქვრივმა დიდხანს ადევნა თვალი დერეფნიდამ... დიდ-

ხანს ადევნა, დიდხანს, მინამ თვალთაგან მიეფარებოდა შეილი, თითქო ხმაამოუღებლად იხვეწამოუღარებოდა, - ერთი მინაც შემომხედოსო. მაგრამ გიორგიმ უკან აღარ მოიხედა...

დედას გულმა ტრხა დაუწყო.

- უკან აღარ ჯიოხედა!.. - დაიქენესა დედამ, - ჩემგან მიდის, თითქო ძაფიც არ იჭერს; სხვაგან მიდის, თითქო თაკით ეწვევიანო.

ფეხმდგომელას ოთარაანთ ქვრივს თავი ძირს ჩამოუვარდა დამბლა-სავეით, თითქო კისრის ძარღვი გაუწყდა, ვეღარ შეიმაგრა და ნიკაპით გულზედ დასაბჯუნადა დაეკიდაო.

- ჩემგან მიდის და პატარა ნადველიც უკან არ ახედებს... განა აქ არა დაპირაა?.. სხვაგან მიდის და სიხარული მარტო წინ აყურებინებს... განა ყველაფერი იქ არის, სულ ყველაფერი!.. - დაიქენესა ხელახლად დედის გულმა.

ამის თქმაზედ ოთარაანთ ქვრივმა კაბის სახელო წამოიწია და მთელი მკლავი დაჭიმულ სახელოთი მოისო თვალმხედ... .

დიდხანს იტრიბას ამ ფიქრების მორევეში გულმა და გონებამ ოთარაანთ ქვრივისამ. მერე თითქო რაღაც ხილი გაიდოვო მორევიდამ გა-მოსასხველად, წამოდგა ფეხზედ და ხმამაღლა სთქვა:

- არა, შეილო!.. შენ გაიხარე, შენ!.. მე კი... მე კი...

მე ჩემისად მაყურებელს თვალს დავიბრმავებ და შენისად მაყურებლით და ვივლი და ვიყოცხლებ...

პ ე ზ ი ი დ ა ნ

ნაწყვეტი გალაკტიონ ტაბიძის ლექსიდან „მშობლიურო ჩემო მიწავ!“

სამი დიდი ოკეანე

გარე უღელის ნათელ მხარეს,

მთვარეიანი და მზიანი

ზევა აფრქვევს სიანკარეს.

ორ ზღვას უნა ძველისძველად

საოშარი იყო დელო -

ის გაღარბა და სახელად
 ეწოდება საქართველო.
 მშობლიურს ჩემს მიწავ,
 შენს საყვარელ სახელს ცფიცავ,
 რომ დავიცავ შენს დიდებას,
 წინაპართა ძეგლებს დავიცავ!

ქვეყნის შტის მზით ავსება
 საგანია ჩვენი ზრუნვის,
 ჩვენ შევსძელით დაფასება
 ჩვენი მძღვერი საუკუნის.
 გავიარეთ სვედისმგვრელი
 გზათა სივრცე და საზღვარი,
 გადავლახეთ ღამე ბნელი
 და ბურუსი ყოველგვარი.
 მშობლიურს ჩემს მიწავ,
 შენს საყვარელ სახელს ცფიცავ,
 გიცავდი და გიცავ მარად,
 გიცავდი და კვლავ დავიცავ!

ნაწყვეტი ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწარმოებიდან „ბედი ქართლისა“

... მორბის არაგვი, არაგვიანი,
 თან მოსძახნიან მთანი ტყუიანი,
 და შეუპოვრად მოუთამაშებს
 გარემო თვისსა ატეხილს ჭილებს.
 ჰი, ნაპირნო, არაგვის პირნო,
 მობიბინენო, შეგებით მომზირნო,
 ქართველსა გულმან როგორ გაუძღოს,
 მდებს შევენება თქვენი იხილს,
 რომ თქვენს ბურქებში არა ჩამოხდეს,
 რაც უნდა გზასაც ეშურებოდეს!
 როგორ იქნება არ განისვენოს?
 სამჯერ ხომ მაინც გადაჰკრავს ღვინოს,
 ცხენს მოაძოვებს, თვალს მოატყუებს,

გამოიღვიძებს - შუბლს განიგრიდებს,
 ერთს ქართველურად კიდევ შექსდახებს,
 არაგვო, მაგ შენ ამწვანებულ მიდებს,
 და მერმე თუნდაც დაუგვიანდეს,
 იგი იმისთვის აღარ დაღონდეს!..

§20. ორატორული სტილი

ორატორული (ანუ რიტორიკული) პეტიცია ენობრივ სტილს, რომელიც ახასიათებს ნმეგრმეტყველებას. იგი არის ამჟღავნებელი მეტყველება, სადაც აზრებისა და გრძობების გამოსახატავად იხმარება საკანგებოდ შერჩეული მხატვრული ენობრივი საშუალებანი. სხვაგვარად მას ორატორულ ხელოვნებასაც უწოდებენ.

1. ფუნქცია:

ახასიათებს აზრების ნათლად, ემოციურად, ექსპრესიულად და დამაჯერებლად გამოსატყვევება, მსმენელზე იდეური და ფსიქოლოგიური ზემოქმედება; ენობრივი საშუალებების ისე შერჩევა და აზრის ისეთი ხერხით გადაცემა, რომ გამოიწვიოს დაინტერესება, ადვილად შექმნას აღაშინაში საუბრის საცნისაღმნი დაღებითი ან უარყოფითი განწყობილება; მზიარული, საზეიმო, თანაგრძნობის ან, პიროქით, სინანულის, წუხილის, ზიზღისა და სხვ.

სიტყვით გამოსვლისას ორატორს უსდება აუდიტორიის განათლების დონის გათვალისწინება და ამის მიხედვით დაინტერესების საშუალებათა შერჩევა.

მ.მისაილოვის აზრით, რიტორიკული სტილი თავისი ფუნქციით უკავს პუბლიცისტურს, მაგრამ ამასთანავე აღნიშნავს მათ შორის დიდ სხვაობასაც:

„პუბლიცისტური სტილის ფუნქცია განისაზღვრება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ზემოქმედებით; პარადულარიტორიკული სტილი კი - არა მარტო საზოგადოებრივ-პოლიტიკური, არამედ სხვა სახის, მაგალითად, ესთეტიკური, მორალურ-ეუთიკური, რელიგიური და სხვ. ზემოქმედებითაა“¹.

2. სტილიური თანვის ეტიკეტებიანი:

შინაარსობრივი:

მეტყველების მაღალი კულტურა: თხრობის ზუსტი ლოგიკური თანამიმდევრობა, ლექსიკური სიმდიდრე, სისწორე, ლაკონიურობა, ემოციურობა; აზრების გამოხატვა არა მარტო კონკრეტული ფაქტებით, მათი ღრმა ანალიზით, არამედ ამ ფაქტების ოსტატურად აღწერა=დახასიათებითაც, მიუხედავად იმისა, მსჯელობის საგანი დადებითია თუ უარყოფითი, ორაბორი მატქსიმალურად იყენებს ენის გამომსახველობის საშუალებებს. ასეთ შემთხვევებში აზრის ლოგიკას ემატება ემოცია და ექსპრესია.

ინიც ადსანიშნავია, რომ, თუ სასამართლო პროცესზე ორაბორი ენის მხატვრულობასთან ერთად დიდ ყურადღებას აქცევს მსჯელობის დახვეწილობას, ფაქტების თანამიმდევრობით განხილვასა და ღრმა ანალიზს ან მტკიცებას, საზეიმო სიტყვაში უფრო მეტად მიმართავს მაღალფარდოვან გამოთქმებს, ემოციურ=ექსპრესიულ ენობრივ შესაძლებლობებს, აზრების მხატვრული ელფერით გადმოცემას, ციფრე ფაქტების დასახელებასა და მტკიცებას.

ორაბორი ხშირად სარეზუმობს ანდაზებით, აფორიზმებით, ნაკვესებით, სხვისი აზრების დამოწმებით ციტატების სახით, მაგრამ მარტო ფაქტების აღნიშვნა, დარეგება, გაფრთხილება და სხვ. მხატვრული ენობრივი საშუალებების გარეშე, რასაც კირეველია, ეფექტური არ არის.

საერთად, ორაბორის სიტყვები უმთავრესად მთავრდება მოწოდებით, მაღლობის გადახდით, კეთილი სურვილებით, ახალი მიზნების დასახვით ან კიდევ თანაგრძობის, სინანულის, მწუხარების, აღმშობების, მუქარისა და სხვ. მისთ. გამოხატვით.

ფორმობრივი:

უმთავრესად არის ზეპირი, არის წერილობითიც, რომელსაც ავტორი გამოსვლისას კითხულობს. წერილობითი სიტყვა ხშირად ქვეყნდება გაზეთში, ჟურნალში. ან ცალკე გამოცემად. ახასიათებს დახვეწილი გამოთქმები, ზოგჯერ რიტმულობა.

აღნიშნული მეთყველების კომპოზიციური ფორმებია: მოხსენება, ლექცია, დისკუსია, საუბარი და სხვ.

ლექსიკური:

ორაბორული მეთყველება მდიდარია მხატვრული ენისთვის დამახასიათებელი ემოციურ=ექსპრესიული სიტყვებით; სინონიმებით, ანტონიმებით, ეპითეტებით, ფრაზოლოგიით, ტროპებით, რიტორიკული ფიგურებით და სხვ.; ასევე პოზიციური (დადებითი) და ნეგატიური (უარყოფითი) შინაარსის შეფასებითი სიტყვებით; თანაც სიტყვები გამოიყენება ციწრო და ფართო მნიშვნელობით; ახასიათებს სიტყვის განმეორება შთაბეჭდილების გასაძლიერებლად და ა.შ.

იმისდა მიხედვით, თუ რა შინაარსისა გამოსახატავეი სათქმელში, ორატორი ერთ შემთხვევაში არჩევს ა ლ მ ა ფ რ ა თ ე ა ნ ე ბ ე ლ ს ი ტ ყ ვ ე ბ ს (მაგალითად: სახელოვანი, დაუვიწყარი, ღვათებრივი, ჯადოსნური, განუყოფელი, რაინდი, ბრძენი...), მეორე შემთხვევაში - შ ე ბ რ ა ლ ე ბ ი ს გ ა მ ო მ ხ ა ტ ვ ე ლ ს (საცოდავი, დარბარული, გაწამებული, დაერღოვილი, დამონებული, მრავალბანჯული...), მესამე შემთხვევაში - ზ ი ზ დ ი ს ა ლ მ ნ ი შ - ც ნ ე ლ ს (უსინდისო, ხულიგანი, ჭურდი, კაცოგამია, დივერსანტი, ფაშისტო, გაიძვერა...), მეოთხე შემთხვევაში - ი რ ო ნ ი ს ა (რა „მშვენიერებაა“, ნამდვილად ლარსაბიგით „ბედნიერია“, „ვეკითხავს“, ეს „რაინდი“ გიშველიდა) და სხვ. ახასიათებს აგრეთვე თ ა ვ ა ზ ი ა ნ ო ბ ი ს ა ნ უ ე ო ი კ ე ტ ი ს (ზრდილობისა და კულტურული მიმართვის) ს ი ტ ყ ვ ე ბ ი : ამხანაგებო, მეგობრებო, ბატონებო; თქვენოთი მიმართვა, ეპითეტები: ძვირფასო, პატივცემულო, ღიდად პატივცემულო, ბატონო, ქალბატონო; ზ მ ნ ე ბ ი : მობრძანდნენ, ბრძანეს, მიიარაღეს, იწებეს და სხვ., რომელთაც ახლავს მოკრძალებული ტონი და სახის შესაბამისი გამომეტყველება; უცხო სიტყვების ზომიერად ხმარება.

გრამატიკული:

ორატორი ემოციისა და სენსაციებით დამოკიდებულების გამოსახატავად არაიშვიათად მიმართავს მოფერებით და კინოზოთ აფიქსებს. მის მებრძვებებს ახასიათებს დახვეწილი სინტაქსური წყობა და ზოგჯერ რიტმულობაც.

მსმენელზე ძლიერი შთაბეჭდილების მოსახდენად ორატორები საგანგებოდ არჩევენ არა მარტო ემოციურ და ექსპრესიულ ლექსიკას, არამედ ფრაზებსა და სინტაქსურ ფრაზებსაც (რიტორიკულ მიმართვას, შეკითხვას, გაჩუმებას, ელიპსისს, ინვერსიას, განმეორებას, გრადაციას, პარალელიზმს, ანტითეზას...), ისინი ღიად ხურადღებებს ატყვევენ ფრაზის გასაგებად აგებას, უმთავრესად ხმარობენ მოკლე წინადადებებს, რაოდ წინადადებას კი - ზუსტი ლოგიკური დანაწევრებით.

ინტონაციური:

ორატორულ ხელოვნებაში ინტონაციას დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი ისე მრავალფეროვანია, რაგორც მწვერემტყველების ფრაზა ან პერიოდი შინაარსის მიხედვით, მდიდარია ტონური და ლოგიკური მახვილებით.

ინტონაციას იყენებენ სიტყვის სხვადასხვა შინაარსობრივი ელფერის, ასევე საპირისპირო მნიშვნელობის გამოსახატავადაც. მაგალითად, სიტყვა „მობრძანდით“ ერთ შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ თავაზიან მიმართვად, მეორე შემთხვევაში - დაცინვის, დამცირების მნიშ-

ორატორულ შეტყველებას ახლავს აზრისა და გრძნობის გადმოცემის სათანადო ტექნიკა, ყურადღება ექცევა ხმის ტონალობას, დიქციას, ტემპს, პაუზებს და, საერთოდ, ორთქუპიის წესების ზედმიწევნით დაცვას.

3. ორატორული სტილის სახეობად მიჩნეულია მწვერმეტყველების შემდეგი ტიპები: 1) აკადემიური (მცენიერულად გამართული), 2) სასამართლოს ანუ ოფიციალური საქმის და 3) პოლიტიკურმაუბლიცისტური. გარდა ამისა, ცალკე ჯგუფს ქმნის სამქადაგებლო, სადარბაზო, სამხედრო, საელრო, სადღესასწაულ ანუ საზეიმო და სამგლოვიარო მწვერმეტყველება¹.

საქართველოში ორატორულ ხელოვნებას უძველეს დროშიც ექცოდა დიდი ყურადღება. ამის შესახებ ვ.ევანია წერს: „ქართული მწვერმეტყველების ისტორია ისევე უძველესია, როგორც ქართველი ერის წარსული და მისი კულტურის ისტორია. ჩვენმა თაობამ მემკვიდრეობით მიიღო უხსოვარი დროიდან მომდინარე კაზმული სიტყვის უამრავი ძეგლი, რომლებიც წარმოადგენენ ზემოთ მოყვანილი დებულების უტყუარ საბუთს. ეს ძეგლები მოგვეპოვება როგორც ქართულ, აგრეთვე ბერძნულ ლათინურ და რუსულ მცენიერულ, მხატვრულ, ეპისტოლარულ, მეშუარულ და სხვა მემკვიდრეობაში და აქვს არანაკლები ოცი საუკუნის ისტორია. ურ კიდევ კონკრეტული ტატიტიუსი, I საუკუნის რომაელი ისტორიკოსი, იხსენიებს თავის „ანალებში“ ქართველ მწვერმეტყველს და ორატორული ნიჭის პატრონს იბერთა მეფეს ფარსმანს“²...

შემდეგ ავტორს დასახელებული პყავს ანტიკური ხანის სხვა მოღვაწეებიც, რომელთაც შემოგვიჩინახეს უტყუარი ცნობები ქართველთა მწვერმეტყველებაზე: V საუკუნის ბერძენი სწავლულები: ლიბანიოსი და გოლასი კესარიელი, IX საუკუნის გიორგი ამართლი - ქართველი ფილოსოფოსისა და დიდი ორატორის ბაკურის (IV ს.) შესახებ, VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსები: პროკოპი კესარიელი და აგათანა სქოლასტიკოსი - კლხელი ქართველი მწვერმეტყველების - აიგბის, ფარტაზისა და ლაზი ელჩის (VI ს.) შესახებ, რომელთა შორის უკანასკნელი საბრალდებო სიტყვით გამოსულა კლხეთის მეფის გუბაზის (VI ს.) მკვლელთა გასამართლებაზე 554 წელს არქეოპოლისში (დღევანდელ ნოქადაქვეში).

საქართველოში აღრიღანვე არსებობდა მწვერმეტყველების მრავალი ეკრა. ასეთები იყო, შავალითად: კლხეთის აკადემია (IV ს.), ნეკრესის ტაძარი (IV-V სს.), ბონისის ტაძარი (V ს.), არქეოპოლისი

1 ნ. კანელიაკი - ქართული მწვერმეტყველება, თბ., 1968, გვ.95.

2 ვ. ევანია - ქართველი ტურისტები, თბ., 1961, გვ.38.

(VI ს.), გელათის აკადემია (XII ს.), იყალთოს აკადემია (XII ს.) და სხვ¹.

ამის შემდეგ საქართველოში მჭიდრომეტყველების განვითარება არ შეწყვეტილა, ხოლო იგი უფრო დიდი აღმავლობით განვითარდა XVIII საუკუნიდან.

მჭიდრომეტყველების საინტერესო და მუდმივი კერა კი არის სახელგანთქმული ქართული სულა.

სასამართლოს პროცესზე წარმოთქმული დაცვითი და საბრალდებო სიტყვების რჩეული ნიმუშებია: ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოქვეყნებული „სიტყვა, თქმული გუბაზ მეფის მკვლელობა გასამართლებაზე“², რომელიც დაბეჭდილია ვ. ძვანიას წიგნშიც; აკაკი წერეთლის მიერ წარმოთქმული სიტყვა სვანების პროცესზე, შალვა მესხიშვილის სიტყვა, წარმოთქმული სასამართლოში სტოლერმანის დასაცავად, აღექსანდრე ჩიქვანაიას საბრალდებო სიტყვა ილია ჭავჭავაძის მკვლელის გიორგი ბერბიჭიაშვილის გასამართლების დროს და სხვ. ასევე მრავალი სიტყვა, წარმოთქმული ლიტერატურულ გასამართლებებზე³.

უნობილია, რომ ორატორული სიტყვები საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისგან შესრულების მიხედვითაც. მაგალითად, ზოგიერთი ორატორი თავის სიტყვას განსაკუთრებულ ძალას მატებს ემოციითა და ექსპრესიით, ზოგი - მოვლენათა თავისებურად აღწერის მანერით, ზოგი - მახვილსიტყვაობით, ზოგი კიდევ - საბუთებისა და მტკიცების მოხლენილად გამოყენებით და ა.შ.

ამრიგად, მაღალი ორატორული ხელოვნების დანიშნულება არის მსმენელებზე ძლიერი იდეური, მორალური და ფსიქიკური ზემოქმედება ამა თუ იმ საგნის, მოვლენის, ფაქტის დადებითად ან უარყოფითად შესათასნებლად, მსჯელობის ობიექტისადმი სიმპათიის ან ანტიპათიის გამოსაწვევად, აღფრთხილების ან სინანულის განწყობილების შესაქმნელად და სხვ., რასაც ორატორები აღწევენ ღრმა ემოციური და ექსპრესიული ენობრივი საშუალებების საგანგებო შერჩევით, სათქმელის საინტერესოდ გადმოცემის მაღალი ოსტატობით.

1 ნ. კანდელაკი - ქართული მჭიდრომეტყველება, თბ., 1968, გვ. 64.

2 ს. ყაუხჩიშვილი - გეორგია, ტ. III, თბ., 1936, გვ. 129.

3 ვ. ძვანია - ქართული იურისტები, თბ., 1961.

იხ. აგრეთვე: ნ. კანდელაკის „ქართული საერო მჭიდრომეტყველება“, თბ., 1966. მისივე „ქართული მჭიდრომეტყველება“, I, ქართული ორატორები, თბ., 1975.

ორატორული სტილის ნიმუშები

ორატორული სტილის საუკეთესო ნიმუშია ლილი ქართველი შკოსნის ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ღ ი ს მიერ 1907 წლის 9 სექტემბერს წარმოთქმული „სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედარზე“:

„ახალმობრობის წინამორბედი, მაგრამ საწაღმარაოსი და არა საუკულმარაოსი, ღვთის უკულმართად მოკლული, ძვეს კუბოში ჩვენ წინ და, თითქოს, გვეკითხება: „რა დაგიშავეთ, რომ ეს ღვთის დამაყარეთო“. გვეკითხება და ჩვენ, ქართველებს, თავის გასამართლებელი საბასუხოდ ვერა მოგვიხერხებია რა!.. და მეც, როგორც ქართველს, მწუხარების გარდა, სირცხვილიც ენას მიბამს, ვეღარას ვამბობ და გადავდივარ საპირაღოზე: მშვილობით, ძმავო! - გარემოებამ გადაგვაბა ჩვენ ერთმანეთზე. ნახევარ საუკუნის განმავლობაში ერთ უღელს ვეწოდით; ერთი ვხით დავდიოდით. ახლა ჩემი მარტო დარჩენა, დაობღება საძნელაა, მაგრამ ეჰ, არ ღირს პირადობაზე რაიმეს თქმა და ისიც ჩვენში ღვთის!..

შენ კი შენი ქვეყნიური ვალი შეასრულე და განისვენე სამარადისოდ. ამიერიდან ეუფთვნის ისტორიას. შენი საქმეები და ღვაწლი თავის თავად ილაპარაკებენ. იმათ ჩვეულებრივი მითქმა-მოსთქმა ველარც არას დააკლებს და ველარც რაიმეს მიუმატებს! თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვლავი იქნები და თუ სასიკვდილია, როგორც ზოგიერთებს სურთ და უკონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინა-უსწარ მის სიკვდილს და თვალთ ვეღარა ნახავ! როგორც სიციხბლე, ისე სიკვდილი შენი გახდა მიზეზად ხალხის ამოძრავებისა და ამა, საქართველოს ყოველ კუთხიდან თავმოყრილი გუნდებიან ვარს!.. და, ვინ იცის, ეგება სიკვდილით მაინც ვანამტყიცო ის, რასაც შენი სიციხბლე შესწირვ: ერთობას, თანასწორობას, ძმობას და სიყვარულს! მშვილობით, ძმავო!.. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი!“

ამ სამგლოვიარო სიტყვის დაკვირვებით წაკითხვისას შეუძლებელია თანამედროვე ადამიანმა არ იგრძნოს ქართული ერის მაშინდელი გულანწუხილი, გამოსწეული არა მარტო ილია ჭავჭავაძის ტრაგიკულად დაღუპვით, არამედ ქვეყნის პოლიტიკური ბედიდაც. გულის სიღრმეში ჩამწვდომი ეს სიტყვა იყო არა მარტო ხალხის დამამწუხარებელი, არამედ განმომადგინებელიც. იგი ერთნაირად გვრიდა და ვულს ურუხებდა ყოველ ქართველს, თანაც აკაბებდა და ალაშქოებდა არსებული უსამართლობისა

და უსაზღვრო ბოროტების წინააღმდეგ.

ორატორული ხელოვნების ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია აგრეთვე ა.კ.ჩიქვანაიას მიერ 1942 წლის 5 იანვარს წარმოთქმული საბრალდებო სიტყვა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე ბანდის ერთგვარი წარმომადგენლის - გიორგი (გვიგა) ბერბიჭაშვილის ვასამართლებაც. აი რამდენიმე ნა-წყვეტი ამ სიტყვიდან:

(„ამხანაგო მოსამართლენო!

... 1907 წლის 30 აგვისტოს სოფ. საგურამოს მახლობლად წიწამურის ხეობაში ვერაგულად მოჰკლეს დიდი ქართველი მწერალი, ილია ჭავჭავაძე, ხალხის უანგარო ჳირისუფალი და კაცობრიობის უკეთესი მომადლისათვის დაუღალავი მებრძოლი. იგი შეუბრალდებად გამოსტაცეს ქვეყანას იმ დროს, როცა რუსეთის ცარიზმის ბნელი ძალები სულს უხუთად მშრომელ ხალხს და უმკაცრესი რეაქტიის ბრწყინებში აქცევდა დამონებულ ერებს. იგი მოჰკლეს ხალხის უბოროტესმა მტრებმა, მეფის ხელისუფლების მიერ მოსყიდულმა ავაზაკებმა, ჳეყენის ნაძირალებმა, არ დაინდვეს დიდი პოეტი, ხალხის სულიერი წინამძღოლი, ვისაც

ერის წყლული აჩნდა წყლულად,
ეწოდა მის ტანჯუით სული,
მის ბეჭით და უბეღობით
ვდავოდა მტკიცე გული.

გაბოროტებულმა ავაზაკებმა ტყვიით ვანჯმირეს მოხუცი მწერლის შუბლი და მკერდი, თოფის კონდახით დააღურჯეს იგი, გრძნობის დაკარგვამდე სყემეს მის ცოლს და იქვე მოჰკლეს ერთგული მისი მსახური.

ნაძირალებმა გაძარტვეს მათი მსხუერპლი: წაართვეს ოქროს საათი, სამკაულები, ჟიდი და სხვა...

და აი დღეს ერთი საზოგადოებრივი ავაზაკთაგანი, რომლებმაც მოჰკლეს ილია ჭავჭავაძე, ჩვენს წინაშე იმყოფება. სასამართლოს წინაშე ურუხვად ღვას იგი, სასტიკი პასუხს აგებს დღეს ხალხის წინაშე იმ შავ-ბნელი საქმისათვის, რომელიც მან ჩაიღინა 34 წლის წინათ. იგი მიიღებს საკანონის სასჯელს იმ ხალხისგან, ვისაც წაართვა მან მისი უკეთესი წარმომადგენელი, დაუვიწყარი და ერთგული შვილი: სიცოცხლე მოუსპო ქართველი ერის დიდ პოეტინახულეს...

მოკლეს ის ფიზიკურად, მაგრამ განსვენებულის სიტყვებით რომ ვთქვათ:

„არ არის მკვლარი, ვინც მოკლეს
და ხალხს შესწიროს დღენია;
მკვლარად იგი თქმულა, ვისაც აქ
სასელი არ ღარჩენია!“

ილია ცოცხალია და მუდამ იცოცხლებს, ვიდრე ჩვენი ქვეყანა ცოცხლობს. მაღლიერი ქართველი ერთი სასტიკი პასუხს აცხადებებს მას, ვინც ფიზიკურად მოუსპო ჩვენს ქვეყანას თავისი საამაყო შვილი...

ზემოთ აღნიშნულისა გამო ისმება კითხვა: რა სასჯელის ღირსია ბრალდებული ბერბიჭაშვილი? ამ კითხვაზე სასამართლოს, უქვევლია, ერთი პასუხი ექნება. ეს პასუხი იქნება სოციალური დაცვის უმაღლესი დონის ძიება დახვერტა"...

ორატორული მებრძოლებმა უმთავრესად არის ზეპირი, ამიტომ ბრალდებულის ყოველი წინადადება, წარმოთქმული სასამართლოს პროცესზე სათანადო განცდებით, ინტონაციით, ექსპრესიით, ცხადია, მსმენელებზე ახდენდა უდიდეს ზეგავლენას და იწვევდა აუწერელ ზიზღს მკვლელისადმი. წერილობით გადმოცემული ორატორული სიტყვიდანაც ნათლად ჩანს ენობრივ საშუალებათა თავისებურად გამოყენების შეშთხვევები, რითაც შეიძლება ასეთი სიტყვის მხატვრული მხარის შეფასება, მაგრამ იგი იმის ნახევარ შთაბეჭდილებასაც არ ახდენს, რასაც ზეპირად თქმული.

ამრიგად, ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკენათ:

1. ამა თუ იმ ფუნქციური სტილის განმასხვავებელი არაენობრივი ფაქტორებია: გამოყენების სფერო, სიტუაცია, მთქმელის მიზანი და სულიერი მდგომარეობა; ენობრივი ფაქტორები კი - სათქმელის შინაარსი, თავისებური ლექსიკური და გრამატიკული ინტონაციური საშუალებანი, რომელნიც ერთმანეთთან კავშირში იწვევენ სტილურ ნიშნების დიფერენციაციას ფუნქციურ-სტრუქტურული ვარიანტების სახით.

2. ენობრივი მასალის მიხედვით სტილის სახეები ერთმანეთისგან სავსებით განსხვავებული, ერთმანეთისგან იზოლირებული როდია, რადგანაც ერთი სტილის ნიშნები მეტად თუ ნაკლებად სხვა სტილშიც ხშირი მოვლენაა.

3. წიგნური სტილის ზემოთ განხილული ძირითადი ტიპებიდან საერთოდ გამოიყოფა შემდეგი ქვესახეები:

ოფიციალური-დოკუმენტურიდან - კანცელარული, საკანონმდებლო, პროფესიული.

სამეცნიეროდან - სამეცნიერო-აკადემიური, სამეცნიერო-ტექნიკური, სასწავლო-სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული.

პუბლიცისტურიდან - საინფორმაციო, პოლიტიკური, საგაზეთო, ეპისტოლური, ფელეტონური.

მხატვრულიდან - ბელეტრისტული, პოეტური, ასევე თანრების მიხედვით: რომანის, მოთხრობის, დრამის, კომედიის, ტრაგედიის, იუმორ-

რისტული ან ღირიკული მოთხრობის, ზღაპრის, იგავთარაკის, პოემისა და სხვ.

ორატორულიდან - სასამართლო, საზეიმო, სამეცლოეიარო და ა.შ.

ზეპირი ანუ სასაუბრო მეტყველების სტილის სახეობად მიჩნეულია - საყოფაცხოვრებო=სადაპარაკო, ფამილარულ=სასაუბრო, მღაბიური სასაუბრო, ზაღბური მეტყველება, სასაუბრო=ლიტერატურული. მწიგნობრულ სტილთან შედარებით ამ სახეებს ახასიათებთ ბევრი თავისებურება, განსაკუთრებით ლექსიკისა და წარმოთქმის მიხედვით (ინტონაცია, ექსპრესია, ემოცია, ტონი, ტემპი...).

სტილის სახეებს გამოყოფენ აგრეთვე ავტორთა პირადობასთან (მიზანთან, ფიქიკურ მდგომარეობასთან, განწყობილებასთან და სხვ.) დაკავშირებითაც, რასაც სუბიექტური სტილი ჰქვია.

შ ე ნ ი შ ე ნ ა : ფუნქციური სტილი იმდენად მრავალფეროვანია, რამ მისი სახეების ზუსტად დადგენა შეუძლებელია. თანაც არსებული კლასიფიკაცია (ზოგჯერ სუთი, ზოგჯერ ექვსი სახის გამოყოფა) ამჟამად მოცემულით ექსტრადინგვისტიკური და არა ლინგვისტიკური ფაქტორების საფუძველზე. გარდა ამისა, ფუნქციური სტილის სახეები ერთმანეთისგან უმთავრესად განსხვავებულია შინაარსობრივად, ენობრივად კი მათ შორის სხვაობა არ არსებობს, მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რამ სტილის ფუნქციური კლასიფიკაცია მეცნიერული არ არის. სულ სხვადასტილის დაყოფა ობიექტურ და სუბიექტურ სტილებად. ამ დაყოფის საფუძველი ენის სპეციფიკაა.

§ 21. სტილისტიკური ნორმა

საღიტერატურო ენა საზოგადოების ყველა ფენის საერთო სადაპარაკო, დახვეწილი, ნორმირებული ენაა, ამიტომ არის საჭირო როგორც მისი სისწორისა და სიზუსტის (ლექსიკური, გრამატიკული და სტილისტიკური ნორმების), ისე სიწმინდის დაცვა, რაც ზეპირი და წერიით მეტყველების მაღალი კულტურის საფუძველია, ამ ნორმების დარღვევა კი არის შეუღობა.

ენობრივი ნორმა არის საერთოდ აღიარებული, აუცილებელი წესი, რომლის მთავარი ნიშნებია სიმყარე და გავრცელებულობა. ყოველ მწიგნობრულ ენას ახასიათებს ენობრივი ნორმების ორი სახე: საღიტერატურო და სტილისტიკური. საღიტერატურო ენის ნორმები არის უნიფიცირებული, მოწესრიგებული სპეციალური კომისიის მიერ, დაკანონებული ყველა სახის ენობრივი ურთიერთობისთვის; სადადღებულად მიჩნეული წარმოთქმის, ლექსიკური სიწმინდისა და გრამატიკული სტრუქტურის მიხედვით; გავრცელებული და განმტკიცებული პრაქტიკაში.

ენის ნორმები ძირითადად დაკავშირებულია წერილს შერყველებასთან და ისტორიულად ამა თუ იმ დროის მონაკვეთში არის სტაბილური, ე.ი. მანამ, სანამ ენის განვითარების შედეგად დროის მოხონით ოფიციალურად არ შეიცვლება.

ენის ნორმების შესწავლა უმთავრესად გულისხმობს იმის გარკვევას, თუ რა არის გრამატიკულად სწორი ანუ მისაღები და რა არის არასწორი ანუ მიუღებელი.

სწორ შერყველებას დიდად უწყობს ხელს სტილისტიკური ნორმების დაცვა, რაც ნორმატიული სტილისტიკის საგანია და რომლის შესწავლის ძირითადი საკითხებია აგრეთვე რა არის სწორი, მისაღები და რა არის არასწორი, მიუღებელი ენობრივ საშუალებათა შერჩევის თვალსაზრისით.

სტილისტიკური ნორმა არის რამდენიმე შესაძლებლობიდან უფრო სწორად მიჩნეული და გავრცელებული ენობრივი საშუალება ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით აზრისა თუ გრძნობის უკეთ გამოსახატავად. იგი, რასაკვირველია, ემყარება სალიტერატურო ენის ნორმებს, მაგრამ არ არის ერთადერთი და საერთო ყველა სახის ურთიერთობისთვის; ახასიათებს ვარიანტობა და თავის ფუნქციას ასრულებს მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით. ვარიანტული შესაძლებლობანი ანუ ვარიანტული მრავალფეროვნება თავისუფალ საშუალებას იძლევა იმისთვის, რომ საჭიროების დროს აზრისა და გრძნობის ნათლად გამოსახატავად უკეთ შევარჩიოთ სათანადო ენობრივი საშუალებანი, მაგრამ ისე, რომ არ ეწინააღმდეგებოდეს სალიტერატურო ენის წესებს. განსაკუთრებით ეს ეხება სხვადასხვა ენობრივ სტილს, სადაც ერთი და იგივე სტილისტიკური ნორმა გამოყენების თვალსაზრისით ერთისთვის შეიძლება იყოს ნორმატიული, მეორისთვის - არანორმატიული ანუ შესაფერი და შეუღებებელი. სტილისტიკური დიფერენციაცია უმეტესად გვინდობა ლექსიკაში სინონიმების სახით.

ამრიგად, ფართო ვაგები, ენობრივ ნორმაში იგულისხმება არა მარტო სალიტერატურო ენის გრამატიკული, არამედ სტილისტიკური ნორმებიც.

სალიტერატურო ენის სტილისტიკური ნორმების დარღვევის ძირითადი სახეებია:

1. დექსიკის ხმარებაში:

1) სიტყვების გამოყენება არაზუსტი მნიშვნელობით, 2) წინადადების დამახინჯება ზედმეტი სიტყვებით; ძლუნაზმით; სიტყვა-ბარაზიკით, 3) სიტყვის არასაჭირო განმეორება ანუ ტანტოლოგია, 4) სალიტერატურო ენის სიწმინდის დარღვევა ბარბარიზმებით, დიალექტიზ-

მღებთან, უარგონიზმებით, ცუდგარეზმებით, არასაკმარის არქაიზმებით, კლდეებით, შტამპებით ანუ შაბლონებით, 5) აზრის გაზვიადებულიად გამოხატვა ზედმეტი სიტყვებით, 6) ქართული ბუნებრივი თქმების შეცვლა.

2. გ რ ა მ ა ტ ი კ უ ლ ი ფ ო რ მ ე ბ ე ს ხ მ ა რ ე -
ბ ა შ ი :

1) სიტყვის ფორმის არასწორად შერჩევა, 2) არქაული ფორმების უადგილო ხმარება, 3) სალიტერატურო ენობრივი ფორმის შეცვლა დიალექტურით, 4) უცხო აფიქსების უმართებულად გამოყენება, 5) ერთი და იმავე ფორმის განმეორება შესიტყვებაში და სხვ.

3. ს ი ტ ყ ვ ა თ ა ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ წ ყ ზ ბ ა შ ი :

1) შინაარსობრივად შეუსაბამო სიტყვების ერთმანეთთან შეწყობა, 2) სიტყვათა არასწორად შეკავშირება არასათანადო მეტყველების წაწილთა გამოყენებით, 3) სიტყვათა უმართებულო წყობა წინადადებაში, 4) სიტყვათა შორის ლოგიკური კავშირის დარღვევა, 5) წინადადების ორგანიზაცია აკრძალვით, 6) წინადადების უაზროდ აკრძალვა, 7) აზრის მუდმივად გამოხატვა, 8) წინადადებათა არასწორად დაკავშირება ერთმანეთთან, 9) წინადადების შეუსაბამო კონსტრუქციის გამოყენება, 10) არანათვარი სიტყვების შეერთება ერთგვარ წევრებად, 11) დაპირისპირების მცდარად გამოხატვა წინადადებაში, 12) მიზეზისა და მიზეზის არასწორად გამოხატვა, 13) მიზეზისა და შედეგის აღრევა, 14) საკავშირებელი სიტყვის არასწორად შერჩევა დამოკიდებულ წინადადებასთან და სხვ.

შესამე ნაწილი

დ ე ქ ს ი კ უ რ ი ს ტ ი ლ ი ს ტ ი კ ა

§ 22. სიტყვათა შერჩევა მნიშვნელობის მიხედვით

როგორც ზემოთხსენებულთაგან ვხედავთ, მნიშვნელობის დროს, უპირველეს ყოვლისა, მთავარია სიტყვების შერჩევა, წინადადებაში ისეთი სიტყვების გამოყენება, რომლებიც გამართლად სალიტერატურო ენის თვალსაზრისით და მოუხარო ზუსტად, ნათლად, გასაგებად გამოხატავს აზრს.

ზუსტი მნიშვნელობისა და გამოხატვის მიხედვით იერის სიტყვათა

შერჩევა მჭიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთაო წინააღმდეგობის, მიზანთან, მის იდეურ და ესთეტიკურ დანიშნულებასთან.

სიტყვის ზუსტად შერჩევა უმთავრესად გულისხმობს ისეთი ლექსიკის გამოყენებას, რომელიც სრულიად შეესაბამება წინადადებაში გამოსახატავ აზრსა და გრძნობას. მაგალითად, ავიღოთ სიტყვები „მღეროდა“ და „გალობდა“. თუ პირველი სიტყვა ასეთ წინადადებაში ვიხმარებთ: ამ დღით ჩვენს ეზოში ბუღბული მღეროდა - ეს, რუსულად თუ სწორი თქმავა, ქართული ენისთვის არ არის ბუნებრივი, რადგანაც ამ შემთხვევაში მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვა (ზმნა) სწორად არ არის შერჩეული. აღნიშნულ წინადადებაში აზრის ზუსტად გადმოცემა შეუძლია მხოლოდ მეორე სიტყვას „გალობდა“. ამ დღით ჩვენს ეზოში ბუღბული გალობდა. ასეთ წინადადებაში კი: ვანო საარჯიშვილი შესანიშნავად მღეროდა - სიტყვა „მღეროდა“ გამოყენებულია სწორად და აზრს გადმოგვცემს ზუსტად (აღამიანის მიშართ „გალობდა“ ითქმის მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ეხება საეკლესიო პირს).

სიტყვათა შერჩევას სჭირდება ენის, მისი ლექსიკური მარაგის კარგად ცოდნა, ისევე გემოვნებაც და ოსტატობა, მაგარამ, თუ მოუბარო ნაკლებად არის დაუფლებული ენის ლექსიკურ მარაგს, ზუსტად არ ესმის ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობა ან კონტროლს არ უწყევს თავის მეტყველებას, წინადადებას ვერ აჯებს სწორად, იგი ხშირად ბუნდოვნად ან დამახინჯებულად გადმოგვცემს აზრს.

ლექსიკურ-სტილისტიკური შევლამების მიზნით უმთავრესად არის სინონიმების უყოღინარობა და ამის გამო სიტყვების გამოყენება არაზუსტი მნიშვნელობით, მაგალითად:

1. ზ ე დ ს ა რ თ ა ვ ი ს ა ხ ე ლ ი ს ა რ ა ს წ ო რ ა დ შ ე რ ი ე ვ ა :

მოხსენებას დივი ხაღბი დაესწრო (როდესაც საგნის სიმრავლეა გამოსახატავი, მაშინ „დღღის“ ნაცვლად უნდა იყოს „ბევრი“, „მრავალი“ ან სხვ. მისი:).

- სტუმარზე დღინო პატარა მისვა (უნდა იყოს - ცოტა მისვა).

- თამადა გემრიელ სიტყვას ამბობდა (უნდა იყოს - ტკბილ სიტყვას).

პაერში მძიმე ბრძოლა გაიმართა (უნდა იყოს - საშინელი, სასტიკი, შეუბრალებელი, უღმობელი...).

მის წინ იდგა წითელქუდასანი გოგონა (უნდა იყოს - წითელქუდიანი).

რეზომ კარგად შეისწავლა დიადექტორი მატერიალიზმი (უნდა იყოს - დიადექტიკური).

პატრონიზმის უმსგავსო მაგალითი ეტყამ ასახა პოემა „ვახტრო-

ონში" (უნდა იყოს - უბადლო, შეუდარებელი...).

ღილით კარგი წვიმა მოვიდა (უნდა იყოს - საკმაოდ მოწვიმა ან კოკისპირულად წვიმა).

გუშინ მაგარი ქარი ქროდა (უნდა იყოს - ძლიერი).

ის საკუთარ ბიძასაც არ უჯერებდა (უნდა იყოს - თავის ბიძასაც)

2. მ ი მ ლ ე ზ ი ს ა რ ა ს წ ო რ ა დ შ ე რ რ ე ე ა :

მას ჯონება გამოცლილი ჰქონდა (უნდა იყოს - გამოფიტული ჰქონდა).

მტრის დაზარალებული თვითმფრინავი ზღვიში ჩავარდა (უნდა იყოს დაზიანებული).

იერემია წარბა ზნედაკარგული ადამიანი იყო (უნდა იყოს - ზნედაცემული).

მან დაუფასებელი წილილი შეიტანა სოფლის განახლებაში (უნდა იყოს - ფასდაუღებელი).

მეცნიერება შეუგნებელ მოცდენას ატყვეს შეგნებულად (უნდა იყოს - შეუცნობელ მოცდენას - შეცნობილად).

— სოფელში თავდადებული შრომა იყო გაჩაღებული (თავდადებული ანუ თავგანწირული შეიძლება ითქვას მტერთან ბრძოლის შესახებ, მაგრამ შრომის შესახებ უნდა ითქვას თავგამოდებული, ბეჯითი, მუყაითი).

მტრის რაზმი გარდაუვად რიხში აღმოჩნდა (უნდა იყოს - გამოუვად რიხში ან მხოლოდ რიხში).

სამამულე კმის გმირები დიდების შარავანდითი არიან შემოსილი (უნდა იყოს - არიან მოსილი ანუ შემკული და არა - შემოსილი, ე.ი. ჩაცმული).

ღირეპტორი ყოველდღე ხუთ საათამდე იყო დაკავებული (უნდა იყოს - ღირეპტორი ხუთ საათამდე მუშაობდა ან ღირეპტორს ხუთ საათამდე არ ეტაღა).

მრეწველობაში წელს დიდი წარმატება მიღებული (უნდა იყოს - მოპოვებული).

3. ა რ ს ე ბ ი თ ს ა ხ ე ლ ი ს ა რ ა ს წ ო რ ა დ შ ე რ რ ე ე ა :

მას ოთახში შესვლისთანავე ეცა თევზის სული (უნდა იყოს - სუნი).

— ნიკო მავ ამბის ცოცხალი მოწამე იყო (უნდა იყოს - მოწამე).

პოეტმა თავისი ჰანგი გულწრფელად ააუღერა ადრევე (უნდა იყოს ჩანგი).

— ის ყოველთვის იცავდა მშობლიური ენის სისუფთავეს (უნდა იყოს - სიწმინდეს).

მანანამ ცხოვრების მთავარ ამოცანად მასწავლებლობა დაისახა

(უნდა იყოს - მიზნად).

ბატონყმობის ნიადაგზეა აგებული ილია ჭავჭავაძის პოემაც „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდური ყარაღის ცხოვრებიდან“ (უნდა იყოს - თემაზე ან საკითხზე).

ყმაწვილს ძალიან მოსწონდა სვანის ქული (როდესაც საგნის სადღურობაა გამოსახატავი და არა კუთვნილება, მაშინ უნდა იყოს სვანური).

4. ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი ს ა რ ა ს წ ო რ ა დ შ ე რ - რ ი ე ვ ა :

რეზომ მისი საქმე ღრუზე მოაგვარა (რადგანაც ამ წინადადებაში მოქმედი პირია რეზო, საქმე კი - ამ მოქმედი პირის სამოქმედო ობიექტი და გამოხატულია სუბიექტის მოქმედება მის კუთვნილ საგანზე, ამიტომ უნდა იყოს - არა მისი, არამედ - თავისი).

ღალღ ამიღისში გაგზავნენ თავისი მანქანით (ამ წინადადებაში საუბარი ეხება ღაღის მანქანას, ე.ი. ობიექტის კუთვნილებას, მსაზღვრელად გამოყენებული უნდა იყოს ნაცვალსახელი მისი და არა თავისი).

— მათ ამხანაგმა უნივერსიტეტი წარჩინებით დაამთავრა (აქ ნაცვალსახელი განსაზღვრებად არის გამოყენებული, მაშასადამე, უნდა იყოს კუთვნილებითი ნაცვალსახელი მათმა და არა პირისა მათ).

— მათმა კარგად გაუგვეს ერთმანეთს (აქ კი, ნაცვალსახელი პირის გამოსახატავად არის გამოყენებული, დაკავშირებულია ზმნა=შემასმუნელთან და უნდა იყოს პირიქით - მათ და არა მათმა).

5. ზ მ ნ ი ს ა რ ა ს წ ო რ ა დ შ ე რ რ ი ე ვ ა :

მეღა ეზოში დაძუნძულებდა (უნდა იყოს - დატუნძულებდა).

რუსუდანი მასწავლებლად სკოლაში გაანაწილეს (განაწილება შეიძლება ჯგუფის და არა ერთი პიროვნებისა. უნდა იყოს - გაამწესეს ან დანიშნეს, გაგზავნეს).

შვილი უმადლეს სასწავლებელში მოაწყო (უნდა იყოს - შეიყვანა)

— მას ერთი საგზური არ აწყობდა (უნდა იყოს - არ აკმაყოფილებდა ან ხელს არ აძლევდა).

— ზომავზე მეტი სასმელი მიიღო (უნდა იყოს - შესყვა).

ეს ტრადიციო რამდენიმე წელიწადს იფიქროს (უნდა იყოს - რამდენიმე წლისა ან ძველია).

ზღვამ მინიკოზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა (უნდა იყოს - მოახდინა).

რუსთაველის თეატრმა ჩვენი სასკოლო ხელოვნების განუითარებაში დიდი როლი ითამაშა (უმჯობესია - შეასრულა).

მერიანებმა აჭარაში აძრე გაანადგვეს წლიური გეგმა (უმჯობესია

- შეასრულეს).

მოხსენება გააკეთა ქარხნის დირექტორმა (უმჯობესია - წაკითხა ან მოხსენებით გამოვიდა).

სტუმარმა თქვა: „ღიასახლისი შინ ბრძანდება?“ (უნდა იყოს - იკითხა ან შეიკითხა).

6. ზ მ ნ ი ზ ე დ ი ს ა რ ა ს წ ო რ ა დ შ ე რ რ ე ვ ა რ
- ის წყნარად აზროვნებდა (უნდა იყოს - ნება).

- მანქანა უშნოდ მუშაობდა (უნდა იყოს - ცუდად).

მონადირე ბურქიდან ნელ-ნელა უფელთვალებდა (უნდა იყოს - ფრთხილად ან ჩუმად).

მას საშინლად უყვარდა ბავშვები (უნდა იყოს - ძალიან, ძლიერ ან განსაკუთრებით).

კარი წრიპინით გაიღო (უნდა იყოს - ქრიალით).

ქაღები გუნდ-გუნდად ისხდნენ ბაღში და ტკბილად ბაასობდნენ (უნდა იყოს - ჯგუფ-ჯგუფად. პირველი იმქმის ფრინველების მიმართ; მერცხულები გუნდ-გუნდად იყრიდნენ თავს ვასაფრენად).

7. კ ა ვ შ ი რ ი ს ა ნ ს ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ე დ ი ს ი -
ბ უ ვ ი ს ა რ ა ს წ ო რ ა დ შ ე რ რ ე ვ ა რ

- ის თუ არ მოსულიყო, საქმე ცუდად დამთავრდებოდა (უნდა იყოს - რომ).

ეს კაცი იყო საყვარელი ადამიანი, ვინც ყველას ეხმარებოდა (უნდა იყოს - რომელიც).

- ეს იყო ის, რომელიც ყველას ეხმარებოდა (უნდა იყოს - ვინც).

§ 23. ზედმეტი სიტყვები წინადადებაში

პლენაზმები და სიტყვა - პარაზიტები

აზრის მოკლე, სხარტად გაღმოცემა კარგი შეტყველების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანთაგანია. ენის ამ მნიშვნელოვან თვისებას კონკრეტული ადამიანი ყოველთვის აქცევდა ყურადღებას. ამის საუკეთესო ნიმუშებია ხაზხური შემოქმედება, ვანსაკუთრებით ანდაზები და გამოცანები, მწერალთა ნაწარმოებებში კი - ნაკვეთები და აფორიზმები.

აზრის მოკლე, ლაკონურად გამოთქმა, საერთოდ, წინადადებაში სიტყვების სიმცირეს კი არ ნიშნავს (მაშინ, მაგალითად, რთული წინადადება უარსაყიდი იქნებოდა), არამედ გულისხმობს არასაჭირო,

ზედმეტი სიტყვების თავიდან აცილებას.

როდესაც მოუპარი თავისი შეტყვევების გრამატიკულ და სტილისტიკურ სისწორეს ნაკლებად აქცევს ყურადღებას, ზოგჯერ არასაჭირო ანუ ზედმეტ სიტყვებსა და თქმებს ხმარობს.

წინადადებაში ზედმეტია სიტყვა, რომელიც იმეორებს მეორე სიტყვის მნიშვნელობას, მაგრამ ისე, რომ არ აზუსტებს ან არ ხსნის მას, როგორც განკერძოებული წევრი და ამიტომ აზრის გამოსახატავად საჭირო არ არის.

ზედმეტი სიტყვებია უმთავრესად პლენაზმები და სიტყვა - პარაზიტები.

პ ლ ე ნ ა ზ მ ი არის ზედმეტობა, მრავალსიტყვაობა, წინადადებაში ერთი და იმავე ცნების გამოსახატავად ერთნაირი მნიშვნელობის სიტყვების ხმარება.

პ ა რ ა ზ ი ტ ი კი ეწოდება ისეთ სიტყვას, რომელსაც თხრობის ღრუს ხმარობენ როგორც ზედმეტ სიტყვას, მიუხედავად იმისა, რომ იგი წინადადებაში გამოსახატავი აზრის მიხედვით სრულიად არ არის საჭირო.

I. პლენაზმი

როგორც განმარტებიდან ჩანს, პლენაზმი არის მრავალსიტყვაობა, მაგრამ იგი სულ სხვა მოცდენაა, ვიდრე სიტყვის განმეორება. მაგალითად, წინადადებაში: საქართველოს მთავარი დედაქალაქი არის თბილისი - სიტყვა განმეორებული არ არის, მაგრამ სიტყვა „მთავარი“ ზედმეტია, ვინაიდან „დედაქალაქი“ თავისთავად მთავარი ქალაქია, რადგანაც ერთ ქვეყანაში არ შეიძლება იყოს ორი დედაქალაქი: ერთი მთავარი, მეორე - არამთავარი.

მსგავსი მაგალითებია:

ამ რაიონის მთავარმა ცენტრი არის გავრა (უნდა იყოს - ამ რაიონის ცენტრი...). ხელი მაღლა აწია. თავი დაბლა დახარა. ადევით ზევით! ჩამოდიხ ქვეით!.. უკანასკნელ ოთხ წინადადებაში მოქმედების მიმართულება გამოხატულია ზმნისწინებით: ააწია, აადევით, დახარა, ჩამოდიხ, ამიტომ ამავე მნიშვნელობის ზმნიზღებები - „მაღლა“, „დაბლა“, „ზევით“, „ქვეით“ - ჩვეულებრივი (არაემოციურმა ექსპრესიული) შეტყვევების დროს ქართულ წინადადებაში ზედმეტი სიტყვებია.

ასევე!

შოგნიოთ სახლში ორი კაცი იდგა. წიგნები შიგ კარადაში ეწყო. გიგი ზედ ჭობებზედ ღამდგარყო. ნიკო, ხარები აქეთ შორეკე, ახები კი იქით გარეკე! მაგრამ, თუ წინადადება ასე იფაგეთ: შოგნიო, სახლში, ორი კაცი იდგა, - მაშინ პლეონაზში არ იქნება, გვექნება სტრიდსტიკურად გამართული წინადადება, რადგანაც სიტყვა „სახლში“ გამოვიყენებთ განკერძოებულ აფგილის გარემოებად, რამელიც აზუსტებს პირველი სიტყვის მნიშვნელობას.

ხშირად გვხვდება სხვა სახის პლეონაზმებიც:

თანო წილს უფრო უკეთესად სწავლობდა (უნდა იყოს - უფრო კარგად სწავლობდა ან - უკეთესად შეშაობდა).

მან ასეთი მოტყუებით თავისი თავი გაიღანძღა (უნდა იყოს - თავი გაიღანძღა). ბავშვი შინ თავისი ფეხით წაეიდა (უნდა იყოს - ფეხით წაეიდა).

საყურადღებოა ზედმეტი სიტყვების ხმარების შემდეგი შემთხვევებიც:

როდესაც წინადადებაში პლეონაზში გამოხატულია მშობლიური ენის სიტყვებით:

ეს ლექსები ჩემი საკუთარი წიგნიდან არის ამოწერილი (უნდა იყოს - ჩემი წიგნიდან არის ამოწერილი ან - საკუთარი წიგნიდან არის ამოწერილი).

მსგავსი მაგალითებია:

მას მეტი უპირატესობა აქონდა მოპოვებული. მეუბრობა აგრეთებს და აკავშირებს ადამიანებს. სანატორიუმშია ხელახლა განაახლა შეშაობა. მისი ძაღა და ღონე მტრისკენ იყო მიმართული (მაგრამ, თუ სიტყვები „ძაღა“ და „ღონე“ რაღაფიდან სიტყვად ანუ კომპოზიტად გამოვიყენებთ, მაშინ ისინი პლეონაზმად არ ჩაითვლება). იგი უქნარა და არაღრის გამკეთებელი იყო. ყველაფერი გააკეთეს და მეტი არაფერი იყო: ვასაკეთებუი. დიასახლისს იხმობდა ჭიშკართან ეილაც ახადგანარა ემარყოლი.

როდესაც წინადადებაში ქართულ სიტყვასთან ერთად გვაქვს იმავე მნიშვნელობის რუსო სიტყვა:

იღია ჰაეუაეაქე რუსეთში უფრისას გაეცნო მაშინდელი ინტელიგენციის მოწინავე პროგრესულ იდეებს. რუსთავეში მიმდინარეობს უდიდესი გივანტური მშენებლობა. „ჩელიუსკინის“ წინ უკებ გამოჩნდა გეგებრთელია ყინულის მთა აისბერგი (მაგრამ, თუ სიტყვა „აისბერგი“ დანართად გამოვიყენებთ და ასე დაეწერეთ: გამოჩნდა ყინულის მთა - აისბერგი - მაშინ წინადადება სწორად იქნება აგებული). ამ წინადადებაში ერთნაირი მნიშვნელობის სიტყვებიდან უნდა დარჩეს ერთი, მაგრამ უფედელიც უნდა იცვალო რუსო სიტყვის ნაცვლად (როდესაც ეს

შესაძლებელია) ეიხმართ მშობლიური.

პლენარში მწერალთა ნაწარმოებებშიც შეინიშნება, მაგალითად:
... ასე ამრიგად რამდენიმე წლის განმავლობაში თითქმის მთელი
მაზრის სოფლის სამმართველოებში დაპყრო (ე.ნინ.).

ასე და ამნაირად მიდიოდა ცხოვრება ამ საბრძოლო ოჯახისა დიდ
შაბათამდე (ნ.ლომ.).

ზევითაც მოვიხსენიე, რომ ქართველებს ურიცხვი და უთვალავი
სათამაშოები გვაქვს=მეთქი (ა.წერ.).

... ამნაირად, ის, რაც სხვაგან თეოზიით კეთდებოდა, სოფელ
ჩემში ერთ ღამეს მოგვარდა და მოეწყო (ლ.ქიარ.).

... უკვე მაღლობიდან დაბლა ეშვება (ე.ზედგ.).

ნამდვილი სინამდვილე მაშინ ვნახე... (კ.გამსახ.).

პლენარში რამდენიმე სახისაა. ესენია:

ერთნაირი სიტყვები ერთ მიერთ მონაკვეთში:

ამ დღით ღელა ადრე ადგა, რაც მას ძალიან მოეწონა. მან სა-
ჩქაროდ დაიბანა ხელეპირი, ისაუზმა და შემდეგ ის ხტუნვა=ხტუნვით
გაემართა სკოლისკენ (უნდა იყოს - ამ დღით ღელა ადრე ადგა, რაც
ძალიან მოეწონა; საჩქაროდ დაიბანა ხელეპირი, ისაუზმა და შემდეგ
ხტუნვა=ხტუნვით გაემართა სკოლისკენ. შეიძლება დეტოვით ერთი ნა-
ცვალსახელი „მან“, თუ მის წინ დავსვამთ წერტილს; ამ დღით ღელა
ადრე ადგა, რაც ძალიან მოეწონა. მან საჩქაროდ დაიბანა ხელეპირი..

არაერთნაირი სიტყვები, რომელთა შორის ერთი ზედმეტია:

ციხესიმაგრეს ირგვლივ გარშემორტყმული პქონდა მაღალი გაღავა-
ნი (უნდა იყოს - ციხესიმაგრეს გარშემორტყმული პქონდა... ან
ციხესიმაგრეს ირგვლივ შემორტყმული პქონდა...).

მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები ერთგვარ წიგნებად:

ამჟამად სოფლებში ძალიან ღამაზი და მშვენიერი სახლები ღვას
(უნდა იყოს - ძალიან ღამაზი სახლები ღვას ან - მშვენიერი სახლე-
ბი ღვას, რადგანაც „ძალიან ღამაზი“ იგივეა, რაც „მშვენიერი“. სულ
სხვაა, როდესაც მთორ სიტყვას „მშვენიერი“ განკერძოებულ განსა-
ზღვრებად ეიხმართ).

წინადადების გადატვირთვა არასაჭირო სიტყვებით:

ჩვენს ქარხანაში ადგილი პქონდა საწვავი მასალის გადახარჯვის
ხშირ შემთხვევას (უნდა იყოს - ჩვენს ქარხანაში ხშირად იხარჯებოდა
ზედმეტი საწვავი მასალა).

ამგვარია ისეთი მრავალსიტყვიანი თქმებიც, სადაც ერთი სიტყვით
გადმოსაცემი შინაარსის გამოსახატავად ნახმარია რამდენიმე სიტყვა
სხვა ენის მიხედვით, მაგალითად:

კრებამ მიიღო ღადგენილება (უმიჯობესია - კრებამ დაადგინა).

მათ თანხმობა გამოვიცხადეს (უნდა იყოს - ისინი დამეთანხმენ).
მანქანა მალე მოიყვანა მოძრაობაში (უნდა იყოს - მანქანა მალე
ამოძრავდა).

წინადადების ზედმეტია, არასაკმარის სიტყვებით ხმაკება არა მარტო
ამძივებს მტრყველვას და აძნელებს აზრის გაგებინებას, არამედ
ენას უკარგავს მოქნილობასა და სილამაზესაც.

აზრის გაზვიადებულად ანუ მრავალი ზედმეტი სიტყვით გამოხა-
ტვა ბევრ შემთხვევაში იმიტომ არის გამოწვეული, რომ გვიჭირს ამა
თუ იმ ცნების ზუსტად აღმნიშვნელი სიტყვის შერჩევა და ერთი სიტ-
ყვის მნიშვნელობას რამდენიმე სიტყვით გადმოცემა, მაგალითად:

ჩანს, რომ ისინი ამაზე სათანადო ზრუნვას არ იჩენენ (ბუნებ-
რივი ტექსტა - ჩანს, რომ ისინი ამაზე სათანადოდ არ ზრუნავენ).

მასში გადაჭარბებული რაოდენობით არის მოცემული რიცხობრივი
მარტელებები (ბუნებრივი ტექსტა - მასში რიცხვი გადაჭარბებულიად
არის ნაჩვენები ან - რიცხვი გადაჭარბებულია).

ნიკომ მოგზაურობა მოახდინა იტალიასა და საფრანგეთში (უნდა
იყოს - ნიკომ იმოგზაურა...).

სამწუხაროდ, ასეთი ტექსტები ძალიან მოჭარბებულია თანამედროვე
პრესაში.

ამრიგად, მრავალსიტყვაობა არის მტრყველების დიდი ნაკლი. წი-
ნადადების პლენანზმით გავრცობა ისეთივე ენობრივი დარღვევაა, რო-
გორცაა წინადადების ხელოვნურად შემოკლება (მნიშვნელოვანი სიტყვე-
ბის გამოტოვება), ამიტომ სამართლიანად არის ნათქვამი:

„პლენანზმებს უნდა ეგებოდნოთ იმტომ, რომ ყოველი ზედმეტი სი-
ტყვა ანაგვიანებს მტრყველებას, აძნელებს მის გაგებას“¹.

მაგრამ როდესაც მოუბრის მიზანია არა მარტო აზრის გამობატვა,
არამედ მსმენელზე ან მკითხველზე ზემოქმედებაც, მაშინ შეგნებულად
ხაზგასმით გამოყენებული ერთნაირი ან მსგავსი მნიშვნელობის სიტყვე-
ბი უ ლ ე ო ნ ა ზ მ ე ბ ა დ არ ჩ ა ი თ ვ ე ბ ა.

ასეთი სტილური დანიშნულებისაა სინონიმებისგან შედგენილი რთულ-
ფუძიანი სახელები: ბედნიეზალი, სვეზბედი, სინდის=ნამუსი, აღალ-
მართალი, სიცილ=კისკისი კვირილ=წივილი, ოხერ=ტიბალი და სხვ., რომ-
ლებიც აღიქმება არა როგორც პლენანზმი, არამედ როგორც ერთი სიტყვა,
ასეთივე შემთხვევებია ბ ი რ ი ს ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი ს
ხ მ ა რ ე ბ ი ს დ რ ო ს. ქართულში პირი ზმნაშივე აღინიშნება,
ამიტომ, როდესაც ზმნას წინადადებაში შემასმენლად ვიყენებთ, მასთან

1 В.А.Мамонov, Д.Э.Розенталь - Практическая стилистика совре -
мешного русского языка, М., 1957, стр.36.

პირის ნაცვალსახელს არ ცხმარობთ:

ახლა ქარხანაში გმუშაობ, ხვალ ადრე გამოვიდრე. წიგნების მოსატანად მიდის (მე, შენ, ის ნაცვალსახელების დამატება საჭირო არ არის):

რუსულ ენაში წარსული დროის ტარმის ზმნასთან, მაგალითად, **ОТХОДЯ**, თუ პირის ნაცვალსახელი არ ცხმარეთ, ეგრე გავიგებთ, თუ გინ იყო მოქმედი - პირველი, მეორე თუ მესამე პირი, ქართული ზმნა „გადაკეთა“ კი ზუსტად აღნიშნავს მესამე პირის მოქმედებას, „გადაკეთე“ - მეორე პირისას, ხოლო „გადაკეთა“ - პირველისას. მაგალითად, წინადადებაში: მე მას კარგი მოახრობა დავაწერიწე, შენ მე ეს საქმე მადე გამოკეთე! - ზედმეტია სიტყვები: მე - მას, შენ - მე (უნდა იყოს - კარგი მოახრობა დავაწერიწე. ეს საქმე მადე გამოკეთე!).

მ ა გ რ ა მ ე ბ ა რ ი ს ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი ს ა ქ ი - რ ა ა, თუ მოქმედი ან სამოქმედო პირი წინადადებაში სტილური დანიშნულებით არის გამოსაყენებელი და ხაზგასმით არის გამოსახატავი. მაგალითად: შტრ: ამას ვერ გავაკეთებ და ამას მე ვერ გავაკეთებ! პირველ წინადადებაში აზრი გამოხატულია დამატებითი ელფერის გარეშე, მეორე წინადადებაში კი აზრი განსხვავებულია: ნაცვალსახელის დამატებამ და მისმა ხაზგასმით აღნიშნავს გამოიწვია წინადადების აზრობრივი ელფერის შეცვლა - ამას მე ვერ გავაკეთებ ნიშნავს ვერ გავაკეთებ მე და არა სხვა ვინმე.

მსგავსი მაგალიტებია: იქ ჩვენ წავედით! ამას შენ გუბნებიან! თქვენ გეკითხებით!

ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი ს ა ქ ი რ ა ა შე რ წ ყ მ უ ლ ე წ ი ნ ა ლ ა ლ ე ბ ა შ ი ც, როდესაც ისინი ერთგვარ წვერებად არის გამოსაყენებელი:

შტრ.: ღვს აქ დავრჩებით და მე და შენ ღვს აქ დავრჩებით. თქვენ და ისინი ერთად წაბჭადო თვატრში, ატრ შენ, ატრ მე არ დავიზარებთ წასვლას.

ი ხ მ ა რ ე ბ ა რ თ უ ლ თ ა ნ წ ყ ზ ბ ი ლ წ ი ნ ა ლ ა ლ ე ბ ა შ ი ც, როდესაც დამირისპირებაა გამოსახატავი:

მე ღვეჯკრავ, შენ იმღერე. შენ აქ ღარჩი, ის კი წავიდე. თქვენ დავრეტ, ხოლო მან წაიკითხოს და სხე.

2. სიტყვა - პარაზიტები

ზოგიერთი მოუბარი ხშირად ხმარობს ნედმეტ სიტყვებს (ან ზღერებს), როგორცაა, მაგალითად ისა, მაშასადამე, შენ ხარ ჩემი ბატონი, იცი შენ? გაიგე? გესმის? ისა, რა უკეთა? მეტი, უთი, მეორე, მესამე, ასე რამ ეტყობა, უთი სიტყვით, აი ისეთი ამბავი, ღიახ, პოდა და სხვ. - იყენებს შიშის სიტყვებს, სადაც სრულყოფილი არ არის. საჭირო. მიზეზი ის არის, რომ მოუბარს ან ეძინება ახრთა გადმოცემა ლოკური თანამიმდევრობით, ან არა აქვს სიტყვათა სათანადო მარაგი და მტყულებლის დროს ეძინება საჭირო სიტყვის დროულად გახსენება, ან სიტყვის შეტყუება, რის შედეგადაც სიტყვებს შორის (ან წინადადებას შორის) უხდება შეტყუება და, სანამ საჭირო სათქმელს მოიტიკებდეს, პაუზის შესავსებად უნებურად გაგრძელებულად წარმოაქვამს რამელიმე ხმოვანს (ეეე... ააა...) ან იმეორებს ერთ და იმავე აკეთებულ სიტყვას, რამელსაც აზრობრივად არავითარი კავშირი არა აქვს სათქმელთან, მაგალითად:

ტყვე ადამიანი, მაშასადამე, განსაკუთრებით უნდა უფლიდეს და იტყვედეს, შას, მაშასადამე, დიდი მნიშვნელობა აქვს ტყვენიშოვის. იგი, მაშასადამე, იძლევა შერქანს, საარსებო პრეფერებს და სხვ. ტყვე მოქმედებს შავზე: ასუსტებს, მაშასადამე, ქარის ძალას, ზრდის, მაშასადამე, მოსავალს, იტყვეს, მაშასადამე, ნიდავს ჩარტეხვისგან, კვებავს, მაშასადამე, ნაკალებებსა და მდინარეებს, მრავალრიცხოვან ცხოველებსა და, მაშასადამე, ფრინველებს.

ზემოთ მოცემულ ნაწყვეტში არსად არ არის საჭირო სიტყვა „მაშასადამე“, მაგრამ იგი რამდენიმეჯერ არის ნახმარი.

შეიძლება შევხედეთ ხანშესულ მოუბარს, რამელიც დინჯად ჰყვება რამიმ ამბავს და შიგადაშიგ ხშირად ჩართავს სიტყვებს - შენ ხარ ჩემი ბატონი ან ისა და სხვ. ზოგ ასეთ ჩანაჩანს იყენებენ მსმენელის ყურადღების მისაპყრობად, მაგ: გესმის? გაიგე? იცი შენ? და ა.შ., მაგრამ არც ამ შემთხვევაში არის იგი საჭირო.

ა ბ ა ზ ი ტ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი გ ე ხ ე ე ბ ა
 მ ხ ლ ლ ზ ე ბ ი რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა შ ი . ეისაც ასეთი მტყულებია ჩვევად აქვს გადატყუვლი, ადნიშნულ სიტყვებს ხმარობს შეუგნებლად, მტყუნიკრად. ამ ნაკლის აღმოფხვრას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს როგორც ოჯახში, ისე სკოლაში.

§ 24. სიტყვათა განმეორება ანუ ტავტოლოგია

გ ა ნ მ ე ო რ ბ ა ანუ ტ ა ვ ტ ო ლ ო გ ი ა არის მრავალსიტყვაობის ერთერთი სახე და ნიშნავს ერთი და იმავე სიტყვის ან თქმის რამდენიმეჯერ გამოყენებას ერთ წინადადებაში ან აბზაცში.

სიტყვის განმეორება (მხატვრული მიტყველების გამოკლებით) არის უარყოფითი ენობრივი მოვლენა: მიტყველების სიღარიბის ნიშანია, ლექსიკურაგრამატიკული ერთფეროვნება, ინტონაციური მონოტონურობა, აზრის პრიმიტიულად გამოხატვა და მოსასმენად არასასიამოვნო.

მაგალითად, წინადადებაში:

ჩვენმა ქვეყანამ დიდ წარმატებას მიაღწია როგორც მრეწველობის დარგში, ისე ტექნიკის განვითარების დარგში - „დარგში“ სიტყვის განმეორება ერთი შეხედვით თითქოს წინადადების აზრს არაფერს ენებს, მაგრამ, ესთეტიკის თვალსაზრისით, უკარგავს მას სიღამაზესა და სიუხაფეს.

აღნიშნული წინადადება სწორად ვაღმოცემა ექისნარიად:

ჩვენმა ქვეყანამ დიდ წარმატებას მიაღწია მრეწველობისა და ტექნიკის განვითარების დარგში (უკავშირო ფორმად. სიტყვა „დარგში“ გამოყენებულია ერთხელ).

ჩვენმა ქვეყანამ დიდ წარმატებას მიაღწია როგორც მრეწველობის დარგში, ისე ტექნიკის განვითარების დარგშიც (კავშირითანი ფორმად. განმეორებისას სიტყვის „დარგში“ დართული აქვს ნაწილაკი ც).

ჩვენმა ქვეყანამ დიდ წარმატებას მიაღწია როგორც მრეწველობის დარგში, ისე ტექნიკის განვითარებაში (კავშირითანი ფორმად. „დარგში“ სიტყვის განმეორების თავიდან ასაცილებლად გამოყენებულია „ში“ თანდებულთან ფორმად „განვითარებაში“).

ჩვენმა ქვეყანამ დიდ წარმატებას მიაღწია როგორც მრეწველობის, ისე ტექნიკის განვითარების დარგში (კავშირითანი ფორმად. სიტყვა „დარგში“ გამოყენებულია ერთხელ, უკარგვარი წვერების პილის. თანხვე შემახვევაში წინადადება აგებულია მისხვევით ერთი და იმავე სახისაა, სახედაობა - შერწყმული, მაგრამ სტილისტიკურად მათ შორის საგრძნობი განსხვავებაა. აზრის ნათლად გამოხატვის თვალსაზრისით, ასევე ბუნებრივი ფორმის მიხედვითაც ყ ვ ე ლ ა ზ ე უ კ ე თ ე ს ი ა ა მ წ ი ნ ა ლ ა დ ე ბ ი ს შ ე მ დ ე გ ი ს ა ხ ე :

ჩვენმა ქვეყანამ დიდ წარმატებას მიაღწია როგორც მრეწველობის, ისე ტექნიკის განვითარებაში.

ან „და“ კავშირბინი ჭრება:

ჩვენმა ქვეყანამ დიდ წარმატებას მიაღწია მრეწველობისა და ტექნიკის განვითარებაში (სიტყვა „დარჯში“ საჭირო არ არის).

მსჯელობის, ამზის გადმოცემის ან სურათის თუ მოვლენის აღწერისას ს ი ტ ყ ვ ი ს გ ა ნ მ ე ლ რ ე ბ ა ს ა გ რ ძ ნ მ ბ - დ ა ლ ა მ ა ხ ი ნ ჯ ე ბ ს მ ე ტ ყ ვ ე ღ ე ბ ა ს. ეს ნათლად ჩანს შემდეგ წინადადებებში, სადაც ვეაქვს:

I. ს ა ხ ე ლ თ ა უ მ ა რ თ ე ბ უ ლ მ გ ა ნ მ ე ლ რ ე - ბ ა :

VII საუკუნის შუა წლებში საქართველოს არაბები შემოესივნენ, რომლებიც თითქმის ოთხ საუკუნეს ბატონობდნენ საქართველოში.

ილია ვიავვიადძის უხუარადღებოდ არ დაუტოვებია არც ერთი საკითხი, რომელზედაც არ ეტყვას თავისი სიტყვა. მრავალი საკითხიდან განსაკუთრებით მიაქვია ყურადღება ბატონყმობის საკითხს. ამ საკითხს მან მიუძღვნა რამდენიმე ღიბსშესანიშნავი ნაწარმოები.

ნესტანი თავის საქმრს მიმარბავს, რომ მან თავის ქვეყანაში შემოსულ მტრებს წინააღმდეგობა გაუწიოს და განდვენოს ისინი თავისი ქვეყნიდან.

თინათნი კი ზის არაბეთის სამეფო ტახტზე და ბრძნულად განაგებს არაბეთის სახელმწიფო საქმეებს.

განმეორება არც იმ შემთხვევაშია მოსაწონი, როცა ტავტოლოგიური სიტყვები წინადადებაში სხვადასხვა მუტყვედების ნაწილთ არის გადმოცემული, მაგალითად:

წყალი ძლიერი ძალით მოაწვა ჯებირს, რამაც ძლიერ შეაწუხა მთელი სოფელი.

მაგრამ ღასაშეების სიტყვების ისეთი განმეორება, რომელიც წინადადებაში აუცილებელი საჭიროებით არის გამოწვეული. მაგალითად, ამ ნაწყვეტში:

აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელი“ არის დიდი აღმზრდელითი მნიშვნელობის ნაწარმოები. აკაკი წერეთელი XIX საუკუნის II ნახევრის ყველაზე თვალსაჩინო ქართველი მგოსანია - სიტყვების განმეორებას ვერ ავიცილებთ, ვინაიდან მუორე წინადადებაში პირის ნაცვალ-სახელის გამოყენება გამოიწვევდა აზრის დამახინჯებას. არ ივარგებლა, რომ ასე გვეთქვა: აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელი“ არის დიდი აღმზრდელითი მნიშვნელობის ნაწარმოები. ის XIX საუკუნის II ნახევრის ყველაზე თვალსაჩინო ქართველი მგოსანია, - რადგანაც ნაცვალსახელი „ის“ მიუთითებს წინა წინადადების ქვემდებარებზე,

რის გამოც ასეთი უცნაური ძიები გამოიხატა: თითქოს პოემა „გამზარდელი“ არის XIX საუკუნის II ნახევრის ყველაზე თვალსაჩინო ქართველი მგოსანი.

2. ანდრე ზუღლისა და ნაწილი კის უმთავრესი ზედიზედ განმარტებისა.

არ ვარა, როდესაც ერთ წინადადებაში თანდებული ან ნაწილი კის რამდენიმეჯერ არის ნახმარო, მაგალითად:

ინსტიტუტის მუშაკები ეცნობიან პეროლიკაში ან ცალკე გამოცემებში გამოტყუებულ სიბაღეს, მსჯელობენ ცალკეული საენათმეცნიერო საკითხების შიგნით, გამოქმული ახალი ძეგლების შიგნით (გაზ. „სახ.გან.“, 16.X.1957, გვ.3).

მამას შეუთვლია: ძვილი, ოღონდ კარგად ისწავლო, წესიერად იყავო, სამშობლო არ შეარცხენო და მე არაფერს მოგაკლებო.

ის ახლა უნდა იხდეს და გაკეთილებს უნდა სწავლებდეს, გიგი ზედი ადრე უნდა ადგეს, მანქანა უნდა იშოვოს და სფეროში უნდა გაემგზავროს.

ერთი და იმავე სიტყვის განმეორების თვითადასაყრდენად (სადაც ეს მოსახერხებელია) ხშირად მ.ი.მ.ა.ე.ც.ე.ს.ი.ნ. - ნ.ი.მ.ი.ბ.ს., რასაც წინადადებათა სტილისტიკურად გასამართლებად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამგვარად არის აგებული, მაგალითად, შემდეგი ფრაზა:

ერთმა მკითხა, მოსკოვიდან ხომ არ ხარ ჩამოსული, სადღის შინ მორთმევას იქ დაერეოდიო, მეორემ ღენინგრადად ჩამამგადალა, მესამემ კივერდად მამინათლა, მეოთხემ კი რიგედად გამამასლა (გაზ. „სახ.“, 12.I - 1961, გვ.2).

ამ წინადადებაში „რამთვალა“ სიტყვის რამდენიმეჯერ განმეორების თვითადასაყრდენად ავტორმა მოხდენილად იხმარა იმავე მნიშვნელობის გამოსახატავად სხვა სიტყვები: „მომინათლა“, „გამამასლა“. ამ წინადადების უფრო გამართლებულად გადმოსათქვამად შეიძლება სიტყვა „რამთვალა“ რეზიმოთ ერთხელ:

ერთმა მკითხა: მოსკოვიდან ხომ არ ხარ ჩამოსული, სადღის შინ მორთმევას იქ დაერეოდიო, - მეორემ ღენინგრადად ჩამამგადალა, მესამემ - კივერდად, მეოთხემ კი - რიგედად.

მთავრად მსიტყვის განმეორების უმთავრესი ზედიზედ განმარტებისა. მთავრად მსიტყვის განმეორების უმთავრესი ზედიზედ განმარტებისა. მთავრად მსიტყვის განმეორების უმთავრესი ზედიზედ განმარტებისა. მთავრად მსიტყვის განმეორების უმთავრესი ზედიზედ განმარტებისა.

ეს კარგად ჩანს შემდეგი ორი წინადადების შედარებიდან:

1. წინა ოთახში მავილაზე უკეთესი ჩვენები, ჩვენები

რეულები, რეგენი სამეღწეები, რეგენი კადმისტარები და რეგენი ფანტრები და 2. უკვადიო რეგენი ური, რეგენი მიწა, რეგენი წყალი (ი.გრიშ., „სინაბლი“). პირველ წინადადებაში აღნიშნული ფაქტი არ შეიცავს არც ემოციასა და არც ექსპრესიას, ამიტომ ერთი და იმავე ნაცვალსახდრის ჩამდენიშეჯერ განშეორება არ შეიძლება ჩითხვალის დადებით მიხედნად. იგრ სტილის თვალსაზრისით ამასინჯებს წინადადებას, ს წ რ ა ლ ი თ ქ მ ი ს ა ს ე :

„წინა თხასში მაგობაზე იწყო რეგენი წიგნები, რეულები, სამეღწეები, კადმისტარები და ფანტრები“, შავრამ მეორე წინადადებაში სამჯერ ნახმარი სიტყვა „რეგენი“ არავის ეხაშუება, ვინაიდან იგი პოეტის მიერ ხაზგასმით არის განმუორებული ასახსნელი სიტყვების მნიშვნელობაა ექსპრესიულად გამოსახატავად.

მაშასადამე, ზე რეულებრივი მსჯელობის დროს სიტყვის განსეორება იწვევს სტილისტიკურ უხერსულობას, გამოხატავს მტყველების პრიმიტიულობას, მხატვრულ მტყველებაში ასეთი განმუორება ენსახურება აზრის ექსპრესიულად გადმოცემის მიზანს.

წინადადებაში აზრის ან გრძნობის გაძლიერებულად გამოსახატავად სიტყვათს განმუორება ხშირი მიხედნაა განსაკუორებით პოეზიაში.

სიტყვების განმუორება უმთავრესად ხდება ერთმანეთის მიჯლებით, ზოჯერ - ერთმანეთისგან დამორებულად. ორივე შემთხვევაში იგი არის წინადადებას ძირითადი აზრის გადმოცემა.

მხატვრული მტყველების დროს განმუორებულად შეიძლება ვინმართს ხველა მტყველების ნაწილი:

1. ზ მ ნ ა , რომელსაც იმუორებენ მოქმედების გასაძლიერებლად, თსონის, ოწრღების, მოპატიებარს ან რაივე ფაქტის ხაზგასმით აღსანიშნავად :

- წაეიღეთ, წაეიღეთ აქედან! (კ.ლორქ.).

- სობრძანლი, ღედი, შობრძანლი! (კ.ლორქ.).

- მკიძინეთ, შეიძინეთ, სეიძინეთ შეგობარი! (ი.გრიშ.)

ზმნას იმუორებენ იმ შესახვევაშიც, როდესაც საკითხა მოქმედების ხანგრძლიეობის აღნიშვნა :

იარა, იარა და მკიდი. ერთ კოქთან (ზღაპ.).

იუიქრა, იფიქრა და ზილის მიხვედა.

2. ზ მ ნ ი ზ ე დ ა , რომელსაც იმუორებენ მოქმედების ძღვილის, დროის, კითარებისა და სხე. მისთ. ხაზგასმით გამოსახატავად :

შეგობრებო, წინ, წინ ვასწიო... (ი.ეღე-).

სად არიარ სხვა, ოწაყენი, სად? (შ.არაგე.).

შოიქა რქარა, რქარა! (შ.არაგე-).

იქ ზეიმობს, იქ არი ხალხი გაუჭირველი (ი.გრიშ.).
 3. ნ ა წ ი ლ ა კ ი, რომელსაც ხმარობენ უარყოფის ან მტკი-
 ცების ხაზგასმით აღსანიშნავად:

არა, არა, მაგრე არ შეიძლება (დ.კლდ.).

ცერა, ცერა, თქვენი ჭირიმი (ნ.ლომ.).

ნუ, ნუ, ამაზედ უარს ნუ მტყვი (ნ.ლომ.).

ჰო, ჰო, მოსაგონდა! (ნ.ლომ.).

კარგი, კარგი, კმარა! (ე.გაბ.).

კეთილი, კეთილი ხელს არ შეგიშლით (ი.ღის.).

ღიახ, ღიახ! მადან გაგვაშავა ხალხის თვალში (ა.წერ.).

აგრეთვე:

თბილისი, ბაქო და ერევანი - რა კარგი თქმაა, რა დიდებული
 (ი.გრიშ.).

(აქ განმეორებული სიტყვა „რა“ გამაძლიერებელი ნაწილაკია).

4. შ ი რ ი ს დ ე ბ უ ლ ი, რომელიც იხმარება გრძნობის გა-
 ძლიერებულად გადმოსაცემად:

უჰ, უჰ, რა ტკბილია... (შ.არაგვ.).

ოჰ, ოჰ, რა განსვენებაში და ბედნიერებაშია ამ დროს დათვი!
 (ვ.ფშავ.).

ვიშ, ვიშ, რა ბედნიერი დღე გავციფნა... (დ.თურდ.).

ჰო, ყოჩაღ, ბიჭუნი, ყოჩაღ... (ა.ხახუტ.).

5. ს ა ხ ე ლ ე ბ ი, რომელთა განმეორებით ხაზგასმით აღინი-
 შნება კითხვა, დასახელება, მიმართვა, კუთვნილება, თვისება, რაო-
 ჟენება, მოქმედი ან სამოქმედო საგანი და სხვ.

ვინ, ვინ გელოდება შინ, გელა? (ი.ევდ.).

რა გინდა, რა? (შ.არაგვ.).

წყალი კი ბევრი, ბევრი დალია (ი.ევდ.).

დედი, დედი! ეს რა ამბავია? (ი.ჭავჭ.).

აღამიანი მოდის, აღამიანი! (დ.თურდ.).

დროშები, დროშები... დროშები ჩქარა! (გ.ტაბ.).

სამი ბიჭი წავატყვი, პაპილო, სამი! (მ.ჯავახ.).

6. ს ა ხ ე ლ ს ი მ ე რ ი ბ ე ნ მ ა შ ი ნ ა ც, როდესაც ქვე-
 მდებარედ გამოყენებული სიტყვა ამავე დროს დამატებადაც არის სა-
 ჭირო:

წერილი წერილს გააჩნია.

7. ა ს ე ვ ე, როდესაც ქვემდებარედ გამოყენებული სიტყვა
 ამავე დროს შედგენილი შემასმენლის თანასაყროთა:

საქმე მაინც საქმეა.

8. მ ა შ ი ნ ა ც, როდესაც რთულ შემასმენელში მოცემულია

წმინა და მისი საწყისი, ე.ი. გვაქვს პარონომიაზია¹

სიმთაყ უტანს სვამდა. დაწერილ დაწერა...

9. აზრის გაძლიერებულად გადმოსაცემად შეიძლება ერთი და
თავივე სიტყვა გავეიმეოროთ არა მარტო ერთ სიტყვასთან (მაგ.,
„აქეთ, აქეთ წამოდი!“), არამედ წინადადების სხვადასხვა სიტყვას-
თანაც:

რთულ თანწყობილ წინადადებაში:

იყვლება ასაკი, იყვლება ადამიანი. ხალხი აზვირთდა, ხალხი
აღსდგა, ხალხი მოქმედობს...

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში:

თუ მკვლე, მომკალი და გამათავე (მ.ჯავახ.).

იცი, მკითხველ, ეს რა თხი წელწადი რა რა თხი წელიწადი?

(ი.ჭავჭავაძე).

10. თავისებური მხატვრული ხერხია ზმინის განმეორება შერ-
წყმულ წინადადებაში. როგორც ზ. ჭუმბურიძე აღნიშნავს,
ამის მაგალითი ბლამად შეინიშნება მ.ჯავახიშვილის „არსენა მცრა-
ბდელში“:

„არსენამ მოასწრო და ხელეზი რქებში რ ა ს ჭ ი ღ ა, რ ა ს -
ჭ ი ღ ა და დ ა რ თ რ ი ა, დ ა რ თ რ ი ა და ისე მოსწია, კი-
სრის ძღვლები მოუშტვრია და ქარღვები დაწყვიტა“.

მკვლევარი წერს: „ამ ნაწყვეტში ჯურაადებას იპყრობს ფრაზის
თავისებური წყობა, ზმინების ასეთი დაწყვილება: „მოასწრო და ხე-
ლები რასჭიდა“, „რასჭიდა და დაითრია“, „დაითრია და მოსწია“,
ზმინების ამგვარი განმეორება არაა ანელებს მოქმედების დინამიკის
გრძობას, არამედ, პირიქით, აძლიერებს მას, და მ. ჯავახიშვილიც
ხშირად იყენებს ამ მეთოდს ორიგინალურ ხერხს, რომელიც ამის თხრო-
ბას ქართული ზღაპრის სტილთან აახლოებს. უკეთ რომ ვთქვათ, ეს არის
ხალხური მენტელების სტილი, რომელიც უარაა რანს ზღაპარში“².

ერთი და იმავე სიტყვის განმეორება უფრო ძლიერი მხატვრული
ხერხია ბ. ლ. ე. წ. ი. ა. შ. ი.

1 იხ. ე. წ. ვერეტილი - პარონომიაზია ქართულში. იბ. კვანაცას.
ენათმეცნ., ტ. 6, 1954.

2 ზ. ჭუმბურიძე - სალიტერატურო ენა და მწერლობა, თბ.,
1962, გვ. 92.

ვარდი ვახოვე - გამიღიმე,
გამიღიმე და მიიხარო;
„ჰა, ინებე, ჩემო კარგო,
საბუთია უტყუარი“.

გამოგართვი, გულს ჩაეკარ,
გულს ჩაეკარ ნარუქარი.
ღრუ გავიდა და როს ვნახე,
დამხვდა უკვე ის დამჭკნარი.

გეცეგრები ნუ მიმალავ,
ნუ მიმალავ და მიიხარო,
მე რომ ვარდი გაღმომეცი,
ეს შემთხვევა სხვას უხხარო?

(ნ.კალან.)

სიტყვების განმეორებით მგოსანი წინადადებაში განსაკუთრებული მხატვრული სიძლიერით გამოხატავენ აზრსა და გრძნობას, ხაზგასმით გამოყოფს ძირითად სიტყვას და ფრაზას აძლევს სასიამოვნო იერს.

11. ბუნებრივია სიტყვის განმეორება შემდეგ წინადადებაშიც: დღე დღეს მისდევდა და ღამე - ღამეს. დღეს დღეზე ითვლიდა. დავიფხა არსენას თვალებს თავისი თვალები გააყოლა (მ.ჯავახ.). ვაჟარი ეპრობს ვაჟრულად (ვ.ფშავე.).

12. დაღებითი მოვლენაა ისეთი განმეორებაც, რომელიც გვაქვს ერთნაირი სიტყვებისგან მიღებულ კ მ ბ მ ზ ი ტ შ ი: კვალდაკვალ, ფეხდაფეხ, გზადაგზა, სხვადასხვა, ხტუნვახტუნვით, ღაპარაკ-ღაპარაკით და ა.შ.

13. ზოგჯერ განმეორება მწერლის მიერ შეგნებულად არის გამოყენებული პერსონაჟის მეტყველების კოლორიტის საჩვენებლად, მაგალითად:

ღუარსაბი ასე ღაპარაკობდა: სწავლა რა არისო, სწავლა რა ეცაცის საქმეაო, სწავლა ქალის საქმეაო (ი. ჰავუცი.).

გერა ნახე და უხხარო; ბაბაია დღესაც იმ დოხთურთან წავიდათქვა, მენ რომ პირველად წაიკვანეთქვა, ცოტა შეაგვიანებდა, მაგრამ მაინც შოვა და იმუშავებსთქვა (დ. ქიარ.).

აღნიშნული ტიპის ტავკოლოგიის საუკეთესო მაგალითია გლახა მირიამვილის მეტყველება ი. ჰავუციანის „გღებთა განთავისუფლების სცენებიდან“.

14. მხატვრულ მეტყველებაში განმეორება განეკუთვნება ისეთ სინტაქსურ კონსტრუქციებს, რომლებიც იხმარება აზრის გამომსახველობის გასაძლიერებლად. ლექსში: სტრიქონის ან სტროფის დასაწყისის სიტყვის განმეორებას ა ნ ა ჟ ი რ ა პქვია, ბოლო სიტყვის განმეორებას კი - ე ბ ი ლ ი რ ა. პირველის მაგალითია:

მასწავლებელი - დამე უძილო,
ნორჩებზე ფიქრით დაუშრობელი,
მასწავლებელი - ზოგჯერ უშვილო,
მავრამ ათასი ბავშვის მშობელი.

მასწავლებელი - რამ დაგვაფიქროს,
ჩვენთვის ზრუნავდა, ჩვენთვის
შრომობდა,
ქვეყნად არც ერთი ბრძენი არ იყო,
მასწავლებელი რომ არ პულოდა.

(ი.ნონ.).

§ 25. ენობრივი შტამებები

შ ტ ა მ ბ ი არის ისეთი სიტყვა ან სიტყვათა შენაერთი, რომელიც უცვლელად, ერთი და იმავე სახით იხმარება როგორც წერითი, ისე ზეპირი მეტყველების დროს.

ენობრივი შტამებები ტრადიციულად გამტკიცებული თქმები და უმთავრესად ახასიათებს ოჯახიდან დასაწყობებულ ენობრივ სტილს (იხ. §15).

ასეთი სიტყვები და თქმებია:

1. ო ქ მ ე ბ შ ი ხ მ ა რ ე ბ უ ლ ი; ჯდის წესრიგია, წონისმიერს, დანადგინეს; 2. გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე შ ი; ჯაცინაზედ, ჯახოვთ, მიილთ მხედველობაში, ამასთან გაახლებამ, ვანცხადებას თან ერთვის და სხვ.

საკანცელარო ენისთვის შტამებები ჩვეულებრივი მოვლენაა. ისინი, როგორც უცვლელი, სპეციალური სიტყვები და თქმები, დაკავშირებულია ამით თუ იმ დოკუმენტთან, სპეციალობასთან და საჭირო არ არის მათი სხვა გარანტიებით გამოყენება, ცინაიდან სხვა ფორმებით აზრის გაგება გაძნელებულია.

შტამებები ხშირად იხმარება ბ რ ე ს ი ს ა და ს ა ს ა უ - ბ რ ო ე ნ ა შ ი. ასეთებია, მაგალითად: ხანგრძლივი ტაში, მქუხარე ტაში, ცხარეგებლობა შემთხვევით, ერთგულ საკითხს წარმოადგენს, ადგილი აქვს და სხვ. აგრეთვე ს ტ ა ნ დ ა რ ტ უ ლ ი ფ ო რ მ ე ბ ი შ ე დ ა რ ე ბ ი ს ა რ; ლომივით იბრძოდა, დასყვირით ბურღულეზბდა, ძაღლივით ყვიდა... ასევე: როგორც ცხედავთ, შენიძლება იქვეას, დიდა მნიშვნელობა აქვს, მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს და ა.შ., მ ა ვ რ ა მ დ ა უ შ ე ე ბ ე ე ლ ი ა, როდესაც ტრადიციულად გამტკიცებული შტამებები საკანცელარო და პოეტური ენიდან გადააქვთ მ ხ ა ტ ც რ უ ლ ე მ ე ტ - ყ ე ე ლ ე ბ ა შ ი; რაც, მაგალითად, პოეტური ენაში შეესაფერი და ბუნებრივია, იგი სხვა შემთხვევაში შეიძლება არცაა გამოყენებული (ი.ი.

მოუღებელი) სიტყვა ან თქმა.

სამწუხაროდ, შტამმები: ჯერჯერობით არაიშვიათად გვხვდება გაზეთებში, ჟურნალებში; რადიო და ტელეგადაცემებში, მოხსენებებში და სხვ. რაც უმთავრესად არის უარყოფითი ჩვევის, ბრმა მიბაძვის, უხეირო თარგმანის ან ენის დახვეწაზე ნაკლები ზრუნვის შედეგი.

ამის შესახებ მ. მიხაილოვი წერს: „შტამები შეტყველებაში - ეს არის გაშვებული ფრაზებით დაპარაკის ჩვევის შედეგი, ეს არის აზრის სიზარმაცე. კიდელი მოუბარი რომ „ქმნიდეს“ თავის მებრველებას, შტამები, როგორც ასეთები, ენიდან გაქრებოდა“¹.

ქართულში ამჟამად ძალიან გახშირდა შემდეგი ტიპის შტამები: ბრძოლა გამოუცხადეს; წითელი ზღვიით ვასდევს, ყოველდღიურ დახმარებას უწევს, განახორციელა პრაქტიკული ღონისძიებანი, განუყრელი ნაწილია, მიიღო გადაწყვეტილება, ადგილი არა აქვს, რიხობრივი მარცენებლები, გაანადგურა წლიური გეგმა, ჯეროვანი ყურადღება იქცევა, გარკვეული მუშაობა ჩაატარა, დამსახურებული სასჯელი მიიღო, ევრ პასუხობს წაყენებულ მოთხოვნებს და სხვ.

შტამები უფრო მეტად გვხვდება სტანდარტული განსაზღვრებებით: **ე ა რ თ კ ვ ა ს ა ნ ი, მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ე ა ნ ი ზ ი ა ნ ი, დ ი რ ს ე უ ლ ი შეხვედრა, ა ქ ტ ი უ რ ი დახმარება, გ ა რ - კ ვ ე ე ლ ი მუშაობა, ა რ ს ე ბ უ ლ ი ნაკლოვანებანი, ს ა - თ ა ნ ა დ ო ღონისძიებანი და ა.შ.** ამგვარი შტამები უმთავრესად არის **კ ა დ ე ე ბ ი**, რომლებიც აქვეითებენ შეტყველების გამოშვებულობას, ტვირთავენ წინადადებას არაფრის მთქმელი სიტყვებით, ქმნიან მრავალსიტყვაობას, გაზეთადებულად გამოხატავენ აზრს.

შტამები ხშირად გამოხატავენ სიტყვათა შორის ლოგიკურ შეუსაბამობასაც: **უარაღებმა მოახდინეს უკანონო თავდასახება, მან მიიღო დაქსახურებულნი საყვრელური, ამ საქმეს ექცევა სათანადო ყურადღება, საუბარი ეხებოდა არსებულ წარმართებებს, ვერ აკმაყოფილებდა მისდამირწაყენებულ მოთხოვნებს და სხვ.**

თუ რამდენად აქვეითებს შტამები სალიტერატურო-სასაუბრო ან წერილობით ენას - ეს ქარვად ჩანს შემდეგი შედარებითდან:

შტამპიანი აქტები	უშტამპო აქტები
1. მას გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა ა ქ ე ს მ შენებლობის დარგში.	მას ი ყ ე ნ ე ბ ე ნ მ შენებლობაში.
2. გოორგიმ თავი ისახელა მოსა- ვლის უდანაკარგოდ ა ღ ე ბ ი ს ს ა ქ მ ე შ ი.	გოორგიმ თავი ისახელა მოსა- ვლის უდანაკარგოდ ა ღ ე ბ ა - შ ი.
3. შ ე მ ო დ გ ო მ ი ს ა ე - რ ი ო დ შ ი სოფელში მიდიოდა სამუშაოდ.	შ ე მ ო დ გ ო მ ა ზ ე ს ო - ფელში მიდიოდა სამუშაოდ.
4. ქარხანამ წარმატებით უ ზ რ უ - ნ ე ე ლ ყ ო გეგმის დროულად გ ა - ნ ა ღ ე ბ ა.	ქარხანამ წარმატებით დროზე შ ე ა ს რ უ ლ ა გეგმა.
5. რუსთავი ამჟამად წ ა რ მ ო ა - დ გ ე ნ ს ერთჯერად დიდ სამრეწველო ქ ა ლ ა ქ ს.	რუსთავი ამჟამად ა რ ი ს ერთჯერად დიდ სამრეწველო ქ ა ლ ა ქ ი.
6. ხელნაწერის გ ა ს წ ო რ ე ბ - ი ს ს ა ქ მ ე ზ ე ერთ თვეს მ უ - შ ა ო ბ ღ ა.	ხელნაწერს ერთ თვეს ა ს წ ო - რ ე ბ ღ ა.
7. ახლა ხეების მ ო ტ რ ა ს ა ზ ო რ ც ი ე ლ ე ბ ე ნ მო- ტოხერით.	ახლა ხეებს მოტოხერით ტ რ ი ა ნ.
8. ისინი მასზე სათანადო ზ რ უ ნ ე ა ს ა რ ი რ ე - ნ ღ ე ნ.	ისინი მასზე სათანადოდ ა რ ზ რ უ ნ ა ე ღ ე ნ.
9. გვალვამ მ ნ ი შ ე ნ ე - ლ ო ვ ა ნ ი ზ ი ა ნ ი მ ი - ა ყ ე ნ ა მოსაველს.	გვალვამ დ ი ღ ა ღ (ან სა- გრძნობლად) დ ა ა ზ ი ა ნ ა მოსაველი.
10. ჩვენმა დეპუტატმა დროზე უ ზ რ უ ნ ე ე ლ ყ ო ამომრჩე- ველთა განაწესის შ ე ს რ უ - ლ ე ბ ა.	ჩვენმა დეპუტატმა დროზე შ ე - ა ს რ უ ლ ა ამომრჩეველთა განაწესი.
11. ახლი მ ი მ ღ ო ნ ა რ ე - ო ბ ს საწარმოო პროცესის ავტო- მატურ მართვაზე გ ა დ ა ყ ვ ა ნ ა.	ახლა საწარმოო პროცესი გ ა - დ ა ე ყ ა ვ თ ავტომატურ მართვაზე.
12. შ ე უ ბ რ ა ღ ე ბ ე ღ ი ბ რ ძ ო ლ ა უ ნ ღ ა გ ა მ ო - ე უ ც ხ ა ღ ო თ მოძრაობის წე- სების დ ა რ ღ ე ვ ე ვ ი ს შ ე - ე თ ზ ე უ ვ ე ბ ს.	შ ე უ ბ რ ა ღ ე ბ ე ღ ა ღ უ ნ ღ ა ვ ე ბ რ ძ ო ლ ო თ მოძრაობის წესების დ ა რ - ღ ე ვ ე ვ ა ს.

კიდევ ბევრი ასეთი მაგალითის დასახელება შეიძლება, მაგრამ აღნიშნული წინადადებებიც საკმაოდ მიუთითებენ იმაზე, თუ როგორ უკარგავენ შტამბები მიტყველებას სილამაზე, სიცხადესა და ბუნებრიობას. მათ საპირისპიროდ ნარჩენები ბუნებრივი აქმები არა მარტო მარტივია (სწორედ ამ სიმარტივეშია მათი სიცხადე), არამედ - უადრესად ნათელი და გასაგებიც. ბუნებრივ აქმებს აქვს როგორც თავისი სილამაზე, ისე გამოსახველობითი და დამაჯერებელი ძალაც.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ქართულ ენაში სიტყვათა უკუფთო იშვიათად გადმოიყვამა ზმნის მნიშვნელობა (მოქმედება და მდგომარეობა) ისე მკვეთრად და გასაგებად, როგორც ამას გამოხატავს ზმნა, ამიტომ იგი ყველა სხვა ენაშიც საშუალებაზე (მაგ., საწყისზე და სხვ.) უფრო ცხოველყოფილია წინადადებაში. ეს ნათლად მტკიცდება თუნდაც ასეთი შედარებით:

- | | | |
|--|----|------------------------------|
| მასზე ზრუნვას არ იჩენს. | და | მასზე არ ზრუნავს. |
| დროზე გაუწია დახმარება, | და | დროზე დაეხმარა. |
| ახლა არ გვაქვს ამის გაკეთების საშუალება. | და | ახლა ამას ვერ ვაგაკეთებთ. |
| მიწის დამუშავება ხდება ტრაქტორით. | და | მიწას დამუშავებენ ტრაქტორით. |

როგორც ვხედავთ, ზმნები უფრო ნათლად გამოხატავენ აზრს, ვიდრე მათი მნიშვნელობის გადმოსაცემად გამოყენებული სიტყვათა უკუფთები, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ, როდესაც სიტყვათა უკუფს არ ახლავს სტილის ნიშანი, ე.ი. ნეიტრალური სტილისაა. სხვა მდგომარეობაა, როდესაც 'ამნური მნიშვნელობის სიტყვათა უკუფს, გარდა ინფორმაციისა, ეკისრება ემოციისა და ექსპრესიის გამოხატვაც. მაგალითად, ასეთი აქმებია ფრაზეოლოგიური შენაერთები: ფონს ვაგვიდა (გადარჩა, გაიმარჯვა...), სად ვეღვი ავშოლა (მოუნდა), სულ დავლი (მოკვდა), ყური დავუგდო (მოუსმინა), თვალში მოვვიდა (მოეწონა), გულ დავდა (დავინტერესდები), ხე დავიღო (მიატოვა), ჯერ ვეშვი (ვაჯიუტებ) და სხვ.

ამაშიანი, რომელიც ყურადღებას აქცევს სალიტერატურო ენის სიწმინდეს, სიწარუსსა და სილამაზეს, ყოველთვის ცდილობს ილაპარაკოს და წეროს დახვეწილი ენით; იქ, სადაც ალყილებელი არ არის, გვერდი აუაროს მოძალბებულ შტამბებს, შეცვალოს ისინი მშობლიური ენის ბუნებრივი სიტყვებითა და აქმებით.

სალიტერატურო ენის სიწმინდესა და მწიგნობრულ სტილს ძირითადად ამახინჯებენ შტამბები, კალკები, დი-

ღ ე ქ ტ ი ზ მ ე ბ ი , ჟ ა რ გ ო ნ ი ზ მ ე ბ ი და ე ვ ლ გ ა -
რ ი ზ მ ე ბ ი .

§ 26. სხვა ენებიდან შემოსული არასაჭირო
სიტყვები ანუ ბარბარიზმები

ბარბარიზმები პქვია ისეთ სიტყვებსა და ფემებს, რომლებიც შემოსულია მშობლიურ ენაში სხვა ენებიდან საჭიროების გარეშე. ისინი დედენაში საჭირო არ არის იმის გამო, რომ გვაქვს მათი შესატყვისი საკუთარი სიტყვები :

საჭიროების გარეშე შემოღებული სიტყვები არა მარტო ამახინჯებენ, აღარბეზენ მშობლიურ ენას, არამედ ხელს უწყობენ ენების ერთმანეთში უსისხუემოდ აღრევისაც (და არა დაახლოებას), რასაც შედეგად მოსდევს საკუთარი ენის მთლიანობის დაშლა, ამ ენაზე მაღაღკვადიფიციური კაღრების მომზადების, კულტურისა და მცენიერების განვითარების შეფერხება .

ქართულ ენას არ სჭირდება ისეთი სიტყვებით შევსება, როგორცაა, მაგალითად: სტოღი, სპირქა, ფერი, პოღი, ზაზორი, პღატოკი, პრასქა, შქაფი, რამქა, ტრუბა, მაშინა, გასტინიცა, პრანციკი, მებელი, პასატირი, პერო, ნასკები, საროქა, კვიტანცია, კრასკა, პესოკი, სოკი, შტრაფი, სტაქანი, შნური და სხვ., რადგანაც გვაქვს ამათი შესატყვისი საკუთარი სიტყვები (მაგიღა, ასანთი, ღუმელი, იატაკი, ლაზე, ცხვირ-სახოკი, მრეცხავი, კარაღა, ჩარჩო, მიღი, მანქანა, სასტუმრ., ღღესასწაული, ავეჯი, მგზავრი, კაღამი, წინდები, პერანგი, ქვითარი, საღებავი, ფხენიღი, წვენი, ჯარიმა, ჭიქა, თასმა) .

ეს და სხვა მრავალი სიტყვა რუსული ენიღან პომღინარობს, მაგრამ ყვეღა არ არის რუსული. მაგალითად, სიტყვები: ზაზორი, ეოღკა, რაზრიღი, პღიტქა, ნასკები, პღატოკი, პოვესტქა და მისთ. წარმოშობით რუსულია; სტოღი, ფერი, პოღი, სპირქა, ნარაღნიკი, კრასკა, პესოკი, პატარი, სოკი... - ძვეღი სღავური ენიღანაა; მებელი, პასატირი, შოსე, ბუკები, სკეღები, კასტრული... - ღრანგულია; შქაფი, რამქა, შტრაფი, რემქა, საღფეთქი, პარქა, პრობქა... - გერმანული; ტრუბა, მაშინა, კვიტანცია, პრავიზია... - ღათინური; პროტოკოღი, პღატქა, ტორმუზი... - შერმნული; სტაქანი, პღარი... - თურქული; პერო - სპარსული, შნური - პოღონური, პღაკონი - იტღიური და ა.შ.

არასაჭირო უცხო სიტყვები სამწწრღობო ენაში უმთავრესად XIX

საუკუნის მოღვაწეებთან შინიშნება. ეს იყო ღო, როდესაც ქართული ტერმინოლოგიის შემუშავება ის იყო იწყებოდა და, რაც მთავარია, რუსეთის მეფის მთავრობა დაწესებულებებიდან და სკოლებიდან სასტიკად დევნიდა ქართულ ენას, მის ნაცვლად კი ყველგან აბატონებდა რუსულს. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მაშინდელი მწერლების ნაწარმოებებში ბარბაროზები ახასიათებს როგორც მოქმედი პირების, ისე ავტორების მეტყველებასაც:

ს ტ ა ლ ე ბ ი მისწი-მისწიეს (ე.გაბ.).

იმთ მთხოვეს საღამოს ყაზბეგის ს ტ ა ნ ც ი ა შ ი... მივსულიყავი (ა.ყაზბ.).

ს უ ლ შ ი გიბარებენ ღორის მოკვლის თაობაზეო (ე.ნინ.).

წაუკითხა მსაჯულმა ბეჟანას პ რ ა ტ ი კ ე ლ ი (ე.ნინ.).

აღამიანო, ბ ა ლ ე კ ნ ზ ე რას აკეთებ...? (შ.არაგვ.).

- ხელად ერთი ზ ა კ უ ს კ ა მოგვარავი, თუ ქალი ხარ! (დ.კლდ.).
თბილ თვის უკან... გამოვედ შინიდან. ფ ა ე ტ ო ნ ი თ, ორიოფსა-
მჯერ მოვატრიალებინე ე უ რ ე რ ს ა ... ცხენი და დავაყენებინე
ერთს ო რ ე ტ ა ე ი ა ნ სახლთან (დ.არდ.).

ასე იყო წინათ. ახალ ვითარებაში მას საესტეით დაადწია თავი. რიგემა მწერლობამ, ასევე სკოლამ, დაწესებულებებმა, მთავარმა, სამ-
წუხაროდ, არასაფირო სიტყვები, რომლებიც უმთავრესად საყოფაცხოვრებო
საგნების სახელწოდებებად შემოინახა, უკრთვედ არ არის საბოლოოდ
აღმოფხვრილი ხალხის საღამოარყო ენიდან როგორც ქალქად, ისე სოფლად
და დაუღვეარი აღმზრდელების უყურადღებობის გამო ფხვს იკადებს ახალ-
გაზრდობის მეტყველებაშიც.

როგორც შ. კეკელია და პ. დავითიანი აღნიშნავენ, „ბარბაროზების
ცნებაში გვიანდელ ეპოქაში გამოიყო ქვეცნობები, როგორცაა, მაგალი-
თად:

1. არმენიზმები - სომხური ენიდან შემოტანილი სიტყვები: ტო -
ბიჭო, ახრი - გოგო, ქალი; ვნაცო ქნა - წაეიდა, ცაცატანემ - ვენა-
ცვადე და მისთ.
2. რუსიციზმები - რუსული ენიდან შემოტანილი სიტყვები: პატა-
ლოკი - ტორი, კრიშა - სახურავი, სტოლი - მაგიდა, სტენკა - კედელი,
ორიერდი - რიგი, ბარიალკა - წესრიგი, საპოენიკი, ზაპოენიკი - ფეხ-
საცმლის შემკეთებელი, ზაპასი - მარაგი და მისთ.
3. გალიზმები - ფრანგული ენიდან შემოტანილი სიტყვები: ბონჟურ
- გამარჯობა, საღამო; მადამ - ქალბატონო და მისთ.
4. გერმანიზმები - გერმანული ენიდან შემოტანილი სიტყვები:
კაპუტ - გათავდა, შენდე ხოხ (შენდე ხოხზე დააყენა) - ხელები
ზეითი (Hände hoch!) და სხვ.

5. ანგლიზმები - ინგლისური ენიდან შემოტანილი სიტყვები: ბიზნესი - სარგოიანი საქმე, ბიზნესმენი - საქმოსანი, ბები - ბავშვი და მისი.

6. იტალიზმები - იტალიური ენიდან შემოტანილი სიტყვები: ჩაო! - ნახვამდის და სხვ.¹

ინგლისური ენიდან ჩვენში საკმაოდ გავრცელებული სიტყვა „პაზი“ (გატაცება).

დღეს, როდესაც საქართველოში ეროვნული პოლიტიკის აღმავლობის შედეგად დახვეწილ ქართულ სალიტერატურო ენაზე უამრავი მხატვრული, პოლიტიკური, სამეცნიერო ლიტერატურა, გაზეთი და ჟურნალი იბეჭდება, როდესაც სკოლებში მაღალ დონეზე ისწავლება დედენა და მრავალი სახელმძღვანელო და ლექსიკონი არსებობს, ყოვლად მოუთმენელია ქართველი დედების, მამების, ქალიშვილებისა და ვაჟების გარკვეული ნაწილის მშობლიური ენისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო ასეთი ლაპარაკი:

შვილო, ზალის პოლი მუქი კრასკით გაკრასკე! ქეთუშკა, ჩანგალი სტოლიდან აიღე და შუაფში უეინახე! ჩვენს პრადუქტების მაღაზიაში ყოველთვის არის ახალი სმეტანა, პეჩენიები და პირაშკები. დედამ გუშინ მშვენიერი საროჩკა, ხაყები, ღამაზი პრიაშკიანი ქაშარი და სუშკა მომიტანა. მან ეტაერკიდან ახალი კერასინკა გადმოიღო, ჩამქრალ ფერზე დადგა, სპირქიმ ანთო და შესათობადა ზედ ქაშიანი კასტრული შოათაცა. ვასო სკორი პომოშრის მანქანას კარებთან დახედა. შუა სპალნაში შირმა იდგა (ე.ი. თეჯირი) და სხვ.

განსაკუთრებით გაკვირვებას იწვევს ზმნების გარენა: კრასკავს, სვარკავს, აპარინიკებს, ესპორება და მისი., რომელთაც ყველა პირში, რიცხვში, დროსა და მწკრივში ხმარობენ.

საერთოდ, ორი ან მტეი ენის მონაცემებით ნარევი მებყველება სასტიკად დასაჯმობია. იგი უმთავრესად ახასიათებთ ნახევრად განაძღვებულ ან მუღუნებულ, მტეირიარა ადამიანებს. ნარევი მებყველება არა მარტო მშობლიური ენის ნორმების დარღვევა და დამახინჯებაა, არამედ ჩვენი მოძმე ხალხების ენათა ლექსიკის ცუდად გამოყენება, მოზარდი თაობისა და ეროვნული კულტურის განვითარების შეფერხება.

სწორედ ამ მდგომარეობამ გამოიწვია 1966 წლის 15 მარტის დადგინილება „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის უნიფიცირებული ნორმების დანერგვის ღონისძიებათა შესახებ“. ასევე 1979 წლის 10 აპრილის დადგენილება „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა

¹ შ. კეკელია, ა. დავითიანი - ქართული ენა, თბ., 1973, გვ. 58.

და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". ამას კი მოჰყვა იმავე საკითხზე საქართველოს განათლების სამინისტროს 1979 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება. დასახულმა ღონისძიებებმა დიდი მოწონება და ენთუზიაზმი გამოიწვიეს ქართველ საზოგადოებაში, რამაც სულ მოკლე ხანში ბევრი სიკეთე შესძინა ჩვენს ენას.

მაგრამ სულ სხვაა სიტყვათა სესხება საბერძნეთის გამო. ასეთ შემთხვევაში სიტყვათა სესხება ხელს უწყობს მშობლიური ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრებას. რუსი ხალხის ენიდან შემოსული ასეთი სიტყვებია, მაგალითად: ბოლშევიკი, ნარკოლოგები, პრადისტები, უკლონისტები, ცარიზმი, ბალაღაიკა, კაპიკი, გერბი, სამოვარი, ფედრო, ბლინი და სხე. ასევეა რუსულში შესული ბევრი ქართული სიტყვა, მაგალითად: გენაცუაღე, ყარაჩოღელი, მოურაგი, თამადა, ხაჭაპური, მარანი, ჩონგური, მაწონი, ქინძი, საწებელი, ბორჯომი და სხე.

ბარბარიზმები სალიტერატურო ენაში იხმარება მხოლოდ სტილისტიკური აღნიშვნებით, როგორც ეგზოტიკური ლექსიკა ან ირონიის, პაროდისა და კომიზმის გამოხატვის საშუალება განსაკუთრებით პიესებში (იხ. მაგალითად გიორგი ერისთავის „გაყრა“ ან „ძუნწი“). სხვა მხრივ, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, ისინი ამტრელებენ, ანაგვიანებენ, აღარიბებენ ენას და უკარგავენ მას ბუნებრიობას.

§ 27. კალკები

კალკი არის სხვა ენის სიტყვის ან გამოთქმის სიტყვასიტყვითი თარგმანი ანუ ერთი ენის სიტყვის ან შესიტყვების მნიშვნელობის ზუსტად გამოხატვა მეორე ენის ამავე მნიშვნელობის სიტყვით ან შესიტყვებითა.

როგორც ა. ჩიქობავა აღნიშნავს, „... ახალი სიტყვის წარმოებისას (ანდა გამოთქმის შექმნისას) მასხალას საკუთარს იყენებენ, ოღონდ სესხულავენ ს ი ტ ყ ვ ი ს წ ა რ მ ო ქ მ ნ ი ს ბ რ ი ნ ც ი ბ ს (ანდა მთელი გამოთქმის შ ე დ გ ე ნ ი ს წ ე ს ს)“.

ქართული „წარმოადგენა“ არის კალკი რუსული представление-სი, ეს უკანასკნელი კიდევ გერმანული Verstellen...-ისა. ასევე კალკს წარმოადგენს: თეოთკრიტიკა (შდრ. сатиротика), აირწინალი (შდრ. протывогаз), დამცვრელი (შდრ. ударики)... და ბევრი სხვა¹...

1 არნ. ჩიქობავა - ენაობსტენიურების შესავალი, თბ., 1952, გვ. 195.

შესიტყვების კალკის ნიმუშებად ავტორს დასახელებული აქვს: „დღის წესრიგი“ (შდრ. ПОРЯДОК ДНЯ) ... „მაგალითი მიიყვანა“ (შდრ. ПРИВЕЛ ПРИМЕР) ... „მატარებლის ჩქაროსნული ტარება“ (შდრ. СКОРОСТНОЕ ВОЖДЕНИЕ ПОВЕЗДОВ) და სხვ.“¹

ამგვარი კალკები მშობლიური ენის სიტყვიერი მარაგის გამდიდრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა, ისეთივე საშუალებაა, როგორცაა, საერთაშორისო ანუ ინტერნაციონალური სიტყვები.

თანამედროვე სალიტერატურო ენაში უხვად გიყენებთ ასეთ კალკებს. მაგალითად: თვითმფრინავი (АВИАЦИОН), თხიანცალი (ТЕЛОВОД), კალმურნეობა (КАЛМОВА), ზუაწლელი (ПЯТЫЛЕТКА), ფრიალოსანი (ОТЛИЧНИК), პროუკავშირი (ПРОУСОВИ), კონტრამეტევა (КОНТРАМЕТЕВА), თვითმპასახურება (САМООЦЕНУЖИВАНИЕ), თვითღინება (САМОТАК), ავიაშრიდი (АВИАШРИД) და სხვ.

საჭირო კალკებია შემდეგი შესიტყვებებიც: ადგილი აქვს, რიგი საკითხები და სხვ. ეხმარობთ ზოგიერთ ზნებასაც, მაგალითად: წარმოადგენს (ПРОДОСТАВЛЯЕТ), შეადგენს (СОСТАВЛЯЕТ). მუშეველი ზმნებით შედგენილ შემასმენლებს სხვადასხვა დროში: ის ხალხში სპატიო პიროვნებას წარმოადგენდა (ე.ი. სპატიო პიროვნება იყო). მის ყოველდღიურ მოვალეობას შეადგენს ბავშვების მოვლა-გარეზობა. ეს თქმები თემცა ძალიან გაერყელებულია, მაგრამ, სადაც შესაძლებელია, უპირატესობა უნდა მივაკუთვნოთ ჩვენს ტრადიციულ „არის“ მუშეველზნიან ფორმას.

კ ა ლ კ ი, როგორც სესხების ერთ-ერთი სახე, მ ა შ ი ნ ა ა დ ა დ ე ბ ი თ ი მ ო ვ ლ ე ნ ა, როდესაც მისი შესატყვისი სიტყვა ან გამოთქმა არ გვაქვს ენაში, იგი ზუსტად გამოხატავს აზრს და ავსებს მშობლიურ ენას.

კალკი ძირითადად იხმარება პირდაპირი მნიშვნელობით. სტილის თვალსაზრისით კალკის გამოყენება გულისხმობს მის ისე შერჩევას, რომ არ დაუპირისპირდეს მშობლიური ენის ბუნებრივ თქმას: კარგი არ შეიცვალოს ცუდით და არ დაზიანდეს ენის სიწმინდე.

მაგრამ არასაჭირო სიტყვების უმართებულად შემოტანის შესაგვსად, ბევრ შემთხვევაში კ ა ლ კ ი ა რ ი ს უ ა რ ყ ო ფ ი თ ი მ ო ვ ლ ე ნ ა. იგი ზედმეტია და ამახინჯებს ეროვნულ ენას. ამიტომ მისი ხმარებაც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. მაგალითად, ენას საგრძნობლად აზიანებს ასეთი კალკებით გატაცება:

მ ე ფ ა ს ე ბ ა მ ი ს ც ა (შეაფასა), დ ა ხ მ ა რ ე ბ ა ა დ მ ო უ რ ი ნ ა (დაეხმარა), წ ე ს რ ი გ შ ი მ ო ი ყ ვ ა ნ ა

(შოაწესრიგა), შ ე ც დ კ მ ა შ ი შ ე ი ყ ვ ა ნ ა (შეატონა),
შ ი ც ი მ ი ს ც ა (შეპოცა) და სხვ. მისთ.

განსაკუთრებით სადავოა და უმეტესად მოუთმენელი შემდეგი სა-
ხის გამოთქმები:

დავალბა იმავე დღეს მ კ ი ყ ვ ა ნ ა ს ი ს რ უ ლ ე შ ი -
(უნდა იყოს - შეასრულა).

მაშინ ის ი ყ კ მ თ ვ რ ა ლ მ დ გ კ მ ა რ ე კ ბ ა შ ი -
(იყო მთვრალი).

მაშინ სრულებით ა რ ვ ი ყ ა ვ ი დ ა რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ი
მის პატროსნებაში - (არ მწამდა მისი პატროსნება).

ახალ ფილმში დ ა კ ა ვ ე ბ უ ლ ი ა რ ი ა ნ ც ნობილი მსა-
ხობები - (მინაწილებენ ან - როლებს ასრულებენ).

ფერმაში ს ა ხ ე ზ ე ი ყ კ მხოლოდ ასი ძროხა - (ფერმაში იკ-
ის ყოველთვის მ ზ ა დ ყ კ ფ ნ ა შ ი ა - (მზად არის).

მასალის გ ა დ ა ტ ა ნ ა ხ რ ც ი ე ლ დ ე ბ ა ავტომანქა-
ნებია - (მასალა გადაქვთ).

ყურ საპირო იყო ყურის ტ კ ი ვ ი დ ი ს მ კ ხ ს ნ ა -
(გაყურება).

მიჯობრებაში გ ა მ ა რ ჯ ე ბ უ ლ ი გ ა მ კ ე ი დ ა
სამი მუშა - (გამიარჯია).

პირველადი ორგანიზაცია ამტამად 50 წ ე ვ რ ს ი თ ვ ლ ი ს
- (ორგანიზაციაში 50 წევრია).

ზოგის განცხადებას ე ჭ ე ი ს ქ ვ ე შ ა ყ ვ ნ ე ბ ე ნ -
(განცხადებას საეჭოდ თვლიან ან განცხადება საეჭოდ შეიარსათ).

ახალი ხელისუფლების დ ა მ ყ ა რ ე ბ ა გ ა ნ ხ რ ც ი -
ე ლ დ ა (ახალი ხელისუფლება დამყარდა).

უკვე თ ა ვ ს ი კ ა ვ ე ბ ე ნ სპირტიანი სასმელების შ ი -
დ ე უ ბ ი ს ა გ ა ნ - (უკვე სპირტიან სასმელებს არ ეტანებიან).

ამტამად გ ა ყ ი დ ვ ა შ ი ა რ ი ს ახალი საქონელი -
(იყიდება).

ის რ ე ვ ი ს ტ რ ა ც ი ა შ ი გ ა ტ ა რ ე ბ უ ლ ი ა რ
ი ყ კ - (ის ჩაწერილი არ იყო ან - რეგისტრირებული არ იყო).

ისინი დიდ ზ რ უ ნ ვ ა ს ი ჩ ე ნ ე ნ პროდუქციის ხარისხის
გაუმჯობესებისათვის - (დიდად ზრუნავენ ხარისხის გასაუმჯობესებლად)

მას ახლა გ ა მ კ ყ ვ ე ნ ე ბ ა ა ქ ვ ს შედიცინაშიც -
(იყენებენ).

გეგმა მაშინვე გ ა ჯ ზ ა ვ ნ ი ლ ი ქ ნ ა ს ი ს რ უ ლ ე -
შ ი მ კ ს ა ყ ვ ა ნ ა დ - (გაგზავნენ შესასრულებლად).

მძლარი, რომელიც მო ე რ ა ლ მ დ გ კ მ ა რ ე . ბ ა შ ი

ი ყ რ, საშინლად დაშავდა - (რომელიც მთვრალი იყო)...

მსგავსი მაგალითების დასახელება უსასრულოდ შეიძლება, მაგ-
რამ გვეგონია, რამ, რაც ზემოთ არის მოცემული, სრულიად საკმარისია
იმის საჩვენებლად, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა აკისრია თითოეულ
ჩვენგანს მშობლიური ენის ღირსეულად მოვლის ავალსაზრისით.

ფრჩხილებში მოთავსებული სწორი ფორმა ძირითადი ეარიანტია. რა-
საკვირველია, სხვა ეარიანტებიც არ არის გამორიცხული.

ა რ ც ა ს ე თ ი კ ა ლ კ ე ბ ი ა მ ი ს ა ლ ე ბ ი : „ჩანჩქე-
რის“ - ნაცვლად - „წყალღვინი“, „სამოყარის“ ნაცვლად - „თეთმა-
ღული“ და სხვ.

უხეირო კადკების დიდი ნაწილი ადვილად გაქრება ჩვენი ენიდან,
თუ ქართულ ზმნას შევენარჩუნებთ თავის საოცარ ძაღას წინადადებაში
აზრი მოკლედ და ზუსტად გამოხატოს, ე.ი. არ შევეცდეთ მას საწყი-
სიანი ფორმებით.

§ 28. დიალექტიზმები

დიალექტიზმები ქვეია სალიტერატურო ენაში კუთხური მეტყველე-
ბიდან ანუ დიალექტიდან შემოსულ სიტყვებსა და ფორმებს, რომლებიც
ახასიათებს ამა თუ იმ კუთხეში მცხოვრებთა მეტყველებას და ზოგჯერ
ნაწილობრივ ან სრულბით გაუგებარია სხვა კუთხის მკვიდრთათვის.

ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ე ნ ა არის მასზე მოლაპარაკე ყველა
კუთხის მცხოვრებთა საუბროთათ, სწავლა-განათლების, მეცნიერებისა
და ხელოვნების საერთო ენა, რომელიც ნორმალური ზეგულია, შეიცავს ისტო-
რიულად ჩამოყალიბებულ წესებსა და კანონებს; არის ადამიანთა ურთი-
ერთობის როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმა.

დ ი ა ლ ე ქ ი თ ი კ ი არის საზოგადოების ნაწილის, გარკვეული
კუთხის მცხოვრებთა ზეპირი მეტყველება, რომლის გაერთელების არც
განსახლებურია ქვირე ტერიტორიით, მომხმარებელთა ვიწრო წრით და
არ ემორჩილება სალიტერატურო ენის ნორმებს.

საქართველოში ჩვენს საერთო ეროვნულ სალიტერატურო ენასთან
დღემდე მრავალი კუთხური მეტყველება ანუ ტერიტორიული დიალექტია
შემორჩენილი. ასეთებია, მაგალითად: კახური, ქართლური, თუშური,
ხევისერული, ფაშური, მოხეური, მთიულური, მესხურ-ჯავახური, რაჭული,
დურხლანური, იმერული, გურული, აჭარული, იმერხეული და სხვ.

დიალექტიზმები როგორც სიტყვების, ისე სიტყვათა ფორმების სახით
შემირა: იჭრება როგორც სასაუბრო, ისე მხატვრული ლიტერატურის ენის

ასე აღაპარაკებს:

- ნეტაი ეძინენ თუ რეიზა ვერ გაასწრენ? - ეს არის მხატვრული ხერხი, რომელითაც ნაჩვენებია პერსონაჟის მიტყველების თავისებურება, მაგრამ ეს კულტური ფორმები მწერლის მიტყველებაში რომ იყოს გამოყენებული, მაშინ სალიტერატურო ენის დამახინჯებად ჩაითვლებოდა (იგივე ითქმის ბარბაროზებისა და სარგონიზმების შესახებაც).

დიადეპტიზმებს ემოციურ-ექსპრესიულ საშუალებად მწერლები იყენებენ უმთავრესად დიალოგებში, მაგალითად: - ციყავ, ვრაიყახე მაყა, თვარა ისე ვაცოფებული ვარ, მგონია, შენ დაგკლა!.. (ე.ნინ.).

- მერე კალანდამდი უნდა გადაიხალო ერაი თუშანი? (ე.ნინ.).

- ზავორი მაქ, თუ სა ეიშონო ასე ელანძე თუშანი! (ე.ნინ.).

- მე შენ მიყვარდი და შენ კი ცხო (ა.ყაზბ.).

- გააჭყიტე, ძღაზო, თვადი... (ნ.ლორთქ.).

- რასაც აინიუებს, გადათქმა აღარ შეიძლება მაგისი (ს.მგაღ.). და სხვ. ამას ჰქვია დ ი ა ლ ე ქ ტ ი ზ მ ე ბ ი ს ს ტ ი ლ ი ს - ტ ი კ უ რ ი დ ა ნ ი მ ე ნ უ ლ ე ბ ი თ გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა, მაგრამ დიადეპტიზმებით ზედმეტად გატაცება ამგვარი მიზნითაც საზიანოა.

§ 29. სარგონიზმები

ენას ანაგვიანებენ აგრეთვე **ს ა რ გ ო ნ ი ზ მ ე ბ ი ს**.

სარგონი არის რომელიმე მცირე სოციალური ჯგუფის, პროფესიის ადამიანთა მიტყველება, რომელიც შეიცავს გამოგონილ, გადაკეცილებულ ან სხვადასხვა ენიდან შემოტანილ სპეციული სიტყვებსა და თქმებს და რომელიც გასაგებია მხოლოდ მომხმარებელთა ვიწრო წრისთვის, ხოლო ნაწილობრივ ან სრულიად გაუგებარია სხვებისთვის. მასში არ არის დაცული არც ერაი ენის სისწორე და არის ენის დამახინჯების ყველაზე უხეში და საზიანო სახე, უსისტიემო აზროვნების შედეგი. სარგონის თავისებურ სიტყვებსა და თქმებს კი **ს ა რ გ ო ნ ი ზ მ ე ბ ი** ჰქვია. ისინი უმთავრესად სხვა ენის ან ხელოვნურად შექმნილი სიტყვებია, ან კიდევ მშობლიური ენის სიტყვები, გამოყენებული შეცვლილი (პეტალორული) მნიშვნელობით.

ასეთი მიტყველება ახასიათებლად რევოლუციამდელ პრივილეგიურ საზოგადოებრივ ფენებსაც - თავადაზნაურულ არისტოკრატობასა და ბურჟუაზიას. ისინი ხალხისგან იყვენენ დაშორებული არა მარტო სოციალური და ეკონომიური მდგომარეობით, არამედ მიტყველებითაც. ერთმანეთ-

თისგან განსხვავდებოდა აგრეთვე თავადაზნაურებისა და ბურჟუაზიის მაღალი და დაბალი ფენების მეტყველებაც. ამის მაგალითები ბლმად გვაქვს XIX საუკუნის დრამატურების ნაწარმოებებში. მაგალითად, ქალაქურვაჭრული უარგონის ნიმუშები საკმაოდ არის მოცემული გ. ერისთავის კომედიებში.

„... ეს იყო „ენა“ შეზავებული ქართულ-რუსულ-სომხური სიტყვა-რით, რომელსაც არაერთი დამოუკიდებლობა არ ჰქონდა. მას მოეპოვებოდა მოქმედების უაღრესად ვიწრო სფერო; მითი სარგებლობდნენ მხოლოდ ქალაქის წვერილი ეაჭრები თბილისსა და გორში, რამდენიმე ქუთაისში, სიღნაღსა და თელავში.

ამ ქალაქურვაჭრული უარგონის სახესხვაობას წარმოადგენდა ე.წ. ყარაჩოღელური უარგონიც, რომელიც დიდხანს შერჩა თბილისს. არც მას ჰქონდა რაიმე ენობრივი დამოუკიდებლობა, მოეპოვებოდა მხოლოდ ცალკეული სიტყვები და გამოთქმების თავისებური კილო. იგიც შეზავებული იყო თათრული, სპარსული, სომხური, რუსული სიტყვებით“¹.

უარგონული ლექსიკიდან ცალკე გამოყოფენ ისეთ სიტყვებს, რომელთაც ა რ გ ა ტ ი ზ მ ე ბ ი ეწოდება. ესენია თავისებური სიტყვები, რომლებსაც ხმარობს განსაკუთრებული ჯგუფი და სრულიად გაუგებბარია სხვებისათვის. ასეთებია, მაგალითად; დეკლასობრივი ელემენტების - ქურდობაცაცების, ხულიგნებისა და მისთ. თავისებური სიტყვები.

„უარგონის ლექსიკას კი საგანგებოდ თხზავენ ან არსებულ სიტყვებს ხელოვნურად ასხვავებენ, ან კიდევ თავისებური მნიშვნელობით ხმარობენ ვარკვეული მიზნით: რომ ლაპარაკი გასაგები იყოს თავისი წრის პირებისათვის და გაუგებარი დარჩეს სხვებისათვის“². ასეთი სიტყვებია:

1. ს ა ხ ე ლ ე ბ ი : სიფათი (გამომეტყველება, სახე) განაბი (ქურდი), იუზგარი (ამხანაგი), ჯიგარო (ამხანაგო), მაყუთი (ფული), ნაშა (სატრფო), შანტრაბა (ქმობიჭების ჯგუფი), შარაფისტი (ლოთი); გორსალა (უვიცი), ტოზე (ქარგი), თამარი (არშიყი), სიაფანტი (მეტყუარა), გომი (ვაუთელი, მოუხერხებელი ადამიანი), ღიპა (ყალბი), ფრანტი (უვიცი), არიფი (გამოუცდელი), ყურიანი (ვირი, უვიცი), ხიპიში (ჩხუბი), ხიხო (სოფელი, უვიცი), შუხური (აყალბაყალი), პინგინი (უთქმელი, გულუბრყვილი), რექი (ტრაბახა), ბლტი (ნაცნობობა), შაყრობა (მასხრობა), შატალო (გამპარვა გაკვეთილიდან), რაცენტრილი (უშკუო, გიჟი), თხლათა (ჭამა)...

2. ზ მ ნ ე ბ ი : იხიპიშა (იჩხუბა), იპლტა (გაიპარა), აიფება (გაიქცა), აითესა (წავიდა), მოუსვა (გაიქცა), ისქესა (გაბრაზდა),

1 ალ.დლონტი - ქართული ლექსიკოლოგიის საფუძველები, თბ., 1971, გვ. 83.

2 არ. ჩიკობავა - ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 68.

ხია (გაბარტყა), მცეასა (მესიაშონა, მომეწონა), მოკეტე (გარუ-
მდი), მიგბრიდე (მოგებლი), დავიადე (ციხელდე, დავითრიე), შეა-
ყოდე! (გაიარე!)...

დაცინებით მიმართვისას ხმარობენ სიტყვებს: გორსაღა! სიზონ!
აღათი! (ნიშნაეს; სუდელო! უციო! გაუთდელო!) და სხვ. ამათ ქუ-
რურ სიტყვებადაც ადვილან. ამ სიტყვებით აგებული წინადადება სხვე-
ბისთვის აარგმინის გარეშე ვასაგები რადია, მაგალითად:

1) ჯიგარო, მაყუთი თუ გაქეს, ჯერ რამე ცითხლათ, მერე კი
ციყომაროთ (ამხანაგო, ფული თუ გაქეს, ჯერ რამე ვეამოთ, მერე კი
კამათელი ცითამაშოთ).

2) იმ შარათისტსა და განაბს საშაყიროდ მოსულის სიფათი არ
ედასა, რადატაზე ისქესა და ხიპიში აუტეხა (იმ ლოთსა და ქურდს
სამასხროდ მოსულის სახე არ მოეწონა, რადატაზე გაბრახდა და ჩხუ-
ბი აუტეხა).

ქარგონიზმები შეინიშნება ადამიანთა პრაფესიული უკუფობის
მეტყველებაშიც, მაგალითად: „სტუდენტური ყოფის ქარგონებიდან შე-
იძლება აღინიშნოს კ უ ღ ი - „არადაშაკამაყოფილებელი“ ნიშანი,
ჩ ა გ ზ ა - გამოცდის ვერჩაუბარებლობა, გ ა თ რ ი ე ა - და-
ხმარება გამოცდაზე, შ ა ტ ა რ ა - მცუადინეობის გაყდენა (შდრ.
რუს. шатались) და მისათ“¹

ქარგონი ან ცალკეული ქარგონული სიტყვები და თქმები სალი-
ტერატურო ენაში იხმარება მხოლოდ ს ტ ი ლ ი ს ტ ი კ უ რ ი
დ ა ნ ი შ ე ნ უ ლ ე ბ ი თ, მაგალითად, მათი გამოყენება მხატვრუ-
ლი ნაწარმოების პერსონაჟთა მეტყველებაში - ეს ერთგვარი ხერხია,
რასაც მიწერლები და დრამატურგები მიმართავენ მხატვრული ტიპის რე-
აღურად დასახატავად ან კომიზმის გამოსახატავად, მაგრამ სხვა შე-
მახვევებში დაუშვებელია.

ქალაქებში ქურის გავლენით ბავშვები გატაცებით ითვინებენ ქა-
რგონულ სიტყვებს და მოაქვთ ოჯახსა და სკოლაში, სადაც, თუ უფრო-
სები ყურადღებას არ ცაქცივთ, სწრაფად იწერება მოზარდების მეტ-
ყველებაში. ამიტომ ამ მხრივაც ბრძოლა ენის სიწმინდისა და მად-
ლი კულტურისთვის არის ყოველი მშობლისა და მასწავლებლის გადაუ-
დებელი მოვალეობა.

§ 30. ეულგარიზმები

სადიტიერატურო ენის თავისებური სიმახინჯება ეულგარიზმებიც. ეულგარიზმები უხეში ან უწმინდური შინაარსის სიტყვები და გამოთქმები, რომელთაც უმთავრესად ხმარობენ უკულტურო ადამიანები მოურიღებელი მღვტყველების დროს - გაბრაზების, სხვისი აბურად აგდების, დამცირების, გაღანძღვის, დაცინვის ან გაწყრომის მიზნით.

ეულგარიზმები გამოირჩევა არა მარტო უხეში შინაარსით, არამედ უარყოფითი ემოციური იერითაც. ასეთი სიტყვებია: გაგრა, ტეტია, რქიანი, უზრდელი, ტუტუცი, საძაგელი, საზიზღარი, ცხვირმოუხოცელი, ღორწყიანი, ქარაფშუტა, უტვინო, დოკლაპია, ბრიყვი, ღრუნჩიანი, კოფაკი, ღებილი, კრეტინი და მისხ.

ეულგარიზმებს უმთავრესად ხმარობენ საღანძღავი მიმართვის დროს: მამაძაღლო! ძაღლიშვილი! ვირიშვილი! შე უპატრონო! ნაბიჭვარო! ღორო! ცირი! კამერო! და სხვ. ან ასეთი დამამცირებელი სახით: კაცუნია! ბიჭუკელა! გოგუცუნა!.. ახლა აქედან მოუსვი!.. დღესვე აიღერ-თხოს სახლიდან! და ა.შ.

ეულგარიზმებს სტილისტიკური დანიშნულებით იყენებენ მხოლოდ მხატვრულ ლიტერატურაში (მოთხრობებში, რომანებში, პიესებში...), როცა მწერალს სურს უარყოფითი მოქმედი პირის მორალური სახის ჩვენება, მაგრამ ამ მიზნით ღანძღვაგინების სიტყვებსა და თქმებს ხმარობს არა აშკარად, არამედ ცვლის ეფემერობით ან აღნიშნავს წერტილებით. ზოგი ავტორი ამისთვის ჩვენებით ნაცვადსახელებსაც კი იყენებს, მაგალიტად: - შე ასეთო, შე ისეთო, გაგონილა ეს ამბავი? (ი.ჯრიშ.). ... ურთიერთს უხამს სიტყვებს სთავაზობდნენ - შენ ასეთო და ისეთო, შენ ესა და ისაო (გაზ. „ახ.კომ“. 12/VII.1957, გვ.3).

სიტყვები „შე ასეთო, შე ისეთო, შენ ესა და ისაო“ მორიდებულად მიანიშნებენ მკითხველს იმაზე, თუ რა შინაარსის სიტყვებს იხმარდა აქ უზნეო პიროვნება, მაგალიტად: მრისხანე მებატონე, ხულიგანი, ყრადი, ქურდი, ლთი და, საერთოდ, უზრდელი ადამიანი.

ენის გამოშსახელობით ძირითადი
ლექსიკური საშუალებანი

§ 31. სიტყვის გამოყენება ერთი ან
რამდენიმე მნიშვნელობით

წინადადებებში ზოგიერთი სიტყვა იხმარება მხოლოდ ერთი ანუ მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით, ზოგი კი - რამდენიმე ანუ ერთზე მეტი მნიშვნელობითაც. სიტყვის ერთმნიშვნელობას პქცია მ.ი.ნ. - ს.უ.მ.ი.ა.; მრავალმნიშვნელობას - პ.ო.ლ.ი.ს.ე.მ.ი.ა.

ერთი მნიშვნელობით იხმარება, მაგალითად: რ.ი.ც.ხ.ვ.ი.თ.ი.ს.ა.ხ.ე.ღ.ე.ბ.ი (ერთი, ხუთი, ასი, მესამე, მეათე; მესამედი, მეხუთედი...), ნ.ა.ც.ვ.ა.ლ.ს.ა.ხ.ე.ღ.ე.ბ.ი (მე, შენ, ის; ჩემი, შენი, მისი; ყველა...), ზ.მ.ნ.ი.ზ.ე.ღ.ე.ბ.ი (აქ, იქ; ღაბლა, მაღლა, წინ, უკან; ზევით, ქვევით; ხეაღ, გუშინ, ზეგ; ასე, ისე...), ზ.ო.გ.ი.ე.რ.თ.ი.ა.რ.ს.ე.ბ.ი.თ.ი.ს.ა.ხ.ე.ღ.ი (მიწა, წყალი, ჰაერი, ქაღალდი, ფანქარი, ხორბალი, სიმინდი, თახვი, ქვიშა...), განსაკუთრებით კი - ტერმინები (ფიზიკა, ჭიმიკა, მათემატიკა, გრა-მატიკა, აფიქსი, ქვემდებარე, სამკუთხედი, უჯრედი, აბზაცი, პოემა, ნოველა...) და სხვ.

სიტყვის რამდენიმე მნიშვნელობით ხმარება ერთ შემთხვევაში გულისხმობს გადატანითი მნიშვნელობით, მეორე შემთხვევაში სხვა მეტყველების ნაწილად გამოყენებას.

სიტყვის გამოყენება გადატანითი მნიშვნელობით:

გადატანითი მნიშვნელობის მქონე სიტყვას პქცია ტ.რ.მ.პ.ი, რომელსაც ახლავს განმასხვავებელი აზრობრივი-ემოციური ელფერი და ამდენად იგი სტილისტიკური დანიშნულებისაა. ამიტომ პირდაპირი მნიშვნელობის სიტყვებს, რომლებიც იხმარება ემოციური, ექსპრესიული და შეფასებითი ელფერის გარეშე, ეწოდება ნ.ე.ი.ტ.რ.ა.ლ.უ.რ.ღ.ე.ბ.ქ.ს.ი.კ.ა., გადატანითი მნიშვნელობისას კი, რომელიც კონტექსტში იძენს გამოშსახელობით ფუნქციას, - ს.ტ.ი.ღ.ი.ს.ტ.ი.კ.უ.რ.ი.ღ.ე.ბ.ქ.ს.ი.კ.ა.

გადატანითი მნიშვნელობა გამომდინარეობს სიტყვის ძირითადი მნიშვნელობიდან, რომელთანაც იგი დაკავშირებულია რამივე ნიშნით, რითაც ერთ საგანს ვამსგავსებთ მეორეს. მაგალითად, წინადადებებში:

მას რკინის საწოლი აქვს და მას რკინის მკლავები აქვს - სიტყვა „რკინის“ პირველ შემთხვევაში გამოყენებულია პირდაპირი მნი-

შენელობით (აღნიშნავს ღიჟონს და განსაზღვრავს სიტყვას „საწოლი“. ნიშნავს: საწოლი არის ოკინის და არა, მაგალითად, ხის), მეორე შემთხვევაში კი იგი ღიჟონს არ აღნიშნავს, გამოყენებულია გადატანილი მნიშვნელობით, სახელდობრ, თვისების გამოსახატავად, რათაც აღნიშნულია მკლავების სიმაგრე. ის უფრო უხეტირად გამოხატავს მკლავების სიმაგრეს, ვიდრე პირდაპირი მნიშვნელობის სიტყვა „მაგარი“ (შდრ.: მაგარი მკლავები - ოკინის მკლავები).

მსგავსი მაგალითებია:

გლებმა სიმინდი დათესა - ძმებს შორის შუღლი დათესა (პირველ წინადადებაში ზმნა „დათესა“ აღნიშნავს თესლის ჩაყრას, მეორე წინადადებაში იგი ნიშნავს - ჩამოგდებას, დანერგვას).

ექიმმა ბავშვს ენა გაუსინჯა - ყმაწვილს ქაშისს ენა მოწყდა (პირველ წინადადებაში საუბარი ეხება ადამიანის სხეულის ნაწილს, მეორე წინადადებაში კი - ქაშისის ნაწილს, მაგრამ ეს სიტყვები გარეგნულად ერთმანეთის მსგავსია).

აუღიბორია უკვე და იყო - აუღიბორია ტაშით შეხვდა საპატრო სტუმარს (პირველ წინადადებაში „აუღიბორია“ ნიშნავს საღეპტო დარბაზს, მეორე წინადადებაში - მსმენელებს) და სხვ.

ასეთი სახის თქმებია: ცხელი წყალი - ცხელი ამბ ცი, შავი ქსოვილი - შავი ღვე, ქვეყნის ისტორია - ქვეყნის თვალი, ძაღლის ყვება - ძაღლის ბედი და ა.შ.

მსგავსი მაგალითებია **გ ა ბ ი რ ო ე ნ ე ბ ი ს** გამოხატელობით. **ბ უ ნ ე ბ ა მ** აღრე **გ ა ი ღ ვ ი ძ ა**, **ნ ა კ ა ღ უ ღ ი** ბაუშევიით **ბ უ ტ ბ უ ტ ე ბ ღ ა**, მთელი **ღ ა რ ბ ა ზ ი** ტაშს **უ კ რ ა ვ ღ ა**, იმ ღღეს ჩვენი სახლის **გ ე რ ი ც ი ც ი ნ ო ღ ა** და სხვ.

ზოგიერთი სიტყვა არა მარტო ორი, არამედ ნეტი მნიშვნელობითაც იხმარება. მაგალითად, სიტყვა „თავი“:

თ ა ვ ი ეტკინა („თავი“ ნიშნავს სხეულის ყველზევითა ნაწილს). ის მთელი რაზმის **თ ა ვ ი** იყო (ე.ი. მთელი რაზმის მეთაური იყო).

ქასრის **თ ა ვ ი** მოხსნილი იყო (-ქასრის სახურავი).

„გამზარდელი“ რამდენიმე **თ ა ვ ი** ზეპირად იყოდა (-რამდენიმე ნაწილი).

ერთი **თ ა ვ ი** ხანები დააშრა (- ერთი ცალი).

ყმაწვილიმა **თ ა ვ ი** მოიწონა (- თვითონ, თავისი პიროვნება).

ჩანს კარგი **თ ა ვ ი** აღვას (- ჩანს, მკვიანია).

მდინარის **თ ა ვ ი** კდლიდან იწყებოდა (- მდინარის დასაწყისი).

ქარმა სახლს **თ ა ვ ი** გადახაჯა (- სახურავი აწუ ზედა ნაწილი).

ახალი საქმის თ ა ვ ი უველდის იყო ზურაბი (- წამოწყები, მოთავე).

ამ წინადადებაში გამოყენებული სიტყვა „თავის“ ყველა მნიშვნელობა გამომდინარეობს ერთი ძირითადი მნიშვნელობიდან (თავი, ე.ი. სხეულის ზედა ნაწილი). მაშასადამე, აღამიანს შეუძლია ზოგიერთი სიტყვა გამოიყენოს რამდენიმე მნიშვნელობის გამოსახატავად, მაგრამ ის მაინც ერთი სიტყვაა, რომლის სხვადასხვა შინაარსი წინადადებაში ერთმანეთის მსგავსების საფუძველზეა მოცემული, რითაც იგ ა ბ ა ნ - ს ხ ვ ა ე ე ბ ა რ მ კ ნ ი მ ი ს გ ა ნ .

სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით ხმარება ზრდის ენის ლექსიკურ მარაგს, ამდიდრებს ეტყვევლებას და აადვილებს აზრის ზუსტად გამოხატვას.

ბევრი სიტყვა თავის ახალ მნიშვნელობას იძენს საზოგადოებრივი წყობისა და იდეოლოგიის ისტორიულ ცვლასთან დაკავშირებით. მაგალითად, სიტყვა „დამკვეთელი“ წინათ იხმარებოდა „დამრტყმელის“ (გამლახავეის) მნიშვნელობით, ან კიდევ აღნიშნავდა მუსიკალურ საკრავზე მოქმედს.

შემდეგ ეს სიტყვა გაერცვლა ახალი შინაარსით და დაინერგა შრომაში მოწინავე აღამიანის აღსანიშნავად.

საერთოდ, შეინიშნება სიტყვის გადატანითი მნიშვნელობის გარენის ორი შემთხვევა:

1. როდესაც ერთი საჯნის სახელწოდება გადადის მეორე საჯანზე მსგავსი ნიშნის, ფუნქციის, ასოციაციის მიხედვით:

ხ.ს. ტოტი - მოსარის ტოტი; გავიდა ბავშვი - გავიდა დრო; მიცურავს გედი - მიცურავს ღრუბელი.

2. როდესაც ერთი საჯნის ან მოვლენის სახელწოდება გადადის მეორეზე მნიშვნელობის სიახლოვის შედეგად:

ორი ჭიქა ააგეს - ორი ჭიქა შეესა; ამბის მოთხრობა ვერცადა იყო - მოთხრობა ბევრი აქვს წაკითხული; დარბაზი სურათებით იყო მორთული - მთელი დარბაზი ხარხარებდა.

სიტყვის გადატანითი მნიშვნელობა შეიძლება ვერც კი შევნიშნოთ, თუ მხედველობაში არ გვაქვს მისი საპირისპირო გაგება, მაგრამ, როდესაც სიტყვას ი რ კ ნ ი ს გამოსახატავად ეხმარობთ, მაშინ, რასაკვირველია, მისი გაგება ძნელი არ არის. მაგალითად, თუ უკუო საქმეიდის გამო ვინმეზე ასე ვიტყვი: ა მ ჭ კ უ ი ს კ ო ლ ო - ფ მ ა ა ს ე ო ნ ე ბ ა რ - სიტყვები „ჭკუის კოლოფი“ პირდაპირი მნიშვნელობით არ გაიგება, რადგანაც უარყოფითი მოვლენის გამოსახატავად გამოყენებული, რასაც ზეპირი ეტყვევების დროს თან ახლავს აგრეთვე სათანადო ინტონაცია და მიმიკა, წერის დროს კი ჩანისმის ბრძქვალბში.

მსგავსი მაგალითებია:

- შეხედეთ, რა „წ ა რ მ ო ს ა დ ე ე გ ი ვ ა ტ კ ა ც ი ა!“
(ჩია და სუსტი ადამიანის შესახებ რომ ითქვას): „დ ი დ ა დ
გ ა ნ ა თ ლ ე ბ უ ლ ი“ კაცი იყო ლუარსაბ მათქარიძე (გაიგება
პირიქით).

ანტაგონისტური კლასების (ბურჟუაზია და მუშათა კლასი) გაგე-
ბით, საპირისპირო აზრთა გამოხატულება აგრეთვე სიტყვები: ბურჟუ-
აზია, კერძო საკუთრება, კაპიტალიზმი, მონოპოლია; პროლეტარიატი,
კეოლეუა, თავისუფლება, ინტერნაციონალიზმი და სხვ.

ამ შემთხვევებში ნაკლებად არის გამოხატული დამოკიდებულება სი-
ტყვისა და მისი სემანტიკისაფი კლასობრივი თვალსაზრისით. ამრიგად,
სიტყვების ბმარებისას ხშირად თავს იჩენს არა მარტო მოუპარის შეფა-
სებითი დამოკიდებულება საგნებისა და მოუღერებისადმი, არამედ ემო-
ციური მიმართებაც.

სტილისტიკურად ერთი და იმავე სიტყვის როგორც გადატანით, ისე
პირდაპირი მნიშვნელობით გაგება ხშირად მხატვრულ ლიტერატურაში არის
კომიზმის გამოხატვის საშუალება. მაგალითად ავიღოთ ასეთი დიალოგი:

მყიდველი. - შე მსურს ვიყიდო რაიმე თანის შესატყვევი წიგნი.

გამყიდველი. - რაიმე მსუბუქი?

მყიდველი. - ამას მნიშვნელობა არა აქვს. შე მანქანით ვარ.

(როგორც ეხებათ, მყიდველმა გამყიდველის სიტყვა „მსუბუქი“
პირდაპირი მნიშვნელობით უარყო).

ამ კიდევ ასეთი მაგალითი:

ექიმი სინჯავს საცხიან ავადმყოფ მამაკაცს, პირს დაადებინებს
და ეუბნება:

ძალიან ცუდი ენა გაქვთ!

ავადმყოფმა კი ექიმის ნათქვამი „ცუდი ენა“ სხვაგვარად გაიგო
და გაკვირვებით ეკითხება:

- თქვენ საიდან იცით? (ჟურნ. „ნიანგი“, №20, 1974).

ამრიგად, სიტყვით გადმოიქცემა არა მარტო ძირითადი მნიშვნელობა,
არამედ სხვადასხვა აზრობრივი ელფერტიცა და ემოციაც (როგორც დადები-
თი, ისე უარყოფითი). ამ თვისებებით ერთმანეთისგან განსხვავდება
როგორც სხვადასხვა, ისე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებიც.

ასეთი ლექსიკური ერთეულებია უმთავრესად ს ი ნ ო ნ ი მ ე ბ ი,
ო მ ო ნ ი მ ე ბ ი, ა ნ ტ ო ნ ი მ ე ბ ი, ა რ ო ნ ი მ ე ბ ი,

მ ვ ფ ე მ ი ზ მ ე ბ ი, თ ა ვ ა ზ ი ა ნ ო ბ ი ს ჯ ა მ ო მ ხ ა -
 ტ ვ ე ლ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი, რ ო მ ე ლ ა შ ე რ რ ე ვ ი ს ა და ზ უ ს ტ ა დ გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი ს
 ო ს ტ ა რ ო ბ ა დ ი დ ა დ გ ა ნ ა ნ ს ხ ე ა ვ ე ბ ს ო რ თ ი ა დ ა მ ი ა ნ ი ს მ ე ბ ტ ყ ვ ე ლ ე ბ ი ს ს ტ ი ლ ს
 მ ე ო რ ი ს მ ი ტ ყ ვ ე ლ ე ბ ი ს ს ტ ი ლ ს გ ა ნ .

ერითი მებტყველების ნაწილის გამოყენება
 სხვა მებტყველების ნაწილად

ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთი მებტყველების ნაწილი იხმარება
 სხვა მებტყველების ნაწილის მნიშვნელობით, მაგალითად, ზედსართავი
 სახელი - არსებით სახელად, არსებითი სახელი - ზედსართავი სახელად
 და ა.შ., რაც დამოკიდებულია წინადადებით გადმოსაცემ აზრსა და იმა-
 ზედაც; თუ რა სინტაქსური ფუნქციით ეიყენებთ ამა თუ იმ სიტყვას.
 სხვა მებტყველების ნაწილად გამოყენებისას სიტყვა კარგავს თავის
 მნიშვნელობას და იძენს ახალს, რის შედეგადაც თავისი სიტყვათა
 ჯგუფიდან ან კლასიდან იგი გადადის სხვა სიტყვათა ჯგუფში ანუ კლას-
 ში. მაგალითად, არსებითი სახელის მნიშვნელობით ქართულში იხმარება
 თექვსის ყველა მებტყველების ნაწილი. ერთი მებტყველების ნაწილის მე-
 რე მებტყველების ნაწილში გადასვლისას იცვლება მხოლოდ ლექსიკური მნი-
 შვნელობა, სიტყვის ბგერითი შედგენილობა და ფორმა კი რჩება უცვლელი.
 სხვა მებტყველების ნაწილის გაარსებითებას ეწოდება ს ზ ბ ს ტ ა ნ -
 ტ ი ვ ა ც ი ა, გაზედსართავებას კი - ა დ ი ე ქ ტ ი ვ ა ც ი ა .

არსებითი სახელის მნიშვნელობით განსაკუთრებით ხშირად იხმა-
 რება ზედსართავი სახელი და მიმდებარება. ეს სახელები გამოხატავენ სა-
 განის რაგვარობა-აფიისებას, მაგრამ მათ შორის ზედსართავი სახელი
 მუდმივს, მიმდებარება კი - დროებითს. ასევე ზმნურ მნიშვნელობასაც,
 მაგრამ არსებით სახელად გამოყენებისას ისინი კარგავენ აფიისების
 გამოხატვის უნარს და იძენენ საგნობრივ მნიშვნელობას. ამის შედე-
 გად წინადადებაში ასრულებენ არსებითი სახელის სინტაქსურ ფუნქციას
 უმთავრესად ქვემდებარისა და დამატების სახით, გამოხატავენ კონკრე-
 ტულ საგანს და აფიით დაირთავენ მსაზღვრელებად ზედსართავსა და მიმ-
 დებარებას.

ზედსართავი სახელის გამოყენება
არსებით სახელად

არსებითი სახელის მნიშვნელობით ხმარებისას ბევრ ზედსართავ სახელს სხვა სიტყვისგან დამოუკიდებლად აქვს დაკარგული თვისების გამოხატვის უნარი და ადრიადნვე არის გადატეული არსებით სახელად, ამიტომ ისინი ამჟამად მხოლოდ საგნობრივი მნიშვნელობის გამოხატა-ტეად იხმარება, მაგალითად, ზ ე ა რ ტ ბ ი - მარბელი, ჯომარელი, წიკლაური; ს ა კ უ თ ა რ ი ზ ე ო ზ ო ა ფ ი უ ლ ი ს ა ხ ე ლ ი - ბ ი - საირმე, საგურამო, მუხიანი, ცაშლოვანი და სხვ. ბევრი კი იხმარება როგორც ზედსართავ სახელად, ისე არსებით სახელადაც. მაგ., შევადართთ ერთმანეთს შემდეგი ორი წინადადება:

პატარა ბავშვი თან ახლდა დედას და პატარა თან ახლდა დედას.

პირველ წინადადებაში ზედსართავი სახელი „პატარა“ თავისი მნიშვნელობით (ე.ი. ზედსართავი სახელის მნიშვნელობით) არის გამოყენებული. იგი ახლავს ქვემდებარეს „ბავშვი“ და საზღვრავს მას. და-ესმის განსაზღვრების კითხვა - როგორი ბავშვი? - პ ა ტ ა რ ა , მეორე წინადადებაში კი იგივე სიტყვა „პატარა“ უკვე სხვა მნიშვნელობითაა გამოყენებული: ამ შემთხვევაში გამოხატავს არა საგნის თვისებას, არამედ - თვით საგანს (ე.ი. არსებითი სახელის მნიშვნელობისა) და წინადადების მთავარი წიგრი - ქვემდებარეა. მას ახლა დაესმის არსებითი სახელის კითხვა - ვინ ახლდა? - პატარა. ამრიგად, მეორე წინადადებაში მას სხვა სიტყვასთან მიმართებაში შეეცვალა მნიშვნელობა, დაეკისრა გამოტოვებული არსებითი სახელის - „ბავშვის“ საგნობრივი მნიშვნელობის გამოხატვის ფუნქცია, აზრი კი, სტილის თვალსაზრისით, გადმოიღო უფრო მოკლე და ექსპრესიულად. მსგავსი მაგალითებია:

უ ფ რ ო ს ი გ ა ე ი ინსტიტუტში სწავლობს, უ მ ც რ ო ს ი გ ა ე ი - სკოლაში; უ ფ რ ო ს ი გ ა ე ა ინსტიტუტში სწავლობს, უ მ ც რ ო ს ი - სკოლაში.

როდესაც აზრისთვის არსებითი სახელი აუცილებელია, მაშინ გამეორების თავიდან ასაცილებლად ასეთი რთული თანწყობილი წინადადების პირველ ნაწილში ტოვებენ მას, მეორე ნაწილში კი - გამოტოვებენ, მაგრამ იგი შეიძლება სრულებითაც არ იყოს ხაჭირა, მაგ.:

გ ო ნ ი ე რ ს ა მწვრთნელი უყვარს, უ ზ უ ნ უ რ ს ა გულსა მგმირდეს (შ.არსთ.).

ა გ ს ა ა გ ი არ ცუწოდო, კ ა ზ ს სახელად რა დავარქო (დ.გურ.).

ასეთ შემთხვევაში არსებითი სახელის მნიშვნელობით გამოყენებულ ზედსართავ სახელებს დაესმის კითხვები - ვის? რა? რას? ე.ი. არსებითი სახელების კითხვები და არა ზედსართავისა - როგორს? როგორი? (სხვანაირად ასე იქნებოდა: გონიერ კაცს ვწერდენელი უყვარს, უკუნურ კაცს ვუღსა გმირდეს და სხვ.).

ზოგი ზედსართავი სახელი უკვე არსებით სახელად არის გადატყვეული და თავისი პირვანდელი მნიშვნელობით იშვიათად გვხვდება. ასეთებია, მაგალითად, შემდეგი სიტყვები:

სასადილო, სასტუმრო, სნეული, ბრმა, მეთევზე, მებაღური, ხელო-სანი, ფრიადოსანი და სხვა, მაგრამ ზოგჯერ ისინი ზედსართავ სახელადაც იხმარება, მაგალითად: სასადილო ოთახი დიახ, ხელოსანი კაცი ზოგჯერ ხელოვანიცაა, სასტუმრო ოთახში დიდი მაგიდა იდგა.

მიმღობის გამოყენება არსებით სახელად

არსებით სახელად ხმარებისას მიმღობა კარგავს ზმნურ მნიშვნელობას და ზედსართავი სახელის მსგავსად გამოხატავს საგანს, მაგალითად:

სიაზიზით **გ ა მ მ რ დ ი ღ ი** ხშირად ქორაზს ვაგლეჯინებს (ანდ).

მ ა ფ ა რ უ ლ ი ეშმაკისაა (ანდ.)

მ შ რ მ ე ე ღ ი დროს კლავს, უქნარას დრო კლავს (ანდ.)

გ ა გ ო ნ ი ღ ს ნ ა ნ ა ხ ი სჯობიაო (ანდ.).

კარგ მ თ ქ მ ე ღ ს კარგი **გ ა მ გ ო ნ ი** უნდაო (ანდ.)

ზედსართავი სახელისა და მიმღობის ერთმანეთი დამახასიათებელი ნიშანი ისიცაა, რომ ისინი იხმარება მრავლობით რიცხვში:

სასადილოები, სასტუმროები, ხელოსნები, მთებები, მკერავეები, მთაბაგეები, მწიფდლები და სხვ.

არსებით სახელებად გამოიყენება სხვა ტიპის სიტყვებიც, მაგ.:
საწყობი;

მ ხ უ ნ ჯ ო ბ ო დიდხანს ვაგრძელებ.

რიცხვითი სახელი:

ექიმი ხან **ე რ თ ს** შეხედავდა, ხან - **მ ე ო რ ე ს**.

ზმნა:

ზოგჯერათის **მ ო ბ რ ძ ო ნ დ ი ს** **გ ა მ ე ე ც ო ღ ე** სჯობიაო (ანდ.).

„ერთი **მ ა ქ ე ს** - სჯობს ათასს მქონდას... (ი.ჭავჭავ.)

ნაწილაკი:

„... ჩემი პო პო არის და არა - არა“ (ა. ყაზბ.).

ზორისდებული:

ც ა ი ს გ ა ვ ე ყ ა რ ე და უ ი ს შ ე ვ ე ყ ა რ ე (ანდ.).

სხვა მეტყველების ნაწილები ზედსართავ სახელებად

წინადადებებში ზედსართავი სახელის (მსახვერელის) მნიშვნელობით უშთავრესად არსებითი სახელი გვხვდება. ასეთ გადაქცევას ადრექტოვაცია ეწოდება. ზედსართავის მნიშვნელობით უშთავრესად იხმარება ისეთი არსებითი სახელები, რომლებიც გამოხატავენ წოდებას, პროფესიას, ზომიანა და წინას. მაგალითად, წინადადებაში - გლეხი ყოველთვის შრომისმოყვარე იყო - სიტყვა გლეხი გამოყენებულია არსებითი სახელის მნიშვნელობით (ვინ? - გლეხი) და არის ქვემდებარე, მაგრამ ასეთ წინადადებაში.

გლეხი კაცი ყოველთვის შრომისმოყვარე იყო - არსებითი სახელი გლეხი განსახვერებად ახლავს ქვემდებარეს კაცი (რომელი კაცი? - გლეხი), ე.ი. აქ იგი ზედსართავი სახელის მნიშვნელობით არის გამოყენებული.

მსგავსი მაგალითებია:

ე ქ ი შ ი ქ ა ლ ე ბ ი ო მის ღონს დიდ დახმარებას უწევდნენ სამშობლოს. უ რ ე მ ი შ ე შ ა მ ეზობელს უთავაზა. კ ი ლ ო გ რ ა შ ი კ ა შ ი ფ ე ტ ი ბავშვებს დაუროგა.

ზედსართავის მნიშვნელობით იხმარება ნათესაობით ბრუნვაში მართული არსებითი სახელებიც, როცა ისინი გამოხატავენ მასაღას, მაგალითად: სახლს ხისს კ ე დ ლ ე ბ ი აქინდა, მამამ ახალი რკინის საწარმოში მოიტანა.

ზედსართავის მნიშვნელობისა აგრეთვე საწყისები შემდეგ წინადადებებში: ა ც მ ა თ ა მ ბ ა ქ ო კედელზე ეკიდა, ს რ ო ლ ა ს ა ფ ა ნ ტ ი იტაკზე დაუცვივდა (უშთავრესად ასეთ სიტყვებს წინ ახლავთ რაოდენობითი რიცხვითი სახელი: ე რ ო ა ც მ ა თამბაქო, ა თ ი ა ც მ ა ჩურჩხელა და სხვ.).

ზედსართავის მნიშვნელობით იხმარება ზმნისებლებიც, მაგალითად, შდრ.: გ ა დ მ ა ყველაფერს აღამაზი ჩანდა - გ ა დ მ ა ნ ა პ ი ო ლამაზი ჩანდა. პირველ წინადადებაში სიტყვა გ ა დ მ ა ზმნიზედაა და გამოყენებულია ადგილის გარემოებად. მეორე წინადადებაში იგი ახლავს ქვემდებარეს ნ ა ბ ო რ ი და განსახვერავს მას. ასეთებია:

გ ა მ ო დ მ ა, მ ა დ ღ ა, დ ა ბ ღ ა, ქ ე ე დ ა, ზ ე დ ა,
წ ი ნ ა, უ კ ა ნ ა და სხვ.

ასევე შეიძლება:

არსებითი სახელის გამოყენება ნაცვალსახელის მნიშვნელობით:
ნიკომ თ ა გ ი დახარა - ნიკომ თ ა გ ი შეიწუხა. (პირველ
წინადადებაში თ ა გ ი არის არსებითი სახელი, მეორეში ნაცვალსა-
ხელი).

ამ საქმეში კ ა ც ი შეხმირებოდა - მას მამინ როგორ უნდა
დახმარებოდა კ ა ც ი! (პირველ წინადადებაში კაცი არსებითი სა-
ხელია, მეორეში ნაცვალსახელი).

როცხვითი სახელის გამოყენება ნაცვალსახელის მნიშვნელობით:
ე რ თ ი კაცი ხეს რგავდა - იყო და არა იყო რ ა ი ჯო ერ თ ი
კაცი (პირველ წინადადებაში ერთი რიცხვითი სახელია, მეორეში - ნა-
ცვალსახელი).

არსებითი სახელის გამოყენება ზმნიზებად:

ი მ დ ღ ე ს ძალიან ცუმაღლი - ი მ დ ღ ე ს კარგ ზასიათზე
იყო. (პირველ წინადადებაში - დ ღ ე ს არსებითი სახელია, მეორეში
ზმნიზება).

სამინდს ძ ი რ ს უხხრიდა - ტარო ძ ი რ ს ეგღო.

(პირველ წინადადებაში ძ ი რ ს არსებითი სახელია, მეორეში
- ზმნიზება) და სხვ.

ერთი შეტყვევების ნაწილის ნორე შეტყვევების ნაწილის მნიშ-
ვნელობით გამოყენება ერთერთი მხატვრული ხერხია, რომლის საშუა-
ლებით წინადადებაში ეხეკება - სხარტად და ექსპრესიულად გაპოი-
ხატება აზრი.

§ 32. სინონიმები

აზრის სიზუსტისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სი-
ტყვეების შერჩევა, რომელნიც სემანტიკურად ერთმანეთის მსგავსია,
მაგრამ განსხვავებულია აზრობრივი ელფერით ანუ ნიუანსით. ამ მხრივ
ქართულ ენაში მდიდარი ლექსიკური მასალა მოგვეპოვება სინონიმების
ხასიათ.

• სინონიმები პქვია ისეთ სიტყვებს, რომლებიც ზგერთი შედგენი-
ლობით სხვადასხვაია, მაგრამ მნიშვნელობით ერთმანეთის მსგავსია.

• შეტყვევების სიზუსტისა და კულტურისთვის მსგავსი მნიშვნელობის
ორი ან მეტი სიტყვისგან არჩევენ მას, რომელიც საჭირო შემთხვევაში
უფრო ნათლად გადმოგვცემს აზრსა და გრძნობას. სიტყვის კონკრეტული

მნიშვნელობა, ემოცია და ექსპრესიულობა კი მხოლოდ კონტექსტში მუდავნდება. სინონიმების შერჩევით წინადადებაში მოუბარი გამოხატავს საგნის, მოვლენის ან მოქმედების შეფასებასაც და მაგალითად, სიტყვები: კარგი, მშვენიერი, საუკეთესო, საუცხოო, შესანიშნავი, ძვალწარმტაცი, მომხიბლავი მნიშვნელობით ერთმანეთის შესაგვისია, მაგრამ **გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი ა ა ზ რ ო ბ რ ი ვ ი**, **ღ ლ ფ ე რ ი თ ა და ე მ ო ც ი უ რ ი ი ე რ ი თ**, რომელთა შერჩევით გამოყენება სუბიექტური სტილის ერთერთი ნიშანდგანია. მაგალითად, შდრ.: მიზნის - მიქრის, აქებს - ადრებს; იწვის - იფრფლებს; დიდი - ვეებურთელა; სიხარული - აღტაცება; სიბნელე - წყვდიადი და სხვ. ამიტომ სინონიმების შერჩევის მთავარი სტილისტური დანიშნულება არის აზრის სიყვანადე.

მეტყველების დროს მოუბარი სიტყვათა სათანადო შერჩევას ადვილად ახერხებს მაშინ, რადგანაც ის თავისუფლად ფლობს სინონიმების ღიად მარაგს, საიდანაც საჭირო შემთხვევაში თავისუფლად იყენებს მას, რითაც უფრო ნათლად გამოიხატება როგორც ესა თუ ის აზრი, ისე აზრობრივი და ემოციური ელფერიც.

მაგალითად, წინადადებებში: 1. მანანას ახალი ტანისამოსი აუცილ და 2. მანანას ახალი ტანსაცმელი აუცია - ერთი და იგივე აზრით გამოხატული, რადგანაც სიტყვები „ტანისამოსი“ და „ტანსაცმელი“ ერთნაირი ანუ იდენტური სემანტიკის სინონიმებია და მათ შორის რომელ სიტყვას ვიხმარო, ამას სტილის თვალსაზრისით მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ სხვა შემთხვევაში სინონიმების შერჩევა ხშირად არის აუცილებელი. მაგალითად, უნდა ითქვას: კვირა საღამოს ძლიერ წვიმდა (და არა - მაგრად წვიმდა); გიორგი ღონიერი კაცი იყო (და არა - მაგარი კაცი); მან სწორი პასუხი მომცა (და არა - მართალი პასუხი); ვანომ მართალი ამბავი მიაშპო (და არა - სწორი ამბავი); ბებერი მურაა სულ იწვა (და არა - მოხუცი მურია) და სხვ.

ან კიდევ, მაგალითად, იტყვიან: კაცი მოვიდა; ბავშვი ოთახში შემოვიდა, მოსწავლე შინ წავიდა. სიტყვა „მოვიდა“ უბრალოდ აღნიშნავს მოსვლის ფაქტს, მაგრამ, თუ მოუბარს მხედველობაში უყავს ვინმე საპატრივემლო პიროვნება, მაშინ ის იხმარს სიტყვას „მობრძანდა“:

მასწავლებელი მობრძანდა; სტუმარი ოთახში შემობრძანდა; მანდილოსანი შინ წაბრძანდა. ხოლო, რადგანაც მოუბარს ენიჭდება ვინმე, ის მის შესახებ იტყვის: მატყუარა მოეძრია; მთვრალი ოთახში შემოეთრია; ყბედი შინ წაეთრია.

ამრიგად, ზმნები: მოვიდა, მობრძანდა, მოეთრია - ძირითადი მნიშვნელობით ერთნაირია, მაგრამ განსხვავებულობა აზრობრივი ელფერი.

შეიძლება მოუბარმა ამნაირადაც თქვას: მატყუარა მობრძანდაო, მაგრამ აქ უკვე ზმნა „მობრძანდა“ გამოხატავს დაცინვას. წერის დროს ირონიით სახმარო სიტყვა წინადადებაში ბრწყინებით გამოიყოფა. „ამატყუარად, სინონიმებს ერთმანეთისგან განასხვავებს შინააზრობლივი ნოუანსი, ან სუბიექტური მომენტი - მატყუარის დამოკიდებულება აღსანიშნავისადმი“¹.

გარდა აღნიშნულისა, სინონიმებს კიდევ ის მნიშვნელობა აქვს, რომ მათი საშუალებით თავიდან ვიცილებთ მტყუარების ერთგვარობებს - ერთი და იმავე სიტყვის უმარტულად განმეორებას ანუ ტაქტოლოგიას წინადადებაში ან მცირე ნაწყვეტში.

მაგალითად, ფრაზაში: შესანიშნავმა ორატორმა შესანიშნავად დაასურათა არსებული მდგომარეობა - ორი ერთნაირი სიტყვის ნაცვლად თუ სინონიმს გამოვიყენებთ, აზრი უფრო ნათლად, მოხდენილად იქნება გამოხატული: შესანიშნავმა ორატორმა მშვენიერად დაასურათა არსებული მდგომარეობა.

ასევე, ვთქვათ, სხვისი ნათქვამის გაუმოსაცემად გვეჩვენება სიტყვა „გვიოხრა“, მისი განმეორება იქნება მტყუარების დაბალი დონის მარტულებელი, სტილის მიხედვით - უფარგისი: მასწავლებელმა გ ვ ი თ ხ რ ა, რომ სწავლა ბედნიერების მომასწავებელია. მან შემდეგ გ ვ ი თ ხ რ ა, რომ სიზარმაცე არის დიდი უბედურება, და ბოლოს გ ვ ი თ ხ რ ა: თუ კარგად და სახელოვნად ცხოვრება გსურთ, ბეჯითად უნდა ისწავლოთ და იშრომოთ.

უ ნ დ ა ი ყ ს ი მასწავლებელმა გ ვ ი თ ხ რ ა, რომ სწავლა ბედნიერების მომასწავებელია. მან შემდეგ გ ა ნ ა ც ხ ა დ ა, რომ სიზარმაცე არის დიდი უბედურება, და ბოლოს ჟ ა ს ძ ი ნ ა: თუ კარგად და სახელოვნად ცხოვრება გსურთ, ბეჯითად უნდა ისწავლოთ და იშრომოთ.

სინონიმების შერჩევა არცთუ ისე ადვილი საქმეა, ამიტომ მოსწავლეობისთვის საჭიროა სათანადო სავარჯიშოების შედგენა, მაგალითად, ასეთი ტიპის სავარჯიშოსი:

... (დიდი; ცნობილი, სახელგანთქმული). ... (მგოსანი, პოეტი) ნიკოლოზ ბარათაშვილი (გარდაიცვალა, მოკვდა) 1845 წელს: თავისი... (მცირე, პატარა) ცხოვრების მანძილზე მან... (შექმნა, დაწერა) ბევრი... (პნიშენელოვანი, ძვირფასი, დიკსშესანიშნავი) ნაწარმოები. მისი ... (შეუდარებელი, უბადლო) პოეტური ქმნილება ღრმად შეიჭრა ხალხის გულში და... (დღესაც, ამჟამადაც) ამ ხალხის ... (ამოუწურავ, დაუშრტებელ) სულიერ წყაროს წარმოადგენს. ... (დიდია, განუ-

1 ზურაბ ტუმბურიძე - ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები, თბ., 1956, გვ.38.

ზომილია, განუსაზღვრელია) ნიკოლოზ ბარათაშვილის რალი ... (ეროვნული, მშობლიური) ლიტერატურის ... (განვითარებაში, გამდიდრებაში) და სხვ.

წერტილების ადგილას უნდა დაიწეროს შერჩეული სინონიმი.

მნიშვნელობის მიხედვით სინონიმები ორი ჯგუფისაა: ე რ თ - ნ ა ი რ ი მ ნ ი მ ე ნ ე ლ ბ ი ს ა ნ უ ა ბ ს ლ უ ტ უ - რ ი და მ ხ ჯ ა ვ ს ი მ ნ ი მ ე ნ ე ლ ბ ი ს ა ნ უ რ ე - ლ ა ტ ი უ რ ი. სინონიმები სხვაგვარად - იდენტური და განსხვავებული.

ე რ თ ნ ა ი რ ი მ ნ ი მ ე ნ ე ლ ბ ი ს ს ი ნ თ ნ ი - მ ე ბ ი .

ერწიანი მნიშვნელობის სინონიმები იყოფა სამი ჯგუფად. პირველი ჯგუფისაა დიალექტური წარმოშობის სინონიმები. მაგალითად: კაკალი - ნიგოზი, კოშკი - ბია, თათარა - ფელაშუში, ჩაფი - კაკა, ქვევრი - ქურჩი, ცუდი - ნაჯახი, მოკეთე - მოყვარე, ბატკანი - კრავი, დიდება - ბებია, პაპა - ბაბუა, ცემა - გაღახვა, შინა - შუშა, მურყანი - თხილვა და სხვ. მათ შორის ზოგი უფრო გავრცელებულია, ზოგი - შედარებით ნაკლებად, მაგრამ ამჟამად ყველა სალიტერატურო ენის კუთვნილებათ.

მეორე ჯგუფისაა ისეთი სინონიმები, რომლებიც თავიდანვე ლიტერატურულია, მაგრამ პირველ სიტყვასთან შედარებით მეორე მიტად თუ ნაკლებად მოძველებული ჩანს. ამის მაგალიტებია:

აგადმყოფი - სწეული, წეროლი - ბარათი, კბენი - ტაბჭი, ახალგაზრდა - ჭიბჭიკი, მწუხარება - ხუმერა, თაკი - საბედი, ბედი - სედი, ბეის - უწყის, საშობალო - მამული, ხნალი - მახეილი, მახეცი - მხცოვანი, ჯოგი - რემა, დრო - ტამი, უიმელო - უსასა, უხილავა - უჩინო, უცაბ - ნყის და სხვ.

მესამე ჯგუფისაა სინონიმები, რომელთა შორის ერთი მშობლიურია, მეორე კი - უცხო წარმოშობის, მაგალითად: სიყვარული - მიჯნურობა, მგოსანი - პოტი, სატევარი - ხანჯალი, ბედი - იღბალი, მჭიდელი - ნაღბანი, ეროვნული - ნაციონალური, შემოწმება - კონტროლი, დაშვავება - ასიმილაცია, გამომეტყველება - ფიზიონომია და ა.შ.

ერწიანი მნიშვნელობის სინონიმების შერჩევას სტილის ავალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, თუ მწერალს ნაწარმოების პერსონაჟად გამოყვანილი უყავს კახელი ან ქართლელი, მათი მეტყველების დამახასიათებელ ნიშნებად იხმარს სიტყვებს: პაპას, დიდებას, ქვეერს, ცუღს, მოკეთეს და სხვ. დასავლეთ საქართველოს წარმომადგენელს ათქმევინებს - ბაბუას, ბებიას, ქურს, ნაჯახს, მო-

ყვარეს... მწიგნობარ პიროვნებას კი - ნაცონალურს, ემოციას, კონკრეტულს, ფიზიონომიას, სოციალურს და მისთ. სიტყვებს. (აქ საუბარი ეხება სალიტერატურო ენის ლექსიკას. ამისგან სრულიად განსხვავდება ისეთი შემთხვევები, როდესაც მწერალი პერსონაჟის მეტყველების თავისებურების საჩვენებლად მიმართავს დიალექტობებს).

მ ს გ ა ვ ს ი მ ნ ი შ ე ნ ე ლ ბ ი ს ს ი ნ ო ნ ი - მ ე ბ ი .

მსგავსი მნიშვნელობის სინონიმები, როგორც აზრობრივი ელფერი და ემოციური იერით განსხვავებული სიტყვები, სტილისტიკურად გამომსახველობითი დანიშნულების ლექსიკაა, რომლის შერჩევას აზრის ან გრძნობის ნათლად გამოხატვისა და მეტყველების სიღამაზისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

მსგავსი მნიშვნელობის სინონიმებია:

მეღვარი - უშიშარი, ღონიერი - ძლიერი, მუქი - სინათლე, ბებერი - მოხუცი, ღამაზი - ტურაზა, გჟაბა - გონება, მხნობა - სიამაყე, კვამლი - ბოლი, გაყვებება - გახურება, გაწაფვა - დახელოვნება, დარბევა - აოხრება, დაკინება - გაქირღვა, დამარხვა - დასაფლავება - დაკრძალვა და სხვ.

ენაში არის ისეთი სინონიმებიც, რომელთა შორის არც ერთი სიტყვა მშობლიური არ არის; თამბაქო - თუთუნი, თევში - სანი, ამფლონი - ამქარი... ან ორივე მშობლიურია და ერთნაირად გაცრელებული: სევდიანი - ნაღვდიანი, ბრმა - უსინათლო, საამური - სასიამოვნო და სხვ.

მსგავსი მნიშვნელობის სინონიმების შერჩევას განსაკუთრებული სტილისტიკური დანიშნულება აქვს, რადგანაც მხოლოდ ასეთ სინონიმებს შეუძლიათ გამოხატონ განსხვავებული აზრობრივი ელფერი, რაც ხელს უწყობს მოუბარს უფრო ზუსტად და ექსპრესიულად თქვას თავისი სათქმელი.

მსგავსი მნიშვნელობის სინონიმების ჯგუფებია:

საგნის ან მოვლენის აღმნიშვნელი სახელებია:

ქალი, დედაკაცი, ღიაცი, მანდილოსანი, ბანოვანი, ქალბატონი, დარაჯი, გუშაგი, ყარაული; ვიერი, ცაბკაი, რაინდი; ძაღა, ღონე, ძლიერება; სიყვარული, მიჯნურობა, ტრუბა; სიმდიდრე, ქონება, ავლადიდება, ღველათი; ცხენი, მერანი, რაში, ბედაური; ღამე, სიბნელი, წყვდიადი, უკუნეთი; ტანსაცმელი, ტანისამოსი, სამოსელი, საცმელი; სევდა, დარდი, მწუხარება; კმუნება, ნაღველი, კავშანი; სიკვდილი, გარდაცვალება, აღსასრული, განსვენება; გარითრავი, განთიადი; ზვარი, ეენახი; წვიმა, თქეში, დელგმა და სხვ.

თვისების აღმნიშვნელი სახელებია:

ბებერი, მოხუცი, ხნიერი, ხანშესული, დროული, მსკოვანი, წი-
თელი, აღისფერი, ღაღისფერი, დატყაფა, ღამაზი, მშვენიერი, თვალწარ-
მტაცვი, მომხიბლავი, დიდი, ცუტბერაღელა, უზარმაზარი, ჩქარი, სწრაფი,
მალე, მტკიცე, მაგარი, ურყვევი, პატარა, მცირე, ცნობილი, გამოჩენი-
ლი, განთქმული, სახელმწიფოველი; კარგი, საუცხოო, მომხიბლავი, მო-
მაჯადოებელი, შესანიშნავი, კობტა, კობწია, კეკლევი, ტანადი, თვა-
ლადი; ცელქი, მოუსვენარი, დაუცხრომელი, გიტი, უციცი, უყოღინარი,
უმეცარი, ბრიყვი, უგნური, რეგენი, ხეპრე, უბირი და სხვ. (რად-
განაც საგნის რაგვარობა=თვისებას თითქმის ერთნაირად გამოხატავენ
ზედსარაგვი სახელები და მიმღობები, ამიტომ აქ ისინი დასახელებუ-
ლია ერთად).

რაოდენობის აღმნიშვნელი სახელები:

წყვილი, ტყუპი, უღელი, ბებერი, მრავალი, უამრავი, უთვალავი,
აუარებელი, აურაცხელი, ურიცხვი, უზომო, უანგარიშო...

მოქმედებისა და მდგომარეობის აღმნიშვნელი სახელები:

ახოვნა, ხვეწნა, მუდარა, გაბრაზება, გაჯადრება, გაცხარება, გა-
ცოფება, გაშმაგება, გაუცხლება, გააფორება; ყვირილი, კიჟინი, კი-
ვილი, წივილი; კამათი, დავა, პაექობა; დაგდება, დახლა, დანარც-
ხება; დაპატიმრება, დატუსაღება, დაჭერა, რასმა; ხეტილი, წანწა-
ლი, ყილი, ლოდილი; დაჯდომა, დაბრძანება, დაგდება; ჭამა, შირთ-
მევა, ყლაპვა, სანსვლა; კაცუნი, რახუნი, ბრახუნი და სხვ.

ზმნები:

უამბო, მოუყვამ; აქვა, ბრძანა, წამოროშა, წამოაყრანტალა, შე-
ჭამა, მიირთვა, შესანსლა, შეახრამუნა; შეკრიბა, შეაგროვა, შე-
ყარა, მოხვეტა, დაახვავა; წააქეზა, შეაგულიანა, გააბეფინა, სთხოვ-
ებვეწება, ემუდარება, ეცდებება, ეღიტიება; წავიდა, წაბრძანდა,
გაემგზავრა, წარჩინდა, წარჩერებდა, წაღასლადა, გაუფადა, გაემარ-
თა, გასწია, აიბარჯა, მოუსვა; მიდის, მიბრძანდებდა, მიაბიჯებს, მი-
ეშურება, მიაბოტებს, მიიზღაზნება, მიძუნძულებს, მიცუნცულებს, მი-
ჯაჯვაგებს, მიფარტატებს, მიგოგმანობს; გაიქვა, გავარდა, გაქუსლა
და ა.შ.

ზმნიზედები:

ძალიან, ძლიერ, მეტად, კრიადა, ჩქარა, უცბად, სწრაფად, უმალ,
მოულოდნელად; ნაცვლად, მაგიერ, მაგივრად; მარდად, მცირეცხლად;
გულდობად, გულახდილად; ამგვარად, ამრიგად, ამნაირად; იმისთვის,
იმად; ხან, ხანდახან, დროდადრო და სხვ.

ნაწილაკები:

ეგებ, ეგების, იქნებ; კიდეც, კიდეცაც; აჰ, კი, დიან ...

პერიფრაზული სინონიმები

სინონიმების ერთ-ერთი სახეა სიტყვათა მყარი შენაერთი, რომელსაც პერიფრაზული ანუ აღწერიითი სინონიმი ჰქვია. იგი შედგება რამდენიმე (ჩვეულებრივ ორი ან სამი) სიტყვისგან, მაგრამ იხმარება ერთი სიტყვის მნიშვნელობით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის ერთი სიტყვის მნიშვნელობის (საგნის, თვისების, მოქმედების...) გამოხატველი აღწერიითი ფორმა, გადმოცემული რამდენიმე სიტყვის მყარი ფრაზოლოგიური შენაერთით, ხშირად იდიომატური თქმითაც. იგი, ცვლის რა ერთსიტყვიან სახელწოდებას, უფრო მკვეთრად გადმოგვეცემს სიტყვათა სემანტიკურ სხვაობას დამატებითი აზრობრივე-ემოციური ელფერი. ამის გამო პერიფრაზა ჰკავებს მერტოფრასს, რომელიც მსგავსების ნიადაგზე ერთ საგანს ან მოვლენას გამოხატავს მასზე მეორე საგნის ან მოვლენის ნიშან-თვისების გადატანის საშუალებით და მერტი გამოხსახველობით, რასაც ხშირად თან ახლავს შეფასებითი დახასიათებაც. ამიტომ პერიფრაზული სინონიმი არის სტილისტიკური ენობრივი საშუალება, რომელიც აადვილებს აზრის ზუსტად გაგებას და თანაც აძლიერებს ემოციურ ზემოქმედებას მსმენელზე თუ მკითხველზე.

მაგალითად ავიღოთ სიტყვა „დადალა“ და სიტყვათა ჯგუფი „არაკეთი გამოაცალა“. სემანტიკურად ორივე ერთი მნიშვნელობისაა, მაგრამ სტილისტიკურად განსხვავებული ენობრივი ერთეულებია: პირველი ნეიტრალურია, მეორე - ექსპრესიული-ემოციური, იმავე მნიშვნელობის ხატოვანი თქმა, ე.ი. მნიშვნელობა ერთია, აზრობრივე-ემოციური ელფერი კი - სხვადასხვა.

პერიფრაზული სინონიმი სემანტიკურად არის ორი სახის: სახელადი მნიშვნელობისა და ზმნური მნიშვნელობის.

1. სახელადი მნიშვნელობისა:

მოსუცი - სიბერეში შესული, ავდარი - ცუდი ამინდი, ავადმყოფი - სენით შეპყრობილი, აშება - გულის მოგება, გაბრაზება - ბრაზის შორევა. მიტოვება - დეფის ანაბარა მიჯდება, შერცხვენა - სირცხვილში ჩაგდება თავზე ლაფის დასხმა, მოკვლა - საიქნოს გაგზავნა, შეშინება - გულის გახეთქა, გაშწარება - სისხლის გაშრობა, მღიქვენლობა - მუცელზე ხოხვა და სხვ.

ჩვენს ენაში უფრო მერტად ზმნური მნიშვნელობის სინონიმები გვაქვს, რომლებიც წინადადებაში შემასმენლის ფუნქციით იხმარება.

2. ზმნური მნიშვნელობისა:

თქვა - ხმა ამოიღო, განიზრახა - გულში გაიფლო, გაერთო - გული გადააყოლა, ესიაშიონა - გულზე მალაშოდ მოეცხო, გაამდიდრა - ცივ ქვაზე დაასახლა, დაუდასტურა - კვერი დაუკრა, მოატყუა - პირში ჩაღა

გამოავლო, გაანადგურა - დედაშიწასთან გაასწორა, გაღახა - ცხვირიდან ძმარი ადინა, გარეშდა - პირში წყალი დაიგუბა, დაამარცხა - კუდიმ ქვა ასროლინა, დატუქსა - შავი ღვე დააყენა, წავიდა - გულანაბადი აიკრა, დაიკარგა - ჩაიღურხა წყალი დალია, ააოხრა - ქვა ქვაზე არ დატოვა, მოყვდა - სული დალია ან სული განუტევა; მოკლა სიკოცხლეს გამოასაღმა და ა.შ. ამ მაგალითებში პერიფრაზული სინონიმები ლასახელებულია ერთ სიტყვასთან, მაგრამ ისინი შეიძლება იყოს სიტყვათა ჯგუფთანაც, მაგალითად:

კარგად უვლიდა - ცივ ნოვეს არ აკარებდა, წვიმა დაიწყო - ცაში პირი მოიხსნა, მანამდე ბევრი დრო გაივლის - მანამდე ბევრი კოვა წყალი ჩაივლის, ღიჯ ბატონში ჰყავდა - ხელის გულზე ატარებდა... ასევე: აფად ვახდა - ლაგინად ჩაეარდა, დამარცხება ავგემაქედი შობაჩეგინა, სამინლად დატუქსა - შავი ღვე დაუთია, ხმას არ იღებდა - პირში წყალი აქონდა დაგუბებული, ფეხები გაფშოკა - უფადმა მიილა მისი სული და სხვ.

პერიფრაზულ სინონიმებში ლოგიკური მახვილით გამოიყოფა ე.წ. ს ა ყ რ დ ე ნ ი ს რ ტ ყ ვ ა. მაგალითად, სინონიმურ ცალღებში: ხელის აღება, ცხვირის ჩამოშვება, კვეროს დაკერა, თაგის მინებება - საყრდენი სიტყვებია ხელის, ცხვირის, კვერის, თაგის, ხოლო შემდეგ სინონიმურ ცალღებში: ხმაგაკმენდლი ზის, ენ-ზე კბილი აქვს დაჰერლი, წყალი ნაგუბარში ჩააგლო, ცა ქუდად არ შიარინა და დედაშიწა ქაღამნად - საყრდენი სიტყვებია ხმაგაკმენდლი, ენაზე, წყალი, ცა და დედაშიწა.

სინონიმები გვაქვს არა მარტო ენის ლექსიკურ შემადგენლობაში, არამედ გრამატიკულ ფორმებსა და წინადადებათა კონსტრუქციებშიც, რომელთაც მორფოლოგიური და სინტაქსური სინონიმები აქვია (იხ. გრამატიკული სტილისტიკა)¹.

ამრიგად, სინონიმების ცოდნა და მათი სწორად შერჩევა ხელს უწყობს აზრისა და გრძნობის ზუსტად და თანაც მრავალფეროვნად გამოხატვას, საგნებისა და მოვლენების ექსპრესიულ-ემოციურად და ხატოვნად ასახვას.

გარდა ამისა, სინონიმების საშუალებით ადვილად ვაღწევთ თავს მეტყველების ერთფეროვნებასა და სიტყვათა განშორებებს წინადადებებში ან აბზაცში, ე.ი. ისეთ ენობრივ ნაკლავანებას, რომელიც ამახინჯებს სალიტერატურო ენაზე მეტყველებას, უკარგავს მას სიციხადესა და სიღამაზეს (იხ. ტავტოლოგია).

I ეს საკითხი პირველი ტომის სახით მოკლედ განხილული მაქვს წიგნში „ქართული მართლწერის ძირითადი საკითხები“, სთბ., 1956, გვ. 233-234.

§ 33. ომონიმები

ომონიმები უკვეა ისეთ სიტყვებს, რომელნიც ბგერითი შედგენილობისა და წარმოქმნის მიხედვით ერთნაირია, მაგრამ განსხვავებულია წარმომავლობითა და მნიშვნელობით.

მაგალითად, სიტყვა „ბარი“ წინადადებაში ერთ შემთხვევაში შეიძლება გამოხატავდეს მიწის დასამუშავებელ იარაღს; ხელში ეკავა პრილა ბ ა რ ი; მეორე შემთხვევაში - ცაქე ანუ დაბლობ ადგილს; მთელი ბ ა რ ი საძოვრად იყო გამოყენებული; შესამე შემთხვევაში - შტაცებულ ფრინველს; ბ ა რ ი განსაკუთრებით მინდვრის თაგვებს ეტანებოდა; მეოთხე შემთხვევაში - აასმელვით საეაგრო ადგილს ანუ პატარა რესტორანს; ბ ა რ ი ყოველთვის საესე იყო ლუდის მოყვარულებით.

დასახელებულ წინადადებებში სიტყვა „ბარი“ გამოყენებულია ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული მნიშვნელობით, ამიტომ ეს სიტყვა არა გადაჭრით მნიშვნელობით გამოყენებული ლექსიკური ერთეულია, არამედ არის ომონიმი.

წარმომავლობის მიხედვით ომონიმები არის როგორც ერთი ენის, ისე სხვადასხვა ენის სიტყვები, ე.ი. მშობლიური და ნასესხები, მაგალითად:

1. ე რ თ ი და ი შ ა ვ ე ე ნ ი ს ო მ ო ნ ი მ ე ბ ი ა :

წ ე ლ ი - ღო და წ ე ლ ი - სხულის ნაწილი; ბ ა ნ ი - მიწის სახურავი და ბ ა ნ ი - ბოხი ხმა; ვ ა ხ შ ო ბ ა - გავიქვება და ვ ა ხ შ ო ბ ა - ხმელად გადაქცევა... ამ ტიპისაა ისეთი ომონიმებიც, რომელთა ცალი ახალი სიტყვაა, ახალი მნიშვნელობის გამოხატველი, მაგალითად:

დ ა შ ი კ ვ რ ე ლ ი - ის, ვინც უკრავს მუსიკის ინსტრუმენტზე, და დ ა შ ი კ ვ რ ე ლ ი - ის, ვინც მოწინავეა შრომაში.

2. ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ე ნ ი ს ო მ ო ნ ი მ ე ბ ი ა :

როდესაც ერთი მშობლიურია, მეორე - ნასესხები:

ბ ა კ ი - საქონლის დასამწყვედვეი ადგილი და ბ ა კ ი - ლითონის დიდი გურგული (პირველი ქართულია, მეორე - ფრანგული); ბ ა ლ ი - ერთერთი სახის ხალი, მეორე და ბ ა ლ ი - მეჯლისი, ბ ა ლ ი - საზომი ნიშანი (პირველი ქართულია, მეორე და მესამე - ფრანგული); ბ ა რ ი - სამუშაო იარაღი და ბ ა რ ი - პატარა რესტორანი (პირველი ქართულია, მეორე - ინგლისური); ფ ო ნ ი - მდინარის თხელი, ადვილად გასასვლელი ადგილი და ფ ო ნ ი - ნახტოს უკანა ნაწილი (პირველი ქართულია, მეორე - ფრანგული).

როდესაც ომონიმები ნასესხებია სიტყვებითა:

ბ ო ქ ს ი - კრივი და ბ ო ქ ს ი - ერთგვარი სახის ტყავი (ორივე ინგლისურია); ფ ე რ მ ა - სპეციალური მუერნობა და ფ ე რ მ ა - საინტინრო ნაგებობის მზიანი ნაწილი (ორივე ფრანგულია); ტ უ შ ი - საღებავი სითხე და ტ უ შ ი - მოკლე მუსიკალური მისალმება (ორივე გერმანულია).

ომონიმები ისეთი სიტყვებიცაა, რომლებიც ასევე ნასესხებია, მაგრამ განეკუთვნება სხვადასხვა უცხო ენას, მაგალითად:

ბ ლ ო კ ი - ბეტონის აგური და ბ ლ ო კ ი - ქვეშირი (პირველი ინგლისურია, მეორე - ფრანგული); ა ტ ლ ა ს ი - გეოგრაფიული რუკების კრებული და ა ტ ლ ა ს ი - აბრეშუმის პრიადა ქსოვილი (პირველი ბერძნულია, მეორე - არაბული); ბ ო ტ ი - მაღალყვლიანი კალოში და ბ ო ტ ი - დიდი ნავი (პირველი ფრანგულია, მეორე - პოლანდური); ფ ო კ უ ს ი - სხივების გადაკვეთის წერტილი და ფ ო - კ უ ს ი - მომატყუებელი ხრიკი (პირველი ლათინურია, მეორე - გერმანული); ხ ა ღ ი - ღაქა ცოცხალი არსების კანზე და ხ ა ღ ი - იატაკზე დასაფენი ქსოვილი (პირველი არაბულია, მეორე - სპარსული).

ზოგჯერ ომონიმების გარენის მიზეზია სიტყვაში მომხდარი ფ ო - ნ ე ტ ი კ უ რ ი ც ე ღ ი ღ ე ბ ა. მაგალითად, ძველ ქართულში სიტყვები „ჭელი“ და „ხელი“, „ჭერხი“ და „ხერხი“ ერთმანეთისგან გარეული იყო როგორც შინაარსობრივად, ისე ბგერითი შედგენილობისა და წარმოქმნის მიხედვით. ჯ ე ღ ი ნიშნავდა სხეულის ნაწილს, ხ ე ღ ი - გიჟს; ჭერჭი - მოხერხებულს, ხ ერ ხ ი - საჭრელ იარაღს, მაგრამ ბგერა ჯ რ ი მ ხ ბგერით შეიყვება, აღნიშნული სიტყვები ომონიმებად გადაიქცა. ომონიმები უნდა გავარჩიოთ გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვებისგან. რედესაც სიტყვა „ხელი“ ერთ შემთხვევაში აღნიშნავს სხეულის ნაწილს (მაგ. ხ ე ღ ი იტკინა), მეორე შემთხვევაში - რაიმე საგნის სახელურს (კოყას ხ ე ღ ი მოტყდა), მესამე შემთხვევაში - კაზიგრაფიას (ის ცუდი ხ ე ღ ი თ არის დაწერილი), მაშინ იგი ნახმარია გადატანითი მნიშვნელობით.

ომონიმები იყოფა აგრეთვე იმის მიხედვითაც, თუ რა მეტყველების ნაწილითაა გამოსხატული:

სახელით გამოხატული ომონიმებია:

აღზი - ნახამთრი მკლე პირუტყვი და აღზი - დიდი სიციხე; ბუკი - დიდი საყვირი და ბუკი - დიდი მრგვალი კუნძი; კილა - კუთხური მეტყველება; კილა - ღილის შესაკრავი ჭრილი, კილა - ტუთუთოს კიდე და კილა - წონის საზომი ერთეული; ალაღი - მართაღი, კეთილი და ალაღი - მტაცებელი ფრინველი; ფერდი - სხეულის ნაწილი და ფერდი - დ. შერდებული ადგილი; ხანი - დრო და ხანი - მთავარი; ტომი - საზოგადოების გეოგრაფიული ერთეული და ტომი - თხზულებათა კრებული ცალკე წიგნად და სხვ. ამ ჯგუფს განეკუთვნება ომონიმები, რომლებიც დ. ქვეშირებუდია

საწყისთან ან საწყისითაა გამოხატული, მაგალითად: კიკინი - თხის ხმა და კიკინი - ყურებთან ჩამოშვებული თმა; კრიახი - ქათმის ხმა-ური და კრიახი - ქვიანი ადგილი; კითხვა - შეკითხვა პასუხის მისა-ღებად და კითხვა - ლაწერილის ამოცნობა; დაბრუნება - უკან წამოს-ვლა და დაბრუნება - დატრიალება; მოგება - რაიმეს მოღვნა, მოგე-ბა, ზედმეტი შემოსავლის მიღება და მოგება - ამაშით მოპოვება; გატანა - შიგნიდან გარეთ წაღება, გატანა - დახმარება და გატანა - ქვეშ მოყრლა და ა.შ.

ზმნეებით გამოხატული ომონიმები:

აბნეეს - ღანტავს და აბნეეს - ამავრებს; იხმობს - ახმობს თავისთვის და იხმობს - იწვევს; აგებს - აფენს, აგებს - ნიშნავს წაგებას და აგებს - აშენებს; ხედება - ნიშნავს შეხედვას და ხედება - ნიშნავს მიხედვას; ეწევა - ნიშნავს მოწევას, ეწევა - ნიშნავს დაწევას და ეწევა - ნიშნავს საქმიანობას; იკლებს - ნი-შნავს დაკლებას და იკლებს - ნიშნავს აწოკებს, აოხრებს; უხვევს - უფუთავს და უხვევს - მიმართულებას იცვლის; იხვეს - ხვეს თავი-სას და იხვეს - უკან მიდის და სხვ.

გარდა ომონიმებისა, ენაში გვაქვს აგრეთვე ო მ ი ფ ო რ - მ ე ბ ი, ო მ ო ფ ო ნ ე ბ ი და ო მ ო გ რ ა ფ ე ბ ი.

I. ომოფორმები

ომოფორმები პქვია სიტყვათა დაბოლოებებს, რომლებიც წარმოით-ქმის ერთნაირად, მაგრამ განსხვავდება ფუნქციის მიხედვით.

ომოფორმები გვაქვს როგორც ერთი და იმავე ჯგუფის, ისე სხვა-დასხვა ჯგუფის სიტყვებში.

ომოფორმები ერთი და იმავე ჯგუფის სიტყვებში ანუ მეტყველების საწილებში:

ჩაის - სახელი მიცემითში: ჩაის სვამდა (რას სვამდა? - ჩაის) -

ჩაის - სახელი ნათესაობითში: ჩაის სმას შეუდგა (რის სმას? - ჩაის).

ორმოს - სახელი მიცემითში: ორმოს თხრიდა (რას თხრიდა? - ორმოს) -

ორმოს - სახელი ნათესაობითში: ორმოს ამოთხრა დაამთავრა (რის ამოთხრა? - ორმოს).

გიორგის - სახელი მიცემითში: გიორგის ღაუქახა (ვის ღაუქა-ხა? - გიორგის) -

გიორგის - სახელი ნათესაობითშია: გიორგის დაძახება გადაწყვიტა (ვისი დაძახება? - გიორგის);

გიორგი - სახელი სახელობითშია: გიორგი მალე მოვიდა (ვინ მოვიდა? - გიორგი) -

გიორგი - სახელი წოდებითშია: გიორგი, მალე მოდი!

ომოფორმები სხვადასხვა ჯგუფის სიტყვებში ანუ მებრუნებების ნაწილებში:

ძირს - არსებითი სახელი მიცემითში, აღნიშნავს ფესვს, საფუძველს: ხეს ძირს უთხრის (რას უთხრის? - ძირს) -

ძირს - ადგილის ზმნიზედა, მიცემითი ბრუნვის ნიშნით ნაწარმოები: გაშლი ძირს ეყარა (სად ეყარა? - ძირს).

დღეს - არსებითი სახელი მიცემითში: დღე დღეს მისდევდა (რას მისდევდა? - დღეს) -

დღეს - დროის ზმნიზედა: დღეს ჩამოვა (რადის ჩამოვა? დღეს).

მინდვრად - არსებითი სახელი ნათესაობითში: მინდვრად მოერევა (რად მოერევა? - მინდვრად) -

მინდვრად - ადგილის ზმნიზედა: მინდვრად მუშაობდნენ (სად მუშაობდნენ? - მინდვრად).

ღამით - არსებითი სახელი მოქმედებითში: ღამით ისარგებლა (რით ისარგებლა? - ღამით) -

ღამით - დროის ზმნიზედა: ღამით წვიმდა (რადის წვიმდა? - ღამით).

უფრო ხშირად მხატვრულ მებრუნებებში (განსაკუთრებით პოეზიაში) გვხვდება ისეთი ომოფორმები, რომლებიც ახლავს სახელებსა და ზმნებს, მაგალითად:

ვ ა რ დ ე ბ ი არის არსებითი სახელი სახელობითში, შტაველობით რიცხვში და აღნიშნავს ეკლიანი მყენარის ყვავილებს: თაახს აშშენენდნენ მრავალნაირი ვარდები;

ვ ა რ დ ე ბ ი არის აგრეთვე ურთიერთი ზმნა II პირში, მხოლოდით რიცხვში, აწმყოს მწკრივში და აღნიშნავს ჩაფარებას: ეკალში ნუ ვ ა რ დ ე ბ ი!

მსგავსი მაგალითებია:

ბარდები - არსებითი სახელი, ნიშნავს ეკლიან ბუჩქებს: წაღლით ვაკაფეს ბარდები;

ბარდები - ურთიერთი ზმნა, გამოხატავს ჩაბარებას, დამორჩილებას: ნებით რატომ ბარდები?

იარა - არსებითი სახელი, ნიშნავს ჭრილობას, წყლულს;

იარა - ურთიერთი ზმნა, ნიშნავს სვლას.

გაისმა - არსებითი სახელი მოთხრობითში, ნიშნავს მოშავად წელს;

გაისმა - ერთპირიანი ზმნა, ნიშნავს ხმის გაეარდნას.

დანამა - არსებებითი სახელი მოთხრობითში, ნიშნავს დანას (სა-
ჭრელ იარაღს);

დანამა - ორპირიანი ზმნა, ნიშნავს ოდნავ დასველებას.

ხვეს - არსებებითი სახელი მიცემითში, ნიშნავს მდინარის ფრმა
კადაპიტს;

ხვეს - ორპირიანი ზმნა, ნიშნავს გახვევას და სხვ.

2. ომოფონები

ომოფონები არის სიტყვები, რომლებიც წარმოითქმის ერთნაირად,
მაგრამ იწერება განსხვავებულად.

ქართულში წარმოთქმის მიხედვით ერთმანეთს ემთხვევა უმთავრე-
სად სიტყვა და შესიტყვება, მაგალითად:

ი ს ა რ ი - ის არი, მ ე ნ ე ლ ა - მე ნელა, მ ა რ ა -
დ ი ს - მარალ ის, ნ ე ტ ა რ ა დ - ნეტა რად, ს უ ლ ე ლ ი ს
- სულ ელის და სხვ.

შენიშვნა: ომოგრაფები არის ისეთი სიტყვები, რომლებიც დაწერილ-
ლობითაა ერთნაირი, მაგრამ წარმოთქმის მიხედვით - განსხვავებული.
ასეთი სიტყვები არის რუსულ ენაში, მაგალითად: зѣлок - зѣлок,
мѣся - мѣся, илѣка - илѣка.

ამრიგად, ომონიმები აღნიშნავენ ერთმანეთისგან განსხვავებულ
საგნებს, მოვლენებსა და მოქმედებებს. მათი მნიშვნელობა კონკრე-
ტულ სახეს იღებს მხოლოდ კონტექსტში. ზოგჯერ წინადადებაში ომონი-
მის მნიშვნელობა შეიძლება არ იყოს ნათელი ორაზროვანი ან სრულიად
გაუგებარი იყოს, მაგრამ ეს უკუოდ მოუბრის ბრალია და არა ომონიმი-
სა, ე.ი. მოუბარს ომონიმი მნიშვნელობის მიხედვით ზუსტად არა აქვს
შერჩეული ან აზრობრივად სწორად არა აქვს დაკავშირებული სხვა სიტ-
ყვასთან. მაგალითად, წინადადებაში - მის წინ იყო ბარი - გაუგება-
რია, თუ რა ბ ა რ ა ს შესახებ არის აქ საუბარი, მაგრამ კონტექ-
სტში ეს არ მოხდება. წინა ნათქვამის მიხედვით აზრი არ შეიძლება
დარჩეს ბუნდოვანი. გარდა ამისა, მას წინადადებაში შეიძლება დევ-
მატოთ სათანადო სიტყვა, - მაგალითად:

1) მის წინ იყო ა მ წ ე ა ნ ე ბ უ ლ ი ბ ა რ ი, 2) მის
წინ ე ყ უ ლ ა ბ ა რ ი.

ომონიმები, ომოფონები და ომოფონები მხატვრული ენის გამომ-
სახველობითი საშუალებანია განსაკუთრებით საოხუნჯო თქმების ანუ
კლამბურების შესაქმნელად, რასაც საფუძვლად უდევს ბგერათა შედ-
გენილობის მიხედვით ერთნაირი, მაგრამ მნიშვნელობით განსხვავე-

ბული სიტყვები. მახვილსიტყვაობის ამ ფორმას უმთავრესად ხმარობენ გასართობად ან ირონიის, ნაკლოვანების ფარგით გამოსახატავად ახრობის, მიღწილად კი ლექსის ანუ ზმის სახით კერძო წერილებში, ეპიგრამებში, სატირებში, კომედიებში და სხვ.

კლამბურების მაგალითებია:

1. აბასთუმნის სასტუმროში ანგარიში წარუდგინეს აკაკის. ზედმეტი მიეწორათ და პოეტმა, როცა გასინჯა, თქვა: ახლა კი მივხვდი, რად ეძახიან ამ ადგილს ა ბ ა ს თ უ მ ა ნ ს ა ო . თურმე ა ბ ა - ზ შ ი თ უ მ ა ნ ს ა ხდევინებენო!

2. ერთ ზაფხულს ნიკო ნიკოლაძემ ილიას ორაზროვანი წერილი მისწერა: „ილია, წელს ზაფხულს რომელ აგარაკს აირჩევთ დასასვენებლად? ბორჯომი ი ღ ი კ ო ჯ ო რ ი?“

ილიამ ასევე ზმით უპასუხა: „ნი ბორჯომი, ნ ი კ ო ჯ ო რ ი“.

3. აკაკი წერეთლის „თარნიკე ერისთავიდან“:

მადლით წვიმა მოდოდა, ნაბადმა ეერ დამფარაო,

დამასველა მან თავიდან ფეხებამდე მ ა ს ხ ა რ ა ო !

ხუმარადაც ვარჯებულხარ, ვაგვაცობით პირველიო,

მაგრამ ეერ იქმნ თარნიკობას, თუმც მის ადგილს ს უ ლ ე ლ ი ო !

შენიშვნა: სტილისტიკური დანიშნულებისაა აგრეთვე ყველა მოდალური სიტყვა, რომლებითაც გადმოიცემა მრავალი სახის აზრობრივი ელფერი, ემოცია და შეფასებითი დამოკიდებულება, ასეთებია უმთავრესად წინადადებაში ჩართული სიტყვები და თქმები, შორისდებულები და ნაწილაკები, რომლებიც ხშირად იხმარება მხატვრულ შეტყვევებაში.

მოსწავლეებს ზოგჯერ უჭირთ ამონიშვებისა და გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვების ერთმანეთისგან გარჩევა, ამიტომ ამ საკითხის სწავლებისას ყურადღება უნდა გათმოს მათი სხვაობის ძიებად ნიშნებზე, სახელდობრ იმაზე, რომ ო მ ო ნ ი მ ე უ ბ ი მხოლოდ ბგერითი შედგენილობით არის ერთნაირი, მაგრამ წარმოშობით სხვადასხვაა, რის გამოც მათ არაფერი აქვთ საერთო მნიშვნელობის მიხედვითაც, ხოლო ს ი ტ ყ ვ ი ს გ ა დ ა ტ ა ნ ი თ ი მ ნ ი შ - ვ ნ ე ლ ო ბ ი თ ხმარება ნიშნავს ძირითადი მნიშვნელობის გარდა სხვა, არაძირითადი მნიშვნელობით გამოყენებას, რომელთა შორის არის მსგავსება რაიმე ნიშნის მიხედვით. მაგალითად, წინადადებაში - ბავშვმა ხელი იტყინა - სიტყვა „ხელი“ აღნიშნავს სხეულის ნაწილს, მაგრამ ამ წინადადებაში - კუკას ხელი მოტყდა - სიტყვა „ხელი“ გამოხატავს ჭურჭლის სახელურს, მსგავსებას დანიშნულების მიხედვით, ე.ი. აქ უკვე სიტყვა „ხელი“ გამოყენებულია გადატანითი ანუ არაპირდაპირი მნიშვნელობით. მაგრამ, თუ ასე ვიტყვით:

1) ბავშვმა ხელი იტყინა, 2) ნიკო იქცეოდა როგორც ხელი, 3) დინის კასრის ხელი ახლდა - სამივე შემთხვევაში სიტყვა „ხელი“ არის არა მსგავსი, არამედ სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობისა: პირველი გამოხატავს ადამიანის სხეულის ზ ე ლ ა კ ი ლ უ რ ს, მეორე - გ ი ტ ს, მესამე - გ ე შ ო ს, მაშასადამე, ამ წინადადებაში გა-მოყენებული ერთნაირი სიტყვები ა რ ი ს ო მ ი ნ ი შ ე ბ ი.

სიტყვის სხვა მნიშვნელობით გამოყენებისას კი ამა თუ იმ სა-განის, მოვლენის, თვისების, მოქმედების ადმინისტრაციული სიტყვა გამო-ხატავს სხვა საგანს, მოვლენას, თვისებას, მოქმედებას, მაგრამ რა-იმე მსგავსების ანუ საერთო ნიშნის მიხედვით.

მაშასადამე, ს ი ტ ყ ვ ი ს ჯ ა ლ ა ტ ა ნ ი თ ი ა ნ უ რ ა მ ე დ ე ნ ი შ ე მ ნ ი შ ე ნ ე ლ ბ ი თ ხ მ ა რ ე ბ ი ს ა ს გ ვ ა ქ ვ ს ა რ ა ე რ თ ნ ა ი რ ი ბ გ ე რ ი თ ი შ ე ლ გ ე - ნ ი ლ ბ ი ს ს ხ ვ ა ლ ა ს ხ ვ ა ს ი ტ ყ ვ ა , ა რ ა მ ე დ ე რ თ ი ს ი ტ ყ ვ ი ს ს ხ ვ ა ლ ა ს ხ ვ ა მ ნ ი შ ე ნ ე - ლ ბ ი თ ჯ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი ს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა :

თ ბ ი ლ ი ს ი რ ე ნ ი დ ე და ქ ა ლ ა ქ ი ა - „თ ბ ი ლ ი ს ი“ კარგი სასტუმროა.

ს ა ი რ მ ე კ ე თ ი ლ მ ო წ უ ბ ი ლ ი ა ვ ა რ ა კ ი ა - „ს ა ი რ მ ე“ სამკურნალო წყალია.

ც ა ნ ო ს ო ქ რ ო ს ს ა ა თ ი ა ქ ე ს - ც ა ნ ო ს ო ქ რ ო ს გ უ ლ ი ა ქ ე ს .

არ. ჩიკობავა წერს: „სიტყვას „წვერი“ არსებობად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს: 1. „წ ვ ე რ ს ი ბ ა რ ს ა ე ს“... 2. „მთის წ ვ ე რ ზ ე ღ ვ ა ს“... 3. „ისრის წ ვ ე რ ი ბ ა ს რ ი ი ყ ო“... შეიძლება თუ არა ამ სამ წინადადებაში „წვერი“ ომონიმებად მივიჩნიოთ? რა თქმა უნდა, არა: ე ს ე რ თ ი ლ ა ი გ ი ვ ე ს ი ტ ყ - ვ ა ა ს ხ ვ ა ლ ა ს ხ ვ ა მ ნ ი შ ე ნ ე ლ ბ ი ს ა (მაგრამ არა სხვადასხვა წ ა - რ მ ო მ ა ვ ლ ბ ი ს ა) .

თუ წარმოშობას ანგარიშს არ გავუწევდით, სიტყვათა დიდი წილი ომონიმებად უნდა მიგვეჩინა, რადგანაც იშვიათია ისეთი სიტყვა, რომ სხვადასხვა კონტექსტში მნიშვნელობას არ იცვლიდეს. ომონიმები მხოლოდ მაშინ გვაქვს, თუ გარკვეულად ერთნაირი სიტყვა განსხვავებულია არა მხოლოდ მნიშვნელობით, არამედ წ ა რ მ ო მ ა ვ - ლ ბ ი თ ა უ¹.

¹ არნ. ჩიკობავა - ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 190.

§ 34. ანტონიმები

ანტონიმები ეწოდება ისეთ სიტყვებს, რომლებიც გამოხატავენ ერთმანეთის საპირისპირო ანუ კონტრასტულ მნიშვნელობებს.

ანტონიმების მაგალითებია: დღი და ღამე, მთა და ბარი, შტერი და მოყვარე, სიციხე და სიცივი, ავი და კარგი, ძილი და ღვიძილი, ღამა და ღამაღამი, მადლი და მადლობა, სინათლე და სიბნელე, გამარჯვებული და დამარცხებული, დაწინაურებული და ჩამორჩენილი და ა.შ.

ანტონიმებს იყენებენ მაშინ, როდესაც რაიმე მოვლენის ან სურათის აღწერისას საჭიროა სხვადასხვა საგნის, თვისების, მოქმედების ერთმანეთთან შეკვეთად დაპირისპირება ან ერთი და იმავე საგნის ან მოვლენის საპირისპირო ნიშანთშეცვლების ჩვენება.

ანტონიმები უმთავრესად დამახასიათებელია მხატვრული შტრიხებისათვის, სადაც დაპირისპირების ხერხით აცტორები უფრო ადვილად ახერხებენ აზრთა და გრძნობათა დამაჯერებლად გადმოცემას. იყენებენ მათ აგრეთვე აზრის ხაზგასმით გამოსახატავად.

ანტონიმები შინაარსის მიხედვით შერბად მრავალფეროვანია. სინონიმების მსგავსად ისინი თითქმის მნიშვნელობის მქონე ყველა შტრიხების ნაწილში შეინიშნება, მაგალითად:

1. არსებით სახელებში: პროტეარიატი - ბურჟუაზია, ყმა - ბატონი, მშვიდობა - მშვი, ცა - ღვდამიწა, სიკეთე - ბოროტება, სიყვარული - სიძულვილი, სტუმარი - მასპინძელი...

2. ზედსართავ სახელებში: დიდი - პატარა, თვარი - შავი, ახალი - ძველი, კარგი - ცუდი, მძიმე - მარტი, გრძელი - მოკლე, ფართო - ვიწრო...

3. რიცხვით სახელებში: ბევრი - ცოტა, ერთი - მრავალი, კენტი - წყვილი.

4. სახელმწიფებში: სიცილი - ტირილი, შენება - ნგრევა, ქება - დანძღვა, დაწერა - წაშლა, აშენებული - დანგრეული, წაყვანილი - დატოვებული...

5. ზმნებში: იცინის - ტირის, ხარობს - წუხს, აშენებს - ანგრევს, აქებს - დანძღავს, ღაპარაკობს - ღუშს, მამაცობს - ზარმაცობს...

6. ზმნიზღებში: ზევით - ქვევით, წინ - უკან, მადლა - დაბლა, აქვთ - იქით, შიგნით - გარეთ, დღით - ღამით, შორს - ახლოს...

ანტონიმები წინადადებებში:

მუშები დღისით მუშაობდნენ, ღამით ისვენებდნენ. მამა და შვილი ხასიათით ისე პაგადნენ ერთმანეთს, როგორც ცა და დედამიწა. შვილის მომლოდინე დედის გულში ხან დარის იყო,

ხან ა ც ღ ა რ ი . დ ი დ ი ღ ა პ ა ტ ა რ ა , ქ ა ღ ი ღ ა კ ა -
ც ი , მ ო ხ უ ც ი ღ ა ა ხ ა ღ ა ზ რ ღ ა - ყველა მონღოლებით
რგავდა ახალ პარტიში შეტანარებს.

სათქმელისთვის შერთი ძალია და გამოისახებლობის მისაცემად
ანტონიმები წარმოადგენენ მხატვრული შერეულების ერთგულ მნიშვნე-
ლოვან ენობრივ საშუალებას, ამიტომ ავტორები ხშირად იყენებენ მათ
განსაკუთრებული შთაბეჭდილების მოსახდენად მსმენელსა და მკითხველზე
როგორც მხატვრულ ლიტერატურაში (ხედეტროსტიკასა და პოეზიაში), ისე
მჭევრმეტყველებასა და პუბლიცისტიკაში ანის შესანიშნავ ნიმუშად შე-
იძლება დავასახელოთ ილია გვაგავაძის „თაბაჩანთ ქვერვის“ XI თავიდან
შემდეგი ნაწყვეტი: „... ამხედე კ ო ც ითქმის და ა რ ა ც უ ა .
ეს რადღე მზიანაჩრდილიანი“ სიამოვნება იყო. მ ზ ი ა ნ ი იმითი
- რომ უხაროდა შეიღის სიხარული, რ რ დ ი ღ ი ა ნ ი იმითი - რომ
ეწუხებოდა დედური წუხილი, სტკიოდა დედური გული, - რად უხარიან
რემგან წასვლა და სხვასთან ყოფნა!... მ ზ ე ღ ა რ რ დ ი ღ ი ,
ნ ა თ ე ღ ი ღ ა ბ ნ ე ღ ი , ტ კ ი ე ი ღ ი ღ ა ა მ ე ბ ა
ერთმანეთში გაება და ჩაეწვა“.

მსგავსი მაგალითია აკაკი წერეთლის ლექსში „პოეტი“ და სხვ.

ანტონიმების მოხდენილად გამოყენების ნიმუშები ხშირი შემთხ-
ვევაა ანდაზებშიც:

მ ო ს ვ ღ ა ს ტუშრის ნებაა, წ ა ს ვ ღ ა - მასპინძლისაო.

მ ო კ ე თ ე ს პირში უძრახე, მ ტ რ ს - ზურგს უკანაო.

დ ი ა ც ი მიმადელი იყვენის, მ ა მ ა ც ი - მომადელიო.

§ 35. პარონიმები

პარონიმები უქვია ისეთ ერთნაირი ძირის სიტყვებს, რომლებიც
წარმოთქმისას დაახლოებით ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ განსხვა-
ებულთა სემანტიკურად.

ასეთი სიტყვებია: იწყობს - იწყებს, მოწმე - მოწამე, რუკა -
რუქა, ორდენი - ორდერი, აფაქტი - იფექტი, აბონენტი - აბონემენტი,
აღრესატი - ადრესანტი და სხვ.

შინააჩსის მიხედვით პარონიმები ან სხვადასხვა, ან ნაწილობრივ
განსხვავებული მნიშვნელობისაა. თუმცა ფუძის მიხედვით ეს სიტყვე-
ბი ერთნაირი არ არის, მაგრამ მათი ერთმანეთში ადრევა მაინც ხში-
რად ხდება, რად, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ არის გამოწვეული, რომ
მოუბარი ბგერათა შედგენილობის მსგავსების გამო ადვილად ვერ არჩევს
მათ ერთმანეთისგან, რასაც შედეგად მოჰყვება ერთი სიტყვის ნაცვლად
მეორის გამოყენება, ზოგჯერ ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ასე-

თი, განსაკუთრებით უცხო, სიტყვების სემანტიკური სხვაობა მოუბრის-
თვის კარგად არ არის ცნობილი.

ა. გვოზდევს ამის მაგალითებად მოჰყავს ისეთი სიტყვების ერთ-
მანერში აღრევა, როგორცაა: შევცია და შევეცარია, ავსტრია და
ავსტრალია, პროცესი და პროცესია, ფაქტი და ფაქტორი, ინფილი და
ინფილი, ადრესანტი და ადრესატი.

ქართულში ბევრი ამგვარი სიტყვა უცხოურია, წარმოთქმით ერთმა-
ნეთის მსგავსი, ერთი და იგივე მებრუნების ნაწილი, მაგრამ შინა-
არსით ანუ მნიშვნელობით - სხვადასხვაა:

1. პოეტური (პოეზიისთან დაკავშირებული, მშვენიერი) და პოე-
ტიკური (პოეტიკის დამახასიათებელი).

2. მეთოდური (მეთოდთან დაკავშირებული) და მეთოდოლოგიური (მეთო-
დოლოგიის გამომდინარე).

3. იდეალური (მხოლოდ წარმოდგენაში არსებული ან საუკეთესო)
და იდეალისტური (იდეალიზმზე დამყარებული).

4. სტილური (სტილის ხასიათის) და სტილისტიკური (სტილისტიკის
თვისებებისა).

5. მატერიალური (წიგნობრივი) და მატერიალისტური (მატერიალიზმზე
დამყარებული).

მსგავსი სიტყვებია: ნაციონალური - ნაციონალიზმური, დიპლომა-
ტიკური - დიპლომატიკური, ფორმალური - ფორმალისტური, რეალური - რე-
ალისტური, სოციალური - სოციალისტური, ნატურალური - ნატურალისტურ-
ი, პედაგოგიური - პედაგოგიკური, ფონემური - ფონეტიკური, ფონეტიკ-
ტური და სხვ. ამგვარი სიტყვების სწორად ხმარებას განსაკუთრებული
დაკვირვება სჭირდება.

მხატვრულ ლიტერატურაში პარონიმებს იყენებენ ირონიის გამოსა-
ხატებადაც, მაგალითად, მოთხრობებში, ფიქტურებში, პიესებში და
ა.შ., როდესაც ავტორი ჭერსონატს აღაპარაკებს დამტყვევლი ენი და
თან, ნაგალითად, ასე აცულებენ სიტყვებს:

ქუდი - კუდი, ქარი - კარი, ქაშანდა - კაშანდა, თარი - ტარი,
თუში - ტუში, ფაქტი - პაქტი, ჭირი - ჩირი, ღვარი - გვარი, ფაფა -
პაპა და სხვ.

სტილის ავალსაზრისით საყურადღებოა აგრეთვე ისეთი თქმები,
რომლებიც ცნობილია პ ა რ კ ნ მ ა ზ ი ი ს ს ი ხ ე ნ წ ო დ ე ბ ი ა თ.

პ ა რ კ ნ მ ა ზ ი ა ა რ ი ს ს ტ ი ლ ი ს ტ ი კ უ რ ი
ფ ი გ უ რ ა. იგი შეიცავს მნიშვნელობით ერთმანეთთან იხლე მყოფ
სიტყვებს, რომლებიც იხმარება აზრის ხაზგასმით, ექსპრესიულიად გა-

I А.Б.Гвоздев - Очерки по стилистике русского языка, М., 1955,
стр. 72.

მოსახატავად, მაგალითად:

მოსვლით მოვიდა, წაკითხვით წაკითხა, გაკეთებით გააკეთა, გახსენებით გაიხსენა, გაგნებით გააგნა, განმეორებით გაიმეორა და სხვ. ამ ხიტყვებით დაწყებული წინადადება ჩვეულებრივ გრძელდება „მაგარა“ მაპირისპირებული კავშირისანი ნაწილით, მდიანად კი წინადადება ან შერწყმულია, ან რთული თანწყობილი.

§ 36. ეფემერიზმები

ენაში არის ზოგი ისეთი სიტყვა, რომელიც შინაარსის მიხედვით არის სათაკილო ან რწმენის გამო არ ითქმის, ან კიდევ არის უხეში. მათი ხმარება საზოგადოებაში ან ამა თუ იმ პიროვნებასთან იწვევს უხერხულბას, უსიამოვნებას, ამიტომ მათი შინაარსის გამოსახატავად არსებული სიტყვის ნაცვლად მოღაბარაკე მიშობრავს შემცველ სიტყვას (სინონიმს) ან შესიტყვებას, რომელიც იმავე მნიშვნელობას გადასცემს შერბილებულად, შეღამაზებულად. ასეთ სიტყვებსა და თქმებს ეფემერიზმები უკვია.

ეფემერიზმების მაგალითებია:

სიტყვა ტილის ნაცვლად მკბნარი, ნაცვლად გირისა - ხახვდარი. ასევე: მკვდარი - მიცვალებული, განსვენებული; ბრმა - უსინათლო; გიჟი - სულით ავაღმყოფი; ქურდი - ხელცივი, ხელმწუდი; გვამი - ცხედარი; ბებერი - მოხუცი, მზყოვანი, დროული; ორსული - ფეხმძიმე; თავხედი - ჩადნიერი; უხეში - მოურიღებელი; მშინაბა - გაუბედავი; მხდალი - ფრთხილი; უშნო - უღამაზო, მახინჯი - შეუხედავი, ძუნწი - ხელმოშვრილი; ლთი - მსშელი; მთერალი - ნასვამი; ბეცი - ახლომხედელი და სხვ.

ეფემერიზმები გვაქვს არა მარტო სახელებში, არამედ ზმენტშიც, მაგალითად:

მოვიდა - მობრძანდა; ვამა - მიიჩნევა; მისცა - მიარჩევა; თქვა - ბრძანა; დაბურდა - მოხუდა; მოკვდა - გარდაიცვალა; დამარხეს - დაასაფლავეს, დაკრძალეს და ა.შ.

ხშირად იხმარება შერბილებული სახის ისეთი თქმებიც, რომლებიც შერბილების იერისაა, მაგალითად:

ცუდადაა - შეუძლოდაა, უქეიფოდაა; ტრობს - მარადს არ ამბობს; არაფერი არ იყით - არ ხართ საკმაოდ მომზადებული, ჩანს, კარგად არ გახსოვთ; მომატყუა - სიშარლდევით მიმთხრა და სხვ.

ეფემერიზმები იხმარება ადაშიანისა და ცხოველის სხულის ზოგი ნაწილის გამოსახატავად. აღსანიშნავია აგრეთვე რელიგიური რწმენის

ან ცრუმორწმუნეობის შემდეგ გარენილი ე.წ. ტაბუირებული სიტყვები, რომლებიც გულისხმობს ამა თუ იმ არასასიამოვნო ძარბების ან საგნის ძარბებული სახელის აკრძალვას. ზოგი ასეთი სიტყვა ამჟამად დავიწყებას ეძლევა, ზოგი კი იცვლება უფრო მისაღები სიტყვით, რომელიც სხვა მნიშვნელობისაა, მაგარი კონკრეტულ შემთხვევაში გამოიყენება აკრძალული სიტყვის სინონიმად, მაგალითად: „გველის“ ნაცვლად ამზობენ სიტყვებს: „უსახელა“, „ურწმუნო“, „უხსენებელი“, „კუბოს“ ნაცვლად - „სასახელი“, გადამდებ სინულებათა - „წითელას“, „ხველას“, „ყვავილის“ ნაცვლად - „მატონები“ (ან წითელმატონები, ხველამატონები...) და ა.შ.

მხატვრულ მეთხველებაში ევფემიზმებს ხმარობენ ი რ ა ნ ი ი ს ანუ დ ა ც ი ნ ც ი ს გამოსახატვადაც შებრუნებული მნიშვნელობით. მაგალითად, წინადადებაში - ჩვენი მურია გუშინ „გარდაიცვალა“ - სიტყვა „გარდაიცვალა“ იწვევს დიმილს იმიტომ, რომ ის იხმარება მხოლოდ ადამიანის მიმართ პატივისცემის იერით. მსგავსი მაგალითებია:

შეშლილი - მხიარული ქუის; დააპატიმრეს - აგარაკზე გაგზავნეს, ცირების აბანოში მოათავსეს; მოკვდა - ფეხი გაფშოკა, ღმერთმა მიიღო მისი სული და სხვ.

ევფემიზმებთან დაკავშირებით საყურადღებოა აგრეთვე შემდეგი:

ზმნის აქტიური კონსტრუქციის შეცვლა პასიურით:

მთელი ქონება შეგამა - მთელი ქონება შემოგვამა; მეზობელი გაღანძდა - მეზობელი შემოღანძდა (ნიშნავს - მოქმედ პირს არ სურდა, მაგრამ უნებლიეთ ასე მოხდა).

კატეგორიული სათქმელის შერბილება:

გზა დამითმეთ! - გახოცე გზა დამითმით; ხვალ შემოიარეთ! - კარგი იქნება, თუ ხვალ შემოივლით.

პირდაპირი სათქმელის შერბილება:

ეს ცუდია! - ეს არ არის კარგი; მოხუცი იყო - არც ისე ახალგაზრდა იყო;

სიგარეტი გინდათ? - სიგარეტს ხომ არ ინებებთ?

სათქმელის უცხო სიტყვით შეცვლა:

მას სჭირდა სულის ზუფა - მას სჭირდა ასთმა; საჭირო შეიქნა ფეხის მოკვება - საჭირო შეიქნა ფეხის ამპუტაცია; ეს იყო ქურდი - ის იყო კლდებოვანი შეპყრობილი¹.

როდესაც მოუბარო (ასევე შწერალი) სათანადო სიტუაციასთან დაკავშირებით იძულებულია იხმაროს უხეში სიტყვა, მაშინ მას ჩვეულებრივ წარუმძღვარებს შემდეგ თქმებს: „უკაცრავად პასუხია“, „ბოდიში“

¹ უფრო ცრულად იხ. კ. ჯორჯანდის „ევფემიზმები და სიტყვების ტაბუ“, თბ., 1977, გვ. 14.

ამ სიტყვისთვის", „ნუ გეწყინებათ“, „თუ პირდაპირ ვიტყვიო“¹ და სხვ., რის შემდეგ მსმენელს ნაკლებად ეთაკილება პირდაპირი ნათქვამი.

ციფერშიშვების მავალითები მხატვრული ნაწარმოებებიდან:

ექიმმა ოდნავ ჩასწია პაიჭი, საცემთაიდან ამოძრო შარვალი და ს ა ც ვ ა ლ ი ... (ნ.ლორთქ.). - ვამდელა, ქალბატონმა გიბრძანა, ხელამდის შეაკერიე ორი წყება ქინასუსის პერანგი და აბრეშუმის მ ი ს ი ა მ ხ ა ნ ა გ ი ო (ნ.ლორთქ.). - დიახ, უ ს ი ნ ა თ ლ ო გახლავთ (ნ.ლორთქ.). გაიძრო ტახაისძემ ჭიბჭილისაგან ნარეჟარი ხმალი და თავი წაატალა უ ხ ს ე ნ ე ბ ე ლ ს (კ.გამსახ.). ახლა არჩივი თათქმის დაიკარგა ცის სიმაღლეში და იქიდან გადმოაგდო უ რ წ მ უ - ნ ო (ნ.ლორთქ.). ადრე მის (სიმონ გუგუნიძის) საფლავს შემოეღებულ იქონდა რკინის ღაბე, ციდაც ხ ე ლ ც ი ვ ა ლ ა მ ი ა ნ ე ბ ს ეს ღაბე მოუხსნიათ (ჟურნ. „ნიანგი“, №3, 1937).

არასასიამოვნო სიტყვების ხშირებას ერიდება წესიერი, კულტურული, ზრდილი ადამიანი, რომელიც პატრივისკემით აჩის განწყობილი პიროვნების, ერისა და ენის დიქსებისადმი.

§ 37. თავაზიანობის გამომხატველი სიტყვები

შეტყველების ერთგვარი სახეა თავაზიანი შეტყველება, რომელიც უტყუარი ნიშანია ზოუბრის მაღალი კულტურისა. თავაზიანი შეტყველების დროს გამოიყენება ე.წ. თავაზის სიტყვები, რომლებიც განსაკუთრებით ხშირად იხმარება მიმართვის დროს. ეს სიტყვებია: გეთაყვა (გეთაყვანე), გენატყვალე (გენატყვალეთ), შენი ჭირიშე (თქვენი ჭირიშე); პატივცემულა, ბატონო, ქალბატონო, უკაცრავად, ბოდიში და სხვ.

გარდა ამისა, მორიდებული საუბრის ჭრის მოუბარი თანამოსაუბრეს მიმართავს თ ქ ე ე ნ ო ბ ი თ (ამ შემთხვევაში თ ქ ე ე ნ გამოსხატავს ერთ პირს, მაგრამ შემასმენელი დაისმის მრავლობით რიცხვში). მაგალითად: თქვენ ამბობთ, თქვენ წაიკითხეთ, თქვენ გსურთ, თქვენ გელაღვიბო...

ქართულში თავაზიანობის გამოსახატავად უფრო შეტად ეხმარობთ ზ მ ნ ე ბ ს. ასეთებია: მაგალითად: მობრძანდიო (დაბრძანდიო, შებრძანდიო, შემობრძანდიო ...), ბრძანეთ, მიირთვიო, იწებეთ, გნებავთ, გახლავს (გახლავთ), ბრძანდება, ბრძანა, მოახსენა, მოართვა, გეახლათ, გაახლებთ, გთავაზობთ და სხვ. მაგალითად:

¹ იქვე, გვ. 64.

ზ ა ხ რ ე თ ს ა ლ ა მ ო ს მ ო ბ რ ძ ა ნ ლ ე ე თ (- მოხვიდეთ).
 კ არ ჯ ა ლ ბ რ ძ ა ნ ლ ე ე ბ ო ლ ე ე თ (- იყავით).
 რ ა ს ბ რ ძ ა ნ ე ბ თ ა (- რას ამბობთ).
 პ რ ო ფ ე ს ო რ ი შ ი ნ ბ რ ძ ა ნ ლ ე ე ბ ა ? (- შინ არის?).
 თ ქ ვ ე ნ რ ა ზ ნ ე ბ ბ ა ვ თ ? (- რა გინდათ?).
 მ ი ი რ ო თ ვ ი თ ა (- წამეთ).
 ი ნ ე ბ ე თ ა (- მიიღეთ ან აიღეთ).
 ა ქ ზ ა ხ ლ ა ე თ (- არის).
 ს ტ უ მ ა რ ი ზ ე ა ხ ლ ა თ (- მოვიდა თქვენთან).
 ს ი ტ ყ ვ ა « გ ე ბ ა ხ ე ლ ი თ » ი ხ მ ა რ ე ბ ა რ ო გ ო რ ე « მ ო ს ე ლ ი ს », ი ს ე « წ ა მ ი ს »

მნიშვნელობითაა:

- კ ი ლ ე ე მ ი ი რ ო თ ვ ი თ ა !
- გ მ ა ლ ლ ო ბ თ, ბ ე რ რ ი ზ ე ა ხ ე ლ ი თ (- ცხამე).

მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ი ს დ რ ო ს ს ა ხ უ რ ა დ ე ბ ა ზ ა ლ ა ს ტ უ რ ე ბ ი თ ი მ ი გ ე ბ ი თ ი ნ ა წ ი -
 ლ ა კ ე ბ ი ს შ ე რ რ ე ვ ი ს ს ა კ ი თ ხ ი ე . მ ა ჯ ა ლ ი თ ა ლ, ა ო დ ა დ ი ა ხ - ო რ ი ე დ ა -
 ლ ა ს ტ უ რ ე ბ ა ს გ ა მ ო ხ ა ტ ა ვ ს, მ ა გ რ ა მ უ ფ რ ო ს თ ა ნ, ს ა პ ა ტ ი ო პ ი რ ო ე ნ ე ბ ა ს თ ა ნ,
 უ წ ნ ო ბ თ ა ნ ს ა უ ბ რ ი ს დ რ ო ს კ ი თ ხ ე ვ ი ს პ ა ს უ ხ ა ლ - « დ ი ა ხ » - ი ს ნ ა ე ე ლ ა ლ
 « ა ო » რ ო მ ე ი ხ მ ა რ ო თ, უ ზ რ დ ე ლ ო ბ ა ლ რ ა გ ე ე თ ე ლ ე ბ ა .

- მ ა ჯ ა ლ ი თ ე ბ ი მ ხ ა ტ უ რ ე ლ ი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ე ბ ი დ ა ნ :
- ა ხ ლ ა კ ი მ ი ა მ ბ ე, რ ი ს თ ე ვ ი ს გ ა რ ჯ ი ლ ხ ა რ დ ა ს ა ი დ ა ნ ხ ა რ ?
- კ ა ხ ე თ ი დ ა ნ ზ ა ხ ლ ა ე თ ა რ !
- კ ა ხ ე თ ი დ ა ნ ? ! მ ე რ ე დ ა ზ ზ ა შ ე კ რ ე ლ ი ა რ ა რ ი ს ?
- ზ ა ხ ლ ა ე თ, მ ა გ რ ა მ მ ე კ ი ფ ი რ მ ა ნ ი მ ი ჭ ი რ ა ე ს ხ ე ლ შ ი .
- ი მ ე რ ე ლ ი უ ნ დ ა ი ყ ო ?
- ზ ა ხ ლ ა ე თ ა რ, მ ა გ რ ა მ დ ი დ ი ხ ა ნ ი ა, რ ა ე მ ო გ შ ო რ დ ი ი ქ ა უ რ ო -

ბ ა ს დ ა კ ა ხ ე თ შ ი ვ ა რ ! თ ქ ვ ე ნ მ ა ს ი ძ ე მ ზ ა ა ხ ლ ა თ რ ე მ ი თ ა ვ ი,
 ბ ი ძ ი ნ ა რ ო ლ ყ ა შ ე ი ლ მ ა .

- რ ა ა მ ბ ა ვ ი ა ?
- წ ი გ ნ ი მ ო ზ ა რ ო თ ვ ა თ დ ა ი ქ ი დ ა ნ გ ა ი გ ე ბ თ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ს,
 რ ე მ ო ხ ე ლ მ წ ი ფ ე ე - ა მ ო ი ლ უ ბ ი დ ა ნ წ ე რ ი ლ ი დ ა მ ი ა რ თ ე ა ... ე ს ე ე
 ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ მ ა მ ო ა რ თ ე ა დ ი დ ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ს .
- ს ა კ ე რ ე ე ლ ი ა, რ ო მ ა რ დ ა გ ს ე ე ლ ე ბ ი ა ? . .
- გ ა ს ა ნ ა ლ ლ ო ტ ი ლ ო შ ი ზ ა ხ ლ ე ლ ა თ გ ა ხ ე ე ლ ი ! (ა . წ ე რ ე თ .) .
- მ ე ე ხ ე ნ ზ ე მ ო ზ ა ო ს ე ე ნ ე ბ თ ... (ა . წ ე რ ე თ .) .
- მ ა რ თ ა ლ ი ხ ა რ ! - მ ი ბ რ ძ ა ნ ა ი მ ა ნ ნ ა ლ ე ლ ი ა ნ ა დ .
- ე ზ ა გ რ ა ბ, მ ა რ თ ა ლ ს ა ბ რ ძ ა ნ ე ბ .
- ბ ა ტ ო ნ ი ბ რ ძ ა ნ ლ ე ე ბ ი, - უ პ ა ს უ ხ ა ი მ ა ნ ა ტ ა, - მ ა ვ ა ს

რ ა ლ ა თ ქ მ ა უ ნ დ ა, შ ე ე ნ ი ჭ ი რ ო მ ე ე !
 - ე ხ ლ ა ხ ო მ მ ო ზ ე ბ ს ე ე ნ ე ბ ა თ, რ ი ხ ი ა ნ ი კ ა ც ი ა !

... მავრამ ვიჩი ის იყო, რომ მახინჯი ჯ ა ხ ლ დ ა თ (ი-ჭავჭი-).

თავაზიანობის გამომხატველი ზმნა თავისი შინაარსით მიემართება მეორე ან მესამე პირს:

- II ბ. - დაბრძანებით მიართვით მიირთვით ინებეთ
- III ბ. - დაბრძანდეს მიართვას მიირთვას ინებოს
- ფაბრძანდა მიართვა მიირთვა ინება

ეს პირები ძირითადად სუბიექტურია, ზოგჯერ კი - ობიექტურიც, მაგალითად:

სუბ. - მიირთვით მოახსენეთ აახლეთ

ობ. - მოგართვით მოგახსენეთ გაახლეთ

მავრამ, რადესაც მოუბარი, ე.ი. პირველი პირი, თავის მიმართ ხმარობს ამ სიტყვებს, მაშინ ეს ზმნები თავაზიანობის ნაცვლად ჯ ა მ ო ხ ბ ა ტ ა ვ ე ნ ჯ ა ნ ღ ი ღ ე ბ ა ს ა ნ ი რ ო ნ ი ა ს და ფრაზის შინაარსი იღებს კომიკურ ელფერს, მაგალითად: მოახსენე, მომართვი; ეინებე, მიიერთვი, დაებრძანდი; მოახსენოს, მომართვას, დამაბრძანოს და სხვ.

ეს კარგად არის გამოხატული შემდეგ ანდაზაში:

შენ წისქვილში წ ა ბ რ ძ ა ნ ღ ი და მე ტორწილში წ ა ვ ე -
ც რ ე გ ი ო .

აღნიშნული სიტყვები „წაბრძანდი“ და „წავფეთრევი“ საპირისპირო მნიშვნელობით არის ნახმარო. ასეთი სიტყვები ჩრონის გამოსახატოვად იხმარება სხვის მიმართაც, მაგ.: იმ ე ბ ა ტ ო ნ მ ა დღეს ყველაზე ადრე ი ნ ე ბ ა მ ო ბ რ ძ ა ნ ე ბ ა და ჯემრილად მ ი ი რ თ ვ ა სადღი.

§ 38. სიტყვათა მყარი ანუ ფრაზეოლოგიური შენაერთი

სიტყვათა მყარი შენაერთი ეწოდება ისეთ ენობრივ ერთეულს, რომელიც შედგება რამდენიმე სიტყვისგან, მავრამ გამოხატავს ერთ ლექსიკურ მნიშვნელობას.

მაგალითად, სიტყვები შ ა ვ ი ღ რ უ ბ ე ღ ი - იმავე მნიშვნელობით არის ერთმანეთთან, რასაც აღნიშნავს თითოეული მათგანი. ამის გამომსახველი სიტყვა „შავი“ განსაზღვრავს სიტყვას „ღრუბელი“, როგორც წინადადების ერთი წევრი მეორე წევრს ფრაზაში, მავრამ სიტყვები - შ ა ვ ი ზ ღ ვ ა - ცალკე წევრებად არ დაიშლება. ამ შემთხვევაში ორივე სიტყვა, ერთად აღებული, ერთი მნიშვნელობის გამოხატველია,

მამასადამე, იგი, როგორც მყარი შენაერთი, არის წინადადების ერთი წევრი.

სტრუქტურის თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა სიტყვათა ისეთი მყარი შენაერთი, რომელსაც უკვია ი დ ი მ ი.

ი დ ი მ ი ა რ ი ს სიტყვათა ისეთი თავისებური შენაერთი, რომელიც გამოხატავს სულ სხვა ანუ ახალ მნიშვნელობას, ციფრე მასში შემავალი სიტყვები, ახასიათებს ამა თუ იმ ენას, როგორც სპეციფიკური ნიშანი, რომელიც სიტყვასიტყვით არ ითარგმნება სხვა ენაზე. მაგალითად, როდესაც ვამბობთ:

ის ციფრე მოწყობილი ვარსკვლავი იყო - ამ თქმაში არც ეს იგულისხმება და არც მ ი წ ყ ე ე ტ ი ლ ი ვ ა რ ს კ ე ლ ა ვ ი. ყვილა ეს სიტყვა ნიშნავს ძალიან ლამაზს, ე.ი. აღნიშნული წინადადებით ნათქვამია: ის ძალიან ლამაზი იყო.

თვალთან თითს ვერ მიიტანდათ. ამ თქმაშიც არც თ ვ ა ლ ი გვაქვს მხედველობაში და არც თ ი თ ი ს მ ი ტ ა ნ ა. ამით გამოცხატავთ ასეთ აზრს: ძალიან ბნელადა.

მსგავსი მაგალიტებია:

ხელი შეუწყო (დაეხმარა); გული დაუღო (მოინდომა); თვალს დაუღა (დაზრმავდა); ტანი აიყარა (გაიზარდა); გული მოუვიდა (გამზახდა); კალთა დააგრიჯა (ეხევეწა); ილაჯი გაუწყდა (დაკადა); ხელი დააფარა (დაიკავა, დამალა); ცხვირიდან ძმარი აღინა (გამაწმარა, ცემა); თმები ყალყზე დაუღა (შეშინდა, გაიკვირება); ნიშანში ამოიღო (აიფარა, აიფარა); მუშეიდე ცაზე აიყვანა (ძალიან ატო); პირში ჩაღა გამოავლო (მოატყუა); ჩაიღურის წყალი დაღა (დაიკარგა, გაქრა); საშარყხეინო ბოძე ვააკრა (შეარყხეინა, გაიკუნა); ტურებზე დედის რძე არ შეშრობია (პატარაა); თვალის უშრის (კარგად ხედავს); ხელის ვულზე ატარებდა (კარგად უვლიდა, დიდ პატივს სცემდა); ხმა აქვს გაფარდნილი (უნობილია); ყოვლებით ვამდა (დატინებით უკვერდა) და სხვ.

ილიძების მთავარი დანიშნულება ისაა, რომ ისინი წინადადებებში იხმარება პარკვეული სიტყვებისა და თქმების სინონიმებად და მათთან შედარებით უფრო ექსპრესიულად და ემოციულად გამოხატავენ აზრს. გარდა ამისა, ილიძები შეიკავებენ უზენესი ენის ნიშანდობლივ თვისებებს: მტყველებს ინდვიდუალობას, გამოშსახველობას, მახვილგონიერებასა და თავისებურ სიღამაზეს. ამიტომ მხატვრული ნაწარმოებებისა და განსაკუთრებით მახვილსიტყვაობისთვის ილიძები მნიშვნელოვანი სტრუქტურული სამკაულია. იგი უპირველეს ყოვლისა არის აზრის ხატოვნად გადმოკეთების ენობრივი საშუალება.

აღსანიშნავია ისიც, რომ „ღრანკოლოგური“ შესიტყვების ერთ-ერთი საფუძვლად მენტალური გარეშობა მისაჩნვეი. გააქვანითი მნიშ-

ენელებით ნახმარი სიტყვები „სარეალიზაციო ჯგუფთან“ ერთად ქმნიან ფრაზეოლოგიურ კონტექსტებს. გამოთქმას ა ა ს უ ხ ი მ ი უ ჯ რ ა ტროპული ამოსავალი აქვს; მ ი უ ჯ რ ა ზმნა არათავისუფალი მნიშვნელობით (მ ი ს ც ა , გ ა ს ც ა) უკავშირდება აბსტრაქტულ არსებობას (ა ა ს უ ხ ი). ასევე გამოთქმაში ე ა გ შ ი რ ი გ ა ა ბ ა მეტაფორულად ნახმარ სიტყვასთან (გ ა ა ბ ა) გვაქვს საქმე. სწორედ ეს კავშირი კონკრეტულისა ზოგადთან ქმნის მეტაფორულობას¹.

სიტყვათა ფრაზეოლოგიურ შენაერთებს განეკუთვნება ავტომეც ა ნ დ ა ზ ე ბ ი და ე.წ. ფ რ თ ი ა ნ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი.

ა ნ დ ა ზ ა ა რ ი ს მოკლე, გონებაშახვილური მხატვრული თქმა, რომელსაც აქვს დამრიგებლობითი მნიშვნელობა და იხმარება როგორც მარტივი, ისე შერწყმული და რთული წინადადებების სახით. მაშეი მთავარია აზრის ზუსტად გამოხატვა, მაგალითად:

1. დედინაცვალი - თვალში ნაცარი, 2. დედინაცვალმა დედობა ტყუილად დაირქვა. ძირითადი აზრი ორივე ანდაზისა ერთია, მაგრამ მისი გადმოცემის ენობრივი ფორმა განსხვავებულია. ვარდა ამისა, პირველი უფრო ექსპრესიულია, ციფრე მეორე. ან კიდევ ასეთი მაგალითები.

1. დედის წინ მავალ კვიცს ფეხი მოუტეხიაო, 2. დედის წინ მავალ კვიცსაო მგელი გამოჰარ ა კბილსაო. აქ მეორე წინადადება უფრო შთამბეჭდავად გამოხატავს შინაარსს, ვიდრე პირველი.

ფ რ თ ი ა ნ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი აქვია ისეთ თქმებს, რომლებიც ანდაზების მსგავსად სხარტად გამოხატავენ აზრს და ფართოდაა გამოყენებული როგორც ზეპირ, ისე წერიტ მხატვრულ მიტყვევებაში ენობრივი შტამების სახით. მათ ახასიათებთ სიტყვათა უკვლევი შედეგნილობა და წყობა წინადადებაში, ასევე - აზრის გადმოცემა ექსპრესიულად და ემოციურად.

ასეთი თქმები გვაქვს როგორც საკუთარი ენისა, ისე სხვა ენობიდანაც ნასესხები, მაგალითად:

1. ქართული ფრთიანი სიტყვებია:

პირველი მერცხალი (პირველად რისაში წამომწყები),

მარლიანი სიტყვა (სასიამოვნო სიტყვა),

ახალი ცოცხი (ახალი სექმის ხალისით დამწყები),

პილპილმყრილი მადლი (მწარე სიტყვით გაკეთებული კეთილი საქმე),

ღამბლი ღამე (ადამიანი, რომელსაც ჩავრავებ, იბრავებენ),

წითელი კოჭი (ყველაზე უკეთესი)

ყინულზე დავწრილი (პირობა, რომელიც არ შესრულდება),

1 ა. თაყაიშვილი - ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბ., 1961, გვ.74.

წყლის ნაყვია (უსარგებლო რისამდე კეთება),
ბნელეთის მოციქული (სიაცის მქადაგებელი, შავი წარსულის
დამცველი) და სხვ.

2. უცხო ენებიდან (ბერძნულიდან, ლათინურიდან ...) ნასესხებ-
ი ფრაზები სიტყვები:

აქტივების ქსელი (სუსტი ადგილი, მხარე ადამიანისა),
პოზირული სიცილი (თავშეუკავრებელი, ხმამაღალი სიცილი),
განხეთქილებიანი ცაშლი (განხეთქილებიანი მიზეზი),
დანადედა სარქუარი (მზაკრული, დამღუპველი ნაბოძვარი),
პროკრუსტეს სარცელი (ხელგნური, ნაძაღადევიდ მიყენებული
სახომი),

დანადედას-შრმა (უნაყოფო, დაუსრულებელი გარჯილობა) და ა.შ.
ფრაზიანი თქმები ყოველთვის უფრო ძლიერად მოქმედებს მსმენელზე,
ვიდრე მათი შესატყვისი სინონიმები, ამიტომ იხმარება ისინი განსა-
კუთრებით მხატვრულ მუშაობებში, ბედურისტულ ნაწარმოებებში, პუ-
ბლიცისტიკაში, დრამატულ ნაწარმოებებსა და პოეზიაში. მაგრამ განსა-
კუთრებული სტილისტიკური მნიშვნელობისაა ამ მხრივ იდიომი როგორც
აღნიშნული აღნიშნავს "... შესიტყვების ფორმის მქონე დაუსრულებელი დე-
ქსიკური ერთეული, რომლის მნიშვნელობა არ გამომდინარეობს კომპონე-
ნტების მნიშვნელობადაა ჯამიდან¹. ასეთი დექსიკური შენაერთები
ორნაირად იხმარება: პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. პირ-
დაპირი მნიშვნელობით გამოყენებისას აღნიშნული ტიპის შესიტყვება
ნეიტრალური სტილისაა, გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებისას კი
- მხატვრული სტილისა, ე.ი. ფრაზოლოგიზმებია. პირველ შემთხვევაში
შესიტყვების ყოველი სიტყვა გაიგება თავისი ძირითადი მნიშვნელობით,
ხოლო მეორე შემთხვევაში გვაქვს დაუსრულებელი, მტკივე შესიტყვება, რ-
მელიც სემანტიკურად დაუსრულებია და გამოხატავს ერთ მნიშვნელობას,
აგებულებით კი ერთმანეთისგან განსხვავებული არ არის, ე.ი. სემან-
ტიკურად სხვადასხვაა, ხოლო სტრუქტურულად - ერთი და იგივე. მაგა-
ლითად, შდრ.:

I აღნიშნული - ქართული იდიომები, თბ., 1966, გვ. 7.

როცა სიტყვები გამოყენებულა თავიანთი მნიშვნელობით	როცა იმავე შესიტყვების სიტყვები გამოყენებულა ერთი მნიშვნელობით
<p>პირში ბურთი ჩასჩარა. კერაზე წყალი დაუსხა. სამარცხენო ბოძზე გააკრა. ხელფები შეუკრა. კოეზი ნაცარში ჩაუვარდა. ერთი სიოცხლე გაათავა. თავზე ხელი გადაუსვა. თვალს წყალი დააღვეინა. ფეხზე წამოაყენა. ძალი პატრონს ვერა სცნობს.</p>	<p>გაბჩუმა. ოჯახი დაუქცია. შეარცხენინა. შეპოჭა. დამარცხდა. შეშინდა. მოფერა. ისიამოვნა. მოაღონიერა. აჩუღაბაა.</p>

ამ შემთხვევაში დასახელებული შესიტყვებები ომონიშური მნიშვნელობისაა.

ამრიგად, სტილისტიკის თვალსაზრისით, ფრაზეოლოგიური გამოთქმა არის უაღრესად მნიშვნელოვანი გამოშსახელობითი ენობრივი საშუალება, რომლის სიმრავლე როგორც წერით, ისე ზეპირ მეტყველებაში გამოხატავს სალიტერატურო ენის დიდ სიმდიდრესა და სიღამაზეს.

„ფრაზეოლოგიზმები მოსწრებული გამოთქმების, ფრაზისანი სიტყვების, სიტყვის მასალების, ანდაზებისა თუ მისთ. სახითაა დამკვიდრებული ენაში და ფართო ადგილს იჭერს სიტყვააპასუხში. მდიდრულადაა იგი აღბეჭდილი მხატვრულ ლიტერატურაში“¹.

ამრიგად, სინონიმები, ომონიმები, ანტონიმები, პარონიმები, ეფემერისმები, თავაზიანობის გამოშსახელებელი სიტყვები, ფრაზეოლოგიზმები და ტროპები თავიანთი მრავალფეროვნებით აზრის ზუსტად გამოხატვისა და მხატვრული მეტყველების მაღალი კულტურის ენობრივი საშუალებებია, რომლებიც ამდიდრებენ, აღამაზებენ მეტყველებას და რომელთა შეჩვევა და ისტაბურად გამოყენება ამა თუ იმ კონკრეტულ ეთარებასთან დაკავშირებით არის როგორც ობიექტური, ისე უფრო მეტად სუბიექტური სტილის ნიშნები.

ენობრივი სტილის თავისებურების გამოსახატავად მნიშვნელოვანი საშუალებებია ისეთი სიტყვებიც, როგორცაა, მაგალითად: ნ ე ო ლ მ -

¹ აღ.ლ-ინტი - ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1971, გვ.91.

გ ი ზ მ ე ბ ი , ა რ რ ე ს ი ნ ა ლ ი მ ე ბ ი , საჭიროების
 გამო ნასესხები უ ც ხ ო ს ი ტ ყ ვ ე ბ ი და ა რ ქ ა ი ზ მ ე -
 ბ ი , რომელთაც სტილისტიკაში ფუნქციური ლექსიკა უქვია .

სტილისტიკურ-ფუნქციური ლექსიკა

§ 39. ნეოლოგიზმები

ნეოლოგიზმი არის ახალი სიტყვა ან თქმა, რომელიც გარჩენილია
 ან შემოსულია სხვა ენიდან, როგორც ახალი საგნის ან მოვლენის
 აღმნიშვნელი ენობრივი ერთეული .

ახალი სიტყვების შექმნა ან სხვა ენიდან შემოდება არის რო-
 გორც მოძველებული სიტყვების გაქრობის საპირისპირო მოვლენა, ისე
 ენის ლექსიკური მარაგის შევსებისა და განვითარების მნიშვნელოვანი
 საშუალება .

ახალი სიტყვები ჩნდება ადამიანთა ურთიერთობის, შეურწმობის,
 მრევველობის, შეტყინების, ტექნიკისა და კულტურის განვითარების
 შედეგად მიღებულ ახალ საგნებთან, მოვლენებთან, აღმოჩენებთან,
 ურთიერთობასთან დაკავშირებით ან ახალ სახელწოდებად იმისა, რაც
 ამჟამადაც არსებობს .

თანამედროვე ქართულში ნ ე ო ლ გ ი ზ მ ე ბ ი ა , მაგალი-
 თად, შ ე მ დ ე გ ი ს ი ტ ყ ვ ე ბ ი :

ხუთსანი, ფრიალოსანი, ვებერანი, კოსმონავტი, ამწე, ბულდოზერი,
 ექსკავატორი, კოსმოდრომი, კოსმონავტიკა, მეტეოლოგი და სხვ .

ძველი სახელწოდების ნაცვლად ახალი სიტყვების შემოღების მა-
 გალითებია :

თემის ნაცვლად - ჩაიონი, შეგირდის ნაცვლად - მოწაფე, სკო-
 ლის მოწაფის ნაცვლად - მოსწავლე, მიმართულებითი ბრუნვის ნაცვლად
 - ეითარბითი, დაქვემდებარებული წინადადების ნაცვლად - ქმეცხაზილი
 და სხვ .

ბევრი სიტყვა ქართულ ენაში გაჩნდა თანამედროვე მშენებლობის
 პერიოდში, როგორც სიახლე, გამოწვეული საზოგადოების განვითარების
 ახალი საფეხურით .

ნეოლოგიზმები სხვადასხვა სახისაა: საკუთარი და ნასესხები,
 ახალგაჩენილი და ძველი სიტყვისგან წარმოქმნილი. მათ შორის წარ-
 მოქმნილი ნეოლოგიზმი თავის მხრივ შეიძლება მიღებული იყოს როგორც
 საკუთარი, ისე ნასესხები სიტყვისგან. ამრიგად, ნეოლოგიზმების ძი-

რთადი უკუფდება:

1. საკუთარი ახალი სიტყვები: შევებულება, საშეგები, წნევა, წუნი, ბრძანებულება, ყურმილი, საგზური, სინჯი, ნაფურა; დაუსწრებელი მომხმარებელი, გახმოვანება, ჯავშნოსანი, დაჯავშნა, ომგადახდელი, აღმავლობა, უზუსტობა, ნაფთურა, შინმოუსვლედი და სხვ. ბევრი მათგანი ნაწარმოებია ძირითადი სიტყვისგან ახალი მნიშვნელობის გამოსახატავად. ზოგი კი მიღებულია კაცის სახით რუსული ენიდან (დაჯავშნა - задрожать, გახმოვანება - озвучание).

2. რთულფორმანი კაცები:

შეღვენილი ქართული სიტყვებისგან: თეიმფრინავი, თეიმომსახურება, შრომადღე, ფეხბურთი, თომიყალი, ახალმოსახლება, თეიმასწავლებელი, მცხამრიდი...

შეღვენილი ქართული და უცხო სიტყვებისგან: თეიმკრიტიკა, სოფლკარი, მადალპროლეტიული, რაიფინგანი, ავტომანქანა, ელექტროსადგური, ელექტროამწე, ელმავალი, ავიაშეიდი, ტელეხედევა, პროფექტიკური.

3. სხვა ენებიდან წასესხები: ბრიგადირი, კვლავი, ტრაქტორი, კოსმონავტი, კომბაინი, მიკროფონი, ტელევიზორი, ცელფანი...

4. სიტყვათა შემოკლებით მიღებული: ზაქესი, საქდესი, საქიმფორმი, მუშეაკი, ადგილკომი, პრეფკომი, სახელგამი, რაიადმასკომი, პროფსაბჭო, მანკაეშირი, გამსახკომი, რაისაბჭო.

5. ძველი სიტყვები ახალი შინაარსით: გადახრა, მავნებელი კოლექტივი, რკოლი.

6. სიტყვათა შენაერთები ანუ თქმები: უმადესი საბჭო, ასწლიანი ომი, სკვხრე სტუდია.

„ჩვეულებრივ კი ახალშეშული წასესხები სიტყვა მშვიდობიანად იკავებს ადგილს ძველი სიტყვების გვერდით, რადესაც ახალ სიტყვას თან მოატქვს ახალი, ამ ენაში მანამდე არარსებული მნიშვნელობა: ტროღიბუსი, კომბაინი, კოსმოფრომი, სამოვიარი - სიტყვებს არაფერი გვატქვს ქართულში ისეთი, რომელსაც მათთვის მებრძოლების გაწევა შეეძლებოდა, ამიტომ ტ რ კ ლ ე ი ბ უ ს ი - ც ა და სხვებიც ადვილად დაშკვიდრდა ჩვენს ენაში“2.

1 დამატებით იხ. არნ. ჩუკობავა - ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 81.

2 ბ. ლორსა - ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974, გვ. 347.

XIX საუკუნის II ნახევრის ქართულ სალიტერატურო ენაში ნეოლოგიზმებად ითვლებოდა შემდეგი სიტყვები: სახელმძღვანელო, თვალსაჩინო, გამოფენა, ორქვქმეველი¹, მატარებელი, რკინიგზა, მიმართულება და სხვ.

ჩვენს დროში საზოგადოებრივი ცხოვრების ახლებურად გარდაქმნისა და ახალი გზით განვითარების შედეგად ნეოლოგიზმებმა ბლომად ირინეს თავი ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროში. ენის ლექსიკურ შემადგენლობაში სისტემატურად ჩნდება ისეთი ახალი სიტყვები, რომლებიც ყველასთვის ადვილად გასაგები და საჭიროა, როგორც საკომუნიკაციო ელემენტები; მაგრამ ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნეოლოგიზმი არ არის სიცოცხლისუნარიანი და ვერ დამკვიდრდება ენაში, თუ იგი ხელეწიურია, ძნელად გასაგები და, საერთოდ, არ არის საჭირო. მაგალითად, ზოგიერთი ქმინის ისეთ ახალ სიტყვებსაც, რომლებიც არ იწერება ხალხის მუტუყველებში (ასეთი სიტყვებით გატაცებამ განსაკუთრებით თავი იჩინა XX საუკუნის ათიან წლებში), რის გამოც ისინი არ შეიძლება ენის კონსენილებად მივიჩნიოთ. ამის შესახებ ს. გ ა რ ი ი დ ა ძ ე სამართლიანად წერს: „ზოგჯერ წარმოშობით არაქართული სიტყვების შესაცვლელად იგონებენ ისეთ სიტყვებს, რომლებიც უფრო უცხოა მკითხველათვის, ვიდრე ახლადგამოგონილი სიტყვით შესაცვლელი სიტყვა. მაგალითად, ჩვენში უკვე ცნობილი სიტყვებია: „ვგაონი“, „სამოვარი“, „კალში“, „ჩაი“, „ყუჯაქი“, „პაღლა“ და სხვ. ამ სიტყვების ნაცვლად ზოგიერთებმა მოიგონეს ასეთი ნეოლოგიზმები: „რონადა“ (ვაგონი); „თვითმადული“ (სამოვარი); „სატუცავი“ (კალში); „თერმონი“ (ჩაი); „ჭიჭიჭუნაქი“ (ყუჯაქი); „გვაბანაქი“ (პაღლა).

აღნიშნული ხასიათის ნეოლოგიზმები ნაძალადეგია. ისინი ვერ დამკვიდრდნენ ქართულ ენაში².

ხელეწიურად შექმნილი, მიუღებელი სიტყვები იყო აგრეთვე „ბელსმენი“, რომელსაც თითქოს უნდა შეეცვალა სიტყვა „ბრელიფონი“; „ბურინ-მარინი“ (ე. ი. მიკროსკოპი); „ბანჭვინი“ (ბენზინი); „გოლი“ (ტორნი); „მჭიდა“ (ემენტრი); „ხიბლანი“ (კომპასი); „მეექმოსე“ (მემანქანე); „გამზირი“ (პროსპექტი) და სხვ., რომელთა დანერგვას თავგამოვებით ცდილობდნენ მამინდელი ქართველი პურისტები, მაგრამ ჩვენმა სალიტერატურო ენამ ისინი არ შეიფიცა.

მაგალითად, ილია შავჭავჭავაძის ბევრი ახალი საჭირო სიტყვა აქვს

1 ს. გარეჩილაძე - ლიტერატურისმცოდნეობის შესახებ
1957, გვ. 281.

შემოღებული, ასეთებია: თვითმართველობა, ეროვნება, მოხელე, ღირებულება, მიმართულება, სინამდვილე, შინაარსი, აგებულება და სხვ.¹ რომლებიც ორგანულად შეეთვისა მშობლიურ ენას, მაგრამ „შეშლილის“ თარგმანზე დაწერილ კრიტიკულ წერილში გამოყენებული ნეოლოგიზმი შ ი ზ ნ ი ტ ი კ უ რ ი შ ი ნ ა ზ ა ნ ი ს მნიშვნელობით ვერ შეიქცეა ენას და არ დაინერგა².

არ დაინერგა ქართულში არც ხელეწიურად შექმნილი სიტყვა „ქვახვრიტა“ ნაცვლად „ტონელისა“, რომლის შესატყვისად ძველ ქართულში მოინახა ზუსტად იმავე მნიშვნელობის სიტყვა „გვირაბი“, ხოლო „წყალვარდნილის“ ნაცვლად, რომელიც კალკია, დაინერგა „ჩანჩქერი“.

„ყოველი ნეოლოგიზმი მხოლოდ მაშინ დაშვებულადაა შეტყვევებაში, როგორც ენობრივი ფაქტი, როცა მას კლდექტივი შისცემს დასტურს“³.

ნეოლოგიზმები ენაში უფრო ხშირად გვხვდება ტ ე რ შ ი ნ ე - ბ ი ს სახით, რომლებიც უმთავრესად წარმოადგენენ პროფესიონალიზმებს.

ახალ სიტყვებს კმნიან არა მარტო მწერლები, არამედ მცენიერებიც, ტექნიკოსებიც, ინჟინრებიც, მედიკოსებიც და სხვ. მათ შორის მწერლები და პოეტები ნეოლოგიზმებით თავიანთი ნაწარმოებების ენას ანიჭებენ თავისებური სტილის იერს.

მაგალითად, მ. ჯ ა ც ა ხ ი შ ე ი ლ ს ეკათონის სიტყვები: მთაშორე, ხიბლი (მოხიბვლის მაგიერ), კლდესიტყვები, აკვირ-ატების მაგიერ)... აქვები: ენამორფიული მასპინძელი, დაქვრივებული შიწა, პანაშვიდური სიღინჯე და სხვ.⁴

გ. ტ ა შ ი ძ ე ს - გაბედიანება, შებინძურება;

გ. ლ ე რ ი ძ ე ს - შინაგონიერება, მამათაფა, ყვლემაფა, გელეფხური, არწივთვალა, შეილიდარი, ცაშლაქალი, დამტაშებელი ტაშები და სხვ.⁵

ეს ნეოლოგიზმები ავტორების მიერ შექმნილია მშობლიური ენის ლექსიკონის მასალის საფუძველზე. ისინი, როგორც ავტორთა ენის სტილური თავისებურების ნიმუშები, იპყრობენ მკითხველთა ყურადღებას,

1 შ. ძიძიგური - ენა და ლიტერატურა, თბ., 1965, გვ. 104-105.

2 ალ. ღონტი - ქართული ლექსიკოლოგიის საფუძველები, თბ., 1971, გვ. 79.

3 იქვე, გვ. 78.

4 ზ. ჭუმბურიძე - სალიტერატურო ენა და მწერლობა, თბ., 1962, გვ. 99-102.

5 გ. კიკნაძე - მეტყველების სტილის საკრახები, თბ., 1957, გვ. 276.

მაგრამ სადაპარაკო ენაში მათ ჯერ არაფერს ხმარობს, გარდა რამდენიმე სიტყვისა, როგორცაა, მაგალითად: შ ი ნ შ მ ლ უ ს ც ღ ე ღ ი, ხ ა ლ ხ მ რ ა ც ა ღ ი, ხ ი ბ ღ ი. და სხვ., რომელთაც უკვე მოპოვებული აქვთ აქტიური სიტყვის უფლება.

საერთოდ, ნეოლოგიზმი დროთა განმავლობაში კარგავს სიხელეს, გადადის სიტყვათა აქტიურ მარაგში და იქვეა ყოველდღიურ სახმარ სიტყვად, რის შემდეგ უკვე ნეოლოგიზმად აღარ ითვლება. ამიტომ ამა თუ იმ სიტყვის ან შესიტყვების ნეოლოგიზმად მიჩნევა შეიძლება მხოლოდ გარკვეულ პერიოდში, მაგალითად ასეთ: XIX საუკუნის ნეოლოგიზმები, თანამედროვე ნეოლოგიზმები და ა.შ.

გარდა ამისა, ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ მხატვრული ენის ოსტატების მიერ შემქმნილი ნეოლოგიზმები და ტერმინად გამოყენებული ახალი სიტყვები, მათგან პირველი სტილისტიკური დანიშნულების, ექსპრესიისა და ემოციის გამომხატველი სიტყვებია, რომლებიც უმთავრესად იხმარება მხატვრულ მეტყველებაში და რომელთაც მწერლები ძირითადად ქმნიან აფექსური წარმოებითა და სიტყვათა შერწყმით ანუ თხზვით, ხოლო მეორე (ე.ი. ნეოლოგიზმები - ტერმინები) ნეიტრალური სტილისაა.

ამრიგად, ნეოლოგიზმების სტილისტიკური ფუნქციაა ახალი სახეების, მოღვენების, მათი ფიქსების ნათლად, გამოშვებებით გამოხატვა, თანამედროვე აღაზიანთა ბუნების, მათ მისწრაფებათა უკეთ ჩვენება და ამ გზით ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრება.

§. 40. პროფესიონალიზმები

გარდა საერთო სახმარ სიტყვებისა, სხვადასხვა პროფესიის ადამიანს აქვს თავისი სპეციალობის ლექსიკა (უ რომელიც განასხვავებს ადამიანთა ერთი სპეციალობის ჯგუფის მეტყველებას მეორე სპეციალობის ჯგუფის მეტყველებისაგან. ასეთ სიტყვებს პ რ ო ფ ე ს ი ო ნ ა ღ ი ზ მ ე ბ ი უ ქვია.

პროფესიონალიზმები უმთავრესად არის მეცნიერულ-ტექნიკური ხასიათის სიტყვები, რომლებიც იხმარება, მაგალითად, მასწავლებლის, ექიმის, აგრონომის, ინჟინრის, ღორგლის, ზეინკლისა და სხვა სპეციალობის ადამიანთა მეტყველებაში; როგორც ამა თუ იმ პროფესიისთვის დამახასიათებელი საწარმოო იარაღების, პროცესის, პროდუქციის, აღაზიანთა ურთიერთობის ამსახველი ლექსიკა.

პროფესიონალიზმები დირექტივებისგან უპირველეს ყოვლისა გან-

სხვედრება იმით, რომ ისინი სალიტერატურო ენის კუთვნილებათა და მათი მოხმარების სფერო განისაზღვრება არა ტერიტორიულად, რაც და-
მახასიათებელია კუთხური მეტყველებისათვის, არამედ - სოციალურად.

თანამედროვე მეცნიერებებიდან სპეციალური ლექსიკით განსაკუთ-
რებით გამოირჩევა მედიცინა, სადაც ძირითადად იხმარება ლათინური
სიტყვები და ბევრი მათგანი მხოლოდ ამ პროფესიის (უფრო მეტად ვი-
წრო სპეციალისის) ადამიანებისათვის არის გასაგებნი.

ჩვენს ქვეყანაში ხალხის კულტურული დონის ამადლებიდან და პო-
ლიტიკური განათლების ფართოდ გავრცელების შედეგად ერთიანი სა-
ლიტერატურო ენის დანერგვისთანავე ერთად პროფესიული ჯგუფების განს-
ხვავებული ლექსიკის ნაწილი უკვე გასცილდა მოხმარების ვიწრო სფე-
რის და საერთოდ ყველასთვის ცნობილ და ადვილად გასაგებ სიტყვებად
გადაიქცა. მაგალითად, **პ ე ლ ა გ რ ა ს პ რ ა ფ ე ს ი ა**
გ ა მ ო მ ხ ა ტ ე ე ლ ი ს ი ტ ყ ე მ ბ ი; გაკეთილი, სახელ-
მძღვანელო, რვეული, კლამი, ფანქარი, ღაფა, ცარცი, რუკა, გლობუსი
და სხვა - ამჟამად არა მარტო მასწავლებელთათვის, არამედ უზენა-
რად გასაგებია ყველასთვის, ვისაც სკოლაში უსწავლია, ან ვინ არ
იყოს დღეს, რა არის ჩაქური, ნამგალი, ქლიბი, წერატეი, ბარი, ცული
და სხვ. მისთ.

პროფესიონალიზმები როგორც მშობლიური ენის, ისე უცხო წარმოშო-
ბის სიტყვებიცაა. მაგალითად, საკუთარი: შალაშინი, ვინო, სატეხი,
ერო, ურო, მარწუხი, ტაპიკი, აპურე; დამწნობა, გასხვდა, გამარგვდა,
შეყვდა და სხვ.

ნასესხები სიტყვებია: კომპასი, გლობუსი, დონკრატე, სკალპელი,
როტატორი, შრიფტი, პალიტრა და ა.შ.

ამჟამად ბევრი მათგანი საკმაოდ გავრცელებული და ყველასთვის
ერთნაირად გასაგებია, მაგალითად, სიტყვები: მანქანა, ტრანსპორტი,
ექანი, ტრაქტორი, ურო, ფარგალი, ნორაბი, ტიგო და სხვ. მისთ. -
ახლა შეიძლება მხოლოდ ზოგიერთი მოზარდისთვის იყოს გაუგებარი.

ამრიგად, დროთა განმავლობაში პროფესიული ლექსიკიდან ყოველ-
თვის გადის ისეთი სიტყვები, რომლებიც გადადის საერთო სახმა-
რი სიტყვების მარაგში. ამ მხრივ ერთგვარი გავრცელებისა უმთავრე-
სად მეცნიერულ-ტიტონიკური ლექსიკა, რომელიც ძირითადად შედგება ტი-
რმინებისგან, ე.ი. ისეთი სიტყვებისგან, რომლებიც გამოხატავენ უნე-
ბებს და სპეციალურ სახელწოდებათა სახით ზუსტად მიგვიჩვენებენ ადვი-
ანთ პირდაპირ მნიშვნელობებზე.

ტ ე რ მ ი ნ ე ბ ი იხმარება ყველა სახის მეცნიერებაში. მაგა-
ლითად, სიტყვები: ბრუნება, უღებდა, წარმოქმნა, თხვება, თანწყობა,
ქვეწყობა - გრამატიკული ტერმინებია; წილადი, ნაწილადი, მნიშვნელი,

მრიცხველი, განტოლება, ლოგარითმი, ვექტორი, რადიკალი - მათემატიკურია; დენი, ონი, აკუმულატორი, ვოლტმეტრი, მიკროსკოპი, რადიოლოკაცია, თერმომეტრი, ვაკუმი - ფიზიკისაა; უანგზადი, წყაღადი, გლეჯა, მუთანო, ვიღენი, კატალიზატორი, სინჯარა, რეაქცია - ქიმიისა და სხვ.

ამრიგად, პროფესიონალიზმებია შრომის იარაღების, ნედლეულის, პროდუქციის, საწარმოო ურთიერთობის აღმნიშვნელი, მუცნიერებისა და ტექნიკის სპეციალური სიტყვები, პროფესიული მუცხველების ძირითადი სტილური ნიშნები, რომელთა შორის ბევრი ინტერნაციონალური ხასიათსაა (ზაგ. : გრამატიკა, ისტორია, ფიზიკა, ქიმია, მუდიცინა, ასტრონომია, ტრანქტორი, კომპანინი, ბუღალჯური, სტრუბოციდი, სულფიდინი, ანალგინი, ნოვოკაინი და სხვ. სრავ.). ამათ განეკუთვნება საქმის ქაღაღები (ანუ საკანკეღარო) ენაში არსებული ტერმინებიც, მაგალითად: განცხადება, თხოვნა, მოწმობა, ანგარში, ოქმი, აქტი, რეზოლუცია, შუამდგომლობა და ა.შ.

✓ ეროვნულ ტერმინებს სინონიმებად შეიძლება ახდეს მხოლოდ სხვა ენის სიტყვები: სართი - ა ფ ი ქ ს ი, მარდწერა - მ რ თ მ გ რ ა ფ ი ა, დამსჯავსება - ა ს ი მ ი ღ ა ც ი ა, თანწყობა - ბ ა რ ა ტ ა ქ ს ი, ბგერა - ფ მ ნ ე მ ა, ღიბრი - ღ ე ი კ მ ა, მოკვეთა - ა მ ბ უ ტ ა ც ი ა, ორპირი დანა - ღ ა ნ ც ე ტ ი . . .

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, მტერშიწებშიც ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ ვ ი წ რ თ ს ბ ე ც ი ა ღ უ რ ი და ს ა ე რ თ მ ს ა ხ მ ა რ ი ტ ე რ მ ი ნ ე ბ ი, რომელთა შორის პირველი ტიპის ტერმინები გასაგებია მხოლოდ გარკვეული დარგის სპეციალისტებისათვის, მეორე ტიპისა კი - თიქმის ყველასთვის, რაჯანაც ისინი, როგორც ფართოდ გავრცელებული და ადვილად გასაგები, ჩვეულებრივ სახმარ სიტყვებს წარმოადგენენ.

• მხატვრულ ლიტერატურაში პროფესიონალიზმებს იყენებენ. მაშინ, როდესაც პერსონაჟად გამოაქყავთ რომელიმე პროფესიის წარმომადგენელი და სურთ გვაჩვენონ მისი სუბკულტურის სტილური თაქისებურება ა ამ ტიპის სიტყვების ხმარებაში ზომიერების დაცვა განსაკუთრებით საჭიროა მაშინ, როდესაც მკითხველს აწოდებენ პოპულარულ სამეცნიერო და ტექნიკურ ლიტერატურას, რომ საკითხის მიმოხილვა ადვილად გასაგები იყოს ფართო საზოგადოებისათვის.

სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგია საუკეთესო ენობრივი საშუალებაა თანამედროვე ცხოვრების არწახული განვითარების პეროოდში ჩვენი მიღწევების ნათლად ასახვისა და პოპულარიზაციისთვის, უპირველესად კი პოლიტიკური განათლების ვასაფრცხვებლად.

§ 41. უცხო სიტყვების სესხება

ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის პირობებში შეუძლებელია, რომ ერთი ხალხის ენა გაედენას არ ახდენდეს მეორე ხალხის ენაზე. ამიტომ განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში არ არსებობს ისეთი ენა, რომელიც მეტად თუ ნაკლებად არ შეიცავდეს უცხო სიტყვებს. ეკონომიური და სოციალური ურთიერთობის, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის განვითარებასთან დაკავშირებით აღაშინებებს გადმოაქვთ სხვა ენებიდან ისეთი სიტყვები და თქმები, რომლებიც თავის ენაში არა აქვთ და აუცილებელია მშობლიური ენის შესავსებად.

ა ს ე თ მ ო ც ე ე ნ ა ს ე ნ ა თ მ ე ც ე ნ ი ე რ ე ბ ა შ ი ს ე ს ხ ე ბ ა შ ე ქ ე ი ა .

საჰიროების გამოწვევები სიტყვები და თქმები, ასევე სიტყვის ფორმები, დადებითი, კანონზომიერი ისტორიული მოვლენაა მშობლიური ენის განვითარებაში. ისინი როგორც ყოველდღიური სახმარო ენობრივი ელემენტები, ახალი საგნებისა და მოვლენების ზუსტად გამოხატვით აადვილებენ აღაშინება ურთიერთგაგებას. ამდენად ნასესხები სიტყვები და თქმები ორგანულად ისე უჩორდება შესესხებულ ენას, რომ ამით ეროვნული ენა არაა თუ არ კარგავს თავის თვითმყოფობას, არამედ ივსება ახალი საჰირო ელემენტებით და განაგრძობს განვითარებას თავისი შინაგანი მტკიცე კანონებით. ბევრი ნასესხები სიტყვა კი, განიჟლის რა შესესხებელი ენის ფონეტიკურ და მორფოლოგიურ გავლენას, ისე იყვდება, რომ ღრთა განმავლობაში კარგავს თავის პირვანდელ სახეს და მშობლიური ენის სიტყვებისგან არც კი გამოირჩევა. ასეთი სიტყვები ბლომად მოგვეპოვება, მაგალითად, არაბულიდან, ირანულიდან, ბერძნულიდან, ლათინურიდან, თურქულიდან, ასევე სხვა ენებიდანაც. უმეტეს შემთხვევაში ვერც კი ვხვდებით, არის თუ არა ესა თუ ის სიტყვა ნასესხები. მაგალითად, ჩვენი ყოველდღიური სახმარო სიტყვები: საინი, ქიდა, სუფრა, სურათი, ქვიფი, ცუთა, მასი, მარჯი-მანი, ზარალი, ზანდუკი, ღაღატი და მისთ. ნასესხებია არაბულიდან: თეფში, ქურა, თარი, კოშკი, ქომაგი, ხურჯა, ქარაღი, ზანტი... სპარსულიდან: ქორჯა, ქოვაკი, ბანარი, ოჯა, ფანჯარა, ფორთხალი... თურქულიდან: პაერი, სკოლა, ფანარი - ბერძნულიდან: ავეისტო, ამრილი, დეკემბერი - ლათინურიდან: ღამბა - ფრანგულიდან: ბანტი - გერმანულიდან: კაბიკი - რუსულიდან და სხვ.

ასეა მრავალი სიტყვა შესული ჩვენი ენიდანაც სხვა ენებში. მშობლიურ ენას ამდიდრებენ არა მარტო ნასესხები ენობრივი ელემენტები, არამედ საჰირო კალკებიც ანუ სხვა ენის სიტყვებისა და

ექვების სიტყვასიტყვითი თარგმანები (უფრო ცრულად იხ. კალკები).

სხვა ენებიდან წასესხები საყოფაცხოვრებო სიტყვების გარდა ქართულში ამჟამად ბლომად გვაქვს ს ა ე რ თ ა შ ი რ ი ს კ ა ნ უ ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი თ ნ ა ლ უ რ ი სიტყვებიც, რომლებიც შემოსულია წიგნური გზით უმთავრესად მეცნიერული, ტექნიკური, საზოგადოებრივი პოლიტიკური ტერმინების სახით და ძირითადად მომდინარეობენ ევროპული ენებიდან, უმთავრესად კი - ძველი ბერძნულიდან და ლათინურიდან. ასეთი სიტყვებია, მაგალითად;

ბერძნულიდან: პედაგოგი, აგრონომი, პოეტი, დემოკრატია, არისტოკრატია, ფილოსოფია, ფიზიკა, ქიმიკა, ბიბლიოთეკა, ბიოგრაფია, თეატრი, ტელესკოპი, ატომი, ტონი, გენეზისი, ლოგიკა, პარაგრაფი, პროგრამა, მეტრი, კილომეტრი და სხვ.

ლათინურიდან: უნივერსიტეტი, ინსტიტუტი, სტუდენტი, რექტორი, დირექტორი, პროფესორი, ლექტორი, პროფესია, ლიტერატურა, პროზა, პროგრესი, რესპუბლიკა, პროლეტარი, რადიო...

ფრანგულიდან: რევოლუცია, რეაქცია, მარშალი, მინისტრი, ტირე, ვალსი, არმია, პერსონაჟი, მოდელი, პარაშუტი, უარჯონი, უარნალი, ბალი, ბალადა...

ინგლისურიდან: სპორტი, ჩემპიონი, ლიდერი, მიტინგი, რინგი, ხოკეი, ტანკი, ტრაქტორი, კომბაინი, ვაგონი, ვაგზალი, სეინერი, რემოლვერი...

გერმანულიდან: ლანდშაფტი, შტაბი, პლაკატი, პლაკატარი, შარკა, ტაბელი, პაკეტი, ლინზა, ბუხჰალტერი, პარიკმახერი, ლოზუნგი, ვასტროლი, შტატი, გრაფი...

იტალიურიდან: პიანინო, ბალეტი, ოპერა, ლუეტი, კანტატა, სოლისტი, სონატა, ვირტუოზი, კარიკატურა, გვარდია, კომპასი, ტორტი, გრანტი, ფრესკა და სხვ.

გვაქვს ნ ა ს ე ს ხ ე ბ ი ა ფ ი ქ ს ე ე ბ ი ც ე დ ა ნ (ჩაიდანო), ხანა (ყაუხანა), იზმ (იშერიზმი), ისტ (არაბისტი) ანტი (ანტისაზოგადოებრივი), კონტრ (კონტრშეტევა), მაგრამ ქართულ სიტყვებთან ისინი იშვიათად იხმარება: ანტიმეცნიერული, ანტიპედაგოგიური ძირითადად იხმარება უცხო სიტყვებთან: სპელიაღისტი, პუბლიცისტი, ცივილიზაცია, ორგანიზაცია; ანტითეზა, ანტიციკლოსი; კონტრეგოლუცია, კონტრმანევრი და სხვ.

ბ ე რ ი ს ი ტ ყ ე ა ფ უ ძ ე თ ა შ ე ე რ თ ე ბ ი თ ა ი შ ი დ ე ბ უ ლ ი: ტელეფონი, ტელევიზორი, თერმომეტრი, მიკროფონი, ელექტროტენიკა, კილომეტრი, კოსმონავტი, აერონავიაციკა, აეროჟული და ა.შ.

წასესხებ სიტყვათა შორის, ერთი მხრივ, ძალიან ვაგრძელებულია

ს ა ე რ თ ო = ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო ლექსიკა, მეორე მხრივ, სპეციალური ტ ე რ მ ი ნ ე ბ ი შივენიერებათა დარგების მიხედვით. პირველი არის საერთო სახმარო სიტყვები შივენიერების ყველა დარგში, მეორე კი - მხოლოდ ვიწრო სპეციალობებში.

ნასესხები სიტყვები, თქმები და ფორმები რომ მიზანშეწონილად ეხმარათ, ამისთვის საჭიროა არა მარტო მათი ზუსტი მნიშვნელობით გამოყენება, არამედ ზომიერების დაცვა, რომ სათქმელი ადვილად გასაგები იყოს საზოგადოებისთვის. მაგალითად, წინადადებაში: ჩვენნი იურიისტი იმდენად ერუდირებული პერსონა გრატა გახლდათ, რომ მისი ინტელექტუალური განვითარება და ორატორული ბათისი გრანდიოზულ ეფექტს ახდენდა დისკუსიის დროს და სიმბათით განწყობილი აუდიტორია ხშირად უმასპინძლდებოდა მას ხანგრძლივი აპლადისმენტით - ნახმარი ყველა უცხო სიტყვა თუმცა ჩვენი სალიტერატურო ენის ლექსიკური ფონდის კუთვნილებათა, მაგრამ მათი საშუალებით გამოცემული აზრი მხოლოდ მიწიგნობათა ვიწრო წრისთვის არის გასაგები და არა ფართო საზოგადოებისთვის. ამიტომ ყოველთვის უმჯობესია, როცა შესატყვისი მშობლიური სიტყვა გვაქვს, უცხო სიტყვები ნაკლებად ეხმარათ როგორც სასაუბრო, ისე წიგნურ მრეცხვლებში ან ინფორმაციის დროს უცხო სიტყვებიდან გამოიყენოთ ყველაზე გავრცელებული სიტყვები და ისიც ზომიერად. მაგრამ ამა თუ იმ სპეციალობაში ტერმინები ყოველთვის ზუსტად უნდა დაცვათ.

ამასთან დაკავშირებით უნდა გვახსოვდეს, რომ ლექსიკური სტილისტიკის მთავარი საკითხია სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვა, ამიტომ სხვა ენებიდან სიტყვათა და ფორმათა სესხებას თავისი ზღვარი უნდა აქონდეს. არასაჭირო ენობრივი ელემენტების შემოღება საგრძობლად ანაგვიანებს დედაენას, უპარგავს მას ეროვნულ სახეს და გზას უკაფავს ხარგონად გადაქცევისკენ.

სტილისტიკური დანიშნულების ლექსიკას განეკუთვნება აგრეთვე არქაიზმიც.

§ 42. არქაიზმები

არქაიზმი აქვია ისეთ სიტყვას ან თქმას, რომელიც უკვე მოძველებულია და ამჟამად ადამიანთა საუბრობო საშუალებად არ იხმარება. ფართო გაგებით, არქაიზმიც აგრეთვე სიტყვის ძველი ფორმა და წყობა წინადადებაში, როგორც შორის პირველს ეწოდება მ ო რ ო ლ ო - გ ი უ რ ი, ხოლო მეორეს - ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ი არქაიზმი.

ლექსიკური არქაიზმების ერთ-ერთი სახეა ი ს ტ ო რ ი ზ მ ი .

არქაიზმები ისეთი მოძველებული სიტყვებია, რომლებიც თანამედ-

როვე შეტყვევებაში არ იხმარება და შეცვლილია იმავე საგნებისა და მოვლენების აღმნიშვნელი ახალი სიტყვებით - სინონიმებით. გვაქვს ისეთი არქაიზმებიც, რომლებიც უერ ხმარებიდან არ არის გასული, მიუხედავად იმისა, რომ მათი შემცვლელი სიტყვები და ფორმები ენაში არსებობს და პარალელურად იხმარება (მაგ: **ე ა მ ი - დო, ს ნ ე - უ ლ ი - ავადმყოფი. მ ე უ რ ნ ა ლ ი - ექიმი, უ მ ა ლ - უბად, რ ა თ ა - რომ, ნ, თა - ებ და სხვ.**).

ისეთ სიტყვას, რომელიც უკვე არარსებული საგნის ან გამქრალი მოვლენის აღმნიშვნელია, ეწოდება **ი ს ტ ო რ ი ზ მ ი**. იგი ჩვეულებრივი არქაიზმისგან იმით განსხვავდება, რომ მას არა აქვს სინონიმი.

თანამედროვე ენაში ისტორიზმებს ეხმარობთ, როდესაც ძველ ცხოვრებას აღეწერთ და საჭიროა აღვნიშნოთ ის საგნები და მოვლენები, რომლებიც იყო წინათ, მაგრამ დღეს უკვე აღარ არსებობს. ასეთი სიტყვებია: აბჯარი (რკინის სამოსელი), კაპარჭი (ისრის ბუდე), ნაღარა (ლითონის საცემელი საკრავი), დრამა (ვერცხლის ძველი ფული), დრამკანი (ოქროს ძველი ფული), სპა (ჯარი), ეჯიბი (მეფის მეკარე), ამირა (მმართველი, უფროსი), ათაბაგი (მეფის გამზრდელი), თავადი (შაღალი სოციალური ფენის წარმომადგენელი), ეპისკოპოსი (უმაღლესი სამღვდელეუ პირი), თემი (მცხოვრებთა გარკვეული ტერიტორია ან ერთიანობა), ორპინტე (ნადირთა მფარველი ღვთაება), ბელი (საძნე ადგილი, სახლი), ფაცხა (წნელით მოღობილი საცხოვრებელი) და სხვ.

არსებობს აგრეთვე არქაიზმების ორი ჯგუფი: **ლ ე ქ ს ი კ უ რ ი** და **ს ე მ ა ნ ტ ი კ უ რ ი**. ლექსიკური არქაიზმებია ძველი სიტყვები, რომლებიც შეცვლილია ახალი სიტყვებით; **უამი (დრო), უსტარი (წერილი), მწუხრი (საღამო), სვიანი (ბედნიერი), აზატი (თავისუფალი), ტიიტი (ცხენი), არვე (ფარა), არზა (თხოვნა), მუონარი (ზარმაცი), დედამძუძე (გამზრდელი ები - ძიძა), დიდეა (სამკურბილი), დკუ (მრუდი), მრწემი (უმეტროსი), ვანი (სადგომი, საცხოვრებელი), რემა (ჯოგი), მერემე (მეჯოგი), რაკვა (ეიკვა), ზავთიანი (გაბედული), მეყვისი (მეგობარი), მართვე (ბარტყი), ზორაყი (თუთიყუში), პატინი (სასჯელი), მქისი (უხეში), ხვასტაგი (პირუტყვი); აზნობს (ფიქრობს), ამოიხუნა (ამოიღო), გავიხუნამს (გავიღებ), ენუკვა (შეიხევი), გუაღე (იარე), დამწყსოს (უმატრონოს), დავიცი (გაქვს, გიძევს), დაუც (აქვს, უძევს), ხამს (საჭიროა), მყის (სწრაფად), ეორემ (სანამ), თურე (თურემ), ძნიად (ძნელად), მიწყვიც (მუდამ) და სხვ.**

არქაიზმები წინადადებებში

ცხენებს ვაძოვებდით მ უ ნ . მ ე ფ ე ს ა რ ი ა მ ა ე ა -
 ზ ი რ თ ა უპირველესის ე გ ზ მ მ გულრეილი ა ჯ ა . ც უ -
 ყ ი რ დ ი თ , გინაობას ეკითხვოდით . კარგად ც უ წ ყ მ დ ი თ .
 ახლა ეს მ ა რ ქ ე ვ რ , ბერო! იქნება კიდევ მ თ ა მ თ მ ბ ი -
 ნ თ ს საწყალი ნოშრევან ოჯახის დაშორებისათვის ... ოდნავ ააჩ-
 ქარა მ უ ნ ე . შარვაშისძის უ მ რ წ ე მ ე ს ი ქალი ხატუნა,
 ლურჯთვალბიანი, ღელიგიმ რხველი დ ი ა ც ი (იყო) - (კ.გამსახ.).
 ფირუზ ასხმული რ ა ხ ბ რ და. სამკურალო ამშვენებდა მ წ ყ ა -
 ზ ა რ ს (ვ.ბარნ.). მ ყ ი ს გატყდა თოვლი (ვ.ბარნ.). მ წ უ ზ
 რ ი მშვიდობისა უსურვა დაშხედურთ (კ.გამსახ.). ან როგორ შესძლე-
 ბდა დაფიქრებას ხ ე ლ ქ მ ნ ი ლ ი ?! (ვ.ბარნ.).

მოუხედავად იმისა, რომ დასახელებულ წინადადებებში უმთავრე-
 სად თითო არქაიზმია გამოყენებული, აზრის გაგება შაინც გაუჭირდება
 თანამედროვე მკითხველს, თუ საკმაოდ არ იცის ძველი ქართული ან არ
 გამოიყენა ძველი ქართულის ლექსიკონი, შიგალითადა: მუნ - არის იქ,
 აჯა - სამხოვარი, ვუყოფით - ვეძახდი, ვუწყადით - ეიცოდი, მარ-
 ქვი - მიხხარი, შოაშოაშინოს დაახროს, პუნე - ცხენი, უმრწემესი
 უმცროსი, დიაცი - ქალი, რატი - ადგირი, მწყაზარი - მშვენიერი,
 მყის - უმალ, სწრაფად, მწუხრი - საღამო.

სემანტიკური არქაიზმები ახლაც იხმარება. ისინი შეცვლილი მნი-
 შვნელობით შემონახული სიტყვებია, რომელთაც არა აქვთ სინონიმები.

სემანტიკური არქაიზმებია:

ბ ე ვ რ ი (წინათ ნიშნავდა ათი ათასს, ახლა ნიშნავს მრავალს).
 მ ე ლ გ ა რ ი (წინათ - მკონარი, ზარმაცი, ახლა - ძლიერი, შეუპო-
 ვარი). ო ნ ა ვ ა რ ი (წინათ - მძარცველი, მტაცებელი, ახლა -
 ცილქი, მოუსვენარი). მ ა მ ა ც ი (წინათ - შამაყაყი, ახლა - გუ-
 ლადი, ყორადი, გამბედავი). ო ზ ნ ა უ რ ი (წინათ - თავისუფალი,
 ახლა - მაღალი წოდების წარმომადგენელი პიროვნება რევოლუციამდე).
 ბ ი ზ ი (წინათ - ბუში, შინამოსამსახურე, ახლა - გაყი, ყრმა).
 კ ა რ ო ვ ი (წინათ - სარჩილობელი, ტაღავერი, ახლა - გადასატა-
 ნი სადგომი ქსოვილისა ან ტყავისა). ა გ ა რ ა კ ი (წინათ - სა-
 ხნაგ=სათვისი ადგილი, ახლა - ზაფხულობით დასასვენებელი ადგილი).
 ო რ ე (წინათ - დრო, ეამი, ახლა - ადგილი, მიღამი). ჯ ა რ ი
 (წინათ - კრება, სიმრავლე, ახლა - სამხედრო პირთა კრებული).
 ბ ა ტ ი ე ი (წინათ - ცუდად მოპყრობა, დასჯა, წამება, ახლა -
 სტუმრად მოწვევა; თხოვნა, ხვეწნა). დ ო ყ უ ლ ე ე ბ ა (წინათ -
 განმარტობით ცხოვრება, ახლა - რამეზე დაყრდნობა, დაბჯნა).

დ ა მ ა რ ხ ე ო (წინათ - შენახვა, დაცვა, ახლა - მიწაში ჩაფლა, დასაფლავება). ზ ი ღ ვ ო (წინათ - დავა, ჩხუბი, კინკლაობა, ახლა - წადება, აწვევა). ზ შ ნ ა (წინათ - გარჯა, შრომა, ახლა - მეტყველების ნაწილი, რომელიც აღნიშნავს მოქმედებას ან მდგომარეობას.

გვაქვს გრამატიკული არქაიზმებიც - მორფოლოგიური და სინტაქსური.

მორფოლოგიური არქაიზმებია: ნ და თა მრავლობითი რიცხვის ნიშნები სახელებში (კაცნი, სხვათა), მან ბრუნვის ნიშანი მოთხრობითში (დედამან, ძმამან), ადამიანის საკუთარი სახელი ფუძის სახით როგორც წოდებითში, ისე სახელობითსა და მოთხრობითში (იაკობი იაკობ - იაკობი, იაკობ - იაკობმა), ძველი ზმნისწინები - აღ, ვან, წარ, შთა, გარდა) აღვიდა, ვანვიდა, წარვიდა, შთავიდა, გარდავიდა პირდაპირი ობიექტური პირის რიცხვის გამოხატვა ზმნაში (დაწერნა წიგნი) თანდებულად სახმარი ზმნიზებების ფორმები: შინა (ში), ზედა (ზე) - სახლსა შინა, შთასა ზედა და სხვ.

სინტაქსური არქაიზმებია: მსაზღვრელსაზღვრელის ინვერსიული წყობა და სრული შეთანხმება ბრუნებებსა და მრავლობით რიცხვში (ქალაქი ღიღი, ქალაქმან ღიღმან, ქალაქსა ღიღსა ... კაცნი კეთილნი, ნაგებნო ძველნი, საქმეთა ჩვენთა), შედგენილი შემასმენლის საერაოდ არის ან მისი შეკვეცილი ფორმის ა-ს ნაცვლად ა რ ს ზმნის ხმარება და თანასაკრთად სახელის გამოყენება ფუძის სახით (უქმ არს ადგილი ესე) და სხვ., მაგრამ ასეთი არქაიზმები განეკუთვნება გრამატიკულ სტილისტიკას, ამიტომ აქ მათ აღვნიშნავთ მხოლოდ ვაკერით. არქაიზმები დამახასიათებელი ნიშანია სამეცნიერო სტილისტიკის ტერმინოლოგიის სახით, (ასევე საქმიანი მიმოწერის, დაკუმენტების, კანონების კოდექსებისა და ნაწილობრივ ზოგიერთ პუბლიცისტური ნაწარმოების ენისა, მაგრამ, როგორც ფუნქციური ლექსიკის ერთერთი სახე, განსაკუთრებით ხშირად იხმარება გამომსახველობით ენობრივ საშუალებებად მხატვრულ მეტყველებაში, სადაც სტილისტიკის თვალსაზრისით მათი დანიშნულებაა ენის ემოციური მხარის გაძლიერება. მწერლები მათ უფრო მეტად იყენებენ მაშინ, როდესაც მიზნად აქვთ დასახული ისტორიული მოვლენებისა და პიროვნებების რეალისტურად და დამაჯერებლად ჩვენება ენის ეპოქალური კოლორიტის დაცეით; ასევე რაიმე მოსათხრობის გადმოცემა პათოსით, ირონიით თუ სატირის იერით, რომ მკითხველზე მოახდინოს შთამბეჭდავი ზემოქმედება, მაგრამ ამ შემთხვევაშიც არქაიზმების გამოყენებას საფუძვლად უდევს ზომიერება. მკითხველის დასაინტერესებლად არც ის ვარჯა, რომ ამჟამად ისტორიული პერსონაჟები მდიანად მაშინდელი ქართულით ავამეტყველებო, და არც ის, რომ მხოლოდ ახალი ქართულით დაპარაკობდნენ, ამიტომ დაკვირვებელი მწერალი ძველის საჩვენე-

ბლად მხოლოდ მნიშვნელოვან ენობრივ ელემენტებს არჩევს და ამით აღწევს იმას, რომ ძველი ამბების ზუსტად აღწერა და ისტორიული პერსონაჟების მებრუნელება სავსებითა გაუგებარი არ დარჩეს თანამედროვე მკითხველისათვის, მაგალითად: „**ა ბ ა ნ ჯ ე ბ ი თ ი ლ ე თ ი ს ა თ ა** გარდაიცვალა სანატრელი ბასილი მიფი, ამა ჩემი“ - **ი უ წ ყ ე ბ ი** - **ჯ ა** კონსტანტინე კეისარი, - „**ა წ უ კ მ ე** სადაც მიწვეულ იყოს **გ ა - ნ ს ა გ ე ბ ე ს ა** ჩვენსა, ბაგრატი, ძე გიორგი აფხაზთა ხელმწიფისა, **გ ა რ ე შ ე ა ქ ც ი ე თ** და მოიწიოს **წ ი ნ ა შ ე ჩ ე ე - ნ ს ა**“ (კ.გამსახ.). შენ, შემოგნატრიან ყოველი დედანი, **ვ ი თ ა - რ ც ა** დელოფალს და დედას ბედნიერს (გ.ბარ.). დავითი შევედრა ხელმორედა: „**წ ი ა ზ ე თ** ჩემი ტანისამოსი და დაშიზრუნეთ ხატე **ყ ო გ - ლ ა დ წ მ ი დ ი ს ა**, **რ ა თ ა** თანა **შ ა ქ ე ე ს** იგი ნუგეშის მცემად“ (ი.გოგებ.).

მაგრამ, როდესაც თანამედროვე ავტორი ან სხვა პიროვნება თვითონ ლაპარაკობს არქაიზმებით - ეს მოწონებას ვერ იმსახურებს, ეინა-ილან „არქაიზმების სიჭარბე, ისევე როგორც ყოველგვარი ხელოვნური სიტყვა, ამძიმებს სალიტერატურო ენასა და ხალხის მასებთანათვის ძნელად ვასაგებს ხდის. ამიტომ გამოჩენილი ეროვნული მოღვაწეები და დიდი მწერლები მუდამ იფარგდნენ ენას არასაპირო არქაიზმებისა და ნოგონილი სიტყვებისაგან. ამას მოწმობს სალიტერატურო ქართულის მრავალსაუკუნოვანი ისტორია“¹.

მეთხე ნაწილი

გრამატიკული სტილისტიკა

მორფოლოგიური სტილისტიკის საკითხები

§ 43. სიტყვების შერჩევა ფორმის მიხედვით

აზრის ზუსტად გადმოსაცემად საჭიროა სიტყვების შერჩევა არა მარტო ლექსიკური მნიშვნელობის, არამედ გრამატიკული ფორმის მიხედვითაც. ყოველ სალიტერატურო ენაში და მათ შორის ქართულში მოგვეპოვება რიგი გრამატიკული ვარიანტები, რომელთა ცოდნა საშუალებას აძლევს მოუბარს სათანადოდ შეარჩიოს ენის პარალელური გრამატიკული ფორმები, რომ უფრო ნაოფლი ვასაგები გახადოს გადმოსაცემი აზრი. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ე.წ. გრამატიკული სინონიმები.

გრამატიკული სინონიმებია ისეთი ენობრივი ფორმები, რომელნიც

¹ აღ.დლონტი - ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ.,

იხმარება პარალელურად, მაგრამ აზრობრივი ელფერის ზუსტად გადმოსაცემად ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში უპირატესობა ეძლევა რევილიმე ერთ მათგანს.

პარალელური ფორმები ენაში ზოგჯერ უარყოფითი მოვლენაა, ზოგჯერ კი - დადებითი. უარყოფითია მაშინ, როდესაც ისინი აცერხებენ სალიტერატურო ენის ერთიანი ნორმების დანერგვას, მართლმეტყველებისა და მართლწერის კულტურის ამოღებას, რადგანაც მათ შორის ერთ ფორმა თანადროული, მამასადაშიე, მართებულია, ხოლო მეორე - მოძველებული ან დიალექტური, ე.ი. თანამედროვე ენისთვის - მიზანშეწონილი. მაგალითად, შდრ.: გადაყვანილ იქნეს, გადაყვანილ იქნას, გადაყვანილი იქნას; უგნურება და უგნურობა; უპასუხებს და პასუხობს, ღვას და სღვას, ყუაცს და ყავს, გაათავისუფლა და გაანთავისუფლა; მოაწყვეს და მოაწყეს, ახორციელებს და ანხორციელებს და სხვ. ასეთ შემთხვევებში აღნიშნული ორი ფორმიდან უნდა დავიცვათ მხოლოდ ერთი, თანადროული, ე.ი. მართებული, მაგრამ, თუ პარალელური ფორმები სინონიმური მნიშვნელობისაა, მათი არსებობა გამართლებულია იმით, რომ აზრის გამოხატვისას აქვს სტილისტიკური მნიშვნელობა (მაგ., აზრობრივი ელფერის გამოხატვის, სხვისი შეტყველების სტილის ჩვენების და სხვ.). ზოგჯერ პარალელური ფორმები ენის განვითარების გარდამავალ საფეხურთან არის დაკავშირებული, როცა არსებული ფორმის გვერდით ჩნდება ახალი. ისინი გარკვეული დროის განმავლობაში ტოლფასოვანია, შემდეგ ახლან თანდათანობით განმტკიცებით ირრდილება წინანდელი ფორმა და ხმარებადნ გადაის, როგორც მოძველებული, ძალით კი ახალი რჩება. ვასათყაღისწინებელია ისიც, რომ პოეზიაში სხვა ფორმებმა შეინიშნება. აქ შეიძლება შედარებით მოძველებული ფორმები შეავხედეს.

პარალელურად არსებული ფორმების ერთმანეთთან შეუთავსებლობა განსაკუთრებით იგრძნობა მაშინ, როდესაც ასეთი სინონიმებისგან ერთი სტილისტიკურად მოსწონია, მეორე კი შეუსაბამო, შავალითად:

ჩვენ სოფელში ჩავედი კავშირის დაშყარებისთვის (უნდა იყოს დასამყარებლად).

I შენიშვნა: მიზნის გარემოება ძირითადად ორი ფორმით გადმოიკვება: ერთობლივად დასწერილ მყოფადის მიმღობითა და თვის თანდებლიანი საწყისით: მოსამოველად - მოპოვებისთვის; ზინა-შეშასშენელთან უშობესია ვიხმაროთ ერთობლივად დასწერილ ენებითი ვეარის მყოფადის მიმღობა: ჩავედი მოსამოვებლად; ნაზმნარი სახელით გადმოცემულ წევრთან კი დასაშეებია - თვის თანდებლიანი საწყისი, ისიც ზოგ შემთხვევაში: განხორციელებისთვის ბრძოლა, მებრძოლი;

ის ლექციის ჩატარების მიზნით ქარხანაში წავიდა (უნდა იყოს - ჩასატარებლად).

არღმორჩილებას ვერ იმეუნდა (უნდა იყოს - დაუმორჩილებლობას). ნებართვის გარეშე წავიდა (უნდა იყოს - უნებართვოდ ან ნებადაურთველად).

შვილისადმი სიყვარულმა გააბეღინა (უნდა იყოს - შვილის სიყვარულმა).

ყველაფერი ეუამზე, მაგრამ ვერ გამოგო (უნდა იყოს - ვერ გამოგო) და სხე.

გრამატიკული სინონიმები სამკვარია: მორფოლოგიური, მორფოლოგიურ-სინტაქსური და სინტაქსური.

მორფოლოგიური სინონიმები

მორფოლოგიური სინონიმები - ესაა მსგავსი გრამატიკული ფორმები, რომელთა შერჩევა ხშირად ხდება სტილისტიკური დანიშნულებით. სინონიმური ფორმები თითქმის ყველა მეტყველების ნაწილთან შეინიშნება, განსაკუთრებით კი არსებით სახელებთან, ზედსართავ სახელებთან, ნაცვალსახელებთან და ზმნებთან.

რადგანაც თანამედროვე გრამატიკაში მეტყველების ნაწილები მორფოლოგიაში განიხილება, აქ მოცემულია მათთან დაკავშირებული როგორც ფორმის შერჩევის, ისე სხვა სტილისტიკური საკითხებიც.

§ 44. არსებითი სახელის სინონიმური ფორმები

არსებითი სახელის ფორმებიდან სტილისტიკის თვალსაზრისით უმთავრესად საყურადღებოა შემდეგი: სუბიექტური შეფასების ფორმები, რიცხვის ფორმები, აგებულება.

1. სუბიექტური შეფასების ფორმები

ქართულში გვაქვს ე.წ. კნინობითი სახელები, რომლებიც იწარმოება სათანადო სართებით და საგანს გამოხატავენ დაპატარავებულად, მაგალითად, წიგნი - წიგნაჟი; სახლი - სახლაჟი; ნაწილი - ნაწილაჟი; მილი - მილაჟი; დიდი - დილაჟი.

სიპატარავეს გამოხატავს აგრეთვე უკბოლსართი, მაგ. ბუშტი - ბუშტუჟი, მაგრამ, საერთოდ, სიმცირის გამოხატველი გრამატიკული

ფორმები ქართულში ნაკლებად იხმარება. მათ ჩვეულებრივ ცვლის ადვირ-
თი ფორმა პატარა სიხლი, პატარა გორა, პატარა ბავშვი და სხვ.

ქართულში უფრო გავრცელებულია მოფერებისა და ადერსის გამოხე-
ცვლილ სარსები. მაგალითად, ჩემი დედა ახლა სოფელშია და ჩემი
დედა ახლა სოფელშია. ამ წინადადებებში გამოყენებული სიტყ-
ვები - დედა და დედაო ფორმის მიხედვით სტილისტიკური სინონიმებია.
ისინი ერთმანეთისგან განსხვავებულია აზრობრივი ელფერიით. მათ შორის
საწარმოებელი სიტყვა „დედა“ განეკუთვნება ნეიტრალურ ლექსიკას, ნა-
წარმოები ფორმა „დედაო“ კი სტილისტიკური დანიშნულებისაა. იგი გა-
მოსხატავს მოუბრის შეფასებითს და მოკიდებულებას სიტყვის საგნობრივი
მნიშვნელობისადმი. მსგავსი მაგალითებია:

ა: ისაკა, ეისკარა, სიმონა; გეთა, გოგია (საზოგადო სახელებთან
ა ჩვეულებრივ გამოხატავს სიმცირეს - დედოფალა, ქალა).

ი: ბესია, შოია, გოგია (საზოგადო სახელებთანაც მოფერებითი მნი-
შვნელობისაა: ბიძია, ძამია, დამია).

მსგავსი ფორმებისაა:

ილა: მამილა, დედილა; იკა: ანიკა, ცერიკა, ილიკა, ებლიკა;
საზოგადო სახელებთან: დაკა, ძამიკა, მამიკა, ბიძიკა; იკა: სი-
ნონიკა, ზურკა, ზალიკა; უკა: ანუკა, მამუკა, გლახუკა, ცხენუკა;
უნა: დათუნა, პაპუნა, გლახუნა; ბიჭუნა, აგუნა; უნა: დათუნა,
ციციუნა, ჩიტუნა; ელა: ზურიკლა, დოკიკლა, თამარიკლა და სხვ.

მოფერებაა ადერსის გამოსახატავად იხმარება საკუთარი სახელებ-
ის შეკვეთილი ფორმაც: კესა (კესარია), ევა (ევატერიანი), თინა
(თინათინი); ზინა (ზინაიდა); ზურა (ზურაბი), გერა (გერასიმე) და
ა.შ. ან კიდევ მიმართვისფორმისანი შეკვეთილი სახელები: ანდრო
(ანდრონი), დარო (დარიონი), თეკო (თეკლი), ელო (ელისაბედი), მაკო (მა-
კრინე); დათო (დავითი), დიტო (დიმიტრი). აქ მიმართვის ფორმა ფუძე-
სთანაა შეზრდილი.

შენიშვნა: სიმცირის გამოხატვითი ფორმა შეიძლება ზედსართავ
სახელსაც ახლდეს, მაგალითად: პაწაწა, პაწაწინა, ცუგრუმელა და სხვ.

სინონიმით სარტები იხმარება აგრეთვე დაცინვისა და დამცირების
გამოსახატავად. მაგალითად: კაკუნა, ბიჭუნკელა, გოგუნკუნა და ა.შ.
ეს ნათლად ჩანს ადამიანთა რვა საკუთარ სახელებშიც, რომლებიც წინათ
სოკიალურ უთანასწორობასაც გამოხატავდნენ. მაგალითად, თუ თავად
დავითი ერქვა, გვებს ეძახდნენ არა დავითს, არამედ დათუას, დათი-
კელას ან დავითას. თუ ლუარსაბ თათქარძის ძმას ერქვა დავითი, გა-
ბროს ბატონიშვილს - დათიკო („გლახის ნაამბობში“), ლუარსაბ თათქა-
რძის ძმას კი ერქვა დათო.

ე. ნინოშვილის ნაწარმოებებს ვმირს მენჯაძეს ეწოდება კაცია,

ხოლო ბესაროონ გაბაშვილის (ბესიკის) პოემის გმირს თავად დადინს კაცი. ა. ერისთავ-ხოშტარიას რომინის ერთგვარი მოქმედი პირია ოქრო, ხოლო ე. წინოშვილის ნაწარმოებში მოქმედი პირი არის გლეხი ოქრუა უნათლოშვილი. თუ მეფეს ერქვა სვიმონი, ე.წინოშვილის ნაწარმოებში დავით ღრუიძესთან დაპირისპირებულ გლეხს სიმონა ჰქვია. ასე იყო ყოველდღიურ სიტყვათხმარებაში ივანე - ი ვ ა ნ ი კ ა, ' ი გ ა ნ . ი ა, გ ა ნ ი ა, ე ა ნ უ ა და სხვ.მრ.

„ერთი ღა იგივე სიტყვა სხვადასხვა კლასის ენაში სხვადასხვა იერს, მნიშვნელობას იღებს. კლასი აამჟიარებებს თავის დამოკიდებულებას მეორე კლასის მიერ ხმარებული სიტყვებისადმი“¹. ასეთ დამოკიდებულებას გამოხატავენ არა მარტო საწარმოებელი სართები, არამედ ინტონაციათ.

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში, სადაც ანტაგონისტური კლასები არ არსებობენ, ზემოთ აღნიშნული კინოზოიით ფარმები იხმარება მხოლოდ მოფერების ან აღერსის გამოსახატავად, ზოგჯერ კი - პიროვნების დამცირების, აბურად აგლების დანიშნულებითაც დაბალი კულტურის ადამიანის მიერ.

2. რიცხვის ფარმები

რიცხვის მიხედვით არსებითი სახელები ერთმანეთისგან განირჩევა ორი სახით: ლექსიკურად და გრამატიკულად. ერთი მხრით გვაქვს:

აღამიანი - ხალხი, გლეხი - გლეხობა, მარცვალა - მარცვლეული, მცენარე - მცენარეულობა, მეორე მხრით კი: აღამიანი - აღამიანები, გლეხი - გლეხები, მარცვალა - მარცვლეები, მცენარე - მცენარეები, პირველ მაგალითებში საგანთა სიმრავლე გამოხატულია ლექსიკურად, მეორეში კი - გრამატიკულად, ე.ი. სართების ანუ ფარმების საშუალებით. გრამატიკული რიცხვი ორი სახისაა: მხოლოებითი და მრავლობითი. მხოლოებით რიცხვს არა აქვს გრამატიკული ნიშანი, მრავლობითს აქვს. სახელთა მრავლობითობას გამოხატავენ ბოლოსმარტები - ებ, ნ და თა. ამის შედეგად გვაქვს შემდეგი მორფოლოგიური სინონიმები: ქალაქი - ქალაქები, თხზულებანი - თხზულებები, კაცთა - კაცებმა, მოსწავლეთა - მოსწავლეებს, ამხანაგთა - ამხანაგების... (ზმნებზე მრავლობითობა აღინიშნება ბოლოსმარტებით: ეს, ენ, ნ, ან). ეს გრამატიკული ფარმები სტილისტიკისთვის საინტერესოა მხოლოდ შენაცვლების დეაქსაზრისით (მაგალითად, მხოლოებით რიცხვის ფარმის გამოყენება მრავლობითის მნიშვნელობით და, პირიქით, მრავლობითის ფარმისა - მხოლოებითად) ერთი და იმავე ფარმების განმეორების თავიდან ასაცილებლად და სხვ.

¹ ე. თაყურია - ქართული ენა, განაკვ. I, 1932, გვ.12.

მხოლობითი რიცხვი მრავლობითის მნიშვნელობით

მხოლობითში დასმული არსებითი სახელი მრავლობითის მნიშვნელობით იხმარება:

1) როცა ის განზოგადებულად გამოხატავს ერთნაირ საგნებს ან მოვლენებს:

ფოთლების ნაცვლად ფოთლი, ნაძვების ნაცვლად ნაძვი, მგლების ნაცვლად მგელი; მკითხველების ნაცვლად მკითხველი, მუშების ნაცვლად მუშა და ა.შ. მაგალითად, შდრ.: ფოთლი ვარდება (ნიშნავს ერთ ფოთლს) და ფოთლი ცვივა (აქ ფოთლი ნიშნავს ფოთლებს). მსგავსი მაგალითებია: ნაძვი კარგად ხარობს მთაგორიან მშრალ ადგილებში. მგელი ბინადრობს ტყეში. მკითხველი კარგად აფასებს მ.ჯაფარიძის „არსენა მარბდელს“. მუშა ახლა ქარხანაში 7 საათს მუშაობს. მასწავლებელი ყველაზე საყვარელია.

მიმართვის დროსაც გვაქვს ასეთი მაგალითი:

დ ე ა ე | ისმინე ქართლის ვედრება;
ისე აღზარდე შენ შეილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,
უკან პირებს კვალი განათლებული

(ი.ჭავჭავ., „ქართლის დედას“.)

2) როცა მას ეკისრება კრებითობის მნიშვნელობის გამოხატვა:

ცხვარი ფერდობზე აეთრად იყო შეფენილი (ცხვარი აქ ნიშნავს ფარას), გარეული ღორი ჯგუფ-ჯგუფად გვხვდებოდა (ღორი ე.ი. ღორების კოლტი).

3) როცა იგი გამოყენებულია წყვილი საგნების აღსანიშნავად:

გამოეთ ხ ე ლ ი დაიბანოთ (აქ ხელი ნიშნავს ორივე ხელს), როგორც კი თ ე გ ა ლ ი გაახილა, სიმღერა წამოიწყო, ნიკო ფ ე - ხ ი თ მოვიდა. ფ ე ხ ს ა ც მ ე ლ ი იყიდა. შადის წ ი ნ დ ა ე ე ბ ა.

4) მსგავსი შემთხვევაა, როდესაც მრავლობითში დასმული სახელის ნაცვლად ვიყენებთ. მხოლობითში დასმულ კრებით სახელს, მაგ.: ადამიანები - ხალხი, ცხვრები - ფარა, ძროხები - ნახირი, ცხენები - რეშა, ჯოჯი, ფრინველები - გუნდი, თევზი - თევზიერი; სტუდენტები - სტუდენტობა, მოსახლეები - მოსახლეობა, გლეხები - გლეხოება, მასწავლებლები - მასწავლებლობა... ასევე უცხო სიტყვებიც: პროლეტარები - პროლეტარიატი, ბურჟუები - ბურჟუაზია, ინტელიგენტები - ინტელიგენცია, დემოკრატები - დემოკრატია, არისტოკრატები - არისტოკრატია და სხვ.

მრავლობითი რიცხვი მხოლობითის მნიშვნელობით

მრავლობითი რიცხვის ფორმა მხოლობითის მნიშვნელობით უმთავრესად ნაცვალსახელებისა და ზმნების ხმარებისას შეინიშნება. არსებით სახელებში გვხვდება მხოლოდ ორიოდე შემთხვევა:

1) რუსა სიტყვა მრავლობითია, მაგრამ მრავლობითობის გაგება არა აქვს. ასეთი არსებითი სახელებია: კურსები, არდადეგები, ბარდები. ასევე საკუთარი გოგრაფული სახელებიც: ბაგები, მოწამეთა, კურსები უკვე გაიხსნა, არდადეგები დაიწყო და სხვ.

2) რადესაც რომელიმე ტიპის აღსანიშნავად ადამიანის საკუთარი სახელი ჯაისმის მრავლობითში, მაგალითად: ლუარსაბები, დავითები, თინათინები და ა.შ.

3) რადესაც მხოლობითში დასმული კრებითი სახელის ნაცვლად გიყენებთ მრავლობითში გამოყენებულ არსებით სახელს, მაგ.:

ხალხი - ადამიანები, ფარა - ცხვრები, გუნდი - ფრინველები.

4) ან კიდევ, რადესაც მხოლობითში დასმული რთულფორიანი სახელის ნაცვლად გიყენებთ მრავლობითში დასმულ სახელს:

დედ-მამა - მშობლები.

5) თუ უნაკრეტული სახელის მნიშვნელობით ცხმართ ამსტრაქტულ სახელს: დეობა - დეობები. ჯაობა - თაობები, სიმავრე - სიმავრეები, სიმადლე - სიმადლეები, სიძენლე - სიძენლეები და ა.შ.

მორფოლოგიური სინონიმებია აგრეთვე:

1. მიმართვის ფორმები:

მთაო! - მთავ! მზეო! - მზევე! სამშობლო! - სამშობლო!

2. თანდებუიანი სახელები:

ამხანაგისგან - ამხანაგისაგან, ძმისგან - ძმისაგან, წიგნზე-დაც - წიგნზეც; სახლშიც - სახლშიაც; დედისთვის - დედისათვის; ღამებრ - ღამისებრ; სოფლისკენ - სოფლისაკენ; ქალაქამდე - ქალაქამდის და სხვა.

მრავლობითობის გრამატიკული ნიშნებიდან ამჟამად სახელებში გაერთილებულია ებ. იგი ნეიტრალური სტილისტიკური ფორმაა, ნარჩაანინანი მრავლობითი კი თანამედროვე ქართლისთვის არქაულია, მაგრამ იგი ისეთი არქაიზმია, რომელიც უერთობით სალიტერატურო ენაში უმთავრესად იხმარება სტილისტიკური დანიშნულებით, მას ჩვეულებრივ იყენებენ როგორც ძველის მკვთარ ფერებში ასასახავად, ისე წინადადებაში ფორმათა განმეორების თავიდან ასაცილებლად. მას შესაძენ სიკეთვე მიეწერება: სიტყვას წარმოგვიდგენს მოკლედ, რაც ხშირად დიდ უპირატესობას ანიჭებს პოეზიაში. საერთოდ, პოეზიაში ხშირად ნარჩაანინანი მრავლობითი უფრო გამართული ფორმაა, ვიდრე ებიანი, როგორც მარცვალთა რაოდენ-

ნობის სიმუცრის გამო, ისე ემოციურად ექსპრესიულობის მხრივაც. მაგალითად, ა.მ. გორკის ერთერთი ნაწარმოების სახელწოდება თარგმნილია ასე: „მდაბიონი“ და არა „მდაბიოები“ იმიტომ, რომ პირველი ფორმა უფრო მოქნილია, სხარტი და უფრო ღამაზადაც უღერს. ამ ფორმითა სტილისტიკური სხვაობა უფრო მეტწილად ჩანს პოეზიაში, მაგ.:

მოებსნა ყ უ რ თ ა თითქო სიძნელე, სმენად ბუნების მერყველებისა.

მეწვიენენ იგი უხუ ბ ი ღ ვ ა ნ ი, ს ა ვ ს ე ნ ი ღბენით, ნეტარებითა (ი.ჭავჭავიძე).

ახალი სალიტერატურო ენის დიდ ჯომავს - ილია ჭავჭავაძის თამამად შექმნილ „უროთა“-ს ნაყვლად ეხმარა „ურობს“ და ეს ლექსის რიტმს არ დაარღვევდა, მაგრამ, ჩანს, ავტორმა თანინანი მრავლობითის ფორმა არჩია, რომ უფრო ექსპრესიულად გამოეხატა დასახელებული სიტყვის მნიშვნელობა. მსგავსი მაგალითებია:

მის გარეშემო შევნიღუნენ მ თ ა ნ ი - და მათ ფ ე ბ თ ა ქვეშ თურგოც გააყუფდა (იქვე).

არც გრამატიკულად და არც სტილისტიკურად არ არის გამართლებული სახელის მრავლობითობის გამოსახატავად ორმაგი მრავლობითი ფორმის გამოყენება, მაგალითად:

ჩა ნახოს კეთილ უგრძობმან ტრფობისა ძნელთა ზირებთა, ვის არ შეეხო ეშხი გულს, არ ებრძვის გულის წყლულებთა? (გ.ორბ.).

დაახლოებით იგივე ითქმის ღრახის აგების სიღამაზის თვალსაზრისით შემდეგი სახის ფორმითა შეწყობის შესახებაც:

სტუდენტთა საქმეების მდივანი ან სტუდენტების საქმეთა მდივანი არ იფარგებდა, რომ ეს მრავალფეროვნება ერთფეროვნებით შეგვიყვება და ებ საართის განმეორების შედეგად გვეთქვა:

სტუდენტების საქმეების მდივანი.

მეტწილად ასეთივე სტილისტიკური დანიშნულებისაა სხვა შორ-ფლოგიური სინონიმებიც.

3. აგებულება

აგებულების მიხედვით სტილისტიკისთვის განსაკუთრებით საინტერესოა რთულფორმიანი სიტყვების პარალელური ფორმები და მათი შინაველუბა საჭიროების მიხედვით, მაგალითად: დედამამა - დედა და მამა, და მამა - და და მამა, ფარახმალ - ღარი და ხმალ (რადესაც ეს სიტყვები ცოცხალი, აქტიური საგნების აღმნიშვნელია, წინადადებაში ისინი სხვა-დასხვა რიგებში შეიწყობენ შემასმენელს: დედამამა ეხოურობს, მაგრამ

დედა და მამა ცხოვრობენ). რთულუძიანი სიტყვების დაყოფით უფრო ექსპრესიულად გადამოიყვება აზრი მათი მონაცდევლობა განსაკუთრებით პოეზიაში შეინიშნება.

სიტყვების შენაცვლება აგებულების მიხედვით უფრო მეტად შესაძლებელია ზედსართავ სახელებსა და მიმღებებში.

ერთუძიანი არსებით სახელებსაც შეიძლება ენაცვებოდეს რამდენიმე სიტყვით გამოხატული სახელწოდება. ასეთ შემთხვევაში ძირითად სიტყვას ჩვეულებრივ ახლავს მსაზღვრელი სიტყვა, მაგალითად: ყაქი - აბრეშუმის პარკი, ადამიანი - ძე ხორციელი, ზინა - საეზოვრებელი ადგილი, სარდალი - ჯარების უფროსი, ქონება - სარჩო-საბაღებელი, ახალგაზრდობა - მოზარდი თაობა და სხვ. ან შეიძლება ენაცვებოდეს რთულუძიანი სახელი, მაგ.: აბჯარი - თოფიარადი, ბარგო - გუდა-ნაბადი, სანოვაგე - სასმელ-საჭმელი, ქალი - დედაკაცი, სურვილი - გულისთქმა და სხვ.

4. განყენებული ცნების გამომხატველ არსებით სახელთა სინონიმური ფორმები

განყენებული ცნების გამომხატველი არსებითი სახელები, რომლებიც იწარმოება ობა და ება სარტებით, ზოგჯერ ერთეულ ერმანეთში: ობა-თი საწარმოებელს ება-თი აწარმოებენ ან, პირიქით. მაგალითად, ამზობენ და წერენ: ღმობიერება - ღმობიერობა, უცნაურება - უცნაურობა, გამოსახულება - გამოსახულობა, მყუდროება - მყუდროობა და სხვ. ეს პარალელური ფორმები არაერთმარ შინაარსობრივ სხვაობას არ გამოხატავენ, ამიტომ საკითხი დანისნის ასე: რომელია მათ შორის სწორი და, მაშასადამე, სტილისტიკურადაც გამართლებული? გასარჩევად უნდა გამოვიყენოთ შემდეგი წესები: 1. თუ განყენებული სახელი ნაწარმოებობა არსებითი სახელისგან ან მიმღებობისგან, მაშინ უნდა ეიხმართ ბოლოსართი ობა და არა - ება, მაგალითად: ძმა-ძმობა, გმირი-გმირობა, ამხანაგი - ამხანაგობა; ზრდილი - ზრდილობა, შედგენილი - შედგენილობა, დაძაბული - დაძაბულობა.

2. ხოლო თუ განყენებული სახელი მიღებულობა ზედსართავი სახელისგან, მაშინ საჭიროა ბოლოსართი ება და არა - ობა¹, მაგალითად: წესიერი - წესიერება, მშენიერი - მშენიერება, ბედნიერი - ბედნიერება, ძლიერი - ძლიერება და ა.შ. ამ წესების მიხედვით უნდა შეირჩეს ორნაირი ფორმით ხმარებული სახელებიც. მაგალითად, სიტყვე

1 აკ.შანიძე - ქართ.გრაფ.საფუძვლ., I, თბ., 1953, გვ.131-133.

თან: ღმობიერი, კადნიერი, ზომიერი, წესიერი, მშვენიერი და სხვ., როგორც იერ საართო ნაწარმოებზე ზედსართავ სახელებთან, უნდა გიხმაროთ ება და არა ობა. ამიტომ უნდა იყო: ღმობიერება, კადნიერება, ზომიერება, ბედნიერება, წესიერება, მშვენიერება (და არა: ღმობიერობა, კადნიერობა, ზომიერობა...).

ზედსართავი სახელებია აგრეთვე ურ ბოლოსართო ნაწარმოები სიტყვები: უგნური, უძლური, უწმინწური, უბედური და სხვ. ესენიც, რასაკვირველია, უმჯობესია ვაწარმოოთ ება და არა ობა ბოლოსართით: უწმინდურება, უგნურება, უძლურება, უწმინწურება, უბედურება (და არა: უწმინდურობა, უგნურობა, უძლურობა, უწმინწურობა, უბედურობა, თუმცა ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ღორმა ამჟამად ძალუმიად იკაფავს გზას საღიტურატურო ენაში. მაგალითად, ღვეს ბუნებრივია ასეთი წარმოებაც: უკაყურობა, უხერხულობა, უპირულობა).

მაგრამ უ- სართებით ნაწარმოები ზედსართავი სახელებისგან განუყენებელი არსებითი სახელები ობა ბოლოსართო იწარმოება, მაგ.: უკვალ - უკვალობა, უბილობა, უკანონობა, უკურადღებობა, უთვისტო-მობა, უმწიკველობა, უძილობა, უსამართლობა და სხვ. (აქ ორი თ იყო მისაღიდელო, მაგრამ ერთი დაკარგულია). ხმარობენ ასეთ ფორმებსაც: უმსგავსოება, უშიშროება, უსაზღვროება, ურწმუნოება, უსაფრთხოება, ურჯულება, უთანხმოება და სხვ., მაგრამ ამასთან შედარებით ობა ფორმიანი ურჯურობით უფრო სწორი ჩანს: უმსგავსობა, უშიშროობა, უსაზღვროობა, ურწმუნობა, უსაფრთხოობა, ურჯულობა, უთანხმოობა.

როგორც აკ. შანიძე აღნიშნავს, ვნებით გუარის მიმღება საზოგადოდ ობა=ს მიიღებს (ჭირლობა, გატეხილობა, დაწერილობა, დადგმულობა, დაძაბულობა, ზრდილობა და სხვ.), მაგრამ ძველი ქართულიდან მომდინარე ფორმებში ება=ე გვხვდება: განკარგულება, განხე-
თქილება, ხელშეკრულება, განოსახლება, შობაბჭვილება და სხვ.

5. ბრუნვათა ფორმების ომონიმური მნიშვნელობა

წინადადებაში ზოგიერთი არსებითი სახელის ფუნქცია რამდენიმე ბრუნვაში არა ფორმით, არამედ მხოლოდ მნიშვნელობით გამოიყენება. ეს ბრუნვებია - სახელობითი, მიუეშითი და ნათესაობითი. მაგალითად, სახელობითში დასმული სახელი კ ა ც ი ერთ შემთხვევაში გამოხატავს მოქმედ საგანს ანუ ქვემდებარეს, მეორე შემთხვევაში - სამოქმედო საგანს ანუ დამატებას.

წინადადებაში - კაცი მოვიდა - კ ა ც ი მოქმედი საგნის აღმ-
ნიშნულია, მაგრამ ასეთ წინადადებაში - კაცი მოიყვანეს - იმავე
სახელობითში დასმული სახელი კ ა ც ი სამოქმედო საგნის გამო-
ხატველია.

ხმოვანუკვეციელი არსებითი სახელები: შაღვა, პეტრე, ანდრო,
დურუ, გიორგი მიცემითსა და ნათესაობითში ერთნაირი ფორმისაა: შა-
ღვას, პეტრეს, ანდროს, დურუს, გიორგის. წინადადებაში - შაღვას გა-
შვავინა - შაღვას მიცემითში დასმული მოქმედი საგნის აღმნიშნულია,
შაღვას გაუგავინეს - შაღვას მიცემითში დასმული სამოქმედო საგნის
გამომხატველია; ე ს შ ა ღ ვ ა ს წ ი გ ნ ი ა - შაღვას ნათესა-
ობითში გამოყენებული განსაზღვრებაა; ე ს შ ა ღ ვ ა ს გ ა გ -
ზ ა ვ ნ ი ლ ი ა - შაღვას ნათესაობითში გამოყენებული უბრალო და-
მატებაა. იგივე იტქმის სხვა ხმოვანუკვეციელი როგორც საკუთარი, ისე
საზოგადო არსებითი სახელების შესახებაც.

აქვე შეიძლება დავასახელოთ ვითარებითი და მოქმედებითი ბრუნ-
ვების მსგავსების შემთხვევათ, მაგალითად, ზეპირ მტკვრელებაში მო-
ქმედებითი ბრუნვის ნიშანი თ (თუ მასთან ი არ ვიხმარებ) და ვითა-
რებითისა და წარმოთქმით ერთნაირია (თ), მხოლოდ წერის დროს არის
ისინი ერთმანეთისგან გარჩეული.

ე.ი. როგორც, საერთოდ, ომონიმური სიტყვების, ისე ამ ფორმების
მნიშვნელობათა გარკვევა შესაძლებელია მხოლოდ კონტექსტის საშუალო-
ბით.

5. არსებითი სახელთა თანდებუიანი ფორმები

გამატოკაში ცნობილია, რომ, როდესაც ზე, ში, თან თანდებულები
დაერთვის ზ, შ და თ ბევრებით დაბოლოებულფორმის სახელებს, სიტყვა-
ში იხმარება ორი ზ, შ და თ: კოვზი - კოვზზე, ხაში - ხაშში,
კუთი - კუთთან. სტილიტიკის თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში საინ-
ტერესოა მხოლოდ თანდებუიანი სახელების სწორად ხმარების საკითხი
საკავშირო და კავშირიანი შეერთების დროს შერწყმულ წინადადებაში.
სწორ ფორმებად ითვლება შემდეგი:

1) უკავშირო შეერთებისას ზე, ში, თან თანდებულები ჩამოთვლისას
სახელებს უნარჩუნდებათ, მაგალითად:

მიცემითში: შაკიდაზე, თაროზე წიგნები ეწყა.

სახელში, ეზოში, ბუერი ხაღვი იყო.

ბებიასთან, ბაბუასთან ხშირად დავდიოდი.

ასევეა ნათესაობითსა და მოქმედებითში. ნათესაობითში: მას

დიდი პატივი უცია ამხანაგებისთვის, მეზობლებისთვის. ყოველთვის ტკბილი სიტყვა ესმოდა დისგან, ძმისგან. ქარხნისკენ, სკოლისკენ ერთი გზა მიდიოდა.

მოქმედებითში: მოხუცი თაგის სახლში ცხოვრობდა შვილითურთ, რძლითურთ.

2) და კავშირით შეერთების დროს ორთანდებუდიან სახელს შორის თანდებულ დაერთვის მხოლოდ მომდევნო სახელს, წინა სახელი კი თანდებულის ნაცვლად დაირთავს ბრუნვის გაერკობილ ფორმას, მაგალითად: მიცემითში: მაგადასა და თაროზე წიგნები ეწყო.

სახლსა და ეზოში ბევრი ხაღხი იყო.

ბებიასა და ბაბუასთან ხშირად დავდოილი.

ნათესაობითში: მას დიდი პატივი უცია ამხანაგებისა და მეზობლებისთვის. ყოველთვის ტკბილი სიტყვა ესმოდა დისა და ძმისგან, ქარხნისა და სკოლისკენ ერთი გზა მიდიოდა.

მოქმედებითში: მოხუცი თაგის სახლში ცხოვრობდა შვილითა და რძლითურთ.

3) როდესაც და (ან თუ) კავშირის წინ მოცემული ერთზე მეტი სახელი, სტილისტიკურად უპირატესობა თანდებუდიან ფორმას ეძლევა, ე.ი უნდა იყოს ასე:

მიცემითში: გაგრაში, ბიჭვინთაში, გუდაუთაში, ათონსა და სოხუში, შესანიშნავი დასასვენებელი სახლებია აგებული.

ნათესაობითში: მანანასთვის, რუსიკოსთვის, ნათიასა და სოფიკოსთვის ბებიას ბევრი ჩურჩხედა უკონდა შენახული.

მოქმედებითში: ის დებიურთ, ძმითურთ, ცოლითა და შვილებითურთ და ესწრო ფონტელი მღვობრის ქორწილს.

ასევე იქნება სხვა თანდებულებთანაც.

ამიტომ და (ასევე თუ) კავშირის წინ დასმული სახელების უთანდებულად გამოყენება დასაშვები არ არის, ე.ი. არ ვარგა, როდესაც წერენ ასე:

მიცემითში: გაგრასა, ბიჭვინთასა, გუდაუთასა, ათონსა და სოხუში შესანიშნავი დასასვენებელი სახლებია აგებული.

ნათესაობითში: მანანასა, რუსიკოსა, ნათიასა და სოფიკოსთვის ბებიას ბევრი ჩურჩხედა უკონდა შენახული.

მოქმედებითში: ის დებიითა, ძმითა, ცოლითა და შვილებითურთ დაესწრო ფონტელი მღვობრის ქორწილს.

4) ერთზე მეტმარცვლიანი თანდებულები: შუა, შორის, მიერ, გამო, გარდა, მიმართ ცალკე იწერება და ჩამოთვლილ სახელებთან იხმარება ერთხელ, ბოლოს, ბრუნვის გაერკობილი ნიშანი კი დაერთვის მხოლოდ და კავშირის წინა სახელს:

მთასა და დაბლობს შუა, კოჯორსა და ენგურს შორის, დებისა და ძმების მიერ, გაცდენისა და დაგვიანების გამო და სხვ.

ასევე უკავშირო შეერთების დროსაც:

ნათესავენებს, მეზობლებს, ამხანაგებსა და მეგობრებს შუა.

დების, ძმების, დეიდებისა და მამიდების მიერ და სხვ.

ე.ო. იქ, სადაც და კავშირი არ არის, ჩამოთვლილი სახელები.

უთანდებულად და ბრუნვის გაუვრცობელი ნიშნით იხმარება.

5) როდესაც ჩამოსათვლელ სახელებს სხვადასხვა თანდებული აქვთ, მაშინ მათ ეს თანდებულები უნარჩუნდებათ, როგორც უკავშირო, ისე და კავშირით შეერთებისას, მაგალითად:

გაზაფხულზე, ზაფხულში აქ ერთნაირად ცხელა.

ან ასე: გაზაფხულზე და ზაფხულში აქ ერთნაირად ცხელა.

თაროზე, კარადაში ბევრი წიგნი ეწყობ.

ან ასე: თაროზე და კარადაში ბევრი წიგნი ეწყობ.

6) ასევე როგორც უკავშირო, ისე და კავშირით შეერთებისას სახელებს ერთნაირად უნარჩუნდებათ თანდებული, როცა იგი ახლავს სახელბითში (ვით), ეითარებოთსა (მდე-მდის) და მოქმედებითში (ვან) ღანმულ სახელებს. მაგ.:

ძაღლივით, მგელივით ყმულა - ძაღლივით და მგელივით ყმულა. თბილისიდან, ქუთაისიდან ბევრი მოსალუცი დეპეშა მიიღო - თბილისიდან და ქუთაისიდან ბევრი მოსალუცი დეპეშა მიიღო. სოფლამდე, მის სახლამდე ყოველდღე მანქანა დადიოდა - სოფლამდე და მის სახლამდე ყოველდღე მანქანა დადიოდა.

7) ვით თანდებული იხმარება მიუეშითთან და სახელბითთან, მიუეშითთან იხმარება მაშინ, როდესაც სახელი ხმოვანფუძიანია; დედა - დელასავით, კდე - კდეასავით, ურ - ურასავით, ბუ - ბუსავით, ჩაი - ჩაისავით.

მაგრამ თანხმოვანფუძიან სახელებს იგი სახელბითში დაერთვის: კაი - კაივით, ბაეშვივით, ლმივით, კურდღელივით. მისი პარადღურ მიუეშითბრუნვიანი ლრმაა: კაცსავით, ბაეშვსავით, ლმსავით, კურდღელსავით, მაგრამ ეს მოძველებულია და ამის გამო ამჟამად უპირატესობა პირველს აქვს.

§ 45. ზედსარდავი სახელის სინონიმური ფორმები

I. ხარისხის ფორმები

სტილისტიკის თვალსაზრისით, ზედსარდავი სახელებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხარისხის ფორმები, რომლებიც საგნის ნიშანშეცვლას გამოხატავენ ნაკლები ან მეტი ოდენობით.

ქართულში ძირითადი ზედსარდავისგან გრამატიკულად იწარმოება ორი ხარისხი: **ო დ ნ ა მ ბ ი თ ი და უ ფ რ ო მ ბ ი თ ი**.

ოდნობითი ხარისხის საწარმოებლად იხმარება სარდავი **მო-ო**, მაგალითად: წითელი - მოწითალო, მწვანე - მომწვანო, დიდი - მოდიდო, წვრილი - მოწვრილო, მწარე - მომწარო და სხვ. ოდნობითი ხარისხის ფორმა იხმარება მაშინ, როდესაც გამოსახატავია საგნის ნიშანშეცვლა ძირითად მნიშვნელობასთან მიახლოებით.

უფროებით ხარისხს აწარმოებს **უ-** ეს სარდავი, მაგალითად: წითელი - უწითლესი, მწვანე - უმწვანესი, დიდი - უდიდესი, წვრილი - უწვრილესი, მწარე - უმწარესი და ა.შ.

უფროებითი ხარისხის ფორმა მეტი ოდენობით გამოხატავს საგნის ნიშანშეცვლას. ამრიგად, **მო-ო** და **უ-**ეს სარდავით საწარმოები ხარისხის ფორმები გრამატიკული ფორმებია. საგნის ნიშანშეცვლის გამოხატვა ქართულში შეიძლება აგრეთვე **ა დ წ ე რ ი თ ი ფ ო რ მ ი თ ა ც ე**, რომელიც ოდნობითი ან უფროებითი ხარისხის გრამატიკული ფორმის პერიფრაზული სინონიმია.

აღწერითი ფორმით გადმოიყვამ რაგორც ოდნობითი და უფროებითი, ისე აღმატებითი ხარისხიც. ამ შემთხვევაში ძირითად სიტყვას დაერთვის სათანადო ზმნიზებები: ოდნავ, უფრო, ძალიან, ძლიერ, მეტად, ფრიად და ზე თანდებულრიანი სახელები, მაგ., ყველაზე, მასზე, კაცზე და სხვ. მათ შორის ოდნავ თუფრო, ოდნავ მეტად, ოდნავ მსხვილი - გამოხატავენ ოდნობითი ხარისხის მნიშვნელობას; უფრო კარგი, უფრო ლამაზი, უფრო დიდი ... ასევე - მასზე კარგი; სხვაზე მეტად, კეთილზე კეთილი და სხვ. - უფროებითი ხარისხის მნიშვნელობისა; ძალიან კარგი, ძლიერ კეთილი, მეტად ლამაზი, ფრიად მნიშვნელოვანი - აღმატებითი ხარისხის მნიშვნელობის აღწერითი ფორმებია, რომლებიც ქართულში გრამატიკულად არ გამოიხატება.

სტილისტიკურად ოდნობითი და უფროებითი ხარისხის გრამატიკული ფორმა უფრო ბუნებრივი და ექსპრესიული ჩანს, ვიდრე მათი შესატყვისი აღწერითი ანუ პერიფრაზული ფორმები, ამიტომ ხმარებისას მათ შორის უპირატესობა უნდა მიეცეს გრამატიკულ ფორმას. მაგალითად: უფრო წითელი=ს ნაცვლად უნდა გიხმაროთ უწითლესი, უფრო ლამაზი=ს ნაცვლად

ულამაზესი, ოდნავ თეთრის ნაცვლად - მოთეთრო, ოდნავ წიცილ-ის ნაცვლად მოწითალო, მაგრამ, როცა ზედსარდავი სახელისგან გრამატიკულად არ იწარმოება ხარისხის ფორმა, მაშინ, რასაკვირველია, აღწერილი ფორმა უნდა გამოვიყენოთ, მაგალითად: წელი - უფრო წელი, ეარტისი - უფრო ეარტისი, სველი - უფრო სველი, ჩემი - უფრო ჩემი, გულცივი - უფრო გულცივი და სხვ. ასეთი ფორმები განსაკუთრებით ხშირად გვაქვს მიმდებარებთან, მაგალითად: კეთილი - უფრო კეთილი, ცნობილი - უფრო ცნობილი, მომხიბლავი - უფრო მომხიბლავი, მიმზიდველი - უფრო მიმზიდველი, ხელგაშლილი - უფრო ხელგაშლილი და ა.შ. ამ შემთხვევაში ეს ფორმები უფრო შედარების გამოსახატავად იხმარება, ციფრე ხარისხისა.

იგივე ითქმის ოდნაობით ხარისხის გრამატიკული ფორმის შესახებაც. მაგალითად, ისეთ სიტყვებთან, როგორცაა: წელი, წყნარი, ეარტისი, წარმტაცი, ცნობილი, მიმზიდველი, განწმელბული, გულუხვი და სხვა, მიახლოებითი თვისების აღსანიშნავად მხოლოდ აღწერილი ფორმა გამოიყენება, მაგ.: ოდნავ წელი, ოდნავ წყნარი, ოდნავ მიმზიდველი (ოდნავის ნაცვლად ზოგჯერ ცრტა=საც ხმარობენ) და ა.შ.

ხარისხის ფორმის ხმარებისას ხშირად შეინიშნება უხეში სტილისტიკური შეცდომები, რომლებიც უმთავრესად გამოწვეულია ხარისხის გრამატიკული ანუ ორგანული და აღწერილი ფორმების აღრევიით. მაგალითად, ამბობენ ან წერენ:

უმცროსი უფროსზე უფრო უკეთესი მოსწავლე იყო. უნდა იყოს ან უკეთესი მოსწავლე იყო (ე.ი. უფროობითი ხარისხი მხოლოდ გრამატიკული ფორმით გამოხატული), ან - უფროსი უკეთესი მოსწავლე იყო (ხარისხი, გამოხატული მხოლოდ აღწერილი ფორმით).

ამრიგად, როდესაც ხარისხის გრამატიკულ ფორმას მივმართავთ, მაშინ დამატებით აღწერილი ფორმის გამოყენება დაუშვებელია და პირიქით, აღწერილი ფორმისთან ხარისხის გრამატიკული ფორმა უხეში სტილისტიკური შეცდომაა.

ასევე უნდა იყოს ზე თანდებულიან ფორმებთანაც. ზე თანდებული დერთვის არა იმ სიტყვას, რომელიც ძირითადად აღნიშნავს თვისებას, არამედ იმას, რასთანაც ხდება შედარება. მაგალითად:

იმ საღამოს ყველაზე უკეთესი იყო მოცეკვავეთა ჯუნდის გამოსვლა; თინათინი ყველაზე უკეთესი იქნა იყო; მათ შორის ყველაზე უფრო დიდი წარმატება პეტონდათ ჩვენებს:

და არა: იმ საღამოს ყველაზე უკეთესი იყო მოცეკვავეთა ჯუნდის გამოსვლა; თინათინი ყველაზე უკეთესი იქნა იყო; მათ შორის ყველაზე უფრო დიდი წარმატება პეტონდათ ჩვენებს, - რადგანაც სიტყვა ყველაზე უფრო თანდებულად მიუთითებს უფროობით ხარისხზე, მაგრამ ეს მუორე ეარიანტი ზოგ შემთხვევაში მართებულია. მაგალითად, როდესაც შედარება ან დაპირის-

პირება მარტივი ან შერწყმული წინადადებით არის გადმოსაცემი, მაშინ სტილისტიკურად უმჯობესია გამოვიყენოთ უფროზიითი ხარისხის გა-
მარტივლი ფორმა, მაგალითად:

1) ეს ქსოვილი მ ე ო რ ე ე უ კ ე თ ე ს ი ჩანს.
უმეტროსი და უფროს დ ა ზ ე ე უ ლ ა მ ა ზ ე ს ი იყო.

2) ყ ვ ე ზ ა ე ე უ კ ე თ ე ს ი ხელსაწყო ძმას დაუტოვა,
უარესი კი თვითონ წაიღო.

როდესვე წყობილ წინადადებაში შედარება დაპირისპირებისას
უფრო ბუნებრივი აღწერიითი ფორმაც, მაგალითად:

ეს ქსოვილი უ ფ რ ე კ ა რ გ ი ჩანს, ციფრე მუორე.
(და რა: ეს ქსოვილი უ კ ე თ ე ს ი ჩანს, ციფრე მუორე).

მარტივ წინადადებაში, უთუოდ, ასე აჯობებდა:

ეს ქსოვილი მ ე ო რ ე ე უ კ ე თ ე ს ი ჩანს.

ხარისხის მნიშვნელობის გამომხატველად შეიძლება ჩაითვალოს ფიქ-
გაორკვეთული ზედსარჩავერ სახელებიც, მაგალითად: მადლამადლი

(ე.ი. საკმაოდ მადლი), დაბალადაბალი, ღამაზაღამაზი, შვეშავი;
ის მადლამადალი, ყმაწვილი იყო. ეზოში შემოვიდა ღამაზაღამაზი
გოგონა და სხე., მკვარაშ ესენი არ უნდა ატვეროს ისეთ განმორე-
ბულფიძან ზედსარჩავე სახელებში, რომლებიც სიმრავლეს აღნიშნავენ,
მაგ.: წითელაწითელი (ე.ი. მრავალი წითელი), ყვითელაყვითელი, პა-
ტარაპატარა;

აივანი წითელაწითელი ყვავილებით იყო მოჩაუდი. შორიდან პატარა
პატარა სახლები ჩანდა. შეიძლება ერთი და იგივე ასეთი სიტყვა ორი-
ვე მნიშვნელობადაც იხმარებოდეს, მაგ.: ეზოში შემოვიდა ღამაზაღამა-
ზი გოგონა და ეზოში შემოვიდნენ ღამაზაღამაზი გოგონები. პირველ
წინადადებაში სიტყვა ღამაზაღამაზი განეკუთვნება ერთ პირს და გა-
მომხატავს საკმაოდ ღამაზს; მეორე წინადადებაში განსაზღვრავს მრავალ
პირს და აღნიშნავს მრავალ ღამაზს.

ხარისხი გამოიხატება ზმნიშვიდითაც, როდესაც იგი ნაწარმოებია
სხვადასხვა ხარისხის ზედსარჩავე სახელისგან. ამ შემთხვევაშიც
გვაქვს პარალელური ფორმები - ორგანული და აღწერიითი, მაგალითად,
ტკბილად - უტკბესად // უფრო ტკბილად
ბედნიერად - უბედნიერესად // უფრო ბედნიერად
ვივიანად - უვივიანესად // უფრო ვივიანად
ერთგულად - უერთგულესად // უფრო ერთგულად
წითლად - უწითლესად // უფრო წითლად
გვაქვს განსხვავებული ფიქსიგან მიღებული ფორმაც:
ყარგად - უყითესად // უფრო ყარგად

მათ შორის უფროზიითი ხარისხის პირველი (ე.ი. ორგანული) ფორმა
უმეტესად იხმარება შედარების გარეშე; ის სოფელში უ ბ ე დ ნ ი ე -

რ ე ს ა დ თელიდა თავს (თუშუა შეიძლება ასედაც იყოს; ის სოფელში
მ ა ს ზ ე უ ბ ე დ ნ ი ე რ ე ს ა დ თელიდა თავს, ე.ი. გამოცხად-
დავდეს შედარებას), მეორეს (აღწერილ ფორმას) კი ხმარობენ შედარე-
ბისას; ის სოფელში უ ფ რ კ ბ ე დ ნ ი ე რ ა დ თელიდა თავს,
ე ი დ რ ე მისი ძმა.

აღმატებითი ხარისხის მნიშვნელობა ზმნიზედითაც მხოლოდ აღწე-
რითი ფორმით გამოიხატება: ძალიან ტკბილად (ან - ძალზე ტკბილად),
ძალიან კარგად (ან - ძალზე კარგად) და სხვ.

უფროებითი ხარისხის ფორმა „უკეთესად“ შეკვეცილი სახითაც გვხვ-
დება - „უკეთ“. არც ამ უკანასკნელთან არის მიზანშეწონილი „უფრო“
სიტყვის გამოყენება. მაგალითად, არ არის სწორი, როდესაც წერენ
ასე: უ ფ რ კ უ კ ე თ რომ ასწავლონ (გაზ „სახ.გან.“). აქ ორგა-
ნული წარმოებაც ვუპქვს და აღწერილობაც, გამოდის ტაქტოლოგია. ნამდვი-
ლად კი ან ერთი უნდა იყოს გამოყენებული, ან მეორე, ე.ი. ასე:
უ კ ე თ რომ ასწავლონ ან ასე: უ ფ რ კ კ ა რ გ ა დ რომ ასწა-
ვლონ.

ხარისხის მნიშვნელობა გამოიხატება აგრეთვე ზოგიერთი ზმნისწი-
ნითაც, როდესაც დაერთვის როგორც ზმნებს, ისე ნაზმნარ სახელებს და
გადმოსცემს ოდნაობითის (ანუ ოდნაობითის) შინაარსს.

ოდნაობითის აღსანიშნავ უმთავრესად გამოიყენება ზმნისწინები
- მო, შე, წა, წამო, მაგალითად:

1) მოწრუბა (ე.ი. ოდნავ მოსება. შდრ. - შეწრუბა), მოიზარდა,
მოკენიბა, მოკიკნა, მოჰუბრა.

2. შეთბა (ე.ი. ოდნავ გათბა. შდრ. - გათბა), შეთხელდა, შეწით-
ლდა, შეაღამაზა, შეაკეთა.

3. წაჰკრა (ე.ი. ოდნავ გაჰკრა. შდრ. - გაჰკრა), წატრუსა, წა-
ტეხა, წაიშუშავა, წაილიღინა:

4. წამოიზარდა (ე.ი. ოდნავ გაიზარდა. შდრ. - გაიზარდა), წამოი-
ხარა, წამოიტირა, წამოიჩიტა.

იგივე მოვლენა გვაქვს ნაზმნარ სახელებთანაც:

მოკვენება, მოკვენებლი; შეწითლება, შეწითლებული; წატეხა; წა-
ტეხილი; წამოიჩიტება, წამოიჩიტებული და სხვ.

I ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. აკ. შანიძე - ქართული გრამატიკის
საფუძვლები, I, თბ., 1953, გვ. 143-266. თ. ზურაბიშვილი - ხარისხის
ქართული ენებში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ.
67, გვ. 137. ვ. კორღანაშვილი - ზმნასა და სახელმწიფანასთან ხარის-
ხის წარმოების საკითხისათვის. ტურნ. „ქართული ენა და ლიტერა-
ტურა სკოლაში“, №4, 1973, გვ. 65.

2. გარეგნულად მსგავსი ზედსართავი სახელების ხმარების შესახებ

ზოგიერთი ზედსართავი სახელი გარეგნულად, ე.ი. ბგერათა შედგენილობით, ძალიან ჰგავს მეორე ზედსართავ სახელს, რის გამოც ხშირად ხდება მათი ერთმანეთში აღრევა. განსაკუთრებით ეს ითქმის რიგ უცხო სიტყვებზე, რომლებიც მსგავსი ძირისაა, ერთი და იგივე მებრუნებლის ნაწილია, საწარმოო აფიქსებიტაც ერთნაირია, მაგრამ განსხვავებულია ფონისა და მნიშვნელობის მიხედვით. ასეთი ზედსართავი სახელებია: სოციალური (საზოგადოებრივი) და სოციალური (სოციალიზმის პრინციპებიდან გამომდინარე); დიპტიკური (ე.ი. კუთხური) და დიპტიკური (დიპტიკიკაზე დაყრდნობა) და სხვ.^I

მათი ერთმანეთში აღრევა უხეში სტილიზტიკური შექცევაა, რაც იწვევს წინადადების აზრის უცნაურად დამახინჯებას. ამიტომ საჭიროა კარგად დაკვირვება იმაზე, თუ რა სიტყვისგან არის იგი ნაწარმოები, მაგალითად, რომ - სოციალური ნაწარმოებია სოციალისტური, სოციალური - სოციალისტური - სოციალისტური; დიპტიკური - დიპტიკური; დიპტიკური - დიპტიკური და ა.შ.

ზოგორც ვხედავთ, ასეთ პარონიმებს შორის გარეგნული სხვაობა უმნიშვნელოა, მაგრამ შინაარსობრივად ისინი სულ სხვადასხვა სიტყვებია, ამიტომ საჭიროა კარგად ეგზრძნობდეთ მათ შორის განსხვავებას და შევეცდეთ მიზანშეწონილად, უშეცდომოდ გამოყენება.

3. ერთი და იმავე თვისების გამოხატვა სხვადასხვა აზრობრივი ელფერი

I. მიმართებითი ზედსართავი სახელის ზოგიერთი საწარმოებელი საართო სინონიმიურია. მაგალითად, ასეთებია ქალების გამოხატველი ზედსართავი სახელების საწარმოებელი ნიშნები - იან, ოსან და ოვან. ისინი აწარმოებენ რა ერთი და იმავე არსებითი სახელისგან მიმართებით ზედსართავ სახელებს, გამოხატავენ ან განსხვავებულ აზრობრივ ელფერს, ან კიდევ სხვადასხვა შინაარსს, მაგალითად: სახელიანი ნიშნავს სახელის მქონეს, მაგრამ სახელუვანი - კარგი სახელის მქონეს, დაფასებულს. მსგავსი რვაგალითებია: ვერიანი - რასაც ფერი აქვს, ფეროვანი - კარგი

I უფრო კრულად იხ. პარონიმები.

ფერისა, ღატაფა, ძალიანი - ძალის მქონე, ძაღვანი - ღონიერი, ძლიერი, გულიანი - გულის მქონე, გულოვანი - გულადი, მამაყი, კდნიანი - კდლის შემცველი, კდლოვანი - კდლებიანი ადგილი.

მსგავსი მოედნა შეინიშნება იან და ოსან სარაების ხმარების დროსაც, მაგალითად: ცხენიანი - ცისაც ცხენი ჰყავს, ცხენოსანი - ცინც ცხენით ღადის, მხედარი, ორდენიანი - ცისაც ორდენი აქვს, ორდენოსანი - ცინც ორდენით არის დაჯილდოებული, ცინც ორდენს ატარებს; წვერიანი - წვერის მქონეს; წვეროსანი - წვერის მატარებელს და ა.შ. ამრიგად, იან, საერთოდ, გამოხატავს ყოლაქონებას, ოსან და ოვან - ოსანამე მატარებელს. მათი მიზანშეწონილად შეჩვენა და გამოყენება საჯაროზობლად განასხევეებს მიმართებით ზედსართავ სახელებს ერთმანეთისგან. მაგ., შდრ.: ის ცხენიანი კაცია და ის ცხენოსანი კაცია, ის უკვე სახელიანი ბავშვია და ის უკვე სახელოვანი ბავშვია.

ზოგ შემთხვევაში აღნიშნული ქონების სარაები ერთი და იმავე ფუძიდან სხვადასხვა შინაარსის სიტყვებსაც აწარმოებენ, მაგალითად: ხელოსანი აღნიშნავს ხელობის მცოდნეს, მაგრამ ხელოვანი - ხელოვნების კაცს; მანდილიანი - მანდილის მქონეს, ცისაც მანდილი ახურავს, მანდილოსანი - ოჯახიან ანუ დაოჯახებულ ქალს; ხუთიანი - ნიშნავს ხუთს, მაგრამ ხუთოსანი - მას, ცინც ხუთებზე სწავლებს. ასეთვე განსხევეებული ფორმები იყო ფეხიანი და ფეხოსანი, მაგრამ ამჟამად ფეხოსნის ნაცვლად ქვეითი იხმარება. ზოგჯერ სამი ვარიანტიც გვხვდება ერთი და იმავე სიტყვის წარმოება:

ძალიანი - ძაღვანი - ძალოსანი. ძალიანი - ე.ი. ძალის მქონე, ძაღვანი - ძლიერი, ღონიერი, ძალოსანი - სპორტსმენი - სიმძიმის ამწევი.

ამ სარაებით მიღებულია აგრეთვე ზოგი გეოგრაფიული (ადგილის აღმნიშვნელი) სახელწოდებაც, რომელიც უკვე არსებით სახელად არის ქვეული. ასეთი სახელწოდებებია:

მუხიანი, ნუკრიანი, ბაკურიანი; ზემო ბროლოსანი; დელოვანი, ცაშლოვანი, ქვედა ჰილოვანი და სხვ. იანით ადამიანთა გვარებიცაა ნაწარმოები: ორბელიანი, ყიფიანი, რატიანი და ა.შ.

სტილისტიკის თვალსაზრისით, განსხევედებიან აგრეთვე ა და იან სარაებით ნაწარმოები ქონების აღმნიშვნელი ზედსართავი სახელებიც:

რვაფეხა - რვაფეხიანი, დიდყურა - დიდყურიანი, ცაღვალა - ცაღვალაიანი, პერანგა - პერანგაიანი, შავტარა - შავტარიანი, გრძელწვერა - გრძელწვერიანი და სხვ. ამ ორ ფორმას შორის პირველი მუარესთან შედარებით გამოხატავს მუდმივ თვისებასა და ექსპრესიულბას.

გვაქვს მიმართებითი ზედსართავი სახელების ასეთი პარადღული

ფორმებიც: საშეცნიერო - მცენიერული, სამეგობრო - მეგობრული, სა-
 ვაჟკაცო - ვაჟკაცური, საგუნდო - გუნდური, საკვიმბლო - კვიმბლო, სა-
 სასოფლო - სოფლური, საავტო - ავტოური, სათემო - თემური, სა-
 ბიოგრაფიო - ბიოგრაფიული, საისტორიო - ისტორიული, საექსპერიმენტო
 - ექსპერიმენტული, საარქიტექტორო - არქიტექტორული, საპოლემო -
 პოლემიკური და სხვ., რომელთა შორის პირველი ფორმა ნაწარმოებია სა-
 თაობათშორის, მეორე - ურ ბოლოსათვის.

პირველი დანიშნულების გამოშვებებია, მეორე კი - თვისებისა.
 მათი შერჩევა დამოკიდებულია კონტექსტის შინაარსზე, მაგალითად:
 საშეცნიერო ნიშნავს მცენიერებისთვის განკუთვნილს, მცენიერული კი
 მცენიერული ხასიათისას. დაწესებულების შესახებ უნდა ვთქვათ საშე-
 ცნიერო დაწესებულება (და არა: მცენიერული დაწესებულება), ე.ი.
 დაწესებულება განკუთვნილი მცენიერებისთვის; ხოლო შრომის შესახებ
 კი - მცენიერული შრომა (და არა: საშეცნიერო შრომა), ე.ი. შრომა
 მცენიერული ხასიათისა. მათი აღრევა წინადადებაში იწვევს აზრის სი-
 ზუსტის დარღვევას. მაგალითად: საამხანაგო შეიძლება იყოს კაცი, მე-
 ურნობა, თანხა, მშენებლობა, საღარო, ნაკვეთი და სხვა, ამხანაგური
 კი - დამოკიდებულება, შრომა, გართობა, დახმარება, სასამართლო და
 სხვ. ასევე: საისტორიო მწერლობა, წყაროები, სარბიელი, მასალა; ისტო-
 რიული - პიროვნება, ადგილი; პოემა, წარსული, ძეგლი, მოვლენა, ფაქ-
 ტები, განვითარება და სხვ.

მაგალითად, აქმა - ს ა ი ს ტ ო რ ი ო ა დ გ ი ლ ე ბ ი ისე-
 თიკე სტილისტიკური შეცდომია, როგორც ი ს ტ ო რ ი უ ლ ი წ ყ ა -
 რ ო ბ ე ი .

წარმოქმნილ ზედსართავ სახელებში პარადიღური ფორმები გვაქვს
 იან და ად სართებით წარმოების დროსაც, მაგალითად: გულიანი - გუ-
 ლადი, ტანიანი - ტანადი, თვლიანი - თვლადი, პურიანი - პურადი,
 ფერიანი - ფერადი და სხვა, მაგრამ ესენი განსხვავებული მნიშვნე-
 ლისაა: გულიანი ნიშნავს იმას, რასაც გული აქვს, გულადი კი -
 გაშბედავს, უშიშარს; ტანიანი - რასაც ტანი აქვს, მაგ., დიდტანიანი
 - დიდი ტანის მქონე, მაგრამ ტანადი - მოხდენილი, შესახებდავად
 ღამაზი ტანისა და ა.შ.

ასევე სტილისტიკურად გარჩეულია ერთმანეთისგან ასეთი სახის
 ფორმიანი ზედსართავები: მადლიანი - მაღლიერი, წუთიანი - წუთიერი,
 ხნიანი - ხნიერი, ძალიანი - ძლიერი, განიანი - განიერი; სახიანი
 - სახიერი და ა.შ. მადლიანი ნიშნავს მადლის მქონეს, მაღლიერი
 კი - კმაყოფილს, მას, ვინც მადლობის გრძნობისაა. მადლიანი კაციათ
 - რომ იტყვიან - ეს ნიშნავს კეთილს, მოწყალეს, მაგრამ, როცა ვამ-

ბოზი - მადლიერი კაცია - ეს იმას ნიშნავს, რომ კაცი კმაყოფილია რაიმე სასიამოვნო საქმის გამო.

მსგავსი მაგალითებია: საჯნური - საჯნობრივი, ტომური - ტომობრივი, კლასური - კლასობრივი, წიგნური - წიგნობრივი და სხვ., მაგრამ ამ პარალელურ ფორმებში, რომლებიც შინაარსობრივად ერთმანეთისგან არ განსხვავდება, უპირატესობა მეორე ფორმას უნდა მიეკუთვნებოდეს (საჯნობრივი და არა - საჯნური).

ზედსართავებში: თბილისური - თბილისელი, სოფლური - სოფელი, იმერული - იმერელი, ამერიკული - ამერიკელი და ა.შ. პირველი ფორმა იხმარება არადადამიანთა წარმომავლობის იდენიფიკაციად, მეორე კი - ადამიანთა წარმომავლობის გამოსახატავად.

მხოლოდ რამდენიმე სიტყვაა ურ-უღიით ნაწარმოები, რომლებიც ადამიანის მიმართაც იხმარება. ეს სიტყვებია: გურული, პარტიული, აქაური, იქაური, შინაური და სხვ.

მიმართებითი ზედსართავი სახელების პარალელურ ფორმებია აგრეთვე უარყოფითობის გამოთხატველი უ - ი ან უ სართებით ნაწარმოები და არა ნაწილაკით ანუ უფიქრი სახელები:

უიმილო - არასაიმილო, უწესო - არაწესიერი, უგანო - არაგანიერი, უღირსი - არაღირსი, უსრული - არასრული, უსწორო - არასწორი, უკანონო - არაკანონიერი, უგეგმო - არაგეგმიანი, ულაგო - არალაგოკური და სხვ.

ზოგი პარალელური ფორმა მნიშვნელობით არ განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითად: უსრული - არასრული, უკანონო - არაკანონიერი, ზოგი საგარეობლად განსხვავებული აზრობრივი იერის გამოთხატველია, მაგ.: უნახავი და არნახული, უიმილო და არასაიმილო (შდრ.: უიმილო მდგომარეობა შეიქნა და არასაიმილო მდგომარეობა შეიქნა, ზოგი კი მეორესთან შედარებით სტილისტიკურად უფრო ბუნებრივი ჩანს, მაგ.: უგანო, უღირსი, უგეგმო; არასწორი უფრო ბუნებრივი სიტყვებია, ვიდრე არაგანიერი, არაღირსი, არაგეგმიანი; უსწორო. ისიც შეინიშნება; რომ ზოგჯერ ერთი სიტყვა მეორესთან შედარებით შერბილებული მნიშვნელობისაა: არაწესიერი უფრო მორიდებულად გამოხატავს თავის შინაარსს, ვიდრე უწესო (შდრ.: ის იმ საღამოს ა რ ა წ ე ს ი ე რ ი უ რ ა დ ი ი ქ ე უ დ ა და ის იმ საღამოს უ წ ე ს ლ დ ი ქ ე უ დ ა) ან ერთი უფრო ძლიერად გამოხატავს მნიშვნელობას, ვიდრე მეორე, მაგ.: უ ნ ა ხ ა ე ნ ი და ა რ ნ ა ხ უ ლ ი. ეს უკანასკნელი უფრო ეფემერული მნიშვნელობისაა (შდრ.: მონადირის თვალწინ უ ნ ა ხ ა ე ნ ს უ რ ა დ ი გ ა დ ი ი შ ა ლ ა და მონადირის თვალწინ ა რ ნ ა ხ უ ლ ი ს უ რ ა დ ი გ ა დ ი ი შ ა ლ ა).

ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ ასეთი პარალელური ფორმები ყოველთვის ერთ და იმავე სახელთან არ იხმარება. ეს დამოკიდებულია ისახსნელ სიტყვაზე. მაგალითად, წინადადებაში: ღვეს მას დიდი ხნის

უ ნ ა ხ ა ვ . ძ მ ა ე წ ვ ი ა - ს ი ტ ყ ვ ა ს თ ა ნ ძ მ ა უ ნ ა ხ ა ვ ი ს
ნ ა ც ე ლ ა დ მ ს ა ნ ა ე კ რ ე ლ ი ა რ ნ ა ხ ა ხ უ ლ ი ა რ ა ბ ა უ ნ ე ბ რ ი ვ ი ო ქ ნ ე ბ ი დ ა .

შინაარსობრივად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან წინათვითარების
გამომხატველი ზედსართავი სახელები, რომლებიც იწარმოება ნ ა - ა რ
(აღ) და ნ ა - ე ვ ს ა რ თ ე ბ ი თ : ნ ა ქ ა ლ ა ქ ა რ ი - ნ ა ქ ა ლ ა ქ ე ვ ი , ნ ა ც ი ხ ა რ ი -
ნ ა ც ი ხ ე ვ ი , ნ ა ს ო ფ ლ ა რ ი - ნ ა ს ო ფ ლ ე ვ ი , ნ ა ე ნ ა ხ ა რ ი - ნ ა ე ნ ა ხ ე ვ ი , ნ ა -
ბ ო ს ლ ა რ ი - ნ ა ბ ო ს ლ ე ვ ი , ნ ა ტ ყ ვ ი ა რ ი - ნ ა ტ ყ ვ ი ე ვ ი , ნ ა ს ი ძ ე ვ ა რ ი - ნ ა ს ი -
ძ ე ვ ი , ნ ა ც ო ლ ა რ ი - ნ ა ც ო ლ ე ვ ი და ს ხ ვ . , მ ა გ რ ა მ ო ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ქ ა რ თ უ ლ ი
ასეთი პარალელური ფორმებიდან უფრო გავრცელებულია ნ ა - ა რ ფორმიანი
ზედსართავები .

სტილისტიკურად ერთმანეთისაგან განსხვავებულია ასეთი ტიპის ზედ-
სართავი სახელები :

1. დათვური - დათვისებური - დათვისებრი, მგლური, მგლისებური -
მგლისებრი . . .

2. უსაქმო - უსაქმური; უგონო - უგნური; უსახო - უსახური; უფა-
სო - უფასური და სხვ. მაგ. : უსაქმო ერთდროული თვისების გამოხმა-
რებელია, უსაქმური კი - მუდმივი თვისებისა :

უ ს ა ქ მ ო ვ ა ნ ო ბ ა ვ შ ე ვ ე ბ ს ე თ ა მ ა შ ე ბ ო დ ა - ნ ი შ ნ ა ვ ს ე ა ნ ო ს
ს ა ქ მ ე ა რ შ ე ო ნ დ ა და ბ ა ვ შ ე ვ ე ბ ს ე თ ა მ ა შ ე ბ ო დ ა , მ ა გ რ ა მ ო წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა :
უ ს ა ქ მ უ რ ი ვ ა ნ ო ბ ა ვ შ ე ვ ე ბ ს ე თ ა მ ა შ ე ბ ო დ ა - გ ე ვ ე ბ ნ ე ბ ა , რ ო მ
უ ქ ნ ა რ ა ვ ა ნ ო , ე . ო . ღ რ ო ს რ ო მ ყ ო ე ე ლ ო ვ ი ს უ ქ მ ა დ ა ტ ა რ ტ ე ბ ს , ბ ა ვ შ ე ვ ე ბ ს
ე თ ა მ ა შ ე ბ ო დ ა . ა ს ე ვ ე :
უ გ ო ნ ო ა რ ი ს გ ო ნ ი ს ა რ ა მ ქ ო ნ ე ; უ გ ნ უ რ ი - ბ რ ი ყ ვ ი , ს უ ლ ე ლ ი .
უ ს ა ხ ო - ს ა ხ ი ს ა რ ა მ ქ ო ნ ე ; უ ს ა ხ უ რ ი - უ ლ ა მ ა ზ ო .
უ ფ ა ს ო - ფ ა ს ი ს ა რ ა მ ქ ო ნ ე , უ ს ა ს ყ ი დ ლ ო ; უ ფ ა ს უ რ ი - ფ ა ს დ ა კ ა რ გ უ ლ ი ,
უ ბ რ ა ლ ო .

უქონლობის ზედსართავის პირველი ფორმის საწარმოებელი სარბე-
ბია უ-ო, მეორისა - უ - უ რ . არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც ეს
ფორმები შინაარსობრივად სავსებით განასხვავებდნენ ერთმანეთისგან
ერთი და იმავე ძირისაგან წარმოებულ სიტყვებს. მაგალითად: უ მ ა -
დ რ ნ ი შ ნ ა ვ ს ი მ ა ს , ვ ი ს ა ე მ ა დ ა ა რ ა ა ქ ე ვ ს , უ მ ა დ უ რ ი კ ი - მ ა ს ,
ვ ი ნ ე ვ ი ს ი მ ე მ ა დ ლ ს , ს ი კ ე თ ე ს ა რ ა ფ ა ს ე ბ ს , ვ ი ნ ე ვ ი ს ი მ ე (რ ი ს ი მ ე) მ ა -
დ ლ ი ე რ ი ა რ ა რ ი ს . ა ს ე ვ ე : უ წ ი გ ა ნ ო - ე . ო . ი ს , ვ ი ს ა ე ვ ი წ ი გ ა ნ ი ა რ ა
ა ქ ე ვ ს , ხ ო ლ უ წ ი გ ა ნ უ რ ი - ვ ი ნ ე ვ ი რ ა - ყ ო თ ხ ვ ი ს უ ც ო დ ი ნ ა რ ი ა ,
უ ე რ ი ა .¹

ასეთი ფორმები და შინაპარსობრივი სხვაობა მიმღობასთანაც და აღნიშნული სახელებიდან ნაწარმოებ ზმნიზედებთანაც შეინიშნება (მაგ.: საკვლეო - კვლევიანი, სააღმზრდელო - აღმზრდელობითი, უსრული - არასრული, უნახავი - არნახული, გაუგონარი - არგაგონილი, დაუნახავი - არდანახული, უცოდინარი - არამცოდნე, უსრულად - არასრულად, უნახავად - არნახულად, უწუნოდ - უწუნრად და სხვ.).

4. ზედსართავი სახელების რთულფორმანი ფორმები

რთულფორმანი სახელები სხვა სახელებისგან გამოირჩევა არა მარტო აგებულებით, არამედ ემოციურ=ექსპრესიულითაც. ამის გამო ასეთ სიტყვებს გარკვეული სტილისტიკური მნიშვნელობა აქვთ მიუხედავად იმისა, ფორმალურკვებული, სინონიმური თუ სხვადასხვა მნიშვნელობის ფორმებისგან არის შედგენილი. ემოციურ=ექსპრესიულით განსაკუთრებით გამოირჩევა სამი ჯგუფის კომპოზიტები: ფ უ ძ ე ზ ა მ რ კ ე ე ე ბ უ ლ ი, ს ი ნ ო ნ ი მ უ რ ი და ა რ ტ ო ნ ი მ უ რ ი მნიშვნელობის რთულ-ფორმანი ზედსართავი სახელები, მაგ.:

ფორმალურკვებულია: ახალ=ახალი, ღამაზ=ღამაზი, წითელ=წითელი, მადალ=მადალი, ფრად=ფრადი, ცხელ=ცხელი...

სინონიმური მნიშვნელობისაა: დარბ=დატაკი, ობერ=ტიადი, შიმ-ველ=ტიტველი, აღალ=მართალი...

ანტონიმური მნიშვნელობისაა: დიჯ=პატარა, უმცროს=უფროსი, ტკბილ=მწვარე, აგ=კარგი...

ისინი ხშირად გვხვდება ცოცხალ მეტყველებასა და მხატვრულ ლიტერატურაში.

§ 46. რიცხვითი სახელის სინონიმური ფორმები

რიცხვითი სახელი განყენებული ცნების გამომხატველი მეტყველების ნაწილია. იგი კონკრეტული მნიშვნელობისაა მხოლოდ მაშინ, როდესაც გამოყენებულია მსახფვრელად (მაგ. შდრ.: ბუთი და ბუთი სტუდენტი).

რიცხვითი სახელის ჯგუფებია: რაოდენობითი (ერთი, სამი, შვიდი, ათი, ოცი, ასი...), რიგობითი (პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, ოცდამეხუთე...), წილობითი (ნახევარი, მესამედი, მეხუთედი, ოცდამეათედი...), გაურკვეველი რიცხვის აღმნიშვნელი (ბევრი, მრავალი,

(კრტა), კრებილობის გამოხატველი (ათეული, ე.ი. ათი ცალისგან შემდგარი ერთეული, ათიანი - ათის შემცველი ერთეული, ათივე - თვით ათი).

ე) ჯგუფები ხშირად იხმარება სინონიმებად, მაგალითად:

1. რაოდენობითი რიცხვითი სახელი იხმარება ცალკეული საგნების რაოდენობის აღსანიშნავად (ერთი, ხუთი, ოცი, ასი), კრებითი კი - საგანთა სიმრავლის ერთობლიობის გამოსახატავად (სამივე, სამეული). ორივე გამოიყენება არსებითი სახელის მნიშვნელობით, მაგალითად:

აქ მუშაობდა ხუთი კაცი - აქ მუშაობდა ხუთი გოგონი
 ოცი ჯარისკაცი ქარხანას იყავდა - ოცი კაცი
 ქარხანას იყავდა.

პირველ მაგალითებში რიცხვითი სახელი გამოხატავს ცალკეულ მოქმედ საგანთა რაოდენობას, მეორეში - მოქმედ საგანთა ერთიანობას ანუ ერთობლიობას.

ხელში ეჭირა ასი მანეთი - ხელში ეჭირა ასიანი (ასმანეიანი).

ამ მაგალითებში რაოდენობითი და კრებითი სახელები გამოყენებულია სინონიმებად. ისინი იხმარება როგორც მსახლერულ-ბადა, ისე დამოუკიდებელი საგნობრივი მნიშვნელობითაც, მაგალითად:

სამი სტუდენტი გამოყვას აბარებდა - სამი გამოყვას აბარებდა,
 სამივე გამოყვას აბარებდა,
 სამეული გამოყვას აბარებდა.

სამივე სტუდენტი გამოყვას აბარებდა - სამივე გამოყვას აბარებდა.

უკანასკნელი ფორმა მანძი გამოიყენება, როდესაც კონტექსტის მიხედვით ჩანს, ვინ არის ეს სამივე - სტუდენტი თუ სხვა ვინმე.

ათეული, ოციული, ასეული და სხვ., როგორც აღვნიშნეთ, არსებითი სახელის მნიშვნელობით გამოიყენება: ათეული სადარჯოზე იდგა, ოციული შეძვევისთვის ემზადებოდა, ასეული ფიქს იღებდა, მაგრამ, როდესაც ეს სახელები არსებით სახელს მსახლერულად ახლავს, მაშინ რაოდენობით რიცხვით სახელთან შედარებით იგი იღებს განსხვავებულ შინაარსობრივ იერს, მაგალითად: ათეული წლების მანძილზე - ნიშნავს მრავალი წლის მანძილზე.

2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი გადატანით მნიშვნელობისაა, როდესაც ხმარობენ სკოლაში უკანასკნელის საზომის მნიშვნელობით, მაგალითად: რუსუდანმა მათემატიკაში ხუთი მიიღო, რუსუდანმა მათემატიკაში ხუთიანი მიიღო.

3. არსებითი სახელის მნიშვნელობით გამოიყენებულ რიცხვითი

სახელები მრავლობითი რიცხვის ნიშანსაც დაირჩავენ, მაგ.:

ხუთი - ხუთები, ათიანი - ათიანები.

იტყვიან: ხუთზე: დაიწერა ან ბევრი ხუთი დაიწერა.

მაგარამ სრულებით არ არის საჭირო მრავლობითობის ნიშანი მსაზღვრელად ან ცალკე გამოყენებულ რაოდენობის რიცხვით სახელთან, რადგანაც ამ ნიშნით მისი მნიშვნელობა არ იცვლება. მაგალითად, უნდა იყოს: ხუთი მეგობარი, ოცი მოსწავლე; ცხრა ძმას, ასი კაცი. და არა: ხუთნი მეგობარნი, ოცნი მოსწავლენი; ცხრადა ძმათა, ასთა კაცთა. ასევე: ორი მოვიდა, სამი იქ დარჩა და არა: ორნი მოვიდნენ, სამნი იქ დარჩნენ. ასევე უნდა იყოს: სამივე ერთად მუშაობდა და არა: სამნივე ერთად მუშაობდნენ ან სამივენი ერთად მუშაობდნენ. ძალაში რჩება ფორმა ე რ თ ნ ი, ე რ ტ ნ ი, რაფხსაც ისინი ნაცვალსახელის მნიშვნელობით იხმარებიან და კრებითობას გამოხატავენ, მაგ.: ერთნი ადასტურებდნენ, მორჩენი უარყოფდნენ (ნიშნაცს ზოგნი ადასტურებდნენ, სხვანი უარყოფდნენ).

4. რაოდენობითი რიცხვითი სახელების სინონიმებად იხმარება აგრეთვე ორის (ორი შეერთებული საგნის) აღმნიშვნელი სიტყვები: წყვილი, ტყუპი, უღელი, მაგალითად: წყვილი ფეხსაცმელი, ტყუპი კაცი, უღელი ხარი და მისა. წყვილი ფეხსაცმელი, უღელი ხარი ერთზე მეტია, მაშინ ამბობენ: ორი წყვილი, სამი წყვილი... ორი უღელი, სამი უღელი და ა.შ. რაც შეეხება ტყუპს - ეს სიტყვა იხმარება ერთი დედისგან ერთდროულად არა მარტო ორი, არამედ ორზე მეტი ნაშვირის აღსანიშნავად, ამიტომ ორი ტყუპი, სამი ტყუპი და მისა. გამოთქმებში ორი=ს ხმარება ზედმეტი ჩანს, გინაიდან ტყუპი თავისთავად გამოხატავს ორ ცალს.

5. არსებითი სახელის მნიშვნელობით იხმარება წილობითი რიცხვითი სახელებიც (ნახევარი, მესამედი, მეხუთედი...) და რიგობითიც (პირველი, მეორე, მესამე...): ნახევარი სახლი ძმის იყო - ნახევარი ძმის იყო, ან: სახლის ნახევარი ძმის იყო; მესამედი ნაკვეთი ბოსტანს ეჭირა - მესამედი ბოსტანს ეჭირა; ან: ნაკვეთის მესამედი ბოსტანს ეჭირა; მეხუთედი თანხა რბლებს მოახმარა - მეხუთედი ობლებს მოახმარა; ან: თანხის მეხუთედი ობლებს მოახმარა... პირველი ბავშვი ხუთოსანია, მეორე ბავშვი - თხთოსანი - პირველი ხუთოსანია, მეორე - თხთოსანი.

6. სინონიმებად გამოიყენება რაოდენობითი რიცხვითი სახელის შემდეგი ჯგუფები - გ ა რ კ ვ ე უ ლ ი (ათი, ოცი, ასი, ათასი...) და გ ა უ რ კ ვ ე ე ლ ი (ბევრი, მრავალი, ცოტა...) რაოდენობის გამოხატველი სიტყვები. მათ შორის „გაურკვეველი რიცხვის აღმნიშვნელი სახელები: ბევრი, მრავალი, ცოტა... მიმართებითი სახის ოდენობა-თა გამოხატველია: რაც ერთ შემთხვევაში ბევრად შეიძლება დაიძვაროს,

სხვა შემთხვევაში შეიძლება ცოტა იყოს".¹

გაურკვეველ რიყხვს გამოხატავენ აგრეთვე ნაცვალსახელები:
ა მ დ ე ნ ი, მ ა გ დ ე ნ ი, ი მ დ ე ნ ი, რ ა მ დ ე ნ ი,
ასევე ? დსარათაებში: მ რ ა ვ ა ლ გ ვ ა რ ი, მ რ ა ნ ა ლ ნ ა ი -
რ ი, უ ა მ რ ა ვ ი, უ თ ვ ა ლ ა ვ ი, უ რ ი ც ხ ე ი, ა უ რ ა -
ც ხ ე ლ ი და სხვ. მაგალითად:

სასადილოში მხოლოდ 10 კ ა უ ი ი ყო - სასადილოში ცოტა
ხ ა ლ ხ ი იყო.

ხეების დარგვაში ა თ ა ს ი ს ტ უ დ ე ნ ტ ი მონაწილეობდა
- ხეების დარგვაში ბ ე ვ რ ი ს ტ უ დ ე ნ ტ ი მონაწილეობდა.

რიყხვი. გამომხატველი სხვა სიტყვები რაოდენობას აღნიშნავენ
აგრეთვე შებ ნაკლები სიძლიერიდაც. ექსპრესიულობისთვის ზოგი მათ-
განი ჩვეულებრივზე მეტის ან ნაკლების გამოსახატავად დაირთავს
ზმინიზებებს: ძალიან, ძლიერ, მეტად, ფრიად, მაგალითად: წარმოადგე-
ნას ძალიან ბევრი ხალხი დაესწრო. წინათ გვხვს შემოსაძვარი ძალიან
ცოტა უქონდა.

მსგავსი მაგალითებია: ათჯერ მეტი, სამჯერ ნაკლები ან: ასზე
მეტი, ოცზე ნაკლები და სხვ.

ამათი სინონიმებია: ათჯერ მეტი, ე.ი. ბ ე ვ რ ა, სამჯერ ნა-
კლები, ე.ი. ცოტა.

რიყხვით საბუნდო ხშირად იყენებენ არსებითად, ზედსართავად, ზმინი-
ზებად, მაგრამ იგი სხვა შეტყვევების ნაწილისგან არ მიიღება.

7. რიყხვითი სახელით გამოხატება მიახლოებითი რაოდენობაც, რა-
მელიც იხმარება წლავანების, ზომის, წონის, მანძილის, ღრის, სა-
განთა რაოდენობის აღნიშვნისას და გადმოიცემა ო დ ე სარათიანი რა-
ოდენობითი რიყხვითი სახელით, მაგალითად: ხუთიოდე, ათიოდე, ოციოდე,
ასიოდე ან კიდევ მ დ ე - მ დ ი ს თანდებულების დართით: ხუთამ-
დე, ათამდე, ოცამდე, ასამდე; ეს ნიშნავს: ხუთიოდე, ე.ი. დაახლოებით
ხუთი, ოციოდე - დაახლოებით ოცი; ხუთამდე, ე.ი. ცოტა აკლია ხუთს,
ათამდე - ცოტა აკლია ათს. ამათთან იხმარება ასეთი ფორმებიც: სამი
თუ ოთხი, რვა თუ ცხრა; სამიოთხი, რვააქვია, ე.ი. გაურკვეველ არ
არის ცნობილი, რამდენია, მაგალითად: ხუთიოდე მწყემსი მაშინვე გაე-
შურა ამხანაგის დასახმარებლად.

ასამდე მაყურებელი ტამით შეხვდა მსახიობს.

ის ბავშვი მაშინ სამიოთხი წლის იქნებოდა.

8. რაღესაც რაოდენობა ნაწილ-ნაწილად არის გამოსახატავი ურობ-
ის მნიშვნელობით, მაშინ მიმართავენ რაოდენობითი რიყხვითი სახელის
განმეორებას და მას იყენებენ რაოდენობიანი სიტყვის სახით, მაგალი-

¹ აკაკი შანიძე - ჭარული გრამატიკის საფუძვლები, 1933, გვ. 40.

თად: თითოთითო, ორჯორი, სამსამი, ოთხჯორი, ხუთჯორი და ა.შ.

მათ თითოთითო წიგნი ეჭირათ ხელში (ე.ი. ყოველ მათგანს ერთ წიგნი), კარებთან ორჯორი დარაჯი იდგა (ე.ი. თითო კართან ორი დარაჯი, მავრამ თუ ასე ვთქვი: კარებთან ორი დარაჯი იდგა - ეს ნიშნავს, რომ ორი დარაჯი ერთ კარებთან იდგა). დედამ ბავშვებს სამსამი ეაშლი დაურჯა (ე.ი. თითო ბავშვს მისცა სამი ეაშლი).

9. რიცხვები გრაფიკულად ორწინადად გამოიხატება - ს ი ტ ყ ე ი - ე რ ა ღ და ც ი ფ რ ე ბ ი თ. რიცხვით სახელებს სიტყვიერად უმთავრესად გამოხატავენ მხატვრულ ლიტერატურაში, მხატვრულ პუბლიცისტიკასა და მნიშვნელოვან საფინანსო ან სხვა სახის დოკუმენტებში, ციფრებით კი - სამეცნიერო-ატექნიკურ ლიტერატურასა და არამხატვრულ პუბლიცისტიკაში, ასევე უბრალო მნიშვნელობის დოკუმენტებში, სადაც რიცხვის გადასწორება მოსალოდნელი არ არის. რაოდენობის ხაზგასმით აღსანიშნავად შეიძლება ერთი და იგივე რიცხვი ციფრითა და იწერებოდეს და სიტყვიერადაც.

რიცხვის ციფრებით წერისას გვაქვს როგორც რაოდენობითის, ისე როგობითის სინონიმები, მაგალითად: სტუმარი სასტუმროს მე-18 ნომერში ცხოვრობს და - სტუმარი სასტუმროს ნომერ 18-ში ცხოვრობს.

პირველ წინადადებაში გამოყენებულია როგობითობის გამომხატველი რიცხვი მე-18, მეორეში - რაოდენობითობის აღმნიშვნელი რიცხვი 18.

მეცნიერულ შრომებში წყაროების აღმოწმებისას გვერდის მიითვლებისთვის ჩვეულებრივ როგობითი რიცხვითი სახელის ნაცვლად იხმარება რაოდენობითი რიცხვითი სახელი. მაგ., ა.ჩიკობავა - ენათმეცნიერების შესავალი, 1952, გვ.312.

როგობითობის გამომხატველი ციფრების სინონიმური სახეებია ა რ ა ბ უ ლ ი (ციფრები საწარმოებელი აფიქსების დარჯით) და რ მ ა უ ლ ი. არაბული ციფრები - 1,2,3,4,5 და სხვა იკითხება როგორც რაოდენობითი რიცხვითი სახელები - ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი და ა.შ. რომაული ციფრები - I,II,III,IV,V და სხვ. იკითხება როგორც როგობითი სახელები: პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე... ამიტომ ტექსტებში როგობითი რიცხვითი სახელების აღსანიშნავად იხმარება რომაული ციფრები, რაოდენობითი სახელების გამოსახატავად კი - არაბული, მაგალითად:

სოხუმში არის 20 სკოლა (ე.ი. ოცი).

სოხუმში არის XX სკოლა (ე.ი. მეოცე).

რადესაც საგნების, საკითხების ან სხვა მისთანების ჩამოთვლის მისათითებლად ვიყენებთ ნუმერაციას - ამ შემთხვევაში უფრჩხილ 1.2.3. ან ფრჩხილიანი 1/ 2/ 3/ რაოდენობის გამომხატველი ციფრებია, მავრამ იკითხება როგორც როგობითი სახელები.

ტიქსტში არაბული ციფრებით რიგობითი რიცხვითი სახელები შემდეგნაირად იწერება: I-ლი (პირველი, რადგანაც მეერთე არ იხმარება), დანარჩენი კი, ორიდან დაწყებული ოცის ჩათვლით, შემდეგ ორმოცი, სამოცი, ოთხმოცი, ასი, ორასი, სამასი, ათასამდე და თვით ათასიც რიგობითობის საწარმოებელ მე-ე სართებს დაირთავენ თავსა და ბოლოში, მაგალითად: მეორე, მეხუთე, მეთხუთმეტე, მეოცი, მესამოცი, მეთასე, მეორასე, მეთათასე და ეს რიგობითი სახელები რიცხვით გამოხატვისას იწერება ასე: ციფრის წინ დაერთვის თავსართი მე, რომელიც დეფისით გამოიყოფა: მე=2, მე=10, მე=20, მე=100, მე=500, მე=1000.

მაგრამ და კავშირიანი და ცალკე სიტყვებად საწერი რაული რიცხვითი სახელების წერისას მე-ე სართები დაერთვის და კავშირის მომდევნო ფაქტს, ასევე უკანასკნელ სიტყვას, მაგ.: ოცდამეერთე, ოცდამეხუთე, სამოცდამეთხუთმეტე, ათას ცხრაას სამოცდა მეთორმეტე, ამის მიხედვით ასეთი რიცხვების აღმნიშვნელ ციფრებს რიგობითობის გამოსახატავად ბოლოს დაერთვის საწარმოებელი სუფიქსი ე და იწერება ასე: 21=ე, 25=ე, 75=ე, 1972=ე.

9. თუ რიცხვითი სახელი სხვადასხვა ბრუნვაში ან თანდებულებით არის გამოსაყენებელი და სიტყვის ნაცვლად გხმარობთ ციფრს, მაშინ ბრუნვის ნიშანი (გარდა სახელობითისა) და თანდებული ციფრებს დაერთვის ბოლოში, მაგ.:

2=მა (ორმა), 3=ს (სამს), 5=ად (ხუთად), . . .

2=ში (ორში), 3=თან (სამთან), 5=მდე (ხუთამდე) და სხვ. ასე იწერება აგრეთვე 60=იანი (სამოციანი) და რომელი ციფრებიც: I=მა (პირველმა), II=მე (მეორემ), III=ზე (მესამეზე), V=მდე (მეხუთემდე) და ა.შ.

10. რიცხვითი სახელი ხშირად იხმარება გამომსახველობითი მნიშვნელობითაც, მაგალითად, მაშინ როდესაც მხატვრულ ლიტერატურაში მას ეკისრება შინაარსის გაძლიერებულად, ექსპრესიულად გადმოცემა. ამ რაულს იგი ასრულებს უმთავრესად მაშინ, როდესაც გამოიყენება განმეორებული სახით ან შედის იდიომატურ თქმებში. მაგალითად, აი რაგორ იყენებს ილია ჭავჭავაძე რიცხვით სახელს ექსპრესიის გამოსახატავად:

„ო თ ხ ი წელიწადი იხ, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ო თ ხ ი წელიწადი... იცი, გკითხველა, ეს ო თ ხ ი წელიწადი რა ო თ ხ ი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, გინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ო თ ხ ი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბელისაგან გადებული...“

ლო, ძვირფასო **ოთხთა** წელიწადში ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთაჲქვეშ არ ჩასწყლოშია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგონად მოგინმარა“1. აქ ექსპრესიულობას გამოხატავს არა მარტო განმეორებული სიტყვა **ოთხთა**, არამედ ჩამოთვლის რიგის აღსანიშნავად გამოყენებული რიცხვითი სახელებიც - **ბირველი**, **მეორე**, რომელნიც ხაზგასმით გამოყოფენ ერთმანეთისგან ჩამოსათვლელ მოვლენებს, რაც უფრო გამოკვეთით ჩანს შემდეგ ნაწიხვერთში:

„ამაზედ ფრიად საფუძვლიანი საბუთი აქვთ: **ბირველი**, იმიტომ არ მოსწონთ, რომ თერგადალეულები მართლაჲდა თერგადალეულები არიან, **მეორე** იმიტომ ... ი...ტომ, რომ მეორედაც თერგადალეულები არიან. **მესამე** იმიტომ... იმიტომ... იმიტომ, რომ მესამედაც თერგადალეულები არიან. მოდი და ამისთანა ჭკვიანური საბუთი სხვა საბუთით დაურღვევ ჩვენს დარღვეულს ქართველობას“2.

აქ სიტყვები - **ბირველი**, **მეორე**, **მესამე** გამოყენებულია ყურადღების გასამახვილებლად მიზეზის ახსნაზე.

შთაბეჭდილების გასაძლიერებლად არის გამოყენებული რიცხვითი სახელი შემდეგ იდიომატურ თქმაში - ცხრა მთას იქით გადაიკარგა (ე.ი. ძალიან შორს), ცხრა ენა გამოიბა (ე.ი. გაუთავებლად ლაპარაკობდა), ცხრა თოქში გამძვრალია (ე.ი. გაქნილია, ცბიერია); კვირამი შვიდი პარასკევი აქვს (ე.ი. მერყევია, ხან ერთს ამბობს, ხან მეორეს).

ასევე იტყვიან: ათასი საქმე გამოშიჩნდა (ე.ი. ბევრი საქმე ჩამომიჩნდა).

რაოდენობის განდიდების გამოსახატავად იხმარება აგრეთვე შემდეგი სიტყვები: უამრავი, აუარებელი, უთვალავი, ურიცხვი, აურაცხელი, ასეთი თქმებიც: ასზე მეტი, ათასზე მეტი ... ან კიდევ ასე: **ასზე ნაკლები არ იქნებოდა** (ე.ი. ბევრი იყო).

სტილისტიკური დანიშნულებისაა ც/ა/, და, ვე, ოღე ნაწილაკიანი რიცხვითი სახელებიც.

11 ილია ჩავჭავაძე - მგზავრის წერილები, თ. II.

22 იქვე.

§ 47. ნაცვალსახელთა ფორმების შერჩევა

I. ნაწილაკიანი ნაცვალსახელები

ნაცვალსახელებში პარადიგმულად იხმარება:

1) უარყოფითნაწილაკიანი სახელები როგორც სრული, ისე შეკუმშული ფუძის სახით, მაგალითად: არაცინ - არცინ, ცერაცინ - ცერცინ, ნურაცინ - ნურცინ - ნურცინ, მაგრამ შეკუმშული ფორმა მხოლოდ პოეზიაში გვხვდება.

2) ნაწილაკადართული სახელების შეუხორცებელი და შეხორცებული ფორმები მიცემითში, ცითარებითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში: ცისმი - ცინმეს, რასმი - რამეს, რადმი - რამედ, რიამი - რამეი, ცისლა - ცილას, რასლა - რაღას, რადლა - რაღად, რილა - რილათი და სხვ., მაგრამ ამჟამად სალიტერატურო ქართულში უფრო გავრცელებულია შეხორცებული ფორმა (იგივე იქმის ნაწილაკადართული რიცხვითი სახელის შესახებაც: ორავეს (ორსავე), სამიევი (სამნივე), რამდენიმეს (რამდენსამე) და სხვ.

2. მანდებულებიანი ნაცვალსახელები ბრუნვის უსაფრთხოდ და საფრთხიანი ფორმით:

ყველასთვის - ყველასათვის, სხვისთვის - სხვისათვის; ვინმესგან - ვინმესაგან, არაფრისგან - არაფრისაგან; ვიღაცისკენ - ვიღაცისაკენ და ა.შ. ორივე ფორმა სწორია, მაგრამ უპირატესობა პირველს უნდა მივაკუთვნოთ.

პირველი და მეორე პირის მანდებულებიანი ნაცვალსახელებთან ასეთი ფორმები გვხვდება: ჩემკენ - ჩემსკენ, შენკენ - შენსკენ, ჩვენკენ - ჩვენსკენ, თქვენკენ - თქვენსკენ; ჩემ მიერ - ჩემს მიერ, შენ მიერ - შენს მიერ, ჩვენ მიერ - ჩვენს მიერ... ჩემ გამო - ჩემს გამო, შენ გამო - შენს გამო, ჩვენ გამო - ჩვენს გამო... მაგრამ სწორია პირველი ფორმა (უბრუნვისინიშნო), არ არის სწორი მეორე (ბრუნვისინიშნიანი).

3. „თავისი“ და „მისი“ ნაცვალსახელების ხმარების შესახებ

კუთვნილებითი ნაცვალსახელები - თავისი (თავიანთი) და მისი (მათი) წინადადებაში იხმარება მსაზღვრელებად. უფრო კიდევ ხშირად შეინიშნება ენაში ამ ნაცვალსახელთა შეუსაბამოდ გამოყენება: ან თავისის ნაცვალად გვხვდება მისი, ან მისის ნაცვალად - თავისი.

ამჟამად შეცდომები გვაქვს არა მარტო მოსწავლეების ნაწერებში, არამედ ზოგჯერ მწერლობასა და პრესაშიც. მათი თავიდან აცილებ-

ბა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებულ იქნება დასახელებულ ნაცვალსახელთა არსებითი სხვაობა მნიშვნელობის მიხედვით ანუ სემანტიკურად, სახელწოდებაზე მიგვიითხებენ ეს ნაცვალსახელები: მოქმედი პირის კუთვნილ საგანზე თუ - სხვა პირის კუთვნილებაზე. ეს სემანტიკური სხვაობა ნათლად ჩანს შემდეგი წინადადებების შედარებისას:

დავითი აქებს. თ ა ვ ი ს ამხანაგს.

დავითი აქებს მ ი ს ამხანაგს.

სინტაქსური ფუნქციის მიხედვით ამ წინადადებებში გვაქვს ერთნაირი წევრები: შემასმენელი ა ქ ე ბ ს, ქვემდებარე დ ა ვ ი თ ი, დამატება ა მ ხ ა ნ ა გ ს და განსაზღვრებები - თ ა ვ ი ს, მ ი ს, მაგრამ მინაარსობრივად ეს წინადადებები განსხვავებულია ერთმანეთისგან; პირველში ნათქვამია, რომ ქების საგანი განეკუთვნება სუბიექტს - იგი არის ქვემდებარით აღნიშნული პირის - დ ა ვ ი - თ ი ს ამხანაგი, ხოლო მეორე წინადადებაში ქების საგანი განეკუთვნება არა სუბიექტს, არამედ სხვა პირს. ის დავითის ამხანაგი კი არ არის, არამედ - ს ხ ვ ი ს ი ამხანაგია.

იგივე ითქმის ამ ნაცვალსახელთა მრავლობით რიცხვში გამოყენების შესახებაც, მაგალითად: ისინი აქებენ თ ა ვ ი თ ა მ ამხანაგს. ისინი აქებენ ი მ თ ა მ ამხანაგს. ამ მინაარსობრივი სხვაობის გამო ზემოთ აღნიშნული კუთვნილებითი ნაცვალსახელების დანიშნულება წინადადებაში ზოგადად ასე განისაზღვრება:

კუთვნილებითი ნაცვალსახელი „თავისი“ (თავიანთი) მიუთითებს საგანზე ან მოქმედებაზე, რომელიც განეკუთვნება მოქმედ პირს, მაგალითად: ის მხოლოდ თ ა ვ ი ს თავზე ზრუნავს (და არა: ის მხოლოდ მ ი ს თავზე ზრუნავს).

მან თ ა ვ ი ს ი დრო მოჭამა (და არა: მან მ ი ს ი დრო მოჭამა).

მას თ ა ვ ი ს ი დავმართა (და არა: მას მ ი ს ი დავმართა).

აი, მეღამ სოროდან გამოყო თ ა ვ ი ს ი მოგძო დინგი, მიიხედ-მოიხედა თ ა ვ ი ს ი შვიცანი თვალებით... (ი.გოგ.).

კუთვნილებითი ნაცვალსახელი „მისი“ (მათი, იმათი) კი მიუთითებს საგანზე ან მოქმედებაზე, რომელიც განეკუთვნება არა მოქმედ, არამედ სხვა პირს, ე.ი. საგანი ან მოქმედება ს ხ ვ ი ს ი ა ან მოქმედება ხდება ს ხ ვ ი ს ა ზ ე, მაგალითად:

განა კითხულობს მ ი ს მითხრობას (ე.ი. არა საკუთარს, არამედ სხვა პირის მითხრობას).

ბეთანდელი დიდხანს ეძებდა მ ი ს სიტყვოს.

მე მისი ამბავი გუშინ შევიტყვე-
ნიკომ მისი წიგნი უკვე წაიკითხა.
დედამ ღალის შოაგონა მისი ბავშვობა.

ამ თვალსაზრისით სწორად არ არის აკებული შემდეგი წინადადებე-
ბი:

პატარა გია უკომ მისი ხელით ვამს (უნდა იყოს - თ ა -
გ ის ი).

ბავშვი პირველად მის სახლში მოვიდა (უნდა იყოს - თ ა -
ვ ის).

ქართული ხალხი ყოველთვის თავგამოდებით უდილობდა დარევა
მისი სამშობლო მტრებისგან.

ლუარსაბს გაეცინა და მის მუღლეს ხელმეორედ აკითხა...

გღეხს მისი ხელით გადაუბარავს პეტარი მიწა.

ინალიფა მის ბედაურს არ დაუთმობს ნუმით გამიენს ...

(ა.წერ.).

უნდა იყოს: ... თ ა გ ის ი ხელით ვამს, თ ა გ ის ს ა -
ხლში მოვიდა... დარევა თ ა გ ის ი სამშობლო, ... თ ა გ ის
მუღლეს ხელმეორედ აკითხა, გღეხს თ ა გ ის ი ხელით გადაუბარ-
ავს, ინალიფა თ ა გ ის ბედაურს არ დაუთმობს.

ზოგჯერ აღნიშნული კუთვნილებითი ნაცვალსახელების შეცვლა
იწვევს წინადადების შინაარსის შეცვლას, მაგალითად:

- 1) გივი კითხულობს თ ა გ ის ლექსს (ე.ი. საკუთარ ლექსს).
გივი კითხულობს მის ლექსს (ე.ი. სხვის ლექსს).
- 2) ტარიელი დიდხანს ეძებდა თ ა გ ის სატრფოს.
ტარიელი დიდხანს ეძებდა მის სატრფოს.
- 3) გაიანემ თ ა გ ის ი შეიღები ქალაქში წაიყვანა.
გაიანემ მისი შეიღები ქალაქში წაიყვანა.
- 4) ბოტს გულწრფელად უყვარს თ ა გ ის ი სამშობლო.
ბოტს გულწრფელად უყვარს მისი სამშობლო.
- 5) ყვლა უდილობდა თ ა გ ის თ გ ის.
ყველა უდილობდა მის თ გ ის.
- 6) ისინი გვიამბობენ თ ა გ ი ა ნ თ თავგადასაღელს.
ისინი გვიამბობენ შ ა თ თავგადასაღელს.

4. „იმამ“ და „იმამმა“ ნაცვალსახელების ხმარება

ხშირად სწორად ეთრ იყენებენ წინადადებებში იმამ და იმამმა
ნაცვალსახელებს:

მაგალითად, წერენ: ი მ ა თ გააკეთეს ან შ ა თ გააკეთეს,
მეორე შემთხვევაში - ი მ ა თ შ ა გააკეთეს ან შ ა თ შ ა გაა-
კეთეს, ან კიდევ: ი მ ა თ შ ა ამხანაგშია გააკეთა ან ი მ ა თ

ამხანაგში გაბაკთა.

ამ ნაცვალსახელთა სწორად გამოყენებისთვის საჭიროა ვიცოდეთ შემდეგი: ი მ ა თ ან მ ა თ არის პირის ნაცვალსახელი, ი მ ა თ ი ან მ ა თ ი კი - კულწინილებითი ნაცვალსახელია (ორივე თანთან მრავლობითშია), „ი მ ა თ“ ან „მ ა თ“ იხმარება მხოლოდ ზმნა-შემასმენელთან ან ქვემდებარედ, ან პირმომართ დამატებად. მისი კითხვებია ვინ? ვის? მაგალითად:

ი მ ა თ (ქსემედ.)	დაწერეს	დაუწერეს	ი მ ა თ (დამატ.)
„	დახატეს	დაუხატეს	„
„	წაიკითხეს	წაუკითხეს	„
„	ააშენეს	აუშენეს	„

ფორმები: მ ა თ მ ა დაწერეს, - მ ა თ მ ა დაუხატეს... კულწურია და სალიტერატურო ქართულში დაუშეგებელი.

„ი მ ა თ“ ან „მ ა თ“ იხმარება სახელით გადმოცემულ წევრთან განსაზღვრებად და მისი კითხვაა ვისი? სხვადასხვა ბრუნვაში, მაგალითად:

- ი მ ა თ ი საქმე კარგადაა
- „ ა მ ხ ა ნ ა გ ი ა ქ ი კ რ ა
- „ დედა მასწავლებელია

ნაცვალსახელი ი მ ა თ . სახელთან იბრუნვის ისე, როგორც ჩვეულებრივი მსახვერელი, მაგ.: სახ. ი მ ა თ ი ძმა ჩამოვიდა

- მთხ. ი მ ა თ ი ძმამ მომიტანა
- მიც. ი მ ა თ ძმას შევხვდი
- ნათ. ი მ ა თ ი ძმის სახლია
- მოქ. ი მ ა თ ი ძმით ვამაყობ
- ვით. ი მ ა თ ძმად მომეჩვენა

(და არა: ი მ ა თ ძმამ... ი მ ა თ ძმის...).

5. ნაცვალსახელთა უმარტებულად ხმარების სხვა შემთხვევები

ქართულში შეინიშნება ნაცვალსახელების (უმთავრესად პირის, მიმართებითი და ჩვენებითი ნაცვალსახელების) ხმარებისას სტილის ნორმების დარღვევის რამდენიმე სახე:

- 1) ნაცვალსახელთა ჭარბად გამოყენება,
- 2) ნაცვალსახელის გაურკვეველად ხმარება,
- 3) ნაცვალსახელთა შეუსაბამოდ ხმარება¹.

ეს საკითხები თ. სიმონიშვილს ვრცლად აქვს განხილული წიგნში „ნაცვალსახელის სწავლება სკოლაში“. აქ დეტალურად მხოლოდ რა-

1 თ. სიმონიშვილი - ნაცვალსახელის სწავლება სკოლაში, 1958, გვ. 89.

მდენიმე მაგალითს.

1) ნაცვალსახელთა წარბად გამოყენების მაგალითია: „ტარიელ გო-
ლუა იყო გლეხი. ი ს იყო მშრომელი გლეხი. მ ა ნ ბევრი კარგი
საქმე გააკეთა ხალხისთვის. ამით მ ა ნ დიდი სახელი დაიმსახურა.
მ ა ს სასტიკად სძულდა ხალხის მჩავერდელ თავადაზნაურობა და მე-
ფის მოხელეები. მ ი ს ი სანუკვარი ოცნება იყო მშრომელი ხალხის
ეროვნული და სოციალური თავისუფლება (ამოღებულია მოსწავლის ნამუ-
შევრიდან).

ხშირად გაუგებრობას ქმნის წინადადებაში ნაცვალსახელთა სხვადა-
სხვა სინტაქსური ჟღერით ან სხვადასხვა ბრუნვის ფორმით ხმარება,
მაგალითად:

როცა ნაცვალსახელები გვეყვინება სხვადასხვა წევრად:

მ ა ნ ბევრი ახალი ამბავი გვიამბო და ჩვენ მ ა ს მაღლობა
მოვახსენეთ.

როცა ნაცვალსახელები გამოხატავენ ერთ და იმავე წევრს, მაგრამ
სხვადასხვა ბრუნვაში ჟგანან:

მ ა ნ ბევრი ახალი ამბავი გვიამბო და საღამოს ი ს შინ
წავიდა.

როცა ნაცვალსახელები აღნიშნავენ სხვადასხვა წევრს:

მ ა ნ ღამით ჩვენთან დარჩენა არ ისურვა და ი ს საღამოს
ერთად გაეაცილეთ.

„საქმე ის არის, რომ, ცინაიდან ქვემდებარე და დამატებულია მოხი-
ქტი ზმნის პირთა ფარული სახელებია და ზმნაშია გამოხატული, ამიტომ
ნაცვალსახელის განმეორება საჭირო არ არის იმ შემთხვევაში, როდესაც
უკვე ციკით, ვიწმება დაბარაკი. ამას კი ვიგებთ პირველი წინადადების
საშუალებით, სადაც ნაცვალსახელია ნახმარი“¹.

2) ნაცვალსახელთა გაურკვეველად გამოყენების მაგალითებია:

სპირიტონ მცირიშვილი მოსაკლავად ეძებდა ტარიელ მკლავაძეს,
რ თ მ ე ლ ს ა ც უკვე მობეზრებული უქონდა სიციხებზე.

სიკეთე ყოველთვის იმარჯვებს ბოროტებაზე, რ ა ც ადამიანთა
ბედნიერების მომასწავებელია.

მოყვანილ წინადადებებში გაურკვეველია, თუ რას გულისხმობს.
ნაცვალსახელები რ თ მ ე ლ ი და რ ა ც. აზრი ნათელი იქნება, თუ
დამოკიდებულ წინადადებას გადავსვამთ ისე, რომ ორაზროვნებას მოეს-
პობთ:

სპირიტონ მცირიშვილი, რომელსაც უკვე მობეზრებული უქონდა სი-
ციხებზე, მოსაკლავად ეძებდა ტარიელ მკლავაძეს.

1 თ. სიმონიშვილი, ნაცვალსახელის სწავლება სკოლაში, 1958, გვ. 91.

სიკეთე, რაც ადამიანთა ბედნიერების მომასწავებელია, ყოველ-
თვის იმარჯვებს ბოროტებაზე.

სწორად არ არის გამოყენებული ნაცვალსახელები შემდეგ წინადა-
ღებებში:

გღებკაცობის ფიქრი და ოცნება იყო მჩაგვრელების თავიდან მო-
ცილება. მ ა თ აქტიური ბრძოლა დაიწყო (გაუგებარია რომელ სიტ-
ყვას ცვლის ნაცვალსახელი მ ა თ).

მისი პოეტური ხმა გახდა უფრო ხალხური. ა მ წლების მანძილ-
ზე გრიშაშვილის პოეზია გამდიდრდა ახალი თემებით (არ ჩანს რომელ
წლებზეა საუბარი).

3) ნაცვალსახელის შ ი უ ს ა ბ ა მ ო ლ გამოყენების შეგა-
ლითობა:

ჩვენთან მოვიდა ის კაცი, ცინც სკოლის დირექტორად იყო გამო-
გზავნილი:

საქმე ითავა, მან, რომელმაც კარგად იცოდა ხელაბა.

მან დროზე შეასრულა ის, რომელიც დავალებად შქონდა.

აქ ყოფნამ შემადღებინა ამეტანა ის, რომელიც მე მადგა ჩემი
მდგომარეობის გამოურქვევლობის გამო (დ.კლ.).

ამ აფიცრებში არ აღმოჩნდა ისეთი პირი, როგორც მათ ეგონათ
და ესაჭიროებოდათ (იქვე).

უნდა იყოს:

ჩვენთან მოვიდა ის კაცი, რომელიც სკოლის დირექტორად იყო გა-
მოგზავნილი.

საქმე ითავა მან, ცინც კარგად იცოდა ხელაბა.

მან დროზე შეასრულა ის, რაც დავალებად შქონდა¹.

ამ აფიცრებში არ აღმოჩნდა ისეთი პირი, როგორც მათ ეგონათ...

§ 48. ქართული ზმნის სტილისტიკური პოტენციული ზმნის ფორმების შერჩევა

I. ზმნის პირი

1) სუბიექტური პირი ზოგ ზმნაში ორმაგად არის გამოხატული. ეს
მოქმენა ახასიათებს გარდაუვალ - საშუალო და სუბიექტური ენებით
გვარის ზმნებს აწმყოს მწკარიენი მხოლოდ I და II პირში. ასეთი ზმნე-
ბი იხმარება მუშველზმნიანი ფორმით, მაგალითად:

ვზივარ, ვდავარ, ვწევარ, ვუყვარვარ, ვძლევარ, ვაგლივარ, ვწე-
რივარ, ვხატვივარ და სხვ. მუორე პირში გვაქვს: ზიხარ, დგახარ, წე-

I ცინც და რაც საკავშირებელი სიტყვების ხმარების წესე-
ბის შესახებ იხ. ქვემოთ.

ცხარ, სიწყობა (ამავი სუბიექტური პირის ნიშანი ამ ზმნებს I თუ-
 რმეობითშიც აქვთ: კმეღარცარ, გმეღარცარ, გწოლიღვარ, გყვარებდივარ...
 მსგავსი ფორმებია: გლოდიღვარ, წაცესუღვარ, გშობიღვარ, გავზრდიღვარ.
 მიცესუღვარ...). ამათი ანალოგიით გვხვდება: გყვირივარ, გტირივარ,
 გწივივარ, გრივივარ და სხვ. მისთ., მაგრამ ესენი სალიტერატურო
 ქართულითვის მ ი უ ლ ე ბ ე ლ ი ფორმებია. უნდა იყოს: გყვირი,
 გტირი, გწივი, გრივი. ფორმები: ვზი, ვღვა, ვწივ, ვყვამარ, ვეშულ
 არ იხმარება, მაშასადამე, მას უნდა დაერთოს მეშველი ზმნა, მაგრამ
 გყვირი, გტირი, გწივი, გრივი, რადგანაც ჩვეულებრივი ფორ-
 მებია და ადვილად გასაგები, მეშველ ზმნას არ საჭიროებენ. მეორე
 პირში არის: ყ ვ ი რ ი, ტ ი რ ი, წ ი ვ ი, რ ი ვ ი (წინათ
 იხმარებოდა პირის ნიშნით: ჰყვირი, სტირი, სწივი, სრივი). მაშა-
 სადამე, პარალელური ფორმებიდან: გ ყ ვ ი რ ი - გ ყ ვ ი რ ი ვ ა რ,
 გ ტ ი რ ი - გ ტ ი რ ი ვ ა რ, გ წ ი ვ ი - გ წ ი ვ ი ვ ა რ,
 გ რ ი ვ ი - გ რ ი ვ ი ვ ა რ და სხვ. პირველი ლიტერატურულია,
 მეორე - კუთხური.

2) ახალ ქართულში ისეთ ზმნებში, რომელნიც გამოხატავენ მხოლო-
 ბითში დასმულ III სუბიექტურ პირს და მრავლობითში დასმულ II სუბი-
 ექტურ პირს, ამ პირის ნიშანთან და რიცხვთან ერთად III პირის ნი-
 შანიც იხმარებოდა, მაგრამ ამჟამად ეს ნიშანი ზმნას არ უნარჩუნებ-
 ბა. ამის გამო მე-19 საუკუნის ბევრ ნაწარმოებში ასეთი პარალელური
 ფორმები გვხვდება:

- ის-თქვენ: დაგიწერსთ - დაგიწერთ
- გაგიკეთებსთ - გაგიკეთებთ
- გებრყვისთ - გებრყვით
- გაუწყებთ - გაუწყებთ
- გაქებთ - გაქებთ და სხვ.

თუ ფორმა და გ ი წ ი ე რ ს თ გამოხატავდა მხოლოდ ის და
 თ ქ ე ე ნ პირების ურთიერთობას, ს-ს დაკარგვის შემდეგ ფორმა
 და გ ი წ ი ე რ თ უკვე აღნიშნავს არა მარტო ის და თ ქ ე ე ნ
 პირებს, არამედ მე ე და თ ქ ე ე ნ პირებსაც, მაგრამ მიუხედა-
 ვად ამისა, ამჟამად სწორ ფორმად მიჩნეულია მეორე (სანდაკარგული).
 მისი კონკრეტული შინაარსი კი მხოლოდ კონტექსტში ირკვევა ან მოქ-
 მედო პირის დასახელებით: ამ ლექსს მე გადაგიწერთ, ამ ლექსს
 ნ ი ნ თ გადაგიწერთ.

3) ხშირად ერთი და იგივე ზმნა პირთა რაოდენობის გამოხატვის
 მიხედვით სხვადასხვანაირად იხმარება: ორპირიანი - ერთპირიანად,
 სამპირიანი - ორპირიანად. მაგალითად, ზმნები: გ ა ხ ლ ა ვ ს
 (ნიშნავს არის) და გ ა ხ ლ ა ვ ს (ის - შენ). პირველი აღნიშ-

ნავს უფნა არსებობას და არის ერთპირიანი, მეორე - თანყოფნას და არის ორპირიანი. მსგავსი მაგალითებია:

ერთპირიანად გაგებულნი ზმნები - ეს კალაში კარგად **წ ი რ ს**. მისი დანა კარგად **წ რ ი ს**.

ორპირიანად გაგებულნი ზმნები - ნიკო **წ ი რ ს** წერილს. დიასახლისი ახლა პურს **წ რ ი ს**.

ამ ზმნებს ერთმანეთისგან ფორმით ეერ განცხადებებთ, რადგან-ნაყო ორპირიანად ხმარებისას ისინი გამოხატავენ პირდაპირ ობიექტს, რომელიც ზმნაში, თუ შესამე პირია, ნიშნით არ გამოიხატება (ე.ი. არ შეიძლება ითქვას: ნიკო **ს წ ი რ ს** წერილს, დიასახლისი **ს წ რ ი ს** პურს. მაშინ ისინი სამპირიანი იქნებოდა). ასეთივე მაგალითებია:

ზამთარში აქ დიდი თოვლი **ი ც ი ს** - მან რამდენიმე ენა **ი ი ი ს**. უცებ შეტოქე ხალიჩაზე ზურგით **დ ა ე ც ა** - ხიდან რამოვარდნილი ვაშლი გოგონას თავზე **დ ა ე ც ა** - აგვისტოში დიდი სიციხე **დ ა ი ჭ ი რ ა** - ბავშვმა გუშინ ორი ჩიტი **დ ა ი ჭ ი რ ა**, ნერგმა უკვე **გ ა ი ხ ა რ ა** - დღემ გული **გ ა ი ხ ა რ ა**. წარბოდეგნა **დ ა ი წ ყ ო** - გვიმ მუშაობა **დ ა ო წ ყ ო**.

მაგრამ, თუ ზმნას (თანხმოვნით დაწყებულს) შესამე ირიბი ობიექტური პირი ახლავს, მაშინ ორპირიან ფორმას ერთპირიანისგან ნიშნით განცხადებებთ, მაგალითად:

ერთპირიანად გაგებულნი

ამ ხელსაწყოს გაკეთება ძალიან **წ ი რ ს**. ახლა **ჯ ო ბ ს** წასვლა.

ორპირიანად გაგებულნი

უანოს წითელა **ს ჭ ი რ ს**. ეს ძველი ნივთი ბევრ ახალს **ს ჯ ო ბ ს**.

4) ამრიგად, ზოგიერთი ზმნა **ო მ ო ნ ი მ უ რ ი** მნიშვნელობისაა: ასეთი ზმნის შინაარსის გაგება მხოლოდ კონტექსტზეა დამოკიდებული. მაგალითად, შდრ.: პეტრე არხენიანად **წ ე ც ს** ჩეროში და პეტრე უღარდელად **ს წ ე ც ს** პაპიროსს (სანი აქ საჭირო არ არის, რადგან ზმნა გამოხატავს პირდაპირ ობიექტს, მაგრამ გამოყენებულია იგი **წ ე ც ს** ზმნისგან გასარჩევად).

5) ერთპირიანად და ორპირიანად იხმარება ისეთი ზმნებიც, რომელნიც ერთი მხრით, გაიგება როგორც ერთპირიანი ენებითი, მეორე მხრით, როგორც ქუევის გამოხატველი მოქმედებითი გვარის ზმნა, მაგალითად:

როცა ერთპირიანადაა გაგებულნი:

ცა ღრუბლებით **მ ო ი ქ ა რ გ ა**. ჯგუფი ორ ნაწილად **გ ა ი ყ ო**.

როცა ორპირიანად არის გაკეზული :

მან პერანგი მ ი კ ი ა რ გ ა . ორმა მოსწავლემ ხილი თა-
ნაბრად გ ა ი ყ ლ .

ასე ორნაირად გაიკეზა ომონიმური მინიმენელობის ზმენებიც :

მის წინ ხაღირა გ ა ი გ ლ - დედამ ახალი ამზადი გ ა ი გ ლ .
ქალაქის ცენტრში დიდი შენობა ა ი გ ლ - ჩემმა მუზობელმა კარგი
შენობა ა ი გ ლ . ეზო სარეველა ბაღახებისგან გ ა ი წ ი ნ დ ა -
წუნუმ ტანსაცმელი გ ა ი წ ი ნ დ ა .

6) ზოგი ზმენა კი იხმარება ორპირიანადაც და სამპირიანადაც, მა-
გალითად :

დეკემბმა ომი დ ა მ ი გ ი რ ე ს , დამდეგ იყო მკათათვისა -
მეძებრებმა მე მელთა დ ა მ ი გ ი რ ე ს . მას ახალი ქუდი
ა ხ უ რ ა ვ ს - დედა შეიღს ქუდს ა ხ უ რ ა ვ ს . მან მე და-
რაჯად დ ა მ ი ყ ე ნ ა - მან მე ის დარაჯად დ ა მ ი ყ ე ნ ა .
მე ბევრი სურათი დ ა მ ი ხ ა ტ ა ვ ს . - ის მე ბევრ სურათს დ ა -
მ ი ხ ა ტ ა ვ ს და სხვ .

მაგრამ ზოგიერთ ზმენაში ორპირიანობასა და სამპირიანობას ერთმა-
ნეთისგან განასხვავებებს ფორმა - ირიბი ობიექტური პირის ნიშანი, მა-
გალითად :

ორპირიანია

სამპირიანია

ის - მას : წერს, წირავს
წოვს, ტეხს, ჭირს, წუ-
წნის, ახრის, ახრავს

ის - მას - მახ : სწერს, სწირავს,
სტეხს, სჭირს, სწუწნის, სახრის,
სახრავს და სხვ .

2. ზმენის რიცხვი

1) რიცხვის გამოხატვის თვალსაზრისით არსებითი სახელების მსგა-
ვსად ზმენებიც განიხილვა ერთმანეთისგან გრამატიკულად და ლექსიკუ-
რად. გრამატიკულად მრავლობითი რიცხვი ბოლოსართებით აღინიშნება :
ბავშვი თამაშობს - ბავშვები თამაშობენ, ის მაშინ აქ იყო - ისინი
მაშინ აქ იყვნენ, მოსწავლემ წიგნები სკოლაში წაიღო - მოსწავლეე-
ბმა წიგნები სკოლაში წაიღეს, მან ეს კარგად ისწავლოს - მათ ეს
კარგად ისწავლონ, მას გაუგია - მათ გაუგიათ, მე მაქვებს - ჩვენ
გვაქვებს, შენ გეკითხება - თქვენ გეკითხებათ. გარდა თ ბოლოსართი-
სა, ყველა დანარჩენი ირთად გამოხატავს როგორც პირს, ისე მის მრავ-
ლობითობას.

I დუო კვაჭაძე - თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, 1966, გვ.93.
2 აკაკი ხანიძე - ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1963, გვ.342.

მაგრამ ამათ გვერდით გააქვს ე.წ. რიცხვში ფუძემოხადაცვლე ზმენ-
ბიც, რომელნიც მრავლობითობას გამოხატავენ არა გრამატიკული ფორმით,
არამედ ლექსიკურად, ე.ი. მხოლოობითობასა და მრავლობითობას აღნიშ-
ნავენ სხვადასხვა ფუძით, მათ შორის ერთში - სუბიექტური, მეორეში
ობიექტური პირების მიხედვით. მაგალითად:

სუბიექტური პირის მიხედვით

ზის - სხედან
დაჯდა - დასხდა
შეჯდა - შესხდა
მივარდა - მიცვივდა
დაეცა - დაესხა
მოკვდა - დაიხოცა

დევს - აწყვია
აგდია - ყრია
აბია - ასხია

ობიექტური პირის მიხედვით

ჩასვა - ჩასხა
მოკლა - დახოცა
გადენა - გარეცა
გააგლო - გაყარა
წაიყვანა - წაასხა
დასვა - დასხა

ჩამოაგლო - ჩამოყარა
გადააგლო - გადაყარა
აილო - აკრიფა
მოიბა - მოისხა და სხვ.

ეს ზმენები აღნიშნავენ როგორც სულიერი საგნების მოქმედებას (მდგო-
მარობას, ისე უსულ საგნების მდგომარეობასაც.

ზმენები: დასხდა, შესხდა, მოცვივდა, დაესხა, დაიხოცა იხმარება
კრებით სახედებთან: ხალხი დასხდა, მტრედების გუნდი ხეზე შესხდა,
ბრბო მოცვივდა, ხრევა თავს დაესხა, კლტი დაიხოცა. მეორე მხრით,
გააქვს:

ზევიდან აგური ე ა რ დ ე ბ ა - ზევიდან აგურები ც ვ ი ვ ა .
ეზოში ქვა ა გ დ ი ა - ეზოში ქვები ყ რ ი ა . . ხეს ერთი წითე-
ლი ვაშლი ე ბ ა - ხეს წითელი ვაშლები ე ს ხ ა . . წიგნი თარო-
ზედ დ ე ვ ს . - წიგნები თაროზე ა წ ყ ვ ი ა .

მაგრამ ასეთ ზმენებსაც შეიძლება მრავლობითობის გრამატიკული ნი-
შანი ახლდეს, როცა დაკავშირებულია მრავლობითში დასმულ სახელთან,
რომელიც გამოხატავს კოესალ, აქტიურ საგნებს:

მოსწავლე მ ი ვ ა რ დ ა - მოსწავლეები მ ი ც ვ ი ვ დ ნ ე ნ .
ბავშვი დ ა ჯ დ ა - ბავშვები დ ა ს ს დ ნ ე ნ . - ფრინველი
მ კ კ დ ა - ფრინველები დ ა ი ხ ო ც ნ ე ნ და სხვ.

სტილისტიკურად არ არის სწორი, რ. ესაც ამბობენ ასე:

ზევიდან აგურები ეარდება, ეზოში ქვები აგდია, ხეს წითელი ვა-
შლები ება, წიგნები თაროზე დევს, ხალხი სკამებზე იჯდა და სხვ.

2) თანამეც როვე სალინგუარტურო ქართულში მრავლობითში დასმულ სა-
ხელთან ზმენა ორნაირად იხმარება: მრავლობითშიც და მხოლოობითშიც.

მრავლობითში ზმნა დაისმის მაშინ, როცა მასთან დაკავშირებული სახელი ცოცხალი, აქტიური საგნების აღმნიშვნელია:

ბავშვი დერეფანში დგას - ბავშვები დერეფანში დგან -
 სტუდენტი სწავლობს - სტუდენტები სწავლობენ.
 ცხენი გაჩნდა - ცხენები გაჩნდნენ.
 ფურცარი შრომობს - ფურცრები შრომობენ.

მხოლოდობით დაისმის ზმნა ისეთ სახელთან, რომელიც არა ცოცხალი, პასიური საგნების გამოხატველია:

მაგიდა დერეფანში დგას - მაგიდები დერეფანში დგანს.
 შორიდან მთა ჩანდა - შორიდან მთები ჩანდა - წიგნი
 იბეჭდებოდა - წიგნები იბეჭდებოდა და სხვ.

უსულა, პასიური საგნების გამოხატველ სახელთან ზმნა მრავლობითში დაისმის მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი გამოხატავს ისეთ საგნებს, რომელთაც ცოცხალი საგნის თვისება მიეწერება, მაგ.:
 ახვებდა დედას ხეები (ცაჭა), მთებმა დახუჭვეს
 თვალები (ცაქა).

ასეთივე მდგომარეობა გვაქვს ამჟამად ნარკოტიკული მრავლობითი დასმულ სახელებთანაც: სულიერი საგნების გამოხატვისას: გასული
 დღე ამა ქვეყნით მაშინ... (ი.ჭავჭავაძე). უსულა საგნების გამოხატვისას: მობანე კლდენი გვერდობდა დასახლებებს (ი.ჭავჭავაძე).
 მაგრამ გაპირფარებისას ასეთი: შორნი მნათობნი მოკამათენი იმ
 მწუხარს დამეს მხიარულობდნენ (ი.ჭავჭავაძე).

3) ზმნა მრავლობითში არ დაისმის ისეთ სახელთანაც, რომელიც კრებითია და ღვას მხოლოდობით რიცხვში: ხალხი ზეიმობს (და არა - ზეიმობენ), ჯოგი მიდის (და არა - მიდიან), სტუდენტობა სწავლობს (და არა - სწავლობენ), საზოგადოება აღნიშნავს (და არა - აღნიშნავენ), ყველა მოვიდა (და არა - ყველა მოვიდნენ) ან სახელს მსაზღვრელად ახლავს რაოდენობის გამოხატველი სახელი: ხუთი კაცი მოვიდა (და არა - მოვიდნენ), ბევრი ხალხი დაესწრო (და არა - დაესწრნენ), ყველა მოსწავლე ესწრებოდა (და არა - ესწრებოდნენ), რამდენიმე ბავშვი ეზოში თამაშობდა (და არა - თამაშობდნენ). მაგრამ, თუ აქტიური საგნების აღმნიშვნელი კრებითი სახელი მრავლობითშია, ზმნაც მრავლობითში უნდა იყოს: ხალხები ზეიმობენ, ფარები ძოვდნენ, ყველანი აქ იყვნენ.

4) არ არის სწორი და სტილიზტიკურად გამართლებული, როდესაც მრავლობითში ხმარობენ ისეთ სიტყვებს, როგორცაა, მაგალითად: მარჯობათ, გაგიმარჯოთ, კარგით, არიქათ, თქვენი ჭირიმეთ, აჰათ და სხვ.^I

^I მაგალითები ამოღებულია აკაკი შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლებიდან“, I, 1953, გვ. 185.

5) ზოგჯერ ზმენის მრავლობითის ფორმა იხმარება ერთი პირის მოქმედების გამოსახატავად. ეს უმთავრესად ხდება თქვენობის მიმართებისას, მორიდებული საუბრის დროს; როდის გვინახულებთ? სად მიემგზავრებით? ხვალ მოვართმევთ და სხვ.

6) პირველი პირის ზმენის მრავლობითი რიცხვის ფორმა იხმარება მეორე პირის აღსანიშნავად: ცოქვით, ექიმო მიმართავს ავადმყოფს; დღეს როგორ ვართ? ვაგვიხედავ, მალე კარგად იქნება თან ცოქვით უფროსი მიმართავს ბავშვს; ახლა გვიყვით პირველად; ეს უნდა დავხეოთ დღეში სამჯერ. ამ შემთხვევაში საუბარი ეხება მეორე პირს, სუბიექტი თვითონ არ მოქმედებს, მაგრამ ერევა მოქმედებაში და ამას აღნიშნავს პირველი პირით.

7) პირველი პირის ზმენის მრავლობითი რიცხვის ფორმა იხმარება ერთი პირის მოქმედების აღსანიშნავად: ცოქვით, მასწავლებელი ატარებს ქიმიასი ცდას და ამბობს: დავიღოთ ეს მინის ჭურჭელი და რავასხათ წყალი, შემდეგ დავეუშობთ შარღი და დავურთოთ ერთმანეთში... (ნამდვილად კი ამ მოქმედებებს ჩაუხს თვითონ, მარტო ერთი კაცი).

8) ზმენის მეორე პირის ფორმა იხმარება განზოგადებული მნიშვნელობით, მაგალითად: კარგი ქენი - ქვას და დევი, ვანი - ვინ დაგხვდება (ანდ). თბილისიდან რომ აღმოსავლეთისკენ წახვიდე, ერთი დღის მოგზაურობის შემდეგ მიხვდები ერთს ვრძელს მთასა, რომელსაც ჰქვია ციცი (ი.გოგ.).

9) ზმენის მესამე პირის ფორმა იხმარება განუსაზღვრელი მნიშვნელობით: ზარი უკვე დარეკეს. სუფრა მალე გააწვეეს. ამბობენ - წილს კარგი მოსავალი იქნებაო.

10) პირთა შენაცვლება არის მხატვრული ხერხი, როცა იგი მწერლის მიერ თხრობის თავისებურ მანერად არის გამოყენებული. ეს არის, მაგალითად, რაიმე ამბის გადაცემა მესამე პირის ნაცვლად მეორე ან პირველი პირით. მეორე და პირველ პირთა ფორმებით საუბარი ძირითადი სახეობაა დიალოგური მტყვევებისთვის.

3. ზმენის დრო

ლაპარაკის მომენტთან დაკავშირებით ზმენის ახლანდელი დროის ფორმას შეუძლია გამოხატოს: 1. ახლანდელი კონკრეტული დრო, როცა მოქმედება ემთხვევა საუბრის მომენტს, 2. ახლანდელი განზოგადებული დრო, როცა მოქმედება საგანს ახასიათებს საერთოდ, 3. ახლანდელი დრო უახლესი დროის ბნიშნელობით, 4. ახლანდელი დრო მომავალი დროის მნიშ-

ენელობით და სხვ., მაგალითად:

1) დროის ფორმა ახლანდელი და მნიშვნელობაც ახლანდელი, კონკრეტული:

კარგი ა მ ი ნ დ ი ა . ბავშვები ეზოში დ ა ხ ტ ი ა ნ და
თ ა მ ა შ მ ბ ე ნ .

2) დროის ფორმა ახლანდელი და მოქმედება ახლანდელი, განზოგადებული:

დედამიწა ტ რ ი ა ლ ე ბ ს . აქ ზამთარში ხშირად თოვს .
სოფელს გვერდით მდინარე რ ა უ დ ი ს .

3) ახლანდელი დროის ფორმა წარსული დროის მნიშვნელობით: ისინი უკვე დამეგობრდნენ; დიდი ხანია ერთად ც ხ ო ე რ ო ბ ე ნ , შ უ -
შ ა მ ბ ე ნ . მონადირე მიზანში ი ღ ე ბ ს და კ ლ ა ე ს გაქ-
ცეულ დათვს . სატვირთო ავტომანქანის მძღოლი საჩქეს მიუჯდა და მან-
ქანა გააქროლა . მე გაეხიხედე ფანჯარაში - ე ხ ე დ ა ე , გივი ჩვენ-
ქენ შ ო ღ ი ს .

4) ახლანდელი დროის ფორმა მომავალი დროის მნიშვნელობით: ხვალ
სანადიროდ მი დ ი ხ ა რ ? - დიახ, მ ი ე დ ი ე ა რ . კვირას ამი-
ღისში მ ი ე ე მ გ ზ ა ე რ ე ბ ი . ჩემთან ნააზღაპე შ ო ღ ი ს .

5) მომავალი დროის ფორმა ახლანდელი დროის გაგებით:

მის ბაღში რა ხეხილს ა რ ნ ა ხ ა ე ! (ეს ნიშნავს: მის ბაღში
რა ხეხილი არ არის). - ამხანაგო, ასანთი ხომ ა რ გ ე ქ ე ბ ა თ ?
ერთი ღერი შინდა .

6) წარსული დროის ფორმა მომავალი დროის გაგებით: მანქანა უკვე
მოვიდა . აბა წ ა ე ე დ ი თ !

7) მომავალი დროის ფორმა ახლანდელი დროის გაგებით: ხან ასეც
ხდება: ი ყ ე ი ' ე ბ ს და გულს გ ა გ ი ხ ე თ ქ ა ე ს .

8) ზოგიერთი ზმნის ფორმას ორი გაგება აქვს - როგორც წარსულის,
ისე მომავლის . ასეთებია ავ და ამ თემისნიშნის ზმნები, მაგალითად:
დამიხატავს (დაგიხატავს, დაუხატავს), დამიმაღავს, მომიხარშავს, მო-
მიკლავს, შემიწვავს, შემინახავს; ჩამიცვამს (ჩაგიცვამს, ჩაუცვამს),
დაუბამს, დაუფამს, დაუსხამს, შეუსვამს, დაურტყამს და სხვ . როდე-
საც ეს ზმნები წარსულის (I თურმეობითის) გაგებით იხმარება, მაშინ
ორპირიანია, ინვერსიული წყობისაა, მიუგებს კითხვაზე - რა მიქნია?
მაგალითად: მე წინათ ბევრი სურათი დ ა მ ი ხ ა ტ ა ე ს . შენ რა-
მდენი დათვი მ ო გ ი კ ლ ა ე ს ! მას ორსართულიანი სახლი ჯ ა უ -
დ გ ა მ ს . მაგრამ, როდესაც მომავლის გაგებით არის გამოყენებული,
მაშინ ისინი სამპირიანი პირდაპირი წყობის ზმნებია, რომელთაც დაეს-
მის კითხვა - რას ვიზამ? მაგალითად: ბიძაჩემი მე მომავალში ბევრ
სურათს დ ა მ ი ხ ა ტ ა ე ს , შენ მამაშენი დათვს მ ო გ ი კ -
ლ ა ე ს , მას ძმა ორსართულიან სახლს დ ა უ დ გ ა მ ს .

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ასეთი ზმნების დროის გარკვევა მხოლოდ წინადადების აზრის საშუალებით არის შესაძლებელი.

9) ქართულში გვაქვს ზმნები, რომელთაც ასევე ორი დროის გაგება აქვს ეხლანდელისა და მომავლის. ესენია - ჭამს, პრძანებს, ასწავლის, სცემს, განაგრძობს, უყურებს, იძინებს, შეადგენს, არჩენს, ათამაშებს და სხვ., მაგალითად: ბავშვი ახლა ზის და **ჭ ა მ ს**. არ მცალია, დედა გაკეთოლს **მ ა ს წ ა ე ლ ი ს**. ნინო აქ არის, ეზოში ბავშვებს **ა თ ა მ ა შ ე ბ ს**. ამ წინადადებაში ზმნები გამოხატავენ ახლანდელ დროს. ისინი მიუგებენ კითხვაზე - რას შერება? მაგრამ ასეთ წინადადებაში: ბავშვი ახლა დაჯდება და **ჭ ა მ ს**. დედა ხვალ გაკეთოლს **მ ა ს წ ა ე ლ ი ს**. ნინო აქ იქნება, საღამოს ბავშვებს ეზოში **ა თ ა მ ა შ ე ბ ს** - იგივე ზმნები მომავლის გაგებით არის გამოყენებული. ისინი მიუგებენ კითხვაზე - რას იზამს? მაშასადამე, ამ ზმნების დროის გარკვევა მხოლოდ კონტექსტის საშუალებით შეიძლება, ამიტომ წინადადება, სადაც ასეთი ზმნები იქნება გამოყენებული; ორატორი რომ არ დარჩეს, მოითხოვს სიტყვების დაკვირვებით შერჩევას.

10) ზმნას წინადადებაში შეიძლება სრულებით არ აქონდეს დროის გაგება, ე.ი. არ გამოხატავდეს მოქმედების შეფარებას ლაპარაკის მომენტთან, მაგალითად: ეს ტელევიზორი კარგად **მ უ შ ა ო ბ ს**. მტაცებელი ცხოველი და ფრინველი ხორცილ **ი კ ე ე ბ ე ბ ი ა ნ**. ჩვენი ქარხანა მაღალხარისხოვან პროდუქტებს **ა მ ზ ა დ ე ბ ს**. კატა თაგვს **ი ჭ ე რ ს**. მამალი **ყ ი ც ი ს**, ბავშვები სკოლაში **დ ა დ ი ა ნ** და სხვ.

ზმნის ეს ფორმები სხვა შემთხვევაში შეიძლება დროის გაგებითაც გამოვიყენოთ, მაგალითად, როდესაც განზოგადებული მნიშვნელობის ნაცვლად მათ კონკრეტული მნიშვნელობით ვიხმარებ.

წინადადებაში - კატა თაგვს **ი ჭ ე რ ს** - როცა ასეთი აზრია გამოხატული, რომ თაგვის ვერა კატის თვისებაა, მაშინ **ი ჭ ე რ ს** ზმნა არც ერთი დროის (ახლანდელის, წარსულის, მომავლის) გაგებით არ არის გამოყენებული, მაგრამ, თუ ამ წინადადებაში კონკრეტული შემთხვევა, კატის მიერ თაგვის დაჭერის მოქმედება აღნიშნული, მაშინ ზმნა **ი ჭ ე რ ს** ახლანდელი დროის გამოხატველია.

4. ზმნის კალა

კილო მოდალობის გამომხატველი ზმნური კატეგორიაა. სტილისტიკის თვალსაზრისით, პარალელური ფორმები უმთავრესად ბრძანებითი კილოს ხმარებისას გვხვდება, მაგალითად:

1. მეორე პირის ბრძანებით წინადადებაში ზმნას იყენებენ როგორც პირის ნიშნით, ისე უნიშნოდ: წერე! - სწერე! თესე! - სთესე! დათვალე! - დასთვალე! ხატე! - უხატე! ბარე! - უბარე! ქარგე! - უქარგე! და სხვ., მაგრამ ამ ორ ფორმას შორის მარადებულია უნიშნო ფორმა, უმარადებულა ნიშნიანი.

სულ სხვადას, როდესაც ბრძანებით წინადადებაში გამოყენებულია სამპირიანი ან გარდაუდელი ორპირიანი ზმნა, მაშინ მეორე პირის ფორმაში იგი ინარჩუნებს პირის ნიშანს, მაგრამ ეს მეორე სუბიექტური პირის ნიშანი კი არ არის, არამედ - შესამე ობიექტური პირისა, ამდენად იგი ზმნის ამ ფორმაში საჭიროა, მაგალითად: პიიბხე! მიუგვარე! მიუბაძე! მისწერე! სთხოვე! მოსწერი! და მისა.

2. ბრძანებითი წინადადება არის კატეგორიული და არაკატეგორიული. მაგალითად, **უკეთესი** - კატეგორიული ბრძანებითი წინადადებაა. მასში ზმნის წყვეტილი მწკრივის ფორმა მომავლის გაგებით არის გამოყენებული, მაგრამ მის პარალელურად იხმარება ასეთი ფორმა: **გეთესე**. ეს წინადადებაც ბრძანებითია, მაგრამ არ გამოხატავს კატეგორიულ ბრძანებას. აქ გამოყენებულია მეორე თურმობითობის მწკრივის ფორმა რჩევა-დარიგების შინაარსისა.

კატეგორიული და არაკატეგორიული ბრძანებითი უფრო მკვეთრად არის გარჩეული ერთმანეთისგან, როცა ისინი აკრძალვითი ფორმით არის გადმოცემული, მაგალითად, - **არცხე**! კატეგორიული ბრძანებითია, ხოლო - **ნუ აცხელებ!** - განსხვავებული აზრობრივი ელფერისაა, სახელდაბრ, რჩევა-დარიგების გამომხატველი.

ნუ ნაწილაკიანი ბრძანებითი წარსულდროიანი ფორმითაც გვხვდება: „ხელი ნუ მიმტეხე“ (გაფა), „სიტყვა ბანზე ნუ ააჯდე“ (ჭონქ.).

საერთოდ, წარაქმითი ბრძანებითი დროის გაგებით ყოველთვის არის მომავალი, აკრძალვითი კი - მომავალიცაა და ახლანდელიც. მომავლის დროის გაგებით იხმარება **არ** ნაწილაკიანი ფორმა, ახლანდელი და მომავალი დროის გაგებით - **ნუ** ნაწილაკიანი.

3. ბრძანებით წინადადებაში ზოგჯერ კაცშირებითი კილოს ზმნის ნაცვლად იყენებენ თხრობითი კილოს ზმნას. ასეთი შენაცვლება სალიტერატურო ენის თვალსაზრისით მისაღები არ არის. მაგალითად, შესამე

პირის წარუქმითი და ა რ ნაწილაკიანი უკუუქმითი ბრძანებით იყენებს კავშირებითი კილოს ზმნას მეორე კავშირებითი მწკრივის ფარმით მომავლის ვაგებთ, მაგრამ მას აჩაიშვითადად ცვლიან თხრობითი კილოს ზმნით. ეს განსაკუთრებით შეინიშნება წყველისა და დალოცვის გამოხატვისას. მაგალითად, გვაქვს:

1. წყველის გამოხატვები:

- | | |
|--|--|
| 1) მოისპოს მისი სახსენებელი!
ისე იხაროს მისმა გულმა!
დაუდგეს თვალში! | დაღახვოს ღმერთმა ავი კაცი!
აღრე დამიწდეს მისი თავი!
გახმეს ხმისი მარჯვენა! |
| 2) ა რ ვაუთენდეს დილა!
ა რ ეღირსოს სიკეთე! | ა რ გაიხაროს მისმა გულმა!
ა რ დააცალოს ღმერთმა! |

ამათგან პირველი ფორმა წარუქმითი ბრძანებითაა, მეორე - ა რ ნაწილაკიანი უკუუქმითი. ასევე:

2. დალოცვის გამოხატვები:

- | | |
|---|---|
| 1) იკურთხოს იმის მარჯვენა!
იმრავლოს მისმა შთამომავლობამ! | აშენდეს მისი ოჯახი!
გაიხაროს მისმა გულმა! |
| 2) შენი თავი ა რ მომიკვდეს!
მაგრამ არ ვარჯა, როდესაც კავშირებითი კილოს ნაცვლად ასეთ წინადადებებში იყენებენ თხრობითი კილოს ზმნას, მაგალითად, ასე: | ა რ გახმეს მისი ხელი!
მაგრამ არ ვარჯა, როდესაც კავშირებითი კილოს ნაცვლად ასეთ წინადადებებში იყენებენ თხრობითი კილოს ზმნას, მაგალითად, ასე: |

1. წყველის დროს:

- | | |
|---|---|
| 1) მოისპო მისი სახსენებელი!
ისე იხარა მისმა გულმა! | დაღახვრა ღმერთმა ავი კაცი!
აღრე დამიწდა მისი თავი! |
| 2) არ ვაუთენდა დილა!
არ ეღირსა სიკეთე! | არ გაიხარა მისმა გულმა!
არ დააცალა ღმერთმა! |

2. დალოცვის დროს:

- | | |
|---|--|
| 1) იკურთხა იმის მარჯვენა!
იმრავლა მისმა შთამომავლობამ! | აშენდა მისი ოჯახი!
გაიხარა მისმა გულმა! |
| 2) შენი თავი არ მომიკვდა! | არ გახმა მისი ხელი! |

პირების მიხედვით უნდა იყოს ასე: მას დაუდგეს თვალი! შენ დაგიდგეს თვალი! მე დამიდგეს თვალი! რიცხვის მიხედვით კი ასე: მათ დაუდგათ თვალი! თქვენ დაგიდგათ თვალი! ჩვენ დაგივიდგათ თვალი!

4. არც ის არის სწორი, როდესაც ასეთი ტიპის ბრძანებით წინადადებებში შესამე კავშირებითის ფორმის ნაცვლად იყენებენ მეორე თხრობითის ფორმას. უნდა იყოს:

- | | |
|---|----------------------------|
| 1) ეშმაკსაც წაელოს მისი თავი!
მადე მოღებოდეს ბოლა! | ფხებვეშ გახეჯოდეს მიწა! |
| 2) არ მიეღწიოს მომავალ წლამდე! | არ ღირსებოდეს მეტი სიკეთე! |

არ დაცლოდეს მისი მოსწრება!
3) ყოველთვის ენახოს სიკეთე!
და არა: ეშმაკსაც წაელო მისი
თავი!

არასოდეს არ დამართოდეს ცუდი
შეხვედრე გახეთქოდა მიწა!

არ მიეღწია მომავალ წლამდე!
და სხვ.

არ დირსებოდა მეტი სიკეთე!

5. ნუ ნაწილაკთან ბრძანებით წინადადებაში იხმარება თხრობითი
კილოს ზმნა ახლანდელი და მომავალი დროის გავტებით:

ნუ აქებს! ნუ აშენებს! ნუ ხატავს!... ნუ შეიბრუნებს! ნუ ააშენ-
ნებს! ნუ დახატავს! (ნუ აქებ; ნუ აქებენ! ნუ აქებთ! ნუ ვაქებთ!).

ნუ ნაწილაკთან გვხვდება კავშირებითი კილოს ზმნაც, მაგ.:

ნუ დავიმარხო! ნუ დამიტროს! ნუდა დამეცეს! და სხვ., მაგრამ
ეს ფორმა თანამედროვე ქართულიდან ბუნებრივი არ არის. უნდა იყოს:

ნუ დავიმარხები! ნუ დამიტრიბებს! ნუ დამეცემა! ე.ი. ნუ ნაწი-
ლაკთან უნდა იყოს თხრობითი კილოს ზმნა. არ ნაწილაკთან კი იქნება:

არ დავიმარხო! არ დამიტროს! არ დამეცეს! ე.ი. კავშირებითი
კილოს ზმნა.

6. ზეპირმეტყველებაში, ზოგჯერ კი პოეზიასა და მხატვრულ ლიტე-
რატურაში, ბრძანების გამოხატვაზე ზოგიერთ ზმნას მეორე პირში შე-
კვეცილი სახით ხმარობენ. ასეთი ზმნებია, მაგალითად: დახე! (დახე-
დე!), შეხე! (შეხედე!), დაიკა! (დაიკაბდე!), გამეცა! (გამეცალდე!),
მოიტა! (მოიტანე!), მომე! (მომეცი!) გამე! (გამეცი!) და სხვ. ზო-
გიერთ ზმნას იმდენად კვეცენ, რომ იგი ზმნისწინამდე დადის, მაგალი-
თად:

მო! (მოდე!), წა! (წადე!), შემო! (შემოდე!), გამო! (გამოდე!),
გადმო! (გადმოდე!) და ა.შ. მხატვრულ მეტყველებაში ისინი, გარდა
იმისა, რომ განკარგულებას ან თხოვნას გამოხატავენ, თავიანთ მნიშ-
ვნელობას გადმოკვეცემენ ემოციურად და ექსპრესიულად, მაგალითად:

- დ ა ი ც ა თ, - ჩაერია არტაშა.

- ა დ ე, კაცო, ზეზე.

- მ თ ი ც ა, დედა, მერე ერთად წაგიღეთ,

- მ თ ი ტ ა, მე ვცალო!

- წ ა მ თ, ძმაო, წაგიღეთ (ა.ბელ.).

- გ ე თ ა ყ ვ ა თ, ეს ცინ არის? (დ.თურდოსა:).

მაგრამ, საერთოდ, მათი ასეთი შეკვეცილი სახით ხმარება სტილის-
ტიკურად მიზანშეწონელია.

იგივე ითქმის შემდეგი ფორმების შესახებაც: იუბე! (იუბე!),
დაჯე! (დაჯე!), ადე! (ადე!), დადე! (დადე!) და სხვ.

5. მოქმედების მრავალგზისობის გამოხატვა

მოქმედების მრავალგზისობის გამოხატვა ზმნის ხოლმეობითი მწკრივის ფორმას ეკისრება, მაგალითად: დაწერდა, წაიკითხა, მოვილოდა, მიიტანდა, მიიღებებოდა, იმღერებდა, გაიკეთებდა და ა.შ. ამ ფორმების პარალელურად გვხვდება ნაწილაკიანი ფორმებიც: ზმნას ემატება ნაწილაკი ხოლმე, მაგალითად: დაწერდა ხოლმე, წაიკითხა ხოლმე, მოვილოდა ხოლმე და სხვ., მაგრამ ეს ფორმა მიუღებელია. როდესაც მოქმედების მრავალგზისობა ზმნაში მორფოლოგიურად არის გამოხატული, მაშინ ნაწილაკი ზედმეტია. მაგალითად, არ არის სწორი, როდესაც წერენ ასე:

... ერთ წამს სულ მთლიანად ჩ ა ი ე უ შ ე ბ რ დ ა ხ რ ღ ი ე (ნ.ლომ.). უკველ ცისმარე დღეს ჭიანჭველები გ ა ე მ ზ ა ე ე რ ე ბ რ დ ე ნ ხ რ ღ ი ე ბადისაკენ (ი.გოგ.). ხანდახან გ ა მ რ ი დ ე ი ძ ე ბ დ ა ხ რ ღ ი ე ის არაწმინდა... (ა.წერ.)

მაგრამ, როდესაც მრავალგზისობის გამოსახატავად არა ხოლმეობითის, არამედ სხვა მწკრივის ფორმაა გამოყენებული, მაშინ ხ რ ღ ი ე ნაწილაკის დართვა აუცილებელია. მაგალითად, როდესაც ზმნა აწმყოს, უწყვეტლის ან მყოფადის მწკრივშია, მაგალითად:

სადაც ცული ვერ გამოდგება, იქ პატარა ხერხს გ ა ა ქ ვ ს და გ ა მ რ ა ქ ვ ს ხ რ ღ ი ე (ა.წერ.). ის ერთ და იმავე სიტყვას ხშირად ი მ ი რ ე ბ დ ა ხ რ ღ ი ე. ა დ ი ტ ა ე ე ბ ს ხ რ ღ ი ე ის ხმა... (ი.ჭიჭვი.). და სხვ.

6. უნახავი მოქმედების გამოხატვა

უნახავი მოქმედებები ქართულში თურმეობითის მწკრივითაა ფორმებით გამოიყოფა. ესენია პირველი და მეორე თურმეობითი, მაგალითად: დაუწერია, დაუწერა; დაუხატავს, დაუხატა; დაუღია, დაუღო; დაუკითხავს, დაუკითხა; დაუგია, დაუგო და სხვ.

ამის პარალელურად გვხვდება ნაწილაკიანი ფორმებიც. ნაწილაკად იხმარება თ უ რ შ ი ე. იტყვიან: თურმე დაუწერია, თურმე დაუწერა; თურმე დაუგია, თურმე დაუგო და ა.შ., მაგრამ ეს ფორმები სწორი არ არის, ვინაიდან თ უ რ შ ი ე ნაწილაკის გამოუყენებლადაც ნათლად გამოხატავს მოქმედების უნახავობას: როგორც პირველი, ისე მეორე თურმეობითის მწკრივის ფორმა. ამიტომ ა რ ა რ ი ს ს წ რ თ ი, როდესაც ასე ამბობენ და წერენ: ცეცხლი ყ რ ფ ი ღ ა თ უ რ შ ი ე საჭირო თავისუფლების გადასარჩენად! (ა.მირცხ.). ცუფა, რაც უ ს ვ ა მ ს

თავი წრიბინებს; მამალი ყვივის; ქათამი კაკანებს, კრიახებს; მტრედი ლუღუნებს; იხვი ყვიტიტებს; ბატი სისინებს, ლაღანებს; ყვავი ჩხავის; ქორი ყობყობებს; ბატის ან იხვის ქუქული, მწყერი ქუქუამი-ბენ; ბელურა ჟივტივებს, წიკვივებს; მერცხალი ჳიკვიკებს, ლურჯუ-ღებს; შამვი ჳახხახებს, გაღებს; ბუღბული სტვენს, გაღებს; ჳრიტინა ჳრიტინებს; ჳუტყარი ბჳუის; გველი სისინებს; ბაყაყი ყყინებს; ტა-ბტი, ჳრემი ჳრიტინებს, ჳრიღებს; ქარი ჳუჳუნებს, წივის; ჳარი ჳრი-აღებს და სხუ.

მავალითუბი მხატვრული ლიტერატურიდან.

აქ ხშირად უქვიფნიად გრძნობის აღმტაცის ხ რ უ ტ უ ნ ი თ ნებიერს ლ ო რ ე ბ ს (ი. ჳაუჭ.). მტრედი ვერ შესძღებს კ ა ტ ი ს ჩ ხ ა ვ ი ლ ს ა, კრავი უმანკო - მ ე ლ ი ს ხ ა ვ ი ლ ს ა (რ. ერისთ.). ტბის ქვეშ დ ა ს ი ს ი ნ ე ბ ლ ე ნ ე ნ გველები (ვეფ.). აღარ ისმოდა იქიდან შემოდგომით ვულის მანათობელი ხ ა რ - ი რ მ ი ს ყ ვ ი რ ი ლ ი, აღარც შ ე ლ ი ს ხ ა ვ ი ლ ი, აღარ, ტ უ რ ი ს ჩ ხ ა ვ ი ლ ი და აღარც ყ მ უ ი ლ ი მშიერი მ გ ლ ი - ს ა (ვაჟა). (ჩხიკვი) ხან კ რ უ ხ ი ვ ი თ ჩ ხ ა ვ ი ს, ძე - რ ა ს ა ვ ი თ წ ი ვ ი ს, კ ა ტ ა ს ა ვ ი თ კ ნ ა ვ ი ს ან ძ ა ლ ლ ი ვ ი თ ყ ე ფ ს და მ ა მ ა ლ ი ვ ი თ ყ ი ვ ი ს (რაზ.). ჳევამ დასწყეველს დ ი ა ვ ი ს პირმოხული კ ი ვ ი ლ ი (ყაზბ.). გაუმაძღარი ნუგზარ ერისთავი ლ ო მ ს ა ვ ი თ ბ რ დ ე - ვ ი ნ ა ვ დ ა (ყაზბ.). - ჩავქოლოთ, ჩავქოლოთ! - ი გ რ ი ა ლ ა ხ ა ლ ხ მ ა (ყაზბ.) ყ ვ ა ვ - ყ ო რ ა ნ მ ა... ჩ ხ ა ვ ი ლ - ჩ ხ ა ვ ი ლ ი თ პირი იბრუნა (არაგვ.). მ წ ყ ე რ ი თასში ერთხელ ა მ ო ი ტ უ კ ტ უ კ ე ბ დ ა ტირილის ხმაზე (ვაჟა).

თუ ამას მიუვამატებთ აგრეთვე ყურთასმენის წამლებ და უნაურე შემაღვენლობის აკომპანიმენტს (როიარის ტ ყ ა ბ ა ტ ყ უ ბ ს, კონტრაბასის ბ უ ყ ბ უ ყ ს, დაფაფის დ გ ა ნ დ გ ა რ ს, კლარ-ნეტის ან საქსოფონის ტ ყ ვ ი ტ ი ნ ს, გიტარის წ ყ ა რ უ ნ ს) ადვილი წარმოსადგენია, რა ესთეტიკური სიამოვნების მოგვრა შეუძლია კონკრეტს ასეთი პროგრამით (გაზ. „თბილისი“).

დასახელებულ მავალითუბში მოცემულია ხმიანობის აღმნიშვნელი რაგორც ჳმნები, ისე ნაზმნარი სახელები.

როგ უყმთხვევებში მნიშვნელობის მიხედვით ერზმანეთისგან ნერ არჩევენ აგრეთვე ჳოგიერთ ჳმნას, რაგორიყბა, მავალითაჲ; ეწია და ეწვია, მოსდა და მოხედა, ნახა და იპოვა, გაიგო დი უნატო, მიიყვანა და მოიტანა, ჳყავს და აქვს და ა. შ. აღვნიშნავთ დასახელებული ჳმნების მხოლოდ ძირითად მნიშვნელობებს.

2. ეწია და ეწვია

ეწია-ეწევა (I თურმ. სწევრა) ეწებითი გვარისაა და აღნიშნავს: შეხედა, შეემოხება, მოუვიდა, მიწვდა, მაგალითად: მას ბ ე დ ი ე წ ი ა, ამ დიღით ჩემი შეზობელი სიხარულისგან ც ა ს ე წ ი ა, იმ ღამეს დარაჯს უ ბ ე ღ უ რ ე ბ ა ე წ ი ა (ე.ი. ბედი შეხედა, სიხარულისგან ცას მისწვდა, უბედურება დაატყდა თავს).

ეწვია - ეწვევა (I თურმ. სწვევია) - ესეუ ეწებითი გვარის ზმნაა, მაგრამ მნიშვნელობით სხვაა. იგი უდრის ზმნებს - ესტუმრა, სტუმრად მოუვიდა); ჩემს ძმას გუშინ ს ი მ ა მ რ ი ე წ ვ ი ა, მამაჩემს დიდი ხნის უნახავი მ ე გ ო ბ ა რ ი ე წ ვ ი ა. წელს მ ე რ - ც ხ ა ღ ი ა ღ რ ე გ ე წ ვ ი ა (ე.ი. სიმამრი ესტუმრა, მეგობარი სტუმრად მოუვიდა, მერყხალი მოგვიფრინდა).

ასე განსხვავდება ამ ზმნათა მნიშვნელობა ერთმანეთისგან, ამიტომ სტილისტიკურად სწორი არ იქნება, თუ ეწია ზმნის ნაცვლად ეწვია ზმნას ვიხმარო, რაც არც ისე იშვიათი შემთხვევაა მოსწავლეთა ზეპირ-ვერბუცებასა და წერილ ნამუშევრებში.

შეიძლება ვთქვათ: მას ბ ე დ ე ი ე რ ე ბ ა ე წ ვ ი ა (ე.ი. ბედნიერება ესტუმრა), მაგრამ მოსაწონი ქართული არ იქნება, თუ ეიცვით: მას შემთხვევით უ ბ ე ღ უ რ ე ბ ა ე წ ვ ი ა.

3. მოხდა და მოხედა

საკირთა ყურადღება მიიქცევს ამ ზმნების მნიშვნელობებს, ეინაოდან მათი აღრევა ხშირი მოვლენაა.

მ ო ხ დ ა - ხ დ ე ბ ა (მოხდება, მომხდარა) ერთპირიანი ეწებითი გვარის ზმნაა, რუმელს შესატყვისი მოქმედებითი გვარის ზმნაა ა ხ ღ ე ნ ს, საწყისია მ ო ხ დ ო მ ა (მოხდა რუსულად - произошло, сдѣлалось). მაგალითად, ეამბობთ: მის ცხოვრებაში მ ო ხ დ ა დიდი გ ა რ დ ა ტ ე ხ ა. კრწანისის ველზე დიდი ბ რ ძ ლ დ ა მ ო ხ დ ა. გურიის გლეხთა ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა მ ო ხ დ ა 1841 წელს. ეს ა მ ბ ა ე ი მ ო ხ დ ა ტყეში.

მ ო ხ ე დ ა - ხ ე დ ე ბ ა (მოხედება, მოხვედრია ან მოხედავდა) - ესეუ ეწებითი გვარისაა. იხმარება ორპირიანადაც და ერთპირიანადაც. მისი მოქმედებითი ა ხ ე ე დ რ ე ბ ს, საწყისია მ ო ხ ე ი დ რ ა (რუსულად - поглядѣли), მაგალითად, ტ ყ) ი ა მ გელს თავში მ ო ხ ე დ ა (погла). დ ი თ ი კინალამ თვალში მ ო ხ ე დ ა. ჯ ო ხ ი მას ხელზე მ ო ხ ე დ ა (ამ წინადადებაში ზმნა-შემასმენელი ორპირიანია).

ეს ზმნა ზოგჯერ სხვა შინაარსითაც იხმარება: მაგალითად: ბავშვი მოულოდნელად შეაგულ ტყვიანი მსახურად. ზურაბი სტუმრად მსახურად სცანეთ ში. ანგარიში სააღიარო ნაწილში მსახურად (ამ შემთხვევაში „მსახურად“ ერთპირიანადაა გამოყენებული).

4. ვიწყებ და ვიწყობ

აღმოსაველთ საქართველოში ძალიან გავრცელებულია ვიწყებ ზმნის ნაცვლად ვიწყობ ზმნის ხმარება. ეს ზმნები კი სხვადასხვა მნიშვნელობისაა და სალიტერატურო ენაში მათი აღრევა უხეში სტილისტიკური შეუფთაა. ზმნა ვიწყებ ნიშნავს პირველად შედგომას, პირველად ხელის მოკიდებას, წამოწყებას. მისი საწყისია დაწყებდა; ვიწყობ კი გამოხატავს მოწესრიგებულად დაღებას, დადაგებას. მისი საწყისია დაწყობდა. როგორც ეხედავთ, დაწყებდა და დაწყობდა უფრო ნათლად გამოხატავენ შინაარსობრივ სხვაობას, ვიდრე მათი შესატყვისი ზმნები. მაგალითად, ერთი მხრივ ვამბობთ ასე: ვიწყებ ახალ საქმეს, ვიწყებ მუშაობას, ვიწყებ სახლის შენებას. მეორე მხრივ კი - ვიწყობ შეშას, ვიწყობ წიგნებს, ვიწყობ აგურებს.

ამ ზმნების მნიშვნელობა უფრო მკვეთრად არის ერთმანეთისგან გარჩეული I და II პირებში, წყვეტილის მწკრივში, მაგალითად:

დავიწყებ საქმე, დავიწყებ საქმე - დავიწყებ შეშა, დავიწყებ შეშა (შესამე პირში ერთნაირია: დავიწყობ საქმე - დავიწყობ შეშა), მრავლობითი რიგებში კი ყველა პირშია გარჩეული: დავიწყებ საქმე, დავიწყებ საქმე - დავიწყებ შეშა, დავიწყებ შეშა; დავიწყებ საქმე - დავიწყებ შეშა; ამიტომ ვიწყებ ზმნის ნაცვლად ვიწყობ ზმნის ხმარება დაუშვებელია.

ასეთი შეუღობა არათუ ზეპირმეტყველებაში, არამედ ხშირად მწერლობაშიც შეინიშნება, მაგ.: ნუგზარის საბატონდში მოგვიხდება შესედა, მასთან ომის დაწყობდა (ე.ბარნ.). 1872 წლიდან უკვე იწყობდა ქ.თბილისში აქაჰიქ კრებებში (ს.მგაღ.).

5. ნახა და იპოვა

დასაძლევთ საქართველოში ზმნას ვნახე (ნახე, ნახა) ფართო მნიშვნელობით ხმარობენ. იგი ნიშნავს დ ა ნ ა ხ ე ა ს ა ც ა ნ უ ხ ი ღ ვ ა ს ა ც . და პ ი გ ნ ა ს ა ც , ამის გამო ზმნა ვ ი პ ო ვ ე (იპოვე, იპოვა) იშვიათად გვხვდება. მაგალითად, ერთნაირად ამბობენ - გუშინ ჩემი ფრონტული ამხანაგი ვ ნ ა ხ ე , დაკარგული საფულე ეზოში ვ ნ ა ხ ე .

„ამხანაგი ვნახე“ ნიშნავს „ამხანაგი ვიხილე, ამხანაგი დავინახე“, „საფულე ვნახე“ კი - „საფულე ვიპოვე“ ანუ „საფულეს წაგაწვი“.

აღმოსაძლევთ საქართველოში და სალიტერატურო ენაშიც ზემოთ დასახელებულ წინადადებებში შემასმენლთ გამოხატული მნიშვნელობანი სხვადასხვა ზმნით გადმოიციემა. ეს ზმნებია - ვნახე (ნახე, ნახა) და ვიპოვე (იპოვე, იპოვა). ზმნა ნ ა ხ ა ნიშნავს თვლით ხილვას, დანახვას (მას აწმყოში ენაცვლება ზმნა „ხედავს“); ზმნა ი პ ო ვ ა კი ნიშნავს მოძებნას, მიკვლევას, მიგნებას, დაკარგულის აღმოჩენას (მისი აწმყოს ფორმაა „პოულობს“). მნიშვნელობის მიხედვით განსხვავებულია მათი საწყისებიცა და მიმღებებიც. ნახა ზმნის საწყისია „ნახვა“ და ნიშნავს ხილვას, მიმღებია - „ნახული“ (ე.ი. ხილული); „პოვა“-ს საწყისი კი არის „პოვნა“ (ე.ი. მიკვლევა, აღმოჩენა), მიმღებია - „ნაპოვნი“ (ე.ი. მიკვლევული, აღმოჩენილი. აქედან გვაქვს ასევე „მოპოვება“ - შეძენა და „მოპოვებული“ - შეძენილი). მაშასადამე, „იპოვა“-ს ნაცვლად „ნახა“ ზმნის გამოყენება და ამის შედეგად პირველი ზმნის ხმარებიდან ამოღება ენის გაღარიბებას შეუწყობს ხელს. აზრის აიზუსტისთვის ორივე ზმნა საჭიროა: ხ ი ღ ვ ი ს მნიშვნელობის გამოსახატავად უნდა იხმარებოდეს ზმნა ნ ა ხ ა , ხოლო დაკარგულის, უცნობის აღმოჩენის აღსანიშნავად კი - ი პ ო ვ ა , ამიტომ უნდა ვთქვათ ასე: დაკარგული საფულე ეზოში ვ ი პ ო ვ ე . მან წიგნი დღეს მერხში ი პ ო ვ ა . დიდი ხნის ძებნის შემდეგ ხარი ტყეში ი პ ო ვ ა . საპასუხოდ სიტყვა ვერ უ პ ო ვ ი ა .

და არა: დაკარგული საფულე ეზოში ვ ნ ა ხ ე , წიგნი დღეს მერხში ნ ა ხ ა , ხარი ტყეში ნ ა ხ ა . სიტყვა ვერ უ ნ ა ხ ა ვ ს .

ზმნა „ვენახე“ კი გამოიყენება ასე: გუშინ ახალი კინოსურათი ვ ე რ ვ ნ ა ხ ე . ის მაღე ნ ა ხ ა ვ ს მისკოვს. წადი და ნ ა ხ ე შენი ყრმობის მეგობარი!

მართალია, ნ ა ხ ა ზმნის მნიშვნელობა იმდენად გაფართოებულია, რომ იგი აშკარად ზოგჯერ პ ო ვ ნ ა ს ა ც გამოხატავს; მაგრამ

1 იხ. დაკარგული ენის განსარტყობითი ლექსიკონი, 5, 1958, გვ.1449.

საპროცესო დროს სასურველია, ისინი ერთმანეთისგან განეცხვიან: ხილვის, დანახვის გამოსახატავად ეხმარათ ზმნა „ნახა“ მოძებნის, მონახვის, აღმოჩენის მნიშვნელობის გადმოსაქვეყნად კი - ზმნა „პოვა“.

6. გაიგო და შეიტყო

გარდა იმისა, რომ ზმნა **გ ა ი გ ო** ნიშნავს გაუენას, გაშლას, იგი სხვა მნიშვნელობითაც იხმარება: **გ ა ი გ ო** - შეიწყო და **გ ა ი გ ო** - შეიტყო.

ნამდვილად **კ ი გ ა ი გ ო** და **შ ე ი ტ ყ ო** სალიტერატურო ქართულში ერთმანეთისგან განსხვავებული ზმნებია.

ზმნა **გ ა ი გ ო** იხმარება მაშინ, როცა საუბარი ეხება გააზრებას, შეეცობას (რუსულად - **поирази**), მაგალითად:

წაკითხული ადვილად **გ ა ი გ ო**. ახსნილი მასალა კარგად **გ ა ი გ ო**.

ზმნა **შ ე ი ტ ყ ო** კი იმ შემთხვევაში იხმარება, როდესაც საუბარი ეხება სხვისგან რაიმეს გაგებას, მოსმენას (რუსულად - **узнаи**). მაგალითად:

გელამ გუშინ ახალი ამბავი **შ ე ი ტ ყ ო**. მან **შ ე ი ტ ყ ო**, რომ სტუმრები ჩამოდიან.

აზროს სიკვხალისთვის არ ივარგებდა, რომ ასე გვეთქვა:

გელამ გუშინ ახალი ამბავი **გ ა ი გ ო**. მან **გ ა ი გ ო**, რომ სტუმრები ჩამოდიან. მართალია, ამტამად ზმნა „გაიგო“ იმდენად ფართო მნიშვნელობით იხმარება, რომ „შეიტყო“ ზმნის შინაარსსაც გამოხატავს (მაგ. შდრ.: **გ ა ი გ ე**, ზარი დარეკეს თუ არა! **გ ა ი გ ე**, ნიკო ჩამოვიდა თუ არა!), მაგრამ, როცა სტილისტიკურად საპროცესოა, მის ნაკვეთად „შეიტყო“ ზმნის გამოყენებას თავი არ უნდა ავაზროლოთ.

7. მოიყვანა და მოიტანა, შეაყვანა და აქვს

ქართულში გვაქვს ზმნები: **მ ო ი ყ ვ ა ნ ა**, **მ ო ი ტ ა ნ ა**; **შ ყ ა ვ ს**, **ა ქ ე ს**. (შიმღობა: მოყვანილი, მოტანილი; საწყისი: მოიყვანა, მოტანა).

ზმნები: **მ ო ი ყ ვ ა ნ ა**, **შ ყ ა ვ ს** იხმარება მაშინ, როდესაც საუბარია სულიერ საგანზე:

მოიყვანა - ძმა, მეწაფე, ეხენი, მტრედი, პეპელა, კალია.

შეაყვანა - მამა, ამსანაყი, მეზობელი, ძაღლი, დათვი, ქაფამი.

მ კ უ ც ა ნ ი ლ ი: ბავშვი, ცხვარი, ცხენი, შაშვი... ზმნები
მ კ ი ტ ა ნ ა, ა ქ ე ს ი ხ მ ა რ ბ ა მ ა შ ი ნ, რ ა დ ე ს ა ც სა უ ბ ა რ ი ა უ ს უ ლ ა
ს ა გ ა ნ ზ ე ა ნ რ ა ი მ ე შ ი ვ ე ლ ე ნ ა ზ ე:

მ ი ი ტ ა ნ ა - წ ი გ ნ ი, ფ ა ნ ქ ა რ ი, პ უ რ ი, წ ყ ა ლ ი, ს კ ა მ ი. ა ქ ე ს - ს ა ხ ლ ი,
ბ ი ბ ლ ი თ ე კ ა, ჯ ი ლ დ ა, ნ ი შ ი, ც რ დ ა.

... მ კ ტ ა ნ ი ლ ი: ტ ვ ი რ თ ი, ხ ე, მ ა ს ა ლ ა, ნ ი გ -
თ ე ბ ი....

აქ სადავო არაფერია, მაგრამ ზოგჯერ ეშვებს იწვევს შემდეგი გამო-
თქმების სისწორე: კარგი მ ა გ ა ლ ი თ ი მ კ ი უ ც ა ნ ა, მ კ -
მ ყ ა ც ს ც ი ტ ა ტ ა; მ ა ს ა ხ ა ლ ი მ ა ნ ქ ა ნ ა ა მ ყ ა ც ს
და სხვ.

ამ საკითხებზე შეძლებისდაგვარად პასუხი გაცემული იყო 1956
წელს გამოცემულ ქართული მართლწერის მოკლე კურსში¹. 1962 წელს გა-
მოქვეყნდა საგაზეთო წერილი², სადაც უფრო ვრცლად და გარკვევით
არის გაცემული პასუხი საკითხზე - მანქანა მყავს თუ მაქვს.

წერილში ნათქვამია: „... ენას თავისი ბუნება აქვს. ზოგი რამ
მასში, რაც ლოგიკას ეწინააღმდეგება, ენის ბუნების ავტოსაზრისით
და გრამატიკულად მართებულია. ქართულშიც, სხვა მრავალი ენის მსგა-
ვსად, გრამატიკა ლოგიკასთან ზოგჯერ მწყურადად არის. ამის მაგალითი
რევნს დედაენაში ცობა რადია. გამოთქმები „ავტომობილი, მოტოციკლი,
ცელსიპედი მყავს, მიმყავს“ ასეთ კატეგორიას განეკუთვნება“.

მართლაც, ენაში ზოგჯერ, რაც ლოგიკურად სწორი არ არის, ის მი-
საღებდადაა მიჩნეული და დამკვიდრებულია კიდევ როგორც ბუნებრივი
თქმა. ამის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ასეთი ფრაზები: მზე
ამოვიდა, მზე ჩავიდა. ამჟამად ცნობილია, რომ მზე კი არ ამოდის და
ჩადის, არამედ დედამიწა ბრუნავს მზის გარშემო, მაგრამ ენაში ძველ
დროიდანვე ეს ფრაზები შეუცვლელ თქმებად დარჩა. ასევე, როცა ვამ-
ბობთ - ფეხით მოვიდაო (ერთი ფეხით მოსვლა ხომ შეუძლებელია!) -
ესეც ქართულითვის ბუნებრივი თქმაა (ფეხებით მოვიდაო - არაგინ
ამბობს).

არც ისაა ლოგიკურად სწორი, როცა ვამბობთ ასეთ რა შეეძინა? -
ც ა ვ ი. რ ა მყავს ან რ ა ეყოლა? - ქ ა ლ ი; მიცვალე ბულის მიმართ
კ ი - გ ი ს კ ი თ ხ ე ა ს ც ხ მ ა რ ბ ა მ ა შ ი ნ? - მ ი ხ ლ ე ს; გ ი ნ დ ა -
ა ს ა ფ ლ ა გ ე ს? - მ ა მ ა კ ა ე ი. მაგრამ აღნიშნული თქმები საყოველთაოდ მი-
ღებულია.

იგივე ითქმის ისეთი ფრაზების შესახებაც, როგორცაა მანქანა .

I იხ. ნ. ბასილია - ქართული მართლწერის ძირითადი საკითხები,
1956, გვ. 73-74.

2 მ. ჯაყელი - რომელია მართებული? გაზ. „თბილისი“, 1962, 25
აგვისტო, გვ. 3.

მყავს, მოტოროლერი მყავს, ეტლი მყავს და სხვ.

დასახლებული საგაზეთო წერილის ატორი მართებულად ხსნის ამ ენობრივ მოვლენას. მისი აზრით:

„ინდივიდუალური სარგებლობის თეიმოძრავი საშუალება ჩვენი ხალხის ცნობიერებაში სულიერ სიკვანთს უკვე დიდი ხანია გაუთანაბრდა, ამიტომაც სამწერლო ენაში შემოვიდა და დამკვიდრდა „ავტომანქანა მიმყავს“. ეს გამოთქმა კი თავისთავად მოითხოვს ავტომანქანის „ყვალას“.

მაშასადამე, ბირადი მოხმარების ტრანსპორტის (ე.ი. მოძრავი საგნების) - მანქანის, მოტოციკლის, მოტოროლერის, ეელოსიპედის, ეტლის და სხვა მისთანების შესახებ უნდა ითქვას - მოიყვანა, მიიყვანა, წაიყვანა, გაიყვანა; მანქანა წიდან მოიყვანა, მოტოციკლი ძმამ წაიყვანა, ეტლი ქუჩაზე გაიყვანა და ამის ანალოგიით მათი, ე.ი. მანქანის, მოტოციკლის, ეელოსიპედის, ეტლის კუთვნილების გამოსახატვად - მ ყ ა ვ ს და არა - მ ა ქ ე ს; მას ახალი ავტომანქანა მყავს. ჩემს მეზობელს წინააღმდეგ ეტლი მყავდა და სხვ., მაგრამ, თუ ესენი მოძრავად არ არის გააზრებული (ეგზემპლად, დაზიანებულია და ხელით ან სხვა რამით წასადებია), მაშინ იქნება ასე: მანქანა გარა-ევიდან გაიტანეს, ეტლი სახელოსნოში შეიტანეს, აქედან: მანქანა და-მტერული აქვს, ეტლი სახელოსნოში აქვს დაგებული. ეტლის მსგავსად ურმის გვერდითაც ხმარობენ როგორც მიმყავს, ისე მყავს ზმენებს და ეს თქმები იმდენად განმტკიცებულია თანამედროვე ენაში, რომ შეიძლება მიმყავს ზმენის ხმარების უდრეგად მყავს ზმენის გამოყენება დიდი სა-ტრანსპორტო საშუალებების - გემის, მატარებლის, თეიმფრინავის მი-მართაც იხმარებოდეს (თუცა ზემოთ დასახლებული წერილის ავტორს ეს უმართებულად მიიჩნია).

ასევე ხშირად იხმარება თქმები: ბევრი მაგალითი მოიყვანა. მო-მყავს ციტატა. ეს ფრაზებიც არ არის საეჭვო. ქართულში ისინი რუსული თქმების მსგავსად (*привел пример, привожу цитату*), უკვე სავსებით დამკვიდრებულია და ბუნებრივ თქმებად ითვლება. რაცა ვინმეს დასახლებული ტიპის სახელებთან ეუბერხულება ამ ზმენის გა-მოყენება, მაშინ შეიძლება მის ნაცვლად იხმაროს დ ა ა ს ა ხ ე - ლ ა ან ა ქ ე ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ უ ლ ი .

ასეთივე თქმებია: წელს სოფლის მშრომლებმა ბევრი სიკინდი მო-იყვანეს. უხვი მოსავლის მოყვანაში მათ გერადინ სჯობს. მაგრამ ასეთ ხიტყვებთან მყავს ზმენის გამოყენება გამორიცხულია. ამ შეიძლება ითქვას: ბევრი მაგალითი მყავს. უნდა იყოს - ბევრი მაგალ ი მ ა რ ს ბოლო ხანებში სკოლებში ძალიან გავრცელდა მ ყ ა ვ ს ზმენის უმართებულად ხმარება წარმატების ნიშნ-ს დასახლებასთან. მაგ., ამბობენ: მე ქიმიკაში „ხუთი“ მყავს, მას ფიზიკაში „ორი“ მყავს, -

და კითხვასაც ასე სვამენ: რა ნიშანი გყავს ქიშიაში?

ეს, რასაკვირველია, არაფრით არ არის გამარჯვებული. ნიშნის შესახებ, უდავოდ, უნდა ითქვას მ ა ქ ც ს და არა - მ ყ ა ც ს; ქართულ ენაში მაქვს „სული“ ან: ნიშანი „სული“ და სხვ.

აქვე საჭიროა აღინიშნოს მ ყ ა ც ს და ა ქ ც ს ზმნების ხმა-რების საკითხი სიტყვასთან „საქონელი“.

სიტყვა საქონელი ომონიმიცა, რომელიც ორი მნიშვნელობით იხმარება: ნივთებისა (ТОВАР) და ცხოველებისა (ОКОТ). პირველ შემთხვევაში ვამბობთ: საქონელი მაქვს, მეორე შემთხვევაში კი - საქონელი მყავს. საერთოდ, უსულ საგნის მიმართ, თუ იგი ტრანსპორტის აღმნიშვნელი არ არის, მ ყ ა ც ს ზმნა არ იხმარება.

მ. ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ აგრეთვე ზმნები მ ო ი - თ ხ ო ვ ს, თ ხ ო უ ლ ო ბ ს, ი ღ ე ბ ს, ღ ე ბ უ ლ ო ბ ს; მ ო ი თ ხ ო ვ ს (რუს. тредует) იხმარება მემდეგ შესიტყვებებში: მ ო ი თ ხ ო ვ ს პ ა ს უ ხ ს, მოითხოვს ზრდილობას, მოითხოვს წესრიგს და მისთ.

თ ხ ო უ ლ ო ბ ს (რუს. просит) კი - თხოულობს დახმარებას, თხოულობს შევბუღებას, თხოულობს მოწყალებას და სხვ.

ი ღ ე ბ ს რუსულად არის ПРИНИМАЕТ (берёт): იღებს აცად-მყოფს, იღებს გამოწვევას, იღებს გადაწყვეტილებას, იღებს მონაწილეობას და ა.შ.

ღ ე ბ უ ლ ო ბ ს (რუს. ПОЛУЧАЕТ): ღებულობს ხელფასს, ღებულობს პენსიას, ღებულობს წერილს.

არ არის სწორი, როდესაც ამბობენ: თხოულობს წესრიგს, მოითხოვს მოწყალებას; ღებულობს მონაწილეობას, იღებს წერილს.

9. ხშირად ურეიენ ერთმანეთში აგრეთვე ზმნებს - მ ო დ ი და მ ო ხ ე ე დ ი.

თხრობით წინადადებაში წყვეტილში, II პირში იხმარება: შენ მოხვედი, წახვედი, შეხვედი, გადახვედი. მაგ.: რო.კა შენ მოხვედი, მამა სხვაგან იყო.

ბრძანებით წინადადებაში კი გვაქვს: მალე მოდი! წადი! შედი! გადადი! მაგ.: ხვალ დილით მოდი! მაგრამ თხრობით წინადადებაში „მოხვედი“ -ს ნაცვლად „მოდი“-ს ხმარება სტილისტიკური შეუღომაა. არ არის სწორი წინადადება: როცა შენ მოდი, მამა შინ იყო (ეს კუთხური თქმავა).

10. ღ ა პ ა რ ა კ ო ბ ს და ა მ ბ ო ბ ს

ეს ზმენები ხშირად ერევათ ერთმანეთში: მორეს ხმაოზბენ პირველის ნაცვლად. ამბობენ ასე:

ისინი სიმაზრდღეს ღაპარაკობენ, ავტორი ამის შესახებ არაფერს ღაპარაკობს, მან იღაპარაკა, რში ქარხანა გეგმას კარგად ასრულებს ჩვენ ვღაპარაკობთ: ამოსავალი უღანაკარგოდ უნდა იქნეს აღებული“.

არც ერთი ამ წინადადებათაგანი სწორი არ არის სალიტერატურო ენის თვალსაზრისით. „ღაპარაკობს“ არის ერთპირიანი, გარდაუვალი ზმნა. მას არ შეიძლება პიონდღეს ობიექტური პირი. ამიტომ მისი გამოყენება ორპირიანი გარდამავალი ზმნის გაგებით შეუღომაა. იგი ნიშნავს მებყვებებს, საუბრობს, ბაასობს; „ამბობს“ კი ორპირიანი გარდამავალი ზმნაა, ნიშნავს - მოგვითხრობს, გადასცემს. ამიტომ ზმნა „ღაპარაკობს“ უნდა იხმარებოდღეს მამინ, როდღესაც სამოქმედო ობიექტი არ იგულისხმება, მაგალითად: ის ქარზუღად კარგად ღაპარაკობს, ჩემი ამხანაგი რუსუღად ღაპარაკობდა, მან ბევრი იღაპარაკა ახალგაზრდობის აღზრდაზე და სხვ., მაგრამ, როდღესაც ამ მოქმედებასთან იგულისხმება სამოქმედო, ობიექტური პირი, მაშინ უნდა ეთქვამთ ა მ ბ ო ბ ს და არა - ღ ა პ ა რ ა კ ო ბ ს, ვინაიღან ამბობს ორპირიანი გარდამავალი ზმნაა და გამოხატავს პირდაპირ ობიექტს. მაშასადამე, ზემოთ დასახებღებული წინადადებები ასეთი სახით უნდა იხმარებოდღეს:

ისინი სიმაზრდღეს ამბობენ, ავტორი ამის შესახებ არაფერს ამბობს, მან თქვა, რში ქარხანა გეგმას კარგად ასრულებს; ჩვენ ვამბობთ:

ამოსავალი უღანაკარგოდ უნდა იქნეს აღებული“.

„ღაპარაკობს“ ზმნის ორპირიანი ფორმაა გარდაუვალი „ეღაპარაკება“, მისი სამპირიანად გამოყენება არ შეიძლება. რადგანაც ამ ზმნაში არ ჩანს რას ეღაპარაკება სხვას მოქმედი პირი. შინაარსობრივად „ეღაპარაკება“-ს შესატყვისია ზმნა „უამბობს“, მაგრამ ეს სამპირიანია, გარდამავალი. მას ეწყობა რუგორც ირიბი ობიექტური პირი, ისე-პირდაპირი. ეს კარგად ჩანს შემდეგი წინადადებების ერთმანეთთან შედარებისას: დუღის ეღაპარაკება შეიღი და დუღას უამბობს შეიღი. პირველ წინადადებაში მოქმედებასთან არ იგულისხმება პირდაპირი ობიექტი, მეორე წინადადებაში კი იგულისხმება.

ფრთხილთა ჯგუფების მიხედღით „ღაპარაკობს“ ზმნის ფორმებია:

ღაპარაკობს, იღაპარაკებს, იღაპარაკა, უღაპარაკნია,
ეღაპარაკება, დეღაპარაკება, ეღაპარაკა, უღაპარაკნია.

„ამბობს“ ზმნა კი ფუტემონაცეღია. მისი ფორმებია: ამბობ, იტყვი, თქვა, უთქვამს, უამბობს (ახლა), უამბობს (ხვად), უამბო, უამზნია.

ამრიგად, პირდაპირი ობიექტების გარეხატვის საჭიროებისას „ეღა-

პარაკება" ზმინის ნაცვლად უნდა ეიხმაროთ ზმინა „უანბოზს“. მაცალი-
თად, სწორია, რადესაც ვანბოთ: ის მას ქართულად ელაპარაკება,
ჩემი ამხანაგი სტუმარს რუსულად ელაპარაკებოდა, ის ბევრი ელაპა-
რაკა შემოზღებს ახალგაზრდობის აღზრდაზე.

ისინი მათ სიმართლეს ეუბნებიან, ავტორი ამის შესახებ არაფერს
გვიამბობს (გვეუბნება): მან უთხრა, რომ ქარხანას გეგმა შესრულებუ-
ლი აქვს. ჩვენ ვეუბნებით: „მოსავალი უდანაკარგოდ უნდა ავიღოთ“.

და არა: ისინი მათ სიმართლეს ელაპარაკებიან, ავტორი ამის
შესახებ არაფერს გველაპარაკება, ის ელაპარაკა, რომ ქარხანას გე-
გმა შესრულებული აქვს და სხვ.

ასევე უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან ს ა უ ბ რ კ ბ ს -
ო ს ა უ ბ რ ე ბ ა და ე უ ბ ნ ე ბ ა. საუბრობს, ესაუბრება
იმავე მინშენელისაა, რაგორც ლაპარაკობს და ელაპარაკება.

II. ე ბ ა რ ე ბ ა და ე უ ა ვ რ ე ბ ა

ე ბ ა რ ე ბ ა ნიშნავს სიზარმაცის ვამო არ უნდა, არ სურს.
მაგ.: მას ეზარება წასვლა, ეზარება გაკეთება, ეზარება ადრე ადგო-
მა.

ე უ ა ვ რ ე ბ ა - ნიშნავს ეზიზღება, სძულს (იშვითად ედარ-
დებასაც ნიშნავს). ამ ზმინის ნაცვლად ე ბ ა რ ე ბ ა ზმინის გა-
მოყენება სტილიტიკური შეუსაბამობაა. უნდა ითქვას:

მას ის კაცი ეზარება. და არა: მას ის კაცი ეზარება (ეს კუ-
თხური თქმაა).

12. ვ ა ა ძ რ კ და ვ ა ხ ა დ ა

ვ ა ა ძ რ კ ნიშნავს - ვაბაცალა, მოაშორა. მავალითად, ვამბობთ
ასე: ტყავი ვააძრო. ვ ა ხ ა დ ა - ნიშნავს - ტანსაცმლის, ფეხსა-
ცმლის მოშორებას (იგი ვადაქვერვასაც ნიშნავს), ამიტომ „ტანსაცმელი
ვააძრო“-ს ნაცვლად უმჯობესია ეიხმაროთ „ტანსაცმელი ვახადა“. ასევე
უნდა ითქვას ფეხსაცმლის შესახებაც: ფეხსაცმელი ვახადა.

13. ა ა შ ე ნ ე ბ ს და ვ ა ა შ ე ნ ე ბ ს

ა ა შ ე ნ ე ბ ს (ააშენა) ნიშნავს ააგებს, აღმართავს: სახლს
ააშენებს, სკოლას ააშენებს, ქარხანას ააშენებს (გულისხმობს მოქ-
მედებას სიმადღებზე). ვ ა ა შ ე ნ ე ბ ს (ვააშენა) ნიშნავს ვადა-
აქვევს, დააარსებს, დარგავს: ვააშენებს ახალ სოფელს, ვააშენებს
ზაღს, ვააშენებს ეაზს (აღნიშნავს მოქმედებას სიბრტყეზე), ამიტომ
არ არის სწორი, რადესაც ამბობენ: მან დიდი სახლი ვააშენა; მთა-
ერობამ ახალი ფაბრიკა ვააშენა.

§ 50. ზმნისწინების ხმარების შესახებ

1. ზმნისწინი, უპირველეს ყოვლისა, იხმარება მოქმედების მიმართულების გამოსახატავად. მაგალითად:

ა ნიშნავს მიმართულებას ქვევიდან ზევით: ავიდა, აფრინდა, ავიარდა.

ამო - ქვევიდან ზევით, სადაც მოუბარია: ამოვიდა, ამოფრინდა, ამოვიარდა.

ჩა - ზევიდან ქვევით რამეში: ჩავიდა, ჩაფრინდა, ჩავარდა.

ჩამო - ზევიდან ქვევით რამეში, სადაც მოუბარია: ჩამოვიდა, ჩამოფრინდა, ჩამოვიარდა.

შე - გარედან შიგნით: შევიდა, შეფრინდა, შევიარდა.

შემო - გარედან შიგნით, სადაც მოუბარია: შემოვიდა, შემოფრინდა, შემოვიარდა.

გა - შიგნიდან გარეთ: გავიდა, გაფრინდა, გავარდა.

გამო - შიგნიდან გარეთ, სადაც მოუბარია: გამოვიდა, გამოფრინდა, გამოვიარდა.

წა - აქედან იქით: წავიდა, წაფრინდა.

წამო - იქიდან აქეთ, სადაც მოუბარია: წამოვიდა, წამოფრინდა, წამოვიარდა.

გადა - აქედან იქით რაიმე დაბრკოლების გადალახვით: გადავიდა, გადაფრინდა, გადავიარდა.

გადმო - იქიდან აქეთ, სადაც მოუბარია, რაიმე დაბრკოლების გადალახვით: გადმოვიდა, გადმოფრინდა, გადმოვიარდა.

მი - აქედან იქით: მივიდა, მიფრინდა, მივიარდა.

მიმო - აქედან იქით და იქიდან აქეთ, სადაც მოუბარია: მიმოვიდა (მიმოსვლა).

ზმნისწინიან ზმნებთან ხშირად მიმართულების გამოსახატავად წინადადებაში რამატებით იყენებენ ადგილის ზმნიზებებს, მაგალითად, ასე:

ზევით ადგა, ზევით ამოვიდა; ქვევით ჩავიდა, ქვევით ჩამოვიდა; შიგნით შევიდა, შიგნით შემოვიდა; იქით წავიდა, აქეთ წამოვიდა და სხვ. ასეთ შემთხვევებში ზმნიზებების ხმარება იწვევს ტიპოლოგიას და მხატვრულობის თვალსაზრისითაც გაუმართლებელია.

2. ასეთი პარალელური ფორმებიდან:

ავითარებს და აწვეითარებს, ათავისუფლებს და ანათავისუფლებს

ასახიერებს და ანსახიერებს, ავიფრებს და აწვევიფრებს

ახორციელებს და აწხორციელებს, აივადკეივებს და აწივადკეივებს და

სხვ. მისაღებია მხოლოდ პირველი (უწარს) ფორმა. ნ აქ გან ზმნისწინი-

ნიდან მომდინარეობს და, რადგანაც ამ შემთხვევაში ზმნას ზმნისწინი არ სჭირდება, არც მისი ნაშთი „ნ“ არის საჭირო, მაგრამ წყვეტილში ერთნაირი უფლების პარალელური ფორმებია:

გაავეთარა - განავეთარა, აიკვეთა - აღიკვეთა

გაახორციელა - განახორციელა, აიშალა - აღიშალა

გააყაღებდა - განაყაღებდა, ამოზრწყინდა - აღმოზრწყინდა და

სხვ.

მათ შორის პირველი უახლესია, მაგრამ ჯერჯერობით ორივე ერთნაირად იხმარება. პირველთან შედარებით მეორე (გან და აღ ზმნისწინიანი) უფრო ექსპრესიულია.

გან ზმნისწინი შენარჩუნებულია აგრეთვე სახელზმნებშიც, რის გამოც გვაქვს ასეთი პარალელური ფორმები:

განვეთარება - ვეთარება, განმეორება - გამეორება

განხორციელება - ხორციელება, განთავისუფლება - გათავისუფლება.

განახლება - გაახლება, განცალკევება - გაცალკევება

განცვიფრება - გაცვიფრება, განმტკიცება - გამტკიცება

განშორება - გაშორება და სხვ.

ორივე ფორმა სწორია, პირველი ძველია, მეორე ახალი, მაგრამ ჯერჯერობით უპირატესობა მაინც პირველ ფორმას აქვს, ე.ი. ფორმებს: განხორციელება, განვეთარება და სხვ.

3. გასათვლისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი ძველი და ახალი ზმნისწინი, მაგ.: გან - გა, წარ - წა და სხვა ერთ და იმავე ფუძესთან შენაარსობრივ სხვაობას გამოხატავს. მაგალითად: გ ა ნ კ უ - ლ ა კ ე ბ ა ნ იშნავს კულაკის არაკულაკად გადაქცევის, ხოლო გ ა - კ უ ლ ა კ ე ბ ა - არაკულაკის კულაკად გარდაქმნას.

ასევე: გ ა ნ დ ი ე ბ ა არის ამაღლება, წარჩინება, დიდი სახელის მინიჭება, გ ა დ ი ე ბ ა კი - ზომის მომატება, დიდად გადაქცევა; გ ა ნ ს ე ე ნ ე ბ ა - დასვენება, გ ა ს ე ე ნ ე ბ ა - მიცვალებულის სასაფლაოზე წაღება; გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა - წერილობით ან ზეპირი უწყება, გ ა ც ხ ა დ ე ბ ა - გამჟღავნება; წ ა რ - მ ა ტ ე ბ ა - კარგი შედეგის მიღება, მიღწევა, წ ა მ ა ტ ე ბ ა - ე.ი. მიმატება; წ ა რ ს უ ლ ი - განვლილი დრო, წ ა ს უ ლ ი - აქედან იქით გამგზავრებული და სხვ.

4. ზოგ ფუძესთან ზმნისწინების ევლა იძლევა სინონიმური მნიშვნელობის ზმნებსა და სახელზმნებს, მაგალითად: გააგო - დააგო, გააბრგა - მობრგა, ააშენა - გააშენა, დაჰიმა - გაჰიმა, გაარჩია - შეარჩია, გაახურა - შეახურა, გააღამაზა - შეაღამაზა, გაყურდა - მიყურდა, დაეძინა - მიეძინა, გააღო - შეაღო, აიწია - წამოიწია, გააწყო - დააწყო, გაათავა - დაამთავრა და სხვ. ესენი წინადადებუ-

ბში იხმარება ჯანსხევებული აზროპრივი ელფერის ძესანიშნავად. აქედან ჯვაქეს სინონიმური სახელწმინებიც: 1) ს ა წ ქ ი ს ე ბ ი - გაგება - დაგება, გაროგება - მოჩოგება, აშენება - გაშენება; 2) შ ი შ ე ე ლ ბ ე ბ ი: გაგებული - დაგებული, გაროგებული - მოჩოგებული, აშენებული - გაშენებული. ასეა ახალი წმინისწინების ხმარების დროსაც, მაგალითად, აგება, დაგება, გაგება, მოგება, წაგება, აღება, დაღება, გაღება, წაღება; აგებული, დაგებული, გაგებული, მოგებული, წაგებული; აღებული, დაღებული, გაღებული, წაღებული და ა.შ.

5. ზოგჯერ ერთმანეთში ურევენ ში და მო წმინისწინების ფუნქციას. ში უნდა იხმარებოდეს მამინ, რუსა მოქმედება მიმართულია შესამე პირისადმი, მაგალითად: მივიდა, მიიტანა, მიიყვანა - მასთან, მოკო მაპინ უნდა ეიხმაროდ, როდესაც მოქმედება მიემართება ბიქველ ან მეორე პირს, მაგ.: მივიდა, მიიტანა, მიიყვანა - ჩემთან, შენთან (იქ, სადაც მოუბარი ან თანამოსაუბრეა).

6. გვხვდება ჯ ა ე ლ და ჯ ა ღ შ ე ლ წმინისწინების აღრეცაც. რუსა მოქმედებისას რაიმე დაბრკოლების გადმოლახვა არ იგულისხმება, მაშინ ჯ ა ღ შ ე ლ -ს ნაცეღად ჯ ა შ ე ლ უნდა ეიხმაროდ, მაგ.: თახიდან ბარგი გარეთ გამოიტანა (და არა: გადმოიტანა), მაგრამ, თუ ბარგი ერთი სახლიდან მეორეში წაიდეს, მაშინ ასე იტყვიან: ბარგი ერთი სახლიდან მეორეში გადაიტანა ან: გადმოიტანა. ასევე: ძროხა ბოსლიდან გამოიყვანა ან ძროხა ერთი ბოსლიდან მეორეში გადაიყვანა ან გადმოიყვანა.

თუ როგორ ამახინჯებს აზრს წმინისწინის უხეროდ გამოყენება, ეს კარგად ჩანს შემდეგ მაგალითებში: მანქანაში ან ტროლეიბუსში გეკითხებათ გარეებისას უკან მდგომი მგზავრი: - ჩამოდიხარ? ეს სწორი თქმა არ არის. (უნდა იყოს - ჩადიხარ?)

ბტრის ესკადრილია მამინათვე დ ა ი თ ა ნ ტ ა (უნდა იყოს - გაიფანტა).

ახალგაზრდები უცებ მოვეცივდიო ცეცხლმოდებულ თვითმფრინავთან (უნდა იყოს - მივეცივდიო).

პირი მაქეს მოსაპარსავი (უნდა იყო! - გასაპარსავი) და სხვ.

§ 51. ზოგიერთი ნაზმნარი სახელის პარალელური ფორმები

1. ზოგ უემისნიშნო ზმნას განუითარებული აქვს აც თემისნიშნიანი პარალელური ფორმა, რომელიც ამჟამად საკმაოდ გავრცელებულია. ამასთან დაკავშირებით გვაქვს აც ნიშნიანი ყიმღლობაც, მაგალითად: თესს - სათესი, თესავს - სათესავი. ასევე: სარეხი - სარეხავი, სარეჩი - სარეჩავი, საკვეცი - საკვეცავი, მოსახვეცი-მოსახვეცავი და სხვ. ამათ წორის უპირატესობა პირველ ფორმას უნდა მიეკუთვნოს. უნდა იყოს: სათესი, სარეხი, საკვეცი, მოსახვეცი (და არა: სათესავი, სარეხავი და სხვ.).

2. ზოგი აც თემისნიშნიანი ზმნისგან მიღებული მიმღობა ორი სახით გვხვდება, მაგალითად:

კეცავს - საკეცი - საკეცავი
 საკენკი - საკენკავი
 ასაბოჭი - ასაბოჭავი
 გასაკეცი - გასაკეცავი
 გასაკერი - გასაკერავი
 მოსაპარსი .. მოსაპარსავი და სხვ.^I

ამჟამად ორივე ფორმა მარტებულად ითვლება, მაგრამ, რადგანაც ეს მიმღობები აც ნიშნიანი ზმნებისგან არის მიღებული, უპირატესობა აც ნიშნიან ყიმღობებს უნდა მიეცეს (საკეტავი - მკეტავი, ასაბოჭავი - მბოჭავი, გასაკერავი - გამკერავი).

3. პარალელური ფორმები აქვს ებ თემისნიშნიანი საწყისებისგან მიღებულ წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღობებს, მაგალითად:

დაგროვება - დაგროვილი - დაგროვებული
 დაგუბული - დაგუბებული
 დაწებილი - დაწებებული
 ავსილი - ავსებული და ა.შ.

ამათგან სალიტირატურო ქართულიწავის მისაღება მხოლოდ ებნიანი ფორმა: დაგროვებული, დაგუბებული და სხვ.

ასეთივე პარალელური ფორმებია აგრეთვე:

გასათალი - გასათლელი
 გასაშალი - გასაშლელი
 გასათხარი - გასათხრელი
 გასაზარდი - გასაზრდელი და სხვ.

მაგრამ მათგან მხოლოდ მორე წყების ფორმებია დასაცავი (გასათლელი - გამთლელი, გასაშლელი - გაშშლელი...)

I უფრო ვრცლად იხ. ბასილიაძე - მართლწერის ძირითადი საკითხები, ნ.1, I 60, გვ.220-230.

4. ქართულში გვაქვს ისეთი მიმღეობებიც, რომლებიც გარეგნულად ერთმანეთის წესგაქცევა; მაგრამ გამოხატავენ სხვადასხვა მნიშვნელობას. მათი ერთმანეთში აღრევა არცაუ ისე იშვიათი მოვლენაა, ამიტომ საჭიროა მათი ერთმანეთისგან ზუსტად გარჩევა. ასეთი სიტყვებია, მაგალითად:

შესასვლელი და შესავალი, გასასვლელი და გასავალი, მოსასვლელი და მოსავალი და სხვ.

სიტყვები: შესასვლელი - შემოსასვლელი; გასასვლელი - გამოსასვლელი - აღნიშნავენ ადგილს, საიდანაც შეიძლება შესვლა, შემოსვლა ან საიდანაც შეიძლება გასვლა, გამოსვლა.

შესავალი კი აღნიშნავს დასაწყის ნაწილს, მაგალითად, მხატვრული, მუსიკალური, მეცნიერული ნაწარმოების შესავალს; შემოსავალი - ჭლად ან სხვა მატერიალურ სახსარს; რომელიც მიიღება რაიმე წყაროდან; გასავალი შემოსავლის საპირისპირო სიტყვაა და აღნიშნავს ხარჯს, გაღებულს რაიმე საჭიროების გამო; გამოსავალი იხმარება რაიმესგან თავის დაღწევის მნიშვნელობით; მოსასვლელი - იმას, ვინც ან რაც უნდა მოვიდეს, მოსავალი - ჭირნახულს (მაგ.: სიმინდის, ხორბლის, ხილის და სხვ. მოსავალი).

§ 52. ზმნიზედის შერჩევის შესახებ

1. ბევრი ზმნიზედა ნაწარმოებია სხვა მდებარეობის ნაწილისგან ზოგჯერ ორნაირად, რის შედეგადაც გვაქვს პარალელური ფორმები, მაგალითად: მარჯვნივ - მარჯვნივ, მარცხნივ - მარცხნივ, ერთი მხრივ - ერთი მხრივ, მორე მხრით - მორის მხრივ; განუწყვეტლად - განუწყვეტლივ, ავადნათლად - ავადნათლივ, ხმაამოუღებლად - ხმაამოუღებლივ, დაუყოვნებლად - დაუყოვნებლივ და სხვ. ამებამდ ორივე სწორია და ერთნაირად იხმარება, მაგრამ პირველი მორესთან შედარებით ახალა და ამის გამო იგი უფრო გავრცელებულია.

2. მოსწავლეებს უფრო უშიშროა მიზნისა და მიზნის ზმნიზედების ერთმანეთისგან გარჩევა: მიზნის ზმნიზედას შეედომით იყენებენ მიზნის ზმნიზედის ანალოგს.

თანამედროვე ქართულში ეს ზმნიზედები კარგად ირის გარჩეული ერთმანეთისგან როგორც სიტყვობრივად, ისე მნიშვნელობითადაც.

მიზნის ზმნიზედებია: ამიტომ, მაგისტომ, იმიტომ.

მიზნისა - ამისთვის, მაგისტვის, იმისთვის.

მათი აღრევა შეინიშნება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი იხმარება მისათითებელ სიტყვებად ან კავშირებად რთულ ქვეყნობილ

წინადადებაში, მაგალითად, ზრახვაში:

გუშინ თეატრში ვერ წავედი იმისთვის, რომ ავიღო ვიყავი - და-
მოკიდებული წინადადება უნდა იყოს მთავარ წინა-
დადებაში აღნიშნული მოქმედების გამოწვევით მიზეზს, მაგრამ ამის
მისათვის მთავარ წინადადებაში გამოყენებულია მიზნის ზმნი-
ზება იმისთვის, ე.ი. მიზნის ზმნიზება მიუთითებს მიზეზის დამოკი-
დებულ წინადადებაზე, ეს კი აზრობრივი შეუსაბამობაა, მაშასადამე,
სტილისტიკური შეცდომაა. მიზეზის მისათვის მთავარ გამოყენებული უნდა
იყოს არა მიზნის, არამედ მიზეზის ზმნიზება, ამიტომ ეს წინადადება
აზრს სწორად მაშინ გამოხატავს, როდესაც ასე ითვლება:

გუშინ თეატრში ვერ წავედი იმიტომ, რომ ავიღო ვიყავი.

მიზნისა და მიზეზის ზმნიზების ადრევე შედეგად მსგავსი
აზრობრივი შეუსაბამობაა გამოხატული შემდეგ წინადადებაში:

პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩავერიცხე იმიტომ, რომ მასწავლებელი
გამოვიღე. აქ დამოკიდებული წინადადება „რომ მასწავლებელი გამოვი-
ღე“ გამოხატავს მიზანს, მის მისათვის მთავარ სიტყვად კი მთავარ წინა-
დადებაში მოცემულია მიზეზის ზმნიზებით გამოხატული მისათვის მთავარი
სიტყვა. ეს წინადადება სწორად მაშინ იქნება აკრძალული, როდესაც
„იმიტომ“ სიტყვის ნაცვლად ჩავსვამთ მიზნის ზმნიზებას „იმისთვის“;
პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩავერიცხე იმისთვის, რომ მასწავლებელი
გამოვიღე.

მ. ასეთივე შემთხვევებს ვხვდებით მაშინაც, როდესაც აღნიშნული
მიზეზისა და მიზნის ზმნიზებები კავშირებად იხმარება.

მაგალითად, წინადადებაში: გუშინ დილით ძალიან წვიმდა, ამის-
თვის ადრე ვერ წავედი, - რადგანაც პირველი ნაწილი გამოხატავს მო-
ქმედების მიზეზს, მეორე კი - მიზეზის შედეგს, კავშირად გამოყენე-
ბული უნდა იყოს არა მიზნის, არამედ მიზეზის ზმნიზება, ე.ი. ასე:
... დილით ძალიან წვიმდა, ამიტომ ადრე ვერ წავედი.

... იმიტომ არასათანადო ზმნიზება გამოყენებული შემდეგ
წინადადებაში: ახალი წიგნი უნდა მეყიდა, ამიტომ წავედი მაღაზი-
აში. ესეც იყოს: ახალი წიგნი უნდა მეყიდა, ამისთვის წავედი მა-
ღაზიაში.

ზმნიზებად გამოყენებულ თანდებულობის ნაცვალსახელს ამისთვის
(მაგისტრის, იმისთვის) ხშირად ცვლის თქმები - ამის გულისთვის,
ამ მიზნით. ზმნიზებად ამიტომ (მაგისტრის, იმისთვის) - ამის გამო,
ამ მიზეზით, ამის შედეგად.

4. მიზნის გამოსახატავად ხშირად იხმარებენ ასეთ ლერძებსაც: გადარჩე-
ვისთვის, წასვლისთვის, გამაგრებისთვის... ან კიდევ ასე: დაცე-
ვის მიზნით, აყვავების მიზნით, შესრულების მიზნით და ა.შ. აქ

ზმნიზედებამდ მოცემულია თანდებუდიანი საწყისები. სტილიტიკურად უმჯობესია მათ ნაცვლად იხმარებოდეს ვნებით გვარის ზომავლის მიმდებარე, ნაწარმოები ციხარებითი ბრუნვის ნიშნით, მაგალითად: გადასარჩენად, წასასვლელად, გასამგზავრებლად... დასაცავად, ასაყვანებლად, შესასრულებლად... მაგ., შდრ. ყველაფერი მზად იყო სამშობლოს დაცვისთვის - და ყველაფერი მზად იყო სამშობლოს დასაცავად.

5. პარალელური ფორმების ხმარება შეინიშნება სახელისგან ნაწარმოებ დროის ზმნიზედებშიც, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წინადადებაში მიკვეთითი ფორმის გერედი იყენებენ სახელობითი ფორმას. ასეთი ზმნიზედები წინადადებაში ურთავრესად მსაზღვრედიანი ფორმით გვხვდება, მაგ.: კრება ორ საათს გაგრძელდა - კრება ორი საათი გაგრძელდა. ნიკო ერთ კვირას მუშაობდა - ნიკო ერთი კვირა მუშაობდა. პრაქტიკამ გასტანა სამ თვის - პრაქტიკამ გასტანა სამი თვე. თბილისში ცხოვრობდა ხუთ წელს - თბილისში ცხოვრობდა ხუთი წელი.

ამ პარალელური ფორმებიდან სტილიტიკურად ქართული სალიტერატურო ენისთვის ბუნებრივია მხოლოდ პირველი, ე.ი. ზმნიზედად გამოყენებული სახელის ხმარება მიკვეთითი ბრუნვის ფორმით. ასევე უნდა იცხმაროდ იგი ნაზმნარი სახელით გადმოცემულ წევრებთანაც: ორ საათს გაგრძელდა - ორ საათს გამგრძელდებელი (და არა: ორი საათი გაგრძელდა, ორი საათი გამგრძელდებელი). არ არის მიზანმიმართული მისი გამოყენება სახელობითი ფორმით შემდეგ წინადადებაშიც: დღე საჩუქარზეა, დაშე შინაა. უმჯობესია: დღისათ სამსახურშია, დაშეთ შინაა. ე.ი. ამ შემთხვევაში სახელობითი ნაცვლად უნდა იცხმაროდ მოქმედებითი ბრუნვის ფორმა.

მაგრამ ზოგ შემთხვევაში სახელობითი ფორმას შეცვლა მიკვეთითი (ან მოქმედებითი) შეუძლებელია. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ სახელობითი ზმნიზედად გამოყენებული სახელისთვის (მაგ., დროის ვარცხოვების გამოსახატავად) უცხო მოვლენა არ არის. მაგალითად, სტილიტიკურად სრულიად გამართულია შემდეგი წინადადება: დღით დღე იმერობდა. ნიკო დღე და ღამე შრომობდა. დღეა ცფიქრობდი, ღამეა (ვაჟა).

ამრგადად, იმ შემთხვევაში, როდესაც სახელობითი შენაცვლება მიკვეთითი შეიძლება, უპირატესობა ამ უკანასკნელს უნდა მივაკუთვნოთ, მაგრამ, თუ ასეთი შენაცვლება შეუძლებელია, სახელობითი სწორ ფორმად უნდა ჩაითვალოს.

ზმნიზედების არაზუსტი მნიშვნელობით ხმარების შემთხვევები

1) ჩვენი ქვეყნის ფურცარი. მ ე ტ ა დ განსხვავდება სხვა ქვეყნის ფურცარისაგან (უნდა იყოს - ძალიან ან დიდად).

2) ნიკო, რ ე ა რ ა მოხვალ? (უნდა იყოს - მალე მოხვალ?).

3) მისი უმცროსი ბავშვი ს ა შ ი ნ ლ ა დ მომწონს (უნდა იყოს - ძალიან მომწონს).

ამბობენ ასედაც: სოფლის ბუნება ს ა ს ტ ი კ ა დ მიყვარს. სიტყვები საშინლად და სასტიკად ყოვლად შეუთავსებელია მოწონებასა და სიყვარულთან, მაგრამ სრულიად ბუნებრივია შემდეგ წინადადებებში:

ბირფერობა და მღიქვენლობა ს ა შ ი ნ ლ ა დ სძულდა, ბატონი ყმას ს ა ს ტ ი კ ა დ ეპყრობოდა.

4) "მარტო" და "მხოლოდ" ზმნიზედების გარჩევა

სიტყვა "მარტო" იხმარება მაშინ, როდესაც ასახსნელი სიტყვიმ აღნიშნული საგანი წარმოადგენილი გვაქვს განმარტებულად, სხვა საგნის გარეშე, მაგალითად:

ნიკო მარტო მოვიდა (ე.ი. ნიკოს არავინ მოჰყოლია).

გივი მარტო ზის (ე.ი. გივისთან სხვა არავინაა).

ჩემი ძმა მარტო ცხოვრობს, ცანო მარტო სადილობს...

სიტყვა "მხოლოდ" იხმარება მაშინ, როცა გვსურს საგანი წარმოადგინოთ სხვა საგნისგან გამოყოფილად, მაგალითად: იქ მ ხ ლ ლ დ ნიკო იჯდა (ე.ი. იმთავან, რომლებიც იქ იყვნენ იჯდა ნიკო). მ ხ ლ ლ დ შენ წერე! (ე.ი. სხვებს შორის შენ ერთმა წერე!).

უმართებულო შენაცვლება

ზოგჯერ წინადადებებში ნაზმნარი სახელით ანუ სახელზენით ვადმოცემულ წევრთან ზმნიზედის ნაცვლად უმართებულოდ იყენებენ ზედსართავ სახელს, ე.ი. ციფრების გარემოებას ცვლიან განსახვდევრებით, მაგრამ ამხვე დროს ზოგ მიმღეობასთან ან საწყისთან არც განსახვდევრების ხმარებაა გამოორიებული. ამის გასარკვევად საჭიროა გიყოდეთ სათანაოდ წესები.

მაგალითად, ცნობილია, რომ „ზმნასთან დაკავშირებული ზმნიზედა უყვედვლად გადადის მასწართან და მიმღეობასთან:

მზრალად მოხნა - მზრალად ხვნა, მზრალად მოხნული".¹

¹ მ. ბინჩაღაძე - ზმნიზედის სწავლებისათვის, თბილისი, „საქართველოს საბჭოთაო სკოლისათვის“, №1, 1954.

მაგრამ, არსებით სახელად გამოყენებულ სახელწმინდასთან (მაგ.: მწერალი, მხატვარი, მომღერალი, სიმღერა, სიცილი, შრომა) გამოიყენება არა ციხარების ზმნიზება, არამედ ზედსარაივი სახელია ს ა ხ ე - ლ ო ე ა ნ ი მწერალი, ნ ი ც ი ე რ ი მხატვარი, კ ა რ გ ი მომღერალი, მ ხ ი ა რ უ ლ ი სიმღერა, ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ე ი სიცილი, დ ა უ ლ ა ლ ა ე ი შრომა.

ამის ანალოგიით უმართებულად იხმარება ზმნიზებების მაგვირად ზედსარაივები მიმღრობასთან და მასდართან: ახალი შეძენილი წიგნი (ახლად შეძენილი წიგნი); კარგი შენახული ხილი (კარგად შენახული); ფართო გაშლილი მწვანე მინდორი (ფართოდ გაშლილი); სუფთა ჩაიშული მიხუცი (სუფთად ჩაიშული); ღამაში ხატვა იყოფა (ღამაზად ხატვა)¹.

ასევე „მიმღრობასთან ზმნიზებების შერწყმით წერა მიუღებელია. იწერება: სუფთად ჩაიყვა - სუფთად ჩაიშული, სუფთად ჩაიშა. არაა სწორი ასეთი კომპოზიტების შექმნა: ახლადკურსდამთავრებული, სრულიად-გზაკვაღაბნეული“².

ამგვარად, მსახვერდელ-სახვერდლის კომპოზიტად გაერთიანება ბუნებრივია, მაგალითად ასე: ახლადშეძენილი, ზემოაღნიშნული, ბოლნაძექვაში და ა.შ., ხოლო, თუ პირველი სიტყვა ზმნიზება და არა ზედსარაივი სახელი, მაშინ იგი ცალკე უნდა გამოვყოთ მიმდევრო სიტყვისგან. ახლად შეძენილი, ზემოთ აღნიშნული, ბოლს ნაძექვაში და სხვ. მაგრამ, თუ წინადადებაში მიმღრობა ან საწყისი არსებით სახელადაა გამოყენებული, მაშინ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათთან თვისების გამოსახატავად ზმნიზების ნაცუდად ზედსარაივი სახელით ან უმღრობით გადმოყენებული განსახვერება იხმარება. ასეთი მიმღრობისა და საწყისის მაგალითებია:

მწერალი, მხატვარი, მშენებელი, გამყიდველი, მერავი, მსახური, მომღერალი, გამზრდელი, მასწავლებელი, მოსწავლე...

სიხარული, სიყვარული, სიცილი, წყურვილი, კისკისი, ღიღინი, სმენა, რწმენა, ქვევა, შრომა, ყოფნა, გამარჯვება, განცხადება, სხლმა, ხსენა, თხოვნა და სხვ.

უნდა იყოს: ნიჟიური მწერალი, კარგი მხატვარი, წესიერი გამყიდველი, შესანიშნავი მერავი, სამართლიანი მსახური, უკეთესი მომღერალი, გულისხმიური გამზრდელი, საუკეთესო მასწავლებელი, კარგი მოსწავლე...

ზედმეტი სიხარული, ჯანსაღი სიცილი, ხანგრძლივი სიყვარული, დაუმრატელი წყურვილი, შეუწყვეტელი კისკისი, ჩუმი ღიღინი, მახვილი

1 იქვე. აკრეფე იხ. იმავე ბეგორის „ქართული ზმნიზების სწავლება სკოლაში“, 1955, გვ.154-156.

2 თურ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, №1, 1954.

სმენა, პტაიცე რწმენა და სხვ.

და არა: ნიჭიერად მიწერადი, კარგად მხატვარი, წესიერად გამ-
ყრევილი... ზედმეტად სიხარული, ხანგრძლივად სიყვარული, ჯანსა-
ლად სიცილი და ა.შ. საწყისებთან ზმნიზედაც ბუნებრივი ჩანს, მაგ.,
ხანგრძლივად სიყვარული, ჯანსაღად სიცილი, მაგრამ ასეთ შემთხვევა-
ში არსებით სახელად გამოყენებულ საზღვრულთან სჯობს ზედსართავის
გამოყენება.

ნაზმნარი სახელებით გადმოცემულ წევრებთან (თუ არსებით სა-
ხელად არ არის გამოყენებული) ზმნიზედის ნაცვლად ზედსართავის გა-
მოყენება მიზანშეუწონელია.

მეტყველების ნაწილების უმარტებულ შენაცვლების მაგალითებია
აგრეთვე შემდეგია:

1) როგორ ღამაზია ეს სურათი! (აქ საჭიროა არა ვითარების
ზმნიზედა „როგორ“, არამედ გამაძლიერებელ ნაწილად გამოყენებული
კითხვითი ნაცვალსახელი „რა“: რა ღამაზია ეს სურათი!).

2) ნიკო დღეს სახლშია (უმჯობესია იყოს - ნიკო დღეს შინაა,
ე.ი. თანდებულიანი არსებითი სახელის ნაცვლად - ადგილის ზმნიზედა)
და სხვ.

ზოგჯერ წინადადებაში თვით ზმნიზედა არ არის სათანადოდ შერჩე-
ული, მაგალითად: 1) ის წყნარად აზროვნებდა (უნდა იყოს - ნელა).

2) მანქანა უშნოდ მუშაობდა (უნდა იყოს - ცუდად) და ა.შ.

დამხმარე სიტყვები

§ 53. თანდებულების შესახებ

თანდებულების მართებულად ხმარების რამდენიმე შემთხვევაა გა-
ნხილული იყო არსებითი სახელების ფორმათა დახასიათებისას (იხ.
§ 37). აქ დამატებით აღვნიშნავთ შემდეგს:

1. უპირველეს ყოვლისა, დაკვირვებას მოითხოვს გან თანდებული-
ანი ნათესაობითი და მოქმედებითი. მაგ.: ხილ-გან და ხით-გან,
ხილან. ამ ფორმებს ზოგჯერ ურევენ ერთმანეთში. იტყვიან: თიხიდან
მშვენიერი ქანდაკება ვამოძერწა, მაგრამ ეს უმარტებულ ფორმაა.
წინადადება სწორად იქნება აკუბული, თუ ვიტყვით ასე: თიხისაგან
მშვენიერი ქანდაკება ვამოძერწა.

გან თანდებული იხმარება მაშინ, როდესაც უნდა გამოვხატოთ:

1. მოქმედების ჩამდენი: შვილისგან წერილი მიიღო.

2. მასალა, რისგანაც გაკეთებულია საგანი: კაკლის ხისაგან

ლაზი ავეჯი კეთდება.

3. მოქმედების მიზეზი: სიცხისგან გაოფლიანდა.

4. დაშორება: ავადმყოფობისგან საესებით განკურნეს.

ნათესაობითი დასმული გან თანდებულობანი სახელი წინადადება-ში ან უბრალო დამატებაა, ან მიზეზის გარემოება და მას დაესმის კითხვა ეისგან? ან რისგან?

გან თანდებულობანი მოქმედებითი (ით-გან-იდან) წინადადებაში გამოხატავს ადგილის ან დროის გარემოებას და დაესმის კითხვები - საიდან? რა დროიდან? მაგალითად: ქუთაისიდან ჩამოვიდა, სოფლიდან კარგი ამბავი მომივიდა, ხვდიდან სწავლა დაიწყება. ხუთშაბათიდან მამო ჩვენთან იქნება.

შეიძლება ორივე თანდებული ერთ და იმავე ფუძესთან გამოვიყენოთ და გამოვხატოთ სხვადასხვა მნიშვნელობა, მაგალითად:

ხისგან სამი სკამი გააკეთეს (დაესმის კითხვა - რისგან?).

ხიდან ჩიტი ჩამოფრინდა (დაესმის კითხვა - საიდან?).

სამინისტროსგან ბრძანება მივიღე (დაესმის კითხვა - რისგან?).

სამინისტროდან ბრძანება მივიღე (დაესმის კითხვა - საიდან?).

მაშასადამე, როდესაც წინადადებაში სახელს დაესმის კითხვა ეისგან? ან რისგან, გან თანდებულობანი ნათესაობითი გვექნება, მაგრამ, თუ სახელს დაესმის კითხვა საიდან? მაშინ გან თანდებულობანი მოქმედებითი (ით-გან-დან) უნდა ეიხმართ.

2. სწორად არ არის ნახმარი თანდებულები ასეთ წინადადებებშიც: კრებაზე დაესწრო 100 კაცი (უნდა იყოს: კრებას დაესწრო).

საგზურები გაიციემა მუშებზე (უნდა იყოს: საგზურები მიეციემა მუშებს).

სიტყვაში გამოვიდა ხუთი კაცი (უნდა იყოს: სიტყვით გამოვიდა). მდინარე ამურზე ცხოვრობს მეორე ღირსშესანიშნაობა: სქელშებლა, მბტუნავი თევზი (გაზ. „სოფლ-ცხოვრ.“) (უნდა იყოს: - ამურში).

კომპოსტოს იყენებენ სამკურნალო კვებაში სისხლ-ძარღვების დაავადების დროს (უნდა იყოს: სამკურნალო საკვებად).

მეთაურმა ბრძანა ტყვია დაეშინათ შერის ესკადრილიაზე (უნდა იყოს: ექსკადრილისთვის).

ამ კაბაში ნუ დადიხარ! (უნდა იყოს: ამ კაბით).

ძალა მოიკრება თავისი სურვილის სისრულეში მოსაყვანად (უნდა იყოს: შესასრულებლად).

საქმე იმაშია, რომ მაშინ იქ არ ეიყავი (უნდა იყოს: საქმე ასაა, რომ...).

თქვენ ხომ არ შეგხვედრიათ კაცი შავ სათვალეებში? (უნდა იყოს: შავსათვალის კაცი) და სხვ.

§ 54. ნაწილაკების შესახებ

I. უარყოფითი ნაწილაკი „არ“ იხმარება მაშინ, როდესაც მოქმედების შესრულების შესაძლებლობა ჩანს, მაგრამ გამოორიცხულია სურვილი, მაგალითად:

აწმყოში: არ აკეთებს, არ ხატავს, არ მიდის, არ ჯდება.

მყოფადში: არ გააკეთებს, არ დახატავს, არ წავა, არ დაჯდება.

წყვეტილში: არ გააკეთა, არ დახატა, არ წავიდა, არ დაჯდა.

ეს ნიშნავს - შეიძლო გაკეთება, მაგრამ არ გააკეთა.

„ვერ“ კი მაშინ იხმარება, როდესაც მოქმედების შესრულების სურვილი არის, მაგრამ შესაძლებლობაა გამოორიცხული, მაგალითად:

აწმყოში: ვერ აკეთებს, ვერ ხატავს, ვერ მიდის, ვერ ჯდება.

მყოფადში: ვერ გააკეთებს, ვერ დახატავს, ვერ წავა, ვერ დაჯდება.

წყვეტილში: ვერ გააკეთა, ვერ დახატა, ვერ წავიდა, ვერ დაჯდა.

I. თურმეობითში: ვერ გაუკეთებია, ვერ დაუხატავს, ვერ წასულა, ვერ დამჯდარა და სხვ. ეს ნიშნავს: სურდა გაკეთება, მაგრამ ვერ შეიძლო.

„ნუ“ გამოხატავს აკრძალვას: ნუ აკეთებ! ნუ იტყვის!

„არ“ ნაწილაკს ეხმარება მხოლოდ მოქმედების შესრულებლობის აღსანიშნავად. ღორმეების შერჩევა, ერთი მხრივ, ხდება იმის მიხედვით - პასიურ ზმნასთან არის ნაწილაკი დაკავშირებული თუ აქტიურთან, მეორე მხრივ, კი იმის მიხედვით, ზმნა პირველ და მეორე სერიის მწკრივებშია თუ მესამე სერიაში. მაგალითად, როცა „არ“ ნაწილაკი პასიურ ზმნასთან არის დაკავშირებული: არ დგას, არ წივს, არ ზის, არ იბეჭდება, არ კრთდება, არ იწერება, არ იხატება, არ აბეება, არ დნება, არ ტყენება - ნიშნავს ასეთი რამ საერთოდ არ ხდება, მაგრამ, თუ ამ ზმნებს აქტიურ სახეს მიცემთ, მაშინ „არ“ ნაწილაკი გამოხატავს როგორც უარყოფას, ისე მოქმედების შესრულების სურვილის გამოორიცხვას, მაგ.: არ დგება, არ წივება, არ ჯდება! არ ბეჭდავს, არ აკრთობს, არ წერს და სხვ. ასე იქნება პირველი და მეორე სერიის სხვა მწკრივებშიც.

მაგრამ, თუ აქტიური ზმნა მესამე სერიის მწკრივებშია, „არ“ ნაწილაკი გამოხატავს მხოლოდ უარყოფას. მაგალითად, გვაქვს:

პირველი გაგებით

მეორე გაგებით

- გააკეთა?

- გააკეთა?

- არ გააკეთა

- არ გაუკეთებია.

- მოიტანა?

- მოიტანა?

- არ მოიტანა.

- არ მოუტანია.

ამრიგად, წყვეტილში გამოყენებული ზმნები: არ გააკეთა, არ

მოიტანა ნიშნავს - მოქმედ პირს შეედლო გაკეთება, მოტანა, მაგრამ არ სურდა, I თურმეობიში დასმული ზმენები კი - არ გაუკეთებია, არ მოუტანია გამოსხატებენ მხოლოდ მოქმედების უარყოფას, ე.ი. ეს ნიშნავს იმას, რომ მოქმედება, საერთოდ, არ შესრულებულა.

„ვერ“ ნაწილაკთან I თურმეობიში დასმული ზმენაც გამოსხატავს როგორც მოქმედების ჩადენის სურვილს, ისე შესაძლებლობის გამოარცხვას. ვერ გაუკეთებია, ვერ მოუტანია, ე.ი. სურდა გაკეთება, მოტანა; მაგრამ ვერ შეძლო.

ამათი ერთმანეთში აღრევა სტილისტიკური უზუსტობაა.

2. ერთმანეთისგან გასარჩევია აგრეთვე არ და აღარ ნაწილაკების მნიშვნელობა. არ ნაწილაკი, როგორც ზემოთ ითქვა, გამოსხატავს უარყოფას: არ ზის, არ იზრდება; არ აკეთებს, არ აშენებს, მაგრამ, როდესაც მას დაერთვის და ნაწილაკი, მაშინ აღნიშნავს დაპირისპირებას წინანდელ სურვილთან ან მოქმედებასთან (არ - და, აღარ), მაგალითად:

აღარ ზის, აღარ იზრდება; აღარ აკეთებს, აღარ აშენებს და სხვ. ნიშნავს: წინათ იჯდა, იზრდებოდა, აკეთებდა, აშენებდა (ან სურდა ასეთი რამ), ახლა კი არ ზის, არ იზრდება, არ აკეთებს, არ აშენებს.

3. და ნაწილაკი იხმარება საგნის გამოსარჩევად „მხოლოდ“ ზმენიზედის მნიშვნელობით. მაგალითად: სხვებს შენდა ჩამორჩი ნიშნავს: მხოლოდ შენ ჩამორჩი (და სხვა არაინ).

4. ც (ა) ნაწილაკი იხმარება შიშობიერების გასაძლიერებლად, ყურადღების გასამახვილებლად სიტყვის მნიშვნელობაზე. აგრეთვე აღნიშნავს საგანთა თანაბრსობას ან თანამიმდევრობას და იხმარება „აგრეთვე“ ზნობიზედის მნიშვნელობით, მაგალითად:

მეც აქ ეცხადი ნიშნავს - სხვები და აგრეთვე მე.

აბა კაცოცა ისა ყოფილა და ქუდიც იმას, ძმაც, უხურებია!

(ი.ჭავჭავიძე).

ბავშვმაც კი იციან, ცინ არის „კაპო“! (ი.ჭავჭავიძე).

ჩემს სახელკარზედა არც დღე, არც ღამე აღარ ცფიქრობდი, არ გღონდებოდი (იქვე).

ზოგჯერ ც ნაწილაკის უადგილოდ ხმარების შემთხვევებსაც გვხვებით. მაგალითად, ასეთ მიმართებაში:

- ქალბატონო, გადაუკეთე თქვენს მუღლესს, რომ ხვალ საღამოს ვახშამზე გვიწვიოს. გახსოვთ თქვენც გვესტუმროთ - ც ნაწილაკიანი ფორმა უტაქტობის გამომხატველია, რასაც, უდავოდ, შეურაცხყოფად მიიღებს თანამოსაუბრე. ამას ცალი ყბით დაპატრიუება უძევია.

5. ც ნაწილაკი იხმარება „ცელაფ“, „ისეც“ ზმენიზედების მნიშ-

ენელობით და „თვით“ (თვითონ) განსაზღვრებითი ნაცვალსახელის შინაარსითაც, მაგალითად: ნოდარი იმავე ქარხანაში განაგრძობს მუშაობას - ე. ი. ისევ იმ ქარხანაში. მანვე გამოასწორა ეს საქმე - ე. ი. რ. ევ მან გამოასწორა. მევე ევაგებ პასუხს - ე. ი. კვლავ მე ევაგებ.

6. პო, კი, დიას და ამ მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვები - კარგი და კეთილი სინონიმური ნაწილაკებია და იხმარება წინადადებებში დადასტურების აღსანიშნავად, მაგალითად: პო, ხედა ადრე შოვად. კი, ამას მალე ვაგიგებ. დიას, მეუ თანახმა ვარ. მაგრამ ამ ნაწილაკებს ერთმანეთისგან განასხვავებენ იმისდა მიხედვით, შინაურებთან, ტოლებთან, უმცროსებთან საუბრის დროს იყენებენ მათ თუ უფროსებთან, საპატიო პირებთან ან, საერთოდ, უცნობ ადამიანებთან მოკრძალებული, თავზიანი საუბრისას.

შინაურებთან, ტოლებთან და უმცროსებთან საუბრის დროს ჩვეულებრივ ხმარობენ პო და კი ნაწილაკებს, სხვებთან კი ნაწილაკს დიას. ასეთ შემთხვევაში დიას ნაწილაკის ნაცვლად პოას გამოყენება მოუბარს უზრდელობად ჩაუთვლება. მეორე მხრივ, ნაწილაკი დიას შეიძლება გამოხატავდეს ირონიას, როდესაც მას შინაურების ან განსაკუთრებით უმცროსების მიმართ იხმარენ.

7. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაწილაკი ხოლმე იხმარება მოქმედების მრავალჯიხისობის გამოსახატავად. იგი ზედმეტია ზმნის ისეთ ფორმასთან, რომელიც აღნიშნავს ხოლმეობითობას, მაგალითად, დაწერდა, დახატავდა, წაიკითხავდა, მიიტანდა და სხვ.

სტილისტიკურად არ არის სწორი, როდესაც ამბობენ ან წერენ ასე: დაწერდა ხოლმე, დახატავდა ხოლმე, წაიკითხავდა ხოლმე, მიიტანდა ხოლმე, აღმიტაცებდა ხოლმე. ამ შემთხვევაში ეს ზმნები უნდა იხმარებოდეს უნაწილაკოდ: დაწერდა, დახატავდა, წაიკითხავდა, მიიტანდა, აღმიტაცებდა, მაგრამ ეს ნაწილაკი საჭიროა მაშინ, როდესაც მოქმედების მრავალჯიხისობა გამოსახატავია სხვა მწკრივის ფორმის ზმნით, მაგალითად, უწყვეტლის მწკრივით: წერდა ხოლმე, ხატავდა ხოლმე, კითხულობდა ხოლმე, მოპქონდა ხოლმე, მიტაცებდა ხოლმე; ან აწმყოს მწკრივის ზმნით: წერს ხოლმე, ხატავს ხოლმე, კითხულობს ხოლმე, მოპქონს ხოლმე, მიტაცებს ხოლმე; ან კიდევ მყოფადის მწკრივის ზმნით: დაწერს ხოლმე, დახატავს ხოლმე, წაიკითხავს ხოლმე, მიიტანს ხოლმე, აღმიტაცებს ხოლმე და ა. შ.

8. ნაწილაკი თორმე ზმნასთან აღნიშნავს უნახაობას, მაგრამ იგი ზედმეტია თრმეობიას ფორმასთან, ანუ ისეთ ფორმასთან, რომელსაც დაესმის კითხვები - რა უქნია? რა ექნა? არ არის სწორი, როდესაც ასე ამბობენ და წერენ:

I თურმეობითში:

თურმე დაუწერია, თურმე დაუხატავს, თურმე წაუკითხავს, თურმე მოუტანია.

II თურმეობითში:

თურმე დაეწერა, თურმე დაეხატა, თურმე წაეკითხა, თურმე მოეტანა.

უნდა იყოს: დაუწერია, დაუხატავს, წაუკითხავს, მოუტანია; დაეწერა, დაეხატა, წაეკითხა, მოეტანა, მაგრამ, როდესაც უნახავი მოქმედება სხვა მწკრივის ფორმით გცხურს გამოხატვით, მაშინ ნაწილაკი თურმე აუცილებელია, მაგალითად:

აწმყოს ფორმით: თურმე წერს, თურმე ხატავს, თურმე კითხულობს, თურმე მოაქვს.

უწყვეტილის ფორმით: თურმე წერდა, თურმე ხატავდა, თურმე კითხულობდა, თურმე მოჰქონდა.

წყვეტილის ფორმით: თურმე დაწერა, თურმე დახატა, თურმე წაკითხა, თურმე მოიტანა.

ზოგიერთი ნაწილაკი იხმარება კავშირდაც. მაგალითად, წყვილად გამოყენებული უარყოფითი ნაწილაკები - არც - არც, ვერც - ვერც, ნურც - ნურც შერწყმულ და რა... თანწყობილ წინადადებებში ასრულებენ მაჯგუფებელი კავშირის როლს. ამ როლს ასრულებს აგრეთვე ნაწილაკი კიდევ (კიდევ - კიდევ).

§ 55. კავშირების შესახებ

1. ზოგჯერ წინადადებაში რომელიმე საჭირო კავშირის ნაცვლად იხმარება სხვა კავშირი, რომელიც ამძიმებს სტილს, ზოგჯერ კი იწვევს აზრის შეცვლასაც, მაგალითად:

1) თუ - ან:

ბრძამი გნებავს, ღელი თუ მაცვალი ან ხავსი... (გ.ფშაც.).

აქ მაცვალევებელი კავშირი ან გამოყენებულია თუ - ს ნაცვლად, რომ განმეორება არ ყოფილიყო. უმჯობესი იქნებოდა წინადადების ასე ატება: ბრძამი გნებავს, ღელი, მაცვალი თუ ხავსი...

2) არამედ - თუნდა:

ზედ შეისყამს არამედუ ერთს კაცსა, თუნდაოქსაც (ი.გოგ.). უკეთესი იქნებოდა ასე: ზედ შეისყამს არათუ ერთ კაცს, არამედ ორსაც.

3) ან - ანუ:

ან მაცვალევებელი კავშირია და გამოხატავს არჩევანს, ან უკი არის მიაგივებელი კავშირი (წინათ ან კავშირის მნიშვნელობითაც

იხმარებოდა), ე.ი. იგივეობის აღმნიშვნელი. ამჟამად მათი აღრევა სტილისტიკური შეცდომაა. მაგალითად: სწორად არ არის გამოყენებული კავშირი შემდეგ წინადადებებში:

როდესაც კაცს ტრიალი მიწდორო, ანუ უდაბური ტყე ახლო ატვს... კაცს თვითონ მდებარეობა, ბუნება აგონებს, რა დროს როგორ მოიქცეს, რა ქნას (ა.ყაზბ.).

ან არის სწორედ სალოსი, ანუ ვიდაცა ლოთია (ა.წერ.).

4) „ან“ კავშირი ზოგჯერ იხმარება „ანდა“-ს სახითაც. ისინი სინონიმებია, რომელთა შორის უკანასკნელი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც მის წინ წინადადებაში მოყვებულია ან კავშირიანი სიტყვა, მაგალითად: ან იკითხეთ, ან და წერეთ.

ან ღედას, ან და მამას დაუძახე;

უმჯობესია აღნიშნული წინადადებები სხვაგვარად გაიმართოს:... და იკითხეთ ან წერეთ; ღედას ან მამას დაუძახე.

5) რომ - თუ:

მე-19 საუკუნის მწერლობაში გვხვდება ისეთი წინადადებებიც, სადაც მაქვემდებარებელი რომ კავშირის ნაცვლად თუ კავშირია გამოყენებული, მაგალითად:

თუ ხელის მოჭრა მდომიყო, გან ვერ მამსპირილი თავადა? (ე. ზუბაე.).

ცუდად იყო საქმე, თუ ის უეზო მეთირები სამივე მხრით არ მოსდგომოდნენ (ა.წერ.).

თუ ღედაჩემი არ ყოფილიყო, რუახში ყოველდღური არეულდარეული იქნებოდა.

ამჟამად რომ კავშირის ნაცვლად თუ -ს გამოყენება არაბუნებრივია. აღნიშნული ტიპის წინადადებები ასე უნდა გაიმართოს: რომ ღედაჩემი (ან ღედაჩემი რომ) არ ყოფილიყო, რუახში ყოველდღური არეულდარეული იქნებოდა და სხვ.

2. სტილისტიკური შეცდომაა აგრეთვე ზედმეტი კავშირის ხმარება წინადადებაში. ზედმეტი კავშირი გვხვდება ყველა ტიპის წინადადებაში - შერწყმულში, რთულ თანწყობილსა და რთულ ქვეწყობილში, მაგალითად, მაგალუფებელი და, მამირისპირებელი - ე ი, მამირისპირებელი - მ ა გ რ ა მ ე კ ი, რ დ რ ნ დ ე კ ი, ხ რ ლ რ ე კ ი, მაქვემდებარებელი - მ ი ნ ე რ ი მ, რ ა ც რ ი მ, თ უ რ ი მ, რ ა ც რ ი მ, რომლებიც რთულ კავშირებად ირის გააზრებული. მაგალითად!

1) და... კი.

ჩვენს სისხლს იღვრება და თქვენ კი წამომჯდარხართ აქ, კაბინეტში, და რადიკალს მიიღწეოთ (ლ.ქიქაძე.).

რაც რამ სარჩობსადადებელი უქონდა დედამიწას, კაცს უძღვნა და თვითონ კი დარჩა ცარიელი (მ.წმაც.).

ეს ორივე წინადადება არის რთული თანწყობილი, სადაც დაპირისპირებაა გამოხატული, დაპირისპირების ბუნებრივად გამოყენებულია მაპირისპირებელი კავშირი კ ი. რა არის დ ა? იგი ზოგ მიუცნიერს გამაძლიერებელ საშუალებად მიაჩნია, მაგრამ მაინც მაჯგუფებელ კავშირად რჩება და ამ ფუნქციის კავშირი დაპირისპირების გამოხატველი წინადადებების შესაბამისად, სადაც მაპირისპირებელი კავშირი გვაქვს, სრულდებიან არ არის საჭირო, ამიტომ უნდა იყოს ასე:

ჩვენს სისხლი იღვრება, აქვენი კი წამომუდარხარა აქ ...

... კაცს უძღვნა, თვითონ კი დარჩა ცარიელი.

2) მაგრამ ... კი:

დრო გადმოვა, მაგრამ გაიოზი კი უერ კიდევ არ ჩანდა (ლ.ქიარ.). ხალხი ღუმიდა, მაგრამ გული კი ქოთქოთებდა (ს.მგაღ.).

ამტამად ეს წინადადებები კავშირების მიხედვით ასე უნდა იხმარებოდეს:

ხალხი ღუმიდა, მაგრამ გაიოზი უერ კიდევ არ ჩანდა. ან ასე: ხალხი ღუმიდა, გაიოზი კი უერ კიდევ არ ჩანდა.

3) ოღონდ... კი:

ოღონდ ახლა კი შამატიეთ და გეფიციებია, რომ ჩემს სიყვარულში იოტის ოღენას აღარ ვაწყენინებთ (ი.გოგ.).

აქაც ან მხოლოდ თ დ თ დ უნდა იხმაროდ ან მხოლოდ კ ი.

4) ხოლო... კი:

ახლა აღარ ტიროდა, ხოლო ცრემლი კი მაინც სდროდა თავისთავად, შეწყვეტილი (ლ.ქიარ.).

უნდა იყოს: ან მხოლოდ ხ თ დ თ, ან მხოლოდ კ ი.

5) თანამედროვე გაგებით ასევე არასწორადაა გამოყენებული ორი კავშირი შემდეგ რთულ ქვეწყობილ წინადადებებში:

ვინც რომ:

ვინც რომ თბილისს თავის თბილი გული არ მოაკლ, მასზე ზრუნავს, მასთან არის იგი მუდამ ახლოს (ს.უელი).

ვისაც რომ:

ვისაც რომ გმირი უყოლა, აქ განისვენებს ცხლა (ა.გომ.).

რაც რომ:

რაც რომ გულში გაქვს, გათქმევიინებენ (ა.წერ.).

რა რომ:

აქვთ გიორგიმ გაკვირებულნი კილოთი, რა რომ დაასრულა კითხვა (ო.ნინ.) და სხვ.

ამ რთულ ქვეწყობილ წინადადებებში დამოკიდებულ წინადადებას უნდა ახლდეს მხოლოდ პირველი მაქვემდებარებელი საკავშირებელი სიტყვა, მეორე კავშირი რთული კვლეგან ზედმეტია. მათი ხმარება შეიძლება გამართლებულად ჩაეთვალოთ მხოლოდ პოეზიაში, როგორც პოეტური ლიტერატურა.

ისეთ წინადადებაში კი, სადაც თუ რთული კავშირები გვხვდება ერთად, ზოგ შემთხვევაში რთული კავშირია ზედმეტი, ზოგჯერ კი - თუ, მაგალითად:

მე შეგწყვიტ ბრძოლას, თუ რომ ქართლი და კახეთი შეიქმნება სრულიად თავისუფალი... (ს.ქვაბ.). - ამ წინადადებაში სტილისტიკურად უპირატესობა თუ კავშირს ეკუთვნის, მაგრამ ასეთ წინადადებაში:

... თუ რომ ერთ მის ამხანაგს სიმარჯვე არ ეხმარა და ხელი არ ეტაცნა თოფზე, ის იყო, ვაისტუმრებდა ივანეს საიქოს (ე.ნინ.) - უფრო საჭირო ჩანს რთული კავშირი.

ასევე ზედმეტია რთული კავშირი შემდეგ კავშირებთან: რთული კავშირი, რთული კავშირი, რთული კავშირი და ა.შ.

6) მაქვემდებარებელი კავშირები იხმარება ასეთი სახითაც:

გინც კი, რაც კი, რთული კავშირი, სადაც კი და სხვ., მაგრამ ესენი ორმაგი კავშირები კი არ არის, არამედ დამატებული „ი“ გამაძლიერებელი ნაწილაკის მნიშვნელობისაა. მაგალითად: რაც კი არ არგებს ქვეყანას, ის კვლავ ფეხი ბარჯია (ა.წერ.).

თუ კავშირთან იგი ამჟამად შეწყვეტილია და თუ კი კავშირის სახით იხმარება:

თანამედროვე ახალგაზრდისთვის ყველა უმადლესი სკოლის კარიღია, თუკი სწავლის გაგრძელებას ისურვებ.

7) და კავშირი საჭირო არ არის არც ამიტომ და ამის სანაცვლის მაქვემდებარებელ წევრკავშირებთან შედეგობით დამოკიდებულ წინადადებაში.

გუშინ მთელი დღე წვიმა, ამიტომ ვერ წავიდო სოფელში.

მსურს სწავლის გაგრძელება, ამისათვის ჩამოვედი თბილისში.

მაგრამ, თუ ასეთ წინადადებებში დამატებით იხმარებ და კავშირს, მაშინ რთული ქვეწყობილი წინადადება გადაიქცევა ან შეწყვეტილ ან რთულ თანწყობილ წინადადებად იმის გამო, რომ კავშირის როლი დაეკისრება მხოლოდ და -ს, ამიტომ და ამის სანაცვლის კი დაკარგავენ კავშირის როლს და ისინი მხოლოდ წინადადების წევრებად დარჩება:

მელანია დანაშაულად გრძნობდა თავს და ამიტომ ემორჩილებოდა ქმრის სისასტიკეს (ე.ნინ.) - ეს წინადადება და კავშირის გამო შეწყვეტილია.

სიცივე მაღე დადგება და ამიტომ თბილს ქვეყნებში მიეშურებიან (ი.გოგ.) - ეს კი რთული თანწყობილი წინადადებაა.

მ. ვ ი ნ ც, რ ა ც და რ ო შ ი ე ლ ი ც საკავშირბელი სიტყვი-ბის ხმარებისას საჭიროა ვიყოდეთ, რომ პირველი საკავშირბელი სიტყვა იხმარება ვ ი ნ კითხვაზე მიგბული ნაუვალსახელით გამოსაბტულ ასახსნელ წვერთან: ი ს - ვ ი ნ ც, მ ა ნ - ვ ი ნ ც, მ ა ს - ვ ი ს ა ც და სხვ., მეორე - იმ ნაუვალსახელით გადმოცემული წვერის ამხსნელად, რომელიც მოუდის კითხვას: რ ა: ი ს - რ ა ც, მ ა ს - რ ა ს ა ე, ასევე საწყისით ან ზმნით გამოსახულ წვერთან: მუშაობა - რაე, ზრუნვამ - რამაე; ხატაედა - რაც, წერდა - რასაც და ა.შ. მაგალითად:

მოვიდა ის, ვისაც ველოდი; ხელი ასწია მან, ცინც კარგად იყო-და გაკეთილი; მეგობარმა მომიტანა ის, რაც მე მჭირდებოდა; იმას არასოდეს არ წავიღებ, რაც არ მერგება; ნიკომ კარგად იყოდა ბუნებ-ის ხატეა, რაც ძალიან უყვარდა მის დედასაც; ის სუფთად და ღამაზად წერდა, რაც მასწავლებელში მოწონებას იმსახურებდა.

საკავშირბელი სიტყვა რ ო შ ი ე ლ ი ც კი იხმარება არსებითი სახელით გამოხატულ ასახსნელ წვერთან:

მე მესაუბრებოდა ამხანაგი, რომელიც დღეს ჩამოვიდა თბილისიდან. მაგრამ ამჟამად სტილისტიკური შეუღომაა, როდესაც იტყვიან ან დაწერენ ასე: გაწყდეს ის თემი, რამაც ერათის კაცის პოენა მოინდო-მოს და ვერ იპოვოს (ა.ყაზბ.), აქ უნდა იყოს - თემი, რომელმაც.

ის არ არის კარგი კაცი, ეინე სხვის შრომას არ აფასებს. უნდა იყოს - (კაცი, რომელიც).

მან სწორედ მიშოეა ის, რომელიც ძალიან მჭირდებოდა. უნდა იყოს ის - რაც.

4. ვხედებით ასეთ სტილისტიკურ შეუღოებსაც, რომლებიც გამოწვი-ულია რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მისათითებულ სიტყვასთან შეუსა-ბამო საკავშირბელი სიტყვის ხმარებით, მაგალითად: არც ისეთი ღა-მაზი სახე უქონდა, რაგორე დედის თვალს ერევენებოდა (ს.კლდ.). რაც იქროლებს, იმდენს არ ითოვებს (ანდ.). რამდენჯერაც ქალი იაგოს სა-ხელს ახსენებდა; იმდენად გრიგოლას წარბი შეიჭმუხნებოდა (ა.ყაზბ.). ნამდვილად ის ე არ იყო ბუნებაში, რ ა ც მტრედს ელიზმრა (ვ. ფშავ.).

უნდა იყოს: ი ს ე თ ი - რ ო გ ო რ ი ც, რ ა მ დ ე ნ - ს ა ც - ი მ დ ე ნ ს, რ ა მ დ ე ნ ჯ ე რ ა ც - ი მ დ ე ნ - ჯ ე რ, ი ს ე - რ ო გ ო რ ც. ამის გამო საჭიროა დავიყუთთ მი-სათითებელი სიტყვებისა და საკავშირბელი სიტყვების სხვა ასეთი შესაბამისობაც:

ი ს ე თ ი - რ ო გ ო რ ი ც ე, ი მ დ ე ნ ი - რ ა მ დ ე -
ნ ი ც ე, ი მ დ ე ნ ა დ - რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც ე, ი მ დ ე ნ -
ჟ ე რ - რ ა მ დ ე ნ ჟ ე რ ა ც ე, ი ს ე - რ ო გ ო რ ი ც ე, მ ა -
ნ ა მ დ ე - ს ა ნ ა მ დ ა მ .

5. სტილისტიკური შეტყობა აგრეთვე რთულ ქვეწყობილ წინადა-
დებაში, სადაც დათმობითი დამოკიდებული წინადადების „უნდა“ ნა-
წილადართულ საკავშირებელ სიტყვებთან - რ ა ც უ ნ დ ა, ც ი ნ ც
უ ნ დ ა, რ ა მ დ ე ნ ი ც უ ნ დ ა, რ ო გ ო რ ი ც უ ნ დ ა,
რ ო მ ე ლ ი ც უ ნ დ ა, ს ა დ ა ც უ ნ დ ა - ხმარობენ არ
უარყოფით ნაწილაკს, მაგალითად:

რაც არ უნდა მოეტანა, დედა არ დაუწუნებდა.

ცინც არ უნდა ყოფილიყო, ყურადღებით მოუსმინდა.

რამდენიც არ უნდა იწვიმოს, ეზოში წყალი არ დადგება და სხვ.
ესენი წარუქმითი ფორმით უნდა გიხმაროთ.

რაც უნდა მოეტანა, დედა არ დაიწუნებდა.

ცინც უნდა ყოფილიყო, ყურადღებით მოუსმინდა.

რამდენიც უნდა იწვიმოს, ეზოში წყალი არ დადგება¹.

6. ზოგიერთი საკავშირებელი სიტყვა რთულ ქვეწყობილ წინადა-
დებაში იხმარება ორი სახით: შეუკვეცილად და შეკვეცილად ან ნა-
წილადართულად და უნაწილად, მაგალითად: რადესაც - რაყა, რა-
დგანაც - რადგან, თუნდაც - თუნდ, ამიტომაც - ამიტომ, სანამდი-
საც - სანამ.

§ 56. შორისდებულების შესახებ

შორისდებული, როგორც უფრომ დახმარებ მებრძოლების ნაწილი,
იხმარება გრძნობის, განწყობილების გამოსახატავად. შორისდებულით
გადმოიცემა: აღტაცება, მოწონება, გაკვირება, მწუხარება, დანანება,
ზიზღი, აღშფოთება და სხვ. შორისდებულით გადმოიცემა აგრეთვე მოუ-
ბრის შეფასებითი დამოკიდებულება წინადადებაში გამახატული შინაარ-
სისადმი, მაგალითად:

აღტაცების: ციშ, ცაშა, მოწონების: ოჰ, ოხ, უჰ, ბარაქაღა,
აფერუმი; გაკვირების: ცა, ცაჰ, ბიჭოს, ერიჰა, ცეჟო, მწუხარების:
ცაი, ცაიმე, ცაჰმე, უიმე, ოჰ, ოხ, ცაღაბ; დანანების: ეჰ, ეხ,
აფსუს; ზიზღის: ფუ, ფუი; ნატერის: აჰ, ახ; ირონიის: ჰმ; ნიშნის

¹ უფრო ვრცლად ეს საკითხი იხ. ამავე წიგნის ატორის „ქართული
მართლწერის საკითხებში“, ნ. I, 1960, გვ. 247-265.

მიგების: ჰი, შედახილის: ჰიი; მოხმოების: ეი, აუ, უუ, ხმამიბაძე-
ისა, ხა, ხა, ხა, ბზზ, ფრჟ ჭიქე, ჭახ, ბრახ, ტყაპ; ბრძანების:
სუე, ჩუ, აჩუ, აქშა, აცხა. ეს არის პირობითი კლასიფიკაცია, ეინა-
ოდან ხშირად ერთი და იგივე შორისდებული სხვადასხვა მნიშვნელობით
იხმარება, რომლის გამოენობა შესაძლებელია მხოლოდ წინადადების
აზრის მიხედვით.

ასეთი მაგალითებია:

1. ოხ, რა მშენიერებაა! (ნ. ლომ.).
ოხ, რა ძნელია ლოდინი! (შ. არაგვ.).
2. უი, ამას ეის ეხედავი! (გ. წერ.).
უი, თვალები ახლა დამდგომია, თვალები (ი. ჭავჭ.).
3. უჰ, უჰ, რა ბურნულია! (ი. ეცდ.).
უჰ, უჰ, რა ცივა! (ი. ჭავჭ.).

როგორც ეხედავთ, ერთი და იგივე შორისდებული ერთ შემთხვევაში
გამოყენებულია აღტაცების, გაკვირების, მოწონების გამოსახატავად,
მკურე შემთხვევაში - უსიამოვნების, აღშფოთების, უკმაყოფილების
გამოსატყვამად.

§ 57. მორფოლოგიურ-სინტაქსური სინონიმები

ზოგ მორფოლოგიურ ფორმას სინონიმად აქვს სინტაქსური ფორმა-
თა სიტყვას შეესატყვისება რამდენიმე სიტყვიანი სინტაქსური ერთე-
ული ანუ შესიტყვება, რომელსაც აღწერიითი ფორმა ეწოდება, ე.ი. ორგა-
ნული ფორმას უპირისპირდება აღწერიითი ფორმა, მაგალითად:

1. სახელებში:

უკეთესი - უფრო კარგი, უმაღლესი - უფრო მაღალი. წიგნაკი -
პატარა წიგნი, გოგონა - პატარა გოგო...

2. ზმნებში:

დამიწერა - ჩემთვის დაწერა, დაიხატა - თავისთვის დახატა, გა-
ეკა - მისთვის (ე.ი. სხვისთვის) გააკეთა...

აამღერა - აიძულა ემღერა, დააწერინა - დააგადა დაეწერა ან
აიხმარა დაწერაში...

შესრულდა - შესრულებულ იქნა, აიგო - იგებულ იქნა...

3. თანდებულისანი და კავშირიანი ფორმები:

ლამივით - როგორც ლამი, დედასავეთ - როგორც დედა, პატრონი-
თა - როგორც პატრონი...

4. ადრინტუტული და გენეტიური მსაზღვრელი:

მზიერადი - თბილისის (თბილისში) ყცხოვრები. ქალაქელი -

ქალაქის მცხოვრები...

სტილის თვალსაზრისით ამ პარალელური ფორმებიდან უმჯობესია პირველი, ე.ი. ორგანული წარმოების ფორმები, რადგანაც ქარაულისთვის ისინი უფრო ბუნებრივია და თანაც ლაკონიური და მოქნილი. განსაკუთრებით ეს ითქმის ზმნების შესახებ. ქარაულისთვის ბუნებრივი ფორმებია: დამიწერა (და არა: ჩემთვის დაწერა), დაიხატა (და არა: თავისთვის დახატა), გაუკეთა (და არა: მისთვის (სხვისთვის) გააკეთა და სხვ. ეს ნიშნავს ზმნის ქვეცის ფორმების დაცვას. იგივე ითქმის შუალაბითი ზნის ანუ კონტაქტის ფორმების შესახებაც.

ესენი ქარაული ზმნის სპეციფიკური კატეგორიებია და მათი უკუღებებელყოფა ეროვნული ენის დამახინჯებაა.

სინონიმური ხასიათისაა აგრეთვე გენტიურმსახვევრელიანი ან უბრალოდამატებიანი შესიტყვებები და რაულფუძიანი სახელები ანუ კომპოზიტები:

1. სოფლის მეთრნობის სასოფლო-სამეურნეო კირის წყალი კირწყალი, მარლიის მუცა - მარლიმუცა.

2. ქედის მოხრა - ქედმოხრა, ხედის შემშლელი - ხედშემშლელი, ხედის შემწყობი - ხედშემწყობი, ხედის მოწერა - ხედმოწერა და სხვ. ასეთ შემთხვევაში რომელიმე ფორმის შერჩევა კონკრეტულ დიქციონარსთან არის დაკავშირებული. მაგალითად, პირველი შესიტყვება - სოფლის მეთრნობა ანუ წინადადებაში დამატებად გეინდა გამოვიყენოთ საწყისთან, მაშინ ასე აჯობებს: სოფლის მეთრნობის განვითარებას დიდი უპირატეობა ექცევა (და არა: სასოფლო-სამეურნეო განვითარებას...). მაგრამ, აუ განსახვევრებად გესურს გინმართ, მაშინ უმჯობესია მისი შეცვლა კომპოზიტით, მაგალითად: სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეკეთება უკვე დამთავრებულია (და არა: სოფლის მეთრნობის მანქანების შეკეთება...).

სხვა შემთხვევებში ორგანული და აღწყობითი ფორმები ერთნაირად არის გავრცელებული და მათი შერჩევა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი მათგანი უფრო მოსწონს მოუბარს ან ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში რომელი ფორმით უფრო ნათლად გადმოიკვმას აზრი.

სინტაქსური სტილისტიკის საკითხები

§ 58. წინადადებათა შერჩევა რაგვარობის მიხედვით

სინტაქსური სტილისტიკის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია წინადადებათა შერჩევა რაგვარობის მიხედვით.

წინადადებები ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც აზრობრივი ელფერიით, ისე ემოციურ-ექსპრესიული იერიშითაც. ამის მიხედვით გვაქვს წინადადების შემდეგი ტიპები: თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ძახილის, კითხვით-ძახილისა და ბრძანებით-ძახილისა, რომელთა შორის ძირითადია - თხრობითი, კითხვითი და ბრძანებითი. მაგალითად, წინადადება:

ეს შენ კარგად გაიგე - თხრობითია, როცა იგი გადმოიცემა თხრობითი ინტონაციით.

წინადადება - ეს შენ კარგად გაიგე? - კითხვითია, გადმოიცემული კითხვითი ინტონაციით.

ხოლო წინადადება: ეს შენ კარგად გაიგე! - ბრძანებითია, როცა იგი წარმოითქმის ბრძანებითი ინტონაციით.

I. თხრობითი წინადადება

თხრობითია წინადადება, რომელიც გადმოგვცემს რაიმე ამბავს და წარმოითქმის თხრობითი ინტონაციით, წერის დროს შის ბოლოს დაისმის წერტილი. აგებულების მიხედვით იგი არის: მარტივი, შერწყმული, რთული და გამოიხატება როგორც ერთი, ისე რამდენიმე სიტყვით.

ქართული წინადადების ბირთვი არის ზმნა, ამიტომ ერთსიტყვიანი ან მრავალსიტყვიანი წინადადება, ჩვეულებრივ, ამ მეტყველების ნაწილით გამოიხატება. სხვა მეტყველების ნაწილით ერთსიტყვიანი წინადადება გამოიხატება მხოლოდ დიალოგში. ასეთი არასრული წინადადებები უმთავრესად იხმარება ზეპირი საუბრისას ან მხატვრულ ნაწარმოებებში:

- ეინ მოვიდა?

- დ ე დ ა.

- სად იყო?

- ს ო ფ ე ლ შ ი.

- როდის იყო სოფელში?

- გ უ შ ი ნ.

მრავალ შემთხვევაში დიალოგის დროს დადასტურების ან უარყოფის აღსანიშნავად წინადადება მხოლოდ ნაწილია კითხვით გადმოიცემა:

- მოიტან, შეილა!

- კ ი .
- თქვენ ბრძანდებით უფროსი?
- დ ი ა ბ .
- ამას არ მიიღებთ?
- ა რ ა .

ასეთი სახის არასრული წინადადების გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელი ხდება წევრებიდან გამოეყოთ ლოგიკურად უფრო მნიშვნელოვანი, რაც განსხვავებული აზრობრივ-ექსპრესიული ელფერის გამოხატვის საშუალებას იძლევა.

2. კითხვითი წინადადება

კითხვითი წინადადება, რომელიც გამოსატყვევს კითხვას და წარმოიქმნის კითხვითი ინტონაციათ. წერის დროს მის ბოლოს დაისმის კითხვის ნიშანი.

კითხვითი წინადადების გრამატიკული საშუალებანია: კითხვითი ინტონაცია, კითხვითი სიტყვები და კითხვითი ნაწილაკები. კითხვითი წინადადება, ძირითადად არის ორი სახის. პირველი სახისაა ისეთი კითხვითი წინადადება, რომლითაც მოუბარს აინტერესებს გაგება იმისა, ნამდვილად მოხდა, ხდება ან მოხდება თუ არა ესა თუ ის ფაქტი. ასეთი წინადადება პასუხად მოითხოვს დადასტურებას ან უარყოფას, მაგალითად: კარგად სწავლობს? უკვე დაწერა? მამაშენი არ ჩამოვა? ასეთი კითხვითი წინადადების ორი პასუხიდან მოსალოდნელია მხოლოდ ერთი: კი ან არა. ამ შემთხვევაში კითხვითი წინადადება არ შეიცავს სპეციალურ კითხვით სიტყვას.

მეორე სახისაა ისეთი კითხვითი წინადადება, რომლითაც მოუბარს აინტერესებს სხვა საკითხებიც, სახელდობრ: საგნისა თუ მოვლენის თვისება, რაოდენობა, კუთვნილება, მოქმედებისა და მდგომარეობის ადგილი, დრო, მიზეზი, მიზანი, ეითარება და ა.შ., რისთვისაც წინადადებაში გამოიყენება სპეციალური კითხვითი სიტყვები: 1) კითხვითი ნაცეალსახელები - ვინ, რა, რომელი, რამდენი, მერამდენე, მერამდენედი, ვისი, რის, როდინდელი, სადაური; 2) კითხვითი ზმნილები - სად, საიდან, საითკენ, როდის, როდემდე, რატომ, რისთვის, როგორ, რანაირად, რამდენად, რამდენჯერ და 3) კითხვითი ნაწილაკები - ხომ, განა, ნუთუ, თუ, ა, მაგ.:

- ვ ი ნ ჩამოვიდა ეზოში?
- დედა.
- რ ა მოიტანა?
- ყურძენი.

- ს ა ნ დ ა ნ რ ა მ ი ვ ი დ ა ?

- თ ე რ ლ ა ვ ი დ ა ნ .

ა რ ის ი ს ე თ ი კ ი თ ხ ე თ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა ე , ს ა დ ე ტ მ ი ზ უ ბ ა რ ი გ ა მ ხ ბ ა - ტ ა ვ ს ე შ ი ვ ს დ ა მ ი ს თ ვ ი ს ლ ა დ ე ბ ი თ ი დ ა უ ა რ კ რ ი თ ი პ ა ს უ ხ ი ე რ თ ნ ა რ ი ა დ ა რ ის მ ი ს ა ლ ო დ ე ლ ი . ე შ ი ვ ს გ ა მ ხ ბ ა ტ ე ბ ა ხ დ ე ბ ა კ ი თ ხ ე თ ი ნ ა წ ი ლ ა კ ი თ , მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

- ნ უ თ უ ხ ე ბ ა ლ ა რ რ ა მ ი ვ ი ა ?

- გ ა ნ ა დ ე ვ ი დ ე ა რ წ ა უ კ ი თ ხ ა ვ ს ?

შ ე ი ძ ლ ე ბ ა ი კ უ ს ა ს ე დ ა ე ; მ ი ზ უ ბ ა რ ი ი ტ ის ა მ ბ ა ვ ი , მ ა გ რ ა მ მ ა ი ნ ე კ ე თ ხ ე ბ ა თ ა ნ ა მ ი ს ა ზ ბ რ ე ს დ ა ს ა დ ა ს ტ რ ე ბ ი ლ ა დ ა ნ უ ა რ ს ა კ რ ი თ ა დ , მ ა გ ა ლ ი - თ ა დ :

- ხ ი მ კ ა რ გ ა დ დ ა წ ი რ ე ? - ა ლ ბ ა თ მ ი ს კ ვ ე მ ი ა უ კ ე ვ ?

- ჯ ე რ კ ი დ ე ვ ი ე რ რ ა ბ ა ბ ა რ ე ? - ი კ ა რ ა ფ ე რ ი გ რ ი კ ე თ ბ ი ა ?

პ ი რ ე ლ ი ო რ ი კ ი თ ხ ე თ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი ს მ ი ხ ე ლ ვ ი თ რ ა ნ ს , რ ი მ პ ა ს უ - ხ ი მ ა ს მ ი ჰ ე ვ ე ბ ა დ ა დ ე ბ ი თ ი , მ ე ო რ ე ო რ ი კ რ თ ხ ე თ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი ს მ ი - ხ ე ლ ვ ი თ კ ი - უ ა რ კ რ ი თ ი .

ა მ კ ი თ ხ ე თ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ე ბ ი ს ე რ თ მ ა ნ ე თ ი ს გ ა ნ გ ა ს ა რ ი ე ვ ა დ ა ს ე თ ი ტ ე რ მ ი ნ ე ბ ი ე ი ხ მ ა რ ბ ა : კ ი თ ხ ე თ ა დ ა დ ა ს ტ რ ე ბ ი თ დ ა კ ი თ ხ ე თ ა უ ა რ კ რ ი თ - თ .

კ ი თ ხ ე თ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა შ ე ი ძ ლ ე ბ ა შ ე ი ტ ა ვ დ ე ს ა გ რ ე თ ვ ე წ ა ქ ე ზ ე ბ ა ს :

- ა ბ ა , ა მ ა ს თ უ გ ა ა კ ე თ ე ბ ?

ა რ ს ტ ე ბ ზ ს რ ი ტ ო რ ი კ უ ლ ი კ ი თ ხ ე თ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა ე , რ ი მ ე ლ ი ე ს ხ ვ ა კ ი - თ ხ ე თ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ე ბ ი ს გ ა ნ ი მ ი თ გ ა ნ ს ხ ვ ა ე დ ე ბ ა , რ ი მ ი გ რ ი ხ მ ა რ ბ ა რ ა ი მ ე ს მ ტ კ ი ე ბ ი ს თ ვ ი ს , ა ნ რ ა ი მ ე რ ე უ რ ა დ ე ბ ი ს გ ა ს ა მ ა ხ ე ლ ე ბ ა დ , ა ს ე თ შ ე მ თ ხ ე ვ ე ბ ე შ ი დ ა დ ა ს ტ რ ე ბ ა ა ნ უ ა რ კ რ ი თ თ ვ ი თ ა მ კ ი თ ხ ე თ წ ი - ნ ა დ ა დ ე ბ ა შ ი ი გ უ ლ ი ს ხ მ ე ბ ა დ ა ა მ ი ს გ ა მ ი პ ა ს უ ხ ი ს ა შ ი რ ო ა რ ე ა რ ის . ა მ ტ ი პ ის წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ე ბ ი უ მ თ ა ვ რ ე ს ა დ ი ხ მ ა რ ბ ა მ ხ ა ტ რ ე ლ მ ე ტ ხ ვ ე ლ ე - ბ ა შ ი დ ა წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ე ნ ე ის ხ ა ტ ო ვ ა ნ ე ბ ი ს ს ტ ი ლ ი ს ტ ი კ უ რ ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ს :

გ ა ნ ა მ ა თ ა რ ე ს მ ო დ ა თ , რ ა ს ა ე რ ა დ ო დ ე ნ ? გ ა ნ ა ა რ ი ტ ო დ ე ნ , გ ის ე ბ რ ო დ ე ნ ?

კ ი თ ხ ე თ წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ე ბ ს ზ ო გ ჯ ე რ ი ე ვ ე ბ ე ნ რ ე ვ ე ლ ე ბ რ ი ვ ი თ ხ რ ო ბ ის დ რ ო ს ა ე . მ ა გ . :

გ ა მ ო ე დ ი ე ბ ა ? გ ა მ ო ე დ ი ე ბ ა ე პ ო ნ დ ა დ ა ს ა თ ა ნ ა ლ ო ე - დ ა ნ ა ე .

ვ ი თ ო მ გ ა რ ე გ ნ უ ლ ა დ ხ ი ბ ლ ა ე დ ა ა დ ა - მ ი ო ა ნ ს ? ა რ ა . ის ხ ა ლ ხ ს ხ ი ბ ლ ა ე დ ა ს ა ქ ი თ ა დ ა ს უ ლ ი რ ი ს ი ლ ა მ ა - ზ ი თ .

ვ ზ ი ე ა რ დ ა ე ფ ი ქ რ ო ბ - რ ა ე ქ ე ა ? შ ე მ დ ე გ გ ა დ ა ე წ ა ვ ი ბ ე უ რ ო ს თ ა ნ მ ი ს ვ ლ ა დ ა ბ ა რ ი შ ის მ ო ხ დ ა .

ეს არის მხატვრული ხერხი, რომელიც მებრუნებელს უფრო აცოცხლებს. მუნიციპალური შრომებში ასეთი კითხვა იხმარება რაიპე საკითხზე ან დებულებაზე კურსდღების გასამახვილებლად.

კითხვის გასაძლიერებლად ხშირად მიმართავენ კითხვითი ნაუცვალ-სახელის ან კითხვითი ზმინიზედის განმეორებას, ან ამას აღწევენ ნაწილაკის მუშეობით. მაგალითად:

1. გ ი ნ, გ ი ნ მოიტანა ასეთი ამბავი? - რ ა ს ამბობს ახლა, რ ა ს? - რ მ ღ ი ს, რ მ ღ ი ს იქნება აქ? - ს ა დ იუო მაშინ, ს ა დ?

2. რ ა, უკვე დახატა? - რ მ გ ო რ, ჯერ არ წასულა?

მასასადავზე, კითხვის საშუალებით წინადადებაში ადვილად გამოიხატება დამატებითი აზრობრივ-ემოციური ელფერი, როგორცაა:

იჭვი: ნუთუ ეს ჯერ არ გაავიგია? გაკვირვება: არ გმუშაობთ თუ? აკი გუშინ მოიტანათ? რწმენა: ის ხომ მაშინ აქ იყო? ვარაუდი: ვანა არ იყოდა? და სხვ.

ამიტომ ასეთ წინადადებებთან, ჩვეულებრივ, წერენ როგორც კითხვის, ისე ძახილის ნიშანსაც.

კითხვითი წინადადებას სწორად ხმარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოქმნის სათანადო წესების დაცვას, მაგალითად:

1. კითხვით წინადადებას, რომელსაც არ ახლავს კითხვითი სიტყვა; ახასიათებს ძლიერი კითხვითი ინტონაცია. ხმის ამბლლება ხდება კითხვის გამომხატველ სიტყვაზე, რომლის ბოლო მარცვლი გამოიქმნის გრძლად. ხშირად ასეთი სიტყვა არის შემასმენელი, ამგვარი წინადადება, ჩვეულებრივ, მასუხად მოიხზოეს დადასტურებას ან უარყოფას, მაგალითად: ნოდარი გუშინ თბილისში გაემგზავრა? მამაშენი დღეს შინ არის?

ან შემახვევებში კითხვის გამომხატველი სიტყვა არის ზმნა და მასზე ხდება ხმის ამბლლება. იგი წინადადების ბოლოსაა, მაგრამ სხვა ადგილასაც რომ გადავსვათ, ხმის ამბლლება მაინც მასზე უნდა მოხდეს, მაგალითად:

გაემგზავრა ნოდარი გუშინ თბილისში?

მამაშენი არის დღეს შინ?

კითხვითი ინტონაციის გარეშე ეს წინადადებები თხრობითი იქნება.

კითხვითი სიტყვიან წინადადებაში კითხვითი ინტონაცია არ არის ძლიერი, მაგრამ კითხვით სიტყვაზე ხმის ამბლლება მაინც ხდება მიუხედავად იმისა, იგი წინადადების თაგშია დასმული თუ სხვა ადგილას, მაგალითად:

იონ წადილა ან დილით სათეგზაო?

ან ასე: ამ დღით ცინ წავიდა სათევზაოდ?

ასეთი წინადადება, თუ კითხვითი სიტყვა გამოვტოვეთ, ახრბი-
ადა გადაიტყვება.

3. ბრძანებითი წინადადება

ბრძანებითია წინადადება, რომელიც გამოხატავს ბრძანებას, გან-
კარგულებას, თხოვნას, წაქეზებას, მოწოდებას, აკრძალვას, დალოცვას,
წყვეტვას, მისაღმებასა და სხვ. და წარმოიქმნის შინაარსის შესაბა-
მისი ინტონაციით, წერის ღრუს კი მის ბოლოს დაისმის ძახილის ნიშა-
ნი.

ბრძანებით წინადადებაში მოქმედება უმეტეს შემთხვევაში წარმო-
დგენილია შესასრულებლად.

ბრძანებითი წინადადების მიღების გრამატიკული საშუალებანია:
ბრძანებითი ინტონაცია, ბრძანებითი კილას ზმნა, ნაწილაკები.

შინაარსის მიხედვით ბრძანებითი წინადადება მრავალფეროვანია -
ძირითადად შეიძლება გამოვსუთ შემდეგი ტიპები:

1. განკარგულებითი ანუ საკუთრივ ბრძანებითი: ეს ბოლომდე წა-
იკითხე! ყველა წავიდეს!

2. რჩევა-აპარტიგებითი: ხედავ დიდიგინაო! თაეს გაუფრთხილდით!

3. თხოვნა-ახვეწებითი: მალე დამიბრუნე, შენი გირჩემ! წაიდუა,
გეთაყვა!

4. მოწოდებითი: ეს საქმე ერთად გავაკეთოთ! დღით ადრე ავიდეთ!

5. წაქეზებითი: აბა, მალე წავიდეთ!

6. აკრძალვითი: არ გატეხო! დედას არ აწყენინო! ნუ ამბობ უარს!

7. მისაღმებითი: ოსიკოს გაუმარჯოს! დილა მშვიდობისა!

8. მიწვევა-ამიბატირებითი: მობრძანდით, აქვენ გენაცვალეთ!

მტკიცების მიხედვით ბრძანებითი წინადადება ორი სახისაა: წარ-
თქმითი და უკუთქმითი (ანუ უარყოფითი, აკრძალვითი).

ბრძანებითი წინადადება წართქმითია, როდესაც იგი მოქმედებას
წარმოგვიდგენს დადებითი შინაარსით. უკუთქმითია ბრძანებითი წინა-
დადება, რომელიც მოქმედებას გამოხატავს უარყოფითად: წართქმითი
უნაწილაკობა, უკუთქმითი კი-ნაწილაკიანი. ნაწილაკებზე გამოყენებუ-
ლია ა რ და ნ უ .

წართქმითი ბრძანებითია: კარგად დახატე! ხედავ აუცილებლად
შემოიაროს! ცისწავლოთ ბეჯითად!

უკუთქმითია: არ მიხვიდე! არ დაწერო! არ წავიდეს! არ ციხარ-
მაკოთ! ნუ წახვება! ნუ იტრიალებს! ნუ დამიცდით!

ბრძანებითი წინადადება ძირითადად გადმოიყვება მე-2 პირის ფორმით, ხოლო შედარებით ნაკლებად მე-3 და პირველი პირის ფორმებით, რომელთაგან პირველი პირის ბრძანებითს მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმა აქვს, მეორე და მესამე პირისას კი - როგორც მხოლოდობის ისე მრავლობითის ფორმები. მაგალითად, ცწეროთ! ცხატოთ!.. წერე! ხატე! წერეთ! ხატეთ!.. წეროს! ხატოს! წერონ! ხატონ! ბრძანებითი იყენებს თხრობითი და კავშირებითი კილოს ზმნებს. ეს ფორმები ბრძანებით წინადადებაში წარმოგვიდგება შემდეგი სახით:

წარუქმითი ბრძანებითის ფორმები

II ბ.	წერე!	დაწერე!	წერეთ!	დაწერეთ!
III ბ.	წეროს!	დაწეროს!	წერონ!	დაწერონ!
I ბ.	-	-	ცწეროთ!	დაცწეროთ!

ე.ი. მეორე პირის წარუქმითი ბრძანებითი იყენებს თხრობითი კილოს ზმნას წყვეტილის მწკრივში მომავალი დროის გაგებით. მესამე და პირველი პირის ბრძანებითი კი - კავშირებითი კილოს ზმნას მეორე კავშირებითის. ფორმით ისევე მომავალე დროის გაგებით.

უკუთქმითი ბრძანებითის ფორმები

1. არ ნაწილაკიანი:

II ბ.	არ წერო!	არ დაწერო!	არ წეროთ!	არ დაწეროთ!
III ბ.	არ წეროს!	არ დაწეროს!	არ წერონ!	არ დაწერონ!
I ბ.	-	-	არ ცწეროთ!	არ დაცწეროთ!

არ ნაწილაკიანი უკუთქმითი ბრძანებითი სამივე პირში იყენებს კავშირებითი კილოს ზმნას მეორე კავშირებითის ფორმით მომავლის გაგებით.

2. ნუ ნაწილაკიანი უკუთქმითი ბრძანებითი:

II ბ.	ნუ წერი!	ნუ დაწერი!	ნუ წერეთ!	ნუ დაწერეთ!
III ბ.	ნუ წერს!	ნუ დაწერს!	ნუ წერენ!	ნუ დაწერენ!
I ბ.	-	-	ნუ ცწერეთ!	ნუ დაცწერეთ!

მაშასადამე, ნ უ ნაწილაკიანი უკუთქმითი ბრძანებითი სამივე ბიძგი იყენებს თხრობითი კლას ზმნას აწმყოსა და მყოფადის მწკრივების ფორმებში ახლანდელი და მომავალი დროის გაგებით.

ბრძანებითა აგრეთვე წინადადება, სადაც ზმნა წარმოდგენილია შეკვეცილი სახით. მაგალითად: მოიტა! (მოიტანე!), შეხე! (შეხედე!), დაიცა! (დაიცადე!), დახე! (დახედე!), დაიჭი! (დაიჭირე!).

ზოგჯერ შეკვეცა იქამდე მიდის, რომ მხოლოდ ზმნისწინები გამოხატავენ ბრძანებით წინადადებას: მო! წა! გამო! შემო! წამო! დმო! ასეთი ფორმები გვხვდება პოეზიასა და უფრო ხშირად კი დიალექტებში. სალიტერატურო ენისათვის მსგავსი ფორმები მიუღებელია.

ზოგჯერ ბრძანებითი წინადადება გადმოიყვამ ე.წ. ზმნური მნიშვნელობის შორისდებულთ. ასეთებია მაგალითად, ჯდამიანის გასარქმებლად სახმარი სიტყვები: სუ! რუ! ცხოველების ან ფრინველების გასარქმად გამოყენებული სიტყვები: არუ! აცე! ცხა! აცხა! აქშა! და ა.შ.

დასასრულ, აღსანიშნავია ისეთი ბრძანებითი წინადადებებიც, რომლებიც მხოლოდ არსებითი სახელით გადმოიყვამა. მაგ., სიტყვა ცეცხლით გამოყენებულია ი მნიშვნელობით, რომ ცეცხლი გააჩაღონ, იქნება ბრძანებითი წინადადება. ასეთებია ოპერატორის დროს ქირურგის მიერ გაცემული განკარგულება: მაკრატელი იოღი ნეფისი.. ტრანსპორტი გამოყენებულია სიტყვა - ბილეტი და ა.შ.

სტილისტიკის თვალსაზრისით, გარდა ზემოთ აღნიშნული ფორმებისა, ბრძანებით წინადადებაში მნიშვნელოვანია ისეთი ნაწილაკების ხმარებაც, რომლებიც გამოსატყვენ მოუბრის ნებასსურვილს, მოწონებას, წაქეზებას, გამხსნელებას, შესაძლებლობასა და სხვ., როგორცაა: აბა, ვინძლო, მოდი, უნდა, დაე, ეგებ, იქნება და სხვ.

აბა წაგიდეთ! ცინძლო არ დაიწუნო! დაე იღბიწისი! ბარემ წაიღოს! მოდი ერთად წაგიდეთ! უნდა ისწავლოს და სხვ.

ქვემდებარე ბრძანებით წინადადებაში

ბრძანებით წინადადებაში ქვემდებარე საერთოდ არ იხმარება. სიტყვობრივ, ამ ტიპის წინადადებებს ციყენებთ არასრული სახით, მაგ., წერე ლამაზად და გარკვევით! (იგულისხმება ქვემდებარე მონი).

გაკვეთილი კარგად ისწავლოს! (ქვემდებარედ იგულისხმება მონი).

ერთად წავიდეთ სამუშაოდ! (ქვემდებარედ იჯულისხმება რ ე ე ნ),
მაგრამ, როდესაც მოქმედი პირი ხაზგასმით არის აღსანიშნავი, მა-
შინ ქვემდებარეს ხმარობენ ნაცვალსახელის სახით:

შ ე ნ წერე ლამაზად და გარკვევით!

მ ა ნ ეს გაკვეთილი კარგად ისწავლოს!

რ ე ე ნ ერთად წავიდეთ სამუშაოდ!

ბრძანებით წინადადებაში ქვემდებარედ არსებითი სახელი გუხვდებ-
ბა მხოლოდ ზმნის მესამე პირის ფორმასთან.

ბ ა ე შ ე მ ა ეს ლექსი კარგად ისწავლოს!

ბრძანებით წინადადებაში ხშირად ეხმარობთ მიმართვას,

მაგ.: ა მ ხ ა ნ ა გ ო, წერე ლამაზად და გარკვევით!

დ ა ე ი თ, გაკვეთილი კარგად ისწავლოს!

ძ მ ე ბ ო, ერთად წავიდეთ სამუშაოზე!

მაგრამ მიმართვა არ არის წინადადების წევრი, ამიტომ იგი გა-
მოიყუდა მძიმით ან ძახილის ნიშნით. ხაზგასმით აღნიშვნის მიზნით
მიმართვიან წინადადებაშიც შეიძლება იყოს წარმოდგენილი ქვემდებარე,
მაგ.:

ამხანაგო, შ ე ნ წერე ლამაზად და გარკვევით!

დავით, მ ა ნ გაკვეთილი კარგად ისწავლოს!

ძმებო, რ ე ე ნ ერთად წავიდეთ სამუშაოზე!

ამრიგად, ბრძანებით წინადადებაში ქვემდებარის რეალურად გამო-
ხატვა იწვევს აზრობრივი ელფერის შეცვლას, ეინაიდან ასეთ შემთხვე-
ვაში ქვემდებარე ხაზგასმით აღინიშნება. ასე მაგალითად, როდესაც
ბრძანებით წინადადება უქვემდებარა: ეს კარგად დაიმახსოვრე! -
ჯუროდდება გამახვილებულია მხოლოდ მოქმედებაზე; მაგრამ, როდესაც
ქვემდებარეს დავუმატებთ: შენ ეს კარგად დაიმახსოვრე! - მაშინ
ჯუროდდება გამახვილებულია ქვემდებარეზედაც და ამის გამო ეს წი-
ნადადება უკვე სხვა აზრობრივ ელფერს იღებს: ეს დაიმახსოვრე
შ ე ნ და არა - ს ხ ვ ა გ ი ნ მ ე მ.

4. ძახილის წინადადება

ძახილისაა წინადადება, რომელიც გამოხატავს გრძნობას (ემო-
ციას) და წარმოითქმის ძახილის ინტონაციით. ასეთი წინადადების
ბოლოს დასმის ძახილის ნიშანი. ძახილის წინადადებები უმთავრესად
იხმარება დიალოგებში.

შინაარსის მიხედვით ძირითადად გვაქვს ძახილის წინადადების
შემდეგი ტიპები:

1. ალტაცების - რა მშვენიერი რამაა! რა კარგი ღილა გათენდა! კაცი კი არა, ცეცხლია!

2. გაკვირების - ექვს, ასეთი ამბავი გაგონიდა! ასეთ ქარაგმებს ვინ გაიგებს! კინაღამ ბრ მომკლა!

3. მწუხარების - ვაი, რა ცოლვა დატრიალებულა! ეს რა ცუდი ამბავი გავიგე!

4. მოწონების - ენაცვალე ბაბუ ლუკმას! სიმარჯვე ვის არ მოეწონება! აი კაციც ასეთი უნდა!

5. ზიზღის - რა ცუდი საქციელი აქვს! ჭუპ, ეს რა მოუტანია!

6. აღშოთების - უი, რა საძაგელია! ეს რა საშინელებაა!

7. შიშის - ვაითუ გზას ასცდა! ცუდი ბრადერი შეემთხვეს!

8. ირონიის - უმ, ეს რა ჩაუცვამს! ოპო, რა „სკვიანი“ ყოფილა!

9. დანანების - ეჰ, ეს არ მომხდარიყო! და! ეა, რა ცუდი რამ არის!

10. ნატვრის - ნეტავი მალე ჩამოვიფლავს! ნეტა მცც ი! ცყუ-ლილიყავ! და სხვ.

ძახილის წინადადებაში გრძნობის გამოსახატავად ხშირ შემთხვევაში იხმარება დამხმარე სიტყვები - შორისდებულები და ნაწილაკები. ესენია:

1. შორისდებულები:

1. მოწონების - ოჰ, ოხ, ვიშ, ახ, ყოჩაღ, ვაშა, უჰ, ბარაქაღა, ააფერუმ.

2. გაკვირების - ვა, ბიჭოს, ერიშაა, ექვს.

3. მწუხარების - ვაი, ვაიმე, ეაჰმე, უიმე, ოჰ, ოხ, ვაჯღაღ.

4. უსიამოვნების - ეჰ, ეხ, აფხუს.

5. ზიზღის - ფუი, ფუ.

6. ნატვრის - ახ.

7. ირონიის - უმ.

8. ნიშნის მოგების - ში.

9. შეძახილის - შოი, ოი.

10. ძახილის - ეი, აჰუ, უუ.

2. ნაწილაკები:

1. განცვიფრებითი - ბრ, ბკი, ბკი ბრ.

2. ნატვრითი - ნეტავი (ნეტა, ნეტავ), - მც (ა).

3. შიშის - ვაითუ.

4. ჩვენებითი - ბი, შა, აშა, აგერ.

5. დასადასტურებითი - მაშ.

ამათგან ზოგი განსხვავებული გრძნობის გადმოსაცემად იხმარება, რომელთა მნიშვნელობასაც მხოლოდ კონტექსტი გაიარკვევს. მაგალითად, ფუ, ცაი, ცაიმე, ციშ, ცეო... გაიკვეთილი განცდის გამოხატველი შორისდებულებია, მაგრამ უი, აჰ, ახ, ოჰ და სხვ. ხშირად იხმარება საპიროსპირო გრძნობის გადმოსაცემად. მაგალითად: უი, ამას ვის ვხედავ! უი, საბრალოს რა დამართა! აჰ, რა მშვენიერი! აჰ, ეს რა ცუდი საქმე ჩაუდენია!..

ძახილის წინადადებაში დამხმარე სიტყვებად იხმარება აგრეთვე ნაწილაკებად გამოყენებული კითხვითი ნაცვალსახელები და კითხვითი ზმნიზედები, მაგალითად, კითხვითი ნაცვალსახელები: რა (რა ღამაზე დილაა!), ვინ(ვინ გააკეთებს ამას!) სადაური (სადაური ამბავი არ იყოდა!), რამდენი (მას რამდენი ბავშვი გაუზრდია ამ სკოლაში!),

კითხვითი ზმნიზედები: როლი (მას ახლა როლი ახსოვს ყველაფერი!), სად (ამას სად ვააცხადებს!), როგორ (ამას როგორ მივხედავ!), როგორ თუ (როგორ თუ არ გამოცხადდება!) და სხვ.

ძახილის წინადადებაში გრძნობის გაძლიერებულად გამოსახატავად მიმართავენ აგრეთვე სიტყვის განეუორებას. შეორდება როგორც წინადადების რომელიმე წევრი, ისე შორისდებული და ნაწილაკი. მაგ., ეგრე იყოს, ეგრე! ნაშუსი პქონა, ნამუსი!

უჰ, უჰ, რა ტკბილია! ოჰ, ოჰ, რა კარგი ქალაქი! ჰაი, ჰაი, რომ გვინდა! უიმე, უიმე, ეს რა ჩაუდენია!

ძახილის წინადადებაში გრძნობის გამოხატვის ძირითადი საშუალებაა ინტონაცია. მას დიდი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით ისეთ წინადადების გადმოცემისას, სადაც გრძნობის გამოხატვის სხვა საშუალება არ არის გამოყენებული.

ძახილის წინადადება შეიძლება იყოს უშემასწავლო; ჩვეულებრივ, ასეთ შემთხვევაში ძახილის წინადადების გასათორმეზლად იხმარება ჩვენებითი ნაწილაკები: აი, ჰა, აჰა, აჯერ (აი, მცხეთა, ჰა ბურთი და ჰა მოვუანი! აჰა, ჩემი წრფელი გული, აჯერ მთაწმინდა!)...

ძახილის წინადადება სტილისტიკის თვალსაზრისით მხატვრული მეტყველების ერთერთი მნიშვნელოვანი ემოციურ-ექსპრესიული ენობრივი საშუალებაა.

ასეთივე დანიშნულებისაა კითხვით-ძახილისა და ბრძანებით-ძახილის წინადადებებიც.

მტკიცების მიხედვით წინადადება ორი სახისაა: წარუქმითი და უკუაქმითი.

წ ა რ თ ქ მ ი თ ი ა წინადადება, რომელიც აზრს გამოხატავს დადებითად. ე.ი. ეს ისეთი წინადადებაა, სადაც ზმნააშემასმენელთან არ არის გამოყენებული უარყოფითი ნაწილაკი.

წარუქმითი წინადადებების შიგთავსობა:

პეტრე კარგად სწავლობს. ჩემი მეგობარი გუშინ ჩამოვიდა თბილისიდან.

უ კ უ თ ქ მ ი თ ი ა წინადადება, რომელიც აზრს გამოხატავს უარყოფითად. ასეთ შემთხვევაში ზმნააშემასმენელთან აზრის უარყოფითად გადმოსაცემად იხმარება უარყოფითი ნაწილაკები: არ, ვერ, ნუ, ან სხვა ნაწილაკადარსული; არც, ვერც, ნურც; აღარ, ვეღარ, ნუღარ; აღარც, ვეღარც, ნუღარც, ასეთ შემთხვევებში უ და სხვა ნაწილაკის დანიშნულებაა უარყოფის უფრო ხაზგასმით აღნიშვნა. უფრო აძლიერებს ამ მნიშვნელობას „კი“ ნაწილაკის დართვა, მაგ.: არც კი, ვერც კი, ნურც კი. მათ შორის არ და ვერ ნაწილაკები თავიანთი ნაიხსახურობით იხმარება თხრობით წინადადებებში, არ და ნუ ნაწილაკები კი ბრძანებით წინადადებებში. წარუქმითი და უკუაქმითი წინადადებების ერთმანეთისგან გარჩევა სტრუქტურული ნიშნის მიხედვით ხდება, ე.ი. იმის მიხედვით, არის თუ არა გამოყენებული უარყოფითი ნაწილაკი, რაჟა პრეტყვით ნიკომ ამ ღილით დაიგვიანა - ეს იქნება წარუქმითი წინადადება, მაგრამ, თუ ვთქვი: ნიკომ ამ ღილით არ დაიგვიანა - ეს უკვე იქნება უკუაქმითი წინადადება, მიუხედავად იმისა, რამ ბირველი შინაარსით უარყოფითია, მეორე კი - დადებითი.

ასევეა: ეთერი უკვდავ სწავლობს (შინაარსით უარყოფითია, წინადადება - წარუქმითი) და ეთერი უკვდავ არ სწავლობს (შინაარსით დადებითია, წინადადება - უკუაქმითი)... ის ისეთი კარგი არ არის, რომ ეს არ გააკეთოს (დადებითი დახასიათება მოცემულია უკუაქმითი წინადადების საშუალებით).

წინადადებებში უარყოფის გამოსახატავად უარყოფითი ნაწილაკების ნაცვლად ხშირად გვხვდება **უ ა რ ყ თ თ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი** - არავინ, ვერავინ, ნუვინ, ნურავინ, არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი, არავითარი, ვერავითარი, ნურავითარი, არც ერთი, ვერც ერთი, ნურც ერთი... და **უ ა რ ყ თ თ ი ზ მ ნ ი ზ ე ლ ე ბ ი**: არსად, ვერსად, ნურსად; არასდროს, ვერასდროს, ნურასდროს; არასოდეს, ვერასოდეს, ნურასოდეს. მაგ.: გუშინ არავინ მოსულა. ეს მოთხრობა არავინ წაუკითხავს. წიგნი არსად იყო. მის მიერ შენახული

ფანქარი არსად ჩანდა. ის ამ საკმის ვერასოდეს გააკეთებს. ასეთი სანახაობა არასოდეს უხილავს. (ეს ნაკვალავხელები და ზმნიზელები წინადადებაში წვერის როლსაც ასრულებენ).

ასეთი სიტყვების ხმარებისას, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, გამოიხატება ნაწილობრივი უარყოფა. როგორც უარყოფითი ნაწილაკის გადასმა სხვა წვერთან, ისე მხოლოდ უარყოფითი სახელის ან ზმნიზელის შემასმენელთან გამოყენება იწვევს წინადადების აზრობრივი ელფერის შეცვლას.

განსხვავებული აზრობრივი ელფერის გამოხატვა ეკისრება აგრეთვე უარყოფით სახელთან ან უარყოფით ზმნიზედასთან დამატებით გამოყენებულ უარყოფით ნაწილაკსაც. ამ შემთხვევაში უარყოფა გააძლიერებსა და გაძლიერებულად, მავალიადა: გუშინ არავინ არ მოსულა. ამას ვერავინ ვერ წაიღებს. ამ ამბავს ნურავის ნუ ეტყვი. წიგნი არსად არ იყო. მას ვერსად ვერ ჩახსვე. დღეს ნურსად ნუ წახვალ. ამას ნურასოდეს ნუ გაიმეორებ და სხვ.

წინადადებაში გამოყენებულ ისეთ უკლქმიან ფორმებს, რომელნიც უარყოფით სახელთან ან ზმნიზედასთან ერთად შეიცავენ უარყოფით ნაწილაკსაც, ო რ მ ბ გ ი უ ა რ ყ თ ა შ ქ ვ ი ა.

§ 60. ორმაგი უარყოფის ხმარება

ძველი ქართულიდან და მახასიათებელი იყო ერთმაგი უარყოფა, ე.ი. უარყოფის გამოსახატავად გამოიყენებოდა ან მხოლოდ უარყოფითი ნაწილაკი, ან მხოლოდ უარყოფითი სახელი თუ უარყოფითი ზმნიზედა, ახალ-ქართულში კი ერთმაგი უარყოფის პარალელურად ორმაგის უარყოფა-მაც მოიკიდა ფეხი და თანამედროვე სალიტერატურო ენაში მას დიდი როლი გაბატონებული ადგილი უჭირავს¹.

ც. თაფურია ჯერ კიდევ 1923 წელს აღნიშნავდა: „მხედველობაში მისაღებია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ დღევანდელი მწერლობისა და სურნალისტიკის ენიც თუ გიხელმძღვანელებთ, თვალწინ იშლება ორმაგი უარყოფის გამარჯვების პერსპექტივა: ერთმაგი უარყოფა თავის შერყევულ პოზიციას მალე დაუთმობს ორმაგს. ამის საბუთი თვის ენის პროცესუალაშია: მე-50-60 წლებში ორმაგი უარყოფის ხმარების იშვიათობა დღეს სიხშირედ ქცეულა...“²

როგორც ეს დადასტურებულია ც.თაფურიას მიერ, ორმაგი უარყოფა

I იხ. ვარლამ თაფურია - ორმაგი უარყოფა ქართულში, ტურნ. „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წევრი წევრი“, I-II, 1923-1924, გვ. 74-116.

2. იქვე, გვ. 93.

ქართული მოვლენაა, იგი გვაქვს ქართულ კილოებშიც. მისი ჩანასახი ძველ ქართულშივე შეინიშნება, ვარკვევით კი იგი მც-II საუკუნიდან ჩანს.

ენაში ორმაგი უარყოფის ვაერყელება გამოიწვია იმან, რომ წინადადებაში ამ ფუნქციით უარყოფითი სახეღისა და უარყოფითი ზმნიზედის გამოყენება ადარ იყო საკმარისი და სწორი გახდა დამატებით უარყოფითი ნაწილაკის დართვა, ამის გამო ახალ ქართულში გვაქვს ასეთი პარალელური ფორმები:

ერთმაგუარყოფიანი	ორმაგუარყოფიანი
1 გუშინ არავინ ჩანდა. მწვერვალზე ვერავინ ავიდა. მას ნურავინ დაუღის!	გუშინ არავინ არ ჩანდა. მწვერვალზე ვერავინ ვერ ავიდა. მას ნურავინ ნუ დაუღის!
2 გივიმ არაფერი მოიტანა, ვანომ ვერაფერი დაიჭირა. ეთერი ნურაფერს იყიდის!	გივიმ არაფერი არ მოიტანა ვანომ ვერაფერი ვერ დაიჭირა. ეთერი ნურაფერს ნუ იყიდის!
3 ბავშვი უერ არსად ყოფილა. ის ვერსად წავა. ნიკო ნურსად შეჩერდება!	ბავშვი უერ არსად არ ყოფილა. ის ვერსად ვერ წავა. ნიკო ნურსად ნუ შეჩერდება!
4 ეს არასოდეს განმეორდება. აწ ვერასოდეს ნახავს. ყუდს ნურასოდეს იტყვის.	ეს არასოდეს არ განმეორდება. აწ ვერასოდეს ვერ ნახავს. ყუდს ნურასოდეს ნუ იტყვის

ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ორივე ფორმის ხმარება დასაშვებია. გვაქვს ისეთი უარყოფითი სახელებიც, რომელთაც უარყოფითი ნაწილაკის გარეშე ვერ ვიხმარებ, როგორცაა: „არავითარი“, „ვერავითარი“, „ნურავითარი“.

არავითარი საქმე არ მქონდა, ვერავითარი გამოცდა ვერ შეაშინებებს, ნურავითარ ბაიათს ნუ მოყვები... (არ შეიძლება იტყვას: არავითარი საქმე მქონდა; ვერავითარი გამოცდა შეაშინებებს და სხვ.).

იგივე ითქმის უარყოფითი სახელების „არც ერთი“-ს და „ვერც ერთი“-ს შესახებ, მაგალითად: (არც ერთი კაცი არ დამარცხებულა; ვერც ერთი ბავშვი ვერ განიმეორებდა).

და არა; არც ერთი კაცი დამარცხებულა; ვერც ერთი ბავშვი განიმეორებდა.

გვხვდება ორმაგი უარყოფის შემდეგნაირი ფორმებიც: არ შეიძლება არ იყოს, არ შეეძლო არ ეთქვა, არ შემეძლო არ ვამეფრთხილებინა და სხვ. ამ წინადადებაში გამოხატულია უარყოფის უარყოფა; ფორმა უარყო-

ფიქია, აზრი - დადებითი, ე.ი. აზრობრივად აქ გადმოცემულია მტკიცება (და არა უარყოფა).

ფორმების: არ შეიძლება არ იყოს; არ შეეძლო არ ეთქვა - ძირითადი სტილისტიკური დანიშნულება ისაა, რომ ისინი ექსპრესიულად გადმოსცემენ მტკიცებას და ხაზგასმით აღნიშნავენ მოუბრის რწმენას იმის შესახებ, რომ ასეთი ფაქტი აუცილებლად უნდა მოხდეს, უნდა მომხდარიყო ან უნდა ხდებოდეს.

ზოგჯერ უარყოფის კიდევ უფრო გასაძლიერებლად წინადადებაში იყენებენ ორზე მეტ უარყოფას. მაგალითად: არსად არაინ არ ჩანდა; მან არასოდეს არაფერი არ იცოდა; აქ არავის არასოდეს არაფერი არ უყიდა და სხვ.

უარყოფის გასაძლიერებლად, გარდა უარყოფითი ნაწილაკებისა, იხმარება უკუთქმითი მიგებითი ნაწილაკებიც: არა, ეერა, მაგ., არა, არ მოვა; ეერა, ეერა გააკეთებს...

პირველ წინადადებაში უარყოფას ა რ ნაწილაკი კი არ აძლიერებს, არამედ მიგებითი ნაწილაკი ა რ ა, მეორეში - ე ე რ ა, რომლებიც მძიმით გამოიყოფა. საკმარისია ა რ ნაწილაკი გამოვტოვოთ და წინადადება მიიღებს საწინააღმდეგო მნიშვნელობას: არა, მოვა.

უარყოფის გამოხატვა უარყოფითი ნაწილაკის გამოუყენებლად

უარყოფითი ნაწილაკის გამოუყენებლად, ე.ი. წართქმითი ფორმით, უარყოფა მაშინ გადმოცემია, როდესაც წინადადებაში ეჭვის, გაკვირების ან ირონიის გამოსახატავად კითხვითი სიტყვები (ნაცვალსახელები: ვინ, რა, ვის, რას... კითხვითი ზმინოვებები: სად, როდის, (როდის), როგორ, რატომ, რისთვის არის გამოყენებული და წინადადება კითხვითის ნაცვლად არის ემოციური ანუ ძახილისა, მაგალითად:

მას ახლა ვინ მოუსმენს! აქამდე ვის უფიქრია ამაზე! მეტი რა უნდა ეთქვას! ბავშვი რას გააკეთებდა!.. სად პტონდა ამდენი გამოცდილება! ასეთი რამ როდის (ან - როდის) გაახსენდებოდა! ამის გამო როგორ დაგვიმღერება! ასე ადრე რატომ უნდა ადგეს! უსარგებლოდ რისთვის გაიჩქება! ესენი ნიშნავენ: მას ახლა არავინ მოუსმენს; აქამდე არავის უფიქრია ამაზე; მეტი არაფერი უნდა ეთქვას; ბავშვი ვერაფერს გააკეთებდა; არ პტონდა ამდენი გამოცდილება; ასეთი რამ არ გაახსენდებოდა; ამის გამო არ დაგვიმღერება; ასე ადრე არ უნდა ადგეს; უსარგებლოდ არ გაიჩქება. ზოგ შემთხვევაში შეიძლება ორმაგი უარყოფის გამოყენებაც, მაგ. მას ახლა არავინ არ მოუსმენს; მეტი არაფერი არ უნდა ეთქვას და სხვ.

ამრიგად, უკუთქმითი თხრობითი წინადადებების ნაცვლად სტი-

ლსტიკური დანიშნულებით უარყოფის გადმოსაქცემად გამოყენებულია
 ძახილის წინადადებები, მიღებული კიბეებით წინადადებებისგან იმ
 მიზნით, რომ უფრო ემოციურად და ექსპრესიულად გადმოიყენოს უარყოფა.

§ 61. წინადადებათა შერჩევა აგებულების
 მიხედვით

1) რთული თანწყობილი და მარტივი:

ხანგრძლივი გეგლება იყო და შინდორში ბაღახი სულ ვახშა,

ხანგრძლივი გეგლებისგან შინდორში ბაღახი სულ ვახშა.

მამა ომიდან უწებლად და უწდა და ამან ძალიან გაახარა

ოჯახი,

ომიდან მამის უწებლად დაბრუნებამ ძალიან გაახარა ოჯახი.

ამ მაგალითებში რთული თანწყობილი წინადადება შეცვლილია მარ-
 ტივით.

2) რთული ქვეწყობილი და მარტივი:

რთული ქვეწყობილი წინადადება:

პროფესორმა, რომელმაც ? აწენება წაიკითხა, თავისი აღმოჩენა
 ეკრანზე გვარჩენა.

პროფესორმა, წაიკითხა რა მოხსენება, თავისი აღმოჩენა ეკრან-
 ზე გვარჩენა.

პროფესორმა, როცა მოხსენება წაიკითხა, თავისი აღმოჩენა ეკრა-
 ნზე გვარჩენა.

პროფესორმა, როგორც კი მოხსენება წაიკითხა, თავისი აღმოჩენა
 ეკრანზე გვარჩენა.

პროფესორმა მას შემდეგ, რაც მოხსენება წაიკითხა, თავისი
 აღმოჩენა ეკრანზე გვარჩენა.

მარტივი წინადადება:

მოხსენების წამკითხველმა პროფესორმა თავისი აღმოჩენა ეკრან-
 ზე გვარჩენა.

პროფესორმა, მოხსენების წამკითხველმა, თავისი აღმოჩენა
 ეკრანზე გვარჩენა.

პროფესორმა მოხსენების წამკითხვის შემდეგ თავისი აღმოჩენა
 ეკრანზე გვარჩენა.

მსგავსი მაგალითები:

1) ღვეს საინტერესო წიგნები ჩამოიტანა ჩემმა ამხანაგმა,
 რომელიც მოსკოვიდან ჩამოვიდა, ღვეს ჩემმა ამხანაგმა, მოსკოვიდან

ჩამოსულმა, საინტერესო წიგნები ჩამომიტანა; დღეს მოსკოვიდან ჩამოსულმა ჩემმა ამხანაგმა საინტერესო წიგნები ჩამომიტანა.

2) სანამ ხმალი მოვიდოდა, ენამ თავი მოსჭრაო; ხმლის მოსვლამდე ენამ თავი მოსჭრაო.

3) დაინახა რა, გაოცდა; როგორც კი დაინახა, გაოცდა; რაცა დაინახა, გაოცდა; დაინახა თუ არა, გაოცდა; დანახვისას გაოცდა; დანახვის დროს გაოცდა.

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული წინადადებით უფრო ვრცელად, დაწვრილებით გადმოიყვება ასახსნელი წვერის ლექსიკური მნიშვნელობა, ამასთან საკავშირებელ სიტყვასაც შეატევს გარკვეული აზრობრივი ელფერი - ხაზს უსვამს ასახსნელ სიტყვას. შეორის მხრივ, მარტივ წინადადებასაც აქვს გარკვეულ ვითარებაში თავისებური სტილისტიკური მნიშვნელობა, სახელდობრ, იგი უფრო სხარტად ლაგონირებად გამოხატავს აზრს.

სხედასხვა აგებულების წინადადებით ერთი და იმავე შინაარსის გადმოცემის საშუალება, უდავოდ, ენის სიმდიდრის ნაშანია, ამით მოუბარს განუსაზღვრელი შესაძლებლობა ეძლევა ამა თუ იმ კონკრეტულ ვითარებასთან დაკავშირებით შედარით სტილისტიკურად უკეთესი ფორმა და ნათლად გაღმავტეცს აზრი როგორც ჩვეულებრივი საქმიანი, ისე მხატვრული მიტყველების დროს. რთული წინადადებები სტილისტიკურად უკეთესის ერთნაირი სიუხადით ვერ გადმოცემავენ აზრს, ისინი თავისუფლად როდი ცვლიან ერთმანეთს. ზოგჯერ აზრი მარტივი წინადადებით უფრო ნათლად და ექსპრესიულად გადმოიყვება, ვიდრე რთულით, ზოგჯერ კი - პირიქით. ეს გარკვეულ კონკრეტულ ვითარებაზე დამოკიდებული. მაგალითად: I. აზრის გადმოცემა უმჯობესია მარტივი წინადადებით:

მარტივი წინადადება	რთული წინადადება
1. ჩემს ნიჭიერ ამხანაგს დიდი მომავალი აქვს.	ჩემს ამხანაგს, რომელიც ნიჭიერი, დიდი მომავალი აქვს.
2. მან კარგად იცოდა რთული ამოცანების ამოხსნა.	მან კარგად იცოდა, თუ როგორ ამოიხსნებოდა რთული ამოცანები.
3. ჩვენ ხაშინ ტარბილივით ვიბრძოდით.	ჩვენ მანშინ ვიბრძოდით ისე, როგორც ტარბილი.
4. ის მოემზადა წასასუღელად.	ის მოემზადა იმისათვის, რომ წასულიყო.
5. შორიდან ისმოდა ბუღბუღის ვალობა.	შორიდან ისმოდა, რომ ბუღბუღის ვალობა.

მარტივი წინადადება	რთული წინადადება
6. ყაფლანს უკვირდა სოფელში გამუყურული სიჩუმე.	ყაფლანს უკვირდა სიჩუმე, რომელიც სოფელში იყო გასეფურული.
7. ჩვენმა გაცხარებულმა კამაძმა ძალიან დააინტერესა ხმელა.	ჩვენ გაცხარებით ეკამათობოდა, რამაც ძალიან დააინტერესა ხმელა.
8. თამაზიდან კაცს დაპარაკში დიდი გამოცდილება ეტყობოდა.	კაცს, რომელსაც თმა ვქონდა ქაღალა, დაპარაკში დიდი გამოცდილება ეტყობოდა.

აქ წარმოდგენილი მარტივი და რთული წინადადებებით ერთი და იგივე აზრია გადმოცემული, მაგრამ მათი შეფარებიდან ჩანს, რომ სტილისტიკურად ამ შემთხვევაში მარტივი წინადადებას გადმოცემული აზრი უფრო ნათელია, ვიდრე რთული.

ეს უკანასკნელი გაზვიადებულ, წიგნურ შთაბეჭდილებას ტოვებს და ისე მოხდენილად ვერ გამოხატავს აზრს, როგორც მარტივი წინადადება. ასეთ მოცდენას სტილისტიკაში ბევრშეშა ანუ კომპრესია ეძევა.

2. აზრის გადმოცემა უმჯობესია რთული ქვეწყობილი წინადადებით.

რთული წინადადება	მარტივი წინადადება
1. ვისაც მტრის მტრობა აშინებს, ქვეყნად ის არაფერია.	მტრის მტრობით შეშინებული ქვეყნად არაფერია.
22. რაც გუშინ მოხდა, მომავალში არ განმეორდეს.	გუშინ მომხდარი მომავალში არ განმეორდეს.
23. როგორც იშრომებ, ისე იცხოვრებ.	შრომისამებრ იცხოვრებ.
44. იტანდა, მას მხოლოდ იმიტომ, რომ მის გულში სიცოცხლის იმედი ღვიოდა.	იტანდა მას მხოლოდ მის გულში სიცოცხლის იმედის გადავიცემის გამო.
55. მე მიყვარს ის, ვინც კარგად სწავლობს	მე მიყვარს კარგი მოსწავლე.
61. რომ არ ესწავლა, ხელსაწივ ვერ გახდებოდა.	უსწავლელობის შემთხვევაში ხელსაწივ ვერ გახდებოდა.

რთული წინადადება	მარტივი წინადადება
7. ჩე ვ გავიგეთ, რომ წელს ზურაბმა უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა.	ჩვენ გავიგეთ წელს ზურაბის მიერ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრება.
8. ისეთმა ფორმა ლამწიხლოს, რომელიც ჩემზე მეტს იწვედის.	ჩემზე მეტმა მწველავმა ფორმა დამწიხლოს.
9. იმ დღეს, როცა ბასულიამ თხები დაკარგა, მოხუცი მამა ძაღზე მოწყენილი იყო.	ბასულიას მიერ თხების დაკარგვის დღეს მოხუცი მამა ძაღზე მოწყენილი იყო.
10. ეინი მოყვარება არ ეძებს, იგი თავისა მტერია.	მოყვრის არამძებნელი თავისა მტერია.

ამ წინადადებათა შედარება სულ სხვა სურათს გვაძლევს; აზრის გადმოსაცემად უფრო მოხდენილი ჩანს რთული წინადადება, ეინაიდან მარტივს ამიძიებს საბუნებისა და თანდებულების გამოყენება და უკარგავს ბუნებრიობასა და ექსპრესიულობას, მაგრამ გარდა აღნიშნულებისა, ისეთი შემთხვევებიც ხშირია, როდესაც მარტივი და რთული ქვეწყობილი წინადადებები ერთნაირი სტილისტიკური ღირებულებისაა და, როგორც სინტაქსური სინონიმები, ერთნაირად გამოიყენება, მაგალითად,

მარტივი წინადადება	რთული წინადადება
1. კარგად მოსწავლე სტუდენტი ყველასთვის საყვარელია.	სტუდენტი, რომელიც კარგად სწავლობს, ყველასთვის საყვარელია.
2. ჩვენში ძალიან აფასებენ მოწინავე დამიანებს.	ჩვენში ძალიან აფასებენ აღმაშენებლებს, რომელნიც მოწინავენი არიან.
3. მის დაბრუნებამდე ნოემ ყველაფერი გააკეთა.	სანამ ის დაბრუნდებოდა, ნოემ ყველაფერი გააკეთა.
4. ზამთარში დათესილი მინდორი გაზაფხულზე მწვანე ხალიჩას დაემსგავსა.	მინდორი, რომელიც ზამთარში დათესეს, გაზაფხულზე მწვანე ხალიჩას დაემსგავსა.
5. ეს ქვეყანა ძმური შრომის სუფიერების გვინდა.	ეს ქვეყანა მისთვის გვინდა, რომ სუფიერებს ძმური შრომა.
6. მტრელების საბუღარი კოშკი ძალიან მაღალზე იყო.	კოშკი, სადაც მტრელები ბუღბუნდნენ, ძალიან მაღალზე იყო.

მარტივი წინადადება	რთული წინადადება
7. ერთადერთი სიკეთე ამ ყინვაში ის ქარის დაცხრომია.	ერთადერთი სიკეთე ამ ყინვაში ის არის, რომ ქარი დაცხრა.
8. მარჯვენა ხელი წასასვლელი აღვიღისკენ გაიშვირა.	მარჯვენა ხელი გაიშვირა იქით- კენ, საითაც უნდა წასულიყო.
9. ზარის ხმის გაგონებაზე ბა- ვშეები კლასებისკენ გაეშუ- რნენ.	რაცა ზარის ხმა გაიგონეს, ბავ- შეები კლასებისკენ გაეშურნენ.
10. ის მოიტეა დედის სურვილი- სამებრ.	ის მოიტეა ისე, როგორც დედას სურდა.
11. მტრებმა ეერე სულხან-საბა ორბელიანის სამშობლოდან გაღახვეწიო ისარგებლეს.	მტრებმა ეერე იმიო ისარგებლეს, რომ სულხან-საბა ორბელიანი სა- მშობლოდან გადაიხვეწა.
12. დავითის გასართობად მოცელო.	მოცელო იმისათვის, რომ დავითი გაეართო.

მაშასადამე, ზეპირ თუ წერილ მტყველებიაში ამა თუ იმ აზრის გადმოსაცემად საჭიროა შერირეს ისეთი აგებულების წინადადება, რომელი უფრო ზუსტად, ნათლად და სხარტად გამიხატავს სათანადო შინაარსს.

მარტივ წინადადებას უპირატესობა ეძლევა მაშინ, როდესაც მისი შესატყვისი რთული წინადადება ხელოვნურად გაზვიადებული და სიტყვა მრავალი ჩანს.

რთული ქვეწყობილი წინადადება კი უპირობოა მაშინ, როდესაც მისი მონათვე მარტივი წინადადება სტილისტიკურად დამძიმებულია სხებლზმნებით, თანდებულებითა და ისეთი საშუალებებით, რომლებიც უფრო ენებისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო ქართულში მათ შესანიშნავად ევლიან ზმნა და მასთან დაკავშირებული სუბიექტურა და ობიექტური პირები.

სტილისტიკურად თანაბარი ძალის წინადადებათაგან რომელიმე ერთის შერჩევა კი უკვე გამოვნიების, მტყველების თავისებურების საკითხია, ისეთი საკითხი, როგორცაა, მაგალითად, სინონიმური მნიშვნელობის სიტყვების შერჩევა.

წინადადების ერთი სტრუქტურის მეორე სტრუქტურად გადაქცევის ეწოდება ტ რ ა ნ ს ფ რ მ ა ც ი ა. ასეთ შემთხვევაში იტმნება წინადადების პარალელური სინონიმური ფორმები, რომელთა შეჩვენება დამოკიდებულია მოუბრის ან ჯამწერის ენობრივ სტილზე. ასეთი სინტაქსური სინონიმებია:

1. ერთმაგი და ორმაგი უარყოფის გამოხატველი ფორმები: აქ არაინე იყო - აქ არაინე არ იყო, ამაას გერაინე გაბეღავს - ამაას გერაინე გერ გაბეღავს, ტყუილს ნურავის ეტყვი - ტყუილს ნურავის ნუ ეტყვი, ასეთი რამ არსად მინახავს - ასეთი რამ არსად არ მინახავს, ამაას აწ არასოდეს გაიმეორებს - ამაას აწ არასოდეს არ გაიმეორებს.

2. დადებითი მნიშვნელობის გამოსახატავად წართქმითი და უკუთქმითი ფორმები: ეს ნამდვილად რიგიანი საქმეა - ეს ნამდვილად არ არის ურიგო საქმე. მერაბი კარგი ყმაწვილი იყო - სერაბი არ იყო ცუდი ყმაწვილი. ის სწორედ ამას ამტკიცებდა - ის სწორედ ამას არ ამტკიცებდა? ეთერს კინაღამ გული წაუვიდა - ეთერს კინაღამ გული არ წაუვიდა?

3. „არის“ ზმნის შეკვეცილი და შეუკვეცილი ფორმები წინადადების წევრებთან:

1) მუშველ ზმნად გამოყენება:

გიგი მოსწავლეა - გიგი არის მოსწავლე; მათ შორის ნიკოა გამარჯვებული - მათ შორის ნიკო არის გამარჯვებული.

2) დამოუკიდებელ ზმნებად გამოყენება:

ის იქაა - ის იქ არის; ბავშვი ეზოშია - ბავშვი ეზოში არის; სხლომა დღესაა - სხლომა დღეს არის...

4. ზმნაშემასმენლის შეცვლა შედგენილი შემასმენლით:

მამა უკვირ წავიდა - მამა უკვირ წასულია. ეს ამოცანა ნუნუს ამოხსნა - ეს ამოცანა ნუნუს ამოხსნილია. ან - ეს ამოცანა ნუნუს მიერაა ამოხსნილი; მოთხრობა მარშან დაუწერია - მოთხრობა მარშან პქონდა დაწერილი.

5. მიზეზის გამოხატველი ფორმები:

ავადმყოფობის გამო დასუსტდა - ავადმყოფობისგან დასუსტდა, ავადმყოფობით დასუსტდა; შიშის გამო ფერი დაეკარგა - შიშისგან ფერი დაეკარგა, შიშით ფერი დაეკარგა...

6. ერთგვარი წევრების შეკვლა კომპოზიტით:

მამა და შვილი აქ იყვნენ - მამაშვილი აქ იყო. და და ძმა კარგად სწავლობენ - დაძმა კარგად სწავლობს.

აღნიშნული სახის კომპოზიტით გამოსატულ ქვემოთაბრესთან შემა-

სმენლის მხოლოდობითი ხმარება დამყვიდრებულია ტრადიციულად, თანაც გაერულებულია და ამჟამად უკვე ნორმალაა მიჩნეული.

7. გენეტიური მსაზღვრელის შეეცა ატრიბუტული მსაზღვრელით: დედის ალერსი - დედური ალერსი; ბავშვის ხასიათი - ბავშვური ხასიათი; მამის სახელი - მამისეულ სახელში...

მოყვანილ მაგალითებში ყველგან აზრი ძირითადად ერთი და იგივეა, მაგრამ განსხვავებულია აზრობრივი ელფერი; ამის გამო ფარმა-თა შერჩევა უნდა მოხდეს ამ ნიუანსთა გათვალისწინებით.

§ 63. სინტაქსურ-სტილისტიკური შეცდომები

სინტაქსურ-სტილისტიკურ შეცდომებად ჩითვლება ის დარღვევები, რომლებიც უმთავრესად წინადადებაში სიტყვათა წყობაში, წინადადებათა კონსტრუქციის შერჩევასა და ბუნებრივი თქმების შემართბულოდ ვა-მოყვებაში შეინიშნება, მაგალითად:

1. წინადადებაში სიტყვათა ბუნებრივი წყობის დარღვევა:

საოცრად ღამაზი იღვა მის წინ გოგონა (უნდა იყოს: მის წინ სა-ოცრად ღამაზი გოგონა იღვა ან: მის წინ იღვა საოცრად ღამაზი გოგო-ნა).

2. წინადადების ორბზროვნად აგება.

ნინო ნუნუს კარგად უზრდის ქეთოს (აქ არ ჩანს: ნუნუს ზრდის ქე-თოსთვის თუ ქეთოს ზრდის ნუნუსთვის).

დავითი და ნიკო ერთად ცხოვრობდნენ. ორივე ნიღვირი იყო. ის უწივერსიტეტში წარჩინებულ სტუდენტად ითვლებოდა (არ ჩანს - ეინ აზრის ის: დავითი თუ ნიკო).

ორბზროვნაა წინადადება აგრეთვე, როცა ზმნის საწყისთან ჰგავაქვს გენეტიური სახელი და არ ჩანს ეს სახელი მოქმედების სუბი-ექტია (ე.ი. სუბიექტისებრი დამატება) თუ მოქმედების ობიექტი (ე.ი. იმპიექტისებრი დამატება), მაგალითად: ჯის ქებაში გული გაუხარა; ამხა-ნაგის დანძვამ ალაშუთა. (ამ წინადადებაებში ძნელი გასაგებია: და აქებდა თუ დას აქებდნენ; ამხანაგი იღანძვებოდა თუ ამხანაგს დან-ძვავდნენ).

3. წინადადების უაზროდ აგება:

ვაჟას ნაწარმოებს ეკუთვნის „ბაბტრონი“ (უნდა იყოს: ვაჟას კიდამს ეკუთვნის „ბაბტრონი“ ან: ვაჟას ნაწარმოებია „ბაბტრონი“).

ვაჟას ეს პოემა დიდმნიშვნელოვანი ნაწარმოებია. იგი დაუვიწყა-რი მგოსანია (ვაშაფის, რომ პოემა არის დაუვიწყარი მგოსანი.

უნდა იყოს: ვაქას ეს პოემა დიდმნიშვნელოვანი ნაწარმოებია; ვაქა დაუფიქვარი მგოსანია).

4. აზრის გაზვიადებულად გამოხატვა:

მასში გადაჭარბებული რაოდენობით არის მოცემული რიცხობრივი მარევენებლები (უმჯობესი იყო ასე: მასში რიცხვი გაზვიადებულად არის ნაჩვენები).

ისინი ამაზე სათანადო ზრუნვას არ იჩენენ (უფრო ბუნებრივი იქნება ასე ეთქვათ: ისინი ამაზე სათანადოდ არ ზრუნავენ).

ჩვენს ქარხანაში ადგილი აქვს საწვადეი მასალის გადახარჯვის ხშირ შემთხვევებს (უნდა იყოს: ჩვენს ქარხანაში ხშირად ხდება საწვადეი მასალის გადახარჯვა).

ბუნებრივი ქართული თქმების შეცვლა სხვა ენიდან სიტყვის ან ფრაზის სიტყვა-სიტყვითი თარგმანით შექმნილი გამოთქმებით ანუ კალკებით, მაგალითად, ის კაცი იყო ძველ კალშებში (ეს არის ბუნებრივი რუსული გამოთქმა - ТОТ ЧЕЛОВЕК ДАЖ В СТАРЫХ ГЛАГОЛАХ. ბუნებრივი ქართულით იქნება - მას ეცვა ძველი კალშები) და სხვ.

§ 64. ქართული ბუნებრივი თქმების დაცვის შესახებ

ქართულ ენაში წინადადების ჩონჩხი არის ზმნა. იგი ფორმებით მდიდარია და მისი საშუალებით აზრი ყოველთვის ზუსტად, სხარტად და ნათლად გადმოიქვამა. ფრაზის ლაკონიურობას ქართული ალწევს განსაკუთრებით ზმნით. ჩვენი ენის ამ თვისებას თავის დროზე აღნიშნავდა დიდი ილიაც, რომელიც წერდა: „... მრავალფეროზი ზმნების ფორმებისა შესაძლოაა ჰხდის მოქმედებასა და მდგომარეობას საგნისას ბევრგვარი გარემოება გამოითქვას სხვა სიტყვების დაუხმარებლად. არ ვიცით, სხვა რას იტყვის და ჩვენ კი გვჯერა, რომ მრავალფერად მიმოხვრად და, მაშასადამე, მრავალ შემთხვევაში გამოყენება იმ სიტყვისა, რომელიც ს უ ლ ი და გ უ ლ ი ა მ ი ტ ყ ე მ ე ბ ი ს ა (ხაზი ჩვენია - ნ.ბ.), სიმდიდრეს ენისას უნდა მოასწავებდეს. ზმნების ფორმების სიუხვით ბევრი სხვა ენა წინ ვერ წაუბა ჩვენს ენას. თუ, კარიერისა და პუმიბოლტისა არ იყოს, მტყველები და ღონე და ძლიერება ზმნა არის, მათ, ქართული ენა ზედგამოჭრილი ყოფილა ამ ნათქვამზედ, იმიტომ რომ ქართველი უფრო ზმნებით დაბარაკობს, ზმნებით პიტყველობს, ვიდრე სხვა სიტყვის ნაწილებით. მაგალითად მოვიყვანო რუსთაველს, რომლის ფრაზეოლოგია გასაოცარს სიუხვს

ზმნებისას წარმოგიდგენს¹.

თუ შევადარებთ ამ მხრივ ჩვენს ენას რუსულს, ენახავთ, რომ, მაგალითად, წინადადებები: ДОУМЪ МЫТ; СНОТ МЫТ - ქართულში მხოლოდ ზმნით გადმოიციემა: წვიმს, თოვს. ამიტომ ფრაზები: წვიმა მოდის, თოვლი მოდის - ვერ ჩაითვლება გამართული ქართულის ნიშნულებად.

ქართულში ფრაზის ლაკონიურობასა და მოქნილობას ხელს უწყობს ზმნის მრავალპირიანობა.

ზმნა აქ განსხვავებული ფორმებით გამოხატავს როგორც პირის რამდობას, ისე როგორობასა და რაოდენობას, ამიტომ აზრის გადმოსაცემად არ საშუაროებს ნაცვალსახელებს. მაგალითად, ზმნებში წ ა - ვ ე დ ი, ზ ა ა კ ე თ ე, მ თ ი ტ ა ნ ა ნათლად ჩანს, რომელ პირზეა საუბარი, მაშინ როდესაც რუსულ ПОШЛ, СДЕЛАЛ, ПРИНЕС ზმნებიდან, თუ ნაცვალსახელები არ ვიხმარებთ, ვერ გავიგებთ, თუ ვინ წავიდა, ვინ გააკეთა და ვინ მოიტანა იგივე ითქმის მრავლობითი რუხების შესახებაც: (მდრ.: МЫ ПОШЛИ, ВЫ ОДЕЛАЛИ, ОНИ ПРИНЕСЛИ წ ა ვ ე დ ი თ, ზ ა ა კ ე თ ე თ, მ თ ი ტ ა ნ ე ს)... .

ქართულში, როგორც აღნიშნულ, ისე სხვა ზმნებთანაც ნაცვალსახელების ხმარება გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი სტილისტიკურად არის აუცილებელი.

სიტყვათა ეკონომიასა და წინადადების ლაკონიურობას ფრაზაში ადწევინებს აგრეთვე ქართული ზმნის ისეთი კატეგორიების წყალობით, როგორცაა ქცევა, კონტაქტი და სხვ. მაგალითად, რუსულ ფრაზაში: ПОСТРОИЛ ДОМ - თუ ზმნასთან ნაცვალსახელები არ ვიხმარებთ, ვერ გავიგებთ, რან ააშენა სახლი: მი, შინ თუ მან და ვის აუშენა - მი, შინ თუ მას, ქართულ ზმნააშენააშენებელს კი არც ერთი ნაცვალსახელის დართვა არ სჭირდება:

აგოშენე, აგუშენე

ამიშენე, აუშენე

ამიშენა, აგოშენა, აუშენა

} სახლი

როგორც ცხედავთ, თითოეული ზმნის ამა თუ იმ ფორმაში ნათლად ჩანს, თუ რომელი პირია მოქმედი და რომელ პირს განეკუთვნება მოქმედება.

აზრის უფრო ეკონომიურად და სხარტად გადმოცემის საშუალებას იძლევა წინადადებაში ზმნის ქცევიანი ფორმების გამოყენება. მაგალითად, რუსული წინადადება - Я переписал его для себя - ქართულად გადმოიციემა ერთი სიტყვით - გადავიწერე.

¹ ილია შავციცაძე - თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, 1941.

ასევე მრავალსიტყვიანი რუსული ფრაზის შინაარსი - **ХОТЬ ДН ОН
ВЕРНУЛСЯ КО МНЕ** - ქართულად გამოიხატება კავშირებითის ფორმისანი ერთი სიტყვით - ნეტავი დამიბრუნდებოდეს; წინადადების - **заставил его нарисовать** - აზრი ქართულად გადაიოცება ზმნის შუალაბითი კონტაქტის ფორმით - დაეხატვინებ; ფრაზას - **ОН, ОКАЗЫВ-
ВЕТСЯ, НАРИСОВАЛ ЕГО** - შეესატყვისება თურმეთობის ნწყვირის ზმნა - დაუხატავს.

უმარაგებულთა, როდესაც ზეპირი ან წერილი სიტყვებების დროს ზმნის ზემოთ აღნიშნულ ფორმებს უგულვებელყოფენ და მათ ნაკვდად იყენებენ კადკებს, მაგალითად: მე გადავწერე იგი ჩემთვის. ნეტავი ის დაბრუნდებოდეს ჩემთან. მე ვაიძულებ იმას დახატოს. მან იგი თუ-რამე დახატა.

აღნიშნული სახის დარღვევები განსაკუთრებით ხშირად იჩენს თავს ცუდ თარგმანებში.

ამრიგად, ქართული ენის ერთგვარი მებრად მნიშვნელოვანი დამახასიათებელი თავისებურებაა ლაკონიურობა.

ცნობილია, რომ ენას დიდად ანაგვიანებს საკუთარი ლექსიკის უგულვებელყოფა და სხვა ენებიდან შეუფერებელი სიტყვების შემოტანა, მაგრამ ამასვე უფრო ენებს ენას, როცა ზოგი ბუნებრივ ფქმებს ანგარიშიყოფილად ცვლის სხვა ენისთვის დამახასიათებელი გამოთქმებითა და კონსტრუქციებით.

ქართული ენა იმდენად მდიდარია სიტყვითა, მარაგითა და აზრის გაღმოცემის სხვა ენობრივი საშუალებებით, რომ მასზე ყველა განვითარებული ენიდანაც თავისუფლად ითარგმნება როგორც მხატვრული, ისე სამეცნიერო და ტექნიკური ლიტერატურა. ამიტომ თარგმნის დროს სხვა ენისთვის საბუნიფიკური ფორმებისა და გამოთქმების მიხედვით ქართული ფრაზის აგება არ იქნება გაძარღვებული. უნდა ეთარგმნოს ისე, რომ არ ვაენოთ შემობღურ ენას, უნდა დაეიყუათ მისი სიწმინდე და ბუნებრიობა - ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და სტილისტიკური სპეციფიკა. სამწუხაროა, თანამედროვე ქართულში ამ ბოლო დროს მომრავლდა ისეთი გამოთქმები, რომლებიც სიტყვებით ქართულია, ბუნებრივად - უცხო.

ამის შესახებ საინტერესო წერილი გამოაქვეყნა ვახტანგ ქვიციანი, რომელიც წერს: „მთავარი ძალა იმ „ფრაზებში“ უნდა გადავიტანოთ, სადაც გაიყვანება დიდი საშიშროებაა, მაგრამ ეს საშიშროება რატომღაც თვალსაჩინოდ არა ჩანს; იმ არა-ქართლის წინააღმდეგ ვიბრძოლოთ, რომელიც ქართული საზოგადოებრივი რაუტყვით და გამოუცდელ თვალს ატყუებს. იმიტომ, რომ სწორედ ეს არის საშინო ენისათვის, საერთოდ, და განსაკუთრებით იმიტომ, რომ ამჟამად ჩვენს ენაში ყველაზე უფრო სერიოზულ-

ლია ეს საშიშროება“¹.

ბერძნულ თაგის საკმაოდ ვრცელ წერილში აღნიშნული აქვს ენის შემოწვალად შერყენის მრავალი მაგალითი.

ქართულ ენაში ამჟამად უმთავრესად შემდეგი სახის ენობრივი ღარღვევები შეინიშნება:

- 1) შეუფერებელი ზმნა=შემასმენლის გამოყენება ზრახვაში,
- 2) ზმნის აქტიური ფორმის ნაცვლად პასიურის გაბატონება, 3) ზმნის ნაცვლად აღწერიითი ფორმების (პერიფრასტული ვნებიითისა და შედგენილი შემასმენლის) ხმარება, 4) ზმნის შეუვლა სახელზმნით, 5) თანღებულიანი ფორმების მოჭარბება, 6) ზმნის ქვევისა და კონტაქტის უგულებელყოფა და სხვ.

I. შეუფერებელი ზმნა=შემასმენელი ფრაზაში

ხშირად სხვა ენიდან თარგმნისას შემასმენელს ბუნებრივ ქართულ შესატყვისს კი არ უძებნიან, არამედ პირდაპირ თარგმნიან ჯა ზრახვა ქართულისთვის მიუღებელი კალკის სახეს იღებს, მაგალითად:

1) ეანომ ცუდი ნაბიჯი გააკეთა. უნდა იყოს: ეანომ ცუდი ნაბიჯი გადადგა.

2) ლექტორმა სტუდენტისგან გამოკდა მიიღო. - ლექტორმა სტუდენტი გამოკდა.

3) მან მისაღები გამოკდა კარგად დაიჭირა. - მან მისაღები გამოკდა კარგად ჩააბარა.

4) სხვა ადგილას დასახლება მას არ აწყობდა. - სხვა ადგილას დასახლება ხელს არ აძლევდა, ან: სხვა ადგილას დასახლება მისთვის ხელსაყრელი არ იყო, ან: სხვა ადგილას დასახლება მისთვის მოუხერხებელი იყო.

5) მაქვს სურვილი გინახულოთ. - მსურს გინახულოთ.

6) რა დრო გაუშვა! - რა დრო დაკარგა!

7) უკვე დადგა ღამე, დადგა სიცივე. - უკვე დაღამდა, აცივდა.

8) მის ნათქვამს მისცა შემდეგი განმარტება... - მისი ნათქვამი შემდეგნაირად განმარტა.

9) ეკონომია გააკეთა - ეკონომია გასწია.

10) ფულადი დახმარება გაუწია. - ფულით დაუხმარა.

11) დამშვიდება დაუწყეს. - ამშვიდებდნენ.

12) ამხანაგი დიდ მუშაობას ატარებს. - ამხანაგი ბევრს მუშაობს, დიდ შრომას ეწევა.

¹ ვახტანგ ტელიძე - საშვილიშვილო საგანძური, ტურნ. „ციცქარი“, №3, 1958, გვ.114.

ამათი შესაგვისია აბიტურიენტებისა და მოსწავდელების შეტყუება-
ბაში გავრცელებული შემდეგი წინადადებები:

ი. ჭავჭავაძემ „კაკო ყაჩაღში“ მოხვეა ბატონყმობის სისასტიკე.
უნდა იყოს: ი. ჭავჭავაძემ „კაკო ყაჩაღში“ ასახა ბატონყმობის
სისასტიკე. ან: ... აღწერა ბატონყმობის სისასტიკე.

ა. ყაზბეგი ეღვჯუას და სიმონ ჩოფიკაძეების სახით გვაძღვეს
სამშობლოსთვის თავგანწირულ ადამიანებს. უნდა იყოს: ა. ყაზბეგი
ეღვჯუას და სიმონ ჩოფიკაძეების სახით ასახავს (ან გვიხატავს)
სამშობლოსთვის თავგანწირულ ადამიანებს.

2. ზმნის აბტიური ლორმის შეყვლა პასიურით

ქართული ძირითადად აბტიური კონსტრუქციის ენაა: წინადადება-
ში მოქმედებითი გვარის ზმნაშემასმენლები უფრო ხშირად იხმარება,
ციფრე ენებითისა. ეს უკანასკნელი მოქმედებითთან შედარებით უფრო
თვის ერთი პირით წაყდებს გამოხატავს და, როგორც არნოდო ჩიქობავა
აღნიშნავს, „ეს ერთი პირი, რომელიც გვაყდება, მოქმედებითი გვა-
რის სუბიექტისაა“:

დავითი ეზაენის წერილს - წერილი ეზაენება (დავითს მიერ)...

დავითი ეზაენის ძმას წერილს - წერილი ეზაენება ძმას (და-
ვითს მიერ).

„დავითს მიერ“ ხელოვნურად ისმის; ენებითი აუცილებლად არ
მოითხოვს ამ რეალური სუბიექტის დასმას (რომც დაესვათ, პირს ზმნა-
ში არ ვაბარებს).

ამიტომაც შესაძლებელი ენებითის შინაარსი ვადმოვცეთ მრავლობი-
თით, რომელსაც ვანუსაზღვრელი სუბიექტი აქვს; იხატება ხატავენ
იხვენება - თესავენ; იზრდება - ზრდიან, ეყოფება - აყეთებენ, შენ-
დება - აშენებენ“¹.

ამდენად ქართულისათვის ვარკვეულ შემთხვევებში აბტიური ზმნა
შემასმენელი უფრო ბუნებრივი ჩანს; განსაკუთრებით კი მაშინ, რა-
დესაც აზრის სიტყვისათვის აუცილებელია წინადადებაში სამოქმედო
საგნის ჩვენება.

ზ. ქუმბურძემ და თ. კობახიძემ ამის შესახებ სამართლიანად წე-
რენ:

„ზმნის როგორც აბტიური, ისე პასიური ჟღერს (მოქმედებითი და
ენებითი გვარი) ქართულში მკაფიოდაა გამოხატული, მაგრამ ვარკვეულ
შემთხვევებში მაინც უძველესად იკრძობა აბტიურ ლორმით მტერი ბუნე-
ბრიობა. თვალსაჩინოა ანდაზების ენას. რა თქმა უნდა, ენებითი

¹ არს. ჩიქობავა-ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული
ენის განსარტებითი ლექსიკონი, ტ. I, 1950, გვ. 060.

გვარის ფორმები აქ უგულვებელყოფილი არაა, მაგრამ აშკარა უპირატესობა მაინც მოქმედებითი გვარის მხარეზეა¹.

3. ზმნა შემასმენლის ნაყვლად შემასმენლის აღწერითი ფორმის ხმარება

შემასმენლის აღწერითი ფორმა ორგვარია: ბერიღრასტული ენებითი და შეღვენილი შემასმენელი. ამათგან სტილისტიკური შეუსაბამოზანი ძირითადად დასტურდება ბერიღრასტული ენებითის ხმარებისას. სახელობრ, ამ ბოლო დროს ქართულში შეინიშნება აღწერითი ენებითებით გატაცება და ამ ფორმებს ცხველებით იქაც, სადაც მათი შინაარსი უკეთ გამოიხატება ზმნააშემასმენლებით.

ასეთი ფორმებია:

- 1) გამოუკა კარგად იქნა ჩატარებული.
ბავშვი სოფელში იქნა აღზარდილი.
საქმე მაღე იქნა გაკეთებული.
იქ ბაღი იქნა გაშენებული.
ექიმი სყანელში იქნა გაიზაგნილი.
- 2) ის მოკლულ იქნა ბრძოლის ველზე.
დ. ყიფიანი გადასახლებულ იქნა სტაგროპოლში.
ავადმყოფი იმ ჯღესვე გაყვანილ იქნა ჯალაქიდან.
ნიკო პეყვანილ იქნა სკოლააონტერნატში.
წერილი მიღებულ იქნა დროზე.

ეს ფრაზები ქართლისთვის არ არის ბუნებრივი.

შემასმენლის ამ აღწერითი ფორმებს ქართულში შესატყვისი ბუნებრივი ფორმები აქვს. ესენია ა ქ ტ ი უ რ ი და მ ა ს ი - უ რ ი ზმნა-შემასმენლები. ზოგჯერ ორივე ერთნაირად ცდის აღწერითი ფორმას, ზოგჯერ კი - მხოლოდ აქტიური, მაგალითად:

- | | |
|----------------------------|----------------------------|
| 1) გამოუკა კარგად ჩატარეს. | ან გამოუკა კარგად ჩატარდა. |
| ბავშვი სოფელში აღზარდეს. | ბავშვი სოფელში აღზარდა. |
| საქმე მაღე გააკეთეს. | საქმე მაღე გააკეთდა. |
| იქ ბაღი გააშენეს. | იქ ბაღი გააშენდა. |
| ექიმი სყანელში გაიზაგნეს. | ექიმი სყანელში გაიზაგნა. |

ე.ი. პირველ შემთხვევაში აღწერითი ფორმების ნაყვლად ერთნაირად შეიძლება გამოვიყენოთ როგორც მოქმედებითი, ისე ენებითი გვარის ზმნები. მეორე შემთხვევაში კი აღწერითი ენებითის შეცდვის მხოლოდ

1 ზურაბ კეძაბურიძე - სალიტერატურო ენა და მწერლობა, თბ., 1962, გვ. 45.

მოქმედებითი გვარის ზმნა:

2) ის მოკლეს ბრძოლის ველზე.

დღიობრი ყიფიანი გადაასახლეს სტავროპოლში.

ავადმყოფი იმ დღესვე გაიყვანეს ქალაქიდან.

ნიკო შეიყვანეს სკოლა-ინტერნატში.

წერილი მიიღეს დროზე.

ზემოთ თქმული ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს აღწერილი ვნებითი სრულად ზედმეტი იყოს ქართლისთვის. გარკვეულ შემთხვევებში იგი საჭიროა. როგორც ა. შანიძე აღნიშნავს: „ზოგიერთ ზმნას არ უხერხდება ვნებითის ფორმის წარმოება. ამიტომ მათ მაგივრებას ეწევა აღწერილობითი, ანუ პერიფრაზული ფორმები, რომლებიც ასეა ნაწარმოები: საუღლებელი ზმნა ვნ. წარსულდროიანი მიმღობის სახით არის წარმოდგენილი, ხოლო მწკრივის წარმოება მეშველ ზმნას აქვს ლაკონსებული. მეშველად გამოყენებულია „იქნება“, „იქნა“. ამ მოვლენას სრულსახიან ზმნებში აქვს ადგილი, მაშასადამე, აღწერილობითი ვნებითი არ შეიძლება აწმყოს წრეში შეგვხვდეს, რომელიც უსრულსახიანი ზმნის კუთვნილებათა. „გაადეს კარი“ - ამისი ვნებითია „გაიღო კარი“, მაგრამ „გაიღეს თანხა“ - ამისი ვნებითია „გაღებულ იქნა თანხა“; „გაიღეს ცალი“ - ამისი ვნებითია „გაღებულ იქნა ცალი“¹.

მაშასადამე, გარკვეულ შემთხვევებში აღწერილობითი ფორმას გვერდს ვერ აცუდით. ასეთია მაგალითად:

ქალაქი აღებულ იქნა დღით.

ჯარი გადაყვანილ იქნა სხვა სოფელში.

ტყიდან ხეები მოკლე ხანში იქნა გატანილი.

იმ ხანებში დიდი ქონება იქნა შექენილი.

ზომები დროზე იქნა მიღებული.

როდესაც აღწერილობითი ვნებითის შეცვლა ხერხდება საკუთრივ ვნებითი გვარის ფორმით, მაშინ, რასაკვირველია, სტილისტიკურად უპირატესობა ორგანულ წარმოებას უნდა მივაკუთვნოთ. მაგალითად: უმჯობესია ციხმართი: გაიგზავნა, გაიგზავნება, გაიგზავნოს; დაიწერა, დაიწერება, დაიწეროს; დაღაჯდა, დაღაჯდება, დაღაჯდეს; აშენდა, აშენდება, აშენდეს (და არა: გაგზავნილ იქნა, გაგზავნილ იქნება, გაგზავნილ იქნეს; დაღაჯებულ იქნა, დაღაჯებულ იქნება, დაღაჯებულ იქნეს. ან შებრუნებული წყობით: იქნა გაგზავნილი, იქნება გაგზავნილი, იქნეს გაგზავნილი). მაგ., შდრ.: ის ვუშინ გაგზავნილ იქნა თბილისში და ის ვუშინ თბილისში გაიგზავნა...

შედგენილი შემასმენელი უფრო ხშირად იხმარება წინადადებაში,

ვიდრე პერიფრასტული ვნებითი, მაგრამ სტილისტიკური ღარღვევები შედგენილი შემასმენლისა და ზმნა შემასმენლის მონაცვლეობის მხრივ ვატილებით იშვიათია და ძირითადად ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი მიმდებარა. მაგალითად, სტილისტიკურად ზმნას უნდა მიეცეთ უპირატესობა ისეთ სინონიმურ ფრაზებში, როგორცაა:

ზადლი მაშინ აივანზე ი ყო და მ დ გ ა რ ი და - ზადლი მაშინ აივანზე ი დ გ ა. დაჭრილი ეღვპუა ტახტზე ი ყო და - წო ლ ი ლ ი და - დაჭრილი ეღვპუა ტახტზე ი წ ვ ა. შე მ ა - ქ ვ ს მისი ქონება რ ა ბ ა რ ე ბ უ ლ ი და - მისი ქონება შე მ ა ბ ა რ ი ა.

აღნიშნულ შემთხვევებში ზმნა=შემასმენელი უფრო ბუნებრივი ჩანს, ვიდრე შედგენილი შემასმენელი, მაგრამ, როგორც აღინიშნა, ამ რიგის შეუსაბამობანი ენაში იშვიათად გვხვდება.

4. ზმნის შეველა სახელზმნით

სტილისტიკურად გაუმართლებელია, როცა წინადადებაში ბუნებრივი, პირიანი ზმნის ნაცვლად სახელზმნას ეხმარობთ. ჩვეულებრივ, ეს სხვა ენის გავლენით ხდება და თანამედროვე ქართულითვის შეუწერებელია.

თქმვა ასეთი კონსტრუქცია ნაწილობრივ ძველ ქართულსაც ახასიათებდა, მაგალითად, ქართულში არსებული მასდარჩინი კონსტრუქციის წინადადებების შესახებ ა. ჩიქობავა წერს:

„ძ ვ ე ლ ქართულში მასდარს შეეძლო მოთხოვა (ეშარა) სახელი იმავთ ბრუნვაში, რასაც ზ მ ნ ა მოითხოვდა (შარაავდა); ქ მ ნ ა ლ კ ე თ ი ლ ი (კეთილსა). (ნათეს.: ქ მ ნ ა ლ კ ე თ ი ლ ი ს ა - აგრეთვე გვხვდება). ახალ ქართულში მასდარი მოითხოვს (შარათეს) სახელს ნათესაობის ბრუნვაში: ქმნა სიკეთისა... „იკისრა ვადაზე ადრე შე ე ს რ უ ლ ე ბ ა შეუბრებით გათყარისწინებული ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა“.

ასეთი მასდარჩინი კონსტრუქცია მძიმეა და სტილისტიკურად მოუქნელი. სადაც კი შეიძლება, უპირატესობა უნდა მიეცეს ზმნის ხმარებას მასდარის ნაცვლად („იკისრა ვადაზე ადრე შე ე ა ს რ უ ლ ი ს ა შეუბრებით გათყარისწინებული ვადლებულია“) I.

საკურადლებო მოსაზრება აქვთ გამოთქმული ამ საკითხის შესახებ ზ. ჭუმბურიძესა და თ. კობლაძეს. ისინი აღნიშნავენ:

I ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული განმარტებითი დიქსიონარი, I, 1950, გვ. 076.

„ქართული სახელმწიფო თავისი ბუნების მიხედვით სრულიადაც ვერ იტევს ზმნის მრავალფეროვან და მდიდარ ფორმებს.

თუ ზმნის პირიან ფორმას სახელმწიფო შეეცვლით, ამით ერთბაშად ეკარგაეთ წარმოადგენას მოქმედების ზოგიერთ ნიუანსზე, რაც ზმნაში ჩანდა, თანაც ეამძივებთ ფრაზას, რადგან სახელმწიფო მოითხოვს მრავალ წინდებულსა და რამდენიმე ნათესაობითს ზედინედ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ ენებს (მაგ., რუსულს) მეტი სახელმწიფო ფორმები გააჩნია, ვიდრე ქართულს. ბუნებრივია, რომ ამ ენებში სახელმწიფოს მეტი გამოყენება აქვს. ქართულში, პირიქით, ზმნის პირიან ფორმას უნდა მივუყვებოთ უპირატესობა¹.

ზმნის პირიანი ფორმის უპირატესობა ნათლად ჩანს შემდეგი წინადადებების შედარებიდან:

1) ის თავგამოდებით ცდილობდა საქმის კარგად წაყვანას და - ის თავგამოდებით ცდილობდა, საქმე კარგად წაეყვანა.

2) მას უნდოდა იმის თქმა, რომ თანხმობას ვერ გამოცხადებდა და - მას უნდოდა ეთქვა, რომ ვერ დაეთანხმებოდა.

3) ეარსქენმა საჭიროდ არც კი დაინახა ამ საკითხზე შუშანიკ-თან მოლაპარაკება. და - ეარსქენმა საჭიროდ არც კი დაინახა, ამ საკითხზე ბუშანიკს მოლაპარაკებოდა.

4) მამამ გადაწყვიტა აღექსანდრეს პეტერბურგში სწავლის გასაგრძელებლად გაგზავნა. და - მამამ გადაწყვიტა, აღექსანდრე პეტერბურგში გაეგზავნა სწავლის გასაგრძელებლად...

5) განკარგულებების გამცემი დირექტორი თვალს არ აშორებდა მომუშავე თანამშრომლებს. და - დირექტორი, რომელიც განკარგულებებს იძლეოდა, თვალს არ აშორებდა მომუშავე თანამშრომლებს.

6) აბო დაუახლოვდა ხალიფა მანსურის მიერ ბაღდადში დაბარებული ქართლის ერისთავს - ნერსეს. და - აბო დაუახლოვდა ქართლის ერისთავს - ნერსეს, რომელიც ხალიფა მანსურმა დაიბარა ბაღდადში...

სტილისტიკურად ზმნას აქვს აგრეთვე უპირატესობა მასდარულ ზმნურ ფორმებთან შედარებით ისეთ წინადადებებში, როგორცაა:

1) ის თავდადებულ ბრძოლას ეწეოდა მრავალელების წინააღმდეგ და - ის თავდადებით ებრძოდა მრავალელებს.

2) შვილი ყოველთვის დახმარებას უწევდა მშობლებს. და - შვილი ყოველთვის ეხმარებოდა მშობლებს.

3) მან ეზოების გაზომვა უკვე ჩაატარა. და - მან ეზოები უკვე გაზომა და სხვ.

1 ზურაბ მუმბურიძე - სალიტერატურო ენა და მწერლობა, თბ., 1962, გვ.47.

ამ რიგის წინადადებაში მასდარულაზმწინა ფორმას მაშინ ეძღვეო უპირატესობა, როდესაც ეს ფორმა ზოგ შემთხვევაში იხმარება ვანს-ხვადებულ სტილისტიკური შეფერვალების გამოსახატავად.

5. ანდებულნიანი ფორმების ჭარბად ხმარების შესახებ

ანდებული მეტად მნიშვნელოვანი მტყვედების ნაწილია და ენაში იგი საკმაოდ ხშირად გამოიყენება, მაგრამ ზოგჯერ ცხვედებით მისი უმარაბულად ხმარების შემთხვევებსაც, რაც ფრაზას უკარგავეს გამო-მსახველობასა და ბუნებრიობას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის შემთხვევები, როცა ანდებულიან სახედს ზედმეტად ან უადგილად ხმარობენ წინადადებაში შემასმენლო ნავარაუდები პირის ნაცვლად და უგადებულყოფენ შესატყვისი მნიშვნელობის ზმნას, რომელსაც ზუსტად და ბუნებრივად შეუძლია გამოხატოს აზრი თავისი მრავალი მორფოლოგიური კატეგორიის მიშვეობით.

ამ ტიპის ენობრივი დარღვევები განსაკუთრებით ხშირია უხეირო თარგმანებში, სადაც თარგმნისას, როგორც ჩანს, არ ეწეოდა ანგარიში მშობლიური ენის ბუნებას და შედეგად ვიღებდით ისეთ მიუღებელ და უვარგის კადვებს, როგორც ასე ვაბრტყედა ამ ბოლო დროს ჩვენს ენაში.

როგორც ზ. ვუმბურიძე და თ. კობლატაძე აღნიშნავენ, ამას უკრ კიდევ ილია ჭავჭავაძემე მიატკია ყურადღება და, მაგალითად, „ახალი ქართლის“ ერთი ფრაზა: „მერმე დარწმუნებული კი ბრძანდებით თქვენი ნაამბობის სინამდვილეში?“ ასე ვაასწორა: „მერე დარწმუნებული ბრძანდებით რომ, რასაც ამბობთ, მართალია?“¹.

ამის მსგავსია იქვე მოყვანილი მეტად ვაბრტყელებული ვაშთქმა: „მე დრმად ვიყავი დარწმუნებული ამაში“, რომელიც არის სიტყვათსიტყვითი თარგმანი რუსული ბუნებრივი ფრაზისა - Я уверен что так и будет, ხოლო ქართულად იგი ასე უნდა ვადმოვიცეს: მე ეს დრმად მწამდა.

ამ თვალსაზრისით სტილისტიკურად ვაუმართავია შემდეგი წინადადებები:

1) დედამინვა მუდმივ მოძრაობაში იმყოფება. უნდა იყოს: დედა-მინვა მუდმივად მოძრაობს.

2) ყველაფერი წესრიგში მიიყვანა. უნდა იყოს: ყველაფერი მოაწესრიგა.

3) რაშია საქმე? უნდა იყოს: რა მოხდა? ან - რა ამბავია?

¹ ზურაბ ვუმბურიძე - სალიტერატურო ენა და მწერლობა, თბ.,

4) საქმე მდგომარეობს იმაში, რამ... უნდა იყოს: საქმე იხაა, რამ...

5) ის დიდ გაქირვებაში იყო ჩავარდნილი, მაგრამ იმედს არ კარგავდა. უნდა იყოს: მას დიდად უჭირდა, მაგრამ...

6) გააკვირვებას იწვევდა ჩემში, რამ არ მიჯერებდა. უნდა იყოს: მიკვირდა, რამ...

7) სტუმარი სამხედრო ტანსაცმელში იყო. უნდა იყოს: სტუმარს სამხედრო ტანსაცმელი ოცია.

8) მივიღე საგზური წადერში. უნდა იყოს: მივიღე წადერის საგზური.

9) ექიმმა ვერ იცნო აგურისფერ კაბაში გამოწყობილი ქალი. უნდა იყოს: ექიმმა ვერ იცნო აგურისფერკაბიანი ქალი.

10) გეგმა შემუშავებული იყო და გამოგზავნილი სისრულეში მოსაყვანად. უნდა იყოს: გეგმა შემუშავებული იყო და გამოგზავნილი შესასრულებლად და სხვ.

ზოლო დროს თანამედროვე ქართულში ძალიან გახშირდა „შესახებ“ თანადებულის შეფურცბელი ხმარებაც.

ზ. ჭუმბურიძე და თ. კობლატაძე აღნიშნავენ: „სამწუხაროდ, ეს „შესახებ“ დიდი მარჯვე რამ გამოდგა, ჩვენს მერყეობდასა და მწიკნობრობაში ფეხი იმდენად მოიკიდა, რომ ზოგი ჩვენს შენიშვნას გაიკვირებს კიდევ, ფრაზის შემოხსენებულ უსწორო წყობას დიდ ცუდვად არ მიიჩნევს“¹. იქვე აერთობი ასახელებენ შემდეგ მაგალითებს:

„ჩვენ მოვისმინეთ ანგარიში გავლილი მუშაობის შესახებ“.

უნდა იყოს: „მოვისმინეთ განვლილი მუშაობის ანგარიში“. „იგი ადგინს სახელმძღვანელოს სკოლებისთვის საქართველოს ისტორიის შესახებ“.

უნდა იყოს: „იგი წერს სკოლებისთვის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს“.

„გამოიტანეს დადგენილება საქმის არ აღძვრის შესახებ“.

უნდა იყოს: „გამოიტანეს დადგენილება, საქმეს არ აღძვრათ“.

„ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ურთიერთ გაცნობილნი ვართ“.

უნდა იყოს: „ვიცნობთ ერთმანეთის ჯანმრთელობის მდგომარეობას“².

1 ზ. ჭუმბურიძე - დასახელებული შრომა, გვ. 60.

2 იქვე.

ეს მაგალითები იმას ადასტურებენ, რომ წინადადებაში ორ და სამპირიან ზმნასშეშვასმენლებს ხელოენურად არ უნდა დავაკლოთ ობიექტური პირი, ანუ უნდა შევიცვალოთ ეს პირი თანდებულისანი უპირალ დამატებით. ამიტომ ადენიშნულ წერილში ავტორები სამართლიანად ასკენიან:

„როცა ზმნა ორ-ან სამპირიანია, მას ობიექტებიც უნდა ახლდეს, ე.ი. წინადადებაში ქვემდებარის გარდა დამატებაც უნდა იყოს. ცხადა, ზმნასთან დაკავშირებული ყველა სახელი შეიძლება არ იყოს წინადადებაში, შეიძლება ისინი იგულისხმებოდეს, მაგრამ არ შეიძლება მათი სრული გაქრობა, არ შეიძლება მათი ისე უკვალოდ აღგვია, რომ ისინი არც კი იგულისხმებოდეს, ე.ი. დაუშვებელია ორ-ან სამპირიან ზმნას ხელოვნურად დავაკლოთ პირი და ერთპირიან ზმნას გავეუთანასწოროთ. მაგალითად მოვიყვანოთ ზმნა „აუწყებს“. იგი სამპირიანია: **გ ა ზ ე თ ი ხ ა ლ ხ ს ახალ ა მ ბ ა ე ს აუწყებს.** თუ ჩვენ არ გვინდა ყველა ეს პირი გამოჩნდეს ზმნაში, მაშინ ვიტყვი: **გ ა ზ ე თ ი ახალ ამბავს იუწყება.** ძალიან ცუდი იქნება, თუ ზმნას სამპირიანადვე დავტოვებთ და ერთ დამატებას კი უკვალოდ გავაქრობოთ. არ შეიძლება ასე ავადგოთ ფრაზა: **გ ა ზ ე თ ი ახალი ამბის შესახებ აუწყებს, ანდა კიდევ უფრო უხეირო: გ ა ზ ე თ ი ახალ ამბებზე აუწყებს.**

„შესახებ“ თანდებულის უმართლებულად ხმარება ხშირად იწვევს ნათესაობითი ბრუნვის ფორმის რამდენიმეჯერ განმეორებას, რაც ძალზე ამძიმებს ფრაზას, მაგალითად:

ნოკო მოკლედ აღწერდა ამხანაგის მუშაობის წარმატების შესახებ. უნდა იყოს: ნოკო მოკლედ აღწერდა ამხანაგის წარმატებას მუშაობაში. (რას აღწერდა? და არა - აღწერდა რის შესახებ?).

მათ განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთობის შესახებ. უნდა იყოს: მათ განსაკუთრებითა გაამახვილეს ყურადღება თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთობაზე. (რაზე გაამახვილეს ყურადღება? და არა რის შესახებ?).

თანამედროვე ტარულში დასტურდება თანდებულისა სახელთა უდაგლო ან ზეუმეტად ხმარების სხვა შემთხვევებიც. მაგალითად,

- 1) ნოკო უფროსი ძმის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. უნდა იყოს: ნოკო უფროსი ძმის გავლენას განიცდიდა.
- 2) სოფელი ელექტროსადგურის გარეშე დარჩა. უნდა იყოს: სოფელი უელექტროსადგურად დარჩა.
- 3) ნოდარი სოფელში ჩამოვიდა. მშობლებისადმი დახმარების გავლენის მიზნით. უნდა იყოს: ნოდარი სოფელში ჩამოვიდა მშობლების დასასმარებლად.

4) ის მებოზელზე ძლიერ იყო შეყვარებული. უნდა იყოს: მას მებოზელი ძლიერ უყვარდა.

5) სახეზე არის ოკი კაცი: უნდა იყოს: აქ არის ოცი კაცი ან: აქ ოკი კაცია.

6) ბავშვი მასწავლებელთან შიშობარეს. უნდა იყოს: ბავშვი მასწავლებელს შიშობარეს.

7) დედასთან დიდხანს ისაუბრა. უმჯობესია: დედას დიდხანს ესაუბრა...

სტილისტიკურად გაუმართავია აგრეთვე წინადადებები, სადაც ქართულითვის ბუნებრივი სუბიექტ-ობიექტი და ზმნა შეცვლილია აღწერილი შემასმენელთან და სახელის თანდებულობანი ფორმით.

მაგალითად:

1) ცხვარი იმ დამესცე შეგმულ იქნა მგლისაგან. უნდა იყოს: ცხვარი იმ დამესცე შეგამა მგელმა.

2) წილს ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ იქნა 5 შრომა. უმჯობესია: წილს ინსტიტუტმა გამოაქვეყნა 5 შრომა.

3) იგი თარგმნილია პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომლის მიერ. უმჯობესია: იგი თარგმნა პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომელმა.

4) წერილი განკუთვნილი იყო პეტერბურგელი სტუდენტის ანდრო ლევაგასადმი... აუბობდა: წერილი ეკუთვნოდა პეტერბურგელ სტუდენტ ანდრო ლევაგას.

6. ზმნის ქვეყის ფორმის სწორად გამოყენება

ენაში ფრაზის აგების თვალსაზრისით სტილისტიკურ შეუსაბამობას იწვევს აგრეთვე კატეგორიის უკუღებულყოფაც. ასეთია, მაგალითად ქცევა. ქცევა ზმნის მებრად თვისებური და მნიშვნელოვანი კატეგორიაა. იგი ზმნაში სათანადო ფორმით გამოხატავს, თუ ვისზე ან ვისთვის მოქმედებს სუბიექტი ანუ მოუბარი, ამიტომ ქცევა ქართული ბუნებრივი ფრაზის აგებისა და აზრის ზუსტად გადმოცემის ერთერთი ეფექტური ენობრივი საშუალებაა. ამას ნათლად ამტკიცებს შემდეგი წინადადების შედარება:

ზურაბმა თვისი ცხოვრება კარგად მოაწყო. და - ზურაბმა ცხოვრება კარგად მოაწყო.

სოფელში ჩემთვის სახლი ავაშენე. და - სოფელში სახლი ავიშენე. უმეტროსმა შეიღმა ჩემი ოჯახი გაახარა. და - უმეტროსმა შეიღმა ოჯახი გამახარა.

შედარებიდან ჩანს, რომ, როცა წინადადებაში საჭიროა იმის მითება - სუბიექტმა თვისთვის რაიღინა მოქმედება თუ სხვისთვის,

აზრი ზუსტად და მოკლედ უფრო ზმნის სათავესა და სასხვისა ქვევითა ფორმებით გადმოიციემა, ეიარე საბარვისათი.

საბარვისა ფორმით რომ სათავესა ან სასხვისა ქვევის შინააქსი გამოიხატოს, საჭირო ხდება მასთან დამატებით ნაცვალსახელებისა და თანდებულების გამოყენება ისე, როგორც ეს სხვა ენებშია, რაც ქართლისთვის არაბუნებრივია.

თავისთავად საბარვისა ქვევის ფორმა იხმარება ისეთი მოქმედების აღსანიშნავად, რომელიც არავისთვის არ არის განკუთვნილი. ამდენად, აზრის სიკუთხლისთვის და ქართული ბუნებრივი გამოთქმების შესანარჩუნებლად აუცილებელია ქვევის ფორმების სწორად გამოყენება წინადადებაში. ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს როგორც ზეპირი, ისე წერილი მტყველების დროს.

7. კონტაქტის ფორმის მართებულად ხმარება

ქვევის მსგავსად, როგორც ცნობილია, კონტაქტით ქართული ზმნის სპეციფიკური ფორმაა. იგი გამოხატავს სუბიექტის უშუალო თუ შუალაზით მოქმედებას. რაცა ზმნა მიგვიითიებს, რომ სუბიექტი უშუალოდ, სხვა პირის დაუხმარებლად მოქმედებს, იგი უშუალო კონტაქტისაა, ხოლო, როდესაც ზმნა აღნიშნავს, რომ სუბიექტი სხვა პირის საშუალებით ჩადის მოქმედებას, მაშინ - შუალაზით კონტაქტისა (მაგალითად, შდრ.: აკეთებს და აკეთებინებს, წვავს და აწვევინებს).

ხშირ შემთხვევაში ამ უკანასკნელის გამოყენებლობა ქართულ წინადადებას უკარგავს ბუნებრივ იერს და ამჩიმებს სიტყვათა სიმრავლათ.

შუალაზით კონტაქტი აზრის სხარტად გადმოცემის ერთერთი მნიშვნელოვანი ფორმაა. იგი ძალზე ამოკლებს ფრაზას; მრავალსიტყვიანი მარტივი ან რთული წინადადებათ გადმოსაცემი აზრს გამოხატავს მოხდენილად, მოკლედ და ზუსტად.

მაგალითად, ამ მრავალსიტყვიანი წინადადებების შინააქსი:

ნიკომ ძმას დახმარება გაუწია სახლის ყიდვაში. ან: ნიკო და-

რებმარა ძმას, რომ სახლი ეყიდა, მან დაივალა ბარჯის ხელით წაღება. ან: მან დაივალა, რომ ბარჯი ხელით წაღლა.

სტილისტიკურად უფრო ბუნებრივად გადმოგვიემენ მარტივი წინადადებები, სადაც ზმნააშემასმენელი შუალაზით კონტაქტის ფორმითაა:

ნიკომ ძმას სახლი აყიდვინა.

მან ბარჯი ხელით წააღებინა.

ზმნის შუალაზით ფორმის გამოყენებისას ერთ სტილისტიკურ

უხერხულობას ვაწყლებით: ამ შემთხვევაში ზმნაშემასმენელში ნაძლად არ ჩანს სუბიექტური (მნებელი) პირი ობიექტურ (ნების შემსრულებელ) პირს ეხმარება მოქმედების შესრულებაში თუ აცადებს (ან აიძულებს) მას მოქმედება შეასრულოს.

მაგალითად, წინადადებაში:

ვიანამ გვივის ცხენი დააჭერინა - ზმნაშემასმენელი, რომელიც შუალახითი კონტაქტისაა, სემანტიკურად ვერ განასხვავებს - ვ ა ნ კ დაეხმარა ვ ა გ ი ს ცხენის დაჭერაში თუ ვ ა ნ კ მ დაავალა ან აიძულა გ ი ვ ი, ცხენი დაეჭირა, მაგრამ ასეთი ორპროვინების თავიდან აცილება ადვილად ხერხდება კონტექსტის გათვალისწინებით.

§ 65. სტილისტიკური დარღვევის სხვა შემთხვევები

თანამედროვე ქართულში არც თუ იშვიათად გხვდებით სტილისტიკური დარღვევების სხვა შემთხვევებსაც. აღვნიშნავთ რამდენიმე მაგალითს.

თანდებულთა არასწორად გამოყენება:

შეუღოთ ამბობენ და წერენ	უნდა იყოს
1. პამილორს სამკურნალო კვებაში იყენებენ.	პამილორს სამკურნალო საკვებად იყენებენ.
2. მათ მოინლომეს, მაგრამ ჩანაღიქრი სისრულეში ვერ ნოიყვანეს.	მათ მოინლომეს, მაგრამ ჩანაღიქრი ვერ შეასრულეს.
3. ჯამბლის სამკურნალოდ ფართო ზმარებაშია ინექციები.	დამბლის სამკურნალოდ ფართოდ იხმარება ინექციები.
4. ჯამბლის მკურნალობა ძირითადადში მიზეზობრივია.	დამბლის მკურნალობა ძირითადად მიზეზობრივია.
5. მგზავრები შავ კოსტუმებსა და შავ სათვალეებში იყვენენ.	მგზავრებს შავი კოსტუმები ეყვით და შავი სათვალეები ეკეთათ.
6. ბრძანს იყვია ჯიჯიღშინა ესკადროლიანც.	ბრძანს იყვია დაგვიწინა ესკადროლიანცის.
7. ბრძანს არ შევიღენ ზღვარისში.	ბრძანს არ შევიღეს.

შედეგით ამზობენ და წერენ	უნდა იყოს
<p>8. ტროლეიბუსზე დაჯდა და წავიდა.</p> <p>9. სარწყავი სისტემა უკვე წის- რიგშია მოყვანილი.</p> <p>10. ჯერ ერთი წერილიც არ მიუღია შვილიდან.</p> <p>11. ამ ყმაწვილს ჯიბეში ორი ლაკუ- მენტი აღმოაჩნდა.</p> <p>12. იმ დღეს სატვირთო მანქანა რემონტზე იყო.</p> <p>13. უხეირო შვილმა მოხუცი დედა კურადღებობის გარეშე დატოვა.</p>	<p>ტროლეიბუსში ჩაჯდა და წავიდა.</p> <p>სარწყავი სისტემა უკვე მოწე- სრიგებულა.</p> <p>ჯერ ერთი წერილიც არ მიუღია შვილისგან.</p> <p>ამ ყმაწვილს ჯიბეში ორი ლ- კუმენტი აღმოაჩნდა.</p> <p>იმ დღეს სატვირთო მანქანა სარემონტოდ იდგა.</p> <p>უხეირო შვილმა მოხუცი დედა უკურადღებოდ დატოვა.</p>

შეუფერებელი ზმინების გამოყენება:

შედეგით ამზობენ და წერენ	უნდა იყოს
<p>1. ორივე მოდელი უპასუხებს თანა- მედროვე მოდის მოთხოვნებს.</p> <p>2. „ზამბროსტის“ მოგებაც მა- წყობს.</p> <p>3. ის გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვებაში გაანაწილეს ქა- რთული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.</p> <p>4. ეს დარგი ჯერ კიდევ განიცდის ჩამორჩენას.</p> <p>5. მან მიიღო სხეულის დაზიანება.</p> <p>6. იმ დღეს დვინო ზომავზე მტერი მიიღო და დათვრა.</p> <p>7. ასეთი მიღწევები ჩვენ არ გვაწყობს.</p> <p>8. ეს ყმაწვილი უკვე მოეწყო უმადლეს სასწავლებელში.</p>	<p>ორივე მოდელი შეუფერება თა- ნამედროვე მოდას.</p> <p>„ზამბროსტის“ მოგებაც მაკმა- ყოფილებს (ხელს მაძლევს);</p> <p>ის გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვებაში გაანაწილეს (ლა- ნიშნეს) ქართული ენის მასწავ- ლებლად.</p> <p>ეს დარგი ჯერ კიდევ ჩამორჩე- ვა.</p> <p>მას სხეული დაუზიანდა.</p> <p>იმ დღეს დვინო ზომავზე მტერი შეხვდა და დათვრა.</p> <p>ასეთი მიღწევები ჩვენ ხელს არ გვაძლევს (ხელსაყრელი არ არის).</p> <p>ეს ყმაწვილი უკვე ჩაირიყვა (შვეიდა) უმადლეს სასწავლებ- ბელში.</p>

შეცდომით ამბობენ და წერენ	უნდა იყოს
9. პირველად კონტაქტური ღინზა ჯერ კიდევ 1887 წელს შემოიღეს ხმა-რებაში.	პირველად კონტაქტური ღინზა ჯერ კიდევ 1887 წელს გამოიყენეს.
10. უინვამ დიდი ზიანი მიაყენა ციტრუსებს.	უინვამ დიდად დააზიანა ციტრუსები.
11. ბებნისის სახელმწიფო სანერგო მუღრნობაში მებოცვრობა დიდი ყურადღებით სარგებლობს.	ბებნისის სახელმწიფო სანერგო მუღრნობაში მებოცვრობას დიდი ყურადღება ექვევება.

სტილისტიკურად გაუმართავი და უფარგისია აგრეთვე შემდეგი წინადადებები:

1. რამდენიმე ხნის წინათ რესტორან „ეარძიაში“ იგი შეესწრო ბორცოქმედების - შენგელიას, არგვლაძის და სხვათა მიერ მოკლად-ქე ოთარაშვილის მოკვლის განზრახვას, რაც გამოიხატა მუცლისა და გულის არეში დანის ჩაარტყმით. იმ მომენტში შემთხვევის აღვიღებ კუბლაშვილმაც მიიღო სხეულის დაზიანება (ვახ. „კომ.“, II.VIII. 1971, გვ.4).

2. მწვავე რემატული ანთების შემდეგ სრულებითაც არ არის სავალდებულო გულის მანკის განვითარება (ვახ. „სოფ.ცხ.“, 17.VIII. 1972, გვ.4).

აღნიშნული ფრაზები ასე უნდა გასწორდეს:

1. რამდენიმე ხნის წინათ რესტორან „ეარძიაში“ იგი შეხვდა ბორცოქმედებს. - შენგელიას, არგვლაძესა და სხვებს, რომელთაც უნდა-დათ ოთარაშვილის მოკვლა და დანა ჩაარტყეს მას მუცლისა და გულის არეში. იმ მომენტში შემთხვევის აღვიღას კუბლაშვილიც. დაჭრეს (ან: კუბლაშვილსაც დაუზიანდა სხეული).

2. მწვავე რემატული ანთების შემდეგ სრულებითაც არ არის აუცილებელი გულის მანკის განვითარება.

აღნიშნული ენობრივი დაღვევები უმთავრესად გამოწვეულია წინადადებაში ზმნის უმართებულო გამოყენებით. ჩვენი ზმნის განსაკუთრებულ სიკეთეზე „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში ნათქვამია შემდეგი:

„მოინც ქ ა რ ა უ ლ ი ე ნ ი ს ბ უ რ ჯ ი ზ მ ნ ა ა და არა საბჭო: გამომსაბუღელობითი საშუალებების სიმდიდრით ზმნა ქა-რულში ბევრად წინა დგას სახელზე. ზმნის ექსპრესიული ძალა იოლია.“

წინას შეუძლია წარმოგვიდგინოს მოქმედება: როგორც პასიური პროცესი და როგორც სუბიექტის აქტიურობის გამოვლენა; ითვისება და შესავსეს; როგორც სუბიექტისთვის განკუთვნილი და როგორც საობიექტო (მასთან აქტიური, პასიური); ითვისავეს და უთვისავეს, ეთვისება; როგორც სუბიექტის ნამოქმედად და როგორც სხვის მეშვეობით შესრულებული; თვისავეს და ათვისებინებს; როგორც მდგომარეობა, სტატუსი, ურთიერთობა; თვისა (ე.ი. დათვისილია; კუთვნილების აღნიშვნა; უთვისა), და როგორც პროცესი, დინამიკა; თვისავეს, ითვისება, ითვისავეს და სხვ. I“ ასეთია ქართული ზმნის პოტენციალი.

ბოლო დროს თანამედროვე ქართულ ენაში იგრძნობა ხელეწიურად აკუმულირებული ფრაზების მოძალდება. სწორედ ამ საკითხს ეძღვნება რეცხა ჯუარაძის წიგნი, სადაც ვერცადა არის განხილული აღნიშნული მოვლენის გამოწვევი მიზეზებიც².

სიტყვათა წყობა

§ 66. სიტყვათა წყობის მნიშვნელობა წინადადებაში

სიტყვათა წყობა, ანუ რა, აქვია წევრების განლაგებას წინადადებაში. სიტყვათა წყობაზე დიდად არის დამოკიდებული აზრის ხეუსტად და გასაგებად გადმოცემა.

მარტივი წინადადების მარტებულად აგება უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა მისი წევრები სწორად დაკავშირებული ერთმანეთთან შინაარსისა და ფორმის მიხედვით, ე.ი. აზრობრივად და გრამატიკულად.

ზოგიერთი სიტყვა სხვა სიტყვას უკავშირდება მხოლოდ შინაარსის მიხედვით, ზოგი კი როგორც შინაარსის, ისე ფორმის მიხედვითაც.

სიტყვათა მხოლოდ შინაარსობრივი შეკავშირება გვაქვს, როცა შესიტყვებაში გამოყენებულია სრული მნიშვნელობის ფორმალური სიტყვა (მაგ., ზმნიზედა); ხეაღ მოვა. აქ ცხოვრობს. ასე გააკეთოს. სულ შესვა. ამიტომ უსაყვედურა.

აზრობრივი და გრამატიკული შეკავშირება გვაქვს მაშინ, როდესაც შესიტყვებაში შედის ფორმალური სიტყვები, მაგ., დედა ამბობს. მაშამ მოთხრა. ძმას უტკეამს... ამბობს ამბავს. თქვა ლექსი. კარგი საქმე გააკეთა. კითხულობს ახალ წიგნს...

11 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, 1950, პროფ. არნ. ჩიჭობავას საერთო რედაქციით, წინასიტყვაობა, გვ. 011.

22 რ. მთვარაძე - წიგნი და მკითხველი, 1971, „რა ენა წახდეს“, გვ. 161-198.

მაგრამ ზოგჯერ შინაარსისა და ფორმის მიხედვით შერჩეული სიტყვებშიც ეერ გამოხატავენ აზრს ვასაგებად, თუ წინადადებაში სათანადოდ არ არის დალაგებული და ხშირად უხეში შეყდომები სწორედ სიტყვათა რიგის დარღვევით არის გამოწვეული.

სიტყვათა მართებული წყობისას გასათვალისწინებელია: წინადადების შინაარსი და მისი აგებულება. ამასთან დიდი მნიშვნელობა აქვს დაკავშირებას, სათანადო მორფოლოგიურ საშუალებათა სწორ ხმარებას და არამთავარი წევრებისა და ვანკერძობული სიტყვების სწორად გამოყენებას.

სიტყვათა წყობის გრამატიკული და სტილისტიკური მნიშვნელობა

წინადადებაში სიტყვათა წყობას აქვს ორი ძირითადი მნიშვნელობა: გრამატიკული და სტილისტიკური.

1. სიტყვათა წყობის გრამატიკული მნიშვნელობა

სიტყვათა წყობის გრამატიკული (ანუ სინტაქსური) მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ წვერთა წყობით გამოიხატება წინადადებაში ესა თუ ის შინაარსი, ხოლო მისი შეყვლა იწვევს აზრის შეყვლას, რადგანაც იყვლება გადასმული სიტყვის სინტაქსური როლი (გადასმული სიტყვა იქვეა სხვა წვერად ან უკავშირდება სხვა წვერს), ე.ი. სიტყვების დალაგების შეყვლის შედეგად იყვლება წინადადების აზრიც.

ასეთი გრამატიკული მნიშვნელობა აქვს სიტყვათა წყობას ე.წ. ამორფულ ენებში, მაგალითად ჩინურში, ან საურთიერათ: სართების ნაკლებად მქონე ენებში, როგორცაა, მაგ., ინგლისური, ფრანგული, სადაც ბრუნვითა სიმეორის გამო წვერთა ურთიერთობა წინადადებაში უმთავრესად თანდებულებითა და სხვა დამხმარე საშუალებებით ან წყობით აღინიშნება. ასეთ შემთხვევებში წინადადებაში წვერთა სათანადოდ დალაგება არის აზრის სწორად გადაწყვეტის მნიშვნელოვანი სინტაქსური საშუალება.

რომ სიტყვათა რიგის შეყვლა იწვევს წინადადების აზრის შეყვლას - ეს, მაგალითად, ზოგ შემთხვევაში საურთიერათ: სართებითა მდიდარ რუსულ ენაშიც შეინიშნება, როცა სხვადასხვა წვერთა წინადადებაში გარეგნულად ერთნაირი ფორმით გვხვდება.

მაგალითად: *Бытие определяет сознание* ნიშნავს: მუჯომარეობა განსაზღვრავს ცნობიერებას, მაგრამ, თუ ასე ეთქვით: *Сознание определяет бытие* - ეს კი ნიშნავს: ცნობიერება განსაზღვრავს ყოფიერებას. ასეთ რუსულ წინადადებაში აზრის შეყვლა ქვემდებარისა და დამატების წყობით განისაზღვრება, ხოლო ქართულში აღნიშნული წევრები ერთმანეთისგან განსხვავდება ბრუნვის

ნიშნებით, რის გამო ამ წევრების წყობის შეცვლა ვერ იწვევს წინადადების აზრის შეცვლას, მაგალითად:

მღვთმართობა განსაზღვრავს ენობიერებას, ენობიერებას განსაზღვრავს მღვთმართობა; მღვთმართობა ენობიერებას განსაზღვრავს, ენობიერებას მღვთმართობა განსაზღვრავს და სხვ. (იველება მხოლოდ აზრობრივი ელფერი).

თქმეა როგორც აქაკი შანიძე წერს: „სახელმითისა და მოხრობითის ფორმები ძველ ქართულში საკუთარ სახელებს გარჩეული არ აქვთ. ამიტომ, როცა წინადადებაში ორი საკუთარი სახელია ნახმარი, რომელთაგანაც ერთი, თავისი ლუნქუიის მიხედვით, მოხრობითშია მოსალოდნელი და მეორე სახელმითში, მათს სინტაქსურ გითარებას რიგის მიხედვით ვარკვევთ: პირველი სუბიექტია, მეორე კი-პირდაპირი ობიექტი; მაგ. „ხოლო პეროდე მაშინ შეიპყრა იოვანე“ - აქ სუბიექტია „პეროდე“, პირდ. ობიექტია „იოვანე“ (ხოლო პეროდემა მაშინ დაიჭირა იოვანე). რომ შეგვეყვალა რიგი, მაშინ საწინააღმდეგო აზრს მივიღებდით: „ხოლო იოვანე მაშინ შეიპყრა პეროდე“ ამას ნიშნავს: ხოლო იოვანემ მაშინ დაიჭირა პეროდე“¹.

მსგავსი მაგალითებია: იაკობ შვა იოსებ (ქართ. ომთავის ორი ძველი რედაქცია, 1945, მათე, I, C 16). ფარვ შვა ესრომ (იქვე, C 3) 3). ეზეკია შვა მანასე (იქვე, C 9) და სხვ.

მაშასადამე, აქაც ქვემდებარისა და დამატების გამოცნობა დამოკიდებულია მათ წყობაზე: ზმნა-შემასმენლის წინ, პირველ ადგილას დასმული სახელი მოქმედი პირის აღმნიშვნელია, ე.ი. ქვემდებარეა, მომდევნო კი-სამოქმედო პირისა, ე.ი. დამატებაა. ამის გამო მათმა გადასმამ გამოიწვია წინადადების აზრის შეცვლა, რადგანაც შეიცვალა წინადადების წევრების სინტაქსური ფუნქცია: პირველის სინტაქსური ფუნქცია დაეკისრა მეორეს, მეორისა - პირველს.

სიტყვათა წყობა ზოგჯერ თანამედროვე ქართულ ენაშიც ასრულებს ბარკვეულ გრამატიკულ ფუნქციას. სახელმობრ:

1) წყობა განასხვავებს სახელმითში დასმულ ორ სახელს - ქვემდებარესა და შემასმენელს, როცა ეს უკანასკნელი უზმნოდ ბრის გამოხატული, მაგ.:

სხვისი ჭირი - ღობეს ჩხირი; ღობეს ჩხირი - სხვისი ჭირი.
 უბადადებული - წყალწადებული; წყალწადებული - უბადადებული. პირველი სახელი ქვემდებარეა, მეორე - შემასმენელი.

ასევეა მდგომარეობა ფორმასთანაც:

¹ ა. შანიძე - ძველი ქართული ენა, „ძველი ქართული ენა და ლიტერატურა“, სამ.სკოლის IX კლასის სახელმძღვ., 1947, გვ. 253.

ეთერი არის დედა; დედა არის ეთერი (- ეთერი დედაა, დედა ეთერია).

დაითი იყო პროფესორი; პროფესორი იყო დაითი.

2) შიგვიითიებს წინადადებაში მსაზღვრელად გამოყენებული სახელის კავშირზე. ამა თუ იმ წევრთან;

ბევრი ხალხი შოვიდა; ხალხი ბევრი შოვიდა.

სიტყვა „ბევრი“ პირველ წინადადებაში ქვემდებარის განსაზღვრებას, მეორე წინადადებაში კი შემასმენლისა (ნას პრედიკატული განსაზღვრება უქვია).

სულგანაბული ბავშვი უსმენდა; ბავშვი სულგანაბული უსმენდა. ქვემდებარესთან „ბავშვი“ „სულგანაბული“ არის განსაზღვრება, ზმნა შემასმენელთან „უსმენდა“ კი ვითარების გარემოება.

ის კარგი ამხანაგი არის; ის ამხანაგი კარგი არის. აქ „კარგი“ ერთ შემთხვევაში ქვემდებარის განსაზღვრებას, მეორე შემთხვევაში შედგენილი შემასმენლის თანასაბრთი ანუ სახელადი ნაწილია.

ამხანაგის ძმის სახელი ხისაა; ძმის ამხანაგის სახელი ხისაა.

გენეტიკური სახელი „ამხანაგის“ პირველ წინადადებაში გამოყენებულია ქვემდებარის განსაზღვრების (ძმის) განსაზღვრებად, მეორე წინადადებაში - ქვემდებარის (სახლის) განსაზღვრებად.

გუშინ რაგათვალთერე ახალი მეზობლის ბინა; გუშინ ლავათვალთერე მეზობლის ახალი ბინა.

პირველ შემთხვევაში სიტყვა „ახალი“ განსაზღვრების განსაზღვრებას, მეორე შემთხვევაში კი-ღამატებისა. წინადადებათა შინაარსი, რასაკვირველია, განსხვავებულია.

ამ მავალითების შეფარებიდან ნათლად ჩანს, რომ ზოგჯერ ღარულ-შიუ ს ი ტ ყ ვ ა თ ა წ ყ ო ბ ი ს შ ე ე ე ღ ა ი წ ე ე ე ს ა ზ რ ი ს შ ე ც ვ ე ა ო ს ი მის გამო, რომ ერთი რომელიმე წევრის სხვა წევრთან დაკავშირებისას იცვლება გადამსული სიტყვის სინტაქსური ფუნქცია.

მაშასადამე, როდესაც წინადადებაში სიტყვათა წყობას გრამატიკული მნიშვნელობა აქვს წევრთა გადაადგილება იწყებს მათ შორის სხვადასხვა აზრობრივი რა სინტაქსური კავშირის დამყარებას, იცვლება გადამსული სიტყვის სინტაქსურად როლი და ამის შედეგად იცვლება წინადადების შინაარსიც.

2. სიტყვათა წყობის სტილიტიკური მნიშვნელობა

სიტყვათა წყობის სტილიტიკური მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ წევრთა გადასმა ანუ ტრანსპოზიციის იწყებს წინადადების არა მთლიანად აზრის, არამედ მხოლოდ აზრობრივი ცენტრის შეცვლას,

მაგალითად:

ზარმაცი ბავშვი არ მიყვარს, არ მიყვარს ზარმაცი ბავშვი.

გოგონას ახალი კაბა ეყვა, გოგონას ეყვა კაბა ახალი.

დედას კარგად ეპყრობოდა, კარგად ეპყრობოდა დედას.

სოფელში წაღით! წაღით სოფელში!

ამ წინადადებებში სიტყვათა გადასმას აქვს მხოლოდ სტილისტიკური მნიშვნელობა ანუ ამ შემთხვევაში მთავარია ის, თუ სიტყვათა როგორი დალაგებით გამოიხატება უცხო წინადადებაში ესა თუ ის აზრი. გადასმული სიტყვა გამოიყოფა აზრობრივად, ლოგიკური მახვილის საშუალებით; ძლიერდება მისი ექსპრესიული ძალა, მაგრამ სინტაქსური როლი უველედი რჩება. ლოგიკური მახვილით გამოსაყოფი სიტყვა წერის დროს უმთავრესად იხმარება წინადადების თავში, შედარებით ნაკლებად წინადადების ბოლოს. აღნიშნულ მაგალითებში გადასმით გამოყოფილია სიტყვები: „არ მიყვარს“, „ახალი“, „კარგად“, „წაღით!“.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვათა წყობა ბევრ ენაში მნიშვნელოვანი სინტაქსური მოვლენაა, ქართულში ის უმთავრესად სტილისტიკური დანიშნულებისაა, თუმცა ზოგჯერ სიტყვათა რივს ქართულში აქვს გარკვეული გრამატიკული მნიშვნელობა.

სიტყვათა დალაგების სტილისტიკურ დანიშნულებასთან მჭიდრო კავშირშია პირდაპირი და არაპირდაპირი ანუ ინვერსიული წყობა.

§ 67. სიტყვათა პირდაპირი და არაპირდაპირი წყობა

იმის მიხედვით, წინადადებაში სიტყვა ბუნებრივად თავის ადგილას დგას თუ გადასმულია, ე.ი. დარღვეულია ბუნებრივი რიგი, გვაქვს სიტყვათა წყობის ორი სახე: პირდაპირი და არაპირდაპირი ანუ ინვერსიული.

პირდაპირი წყობა, რომელიც ენისთვის განვითარების გარკვეულ საფეხურზე ბუნებრივია, ე.ი. ჩვეულებრივია.

არაპირდაპირი წყობა, რომელიც წარმოადგენს ბუნებრივი რიგის ხელოვნურად შეცვლას ანუ შებრუნებას, ე.ი. მის შეცვლას შეგნებულად, საჭიროების გამო.

მაგალითად, მსაზღვრელ-საზღვრულის ასეთი რიგი: დიდი ქალაქი. ჩემი მეგობარი. დედის ამბავი. ამხანაგისა და - ახალი ქართლისთვის ჩვეულებრივი, ე.ი. პირდაპირი, წყობაა, მაგრამ, თუ ეს სიტყვები ასე დავადაგეთ: ქალაქი დიდი. მეგობარი ჩემი. ამბავი დედისა. და ამხანაგისა - ძველი ქართლისთვის არის პირდაპირი, მაგრამ ახალი ქართლისთვის არაპირდაპირი ანუ ინვერსიული წყობა. მსაზღვრელ-საზღვრულის ასეთ

რიგს სხვაგვარად **პ რ ე პ ო ზ ი ც ი უ ლ ი და პ ო ს ტ პ ო - ზ ი ც ი უ რ ი** წყობა პქეია, ე.ი. **პ რ ე პ ო ზ ი ც ი უ ლ ი და წყობა**, როდესაც მსაზღვრელი დგას საზღვრულის წინ (დიდი ქალაქი), **პ ო ს ტ პ ო ზ ი ც ი უ რ ი და წყობა**, როდესაც მსაზღვრელი დგას საზღვრულის შემდეგ (ქალაქი დიდი).

ქართულ წინადადებაში ამტამად სიტყვათა პირდაპირი წყობა ასეთი სახით წარმოგვივება:

ქვემდებარე (შემათხზმებელ=მმართველი წევრი) იხმარება შემასმენლის წინ: ბავშვი თამაშობს, ბავშვები თამაშობენ.

განსაზღვრება (შეთანხმებული ან მართული სახელი) - საზღვრული წევრის წინ: წითელი ყვავილი, ამხანაგის წიგნი.

ღამაკება (მართული წევრი) - შემასმენლის შემდეგ: წაიკითხა ლექსი, მიწერა იეჟას, დახატა ჟანქრია.

გარემოება (მორთული წევრი) - შემასმენლის ან ნაზმნარი სახელით ვადმოცემული წევრის წინ: სოფელში ცხოვრობს, გუშინ წაეიდა, კარგად წეშაობს, ავადმყოფობის გამო დასუსტდა, სამუშაოდ ჩამოვიდა, ქალაქში ვადასცდა, გახატულზე დარჯული, კარგად ამშენებული, ავადმყოფობისგან დასუსტებული, სანადიროდ წასვლა...

ამრიგად, პირველ ადგილას დანისმის: 1) სახელთან შეთანხმებული სახელი, 2) სახელის მიერ მართული სახელი, 3) სახელთან მართული სიტყვა, 4) ზმნის შემთანხმებელ=მმართველი სახელი. 5) ზმნასთან მართული სიტყვა.

მეორე ადგილას დანისმის: ზმნის მიერ ოდენ მართული სახელი.

ასეთია ქართულ მარტივ წინადადებაში სიტყვათა ჩვეულებრივი, ბუნებრივი წყობა. წინადადებაში პირდაპირი წყობის დროს არც ერთი სიტყვა არ შეიცავს დამატებით აზრობრივ ელფერს, ამიტომ ასეთ წყობას ნეიტრალური სტილის წყობას უწოდებენ. და ეს წყობა იხმარება ჩვეულებრივ საქმიან, მეცნიერულ და პუბლიცისტურ მეტყველებაში.

თუ წინადადებაში ქვემდებარე დავსვით შემასმენლის შემდეგ, განსაზღვრება საზღვრულის შემდეგ, შემასმენელი-დამატების შემდეგ, ხოლო გარემოებები - შემასმენლის შემდეგ - ეს სიტყვათა პირდაპირი ანუ ინვერსიული წყობა იქნება, რომელიც ახასიათებს მხატვრულ მეტყველებას, უმთავრესად პოეზიას. მნიშვნელობას გასაძლიერებლად სიტყვას ვადასვამენ წინადადების წინ ან ბოლოს, სადაც იგი გამოიყოფა ინტონაციურად, სიტყვის ასეთი გადაადგილების დროს წინადადებაში დამატებით გამოიხატება გარკვეული აზრობრივი ელფერიც.

სიტყვათა ინვერსიულ წყობას უმთავრესად იწვევენ:

- 1) მოუბრის მეტყველების სტილური თავისებურება,
- 2) ლოგიკური მახვილი და ამის გამო წინადადებაში აზრობრივად გამოსაყოფი სიტყვის ვადასმა,
- 3) სიტყვათა ჩვეულებრივი თანამიმდევრობის დარღვევა ლექსში მულოლიურ რიტმული მოთხოვნის შედეგად,
- 4) სიტყვათა დამახასიათებელი წყობის შეცვლა კითხვით წინადადებაში, ე.ი. წინადადებაში სიტყვათა ბუნებრივი რიგის შეცვლა უმთავრესად ხდება მოუბრის მეტყველების ინდივიდუალურ თავისებურებათა გამოვლინების ან ლოგიკური მახვილის შედეგად. მაგ., წინადადებაში: მანანამ წაუკითხა დედას ლექსი - აზრი წვერთა ვადა-დგოდებით შეიძლება ასედაც გამოვხატოთ:

დ ე ქ ს ი წაუკითხა დედას მანანამ.

დ ე დ ა ს წაუკითხა მანანამ ლექსი.

ლექსი წაუკითხა მანანამ დ ე დ ა ს.

დედას წაუკითხა მანანამ დ ე ქ ს ი და სხვ.

ზემოთ დასახელებული წინადადებები სტილისტიკური თვალსაზრისით უმთავრესად არ არის, სიტყვათა წყობის შეცვლა იწვევს აზრის ელემენტის შეცვლას. მოუბრის ლოგიკური მახვილით გამოყოფს იმ სიტყვას ან სიტყვათა ჯგუფს, რომელიც წინადადებაში მისთვის არის აზრობრივად მთავარი. იგი შეიძლება იყოს წინადადების უბედო ვეფერი: შეშასმენელი, ტყემლგებარე, დამატება, გარემოება და ა.შ.

სიტყვათა ინვერსიული წყობის სტილისტიკური ღონეტივია აზრის გამახსატყა ექსპრესიულიად, ძლიერი ვრძნობით, როცა საღირობა რომელიმე სიტყვის გამოყოფა მასზე ყურადღების ვასამახვილებიდად.

სიტყვის ვადასმა უმთავრესად ხდება ასე: თუ წინადადებაში საუბრის საგანი ცნობილია და მას მოსდევს ინფორმაცია - პირველ ადგილზეა ქვემოთხსენი, მეორეზე - შეშასმენელი, მესამე, თუ საუბრის საგანთან შედარებით ინფორმაციას ეძლევა უპირატესობა, მაშინ პირველ ადგილზე შეშასმენელი იკავებს. იგივე ითქმის წინადადების სხვა წვერთა ადგილის შესახებაც.

ზეპირი მეტყველებისას სიტყვათა ასეთ ვადასმას უფრო იშვიათად შეიძლება ვეხვდეთ, ვიდრე წერილი მეტყველების დროს, რადგანაც მოუბრის შეძლება ხმა დამადლოს იმ სიტყვაზე, რომელზედაც ამახვილებს ყურადღებას. წერის დროს კი რადგანაც ლოგიკური მახვილის გრამატიკული ნიშანი არ არსებობს, თუ გამოსაყოფი სიტყვა წინადადების წინ ან ბოლოს არ ვადავსვიოთ, მკითხველი სწორად ვერ გაიგებს იმას, თუ რა აზრობრივი ელემენტის გამოხატულება ესა თუ ის წინადადება. ამიტომ უმეტეს

შემთხვევაში წინადადების წინ გადმოსვამენ მთავარ სიტყვას, მაგალითად, ასე: მ ტ კ ი ც ე დ დავიცვათ ენის სიწმინდე! დ ა გ ი - ც ვ ა თ მტკიცედ ენის სიწმინდე! ს ი წ მ ი ნ დ ე ჯ ენისა მტკიცედ დავიცვათ! ან გამოსაყოფ სიტყვას აღნიშნავენ ხაზგასმით, მაგ., ასე: მ ტ კ ი ც ე დ დავიცვათ ენის სიწმინდე! (როგორ დავიცვათ?). მტკიცედ დ ა გ ი ც ვ ა თ ენის სიწმინდე! (რა ექნათ?). მტკიცედ დავიცვათ ე ნ ი ს სიწმინდე! (რის სიწმინდე?). მტკიცედ დავიცვათ ენის ს ი წ მ ი ნ დ ე ე! (რა დავიცვათ?). ასეა მხატვრულ პროზასა და პოეზიაშიც:

ა დ მ თ ბ რ წ ყ ი ნ დ ა მზე დიდებულადა და გაანათლა ქვეყანა ბნელი (ი. შავჭ.).

ქ ა ლ ა ქ ი პქონდა მაგარი საზაროდ სანაპიროსა (შ. რუსთ.),
დ ი დ ხ ა ნ ს უქირა უცნობმა მოხუცის მოქმას მწარესა (ვ. ჟუმაგ.)...

ამრიგად, ადგილი შეიძლება შევუცვალოთ წინადადების თითქმის ყველა წევრს, თუმა ამის საშუალებას ყოველთვის არც ქართული ენა იძლევა. ამიტომ მხედველობაშია მისაღები აგრეთვე სიტყვათა გრამატიკული წყობის შემდეგი სახეები: არამყარი ანუ თავისუფალი წყობა, მყარი წყობა და გათიშული წყობა.

§ 68. სიტყვათა არამყარი (თავისუფალი) წყობა

ა რ ა მ ყ ა რ ი ანუ თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ა სიტყვათა წყობა, რადესაც აზრის გადმოსაცემად წინადადებაში ერთნაირად გამოიკე-ნება წევრთა როგორც პირდაპირი, ისე შებრუნებული რიგი.

ქართულ წინადადებაში მთავარ წევრებს ქვემდებარეს, შემასმე-ნელსა და პირმომართ დამატებებს (პირდაპირსა და ირიბს) გარკვეუ-ლი, მყარი ადგილი არა აქვთ. არა აქვთ მყარი ადგილი ზმნა-შემასმე-ნელთან არც უბრალო დამატებასა და გარემოებებს, ამიტომ ერთი და იმავე აზრის გადმოსაცემად ისინი შეგვიძლია ნებისმიერად დავალა-გოთ, მაგალითად.

ქვემდებარე შემასმენლის წინ

შ ე მ თ დ გ თ მ ა მოახლოვდა (ი. გოგ.).

ა რ რ ი ლ ი წამოდგა (ი. შავჭ.).

ი გ ი თავისუფლად ლაპარაკობდა. (ლ. ქიაჩ.).

დადგებაში ერთი შეიძლება იყოს შემასმენლის წინ, მეორე კი - შემდგ, მადგალითად: ამ აზრმა მაშინაც მხიარულების გ რ უ ა ნ ტ ი - ლ ი მოპყვარა ს ა ლ კ მ ე ს (გ.წერ.).

ქარის ზ უ ზ უ ნ ს აკოლებდა ხ მ ა ს მუხა (ღ.ქიარ.).

მისი თავდაჭერილობა ყ ვ ე ლ ა ს უღვიძებდა გულში ღრმა ბ ა ტ ი ც ი ს ც ე მ ა ს მისდამი (გ.წერ.).

უბრალო დამბრტბა:

რამდენიმე ბიჭი კარებში დააყენეს ჯ კ ხ ი თ (ა.წერ.).

ასე დაგვიცალას მტერი ყოველი ს ი კ ე თ ი ს ა გ ა ნ (რ.გვიტ.).

ისინი დაპარაკობდნენ შინაურ ს ა ქ მ ე ე ბ ზ ე (ა.ყაზბ.).

გარემოება შემასმენლის წინ

ადგილის გარემოება:

გოგრატი ტ ყ ე შ ი კოფილიყო შიგოს საჭრელად (ი.გამც.).

მ ე ლ ზ ე გ აშლიდა მდელას ხავერდი (ა.მირცხ.).

ღრმის გარემოება:

ბ ა ტ ა რ ა მ ბ ი ს ა ს თეგზობდა ძლიერ მიყვარდა (ი.გაგ.).

... ზ ა ფ ხ უ ლ შ ი აქ საამურო სიგრილე ტრიალებდა (ი.გაგ.).

ციხარების გარემოება:

... წყნარი ნიბვი მათ ც ე ლ ქ ა ლ შესთამაშებდა... (ა.ყაზბ.).

ძალდატანებულად კლდე... დაბლა გ რ ი ა ლ ი თ მოდიოდა (რ.გვიტ.).

მიზნის გარემოება:

ა მ ი ტ კ მ ა ც ეტრე უცერად გადავიდა ისევ ჩიხირთამაზედ (ი.გამც.).

ს კ რ კ ლ ა ნ სოდა ს ი ბ ნ ე ლ ი ს გ ა მ ი ა რ შეიძლებოდა (ღ.ქიარ.).

მიზნის გარემოება:

შინაც ს ა ხ ა რ ჯ კ ლ ღვინოს სამყოფხედ მტეს ინახავდა (ი.გამც.).

... ჩემს სიბერესა ს ა ნ უ გ ე შ ე ბ ლ ა ლ მხოლოდ ერთი მოცა შეილი (ი.გამც.).

წინ მ კ ს ა ფ ი ქ რ ე ბ ლ ა ლ დიდი ღრმ მტონდა (ი.გამც.).

... მ უ ლ ა მ ბ ი ს ა თ ვ ი ს ვეღარ გამოფდებ (ი.გამც.).

გარემოება შემასმენლის წინ უმთავრესად მიზინ იხმარება, რა-
დსაც შემასმენელს მოსდევს სხვა სიტყვები.

გარემოება შემასმენლის შემდეგ

ადგილის გარემოება:

ჩნის გასელის უმაღ გარემოება ნ ა რ კ ვ ა ნ ი ს ა კ ე ნ
(ა.უაზბ.).

სადამოს სიმონა ძარე დაბრუნდა ყ ა ნ ი ლ ა ნ (ე.ნინ.).
დათიკო კი... უხმარულად შევიდა მ ა ა ხ შ ი (ე.ნინ.).

დროის გარემოება:

გზა დაულოცა მან დ ი ლ ი თ (გ.ტერი.).

... ძაღლის ყრფა ისმოდა ხ ა ნ დ ი ს ხ ა ნ (ი.გაეგ.).

ასე გრძელდებოდა გ ა თ ე ნ ე ბ ა შ ი ლ ი ს (ა.უაზბ.).

ვითარების გარემოება:

კრეჭიაშვილმა შეხედა დ ა ლ კ ნ ე ბ ი თ ... (ა.უაზბ.).

ის მიდიოდა წყლისაკენ შ ი უ რ ი რ ე ბ დ ი ე (ა.უაზბ.).

რეგორე ისარჩი, იმ ხროშიდან გამოხტა ცხენი ამ დროს უ ე ე -
ჩ ა დ (ა.წერ.).

მიზების გარემოება:

საწყალი ბეებანა გაშეშდა ჯ ა ე რ ი ს ა გ ა ნ (ე.ნინ.).

თრივემ რადეო უცნაური გულისტკივილი იგრძნო ამ პატარა შ ე -
შ ი თ ე ე ე ი ს გ ა შ ი (ა.ბილ.).

მიზნის გარემოება:

ერახელ მამარეში წავიდა ძნის მ ა ს ა ტ ა ნ ა დ (დ.ღუნტ.).

მოხუცი კი გამობრუნდა დუქანში შ ე ს ა ს ე დ ე თ ა დ
(ა.უაზბ.).

ქაჩოვლებში ... გაეკატორად იბრძოდეს სამშობლოს დ ა -
ი ე ი ს ა თ ე ი ს (ი.გაგ.).

გარემოებები უფრო ხშირად გვხვდება შემასმენლის წინ. ჩვე-
ულებრივ გარემოება შემასმენლის შემდეგ იხმარება მიზინ, რაცა
იგი ლაგიკური მახვილითაა გამოსაყოფი მასზე ყურადღების გასამა-
შვილებლად, მაგალითად: ის სწავლბდა კ ა რ ვ ა დ. შ. რუსთაველი
წილდაწეობდა მე-12 ს ა ა უ კ უ ნ ე შ ი. ნ. ბარათაშვილი დიხიდა
თ ბ ი ლ ი ს შ ი. ეთერი სკოლაში არ დადის ა ვ ა დ შ ი ყ ა ჟ ი ბ -
თ ს გ ა შ ი ...

როცა წინადადებაში წარმოდგენილია როგორც ღრთის, ისე ადგილის გარემოება, პირველი უმთავრესად იხმარება მეორის წინ:

ის ხ ც ა ლ ს ა თ ე ლ შ ი იქნება. ნოღარი შ ი რ შ ი ა ნ ა ქ ი შეუბამდა. თნჯიზი დ ი ლ ი თ ს კ თ ლ ა შ ი დალოდა.

ამასთან დაკავშირებით უნდა გიცოდეთ, რომ სიტყვათა თაღისუფალი წყობა ქართულ წინადადებაში აბ ნიშნავს სინტაქსურ წყვილში შემავალი წევრების ერთმანეთისგან ნებისმიერად დაშორებას (ამის შესახებ იხ. სიტყვათა გათიშული წყობა).

§ 69. სიტყვათა გავრცელებული წყობა

სიტყვათა თაღისუფალი წყობის მიუხედავად, პირდაპირი თუ ინვერსიული წყობის ღრთს ქართულში მიაჩნც აჩსებობს სიტყვათა რიგი, რომელიც უფრო ხშირი და გავრცელებულია. მაგალითად:

იჩიბი დამატება სამპირიანი ზმნით გამოხატული
შემახმენლის წინ

მწყობითა პირველ სერიაში დასმულ სამპირიან ზმნაშემასმენლთან ორივე პირმომართი დამატება (იჩიბი და პირდაპირი) მიცემით ბრუნვაშია, ე.ი. ჭარმის მიხედვით მათი გარჩევა ჭირს. მაგალითად:

დურგალი ბ ე ტ რ ე ს უშენებს ს ა ხ ლ ს, გურამი ზ უ - რ ა ბ ს აწერინებს კ ა ნ ს ბ ე ქ ტ ს, შვილი დ ე დ ა ს უგზავნის წ ე რ ი ლ ს და სხვა მსგავს წინადადებაში მათ არჩევენ მხოლოდ შინაარსის მიხედვით, მაგრამ ხშირად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ორივე პირმომართი დამატება სულიერი საგნის გამოხატვლია, ორივე უსულასი ან ორივე ნაცვალსახელით არის წარმოდგენილი, მათი გარჩევა უფრო მეტად ჭირს და, აქედან გამომდინარე, ცნობაც ორპირიანია. მაგალითად, წინადადება - „ქეთევანი ნ ი ნ თ ს აზრდევინებს თ ა მ ა რ ს“ - შეიძლება ორნაირად გამოვიკოთ:

1) ნინო ზრდის თამარს (როცა სახელი - „ნინოს“ გაგებულია იჩიბ დამატებად, „თამარს“ კი - პირდაპირად). წყვეტილში იქნება: ქეთევანმა ნ ი ნ თ ს გააზრდევინა თ ა მ ა რ ი.

2) ნინოს ზრდის თამარი (როცა სახელი „თამარს“ გაგებულია იჩიბ დამატებად, „ნინოს“ კი - პირდაპირად). წყვეტილში იქნება: ქეთევანმა ნ ი ნ თ ს გააზრდევინა თ ა მ ა რ ს. მსგავსი წინადადებაშია:

მამა შეიღს აენობს თავის მტკობარს.

გიგი დასაპატიებელად თენგიზს უგზავნის ზურაბს.
მტერი ბავშვის უკლავს დედას.
ღირეპტორი მასწავლებელს ახეივრებს მოსწავლეებს.
მწერალი გრძნობას უმორჩილებს გონებას.
ზოგიერთი პოეტი ცხოვრებას უკავშირებს ბუნებას.
ის საზოგადოებრივ ინტერესებს უქვემდებარებს კერძო ინტერესებს.

პოეტი ძველ თბილისს უპიროსპირებს ახალ თბილისს.

სიკვდილს მივსუემ სიცოცხლესა.

ის მას უპიროსპირებს მას.

ასეთი წინადადებების ორატორიების თავიდან ასაცილებლად ზემოთი მენტყვილების დროს ირიბი დამატება ლ მ გ ი კ უ რ ი მ ა - ხვილით გამოიყოფა, წერის დროს კი დამატებათა წ ყ მ ბ ა ს უნდა შეიქცეს ყურადღება. სახელწოდებ., უმჯობესია ირიბი დამატება დაცვით შემასმენლის წინ, პირდაპირი დამატება კი - შემასმენლის შემდეგ. მაგ.,

აი რა ანიჭებს ბიუროს დადგენილებას ბრძოლის უნარიანობას (გაზ. თბ. კომ., 20.IV.1957).

შეიძლება ორივე დამატება შემასმენლის წინ ან შემდეგ იყოს. ასეთ შემთხვევაშივე უკეთესია ირიბი დამატება დაისცას პირდაპირი დამატების წინ, თუ წინადადებაში მისი გადამსმა აუცილებელი არ არის გარკვეული აზრობრივი ელფერის გადამოსაცემად, მაგალითად: რ. საათში ყოველი ჯგუფის ხელმძღვანელს მოქმედების დაზუსტებულ გეგმას წერილობით გადაეცემ (ი.ღის.) - პირველი დამატება ირიბია, მეორე - პირდაპირი.

პირდაპირი დამატების დასმა ირიბის წინ მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, როდესაც იგი აზრობრივად არის გამოსაყოფი: ყოველი წუთი უდრემს ტრილობებს აცენებდა ლეგენდარული ბრძოლების ქალაქს (ი.ღის.).

იგი თვალყურს ადევნებდა ნატოს საქმიანობას (პ.ღორ.).

ამ წინადადებაში სიტყვები: „ტრილობებს“, „თვალყურს“ პირდაპირი დამატებებია: „ქალაქს“, „საქმიანობას“ კი - ირიბი.

პირდაპირი დამატება ირიბის წინ ყველაზე უფრო ხშირად პოეტი-აში იხმარება. მაგალითად:

ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ ქაცს და არა გვარბიშვილობას!

(გ.ორბ.).

ღ.კვაციანი, იხილავს რა პირდაპირი და ირიბი დამატებების ბრუნვაში შეხვედრის საკითხს, ასკვნის, რომ „სამპირობანი ზმნის სუბიექტურ და ობიექტურ პირთა წარღვი სახელების წინადადებაში დალაგების

ერწმადერთი რიგი არა გვაქვს¹.

ამასთან აღნიშნავს იმასაც, თუ რა სიძნელეს წარმოადგენს ირიბი და პირდაპირი დამატებების გარჩევა, როცა ისინი ერთნაირი სახელებითა და ფორმითაა გამოხატული, რადგანაც ერთი და იგივე წევრი შეიძლება ირიბ დამატებადაც გავიგოთ და პირდაპირ დამატებადაც.

ამგვარად, ამ საკითხის შესახებ შეიძლება დავასკვნათ შემდეგად: სამპირიდან ზმნა-შემასმენელთან ირიბი დამატება უმთავრესად გვხვდება პირდაპირი დამატების წინ. ირიბ და პირდაპირ დამატება-თა ასეთი წყობა აადვილებს წინადადების აზრის სწორად გაგებას. ამას ადასტურებენ შემდეგი მაგალითებიც: მართამი შეიღს ეძახის გოგონას - მართამი გოგონას ეძახის შეიღს. რადგანაც ეს ფრაზები ნეიტრალური სტილისაა, ადვილი მისახვედრია, რამ პირველ წინადადებაში წინ დასმული სახელი „შეიღს“ ირიბი დამატებაა, მომდევნო სახელი „გოგონას“ - პირდაპირი; მეორე წინადადებაში კი - წინ დადგომული სახელი „გოგონას“ არის ირიბი დამატება, მომდევნო სახელი „შეიღს“ - პირდაპირი. ასევეა წინადადებებში: ბებია დავითს ატყევეს დაუწას - ბებია დაუწას ატყევეს დავითს..., მაგრამ ეს წყობა ირღვევა იმ შემთხვევაში, როდესაც პირდაპირი დამატება ლოკუტური მახვილით არის გამოსატყობი. ასეთ დროს იგი ირიბი დამატების წინ გამოიწვევს. მაშასადამე, პირველ შემთხვევაში წინ გვეტეება ირიბი დამატება: მეზობელი დედას წაუყვანს შეიღს (მეზობელი დედას წაუყვანა შეიღი). მეორე შემთხვევაში კი - პირდაპირი დამატება: მეზობელი შეიღს წაუყვანს დედას (მეზობელი შეიღი წაუყვანა დედას). ან: მეზობელი დედას შეიღს წაუყვანს (მეზობელი დედას შეიღი წაუყვანა). მეზობელი შეიღს დედას წაუყვანს (მეზობელი შეიღი დედას წაუყვანა).

ამრიგად, როდესაც ზმნა-შემასმენელს რამდენიმე სახედასხვა წევრი უკავშირდება, მათი რეგულბროვი, ე.ი. უფრო გამოვლენილი წყობა ქართულ წინადადებაში ასეთი სახით უნდა წარმოვიდგინოთ:

როცა შემასმენელთან მხოლოდ მთავარი წევრებია:

ქვემდებარე, შემასმენელი, პირდაპირი დამატება: მამა აშენებს სახლს.

ქვემდებარე, შემასმენელი, ირიბი დამატება: ენო ეკამათობდა ნიკოს.

ქვემდებარე, შემასმენელი, სუბიექტისეული დამატება: ეთერს ზუკს სწავდა.

¹ ა. ავატაძე - წინადადების წევრები ქართულში, თბ., 1954, გვ. 54.

მაგრამ, რადესაც ორივე დამატება გამოყენებული, ორივე ჩვე-
ულბრძოლვით შემასმენლის წინააღმდეგ პირდაპირი კი - შემდეგ: მასწავლებლებ-
ნი ნუნუს ასწავლის ენას.

რაცა შემასმენელთან მთავარი წიგნების გარდა
არამთავარი წიგნებიცაა:

ქვემდებარე, შემასმენელი, უბრალო დამატება: ერთკლე იბრძობა
ხმლი.

ქვემდებარე, ადგილის გარემოება, შემასმენელი: ჩვენ ქუთაისში
ცხოვრობთ.

ქვემდებარე, დროის გარემოება, შემასმენელი: დედა ადრე გე-
ბოდა.

ქვემდებარე, ციხარების გარემოება, შემასმენელი: ღალი ღამა-
ხად წერს.

ქვემდებარე, მიზნის გარემოება, შემასმენელი: ხბო სიცივის-
გან კანკალებდა.

ქვემდებარე, მიზნის გარემოება, შემასმენელი: ისინი დასაძი-
ნებლად წავიდნენ.

მაგრამ, რადესაც ასეთ წინადადებაში შემასმენელთან რამდენიმე
სხვადასხვა არამთავარი წიგნია, ისინი ჩვეულებრივ ასეთი რაგით
დაგდებიან:

ქვემდებარე, დროის გარემოება, ადგილის გარემოება, შემასმენ-
ელი: გელა დიდი კბეში მიდიდა. თუმცა შეიძლება ადგილის გარე-
მოება წინ უსწრებდეს დროის გარემოებას: ცანა სოფელში დიდხანს
ცხოვრობდა.

ქვემდებარე, დროის გარემოება, ციხარების გარემოება, შემას-
მენელი: ნანა დღეს კარგად მტკაღნეობს.

ქვემდებარე, ადგილის გარემოება, ციხარების გარემოება, შემას-
მენელი: ნუნუს სცენაზე შესანიშნავად იმღერა.

ქვემდებარე, დროის გარემოება, ადგილის გარემოება, ციხარებ-
ის გარემოება, შემასმენელი: ამხანაგები ხვდელ ბაღში კარგად იმუ-
შავებენ.

ქვემდებარე, დროის გარემოება, ადგილის გარემოება, მიზნის
გარემოება, ციხარების გარემოება, შემასმენელი: აკადემიკოსმა წილ-
გარკატე კარგი ბირობების გამო საგრაძობლად მოკვთა.

ქვემდებარე, დროის გარემოება, ადგილის გარემოება, მიზნის
გარემოება, ციხარების გარემოება, შემასმენელი: ისინი ამცამად
ანსტიტუტში გამოცდებისათვის საფუძვლიანად ემზადებიან.

ასეთ მრავალწევრიან წინადადებაში დამატება უმთავრესად შემოსემნელის შემდგომ გეხედება, მაგ.:

ამხანაგები ღიღბანს განაგრძობდნენ თაბორს.

ჩვენმა დიასახლისმა გუშინ იცინაზე გაშალა სურა.

ქარხნის კლექტრემა წელს წარმოებაში პროდუქციის გასადიდებლად საგრძნობლად შეამცირა დანაკარგი.

მაგრამ ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წინადადებაში ხშირად იმდენი წევრი იყრის თავს, რომ ძნელია იმის გარკვევა, თუ რომელი წყობაა ჩვეულებრივი. ამიტომ უმეტეს შემთხვევაში შესაძლებელია ზმნააქმმასმენელთან დაკავშირებული წევრების თავისუფალი გადაადგილება ისე, რომ იგი არაერთაბ სტილისტიკურ უხერხულბის არ გამოიწვიოს.

§ 70. სიტყვათა მყარი წყობა

ქართულში სიტყვათა შედარებით თავისუფალი წყობის მიუხედავად ზოგჯერ წინადადების ამა თუ იმ წევრს თავისი მყარი ადგილი აქვს ფრაზაში, ხოლო მისი ქცევა იწვევს წინადადების აზრის გაზრდილობას ან მთლიანად შეცვლას იმის გამო, რომ ირდევება წევრთა შორის ლოგიკური და სინტაქსური კავშირი.

სიტყვათა მყარ წყობაში უმთავრესად იგულისხმება მსაზღვრელ საზღვრულის კავშირი და უხრალ დამატება-გარემოებათა გამოყენება ნაზმნარი სახეობა და მოკლებულ წევრებთან. ყველა ამ შემთხვევაში შეთანხმებული, მარტული და მირტული წევრები ჩვეულებრივ დაისმის ბირდელ ადგილას და ჯეიტეს პრეპოზიციული წყობა.

უფრო ზუსტად, სიტყვათა მყარ, ბუნებრივ წყობად თანაბრდროი ქართულში ითყობა ისეთი რიგი, როდესაც:

- 1) მსაზღვრელი ჯვას საზღვრულის წინ, 2) უხრალ დამატება და გარემოებანი ნაზმნარი სახეობა (საწყისით და მიმდებრით) გადმოკე-
მული წევრის წინ, 3) კითხვითი ნაკვალსახელობა და ზმნიზდით გად-
მოკლებული წევრები ზმნააქმმასმენლის წინ, 4) ქემდებრე უმეტესად
შემასმენლის წინ, გარკვეულ შემთხვევებში კი-შემასმენლის შემდგომ,
5) ზოგიერთი ნაწილაკი ზმნააქმმასმენლის წინ, ზოგი კი - შემდგომ.

I. ატირბუტული და გენტიური განსაზღვრება საზღვრულთან

განსაზღვრება საზღვრულის წინ:

აბად ქართულში განსაზღვრება ჩვეულებრივ იხმარება საზღვრუ-
ლის წინ: ნაბრევემა გაზაფხულმა უცბად გამოაკლებდა თბილისი

(ა. ბრე.) აბიბინებულ მოღბე! სუფრა გაშეშალა (ა. ბრე.) ორი მდი-

ნარე ჩაუღის ხერხეისს (ი.გრომ.). ამას ვგავალებს ჩვენი წარსული (ი.გრომ.). სიმართლის ხმა ქვეყნადა პტუხს დასაბრუნვლად მონობისა (ი.ჰიგვი.). წამების ცეცხლში განახლდა გული (გ.ტაბ.). ქარმა მიანგრაზმონგრაბა ძველი ქვეყნის საბუდარი (გ.ტაბ.).

რამდენიმე განსაზღვრება ერთ საზღვრულთან

ზოგჯერ საზღვრულთან სხვადასხვა მტყვევლების ნაწილთა დადმოცემულ რამდენიმე მსაზღვრელს (განსაზღვრებას) ეიყენებთ. ასეთ შემთხვევაში მსაზღვრელები სხვადასხვაგვარი თანამიმდევრობით შეიძლება დალაგდეს: რიცხვითი სახელი, წინ უსწრებდეს ან მოსდევდეს ნაცვალსახელს, ზედსართავი სახელი - შიშლებას და ა.შ. მაგალითად: ერთი მისი ამხანაგი ექიმი იყო. ან: მათი ორი შვილი ინსტიტუტში სწავლობდა. გახარებულმა უფროსმა დამ სიმღერა დაიწყო. ან: მისმა ორმა განათლებულმა უმცროსმა შვილმა ხალხში დიდი სიყვარული დაიმსახურა.

როდესაც ორი განსაზღვრებიდან ერთი ერთობლივად ზედსართავი სახელია, ხოლო მეორე მიმართებითი, უშუალოდ საზღვრულთან დაისმის ერთობლივად ზედსართავი სახელი. : მან დაინახა წვერიანი მადალი კაცი. მიწიდან ამოდიოდა გოგირდოვანი თბილი წყალი. მასთან იგვა ხნიერი პატარა მამაკაცი. მამამ არ იცოდა გუშინდელი ახალი ამბავი...

ასევე ორი განსხვავებული მსაზღვრელიდან ატრიბუტული განსაზღვრება მოსდევს გენტიურს: ძალიან მომეწონა ამხანაგის ახალი რეჟისი. დილით გვესმოდა ბუღბუღის ტკბილი ხმა.

მაგრამ წინადადებაში გამოყენებული რამდენიმე მსაზღვრელი შეიძლება სხვადასხვა საზღვრულის განსაზღვრებაც იყოს. ამ შემთხვევაში ყოველი განსაზღვრება დაისმის თავისი საზღვრულის წინ, მაგალითად, სოფელს რამდენიმე ათეული უღელი ხარკკამერის საკვები პტონდა მომარაგებული.

(სიტყვა „რამდენიმე“ განსაზღვრავს სიტყვას „ათეული“, „ათეული“ სიტყვას „უღელი“, „უღელი“ - სიტყვას „ხარკკამერის“).

განსაზღვრება საზღვრულის შემდეგ

მსაზღვრულსაზღვრულის შემბრუნებულ (ინვერსიულ) რიგს, როგორც ახალი ქართულითვის არქაულ წყობას, ამჟამად ძირითადად სტილისტიკური დანიშნულება აქვს.

იგი იხმარება წინადადებაში:

1) ნათქვამისთვის ძველი ფორმის შესანარჩუნებლად, მაგალითად,

კვილის ხელით კოფილიყოს ნაშენი ზღუდენი და ციხენი თბილისისანი (ა.ბელ.). მოურავმან ციხე ქალაქისა შეაკეთოს (იქვე)...

2) წინადადების სხვა წევრებისგან სსახლერელის ლაგიკური მახვილით გამოსაკუთად, რომ შკითხველმა ყურადღება გაამახვილოს მის პინაარსზე; ჯიძრა ქარავანი ურმებისა (ი.ჭავჭავ.). ... გადაუხსნია წიგნი ლექსების (ა.მირცხ.).

3) სსახლერელსსახლერელის შებრუნებული წყობა ხშირად გვხვდება მხატვრულ ნაწარმოებებში, განსაკუთრებით ლექსებსა და პოემებში, მაგალითად: გაბრწყინებული სამშობლო ჩემი ღღეს შავი ზღვიდან ოქვანემდე (ა.ფხ.). აჟ, მამულო! ვრძნობა შენი მოვლისა მარად ყველა ჩვენთაგანის ვაღია (გ.ტაბ.). ველარ განუძღვებს ქვეყანა ძველი განახლებისა გრიგალის ქროლას... (ი.ჭავჭავ.). მახსოვს ფარნავაზ შაეროვანი, გულმტკიცეული შვილი ქვეყნისა (ი.ჭავჭავ.).

მსახლერელსსახლერელის მყარი წყობის დაცვის მნიშვნელობა

მსახლერელსსახლერელის მყარი წყობის დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს. მსახლერელის გადაადგილების შედეგად შეიძლება არა მარტო ძნელად გასაგები გახდეს წინადადების აზრი, არამედ საესებში შეიკვალოს იგი. მაგალითად: ეს ფრიალოსანი ნიკოს ამხანაგის წიგნია. ეს ნიკოს ფრიალოსანი ამხანაგის წიგნია.

მძვენიერი წაისის დილაა. მაისის მძვენიერი დილაა.

ორი მოსწავლის ნაწერი შეფასებულია ნიშნით 5. მოსწავლის ორი ნაწერი შეფასებულია ნიშნით 5.

ბავშვი მეორე სახლის აივანზე თამაშობს. ბავშვი სახლის მეორე აივანზე თამაშობს.

ჩემი ამხანაგის შეზობლის სახლი ორსართულიანია. ჩემი შეზობლის ამხანაგის სახლი ორსართულიანია.

სასადილოს მადიდა კვლედიან იღვა. მადიდა სასადილოს კვლედიან იღვა.

ასრისგად, განსახლერების გადასმამ გამოიწვია წინადადების აზრის შეკვლა იმის გამო, რომ ეს განსახლერება სხვა სახლერულ დაუკავშირდა. მაგალითად, პირველ წინადადებაში ნათქვამია, რომ ფრიალოსანია ნიკო, მეორე წინადადებაში კი ფრიალოსანია ამხანაგი და არა ნიკო. ასეა აზრი წყვედილი განსახლერების გადასმით სხვა მაგალითებშიც. მსახლერელსსახლერელის რიგს დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სახელწოდებების გადმო-

ეგვისას. არ არის სწორი, როდესაც გვხვდება მსაზღვრელთა ასეთი წყობა: ჯერ ცისი სახელობისაა, შემდეგ რომელი ქალაქისაა და ბოლოს რა ტიპის დაწესებულებაა, მაგალითად:

ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი და სხვ.

ერთ ქალაქში ანა თუ იმ პიროვნების სახელობის შეიძლება იყოს არა ერთი, არამედ რამდენიმე სხვადასხვა სასწავლებელი, უაბრიკა, ქარხანა, ბიბლიოთეკა და სხვ. ამიტომ სახელობის აღმნიშვნელი სიტყვები სწორედ უშუალოდ მათ გამოსარჩევად უნდა იხმარებოდეს და ამის ვაშო უნდა დაიცვას არა ქალაქის სახელწოდების წინ, არამედ მის შემდეგ იმ სიტყვებთან, რომლებთანაც შინაარსობრივად არის უშუალო კავშირში, მაგალითად ასე:

გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი და სხვ.

მსაზღვრელ-საზღვრელის მყარი წყობა გვაქვს აგრეთვე ისეთ პოსტოზიციური წყობის სიტყვათმეწერებებში, რომლებიც დაუძლედად არის შემონახული ძველი დროიდან, მაგალითად: ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ქეთევან წამებული, ერეკლე მეორე, გიორგი მეთორმეტე და სხვ. პირდაპირი წყობისას ეს სიტყვები სხვა აზრბრზე ელყერს იღებენ. გორგასალი ვახტანგი, წამებული ქეთევანი, მეორე ერეკლე.

2. პრედიკატული განსაზღვრება შემასმენელთან

ზოგჯერ წინადადებაში გამოყენებული მსაზღვრელი სახელს კი არ უკავშირდება, არამედ ზმნასშემასმენელს. ასეთ შემთხვევაში იგი ასრულებს ე.წ. პრედიკატული განსაზღვრების ფუნქციას, ე.წ. შემასმენლის განსაზღვრების როლს, რა უმთავრესად დაისმის შემასმენლის წინ, მაგალითად: მე პირველი მგონია (ი.ჭავჭავ.). ქალის პასუხი... მოგონილი ეგონა (ლ.ქიარ.). ის დღე სხვანაირი გათენდა ჩემთვის (ი.ღის.). მეორე დღე პუიანი და თბილი გათენდა (ლ.ქიარ.). ხალხმა ბევრი ეძება ნინო (ი.ყაზბ.). ეპ, ნეტავი კი ეგ დავაძაბლებელი შემასმენ და! (ი.ჭავჭავ.). ... მუდამ ასე აცვაყბულია და ამწვანებულა: ამყოფე მთელი ბუნებაო (ვ.ჟშვი.). გაღასმულია: „მეც. წამოყდები გაოცებული (ნ.ნაკ.).

3. უბრალო დამატება ნაზმნარი სახელით გამოხატულ წევრთან

უბრალო დამატება იხმარება ნაზმნარი სახელით გადმოცემული წევრის წინ, მაგალითად: სიკეთის ქმნა სწყუროდა (ი.წიავე.). გზებს ვიკვლევდით უზო ადგილების გავლით (ბ.ჩხეიძე). ერთ კუთხეში ბალიშებით ზოფენილი ტახტი იღვა (ა.ბელი.). მთელი ქალაქი ყვავილებით სავსე გოლორს აგაგდა (რ.გვერ.). (სიტყვა „სავსე“ ზედსართავად ქვეული ნაზმნარი სახელია). მასწავლებლად მუშაობა სასიკალოა.

შენიშვნა: უბრალო დამატების არა თავის ადგილას გამოყენება აბუნდოვანებს ზრახვის აზრს. მაგალითად წინადადებაში: ამაჟამად თითქმის ყველა დაავადებული ეპილეფსიით იკურნება - შემდეგი აზრით გადმოცემული: ყველა დაავადებული იკურნება ეპილეფსიით, ე.ი. ეპილეფსია არის სამკურნალო საშუალება, რაც, რასაკვირველია, უაზრობაა ამიტომ ამ წინადადებაში აზრის სწორად გამოსახატავად სიტყვები ასე უნდა იყოს დალაგებული: ამჟამად ეპილეფსიით დაავადებული თითქმის ყველა იკურნება.

4. გარემოება ნაზმნარი სახელით გამოხატულ წევრთან

გარემოება იხმარება ნაზმნარი სახელით გადმოცემული წევრის წინ, მაგალითად:

1) ყოველთვის ამაყად მოსაუბრისათვის დღეს პირში სიტყვა გაენწყვიტა (ა.ყაზბ.). უკვირებ ნაზად დახრილ იას (ა.წერ.).

2) ამის გამო ვიწყვეთ ნელ-ნელა ძირს ჩაიოსება (ნ.ლომ.). მთიდან ბარად მომდინარე არწივი მის კენწეროზე რსვენებდა. (ვ.ფშავე.).

3) იგი მზე შენ ხარ, ყოველ დღით ამოწავალი (ს.შანშ.). ხანდახან, კვირამი ერთხელ თუ ორჯერ, ჩემს ბერნიერებას შეაფერხებდნენ ხოლმე სასახლიდან ჩემ სანახავად გამოსულები (ა.წერ.).

გარემოება წინადადებაში იხმარება აგრეთვე ზედსართავი სახელით და ზმნიზღოთ გამოხატული წევრის წინ, მაგალითად: განსაკუთრებით ღამაზე ბაღია. უაღრესად კარგი ალბანაგი მყავს. სულ მალე ავიდა.

ამასთანავე სრულიად თავისუფლად შეგეძლოა დავლა-დათვლიერება მთელი ეენახისა (ნ.ლომ.).

5. კითხვითი ზმნიზებები და ნაცუალსახელები შეშასმენელთან

კითხვითი ზმნიზებები იხმარება შეშასმენლის წინ, მაგალითად: სად ისწავლევ? როდის თესენ სიმინდს? რანაირად იზრდება? როგორ არის დედა? რამდენჯერ მისწერე წერილი? რატომ ატამდის არ მიხხარით? რისთვის გამოგზავნენ?

შეშასმენლის წინ დაისმის აგრეთვე კითხვითი ნაცუალსახელები: ინი მოდის ჩემთან? რა შოიტანა მაშამ? ვისი იმედი გაქვს? რას ამბობდი წელან?

შეშასმენლის წინ იხმარება უარყოფითი ნაცუალსახელებიცა და ზმნიზებებიც: არავინ დასწრებია, ვერავინ გაიგებს. ნურავინ გააგებინებს; არსად წასულა. ვერსად იპოვა. ნურსად გააშხელს; არასოდეს ჩამორჩენილა. ეერასოდეს ნახავს. ნურასოდეს იტრუებს.

§ 71. სიტყვათა გათიშული წყობა

ერთზე მეტსიტყვიან წინადადებაში ერთმანეთთან შინაარსობრივად და გრამატიკულად დაკავშირებული წევრები ქმნიან გარკვეულ სინტაქსურ წყვილებს. წინადადების აზრი ნათელია, როცა სინტაქსურ წყვილში შემავალი წევრები ერთადაა, ე.ი. ერთმანეთისგან არ არის გათიშული, მაგრამ ზოგჯერ ამას ნაკლებად ექვევა ყურადღება და ასეთ წევრებს ერთმანეთისგან თიშავენ ერთი ან რამდენიმე სხვა წევრით, რაც საგრძნობლად ამძიმებს სტილს და აძნელებს წინადადების შინაარსის გაგებას. ამგვარად აგებული წინადადება წაკითხვისას მოთხოვნს ყურადღების შეჩერებას, გონების დაძაბვას, შიორედ წაკითხვასაც კი და მაინც რეძალდება იგი ორანზროვანი ან სრულიად გაუგებარი დარჩეს. ანაას უშთაერესად იწვევს მსახლერელის გათიშვა სახლერელისგან, თუშვა შეინიშნება წევრთა გათიშვის სხვა შემთხვევებიც.

I. მსახლერელ-სახლერელის გათიშვა:

მსახლერელი არამთავარ წევრთაგან ყველაზე უფრო მჭიდროდ უკავშირდება სხვა (სახლერულ) წევრს, ამიტომ მათი გათიშვა საგრძნობლად აძნელებს წინადადების აზრის გაგებას, მაგალითად: შეიჰარა ორი ერთმანეთზე; სამჭრაოდ გამოსული ჯარი საომრად (ი.კავკ.). მშაწმინდაზე მღაგომი მგოსანი კმაყოფილებით ვადაწყურებდა საწვა-რელ ყველა ქარაყელისთვის თბილისს (ამოღებულია მისწავლის ნამუშევარი).

ამ წინადადებებში სიტყვები ცუდად არის დალაგებული. უნდა ყოფილიყო ასე: ერთმანეთზე სამტროდ გამოსული ორი ჯარი საომრად შეიკიარა ან: შეიკიარა საომრად ერთმანეთზე სამტროდ გამოსული ორი ჯარი.

მოაწმინდაზე მღვთმი მგოსანი კმაყოფილებით გადაწყურებდა: ეცლა ქართველისთვის საყვარელ თბილისს.

არ უნდა გაითიშოს მსაზღვრელ-საზღვრული, თუ მათ შორის არის არსებითი სახელით გადმოცემული წვერი, ცინაიდან ასეა შემთხვევაში წინადადების აზრი ბუნდოანია, მაგალითად:

განვიერი ქალაქის ქუჩის პირას მშვენიერი ბაღია.

ამ სამშობლოსთვის თავგანწირულმა ადამიანმა ღივი სიკეთე უკუ ქვეყანას.

ეცუღმოდებული მტრის თვითმფრინავი ისარივით დაეშვა ძირს.

ყოველს საქართველოს მეგობარს მოყვრულად ეპყრობოდა (ი.გოგ.). გათენების ჟამი იყო, როდესაც მაცი თეკლასა და შიდალიდს შუა შევიდა ერთს საშინელს ყრუ მუხის ხის ტყეში (ა.ღურც.).

ესლა აქ არის ერთი ჩემი ქმრის შორეული ნათესავი ლევან... ძე (ა.ყაზბ.).

ევირა ღღეს და ყოველ სადამოს აქ იყრიდა თავს მრავალი ბათუმის ახალგაზრდობა (ღ.კლდ.).

მოყვანილ წინადადებებში მსაზღვრელი „განვიერი“ წინადადების შინაარსის მიხედვით უნდა ახლდეს სიტყვას „ქუჩის“, მსაზღვრელი „ამ“-სიტყვებს; „თავგანწირულმა ადამიანმა“, მსაზღვრელი „ეცუღმოდებული“ - სიტყვას „თვითმფრინავი“, მსაზღვრელი „ყოველს“ - სიტყვას „მეგობარს“, „ყრუ“ სიტყვას „ტყეში“, „ერთი“ - სიტყვას „ნათესავი“, მსაზღვრელი „მრავალი“ კი - სიტყვას „ახალგაზრდობა“.

გაზ. „კომუნისტის“ 1954 წლის 3 მარტის ნომერში პირველ გვერდზე ეხვდებით შესიტყვებას: „ახალი მაჯის საათი“. ამ შემთხვევაში „მაჯის საათი“ ერთი ცნების გამომხატველია, მყარი გამონათქვამია, ამიტომ ბუნებრივია მის წინ გიხმართ მსაზღვრელი „ახალი“, მაგრამ მომდევნო წინადადებაში: „ეს ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მინიატურული ქალის საათია“ - ისეა დალაგებული სიტყვები, რომ ქალი გაიშლის მინიატურული და არა საათი. ამ შემთხვევაში სიტყვა „მინიატურული“ უნდა ახლდეს სიტყვა „საათი“.

ერთ სინტაქსურ წყვილში შემავალი წევრები გათიშულია აგრეთვე შემდეგ წინადადებაში: აქაქის მრავალმხრივი მიღწეობის ერთ-ერთი თავლსარინო მაგალითს წარმოადგენს ნისი სენანეთის აჯანყების მონაწილე გლეხების დამიყვლად გამოსვლა სასამართლოში („ლიტ.გაზ.“ 25.XI. - 1960, გვ.2). აქ ნავთვლსახელი „მისი“ უანსაზღვრავს ნა-

ზმნარ სახელს „გამოსვლა“ და მათი გათიშვა არ არის სასურველი. უნდა იყოს: ... მისი გამოსვლა ... დამცველად სასამართლოში.

ზოგჯერ, რომელ სიტყვას ეკუთვნის გათიშული მსახვერელი, ბრუნვის ფორმიდან გამოიყნობა, მაგრამ მსახვერელსაზღვერულის გათიშვა სტილისტიკურად არც ამ შემთხვევაში არის სასურველი. მაგალითად, წინადადებაში - „თბილმა გაზაფხულის ნიაგმა თმა აუშალა“ (ა.სულ.), მსახვერელი „თბილმა“ მოთხრობითში ღვას და ნათლად ჩანს. რომ იგი ეკუთვნის სიტყვას „ნიაგმა“ და არა მომდევნო სიტყვას „გაზაფხულის“, მაგრამ სიტყვათა ასეთი წყობა შინაშე არ არის ბუნებრივი. ამიტომ უნდა იყოს ასეთი: გაზაფხულის თბილმა ნიაგმა თმა აუშალა.

სიტყვათა მსგავსი უმართებულო წყობა გვაქვს შემდეგ წინადადებაშიც: მისმა სწორუბოვარმა სიტყვის ძალამ დავიწყების ფერდლოთ ღაფარა სინამდვილე კოლხი ქალის ტრაგედიისა (გაზ. „ახ.კომ.“ 2. III.1961, გვ.3). უმჯობესი იქნებოდა: მისი სიტყვის ს წ ა რ მ ა ძ ა ლ ა მ დავიწყების ფერდლოთ ღაფარა სინამდვილე კოლხი ქალის ტრაგედიისა.

სტილისტიკური თვალსაზრისით ასევე მიუღებელია მსახვერელსაზღვერულის გათიშვა შემდეგ ფრაზებში: ახალი ჯანმრთელობის კერა. ღვეანდელი რადიოგადაცემათა პროგრამა. მთელი ფრინველთა გუნდი წამოიშალა... (ვ.ფშავ.).

ამრიგად, აღნიშნულ შემთხვევებში უნდა ვიხმაროთ მსახვერელსაზღვერულის კონტაქტური და არა დისტანციური შეკავშირება (გაზონაკლის სახით ეს უკანასკნელი შეიძლება დაშვებულ იქნეს მხოლოდ დექსში, თუქვა არც იქ არის იგი ყოველთვის განმარტლებული).

მაგრამ, როცა მსახვერელი და საზღვერული მხოლოდ ზმნააქციასმენლითაა გათიშული, რაც ხშირად გვხვდება პოეზიაში, მაშინ დისტანციური შეკავშირება დასაშვებია, რადგან ასეთ შემთხვევაში წინადადების აზრი გასაგებია, მაგალითად: თემურისაქცენ ცხენს ავეჩქარე, რადგან სიკვდილი მსურდა კაცური (გ.აბაშ.). ორი მოხუცი გვახლდა ზღაპრული (ს.ჩიქ.).

ამ წინადადებებში კარგად ჩანს მსახვერელსაზღვერულის აზრობრივი კავშირი, მიუხედავად იმისა, რომ მსახვერელი საზღვერულისგან გათიშულია.

როცა წინადადებაში ერთადაა ატრიბუტული და გენტიური მსახვერელი, გვაქვს სინტაქსური დამოკიდებულების ორი სახე: 1) განსახვერების განსახვერება და 2) ორი განსახვერება საერთო საზღვერულთან. ერთ შემთხვევაში ატრიბუტული მსახვერელი განსახვერავს გენტიურს, გენტიური კი - საზღვერულს, ბოლო შემთხვევაში ატრი-

ბურთული და გენერირი მსაზღვრელები ერთად განსაზღვრავენ საზღვრებს.

მაგალითად, წინადადებაში „ჩემს გვერდით ცხოვრობს პატარა ეთერის ძმა“ პატარა განსაზღვრავს ეთერის, ეთერი კი ძმას და თუ გადაესვით ატრიბუტული განსაზღვრება, აზრი შეიცვლება: „ჩემს გვერდით ცხოვრობს ეთერის პატარა ძმა“. მეორე შემთხვევაში კი გენერირი განსაზღვრება შინაარსობრივად ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული თავის საზღვრულთან, რომ ისინი სინტაქსურად მუარ შენაერთს ქმნიან და ამის გამო ატრიბუტული მსაზღვრელი ცალკე გენერირი მსაზღვრელს კი არ განსაზღვრავს, არამედ საზღვრულს მასთან ერთად. ასეთ შემთხვევაში წინადადების აზრი ადვილად გასაგებია, მაგალითად:

დიდი ურმის თვალი, ძველი ფიჭვის ტყე, მწერალთა დიდების პანთეონი, პატრიცეშული ისტორიის მასწავლებელი; მადლობზე იგაბი ჩრსარ-თელიანი ქვიტკირის სახლი, ეზოში დიდი კაკლის ხეა, რევაზმა ახალი ხის სახლი ააგო. უბის ჯიბიდან ერთი ცალი ქაღალდის ფული ამოიღო... (ლ.ქიარ.). იგი, თითონ ზორბად მოსული, იჯდა ერთს პატარა მთის ცხენზე... (ი.ჭავჭავ.). (და არა: დიდების მწერალთა პანთეონი, ურმის დიდი თვალი, ფიჭვის ძველი ტყე და სხვ.).

2. გარემოებისა და შემასმენლის გათიშვა:

გარემოება თავისი შინაარსით მჭიდროდ არის დაკავშირებული შემასმენელთან. განსაკუთრებით ეს ითქმის ცითარების გარემოებაზე, რომლის დაშორება შემასმენლისგან აძნელებს წინადადების აზრის გაგებას, მაგალითად: ცეცხლივით ჩვენი ტრიალებს ხანა (გ.ტაბ.). წამოხტა კაკო ლომივით ზეზე (ი.ჭავჭავ.). ბააკამ ნელენელა ბავშვს ხელი გამოაცადა (რ.გვობ.). (წყალი) ზარითა და ზეიმით ზვალევისაკენ მიექანება. აქ კი გაგულდვიდებული ... მშვიდობიანად ტალღებს ტალღებით მოაგორებს (ა.წერ.).

სინტაქსური წყვილების გაუთიშავად ხმარება თუ ლექსში ყოველთვის ვერ ხერხდება, პოეზიაში ან ჩვეულებრივ მეტყველებაში მათი ერთმანეთისგან გათიშვა სტილისტიკურად გაუმართლებელია. ზემოთ დასახელებულ წინადადებაში გარემოება და შემასმენელი ერთმანეთის გვერდით რომ ყოფილიყო, აზრი უფრო ადვილად გასაგები იქნებოდა, მაგალითად: ბააკამ ბავშვს ხელი ნელენელა გამოაცადა; (წყალი) ზვალევისაკენ ზარითა და ზეიმით მიექანება, ... მშვიდობიანად მოაგორებს ტალღებს ტალღებით და სხვ.

სტილისტიკურად ასევე ცუდად არის დალაგებული სიტყვები შემდეგ წინადადებაში: მე თითქმის ყურადღებას არავინ მატყვევდა (ა.წერ.). უნდა გენაზათ მამინ, რადესაც ავად ვინმე გახდებოდა (ა.წერ.). ის კარგად სკოლაში ყველა საგანს სწავლიდა.

პირველ წინადადებაში ნაწილაკი „თითქმის“ უნდა ახლდეს სიტყვას „აბრინ“, მორეუნი სიტყვები „იგივე გახედავდა“ უნდა იყოს ერთად. შესამდე წინადადება კი ასე უნდა გაიმართოს: ის სკოლაში ყველა სა-
განს კარგად სწავლობდა.

3. შედგენილი შემასმენლის თანასაერთობა და საერთოს გათიშვა:

შედგენილი შემასმენლის თანასაერთობა, როგორც სახელიად ნაწილ-
თან, მსაზღვრელის (ან სხვა წევრის, მაგ. ი. უბრალო დამატებისა და
გარემოების) გამოყენება რველუბირი მოვლენაა, ხოლო, როდესაც
ასეთ შემთხვევებში საერთო წინ უსწრებს თანასაერთს, ხდება მათი
გათიშვა, მაგალითად:

ეს კაცი გახლავთ ახალგაზრდა მასწავლებელი. მათი სკოლა არის
კარგი ინტერნის აშენებული. ბინა მალე იქნება ღამაზად მორთული.
უმრავლესობა იყო რვენი მოწინავე ქარხნის მუშა. ჩიტები გახდნენ
მისი ხშირი სტუმრები (ი.გ.გ.).

შედგენილშემასმენლიან წინადადებაში სიტყვათა ასეთი წყობაც
დასაშვებია, მაგალით, თუ საერთო ლოგიკური მახვილით არ არის გამო-
საყვნი, უმჯობესია იგი თანასაერთის შემდეგ გადავიტანოთ, არ და-
გაშორდეს მას და წინადადებაში ასე ავიტანოთ:

ეს კაცი ახალგაზრდა მასწავლებელი გახლავთ. მათი სკოლა კარგი
ინტერნის აშენებულია. ბინა მალე ღამაზად მორთული იქნება. უმრავ-
ლესობა რვენი მოწინავე ქარხნის მუშა იყო. ჩიტები მისი ხშირი
სტუმრები გახდნენ.

გახედავდა ისეთი წინადადებაშიც, სადაც ღანართი, განკარგუბული
განსაზღვრება და გარემოება გათიშული ასახსნელი წევრისგან. სიტ-
ყვათა ასეთი წყობა პრინციპში ამომიშვს სტილს და აბუნდოვებს წინა-
დადებას აზრს, მაგალითად:

4. ღანართის გათიშვა ასახსნელი წევრისგან:

ღიბს, ღვეს ღაღამ მიიღო ქება, როგორც სამაგალითო მწყემსმა,
და აგრეთვე კაპანათიც (ი.რეგ.). მე გაკერით, როგორც მუშავენი,
ფიხსენებ მას, რაც მისგან გამოვიგონო (ი.გადგ.). ზატარია ურჯულს
ფატი გახლავთ, ბესარიონი (ა.ბეგ.).

უმჯობესია იყო ასე: ღაღამ, როგორც სამაგალითო მწყემსმა...
მე, როგორც მუშავენი... ფატი, ბესარიონი, გახლავთ.

5. განკერძოებული განსაზღვრების გათიშვა
ასახსნელი წიგრისგან:

კიდევ უფრო მეტად აძველებს წინადადების აზრის გაგებას ასახსნელი წიგრისა და განკერძოებული განსაზღვრების გათიშვა. მაგალითად: დარეჯანმა მეორე ცხენით გასწია ქიზიყს, თავისებურად მორთულმა (ვ.ფშაე.). კომბლები კი იდლიაში ეჩარბათ, წინ წამოშვერილები (ი.ჭავჭავ.). მათ შორიანხელ კურდღლის ბაჭია მდელოსა ძოვდა, ნორჩად მოყვნილს (პ.ცახ.).

უნდა იყოს: დარეჯანმა, თავისებურად მორთულმა... კომბლები, წინ წამოშვერილები... მდელოსა, ნორჩად მოყვნილს...

6. განკერძოებული გარემოების ვათიშვა
ასახსნელი წიგრისგან:

იგივე ითქმის განკერძოებულ გარემოებათა ადგილის შესახებ, მაგალითად: აქ კიდევ შეიძლება შევლებ, ამ მორევში... (ა.წერ.). მხოლოდ ერთხელ ვიყავი აქ, ისიც ბავშვობაში... (ს.კლდ.). დათესილი მიწის ერთ ნახევარში... მხოლოდ გაზაფხულზე გნახე, ე.ი. მიანში, თესლმა ნაყოფი გამოიღო (ს.მგაღ.).

ასახსნელი სიტყვისგან განკერძოებული წიგრების გათიშვა პოეზიაში უფრო დასაშვებია. მაგალითად:

კერა მანინე არ ჩამქრალა, ნაღვლით ნამწვარ-ნაღვენთალი (ა.მირჯ.).
წყალი ზღვაში წაეიდა, თავის პირველ ბინაში (ა.აბაშ.).

ამგვარად, წინადადების ორგანიზების თავიდან ასაცილებლად შინაარსობრივად და გრამატიკულად ერთმანეთთან დაკავშირებული წიგრების გათიშვას უნდა ევრიდოთ, ენაში არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სიტყვათა რიგი სწორად არის დატული, მაგრამ წინადადების შინაარსი მანინე ორგანიზაცია. ასეთია მაგალითად, როცა ზმნის საწყისთან დაკავშირებული გენტიური სახელი და გაურკვეველია-ეს სახელი მოქმედების სუბიექტია (ე.ი. სუბიექტისებრი უბრალო დამატება) თუ მოქმედების ობიექტი (ე.ი. ობიექტისებრი უბრალო დამატება), მაგალითად:

ძმის ქებამ გული გაუხარა, ამხანაგის ღანძლვამ ადაშფოთა, ქალის ტირილი დიდხანს არ შეწყვიტია.

ამ წინადადებაში ნათლად არ ჩანს: ძმამ აქო თუ ძმა აქეს, ამხანა-

ნაგი იღანძღებოდა თუ ამხანაგს ღანძღადენ; ქალი ტირიდა თუ ქალს ტირიდა. აზრის სიუხადისთვის საჭიროა ან კონტექსტის გათვალისწინება, ან წინადადების ადნაგობის შეცვლა.

§ 72. სტილისტიკის საკითხები შერწყმულ წინადადებასთან დაკავშირებით

შერწყმული წინადადება შეიცავს რამდენიმე ერთგვარ წევრს. შერწყმულ წინადადებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია:

1) სიტყვათა წყობა, 2) წევრთა ერთგვარობის დაცვა, 3) ჩამოთვლის დამთავრების გამოხატვა, 4) თანდებულების მართებულიდ ხმარება, 5) კავშირის სწორად გამოყენება.

სიტყვათა წყობა შერწყმულ წინადადებაში

1. მსახვერდელის ადგილი ერთგვარ სახვერდებთან

შერწყმულ წინადადებაში საერთო მსახვერდელი ღიბისმის ერთგვარი სახვერდულების წინ:

მოწინავე მუშები და ხელმძღვანელები სიგულებით დააჯილდოვეს. მისი სახელი და ეზო ძალიან ღამაზი იყო. ჩემი და და მამა პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობენ. მას უყავს იტესი ქალი და ვაჟი. მაგიდაზე იწყო ახალი წიგნები და ჟურნალები.

ამ წინადადებაში საეჭვო არ არის, რომ მსახვერდელი ორივე სახვერდულს განეკუთვნება. ეს უფრო ნათლად ჩანს თანდებულებთან, რომლებიც ერთმანეთთან „და“ კავშირით არის შეერთებული და ამის გამო პირველი სახელი თანდებულის განმეორების თავიდან ასაცილებლად ბრუნვის გაცრუბილი ნიშნით იხმარება:

ღამაზ ბაღებსა და ეზოებში . . .

მაშალ გორაკებსა და მთებზე . . .

ბეჯითი ქალისა და ვაჟისთვის . . .

მაგრამ ზოგჯერ ძნელი გასაგებია, მსახვერდელი ყველა ერთგვარ წევრს განეკუთვნება თუ მხოლოდ ერთს, მაგ.:

პატარა გოგი და ნუნუ შინ წავიდნენ.

ბავშვს ხელში ეჭირა ხუთი კალამი და კალმისტარი.

ჩემი და და მეზობელი ტკბილად საუბრობდნენ. . .

ამიტომ უნდა გითვალთ შეშფოთი: რა უნდა იქნას მისხვერდელთან

ამჟამად, მსახვერდელი ეკუთვნის მხოლოდ პირველ წევრს, მაშინ

იგი თავისი საზღვრულით შეიძლება დარჩეს ბირველ ადგილზე, მაგ.: მალე გამოჩნდა ცისფერი ტბა, ხევი და კლდე. (აქ წინადადების შინაარსიდან ჩანს, რომ ცისფერი არის მხოლოდ „ტბის“ მსაზღვრელი, ცინაიდან ცისფერი არ შეიძლება იყოს არც ხევი და არც კლდე). მაგრამ, როცა შინაარსით ძნელი გასაგებია მსაზღვრელი ერთ საზღვრულს განეკუთვნება თუ ყველას, მაშინ აზრის სიცხადისთვის მსაზღვრელი თავისი საზღვრულით მეორე ადგილას უნდა გადავსვათ:

ნუნუ და პატარა გოგი შინ წავიდნენ.

ბავშვს ხელში ეჭირა კალმისტარი და ხუთი კალამი.

მეზობელი და ჩემი და ტკბილად საუბრობდნენ.

მსაზღვრელის ადგილს დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მაშინ, როდესაც მსაზღვრელიანი ერთგვარი ქვემდებარეები რიცხვშია შესაბამისმებელი შემასმენელთან. მაგალითად, ძნელი გასაგებია შერწყმული წინადადების შინაარსი, როცა მხოლოდითი დასმულ რამდენიმე აქტიურ ქვემდებარეს წინ ახლავს რაოდენობის აღმნიშვნელი მსაზღვრელი, რომელიც აზრობრივად შეიძლება ან ერთ ქვემდებარეს ეკუთვნოდეს, ან ყველას. მაგალითად, წინადადებაში: რამდენიმე მამაკაცი, მანდილოსანი და ქალიშვილი ტკბილად ბაასობდა. როცა მსაზღვრელი „რამდენიმე“ (ასევე ორივე, ხუთივე, სამი, ათი...) განეკუთვნება ყველა აქტიურ ქვემდებარეს, შემასმენელი მხოლოდითი უნდა დაისვას, მაგრამ, თუ ეს მსაზღვრელი მართლ ერთ აქტიურ ქვემდებარესთან არის გამოყენებული, მაშინ შემასმენელი სხვა აქტიურ ქვემდებარეებსაც გაუწევს ანგარიშს და მრავლობითში დადგება: რამდენიმე მამაკაცი, მანდილოსანი და ქალიშვილი ტკბილად ბაასობდნენ, (ე.ი. რამდენიმე მამაკაცი, ერთი მანდილოსანი და ერთი ქალიშვილი ბაასობდნენ), მაგრამ ასეთი წყობით ამის გაგება ძნელია, ამიტომ სტილისტიკურად საჭიროა ასეთ შემთხვევაში მსაზღვრელიანი ქვემდებარე ბოლოს გადავიტანოთ და აზრიც ნათელი იქნება: მანდილოსანი, ქალიშვილი და რამდენიმე მამაკაცი ტკბილად ბაასობდნენ.

ზემოთ აღწერილ შემთხვევებში თარგმანების თავიდან ასაცილებლად შეიძლება მსაზღვრელი კი არ გადავსვათ, არამედ მეორე საზღვრულთანაც დავსვათ სათანადო მსაზღვრელი, მაგ.:

პატარა გოგი და მისი და ნუნუ შინ წავიდნენ.

ჩემი და და მისი მეზობელი ტკბილად საუბრობდნენ.

ხელში ეჭირა ხუთი კალამი და ერთი კალმისტარი და სხვ.

იმ შემთხვევაში, როცა მსაზღვრელი ყველა ერთგვარ წევრს უნდა დაეკუთვნებოდეს, მაგრამ მისი წინ დასმა ნათლად ვერ არკვევს ამას, თუ შესაძლებელია, მივმართავთ მსაზღვრელის განმეორებას, მაგ.:

პატარა გოგი და პატარა ნუნუ შინ წავიდნენ.

ხელში ეჭირა ხუთი კალამი და ხუთი კალმისტარი.

(ეს ასედაც შეიძლება ითქვას: ხელში ეღირსა ხუთხუთი კალაში და კალმისტარო).

თუ წინადადება იძლევა ამის საშუალებას, შეიძლება საერთო მსახვერელი ერთგვარი წევრების შემკრებ სიტყვებზეც გიხმაროთ და დაესვათ წინ, მაგ.:

პატარები-გოგო და ნუნუ-შინ წაგიდნენ.

2. განმაზოგადებელი სიტყვის ადგილი შერწყმულ წინადადებაში

შერწყმულ წინადადებაში განმაზოგადებელი ანუ შემკრები სიტყვა იხმარება ერთგვარი წევრებით გამოხატულ მნიშვნელობაზე გამოერთმანებად.

ასეთი სიტყვებია ნაცვალსახელები: ყველა, ყველანი, ყველაფერი; რიცხვითი სახელები: ორივე (ორნივე), სამივე (სამნივე)... და გვაროვნული ცნების გამოხატველი არსებითი სახელები: წევრები, მოსწავლეები, ნათესავები, მცენარეები, მდინარეები, ზღვები, მთები... აგრეთვე ზმინიზებები-ყველგან, ბევრნაირად, მრავალნაირად და სხვ.

განმაზოგადებელი სიტყვა წინადადებაში იხმარება ერთგვარი წევრების წინ ან ბოლოს. იგი არ უნდა გამოიშოს ჩამოთვლილი საგნების აღმნიშვნელი სიტყვებისგან, მაგალითად:

1) განმაზოგადებელი სიტყვა ერთგვარი წევრების წინ:

როდესაც შერწყმულ წინადადებაში განმაზოგადებელი სიტყვა ერთგვარი წევრების წინაა დასმული, შემთავსებელი წინ უსწრებს მას, მაგალითად:

აქ იყვნენ სულ ყველანი: ბებიაჩემი, დედა და სამი, ჯერ ახალგაზრდა, უკოლშვილა ბიძა (ნ.ლმ.). მერ თანა მყვანან რკინისა ძმები: ჩემი სიამა, დამბარა, ხმალი (ი.გაგვ.). ამას იძახდნენ სტუმრად მოწვეულნი ფრინველნი: ჩხიკენი, ქერონები, წიპრები, ნიბლიები, კაკები, ვნოლები, ღაბემძვრადები, ბოლცუხლები, გიფშაენი, კოდალები, გვრიტნი, მტრედნი და სხვანი მრავალნი (გ.ფშავ.). მოსკოლდენ მოკეთები: კრუხნი, მამლები, ცარიბა, ნათესავები კრუხისა, მთელი იმისი გვარია (გ.ფშავ.). ტყეში მიდიოდნენ სამნი: ორი უფროსი ბიძა და მამაჩემი (ნ.ლმ.). ამ სასიქაფულა ქვეყნის სასამახურში ყველაზე მტრად დაწინაურებულია ორი მნათობი: ცისკარი და ხარისთვალა (ი.გოგ.).

... და სტრიქონებიც დაგიშაად სხვადასხვაგვარი: ხან უღბილესად მოხაზული, ხან წიღმავარი (ქ.გვი.). ამით შეფრთხილებულ

ბუნებას თავისი ერთგული მოციქულები დაეგზავნა ყველგან ტყვესა და ხევენი, მთასა და ვაკეში... (ლ.ქიარ.).

(და არა: სულ ყველანი აქ იყვნენ: ბებიაჩემი, დედა და სამი, ჯერ ახალგაზრდა, უცლშვილი ბიძა და სხვ.).

მეგვრამ, ჩაღესაყ ერთგვარი წიგნები წინადადების შუაშია და მათ წინ ახლავს ღანმანათლებელი სიტყვა, შემასმენელი დაისმის ღანმანათლებელი სიტყვის შეშვევა: მის კლასში ყოველ - დიდი და პატარა - თანასწორად სმენდა იყო გადატყუარი (ა.წიქ.).

ღანმანათლებელი სიტყვა ერთგვარი წიგნების შემდეგ:

ჩაღესაყ შერწყმულ წინადადებაში ღანმანათლებელი სიტყვა გამოყენებულია ერთგვარი წიგნების შემდეგ, შემასმენელი დაისმის მის ბოლოს, მაგალითად: კაცი, მხეცი და ჩიტები - ყველა საქმის პიკლებს ხელსა (რ.ერ.). დიდი და პატარა - ყველა ფათისაკენ გარბოდა (გ.წიქ.). ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო - ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო (დ.მეგრ.). ეთერი, ცანო და ნიკო - სამივე ინსტიტუტში სწავლობს.

(და არა: დიდი და პატარა - ფათისაკენ გარბოდა ყველა და სხვ.).

ღანმანათლებელი სიტყვა ერთგვარი წიგნებისგან გათიშული იშვილდად გვხვდება. მაგალითად: ახმეტაში ყველაფერი მალაშოდ ტყეება ჩემს გრძნობა-გონებას, მიწა, წყალი, მთა, კლდე, ტყე და ველი (ა.წიქ.).

სტილით თვალსაზრისით ღანმანათლებელი სიტყვის გათიშვა ერთგვარი წიგნებისგან სასურველი არ არის. იგი დასაშვებია მხოლოდ პოეზიაში, სადაც ხშირად გვხვდება კიდევ: მე გახლავარ ზამბახი, პეპლებს ამბოხი, ქიანწიფოდა, პეპელა-მე მიხვდება სულ ყველა (რ.ერ.). მოვიდა ჯაგი ნადირთა ანგარიშამიწიფოშვილი. ირემი, თხა და კანჯარი, ქურციკი მადლა მხტომელი (მ.რუსთ.). სამი რამ უნდა მიყვარდეს: სწავლა, შრომა და გმირობა (ი.გარიშ.).

3. ერთგვარ წიგნთა წყობა რაოდენ კაცშირებათ

შერწყმულ წინადადებაში სიტყვათა ბუნებრივი წყობის დარღვევა შეინიშნება უმთავრესად რაოდენ კაცშირებათ ან კაცშირის მნიშვნელობით გამოყენებულ ღანმანათლებელ ნაწილაკობათ. ამ ტიპის წინადადებაში კაცშირი უნდა ბრუნდებოდეს ერთგვარ წიგნებს, ე.ი. ისეთ წიგნებს რომლებიც ერთნაირი სინტაქსური ფუნქციის მიხედვით, გადმოცემულია ერთი და იმავე მატყველებს სწავლით და ფორმით და შინაარსობრივად დაკავშირებულია ერთ საერთო, ევრთან, მეგვრამ ზოგჯერ ეს უგულებელ-

კოფილია და წინადადებაში რომელიმე წევრის უმარაგებულ ადგილას დასმის გამო დაშვებულია სტილისტიკური შეუღობა-კავშირი გამოყენებულია არა ერთგვარი წევრების შესატრებლად, მაგალითად:

1) კავშირის მნიშვნელობით გამოყენებულ განმეორებულ ნაწილაკებთან:

ბავშვი იმეოან მოდიოდა, იმეო ეკარებოდა სხვას. (უნდა იყოს: ბავშვი იმეოან მოდიოდა, იმეო სხვას ეკარებოდა). ცერე იშოვა საჭმელი, ცეღარე წყალი დალია. (უნდა იყოს: ცერე საჭმელი იშოვა, ცეღარე წყალი დალია). ნურე უზამ სხვას ცუდ საქმესა, ნურე სხვისგან დაირაგრები. (უნდა იყოს: ნურე სხვას უზამ ცუდ საქმესა, ნურე სხვისგან დაირაგრები).

2) მაპირისპირებულ კავშირებთან:

დედა უკითხავდა არა მარტო ზღაპრებს, არამედ უხსნიდა კიდევ. (უნდა იყოს: დედა ზღაპრებს არა მარტო უკითხავდა, არამედ უხსნიდა კიდევ).

3) მაცალკევებულ კავშირებთან:

ის დასვენების დღეს აკრებდა ან თავის საქმეს, ან ასერიწებდა ბავშვს. (უნდა იყოს: ის დასვენების დღეს ან თავის საქმეს აკრებდა, ან ასერიწებდა ბავშვს).

დღიდან საღამომდე ხან დასდევდა ჩიტებს, ხან პეპლებს. (უნდა იყოს: დღიდან საღამომდე ხან ჩიტებს დასდევდა ხან - პეპლებს).

ზემოთ მოყვანილია წინადადებები, რომლებიც სტილისტიკურად არ არის გამართული ერთგვარი წევრებიდან რომელიმე უმარაგებულ ადგილას დასმის (კავშირიდან დაშორების) გამო, მაგრამ ენაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ამა თუ იმ კავშირით შეერთებულია შინაარსით და ფორმით სრულიად განსხვავებული სიტყვები, მაგალითად:

ჭრელას მაშინ აღარე კბენის თავი პტონდა, აღარე ყრფდა. (უნდა იყოს: ჭრელას მაშინ აღარე კბენის თავი პტონდა, აღარე ყრფსა).

მოვიდოდა და დაადებოდა თავზე ან აცადმყოფს, ან მასთან ახლა დაჯდებოდა. (უნდა იყოს: მოვიდოდა და აცადმყოფს ან თავზე დაადებოდა, ან დაჯდებოდა მასთან ახლა).

წარმატებას მიადწინა რაგარე ხენაში, ისე ჩქაროსნული მეთაღით დათენა მთელი ფართობი. (უნდა იყოს: წარმატებას მიადწინა რაგარე ხენაში, ისე მთელი ფართობის ჩქაროსნული მეთაღით თენავაში).

ბრასწორად არის ატვირთული აგრეთვე შემდეგი შერწყმული წინადა-
დებები:

იგი ნამდვილი და სრული ორეულია არა მარტო არქიტექტურულად,
არამედ ექსპონატინითაც (ე.ზედგ.). (აქ უმარტოებულად არის გააზრ-
ებული ერთგვარ წიგნებად ციფრების გათვლითა „არქიტექტურულად“ და
უბრალოდ დამატება „ექსპონატინითაც“).

... შეცვლარა მათი თავი და მათი ოჯახი არათუ მიუზღებდა, სი-
ფის გადაღმაც (დ.კლდ.).

(აქ ბრასწორად ერთმანეთს უკავშირდება პირმომართი დამატება
და იდეალის გათვლითა).

... კარგად იცის არა მარტო ხერხები მჭერმეტყველებისა, არა-
მედ შინაგან ძალასაც ამჟღავნებს მასების მოსაწესხადად (კ.გამს.)
(ამ წინადადებაში კავშირით შეერთებულია პირმომართი დამატება
„ხერხები“ და შემასმენელი „ამჟღავნებს“. უმჯობესი იყო ასე: არა
მარტო კარგად იცის ხერხები მჭერმეტყველებისა, არამედ შინაგან ძა-
ლასაც ამჟღავნებს მასების მოსაწესხადად, ე.ი. უნდა შეერთებულიყო
ერთგვარი წიგნები-შემასმენლები).

მისმა აღმზრდებლებმა სახელი მოუხვედრეს არა მარტო სასწავლებელს,
არამედ საპატრიო იდეალის დიკავის ქართულ მუსიკალურ ხელოვნებაში
(გაზ. „მბილისი“, 24.7.1962, გვ.31). (უნდა იყოს: მისმა აღმზრდებ-
ლებმა არა მარტო სახელი მოუხვედრეს სასწავლებელს, არამედ საპატრიო
იდეალს დიკავის...).

შენიშვნა: მსგავსი მოვლენა შეინიშნება რაღაც თანწყობილ წინა-
დადებაშიც, მაგალითად: მაგას შენ გულთან ნურც გაიკარებ, ნურც ის
მიბატყვის მას ყურადღებას (ს.შანშ.). (უნდა იყოს: მაგას გულთან
ნურც შენ გაიკარებ, ნურც ის მიბატყვის მას ყურადღებას. მართალია, ეს
დევს და პოეზიაში თითქოს ზევრი რამ დასაშვებია, მაგრამ მაინც
სასურველია ამ რიგის მოვლენებისგან თავის დაღწევა).

კავშირებთან ხშირია აგრეთვე სიტყვების შეკავშირების ფორმობრი-
ვი დამახინჯება, მაგალითად: ათი კი არა, ორი ბავშვის მოვლაც არ
შეიძლება. (უნდა იყოს: ათი კი არა, ორი ბავშვის მოვლაც არ შეიძლება).

ზოგჯერ შერწყმული წინადადება ერთგვარი წიგნების კავშირებით
შეერთების თვალსაზრისით სტ. ლისტოკურად გაუმართაობის იმის გამო,
რამ მასში ზედმეტად არის გამოყენებული შემასმენელი:

კატას ნაღობისას სინათლე კი არ სჭირდება, არამედ უნდა პე-
ნდეს კარგი ყნოსვა და ბასრი ბეჭყალები. (უნდა იყოს: კატას ნაღ-
ობისას სინათლე კი არ სჭირდება, არამედ კარგი ყნოსვა და ბასრი
ბეჭყალები).

... შეუ სანებებს არქიმედეს არა მარტო გასაჭირსავე, არამედ...

რბდენ სააღერსადაც. (უნდა იყოს: მეტ სახელებს არქმევდენ არა მარტო გასაქირდავად, არამედ სააღერსადაც).

ის აქ არა მარტო შემანქანეა, არამედ აღმრიცხველადაც მუშაობს. (უნდა იყოს: ის აქ არა მარტო შემანქანეა, არამედ აღმრიცხველად მიმუშავეც (ან უფრო მოკლედ-აღმრიცხველიც)).

4. წევრთა ერთგვარობის დარღვევის შემთხვევები შერწყმულ წინადადებაში

შერწყმულ წინადადებაში სტილისტიკური მნიშვნელობა აქვს ერთგვარი წევრების გადმოსაცემად სათანადო სიტყვების შერჩევასაც, წევრთა ჩამოთვლას ერთი ლოგიკური ნიშნის მიხედვით.

ა. გეოზდების აზრით, წინადადებაში სიტყვათა ერთგვარი წევრების ერთიანობა რომ არ დაირღვეს, საჭიროა:

1) ერთგვარ წევრებად დაყოფას პქონდეს ერთი საფუძველი (ე.ი. დაყოფა უნდა მოხდეს ერთი საერთო ნიშნის მიხედვით)

2) დაყოფის წევრები გამოირიხვადენ ერთმანეთს (ე.ი. სხვადასხვა სიტყვით გადმოცემული და შინაარსობრივად ერთმანეთის შემცველი წევრები არ უნდა ირთოდეს ერთ-ერთში).

3) დაყოფა იყოს სრული.

ამ ლოგიკურ მოთხოვნათა აუცილებლობა არა მარტო მდევნიერებაში, არამედ მეტყველების სხვა ენარუბშიც ჩანს იქიდან, რომ მათი დარღვევა ქმნის კომიკურ ეფექტს ისე, როგორც ყველაფერი არალოგიკური¹.

მაშასადამე, წინადადებაში ერთგვარ წევრებად მიჩნეული სიტყვები უნდა იყოს ერთგვარვანი როგორც სინტაქსური ფუნქციის, მეტყველების ნაწილისა და ფორმის, ისე მნიშვნელობის მიხედვით და ლექსიკურად უნდა შეესაბამებოდეს სათანადო გვარობის გამოხატველ შემკრებ სიტყვას. სტილისტიკურად გაუმართლებელია, როდესაც შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ წევრებად ხმარობენ სიტყვებს, რომლებიც სინტაქსური ფუნქციით კი იდენტურია, მაგრამ გვარობის მიხედვით სხვადასხვა საგანს ან მოვლენას აღნიშნავენ ანუ ერთ საგანთან დასახელებულა მორე ისეთი საგანი, რომელიც ლოგიკურად მოსალოდნელი არ იყო, ე.ი. წინადადებაში დარღვეულია ერთმანეთთან დაკავშირებული სიტყვებით აღნიშნული საგნებისა თუ მოვლენების ლოგიკური ერთგვარობა ჩამოთვლის დროს.

მაგალითად, წინადადებაში: მოვიდა წვიმა, მგზავრი, ფაქრი და ქა-

¹ А.Н.Гвоздев - Очерки по стилистике русского языка, 1955, стр. 339-340.

რეზიზალი - სიტყვები: წიგნი, მგზავრი, ფქრი, ქარიზიზალი - ყველა ქვემდებარება, მაგრამ ვეარზის მიხედვით სხვადასხვა საგნისა და მოვლენის აღმნიშვნელია, ამიტომ ეს წინადადება სტილისტიკურად გაუმართლებელია. მაშასადამე, შერწყმული წინადადების ასე აგება არ შეიძლება.

მსგავსი მაგალითებია:

სოფელში იყო სკოლა, მუხა და მდინარე.

მას ძალიან მოეწონა ეს ქალაქი, მადანია, ბადი, ზღვა და სილა-მაზე.

ამრიგად, წევრთა ერთგვარობის დარღვევა შერწყმულ წინადადებაში სტილისტიკურად უარყოფითი მოვლენაა, მაგრამ პოეტები მას ხშირად შეგნებულად მიმართავენ, როგორც ერთ-ერთ მხატვრულ ხერხს. უმთავრესად ლოგიკურად არაერთგვაროვანი ცნებების გამომხატველ სიტყვებს ერთგვარ წვერებად იყენებენ. ან წინადადების შინაარსობრივი ელემენტის გასაძლიერებლად, ან კომიკური ეფექტის მოსახდენად. მაგალითად: ყველგან ველია და ჭრიაშული (გ.ტაბ.).

პრესას, მუსიკას, თავდავიწყებას ეძებს კაფეში და გულს იოხებს (გ.ტაბ.).

ასე ხმაურებს პოეზია, ეფხვი და ქარი (გ.ტაბ.).

დღეს თანასწორად დგანან: მზე, პოეტი და გმირი (გ.ტაბ.).

შენიშვნა: იგივე იმქმის რთული თანწყობილი წინადადების შესახებაც, მაგ.: არსად არ გადაუხვიოთ - ეს გზა სწორზე სწორია; მარცხნივ მხოლოდ ხრამია, მარჯვნივ პრესიტორია (გ.ტაბ.).

კომიკური ელფერის გამომხატველია, მაგალითად, შემდეგი წინადადება:

ღმინის ბოლოს ერთმანეთში აიძია ყველაფერი: ჩხუბი, ბოთლები, კვილი, ციკვა, მრავალგამიერი.

სტილისტიკური დარღვევა გვაქვს მაშინაც, როცა შერწყმულ წინადადებაში ჩამოთვლისას დარღვეულია სიტყვათა ლოგიკური ერთგვარობა ისეთი წევრების გამოყენებით, რომელთა შორის ერთი შინაარსობრივად შეიცავს მეორეს ანუ ერთის ცნება არ გამორიცხავს მეორის ცნებას, მაგალითად: მოსწავლეები და გოგონები ეზოში თამაშობდნენ. ცხოველები და ცხენები მინდვრად გარეკეს. მთა დაღარული იყო წიწვიანის მყენარეებითა და ნაძვით.

არც ის ვარგა, როცა წინადადებაში ერთგვარ წვერებად იყენებენ სხვადასხვა მეტყველების ნაწილს; განსაკუთრებით საწყისსა და ზმნას, მაგალითად: მათ გადაწყვიტეს მოსაგლის ვადიდება და ვადამდე შეასრულონ გიმეა.

უნდა იყოს: მათ გადაწყვიტეს მოსაგლის ვადიდება და გიმის ვადამდე შესრულება. ან ასე: მათ გადაწყვიტეს ვადიდონ მოსაგელი და

ვადაზღვევებზე შეასრულონ გეგმა. ე.ი. ორივე შემთხვევაში ერთგვარ წევრებად უნდა იყოს ან საწყისი, ან ზენა.

5. ჩამოთვლის დამთავრების გამოსატყვის შესახებ შერწყმულ წინადადებაში

შერწყმულ წინადადებაში ერთგვარი წევრების ჩამოთვლის დამთავრების გამოსატყვად არსებობს ორი საშუალება: ინტონაცია და კავშირი.

ჩამოთვლის დამთავრებულმა ინტონაციით გადმოიყვამა ზეპირი მეტყველების დროს, კავშირით კლ-როგორც ზეპირი, ისე წერილი მიტყველებების დროსაც. წერითა ჩამოთვლის დამთავრებულობის გამოსატყვად იხმარება მარჯულებული კავშირი „და“, რომელიც აერთებს უკანასკნელ ორ ერთგვარ წევრს.

გარდა ამისა, წერის დროს ჩამოთვლის ჩვენება შეიძლება ერთგვარ წევრებად ხმარებულ სიტყვების ან სიტყვათა ჯგუფების წინ ციურების დასმითაც.

მაგალითად, წინადადება: იმ საღამოს მასთან სტუმრად იყვნენ რუსუდანი, მანანა, ლეილა, მარინე, ლიანა, თუ - თუ გამოვთქვით ბოლოს ხმის დადაბლებით, ამით ვაჩვენებთ, რომ ერთგვარი წევრებით გადმოყვამული საგნების (ამ შემთხვევაში პიროვნებათა) ჩამოთვლა დამთავრებულა, მაგრამ წერის დროს ამ სახით ჩამოთვლა არ არის საკმარისი ჩამოთვლის დამთავრების გამოსატყვად და საჭიროა ორი უკანასკნელი ერთგვაროვანი წევრის და კავშირით შეერთება. იმ საღამოს მასთან სტუმრად იყვნენ რუსუდანი, მანანა, ლეილა, მარინე, ლიანა და თუ.

6. კავშირის უმარტებულად განმეორება შერწყმულ წინადადებაში

კავშირის უმარტებულად განმეორება გვხვდება ყველა ტიპის წინადადებაში როგორც შერწყმულში, ისე რთულში.

მაგალითად, შერწყმულ წინადადებაში „და“ კავშირი, როგორც წესი, იხმარება უკანასკნელი ორი ერთგვარი წევრის შესაკავშირებლად და ჩამოთვლის დასრულების აღსანიშნავად, ხოლო მისი რამდენიმეჯერ განმეორება სტილისტიკურად დაუშვებელია. ამიტომ უნარგისია ასე ატებული წინადადება:

ნიკო ადრე ადგებოდა და ხელპირის დაბანის შემდეგ კარგად ისაუბრებდა და ყველა გაკეთილს ისევ გაიმეორებდა და შემდეგ სიხარულით წყავილოდა სკოლაში.

ამ წინადადებაში და კავშირი მხოლოდ უკანასკნელ წევრთან უნდა

იყოს დასმული.

მაგრამ, თუ „და“ კავშირი სინტაქსური წყვილების შესრულებლა-
დაა გამოყენებული, მისი განმეორება აუცილებელია: დიდი და პატარა,
ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა - ყველა ერთნაირად შეხარო-
და შემოფარებას.

და-ს ნაცვლად შეიძლება ვინმართ კავშირი თუ: დიდი თუ პატარა,
ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა - ყველა ერთნაირად შე-
ხაროდა შემოფარებას.

„და“ კავშირის განმეორება გამარჯვებულია ასეთ შემთხვევებშიც:
ლიტერატურის, ჟურნალისტიკისა და პუბლიცისტიკის და ხელოვნების
დარგში ბევრმა ქართველმა ისახელა თავი. აქ ორი „და“ საჭიროა
იმიტომ, რომ ჟურნალისტიკა და პუბლიცისტიკა ერთ დარგადაა გაერ-
თიანებული.

§ 73. სტილისტიკის საკითხები რთულ თანწყობილ წინადადებასთან დაკავშირებით

წინადადება, როგორც მეტყველების ძირითადი ერთეული, წევრთა
შემაჯგუფებისა და აგებულების მიხედვით სხვადასხვა სახისაა,
რომელთა შერჩევა დამოკიდებულია ამა თუ იმ კონკრეტულ ვითარებაში
შინაარსის ნათლად გადმოცემაზე. როცა გვინდა აზრი მოკლე, შეკუმ-
შულად გამოხატოთ, მივმართავთ მარტივ წინადადებას, მაგრამ, რო-
დესაც აზრის გადმოცემა ვრცლად, გაშლილად არის საჭირო, მაშინ
რთულ წინადადებას ვიყენებთ, ავიტომ როგორც მარტივი, ისე რთული
წინადადება მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო საშუალებაა.

რთულ წინადადებაში შემავალი მარტივი ან შერწყმული წინადა-
დებები ერთმანეთთან გარკვეულ აზრობრივ კავშირში იშუოვება. ეს კა-
ვშირი ორი სახისაა. ერთია თანწყობა, როდესაც შემავალი ნაწილები
სინტაქსურად თანასწორუფლებიანია, მეორე ქვეწყობა, როდესაც ეს
ნაწილები არათანასწორუფლებიანია-ერთი დაქვემდებარებულია მეორე-
ზე. მარტივი წინადადების მსგავსად რთულ თანწყობილ წინადადებას,
როგორც ქვეწყობილთან შედარებით იქსპრესიულობისა და ემოციის გა-
მომხატვის უკეთეს საშუალებას, უმეტესად იყენებენ საუბარში დიალო-
გის დროს და მხატვრულ ნაწარმოებებში.

რთულ თანწყობილ წინადადებაში აზრის ნათლად გამოხატვას უმა-
გრესად ხელს უშლის შემდეგი სტილისტიკური ხასიათის შეუღობები:
1. თანწყობილ წინადადებაში შემავალ მარტივ ან შერწყმულ წინადა-
დებათა შორის აზრობრივი მიმართების დარღვევა, 2. ამ წინადადებათა

აბრასწორად დადაგება და 3. მთავარი წიგნების-ქვემდებარისა და შემსახურების ბუნებრივი წყობის შეცვლა რთული თანწყობილი წინადადების შემაჯავნებელ ნაწილებში.

1. რთულ თანწყობილ წინადადებაში შემავალი ნაწილების აზრობრივი ურთიერთმიმართება

აზრის სიზუსტისათვის უპირველეს ყოვლისა დიდი მნიშვნელობა აქვს რთულში შემავალი მარტივი ან შერწყმული წინადადებების ისეთ ურთიერთმიმართებას, რომელიც მოქმედებათა ან მოვლენათა დროული შეფარდებით აღინიშნება.

რთულ თანწყობილ წინადადებაში შემავალი ნაწილების მოქმედებათა დროული შეფარდების გადმოსაღწემად ციყუნება ზმნათშემასმენლის დროის ((ფერო ზუსტად - შწყკრევის) გარკვეულ ფორმებს, შეერთების მიხედვით და - როგორც უკავშირის, ისე კავშირიან შეერთებას.

რთულ თანწყობილ წინადადებაში შემავალი ნაწილების (მარტივი ან შერწყმული წინადადებების) აზრობრივი ურთიერთობა გამოიხატება ოთხი სახით: მოქმედებათა ერთდროულობით, თანამიმდევრობით, მიჯნე-შედგეგობრობით და დაპირისპირებით.

1) აზრობრივი ერთდროულობა

ერთდროულობა აზრის რთულ თანწყობილ წინადადებაში შემავალ ნაწილთა ისეთი აზრობრივი ურთიერთმიმართება, როდესაც ზმნათშემასმენლით გადმოცემული მოქმედება ყველა ნაწილში ერთდროულია, მაგალითად: თვალი იღებობს, ვული ძვერს (რ.ერისთ.). მზის სხივი ცისარტყელას ქსოვს, იაჩივნი ყველენ ცაშია (რ.ერისთ.). ზოგი პატარა ბაიარდს მოაფრიალებს, ზოგს იასამნის ტრტები მოქონდა (კ.ლორთქ.). ველში ია ცქრიალებდა, კდღვენ წყარო ჩქრიალებდა, შთა და ბარში გაზაფხულის უხვი მადლი ტრიალებდა (შ.მდგომ.).

რთულ თანწყობილ წინადადებაში აზრობრივი ერთდროულობის გამოხატვისას ისევე, როგორც ძირითადად სხვა შემთხვევებშიც, ერთბრივ შეესაბამებას იქვეეს მოქმედებათა დროული შეფარდების დარღვევა, მაგალითად: ზოგი პატარა ბაიარდს მოაფრიალებდა, ზოგს იასამნის ტრტები მოქონდა და სხვ.

2) აზრობრივი თანამიმდევრობა

თ ა ნ ა მ ი მ ე ლ ე ე რ ო ბ ა არის ისეთი აზრობრივი ურთიერთობა, როცა პირველ წინადადებაში გამოხატული მოქმედება წინ უსწრებს ნომდევნო წინადადებაში აღნიშნულ მოქმედებას, მაგალითად: დედაჩემი დაწვებოდა ხოლმე ვიწახე, მე გვერდით მოუწევებოდი (ვ.ფშავ.). და-იკრიფა ვენახებიც, დაიწერა ურძენი, დაუდდა მჭრები (ი.წაცჭ.). ენკენისთვე გაიღია, სოფლად გაჩნდა ყველგან რთველი, აჭრიდალდა ურძის თვალი, ამუშავდა ყველას ხელი (შ.მღვიმ.). ახლო წყარო ჩამოჩხრი-აღებდა და მისი ხმაური ნანას ეუბნებოდა ზუნებას (ა.ყაზბ.).

3) აზრობრივი მიზეზ-შედეგობრიობა

მ ი ზ ე ზ - შ ე ლ ე გ ო ბ რ ი ო ბ ა ისეთი აზრობრივი ურთი-ერთობაა, როცა პირველ წინადადებაში გამოხატულია მოქმედების მიზე-ზი, მეორეში კი - შედეგი. აქაც პირველი მოქმედება წინ უსწრებს მეორე მოქმედებას, მაგალითად: თოვლი დამდნარა მთახელა, ხეებზე მოპუფს დგარია (ვ.ფშავ.). გაზაფხულდა, გათბა დღე (შ.მღვიმ.). უღებ... იგრიდალ თოფმა, იმის ხმამ დაიარა მთები და კლდეები, ხის ფოთლებმა და მენარეებმა კანკალი დაიწყეს (ვ.ფშავ.). მე დავუძახე ძაღლს და ისიც კუდის ქნევით მოვიდა ჩემთან (ა.ყაზბ.).

4) აზრობრივი დაპირისპირება

დ ა მ ი რ ი ს ბ ი რ ე ბ ა არის ისეთი აზრობრივი ურთიერთობა, როცა მომდევნო წინადადებაში აღნიშნული მოქმედება უპირისპირ-დება წინა წინადადებაში გადმოცემულ მოქმედებას, მაგალითად: დღემ იკლო, დამე გადიდა (ვ.ფშავ.). აქ იყვნენ მარტოკა კაცები, ქალები არსად ჩანდნენ (ა.ყაზბ.). კაცი მოკვდება-სიბრყვა დარჩება (ანდ.). აქეთ არაგვი ადიდა, იქით ბანს აძღვეს შტკვარია (ვ.ფშავ.).

2. როდ თანწყობილ წინადადებაში შემაგალი ნაწილების წყობა

აზრობრივი მიზეზობის სახეებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული როდ თანწყობილ წინადადებაში შემაგალი ნაწილების (მარტივი და შე-რწყობილ წინადადებათა) თ ა ე ი ს უ ფ ა ლ ი და მ ი ყ ა რ ი წ ყ ო ბ ის საკითხი.

1) თავისუფალი წყობა

როცა თანწყობილ წინადადებაში შემავალი ნაწილები გამოხატავენ მოქმედების ან მდგომარეობის მხოლოდ ერთ-ერთს, მაშინ მათი წყობა თავისუფალია, მაგალითად: დედა ოჯახს უღელს, მამა მსახურობს, შვილი სკოლაში დადის. ამწევანდა მთები, ამწევანდა ვა... (ვ.ფშავ.). აგერ კრავები კუნტრუშობენ, თიკნები ლახტიან, გოჭები ჭიდაობენ, კვიციები კოტრიალობენ... (ა.წერ.).

ამ რთულ თანწყობილ წინადადებაში შემავალი კომპონენტები შეიძლება თავისუფლად გადაესვას, აზრი კი არ შეიცვლება, მაგალითად: მამა მსახურობს, დედა ოჯახს უღელს, შვილი სკოლაში დადის. ამწევანდა ვა, ამწევანდა მთები და სხვ.

2) მყარი წყობა

რთულ თანწყობილ წინადადებაში შემავალი ნაწილების მყარი წყობა გვაქვს შემდეგ შემთხვევებში:

1) როცა წინადადებაში გამოხატულია აზრობრივი დაპირისპირება.

ასეთ თანწყობილ წინადადებაში შემავალ ნაწილთაგან ის, რომელიც აღნიშნავს საპირისპირო საგანს, მოედინას, მოქმედებას ან მდგომარეობას, დაისმის მეორე ადგილას, მაგალითად:

ვაშა გულების ხმა არი, ტაში ქარიშხლის გაშლა (ვ.ტურ.).

ვამოღმა მდერის ერთი ძმა ღაღად, წყადგადმა ჩემად მეორე გოგებს (გ.აბაშ.).

მისი სიკვდილის შემდეგ დიდი ჯანა დააწვა ქეთევანსაც და გოგიანსაც, სომონას კი ჯერ ვამის გარდა არაფრის გაკეთება არ შეეძლო (ე.ნინ.).

სამართლიანს თავისუფლება ყველასათვის სურს, უსამართლოს კი აწარტა თავისთვის (ს.შვალ.) და სხვ.

ამგვარ რთულ თანწყობილ წინადადებაში გვაქვს მხოლოდ ორი მარტივი ან შერწყმული წინადადება, რომელთა შორის საპირისპირო შინაარსის შემცველი წინადადება ყოველთვის მომდევნოა. მისი წინ გადასმა არ შეიძლება.

2) მყარი წყობა გვაქვს მაშინაც, როდესაც წინადადებაში გამოხატულია აზრობრივი თანამიმდევრობა ან მიზეზ-შედეგობრიობა. ამ შემთხვევაში რთულ თანწყობილ წინადადებაში შემავალი ერთი მარტივი (ან შერწყმული) წინადადების შემასმენელი აღნიშნავს მიზეზს, მეორე კი შედეგს, ამიტომ აზრობრივი თანამიმდევრობის შემცველი რთული თანწყობილ წინადადებას აგება მასში შემავალ წინადადებათა ღაღაგეობრივ დაპირისპირებაზე. მიზეზის გამოხატველი წინადადება დაისმის

წინ, შედეგის გამოხატულები კი - შემდეგ. მაგალითად: ამასობაში გაეცა აპრილი და დადგა მშვენიერი მაისი (ი.გოგ.). დაპყრეს ნა-
დარა და უცარად ხმალამოწმდელი დაეშვა ედღე საზრძოლველად ქარ-
თველთა ჯარი (გ.გაბესკ.). შორის არაგვი არაგვიანი, თან მოსძა-
ხიან მთანი ტყიანნი (ნ.ბარათ.). თერგი რბის, თერგი ღრიადებს,
კლდენი ბანს ეუბნებიან (გ.ორბ.). მაშინ აპრილი იგვა, წყალღიფა-
ბა იყო, მტკვარი აზვირთებელი მოქუხდა (ი.გოგ.). ბინდმა გაყარა
მებრძოლნი მტრნი, გამარჯვებულნი დარჩნენ ივერნი (ნ.ბარათ.).

ბოლო წინადადებებში მოქმედებათა ერთგვარობადაც გამოხატული
და თანამიმდევრობაც და სწორედ ამ უკანასკნელის გამო კონსონანტთა
წყობის შეცვლა იწვევს აზრის დამახინჯებას.

3. ერთგვარობის დარღვევის შემთხვევები შერწყმულ და რთულ წინადადებებში

ჩვეულებრივ როგორც შერწყმულ, ისე რთულ თანწყობილ წინადად-
ებაში გამოყენებული ზმნათმემასმენებელი დროისა და მწკრივის მხრივ
ერთგვარობანი უნდა იყოს. ენა ვერ იტანს დარღვევებს ამ თვალსა-
ზრისით. ქართულში კი ზოგჯერ ცხვედიან ასეთი ტიპის შეუსაბამო-
ბებისაც, მაგალითად: ... თოდმაც შრიადით მისცა პასუხი, მაგრამ
გატრუნა სული და ქვებუდანად ატანენიდა სიცივის ნაპერწყმებს პაერ-
ში (ი.ივც.). - ეპე, როგორ გაიგვი, კაცო, მკითხავი ხომ არა ხარ! -
საქვამ სიცილით თდორომ და თან მარჯვენა ხელით ისწორებდა თავზე
განახვერებულს ტყავის ქუფს (გ.ფშვი.). წაგა და ინახულედა საწყა-
ლის ხაღხის უბანსა (ი.ჭავჭავ.).

მოყვანილ შერწყმულ წინადადებებში ერთგვარ შემასმენებლად გამო-
ყენებული ზმნები სხვადასხვა მწკრივშია. პირველშია: მისცა, გატრუ-
ნა და ატანენიდა; მორიგში - საქვამ და ისწორებდა; მესამეში - წაგა
და ინახულედა.

უნდა იყოს: მისცა, გატრუნა და გაატანა; საქვამ და გაისწორა ან
ამბობდა და ისწორებდა; წაგა და ინახულედა ან წაგიდოდა და ინახულე-
და.

შენიშვნა: თუ წინადადებაში მოუბარს სჭირდება მოქმედება სხვა-
დასხვა დროში აღნიშნოს, მაშინ აზრის სიუხვადონის უკანასკნელ შე-
მასმენელს უმჯობესია დაუმატოს სიტყვა, რომელიც უფრო გარკვევით,
ხატვასმით წარმოადგენს დაპირისპირებული მოქმედების სხვა დროს.
ასეთ სიტყვად ხმარობენ ნაწილაკს „უკვე“ ან - დროის გარემოებას
„ახლა“, მაგალითად: განელო ტყვი, კლდის ბილიკები გადაიარა და უკვე
მადლობიდან დაბლა ეშვება (ი.ჭრე.).

იგივე იქმნის ზმნა=შემასმენელთა ერთდროულობის შესახებ რთულ წინადადებაშიც. მაგალითად, ფრაზა: თენგიზმა თავისი პატარა ძმა შინ გაგზავნა, თვითონ კი კინოში მიდის - ეგრე არის სტილისტიკურად გამართული, რადგან პირველი წინადადების შემასმენელი „გაგზავნა“ წარსულ დროშია, მეორისა „მიდის“ ახლანდელი დროში, საჭირო კი იყო ორივე შემასმენელით გამოხატული მოქმედება ერთ და იმავე ჯგუფში უფროსად: თენგიზმა თავისი პატარა ძმა შინ გაგზავნა, თვითონ კი კინოში წავიდა (წარსული დრო). თენგიზი თავის პატარა ძმას შინ გზავნის, თვითონ კი კინოში მიდის (ახლანდელი დრო). თენგიზი თავის პატარა ძმას შინ გაგზავნის, თვითონ კი კინოში წავა. (მომავალი დრო). თენგიზს თავისი პატარა ძმა შინ გაუგზავნია, თვითონ კი კინოში წასულა (თურმეობითი)... ასე ერთნაირი ფორმით გამოიხატება რთული თანწყობილი წინადადების კომპლექტების შემასმენლები სამივე სერიის ყველა მწკრივში.

4. ქვემდებარისა და შემასმენლის რიგი რთულ თანწყობილ წინადადებაში

სტილისტიკურად სწორად აგებულ რთულ თანწყობილ წინადადებაში შემავალი ნაწილების ქვემდებარე და შემასმენლის წარმოდგენილი უნდა იყოს ერთნაირი რიგით: ან პირდაპირი, ან ინვერსიული წყობის სახით, მაგალითად: ამ სიტყვებთან ერთად ავარდა კვამლი და შიისმა რამდენიმე თოფის ხმა. მოვიდა სტრყვა, დახვდა ქვა (ანდ.). ღომი დაბერდა და ეირმა წიხლი ჩაჰკრაო (ანდ.). ნიკო ადრე მოვიდა, შვილი მზად დახვდა...

ე.ი. ქვემდებარე=შემასმენლის როგორი წყობაც არის თანწყობილი წინადადების პირველ ნაწილში, ისეთივე უნდა იყოს მეორეშიც; ხოლო, თუ ეს წესი დაირღვა, სტილისტიკურად გაუმართავ წინადადებას მივიღებთ: ამ სიტყვებთან ერთად ავარდა კვამლი და რამდენიმე თოფის ხმა შიისმა (ა.კახაბ.). მოვიდა სტრყვა, ქვა დახვდა. ღომი დაბერდა და წიხლი ჩაჰკრა ეირმაო. ნიკო ადრე მოვიდა, მზად დახვდა შვილი.

იგივე იქმნის პირმომართი დამატებისა და შემასმენლის შესახებაც. უნდა იყოს: მოაკლდეს მძინარესა, ემბატოს მდვიძარესა (ანდ.). და არა: მოაკლდეს მძინარესა, მდვიძარეს ემბატოს. ან: მძინარეს მოაკლდეს, ემბატოს მდვიძარესა.

მნიშვნელოვანია სიტყვათა წყობის დაცვა აგრეთვე განმეორებულ ნაწილაკებსა და რთულ კავშირებთან.

უპირველეს ყოვლისა წინადადება სტილისტიკურად გამართულია, როცა განმეორებული ნაწილაკები და კავშირები აკავშირებენ სინტაქსურ

ფუნქციის მიხედვით ერთნაირ წევრებს, მაგალითად: მას ავტარის ვერ ჩააქრობს, უანჯიც აღარ ეკიდება (ა.მირცხ.). არც ვარსკვლავები ჩამქრალან ცაზე, არც სიყვარული იყო ჩამქრალი (დ.შენგ.). ვერც გაჭრა ხმალმა ფრანგულმა, ვერც შეაშინა დანამა (ხალხ). ნურც შენ აწყენინებ მას, ნურც ის გაწყენინებს შენ (პ.ლარა.). ან ქარი ქრის, ან წილი დგას (ი.გოგ.). ან შენ გვეწვიე შენის ჩარეკით და ტაბაკით, ან ჩვენ გეწვევით ჩვენი თუნგითა და ხონჩითა (ლ.არდაზ.). ხან თავუნა გამოძერა, ხან ბელურა მოფრინდა (გ.აბაშ.).

ამასთან, წინადადებაში განმეორებულ ნაწილაკებსა და კავშირ-ბთან უშუალოდ უნდა იდგეს ის წევრი, რომელიც აზრობრივად უკავშირ-დება მეორე წევრს.

ამიტომ წინადადება: არც ფარავდათ სახლის ჳერი, არც სინთდე ღაჰხაროდათ (გ.აბაშ.). - სტილისტიკურად გაუმართავია. მსგავსი მოვლენები უფრო მეტად შეინიშნება პოეზიაში.

ხშირად არღვევენ წევრთა წყობას დაპირისპირების გამოხატვის დროსაც. აქაც წინ უნდა იყოს წამოწყული ის წევრი, რომელიც დასა-პირისპირებელია, მაგალითად: შენ გაუნათე წიგნის ფურკელი, მან გაანათა ქვეყნის წყვდიადი (ი.ნონ.). ალექსიმ კომბალი ასწია, მა-გრამ მამამ შეაყენა... (ი.ედე.). ... ისინი აგერ ვეორე ბოლშიც გაეიდნენ, შაგრამ მოხვეე არსად ჩანდა (ა.ყაზბ.). მეღა ისარეით მოელავდა, ხოლო მწვევარი ერთიჯორად უფრო დიდ ნახტომებს აკეთებდა. (ი.გოგ.). ერთი მხრიდან მოქროდა მინდვრის ნიაევი, ხოლო მეორე მხრივ პატარა გიგმაჟ მდინარეს გაჰქონდა მხიარული ჩხრიალი (ნ. ლომ.). მეზობლებმა აიძულეს, თარემ თვითონ სულ უარზე იყო (ა. ბელ.). და არა: ნიკო ყველას უჯერებს, შაგრამ ანგარიშს არ უწევს არავის მისი უფროსი. ალექსიმ კომბალი ასწია, მაგრამ შეაყენა მამამ და სხე.

5. საერთო წევრის ადგილი რთულ თანწყობილ წინადადებაში

რთულ თანწყობილ წინადადებაში საერთო წევრებაჟ გამოიყენება დამატება და გარემოება. ისინი უმთავრესად წინადადების თავშია, მაგ.:

1) როცა საერთო წევრი დამატებაა:

ზღვას ვერც სოფელი შეედრება, ვერც ქალაქი გაუტოლდება (ლ.ქიაჩ.). მე ცა მნიშნავს და ერი მზრღის მიწიერი ზუეიერსა (ი.ჰანჭი.). ეს წინათ მე წმინდა ჳორად მიმარნდა, ახლა კი ღამის მართალი გამოდგეს (ი.გოგ.). (აქ პირველი წინადადების დამატებაა სხვა წინადადებაში ქვემოთადაც და შემდგომშიც)

2) როცა საერთო წევრი გარემოებაა:

პალატებში სიჩუმე იყო და გრილდა (ა.ბელ.). ბრძოლის ველზე ხან ქვემეხები გრიალებდა, ხან ტყვიამღრქვევებს გაჰქონდათ კაკანი (ბ.ჩხეიძე). შარშან პატარა ნუგზარი ბებიასთან იყო სოფელში, მისი მშობლები კი სოხუმში მუშაობდნენ.

იშვიათაა, როდესაც საერთო წევრი პირველი წინადადების ბოლო-საა. ეს მაშინ ხდება, როდესაც იგი ლოგიკურად არის გამოსაყოფი, მაგ.: არც წყალი ერევა მაგ დალოცვილს, არც ცეცხლი ეკიდება (ი.ჭავჭავიძე.).

შენიშნა: არ ეარგა, როდესაც შერწყმული წინადადების ნაცვლად ვიყენებთ რთულ თანწყობილ წინადადებას მეორე შემასმენელთან ნაცვლასხელით გადმოცემული ქვემდებარის განმეორებით, მაგალითად: მასწავლებელი კლასში ხალისით შემოვიდა და ის გულთბილად მოგვესალმა ყველას.

მაშა ჩემად უსმენდა, ის არ იზიარებდა ქალიშვილის მოსაზრებებს (ა.ბელ.).

პირველი წინადადება „და“ კავშირიანია და აქ უფრო ნათლად ჩანს, რომ ქვემდებარის განმეორება როგორც აზრობრივად, ისე სტილისტიკურად სრულიად ზედმეტია. ამ შემთხვევაში შერწყმული წინადადება უფრო ბუნებრივი და გამომსახველია: მასწავლებელი კლასში ხალისით შემოვიდა და გულთბილად მოგვესალმა ყველას.

მეორე წინადადება უკავშირობა და ამის გამო თითქოს ისე აშკარად არ იკრძალება განმეორებული ქვემდებარის ზედმეტობა, მაგრამ არც აქ არის იგი საჭირო და, თუ აზრის სიციხადისთვის მიიწეო აუცილებელი გახდა მისი ხმარება, უმჯობესია მეორე ნაწილი ცალკე წინადადებად გამოიყოს და მის წინ მძიმის ნაცვლად წერტილი დაისვას: მაშა ჩემად უსმენდა. ის არ იზიარებდა ქალიშვილის მოსაზრებას.

§ 74. სტილისტიკის საკითხები რთულ ქვეწყობილ წინადადებასთან დაკავშირებით

რთულ თანწყობილ წინადადებასთან შედარებით ქვეწყობილი წინადადება უფრო მრავალსიტყვიანია და გაშლილი სინტაქსური ერთეულია, სადაც შემავალი ნაწილები (მარტივი და შერწყმული წინადადებები) აზრობრივი და ქვემდებარების გამო ლოგიკურად უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, ვიდრე თანწყობილ წინადადებაში. ქვეწყობილ წინადადებას იყენებენ ყველა ჟანრის ნაწარმოებში, მაგრამ,

მეტყველების დროს, პუბლიცისტურ და მეცნიერულ შრომებში.

სტილისტიკის თვალსაზრისით, რთული ქვეწყობილი წინადადების ხმარებისას ძირითადად გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები:

1) დამოკიდებული წინადადების ადგილი, 2) განსაზღვრებით დამოკიდებული წინადადების მიერ ასახსნელი წევრის ადგილი მთავარში, 3) ქვემდებარის ადგილი, 4) ნაცვალსახელის გამოყენება ქვემდებარედ მთავარ წინადადებაში, 5) მოქმედებათა ერთდროულობა, 6) დამოკიდებული წინადადების ბუნება, 7) კავშირებისა და საკავშირებელი სიტყვების მართებულად გამოყენება.

1. დამოკიდებული წინადადების ადგილი რთულში

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული წინადადების ადგილი მყარი არ არის. იგი გვხვდება როგორც მთავარი წინადადების ბოლოს, ისე მის წინ და შუაში.

სხვადასხვა ადგილას დაისმის, მაგალითად, შემასმენლური, ქვემდებარული, დამატებითი, განსაზღვრებითი, დროის გარემოებითი, ადგილის გარემოებითი, ვითარების გარემოებითი, მიზეზის გარემოებითი, მიზნის გარემოებითი და პირობითი დამოკიდებული წინადადებები, მაგრამ ზოგი დამოკიდებული წინადადება ან მხოლოდ მთავარის მომდევნოა უცვლელის, ან მხოლოდ წინა. მაგალითად:

მთავარი წინადადების მომდევნოა:

1) შედეგობითი დამოკიდებული წინადადება, რომელიც აღნიშნავს შედეგს იმისას, რაზედაც ლაპარაკია მთავარ წინადადებაში:

მშვენიერი საღამო იყო, ა ს ე რ ი მ იმ ღამეს იქ დაერჩი... (ი.ჭავჭავ.). ეს იყო უკანასკნელი მატარებელი, ა მ ი ტ ი მ ყველა ცდილობდა მასზე ასვლას (რ.გუბ.). იმ ღამეს მამლის ყივილისას დაეწეპით, ა მ ი ს გ ა მ ი მეორე ღღეს ადგომა დაგვივვიანდა (ნ.ლომ.). ფარნამ ცხერის მოშენებაში ისახედა თავი, რ ი ს გ ა მ ი ც უიღაფე წარადგინეს (ს.მთვარ.).

2) ახსნა-განმარტებითი დამოკიდებული წინადადება, რომელიც იხმარება მთავარი წინადადების მთელი შინაარსის ან მისი რომელიმე წევრის მნიშვნელობის დასაზუსტებლად, მაგალითად:

მეც მეტიონა გული: იმის საყოფაობამ დამწვა (ი.ჭავჭავ.). პე-ბიას ელდა ელა: აღმათ ბატონისგან მოგზავნილი ცეგონე გოგოს

თაობაზედა (ი.ჭავჭავ.).

მხოლოდ ერთი ჯადური ელთ გულშია: შვილი არა მყავდათ (ი.ჭავჭავ.).

3) პირობითი დამოკიდებული წინადადება, რომელიც იწყება კავშირით „თორემ“, მაგ.:

ჩემი ნათლიდედის კამერი ეხლაცე გამოუშვას, თორემ იტა-ურბას სულ მტვერს ავაღენ (ი.ჭავჭავ.). ნურც დაანახებთ ზენს ქუ-რანს ცხენსა, თორემ ის ბიჭი განანებს ბევრსა! (ი.ჭავჭავ.). კობა შენაყრდით, თორემ გზაში მოგვიყვებათ (ა.ყაზბ.).

მთავარი წინადადების წინაა:

1) უკავშირო ღროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება, მაგ.:
ქათამი ჩიოდა: ცხვირისა და კლეს - მე წამაკლეს, ღო-რისა და კლეს - მე წამაკლეს, ძროხისა და კლეს - მე წამაკლესო (ანდ.). ავიხედავი - ცას შევხედავი, დავიხედავი - მიწასაო (კ.ლორთქ.). გომის - დვიძებს - შუბლს განიგრილებს, ერთს ქარველურად კიდევ შეისძახებს... (ნ.ბარათ.). შერხზეზისარ - ღანთ სპირი ზედ უტიფარ ნახაზებს, ქურჩაშისარ ედები ხან გო-გონებს, ხან ბიჭებს (ი.გრიშ.). ავადთავდახვილ, ზედ წამწამზედ მიზიხარ! (გ.ორბ.).

2) უკავშირო პირობითი დამოკიდებული წინადადება, მაგ.:

ავიშენებს - კარგია, არადა - ეს ჩენი ღაღენი-ლება ხომ არსად გაგვექვევა (კ.ლორთ.). ზეცაში ახვილ - აგყვები, რახვილ - რაგყვები უფსკრულსა! (ა.წერ.). მუ-ცილსა ქორცებ - ქორცა, ალორცებ - ღორცაო (ანდ.). ვუტყარისასილვილ გყავდე - ერთი სქვი და ერთი გყავდე - ასი სქვიო (ანდ.). ერთი იკინოდე - თაის თავს დასკინოდე, ორი იკინო-დე - ერთმანეთს სკინოდე, სავიიკინოდე - მარ-ღა იკინოდე (ანდ.).

შენიშვნა: ზოგჯერ დასახელებული ტიპის დამოკიდებული წინადა-დების გამოქნობა ღროის გარემოებითია იგი თუ პირობითი - ძნელია, გინაიდან ერთი და იგივე წინადადება ორნაირად გაიკვება.

ზემოთ აღნიშნულ რთულ ქვეწყობილ წინადადებებში მთავარი და დამოკიდებული წინადადებების წყობა მყარია.

რაც შეეხება სხვა უკავშირო დამოკიდებულ წინადადებს, როგო-

რეცა, მაგალითად: შემასმენლური, ქვემდებარული, დამატებითი, განსაზღვრებითი და სხვ. - ისინი უმთავრესად მთავარი წინადადების მომდევნოა:

შემასმენლური:

ჩემი წესი ასეთია: იმ ვარსკვლავის ამოსვლამდე ყანიდან ფეხს ვერ მოვიცვლი (კ.ლორთქ.).

ქვემდებარული:

ნათქვამი არის: „ხ ა ლ თ ა შ ი შ უ ბ ი ა რ დ ა ი მ ა - ლ ო ბ ა“ (ანდ.).

დამატებითი:

მე კარგად ვიცი, რ ა ს ვ ა მ ბ მ ბ (ი.ჭავჭავ).

განსაზღვრებითი:

ცეშაპი ისეთს არაფერს ჩაყლაპავს, მ მ ნ ო ლ ო ბ ა ა რ შ ო - ო ძ ლ ო ს ო (ანდ.).

ცითარების გარემოებითი:

წრეში ისე უხერხულად შევიდა, ფ ე ბ ე ბ ი ძ ლ ი ვ ს შ ო - ი ტ ა ნ ა (კ.ლორთქ.).

მიზნის გარემოებითი:

ქართლი იმიტომ დაეტოვე, თ ო ვ ლ ს დ ა დ ე ბ ს, ა ლ ა რ ა ი ლ ე ბ ს (ანდ.).

მიზნის გარემოებითი:

ნანა გვზრდიდა, ჩვენ ქართული ნანა გვზრდიდა, ა ლ გ ვ ე ბ ა - ვ ა მ ტ ე რ ი. რ ი ს ხ ვ ი თ მ ზ ა რ ა ვ ი (ა.კალანდ.).

არამყარო რიგის დროს წინადადება სტილისტიკურად უფრო გამართულია. აზრი უფრო ნათლად და ბუნებრივად გადმოიყვება, რაც დამოკიდებულ წინადადებას ციხმართ მთავრის შემდეგ (თუ, რასაკვირველია, მისი დასმა მთავარი წინადადების წინ ლოგიკური მახვილით ან ამა თუ იმ პირის მეტყველების თავისებურების ჩვენებით არ არის გამოწვეული).

2. განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების მიერ ასახსნელი წიერის ადგილი მთავარ წინადადებაში

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება საკავშირებულ სიტყვებზე იყენებს მიმართებით ნაცვალსახელებს: ცინც, რაც, რომელიც, როგორც, რამდენიც... სხვადასხვა ბრუნვაში და მიმართებით ზმნიშვნელებს: სადაც, საიდანაც, საითკენაც, როდესაც (რაცა)...

საკავშირებელსიტყვიანი დამოკიდებული წინადადება მთავართან აზრობრივად ზშირად შეერთებულია მისათითებელი (საკორელაციო) სიტყვის საშუალებით, მაგალითად:

ი ს ე თ ადგილას ნუ შეხება, ს ა ი დ ა ნ ა ც ვ ა მ ო გ ა გ დ ე ბ ე -
ნო (ანდ.). ი მ ნ ა ი რ ი ნადირი გამოვარდა, რ ო გ ო რ ი ც
ტყე იყო (ანდ.). კაცმა რ ა მ დ ე ნ ი ც რამე იყო, ი მ დ ე ნ ი
რამე ხარო (ანდ.). ... უნებურად შეადარა ი მ სურათს, რ ა ც
მოყვანის დროს დახვდა (ნ.ლორთქ.).

მაგრამ, როდესაც არა გვაქვს ასახსნელი წევრისა და საკავში-
რებელი სიტყვის კონტაქტური დაღაგება, ე.ი. მთავარ წინადადებაში
არ არის მისათითებელი სიტყვა და განსაზღვრებითი დამოკიდებული
წინადადების საკავშირებელი სიტყვა უშუალოდ არ მოსდევს იმ წევრს,
რომელსაც იგი ხსნის, რაული ქვეწყობილი წინადადება აზრს ნათლად
გერ გამოხატავს (იგი შეიძლება ორაზროვანიც იყოს). მაგალითად,
წინადადება თუ ასე ავაგეთ:

მან დაინახა გაშლილი ა ლ ა მ ი გამარჯვებული ხალხისა,
რ ო მ ე ლ ს ა ც მსუბუქი, ჩუმი და სურნელოვანი ნიაფი უაღერსე-
ბდა - იგი შემდეგნაირად გაიგება: ნ ი ა ვ ი უაღერსებდა ბ ა ლ -
ბ ს და ა რ ა - ა ლ ა მ ს, მაგრამ მასში სიტყვები თუ ასე დავა-
ლაგეთ:

მან დაინახა გამარჯვებული ხალხის გაშლილი ა ლ ა მ ი, რ ო -
მ ე ლ ს ა ც მსუბუქი, ჩუმი და სურნელოვანი ნიაფი უაღერსებდა,
ე.ი. ასახსნელი წევრი „ალამი“ გადავსვით საკავშირებელ სიტყვას-
თან, წინადადება გამოხატავს სულ სხვა აზრს. აქ ნათქვამია: ნ ი -
ა ვ ი უაღერსებდა ა ლ ა მ ს და ა რ ა - ბ ა ლ ბ ს.

ა. მანიძე აღნიშნავს: „ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად
საკავშირებელი სიტყვა უშუალოდ უნდა იყოს იმ სახელთან, რომელსაც
დამოკიდებული წინადადება მიეკუთვნება, ან, თუ დაშორება აუცილე-
ბელია, სხვა სახელი არ უნდა უდგეს წინ. მაგალითი: „მას არ ესმო-
და იქვე ახლო აკოკრებული ვარდის ბურქზე მჯდომი ბუღბუღის ალგზნე-
ბული სტვენა, რომელიც სრულებით არ ამჩნევდა დათუას სიახლოვეს“
(არაგ.). საკითხავია: რა არ ამჩნევდა დათუას სიახლოვეს? ბუღბუღი
თუ მისი სტვენა? რა იქმა უნდა, ბუღბუღი, მაგრამ აქ სიტყვები ისეა
დალაგებული, რომ უნებურად „სტვენას“ იგულისხმებს კაცი. რომ ასეთა,
ეს იქიდან ჩანს, რომ „ალგზნებული სტვენის“ ნაცვლად რომ აქ სხვა
სიტყვები ჩავსვამ, მაგ., „პატარა ბარტყი“ და მთავარი წინადადე-
ბის ქემასმენელიც შევეცადომ („ესმოდა“-ს ნაცვლად „ერიდებოდა“;
ეს შეველა საჭიროა, რომ შინაარსი აზრიანი იყოს), სულ სხვა სინ-
ტაქსურ ურთიერთობას მივიღებთ: „მას არ ერიდებოდა იქვე ახლო აკო-
კრებული ვარდის ბურქზე მჯდომი ბუღბუღის პატარა ბარტყი, რომელიც
სრულებით არ ამჩნევდა დათუას სიახლოვეს“. ადვილი მისახვედრია,

რომ აქ დამოკიდებული წინადადება „ბარტყს“ განსაზღვრავს და არა „ბულბულს“¹.

არასწორად აგებული რთული ქვეწყობილი წინადადების მაგალითები:

განსაკუთრებით ე რ თ მ ა ბ უ ლ ბ უ ლ მ ა მიიქცია ბესიკის ყურადღება, რ თ მ ე ლ ი ც მის წინ ხარისხზე ჩამოჟდა და გაბმული ტიპტიკით ჩასძახა ქვემოთ რომელიღაც თავის ტოლს, შეიძლება თავის სატრფოს (ა. ბეღ.).

მეღა სოფლისაქენ გაეშურა, მიუახლოვდა და მიიპარა ერას ზ ლ ე ხ ი ს კარმიდამოზე, რ თ მ ე ლ ი ც სოფლის განაპირას ცხოვრობდა (ი. გოგ., „მეღა და მისი სახლობა“).

საწარმოს დირექტორი ყოველდღიურად მ რ ა გ ა ლ წ ი რ ი ლ ს იღებს მოკავშირე რესპუბლიკებიდან და ჩვენი ქვეყნის ქალაქებიდან, რ თ მ ე ლ ე ბ შ ი ც გამოთქმულია სურვილი შეიძინონ თბილისელთა მიერ დამზადებული პროდუქტია (გაზ. „თბილისი“, 21.5.1959, გვ. I).

• არასწორად აგებული წინადადების მაგალითები მოსწავლეების ნაწერებიდან:

• შიკრიკმა დ ე ბ ე შ ა მოუტანა დედას, რ თ მ ე ლ ი ც კივიდან იყო გამოგზავნილი. მას მოჰყვა მეორე ე. ქ ი მ ი ჩერნიგოვიდან, რ თ მ ე ლ ი ც მსუბუქი მანქანით ჩამოვიდა. მეორე წელს ხელმეორედ შემოესია ი რ ა ნ ე ლ თ ა ლ ა შ ქ ა რ ი ს ა - ქართველოს, რ თ მ ე ლ ს ა ც მიზნად აქონდა დასახული მთელი ივერიის დაპყრობა. ტარიელი მიიგნებს ნ ე ს ტ ა ნ ი ს სამყოფელს, რ თ მ ე ლ ი ც ქაჯეთის ციხეში იყო დამწყვდეული.

უნდა იყოს: შიკრიკმა დედას მოუტანა დ ე ბ ე შ ა, რ თ მ ე ლ ი ც კივიდან იყო გამოგზავნილი; ჩერნიგოვიდან მას მოჰყვა მეორე ე ქ ი მ ი, რ თ მ ე ლ ი ც მსუბუქი მანქანით ჩამოვიდა; მეორე წელს საქართველოს ისევ შემოესია ი რ ა ნ ე ლ თ ა ლ ა შ ქ ა რ ი, რ თ მ ე ლ ს ა ც მიზნად აქონდა მთელი ივერიის დაპყრობა და სხვ.

სიტყვათა ასეთი დისტანციური დაღაგება, ე. ი. ასახსნელი წევრის დაშორება საკავშირებელი სიტყვისგან, ორატორებებს აჩ გამოიწვევს, თუ საკავშირებელსიტყვიან დამოკიდებულ წინადადებასა და ასახსნელ წევრს შორის სახელოთა გამოხატული წევრი კი არაა, არამედ მხოლოდ

I ა. შანიძე - ქართული ენის გრამატიკა, ნაწ. II, სინტაქსი, თბ., 1949, გვ. 152.

შემასმენელია, მაგალითად:

საკითხავად **რ რ ი კ ა ც ი** გაგზავნეს, **რ რ მ ე ლ თ ა ც** მოუტანეს შემდეგი პასუხი (ა.ყაზბ.). მისი აზრით, ეს აქტი **ა გ ი - ტ ა ც ი ა** იქნებოდა, **რ რ მ ე ლ ი ც** ხალხს ურთხელ კიდევ მოაგონებდა მშრომელების სიძლიერეს (ლ.ქიაჩ.). დიდ **რ თ ა ხ შ ი** შევიდნენ, **ს ა დ ა ც** ოთხი დაჭრილი იწვა (რ.გვეტ.).

იგივე ითქმის, საერთოდ, თანდებუდიანი და, კერძოდ, ცალკე მდგომ თანდებუდიანი (მიერ, გამო, მიმართ, მაგიერ, შესახებ, შორის... წინადადება, შუა) ასახსნელი წევრის ადგილის შესახებაც, მაგ.: წერილი გამოგზავნილია ჩემი **ა მ ხ ა ნ ა გ ი ს მ ი ე რ**, **რ რ მ ე ლ ი ც** თბილისში ცხოვრობს. ილია იბრძოდა **გ რ ი გ ო ლ** **რ რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს** წინ **ა ა ლ მ ე ე გ**, **რ რ მ ე ლ ი ც** იყო ძველი თაობის იდეოლოგიის დამცველი და ა.შ.

ზოგჯერ იმეორებენ იმ სახელს, რომელსაც მიემართება დამოკიდებუ-ლი წინადადება, მაგალითად:

გზას გასცქეროდა ნადვლიანად, **გ ზ ა ს** **რ რ მ ე ლ ს ა ც** მისი საყვარელი ჯონლო ადგა (გ.ჩიქ.). **ი ს** იყო, **ი ს**, **რ რ მ ე ლ მ ა ც** აქ მოიყვანა (მ.არაგვ.).

ასეთ შემთხვევაში ასახსნელი წევრის განმეორება მაინც და მაინც საჭირო არ არის, თუ მას აცტორი არ მიმართავს ყურადღების გასამახვილებლად, მაგრამ, თუ წინადადება ისეა აგებული, რომ ასახსნელ წევრსა და განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას შორის გამოყენებულია სახელით გადმოცემული სხვა წევრი, მაშინ კონტაქტური წყობის დასაცავად ასახსნელი წევრის განმეორება აუცილებელია, მაგალითად:

გუშინ პოზნანში გაიმართა 25-ე საერთაშორისო **ბ ა ზ რ ო ბ ი ს** საზეიმო დახურვა, **ბ ა ზ რ ო ბ ი ს ა**, **რ რ მ ე ლ ი ც** ორ კვირას გრძელდებოდა (გაზ. „საბჭ.აფხ“, 4.7.1956, გვ.4).

სალიტერატურო ასპარეზზე ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების გამოსვლამდის გაბატონებული იყო ანტონ I-ის გრამატიკული **ს კ ო ლ ი ს** პრინციპები, **ს კ ო ლ ი ს ა**, **რ რ მ ე ლ ი ც** ... მთელი ასი წელიწადი ბატონობდა ქართულ მწერლობაში („ლიტ.გაზ.“ 27.7.1956, გვ.3).

სალიტერატურო ქართულის ამ ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით უნდა იქნეს აგრეთვე შეფასებული **რ ა ზ ი კ ა შ ე ი ლ ე ბ - ი ს**, განსაკუთრებით, - ვაცა-ფშაველას, ენობრივი თავისებურებანი, **რ ა ზ ი კ ა შ ე ი ლ ე ბ ი ს ა**, **რ რ მ ე ლ ე ბ მ ა ც** მწერლობაში გააცოცხლეს საქართველოს მთის მტყუცვლებაში ჩარჩენილი სინტაქსური კონსტრუქციები, ბუნებრივი თქმები, ლექსიკური, იდიომატური თუ ფრა-

ზეოლოგური მასალა (იქვე).

პირველ გვერდზე აქვეყნებენ ანგარიშს... ამ თ ა თ ბ ი რ ე - ბ ი ს განახლების გეგმების შესახებ, თ ა თ ბ ი რ ე ბ ი ს ა, რ კ მ ე ლ ე ბ ი ც პრეზიდენტმა მოაწყო 22 იანვარს (გაზ. „თბილისი“, 24.1.1956, გვ.4).

ამ წინადადებაში დამოკიდებული წინადადებათა ასახსნელი წევრები ენერტიული ღამატება ან გენერირული განსახლებება, რომელიც წინ უძღვის თავიანთ ასახსნელ წევრებს მთავარ წინადადებაში; ამიტომ, თუ ისინი არ გაემიჯრეთ, მაშინ დამოკიდებული წინადადება ლეგიკურად მათ მიერ ასახსნელ წევრს დაუკავშირდება და ამის შედეგად სულ სხვა აზრი გამოიხატება.

ასეთი ატეხულების რაოდენობით წინადადებაში შეიძლება ერთი და იმავე ასახსნელი სიტყვის განმეორების ნაცვლად შესატყვისი სხვა სიტყვის გამოყენებაც, მაგალითად, ასე:

ყვედასათვის ცნობილია თრკიელი ს პ. ა რ ტ ა ე ი ს ისტორია, ა დ ა მ ი ა ნ ი ს ა, რ კ მ ე ლ ე ბ ი ც მონებისა და გლეხებისგან შექმნა ღიღი არშია და არა ერთი ღამატება ატემა რომის დეგონებს (გაზ. „ახ. კომ“, 5.4.1960, გვ.4).

მაგრამ არაა სავალდებულო ასახსნელი წევრი იყოს უშუალო კავშირში საკავშირებელსიტყვიან განსახლებებშია დასოკიდებულ წინადადებასთან, თუ მას ანდავს ჩვენებითი ნაყვადსახელი (ე.წ. მისათითებელი სიტყვა), მაგალითად:

განსაკუთრებით ი ს მ მ ს წ ა ვ ე ე უყვარს მასწავლებელს, რ კ მ ე ლ ე ბ ი ც ბეჯითად სწავლობს. ეს წინადადება ისე ნათლად გამოხატავს აზრს, როგორც, მაგალითად, შენდევნი ღრახა: განსაკუთრებით უყვარს მასწავლებელს ი ს მ მ ს წ ა ვ ე ლ ე, რ კ მ ე ლ ე ბ ი ც ბეჯითად სწავლობს.

ასევე: ი ს ე თ მ ა მ თ ა მ დანაზრი ფეხები, რ კ მ ე ლ ე ბ ი ს - გ ა ნ ა ე არ მოველოდით (ანდ.). ... ღაიწყებს ი მ ი ს თ ა ნ ა ს ა გ ნ ე ბ ზ ე დ ღამატება, რ კ მ ე ლ ე ბ ი ს ა ც მე არ თანადევნებინო (ა. უაზა.). მას ნოაგონდა ი მ ა დ გ ი ლ ე ბ ი ს ე ა და ღრუბელი, ს ა დ ა ც ნიაგი მზობლიურად უაღრესება (მისივე, „მომღვარი“). ი მ ა ლ გ ი დ ს შიბავერ თვაღერი, ს ა დ ა ც დიდის მატარებელი მიიშალა (დ. ჰიარ.).

მისათითებელი სიტყვა დახმარებას გვიწევს „რამელი“ საკავშირებელი სიტყვის რიცხვის განსახლებამდე. ამ შემთხვევაში მინიშნულაბა აქვს იმას, თუ რომელ სიტყვასთან არის იგი გამოყენებული მსახვერუდად=მხოლოდში დასმულ სიტყვასთან თუ შრავლობაში დასმულთან, ამიტომ ზოგჯერ მისი უკუღებელყოფა ან არასათანალო ატეხვას დასმა იწვევს შეთანხმების ჭარღვევას.

მაგალითად, წინადადებაში: **ი მ ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს** წერებებს, **რ ო მ ე ლ ი ც** კარგად მუშაობს, დიდი სარგებლობა მოაქვს ხალხისთვის - მისათიკებელი სიტყვა „იი“ ახლავს მხოლოდში ღასნულ საზღვრულს „ორგანიზაციის“. მაშასადამე, მომდევნო განსაზღვრებით დამოკიდებული წინადადება არის მისი ამხსნელი და საკავშირებელი სიტყვა „რომელიც“ მხოლოდში უნდა შეეწყოს, მაგრამ ეს კორექტი რომ არ ეიხმართ ან იგი მრავლობითი ღასნულ მონდევნო სახელთან გადასვალ, წინადადების აზრი შეიკვდება, რადგანაც დამოკიდებული წინადადება უკვე სიტყვა „წევრების“ ამხსნელი გახდება და საკავშირებელი სიტყვა „რომელიც“ ამ ასახსნელ სიტყვას მრავლობითი შეეწყობა, მაგ.:

1) **ორგანიზაციის წევრებს, რომელნიც** კარგად მუშაობენ, დიდი სარგებლობა მოაქვთ ხალხისთვის.

2) **ორგანიზაციის იმ წევრებს, რომელნიც** კარგად მუშაობენ. დიდი სარგებლობა მოაქვთ ხალხისთვის.

3. ქვემდებარის ადგილი რთულ ქვეწყობილ წინადადებაში

ხშირად მთავარი და დამოკიდებული წინადადების ქვემდებარე ერთია. იგი ხან მთავარ წინადადებაში ვეხვდება (და დამოკიდებულში იგულისხმება), ხან დამოკიდებულში (და მთავარში იგულისხმება), მაგალითად:

1) **შვილი დედის** ამავს შინც ვერ გადაიხდის, რომ ხელის გულზე ერბო=კვერცხი მოიწვასო.

2) **შვილიც** რომ დედის გულისთვის ხელის გულზე ერბო=კვერცხი მოიწვას, იმის ამავს შინც ვერ გადაიხდისო.

პირველი რთული ქვეწყობილი წინადადება პირდაპირი წყობისაა.

იგი იწყება მთავარი წინადადებით, სადაც ქვემდებარე დამოკიდებულია სახელობითი ღასნული სიტყვა **შვილი**. ეს ქვემდებარე მომდევნო დამოკიდებულ წინადადებაში იგულისხმება.

მეორე ინვერსიული წყობისაა, რადგანაც იწყება დამოკიდებული წინადადებით. ქვემდებარე **შვილიც** არის ამ უკანასკნელში (დგას მოთხრობითში) და იგულისხმება მთავარში. ქვემდებარეთა ბრუნვის ფორმა განსხვავებულია იმიტომ, რომ ერთ შემთხვევაში მთავარი წინადადების შემასმენელმა „ვერ გადაიხდის“ ქვემდებარე მოთხროვა სახელობითი, მეორე შემთხვევაში დამოკიდებული წინადადების შემასმენელმა „მოიწვას“ მოთხრობითი. ორივე წინადადებაში ქვემდებარე **შვილიც**, როგორც მსჯელობის საგნის აღმნიშვნელი, ლოგიკური მახვი-

ლითაა გამოყოფილი და გადასმულია წინადადების თავში, აზრი კი ერთი და იგივეა გამოხატული, მაგრამ, სტილისტიკის თვალსაზრისით, აზრობრივი ელფერის გადმოკეთების მიხედვით; გარკვეული სხვაობაც შეინიშნება: პირველ წინადადებასთან შედარებით, მეორეში დამოკიდებული წინადადება ხაზგასმით გადმოგვეცემს აზრს, ამიტომ არის იგი გადასმული მთავარი წინადადების წინ. ასეთი წყობის რთულ წინადადებას უმთავრესად ხმარობენ მხატვრულ მეტყველებაში და ხშირად მთავარი წინადადების ქვემდებარე (მოქმედი საგნის აღმნიშვნელი სიტყვა) გადააქვთ მთავრის წინა დამოკიდებულ წინადადებაში, მაგრამ ჩვეულებრივი, საქმიანი მეტყველების დროს ჩანს, რომ სტილისტიკურად ასეთი წინადადება მაშინ არის შედარებით მსუბუქი და მართებულად აკებული, როდესაც ს ა ე რ თ ო . ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე , როგორც აზრის ერთ-ერთი ძირითადი მარჯვანიზებული წევრი, მ თ ა ვ ა რ წ ი ნ ა დ ა - დ ე ბ ა შ ი ა დ ა ა რ ა დ ა მ ო კ ი დ ე ბ . უ ლ შ ი , ამიტომ კარგი სტილის ნიმუში რადია, როცა ასე წერენ: ვაჟკაცმა ა ლ უ დ ა ქ ე თ ე ლ ა უ რ მ ა როცა შეიტყო მტრის შემოსევის ამბავი, წამსვე აისხა იარაღი. გ ი ვ ი რასაც გულში გაივლებდა, იმას აუცილებლად შეასრულებდა. როცა მ გ ზ ა ვ რ ე ბ მ ა კარგად დაიხსენეს, ძველი ამბების მოყოლა დაიწყეს. როცა მ ფ რ ი ნ ა ვ მ ა ზევიდან შენიშნა თავმოყრილი ხაღხი, დაეშვა. როდესაც ბ ა ვ - შ ე ვ ბ მ ა გაიგეს ახალი ამბავი, სახლში გაიქცენენ. ქ ი ს ტ ე - ბ მ ა რაკი შეიტყვეს, რომ ზვიადური ჯოჯოღას სახლში იყო, განიზრახეს მისი შეპყრობა.

მაგრამ, როდესაც ქვემდებარეს დამოკიდებული წინადადებიდან მთავარში გადავსვამ, აზრი უფრო ნათლად გამოიხატება, მაგალითად: როცა შეიტყო მტრის შემოსევის ამბავი, ვაჟკაცმა ა ლ უ დ ა ქ ე თ ე - ლ ა უ რ მ ა წამსვე აისხა იარაღი. რასაც გულში გაივლებდა, გ ი - ვ ი იმას აუცილებლად შეასრულებდა. როცა კარგად დაიხსენეს, მ გ ზ ა ვ რ ე ბ მ ა ძველი ამბების მოყოლა დაიწყეს. როცა ზევიდან შენიშნა თავმოყრილი ხაღხი, მ ფ რ ი ნ ა ვ ი დაეშვა. როდესაც გაიგეს ახალი ამბავი, ბ ა ვ შ ე ვ ბ მ ი სახლში გაიქცენენ. რაკი შეიტყვეს, რომ ზვიადური ჯოჯოღას სახლში იყო, ქ ი ს ტ ე - ბ მ ა განიზრახეს მისი შეპყრობა.

ზოგჯერ საერთო ქვემდებარე დასმულია დამოკიდებულ და მთავარ წინადადებებს შორის და ინტონაციით ან მძიმის გადასმით იგი შეიძლება მივაკუთვნოთ ან მთავარს, ან დამოკიდებულს, მაგალითად, ასე: ბატონის განზრახვა რომ გაიქცეოთ ნოდარის დ ე დ ა მ დამორჩილებას გაქვევა არჩია.

ამ შემთხვევაში ქვემდებარე გადასასმელი არ არის. მხოლოდ

მძიმის სათანადო აღვიდას გამოყენება გადაწყვეტს წინადადების სწორად აგებას. თუ მძიმე დავსებით არა „ლედამ“ სიტყვის, არამედ „გაიგოს-ს“ შემდეგ, ქვემდებარე მთავარ წინადადებაში იქნება.

დასახელებული მაგალითები ამოღებულია მოსწავლეთა ნაწერებიდან. ამგვარად აგებული წინადადებები ხშირად გვხვდება მწერლების ნაწარმოებებშიც:

დილით გამოვიდოდა მიწურიდან თუ არა მ ო ხ უ ც ი, ხელის წა-
თურობით მონახავდა ეზოში დაგდებულ კენძს და ზედ დაჯდებოდა
(ი.ღის.). როდესაც გ ე ლ ა განთავისუფლდა და მარტოკა დარჩა,
გამობრუნდა სახლისაკენ და შესვლის უმალ მზადება დაიწყო (ა.ყაზბ.).
გ ი ო რ გ ი მ რომ გაათავა, გადასძახა პეტრეს (ი.ჭავჭავ.). როდესაც
მ უ რ თ უ ზ ა ამხანაგებს მოშორდა, სიფრთხილით და ქვების
უკან ფარებით მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც ცუქხლი მოჩანდა (ა.
ყაზბ.). როდესაც გ ო რ ა მ დალოცვა გაათავა, ხალხს გამოუხუხადა
ნუგზარ ერისთავის სურვილი (ა.ყაზბ.). გაიგონეს თუ არა ბ ა ვ -
შ ე ე ბ მ ა ზარის ხმა, მაშინვე მიატოვეს თამაშობა და ყვირილით
გაიქცნენ სკოლისაკენ... (დ.მეგრ.).

ზემოთ დასახელებულ მაგალითებში ქვემდებარეს ერად იმავე ბრუნვაში შეიწყობს როგორც დამოკიდებული, ისე მთავარი წინადადების შემასმენელი, მაგრამ უფრო რთული მდგომარეობაა მაშინ, როდესაც დამოკიდებულ წინადადებაში გამოყენებულ ქვემდებარეს მთავარი წინადადების შემასმენელი მოთხოვნ სულ სხვა ბრუნვაში, მაგალითად: როგორც კი ჯ ო ნ დ ო ხეივნიდან გამოვიდა, თავზე ნაბადი წაიფარა (გ.ჩიქ.). რაწამს ტ ა რ ა ს ი მ ცხენოსანი იცნო, განზე გადაგა... (კ.ლორთქ.). მ ა მ ა რ ე მ მ ი რომ შეიტყო ესა, იახლა ბატონს და ჩემი თავი სთხოვა (ი.ჭავჭავ.). მ ა მ ა მ რომ შეიღებო დაინახა, შეეკრთა (ი.ღის.).

ასეთ შემთხვევებში დამოკიდებული წინადადებიდან მთავარ წინადადებაში ქვემდებარის გადასმის საჭიროება უფრო იგრძნობა. უნდა იყოს: როგორც კი ხეივნიდან გამოვიდა, ჯ ო ნ დ ო მ თავზე ნაბადი წაიფარა. რაწამს ცხენოსანი იცნო, ტ ა რ ა ს ი განზე გადაგა. რომ შეიტყო ესა, მ ა მ ა რ ე მ ი ეახლა ბატონს და ჩემი თავი სთხოვა. შეიღებო რომ დაინახა, მ ა მ ა. შეეკრთა.

მწერლებს ზოგჯერ დამოკიდებული წინადადების დ ა მ ა ტ ე ბ ა მთავარი წინადადების ქვემდებარედ აქვთ ნაგულისხმევი, მაგალითად: ა დ ა მ ი ო ა ნ ს მინამ ხელფეხი ერჩის, მარტო არ იქნება... (ი.ჭავჭავ.). მ ე ფ ე ვ ა ხ ტ ა ნ გ ს რომ მოხსენდა ეს თავხედობა, გარისხდა... (ა.წერ.). რასაკვირველია, აჯობებდა ასე ყოფილიყო: მინამ ხელფეხი ერჩის, ა დ ა მ ი ო ა ნ ი მარტო არ იქნება. რომ

მოსხენდა ეს თავხელობა, მ ე ფ ე ვ ა ხ ტ ა ნ გ ი გარისხდა.

თუ ისეთი შენობებზეა, რომ აზრის სიზუსტისთვის ქვემდებარე აუცილებლად უნდა თავსვათ დამოკიდებულ წინადადებაში, მაშინ მთავარი ქვემდებარე შისი შესატყვისი ნაცვალსახელი უნდა გამოვიყენოთ. მაგალითად, ასეთ ფრაზაში: როცა ტ ა რ ი ე ლ ი გადაბუჯულ სოფელში დაბრუნდა, ძალიან აღშფოთებული იყო. თუ საერთო ქვემდებარეს „ტარიელი“ მთავარ წინადადებაში გადავსვამთ, ფრაზა მიიღებს ასეთ სახეს: როცა გადაბუჯულ სოფელში დაბრუნდა, ტ ა რ ი ე ლ ი ძალიან აღშფოთებული იყო.

ამ შემთხვევაში მკითხველმა შეიძლება დამოკიდებულ წინადადებაში არა ტარიელის, არამედ სხვისი დაბრუნება იგულისხმოს, ამიტომ ქვემდებარეს „ტარიელი“ დავტოვებთ დამოკიდებულ წინადადებაში, ხოლო მთავარში ვამოვიყენებთ მის შესატყვის ნაცვალსახელს, რომელიც კორელაციის როლსაც შეასრულებს, და წინადადების აზრი ნათელი იქნება, მაგალითად: როცა ტ ა რ ი ე ლ ი გადაბუჯულ სოფელში დაბრუნდა, ის ძალიან აღშფოთებული იყო.

ასევე: როცა მ ფ რ ი ნ ა ვ მ ა ზევიდან შენიშნა თავმოყრილი ხალხი, ის დაეშვა. როდესაც ბ ა ვ შ ე ვ ე ბ მ ა გაიკვს ახალი ამბავი, ის ი ნ ი სახლში გაიქცენს.

ნაცვალსახელი ამ შემთხვევაში იმეორებს ქვემდებარეს მთავარი წინადადებისთვის, ვინაიდან ამ უკანასკნელის უქვემდებაროდ დატოვება იმის გამო, რომ მისი საზიარო ქვემდებარე დამოკიდებულ წინადადებაშია, სტილისტიკურად გაუმართლებელია.

მანასადამე, თუ მოუბარი მთავრის წინა დამოკიდებულ წინადადებაში აუცილებლად მიიჩნევს არსებითი სახელით გადმოყვამული ქვემდებარის დასმას, მაშინ მთავარში საჭიროა იგი ნაცვალსახელით გამოიხატოს ან ასეთი რთული ქვეწყობილი წინადადების სწორად ასაგებად დამოკიდებულ წინადადების თავში მოთავსებულ საერთო ქვემდებარე გამოყვას მძიმით, რომ იგი ჩამომორდეს დამოკიდებულს და განეკუთვნოს მთავარს, მაგალითად: ვივრ, ჩასაც გულში გაივლებდა, იმას აუცილებლად შეასრულებდა. მამას, რაც ვქონდა, შევიღებისთვის უნჯადა.

აღამიანი, სანამ ხელაფეხი ერჩის, მარტო არ იქნება და სხვ.

ამრიგად, საერთო ქვემდებარის არასასაანადო ადგილას გამოყენების მიხედვით უმართებულად აგებული რთული ქვეწყობილი წინადადება შეიძლება გავასწოროთ სამნაირად. მაგალითად, წინადადება: ვაუკაცმა აღუღა ქეთელაურმა როცა შეიტყო მტრის შემოსევის ამბავი, წამსვე აისხა იარაღი - შეიძლება ავაგოთ ასე:

1) ვაუკაცმა აღუღა ქეთელაურმა როცა შეიტყო მტრის შემოსევის ამბავი, მან წამსვე აისხა იარაღი.

2) ვაუკაცმა აღუღა ქეთელაურმა, როცა შეიტყო მტრის შემოსევის

ამბავი, წამსვე აიხსნა იარაღი.

3) როცა შეიტყო მტრის შენობების ამბავი, გაეკაფა ალღო ქვედაურმა წამსვე აიხსნა იარაღი.

ამ სამ ვარიანტს შორის სტილისტიკურად უპირატესია ლეონანტისევი იარი, ე.ი. ან სიტყვათა წყობის უფლებად დატვირთვა, მაგრამ სიყრით ქვემდებარის გამოყოფა მძიმით მთავრის წინა დამოკიდებულობით წინადადებასგან, რომ მთავრის განუყოფლობის, ან სიტყვათა წყობის შეფუთვა - დამოკიდებული წინადადებადან ქვემდებარის გადატანა მთავარ წინადადებაში.

მაგრამ შეიძლება მივიხაროთ ასეთ წყობასაც:

დამოკიდებული წინადადება ვადევსვით მთავარი წინადადებას შემდეგ. მაგრამ ქვემდებარე დავსვით მთავარში, მაგ.:

გაეკაფა ალღო ქვედაურმა წამსვე აიხსნა იარაღი, როცა მტრის შენობების ამბავი შეიტყო.

ეს, რასაც ვირველია, უპირატესია იმ შემთხვევაში, თუ დამოკიდებული წინადადებას ახრი ლოგიკური მახვილით არ არის გამოისახული გარდაუდებული ელემენტის გამოხატვის მიზნით.

მოსწავლეებს ხშირად მოსდით ასეთი შეცდომები: დამოკიდებულება წინადადებას ქვემდებარესა და შემასხმენელს ერთმანეთისგან ათმავლენ მთავარი წინადადებათ და რთული ქვეწყობილი წინადადება იღებს, მაგალითად, ასეთ უნაწარ ღონას: ვ ა გ ა - ფ შ ა ვ ე ღ ა ს ეს ამბავი, უნდა ითქვას, რომ შესანიშნავად ა უ წ რ ი ა.

წინადადებას ასე ატება დაუფებელია. დამოკიდებულება წინადადებას ქვემდებარე უნდა იყოს თავის შემასხმენელთან ახლოს, მაგ., ასეთ უნდა ითქვას, რომ ვ ა გ ა ფ შ ა ვ ე ღ ა ს ეს ამბავი შესანიშნავად ა უ წ რ ი ა.

ზემოთ ახსენებული პირველი წყობა შეიძლება მართებულად ჩავთვალოთ იმ შემთხვევაში, თუ სიტყვებს „უნდა ითქვას“ გამოიყენებთ ჩარჩოვად. მაშინ რთული ქვეწყობილი წინადადებას ნაცვლად გვექმნება ჩარჩოვალში მარტივი წინადადება. ესაა უშეფუთვა ეს ამბავი, უნდა ითქვას, შესანიშნავად აუწერია (ეს გამოიყენა „რომ“ უბეჭირის ამოღებამ).

ქვემდებარის თავის ადგილას დასმის საკითხი მნიშვნელოვანია რთული თანწყობილი წინადადებას სწორად ატებისთვისაც. მაგალითად, წინაში: „იმათმა მხარეებლებმა ქალი არამეთუ წამოაყენა, არამედ დეი და დამეს სულის წყვეტაში და ბოჯვამი ატარებდა (ა.ყაზბ., „ეტიკა“) - ახრი ბუნდოვანია იმის გამო, რომ წინადადება სტილისტიკურია: არ არის გამოარსული (აქ სხვა შეულომაყაა, მაგ., უნდა იყოს „წინადადება და ბოჯვამი“). ამ წარხის მეორე წინადადებაში („არამედ

დღე და ღამეს სულის წყვეტაში და ბოღვაში ატარებდა“) ავტორს ქვე-
მდებარედ ნაგულისხმევი აქვს პირველი წინადადების დამატება „ქა-
ლი“.

წინადადების ასე აგება უმართებულოა იმის გამო, რომ ჯერ
ერთი შემასმენლები დაკავშირებული უნდა იყოს ან ერთ საერთო ქვემ-
დებარესთან და წინადადება აგებულების მიხედვით იქნება შერ-
წყობილი, ან, მეორე-თითოეულ შემასმენელს უნდა ახლდეს საკუ-
თარი ქვემდებარე და წინადადება იქნება რთული თანწყობი-
ბილი, რომელშიც შემავალი წინადადებების უქვემდებარედ დატოვე-
ბა არ შეიძლება, თუ წინადადება თავისთავად არ არის უქვემდებარე.
ამიტომ აზრი ადვილად გასაგები იქნება მაშინ, როდესაც დასახელებულ
ფრაზას ასე ავსებთ:

1. შერწყმულად, ე.ი. წინადადების მეორე შემასმენელთან ვიგუ-
ლისხმებთ პირველი შემასმენლის ქვემდებარეს: „იმათმა მზრუნ-
ველი მამა ქალი არათუ წამოაყენა, არამედ
დღე და ღამეს სულის წყვეტასა და ბოღვაში გაატარებინა“.
ან 2. რთულ თანწყობილად, ე.ი. მეორე შემასმენელთანაც დავსვამთ
ქვემდებარეს:

„იმათმა მზრუნველი მამა ქალი არათუ წამ-
მოაყენა, არამედ ამ უკანასკნელმა დღე და ღამეს
სულის წყვეტასა და ბოღვაში გაატარა. აქ მეორე წინადადებას
განუჩინეთ ქვემდებარე, რომელიც აღნიშნავს პირველ წინადადებაში
დამატებით გამოხატულ საგანს (აგრეთვე დავიცავით მოქმედებათა დრო-
ული შეფარდება), და აზრი ნათელი გახდა.

ასევე ცუდად არის აგებული შემდეგი რთული თანწყობილი წინადა-
დებაც:

შემელოვი შეაგულიანა მზარეულის სიტყვებშია, ნესტეროვის მორიდე-
ბით შეხედა და ჩაიბურღუნა (გაზ. „თბილისი“, 12.6.1961, გვ.3).

ამ წინადადების პირველ ნაწილში შემასმენელთან „შეაგულიანა“
ქვემდებარეა „სიტყვებშია“. მეორე ნაწილში შემასმენელთან „შეხედა“
ქვემდებარედ იგულისხმება პირველი წინადადების პირმომართი პირდა-
პირი დამატება „შემელოვი“. წინადადების ასე აგება დაუსვენელია,
მისი გასწორებაც არ არის ადვილი. აზრს გასაგებად გახდიდა სიტყვა
„შემელოვის“ განმეორება მეორე შემასმენელთან, მაგრამ ამ შემთხვე-
ვაშიც ისევ სტილისტიკური შეცდომა (ტავტოლოგია) მოგვივიდოდა (არ
ივარგებდა: შმეელიოვი შეაგულიანა მზარეულის სიტყვებშია,
შმეელიოვი მორიდებით შეხედა...). არც ნაცვალასხელი გა-
მოდგებოდა (შმეელიოვი შეაგულიანა მზარეულის სიტყვებშია,
მან მორიდებით შეხედა...), ეინაიდან მეორე შემასმენელთან

ქვემდებარედ გამოყენებულ ნაცვალსახელს მ ა ნ სინტაქსურად შე-
უძლია გაიმეოროს წინა წინადადების ქვემდებარე და არა დამატება,
ამიტომ ერთადერთი სწორი საშუალებაა აღნიშნული წინადადების რთულ
ქვეწყობილად აგება, რისთვისაც სიტყვა „შემდროვი“ უნდა გადაისვენას
პირველი წინადადების ბოლოს და მეორე შემასმენელთან მის გასამეო-
რებლად ქვემდებარედ გამოვიყენოთ მიმართებითი ნაცვალსახელი ანუ
წერ=კავშირი „რომელმაც“, მაგალითად, ასე:

მზარეულის სიტყვებმა შეაგულიანა შემდროვი, რომელმაც ნესტა-
რეს მორიდებით შეხედა და ჩაიბურღუნა.

4. ნაცვალსახელის გამოყენება ქვემდებარედ მთავარ წინადადებაში.

აქ საუბარი გვექნება იხუთ შემსხვევებზე, რადესაც წინამცხადი
წინადადების მიხედვით მომდევნო წინადადებაში არასწორად ხმარებენ
ნაცვალსახელს.

განსაკუთრებით ბუნდოვანი, ძნელად გასაგებია წინადადების აზრი,
როცა დამოკიდებული წინადადების არსებითი სახელით გამოხატული უბრა-
ლო დამატება ან განსაზღვრება მომდევნო მთავარ წინადადებაში ქვემ-
დებარედაა ნაცვალსახელი და მის გადმოსაცემად გამოყენებულია ნა-
ცვალსახელი. რთული ქვეწყობილი წინადადების ასე აგება სტრიქტიუ-
რად არ არის სწორი: აზრი ბუნდოვნად გადმოიყვამა, მისი გაგება მოით-
ხოვს ყურადღების დაძაბვას, ზოგჯერ კი ასეთი წინადადების შინაარს-
იშეძლება სრულიად გაუგებარიც იყოს.

მაგალითად: როცა ქ ა ლ ი ს ავეწინამუღირამ არ გაჭრა, ი გ ი
ბოლოებულად გახდა გადმომსტაროყო მესამე სარჩულიდან, რის შედეგად
ხაჯრძნობლად დასახიჩრდა (ვახ. „ოზარისი“, 17.4.1962, გვ.2).

ამ წინადადებაში სიტყვა „ქალის“ დამოკიდებული წინადადების უბრა-
ლო დამატებაა, ქვემდებარეა „ხვეწინამუღირამ“, მომდევნო მთავარ წი-
ნადადებაში კი ქვემდებარე „იგი“ ნამდვილად დამოკიდებული წინადა-
დების ქვემდებარის აღმნიშვნელი ნაცვალსახელი უნდა იყოს, მაგრამ,
როგორც კონტექსტის მიხედვით ირკვევა, ეს ნაცვალსახელი ავტორს და-
მოკიდებული წინადადების უბრალო დამატების - „ქალის“ მნიშვნელობ-
ის გამოსახატავად გამოუყენებია. დასახილებული წინადადების კონს-
ტრუქციის მიხედვით ეს, რასაკვირველია, ძნელად გასაგებია. ტექსტ-
ის მიხედვით ჩანს, რომ მესამე სარჩულიდან გადმომხტარა ქალი და
არა სხვა ვინმე. მაშასადამე, ეს წინადადება კონტექსტის გარეშეც
რამ ადვილად გასაგები იყოს, ამისთვის საჭიროა მთავარი წინადადე-

ბის ნაცვალსახელი „იგი“ აღნიშნავდეს დამოკიდებული წინადადების ქვემდებარით, გამოხატულ საგანს, მაგრამ, თუ ეს არ ხერხდება, მაშინ მთავარ წინადადებაში ქვემდებარედ უნდა გამოვიყენოთ არა ნაცვალსახელი, არამედ არსებითი სახელი. ამიტომ ზემოთ დასახელებული წინადადება ასე უნდა აიგოს:

როცა ხეწინამუდარამ არ გაქრა, ქალი იძულებული გახდა გადა-
მხტარიყო მესამე სართულიდან...

ამის შესავსად არის აქებული, მაგალითად, შემდეგი წინადადება:

როცა ოთარაანთ ქვრივს გიორგის ამბავი შეატყობინეს, ის უყრად გაშეშდა.

უნდა იყოს როცა გიორგის ამბავი შეატყობინეს, ოთარაანთ ქვრივი უყრად გაშეშდა.

ან ასე: როცა გიორგის ამბავი შეატყობინეს ოთარაანთ ქვრივს, ეს უკანასკნელი უყრად გაშეშდა.

ასეთივე უხეში სტილისტიკური შეცდომაა, როდესაც ცალკე აღებულ მომდევნო წინადადებაში ქვემდებარედ, დამატებად ან განსაზღვრებად ვიხმაროთ ნაცვალსახელს, რომელიც წინა წინადადების ქვემდებარით აღნიშნულ საგანს არ შეესაბამება, მაგალითად: დანიელ ჳონქაძის სახელი მტკიცედ შერჩა ქართული ლიტერატურის ისტორიას. მან თავის ნაწარმოებში რეალურად ასახა ბატონყმობის სისასტიკე.

ამ წინადადების მიხედვით გამოდის, რომ ს ა ხ ე ლ მ ა ასახა ბატონყმობის სისასტიკე, ამიტომ აქ ქვემდებარედ ნაცვალსახელი არ გამოდგება.

ასევე არასწორად არის გამოყენებული ნაცვალსახელი შემდეგ წინადადებაშიც:

სამამულო ომი კარვად აისახა ი. გრიშაშვილის პოეზიაში. ის ათვის კადმი. თ ერთგულად ემსახურებოდა ჩვენი ქვეყნის ინტერესებს.

მწერად ეუ კიარეღის დაჯილდოება ყველას ესომოენა. მან ღირსეულად დაიმსახურა ხალხის ღრმა სიყვარული.

მგოსნის შემოქმედებას წითელი ზოლივით გასდევს პატრიოტული გრძნობა. მისი გმირები გამსჭვალული არიან სამშობლოს უანგარო სიყვარულით.

§ 75. მოქმედებათა ერთდროულობა რთულ ქვეწყობილ წინადადებაში

მოქმედებათა ერთდროულობის დაცვას გარკვეული სტილისტიკური მნიშვნელობა აქვს აგრეთვე რთულ ქვეწყობილ წინადადებაშიც, სადაც მთავარსა და დამოკიდებულში გამოხატულ მოქმედებათა ღროული შეფარდება აზრის სიცხადისთვის მრავალ შემთხვევაში აუცილებელია და მისი დარღვევა იწვევს წინადადების შინაარსის დამახინჯებას. განსაკუთრებით ეს შეინიშნება ისეთ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, რომელიც იწყება დამოკიდებულ წინადადებით. მაგალითად, სწორია, როცა ასე ვამბობთ:

ვინც ქარს თესავს, ის ქარიშხალს იმკის.

ვინც ქარს დათესავს, ის ქარიშხალს მოიმკის.

ვინც ქარი დათესა, მან ქარიშხალი მოიმკა.

ვისაც ქარი დაუთესავს, მას ქარიშხალი მოუმიკია.

რაც იზადება, ის კიდევაც კვდება.

რაც დაიზადება, ის კიდევაც მოკვდება.

რაც დაიზადა, ის კიდევაც მოკვდა.

რაც დაზადებულა, ის კიდევაც მომიკვდარა.

როგორც იგებ, ისე ისვენებ.

როგორც დაიგებ, ისე მოისვენებ.

როგორც დაიგო, ისე მოისვენა.

როგორც დაუგია, ისე მოუსვენია.

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მოქმედებათა ერთდროულობის დაცვებლობა არ გამოიწვევს აზრის დამახინჯებას, თუ მასში პირველი მოქმედება უწინარესია, მეორე – შემდგომი, მაგალითად:

ვინც ქარს თესავს, ის ქარიშხალს მოიმკის (პირველი შემასმენელი ახლანდელ დროშია, მეორე-მომავალში და აზრი სწორადაა გამოხატული), მაგრამ ამ ტიპის წინადადებაში შემასმენელთა ისეთი ფორმით გამოყენება, რომ მომდევნო მოქმედება უფრო ადრე ჩანდეს, ვიდრე პირველი, სტილისტიკურ უხერხულობას გამოიწვევდა. მაგალითად, არ იფარგებდა; რომ ასე გვეთქვამს:

სადაც დაუღამდება, იქ ისვენებს.

უნდა იყოს: სადაც დაუღამდება, იქ დაისვენებს,

ან: სადაც უღამდება, იქ ისვენებს.

ერთდროულობის დარღვევით (აგრეთვე ასახსნელი წევრისა და საკავ-

კური შეცდომა ნათლად შეინიშნება, მაგალითად, შემდეგ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში:

ქალი იჯდა წყაროს პირს, რომელიც იქვე კლდიდან გამოჩნხრუხებს (ა.ყაზბ.).

უკეთესი იქნებოდა, რომ ეს წინადადება აცტორს ასე აეგო:

ქალი იჯდა წყაროსთან, რომელიც კლდიდან გამოჩნხრუხებდა. ან ასე: ქალი ზის წყაროსთან, რომელიც კლდიდან გამოჩნხრუხებს. თუ მაინცდამაინც საჭირო იყო აღენიშნა, რომ ეს იყო წარსულში, მაგრამ წყარო ამჟამადაც გამოჩნხრუხებს, მაშინ მიზანშეწონილი იქნებოდა დროის გარემოების დამატება, ვიდრე შევასმენლის ჭორმის გამოცემა, მაგალითად:

ქალი იჯდა წყაროს პირს, რომელიც იქვე კლდიდან ახლაც გამოჩნხრუხებს.

დამოკიდებულსა და მთავარ წინადადებაში მოქმედებათა ღრუბლი მიმართება ა. შანიძეს თანამედვერობის სახელწოდებით აქვს აღნიშნული¹.

§ 76. ერთნაირი კავშირებისა და საკავშირებელი სიტყვების მართებულად ხმარება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში

როცა დამოკიდებული წინადადება ერთზე მეტია, რთულ ქვეწყობილ წინადადებაში შეინიშნება დაქვემდებარების ანუ ქვეწყობის ორი სახე: თანადაქვემდებარება და თანამიმდევრული დაქვემდებარება. ამის მიხედვით დამოკიდებულ წინადადება არის სამკვარის თანადაქვემდებარების დროს ვგაქვს: თ ა ნ ა დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი (ან სხვაგვარად - პარალელურად დაქვემდებარებული) და ა რ ა თ ა ნ ა დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი წინადადებები; თანამიმდევრული დაქვემდებარების დროს კი - ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ხ ა რ ი ს ხ ი ს დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი წინადადებები. ამ უკანასკნელი ტიპის დამოკიდებულ წინადადებები ზოგჯერ ერთი და იმავე კავშირით ან საკავშირებელი სიტყვით იწყება, რაც სტილისტიკურად გაუმართლებელია.

კავშირის ან საკავშირებელი სიტყვის განმეორება ბუნებრივია მაშინ, როცა ის ახლავს თანადადამოკიდებულ ან პარალელურად დაქვემდებარებულ წინადადებას, რომლებიც უკავშირდება მთავარი წინადადების რომელიმე ერთ წევრს და არის ჩამოთვლითი ხასიათისა, მაგალითად:

¹ აკაკი შანიძე - ქართული ზრამატიკის საყუძველები, 1, 1953, გვ. 217-218.

1) თეიმურაზი აშკარად დარწმუნდა, რა მ მისი მეგობარი მწარე მდგომარეობაშია, რა მ მის გულში ნამდვილი სიყვარულის გრანობა აღზნებულია, რა მ თეიმურაზს გრძობავ და ქვაბუც ერაგვარი სიძლიერის აქონდა (ა.ყაზბ.).

რა უნდა ეთქვა მოხუცს, თუ იმის ქალიც მწყემსს თანაუგრძობდა, თუ ისიც ბეჟიას სიყვარულს გამოუცხადებდა (ა.ყაზბ.).

რ ა კ ი გუგუამ თავისად დაასახელა ძიძია, რ ა კ ი ქალმათი პირობა მისცა, იმას ასე ადვილად ვერავეინ გაუბედავდა რასმე... (ა.ყაზბ.).

2) ანზორა მოხუცებული, დავრდომილი, რა მ ე ლ მ ა ც მენსწი-სა სამი შეილი სამშობლოს თავისუფლებას, ან თავის მარტო ერთი ქალიდა ესალმებოდა თავის ქვეყანას (ა.ყაზბ.).

მართალია თუ არა ის, რ ა ს ა ც არჩილი ფქრობს, რ ა ს ა ც განიცდის, რ ა ც ე რევენება, აგონია? (ღ.ჭიარ.).

ისინი მიემუხრებოდნენ იმ ადგილისაკენ, ს ა ღ ა ც თემის ყრილობა უნდა მომხდარიყო, ს ა ღ ა ც თემის საბჭო იყო გამართული და ს ა ღ ა ც ურახველ გადაწყვეტილებას უვება მთელი ემონებოდა და განუკითხვად ასრულებდა (ა.ყაზბ.).

რა მ ც ა სადილის უკან გამოიძინებდნენ ცოლ-ქმარნი, რა მ ც ა საღამოზედ ნიათი ფრთას გაშლიდა და რა მ ც ა ბადრის ღობის გრძლად გაწოლილი ჩრდილი ეზოს მოადგებოდა, მაშინ კენიან დარეჯანი ერთ ბაღანადაცვივინულ ხალიჩას ჩრდილში გააშლევინებდა (ი.ჭავჭავიძე). და სხე.

ამ წინადადებებში შეიძლება კავშირი ან საკავშირებელი სიტყვა ერთხელ გვეხმარა და ბოლოს მის ნაცვლად „და“ კავშირი დაგვესვება, მაგრამ წინადადება დაკარგავდა გამომსახველობით იერს, რადგანაც ამ ტიპის რთულ ქვეწყობილ წინადადებებში კავშირის თუ საკავშირებელი სიტყვის განმეორება აძლიერებს, უფრო ექსპრესიულს ხლის წინადადების შინაარსით ვადმოკემულ აზრს.

ასევე გამართლებულია ერთი და იმავე კავშირის ან წევრ-კავშირის განმეორება არადასადასიკიდებულ წინადადებებთანაც, რამდენიც უკავშირდება მთავარი წინადადების სხვადასხვა წევრს, მაგალითად:

მისი ჯაფრი ის კი არ იყო, რ ა ც ითქვა, არამედ ის, რ ა ც გულში ჩარჩა და ცრემლს სწორედ ეს ვეროდა (ა.ყაზბ.).

ეს იყო სიკვდილის წაღილი და სიკვდილი უეჭველად იმ ხელით, რა მ ე ლ მ ა ც მისი ამხანაგების სიკუთხლე გააქრო, იმ მათვლით, რა მ ე ლ ი ც იმისი მეზობლების უბრალო სისხლით შეღებილიყო (ა.ყაზბ.).

მაგრამ სხვადასხვა ხარისხის დამოკიდებულ წინადადებებთან ერთად იმავე კავშირის ან წევრ-კავშირის გამოყენება სტილისტიკურად

დაუშვებელია, იგი ამძიმებს სტილს, აძნელებს აზრის გაგებას, წინადადებას უკარგავს სიღამაზეს, მაგალითად:

იქამდისინ შეეპყრო იმის გონება მზადღოზე ფიქრსა, რ მ მ ათას საშუალებაასაც კი ეძებდა, რ მ მ შინ როგორმე დაბრუნებულყო (ა.ყაზბ.).

ამ მღელვარების მიზეზი ის იყო, რ მ მ გაგვიმ აშკარად დანახა, რ მ მ იგი ელგუჯას და იმის ამხანაგებს ვერც კი დაიჭერდა და ვერც დახოცავდა (ა.ყაზბ.).

შუალამე იქნებოდა, რ მ დ ე ს ა ც თნისემ სნოს ხეობის დაღმართს მიაღწია იმ დროს, რ მ დ ე ს ა ც ზევით მთვარე გაკაშქაშებულყო... (ა.ყაზბ.).

ჩვენი ოჯახი ზაფხულობით ისვენებს სოფელში, რ მ მ ე ლ ი ც მდებარეობს დიდი მთის მახლობლად, რ მ მ ე ლ ი ც დაფარულია გაუვალი ტყით, რ მ მ ე ლ ი ც მდიდარია წიწვიანი მცენარეებით და სხვ.

1) ამ ტიპის რთულ ქვეწყობილ წინადადებაში საჭიროა კაფშირების შემცირება, მაგ. ასე: იქამდის შეეპყრო იმის გონება მზადღოზე ფიქრს, რ მ მ ათას საშუალებაასაც კი ეძებდა როგორმე შინ დაბრუნებულყო.

ამ მღელვარების მიზეზი ის იყო, რ მ მ გაგვიმ აშკარად დანახა, ელგუჯას და მის ამხანაგებს ვერც დაიჭერდა და ვერც დახოცავდა.

2) ან საჭიროა რთული ქვეწყობილი წინადადების დაშლა რამდენიმე წინადადებად:

ჩვენი ოჯახი ზაფხულობით ისვენებს სოფელში, რ მ მ ე ლ ი ც მდებარეობს დიდი მთის მახლობლად. ეს მთა დაფარულია გაუვალი ტყით, რ მ მ ე ლ ი ც მდიდარია წიწვიანი მცენარეებით.

3) ან პირველი წინადადების დატოვება რთულ ქვეწყობილად, მეორის გადაკეთება მარტივად:

ჩვენი ოჯახი ზაფხულობით ისვენებს სოფელში, რ მ მ ე ლ ი ც მდებარეობს დიდი მთის მახლობლად. ეს მთა დაფარულია წიწვიანი მცენარეებით მდიდარი, გაუვალი ტყით.

4) პირველი წინადადების გადაკეთება მარტივად, მეორის დატოვება ქვეწყობილად:

ჩვენი ოჯახი ზაფხულობით ისვენებს დიდი მთის მახლობლად მდებარე სოფელში. მთა დაფარულია გაუვალი ტყით, რ მ მ ე ლ ი ც მდიდარია წიწვიანი მცენარეებით.

5) ან კიდევ ორივე წინადადების შეცვლა მარტივით, მაგ.: ჩვენი ოჯახი ზაფხულობით ისვენებს დიდი მთის მახლობლად მდებარე სოფელში. ეს მთა დაფარულია წიწვიანი მცენარეებით მდიდარი, გაუვალი ტყით.

სხვადასხვა ხარისხის დამოკიდებულ წინადადებებთან ერთი და იმავე

კავშირის განმეორების თავიდან ასაცილებლად კიდევ არსებობს ასეთი ემპირიული ხერხი: კავშირთანის ნაყვლად იყენებენ უკავშირო დამოკიდებულ წინადადებებს, მაგ.:

ქურბში ისეთი ყრიაშული იყო, ასე გეგონებოდათ, სახლში არავინ დარჩენილა (ნ.კანდ.).

აქ გამოყენებული სხვადასხვა ხარისხის ორი დამოკიდებული წინადადება: 1) ასე გეგონებოდათ და 2) სახლში არავინ დარჩენილა, რომლებთანაც გამოტოვებულია მაქვემდებარებელი კავშირი რ ო შ.

არ არის მიზანშეწონილი, როდესაც წინადადების აგებულებას ძალზე ართულებენ, რის გამოც აზრის გაგება ძნელდება, მაგალითად:

1) დიდი ხანი იყო, რ ა ც ლუღუშაური კბილებს აკრავდებოდა ამ მიწისთვის და ისე ხელში ჩაგდებას უპირებდა, რ ო გ ო რ ც სხვა მიწები ჩაეგრო, მაგრამ რამდენჯერმე სარჩევარმა უბრალოდ ჩაურა და რ ა ც ი დარწმუნდა, რ ო შ ამ მიწას ვეღარ დაისაკუთრებდა, იმი-თავ დაკმაყოფილდა, რ ო შ სხვებთან ერთად სარგებლობა შეეძლო (ა.ყაზბ.).

2) ისინი ჯერ კიდევ ამ ყოფაში იყვნენ, და ციკიას გატაყების ხმა სარქაროდ მთელს ხევს მოცებულიყო და თითონ ქორღუკოს სარქლის ყურამილინაც მიეღწია, რ ა დ გ ა ნ ა ც ამ უკანასკნელმა ბეურას ციკიასთან დამოკიდებულება იყოდა, ეს მწყემსი უყვარდა გულთ და სულთ, აფასებდა მის ბიჭობას და ისიყ იყოდა - ამ შემთხვევას რა მოქმედებაც ექნებოდა შეყვარებულზედ, გზიურ გამოსწია იმისკენ, რ ო შ რითიმე ენუგეშებინა (ა.ყაზბ.).

§ 77. სხვისი ნათქვამის გადმოყენის შესახებ

სხვისი პქვია ისეთ ნათქვამს, რომელიც ეკუთვნის სხვა პირს და რომელსაც მოუბარი გადმოგვყემს უვეღვლად ან თავისი სიტყვებით, ამიტომ ასეთი წინადადება ჩვეულებრივ შეგდება ორი ნაწილისკენ: მოუბრის სიტყვებისა და სხვისი ნათქვამისგან.

სხვისი ნათქვამის გადმოყება არის წინადადებაში აზრის ემოციურად გამოხატვის მნიშვნელოვანი ენობრივი საშუალება. მას უმთავრესად იყენებენ მხატვრულ ლიტერატურაში და ახასიათებს: 1) სხვისი აზრის, განულისა და სიტყვების გადმოყემის სიზუსტე, 2) ემოციურობა და ექსპრესიულობა, 3) დამხმარე სიტყვებისა (შორისდებულის, ნაწილაკის) და ვიმართვის გამოყენება.

სხვისი ნათქვამი იხმარება უმთავრესად ღიალოგის დროს და სამუყაირო ხასიათის შრომებში ციტატის სახით. ღიალოგში მას ხშირად

თან ახლავს მოუბრის სიტყვები, რომელნიც აღნიშნავენ, თუ ვის ეკუთვნის ან ვისი მისამართითაა თქმული სხვისი ნათქვამი.

სხვისი ნათქვამის გადმოსაუცემად მოუბარი (აუტორი) შეშასმენლად ხშირად იყენებს ზმენტს: ამბობს, წერს, ეკითხება, ფიქრობს, აყბალებს, აღნიშნავს, იტყობინება, გვითვლის, გვეხვეწება და სხვა ყველა დროის ფორმაში.

სხვისი ნათქვამის სახეები

სხვისი ნათქვამი გადმოიყვება ორნაირად: 1. სიტყვაასიტყვით, ე.ი. შინაარსისა და გრამატიკული ფორმის შეუცვლელად და 2. გრამატიკული ფორმის შეცვლით. ამის ღიხედეით გვაქვს სხვისი ნათქვამის ორი სახე: **პ ი რ დ ა ბ ი რ ი ნ ა თ ქ ვ ა მ ი უ ა ი რ ი ბ ი ა თ ქ ვ ა მ ი .**

1. პირდაპირი სხვისი ნათქვამი

სხვის ნათქვამს, რომელსაც მოუბარი გადმოგვცემს უცვლელად, ე.ი. ისე, როგორც ეს სხვის მიერ იყო აქმული, ვეჭვია პირდაპირი, მაგალითად:

... დედას ტკბილად მოჰქიდა მკლავზეა ხელი და უთხრა: „წ ა - გ ი დ ე თ , ე ხ ლ ა კ ი ძ ი ღ ი ს დ რ თ ა“ (ი.ჭავჭავ.).
„უ ს წ ა ვ ლ ე ღ ი ა რ გ ი ნ დ ა რ ჩ ე ს“, - ასე უთხრა მან თქვენს კრებულს (ი.გრიშ.). „შ ე ნ ი ს ა ხ ე ღ ი , ძ მ თ - ბ ი ღ ლ ე ?“ - მკითხა მან (ი.ჭავჭავ.). „რ ა ღ ა მ ა ზ ი ყ თ - ვ ი ღ ა ყ ვ ა გ ი ღ ი!“ - ჩურჩულებდა ლექსი და ფრთხილად მიჰქონდა ერთი ყვავილი მეორესთან (ი.ევდ.). - შ ე ს ჯ ე ქ ი - შეუყვობა დარაჯმა (ი.ევდ.).

მოუბრის მიერ სხვისი ნათქვამის სახით გადმოიყვება როგორც ყსება პირის, ისე თავისი აზრით:

1) ... ბუნებამ ძლიესძლივობით: მითხრა: „შ ე ი ღ ლ , ა ქ ე ა - მ ა ყ ე ნ ე“ (ი.ჭავჭავ.). იმზობდა: ჩ ე მ ა ს ა მ მ თ ბ ღ ლ მ თ ნ ზ ბ ა ს ა რ ი კ ა დ რ ე ბ ს თ (ა.წერ.). აი, ამაზედ აზრის ნათქვამი: დ ე ლ ა ნ ა ხ ე , მ ა მ ა ნ ა ხ ე , შ ე ი ღ ი ო ს ე . კ ა მ თ ნ ა ხ ე ლ (ი.ჭავჭავ.).

2) ეყვირი: „ს ა ი თ წ ა ხ ე ე ღ ი ?“ (ი.გრიშ.). ხშირად ეეკითხებოდნო სოღმე ძიძას: რ ა დ ა უ შ ა ვ ა კ რ უ ხ ნ ა ქ თ რ ს , რ თ მ წ ი წ ი ღ ე ბ ს ს ტ ა ც ე ბ ს დ ა ა რ ა ს ე ე ნ ე ბ ს ა მ ე თ ქ ი (ა.წერ.). მე გამიყვირდა და ეკითხე: რ ა გ ა ტ ი რ ე ბ ს = მ ე თ ქ ი ? (ა.წერ.).

პირდაპირი სხვისი ნათქვამის გამოსყენებას საუბარში აქვს მხატვრული მნიშვნელობა. შედარებით ირიბ ნათქვამთან, იგი ემოციურია, აქედანაა გამომდინარე სიტყვითი პირის შეუწყველებლის თავისებურება აზრის,

სტილის, დიალექტის მიხედვით და იხმარება სხვისი ნათქვამის ავტორის დასახასიათებლად, მისი სახის რეალურად საჩვენებლად.

პირდაპირი სხვისი ნათქვამი გამოიყენება უნაწილაკოდ და ნაწილაკით.

3) უნაწილაკო სხვისი ნათქვამი

უ ნ ა წ ი ლ ა კ ო ა პირდაპირი სხვისი ნათქვამი, როცა მას არ დაერთვის სიტყვასიტყვითი ნაწილაკი ო, თ ქ ო ან მ ე თ ქ ი, მაგალითად:

ნოდარი ჩაუფიქრდა მის სიტყვებს და თავისთვის უთხრა: „ს რ უ ლ ს ი ნ ა მ ი დ ე ი ლ ე ს ა მ ბ რ ბ ე ა ვ ა. ლ ე რ ი გ რ ი გ ო - ლ ი ს ძ ე“ (ი.ღის.). - ი ქ რ ა გ ი ნ დ ა შ ე ნ? - ჰკითხა მან ბოლოს, რის გაათავა გზისა სწავლება (ი.ჭამჭ.). „ს ა ნ ჯ ა - ლ ი თ უ ნ დ ა ც ხ ი ს ა ი ყ ო ს, ო დ ო ნ დ გ უ ლ ი ი ყ ო ს რ კ ი ნ ი ს ა!“ - გამახსენდა ძველი ქართული ანდაზა (კ.ლორთქ.).

4) ნაწილაკიანი სხვისი ნათქვამი

ნაწილაკიანია პირდაპირი სხვისი ნათქვამი, როცა მას დაერთვის ო, თ ქ ო ან მ ე თ ქ ი. ამ ნაწილაკებს აქვთ სხვადასხვა ფუნქცია.

1) „ო“ ნაწილაკი იხმარება მამინ, როცა მოუბარი მღორე პირს გადასცემს მესამე პირის ნათქვამს. იგი იწერება წინადადების ბოლოს სიტყვასთან ერთად, მაგალითად:

ნამეტანი ალერსი აფეხებს კმაწვილებსო, - იტყოდა ხოლმე (ა. წერ.).

ნაკომ გვითხრა: გამოგონეთ, ჩემო კარგო პატარებო, როცა ბათუმის გინახულვით, ზღვაზე ნავით გატარებთო! (ი.გრიშ.).

ახლავეო, - გადასძახა ამხანაგებს... (ი.გრიშ.).

სხვისი ნათქვამის „ო“ ნაწილაკი ჩვეულებრივია აგრეთვე „თითქოს“ სიტყვასთან, რომელიც წარმოშობით ზმნის ფორმაა (- თუ ითქოს, თუ ითქვას). ამიტომაც, რომ მის მომდევნო ზმნას შეიცვლება სხვისი ნათქვამის გადასომცემი „ო“ ნაწილაკი პქონდეს.

მაგალითად:

ონისე მთლად გაფითრებულიყო და ისეთი სახე დასდებოდა, თითქოს მსაჯულისაგან გადაწყვეტილებას მიეღოსო (ა.ყაზბ.).

აგრეთვე, თუ ზმნის ფორმა პირველი პირისაა, მაგრამ მრავლადი-თი რიცხვისა, იხმარება ო:

ბებერია ეტრიადო (მგელი), როგორ ბუხბუხებს, როგორ რუხრუხებსო! - ცამბობდით ჩვენ (ცაჟა).

შენიშვნა: სხვისი ნათქვამის ო-სგან უნდა განცხადდეთ უფენ-
ქრო ო, რომელსაც ა.შანიძე უწოდებს პრუსოდიულ ხმოვანს და გვხვდებ-
ა მხოლოდ ლექსებში, მაგ.:

სტერის გუდა მატეს ბლიაძის, ქამანია ქებაძისათ,
დაბლა ქვეყნის ცარ მდერაღი, შემამკობელი ცისათ,
თან დამატეს გული გაცსილი და ცარიელი ქისათ.

რემი რუა მატეს, არ ცხოვავ, არა მინდა რა სხვისათ!

და სხვ.

2) „თქო“ ნაწილაკი იხმარება მაშინ, როცა მოუბარი მეორე პირს აბარებს რამეს სხვისთვის (მესამე პირისთვის) გადასაცემად. იგი წინადადების ბოლო სიტყვისგან გამოიყოფა დეფისით. თ ქ ო ნაწილაკი მიღებულია თ ქ ვ ა ზმნისგან. მხატვრული ნაწარმოებების ცნაში სხვისი ნათქვამის გადმოსაცემად გვხვდება როგორც თ ქ ო, ისე თ ქ ვ ა ლ, მაგრამ ამჟამად საღიტირატურო ქართულში მხოლოდ თ ქ ო იხმარება, მაგალითად:

რემ მაგიერ მოიკითხე (ინა ივანოვანა) და უთხარ: ღიდავ გწუხ-
ვარ, რომ ადარ გაციებს=თ ქ ო (ნ.ბარათ.).

შენს გაზრდას, მაიკო, თუ გლუბარიჩი ნახო, რემ მაგიერ მოიკი-
თხე და უთხარ: რა დმერთი გაგიწყრა, რომ აგრე ფეხი აიკვეთე ქალ-
ქისაკენათ თ ქ ო (ნ.ბარათ.).

შენს გაზრდას, ბაბაღე! ნინა აღექსანდროვნა რემ მაგიერ მოიკი-
თხე და ასე უთხარ: მატუროვის ცოლმა მოგიკითხა = თ ქ ო (ნ.ბარათ.).

წუნკალა გამოემშვიდობა მეღუქნეს და უთხრა: თუ ძმა ხარ, რომ
მოგიღეს, უთხარი, წუნკალა იყო = თ ქ ო (გ.წერ.).

პკითხეთ—ფერთანაც დალაქის ქალი—რისთვის სველიელი დალაქი
მოზუცებულ კაცს მოპარსვის მაგიერ საპნით მოუთუბანის = თ ქ ო
პირისახესა (ლ.არდ.).

3) „მითქო“ ნაწილაკი იხმარება მაშინ, როცა მოუბარი მეორე
პირს გადასცემს თავის ნათქვამს. იგი მიღებულია „მე ვთქვი“ სიტ-
ყვებისგან. წინადადების ბოლო სიტყვისგან გამოიყოფა დეფისით, მა-
გალითად:

აკი გითხარ: არ დაიჯერებ = მ ე თ ქ ი (ი.ჭავჭავ.). მე გამო-
ცვირდა და გკითხე: რა გატირებს = მ ე თ ქ ი (ა.წერ.). ეს რატომ
მოგივიდა = მ ე თ ქ ი, - ცუსაყვიღურე (ლ. ქიარ.). მთის კაცს მე-
ძახიან უფრო ხშირად = მ ე თ ქ ი, - ცუთხარი (ლ. ქიარ.). მერე მი-
ზეხი არ იციოთ = მ ე თ ქ ი? - გკითხე მე კვლავ (ვ.ფშავ.). - ვი-
თამაშეთ და ქორმაც მე გაგიტაცა = მ ე თ ქ ი! - ცუპასუბე სიცილით
(ა.წერ.). - ... უსათუოდ მოკლა ბიძაჩემმა ნადირი = მ ე თ ქ ი, -
ვიღიქრე (ვ.ფშავ.).

2. ირიბი სხვისი ნათქვამი

სხვის ნათქვამს, რომელსაც მოუბარე ვადმოგვცემს გრამატიკულად შეცვლილი სახით, უქვია ირიბი, მადალითად: დედას ტუბილად მოჰკიდა მკლავზე ხელი და უთხრა, **რ რ მ ე რ - მ ა დ წ ა ს უ ლ ი ყ ვ ნ ე ნ .**

მან უთხრა თქვენს კრებულს, **რ რ მ უ ს წ ა ე ლ ე ლ ი ა რ ა - მ ე ნ დ ა რ ი ე ს .**

დარაჯმა შეუპყვირა, **რ რ მ შ ე ე გ ე ს .**

3. პირდაპირი სხვისი ნათქვამის შეცვლა ირიბით

ირიბით შეცვლილი პირდაპირი სხვისი ნათქვამი დარითავეს **რ რ მ ა ნ თ უ კ ა ე შ ი რ ს** და მივიღებთ კანონიერად დამოკიდებულ წინადადებას.

კანონიერი „რმი“:

1) ... წინ წასულ ბაღებზე ვიბაძება:

- **ფ რ თ ხ ი ლ ა დ ი ყ ა ვ ი თ (დ.შენგ.)**.

... წინ წასულ ბაღებზე ვიბაძება, **რ რ მ ფ რ თ ხ ი ლ ა დ ი ყ ყ ნ .**

2) მიიბრუნე დაიძება:

- **გ ზ ა ა დ ა რ ა ა (ს.კლდ.)**.

მიიბრუნე დაიძება, **რ რ მ გ ზ ა ა დ ა რ ა ა .**

3) შეიხვეწა: ა ბ ა რ ქ ა რ ა მ ი ა მ ზ ა დ ე ე ვ ა ხ შ ე - მ მ ი კ ... (ა.წერ.).

შეიხვეწა, **რ რ მ რ ქ ა რ ა ნ კ ა მ ზ ა დ კ ს ე ა ხ შ ა - მ მ ი .**

კანონიერი „თუ“:

1) ქალმა უკითხა: ბ ა შ ი ა რ ი უ კ ს რ ა დ გ ე დ ა ხ ი - ა ნ კ ? (ა.წერ.).

ქალმა უკითხა, თ უ რ ა დ ე დ ა ხ ი ა ნ ბ ა შ ი ა რ ი უ კ ს .

2) მე გამიკვირდა და ვკითხე: რ ა გ ა ტ ი რ ე ბ ს = მ ე ე ქ ი ? (ა.წერ.).

მე გამიკვირდა და ვკითხე, თ უ რ ა ა ტ ი რ ე ბ ს .

ირიბი სხვისნათქვამიდან რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებულნი ყოველთვის მთავრის მომდევნოა. მაგალითები:

1) ლალო ამბობს: „**რ ე ე ნ ს დ ი დ ბ ა დ შ ი გ ა ი კ ე - ა ა შ ა შ ე მ ა ბ ი ნ ა**“... (ი.გრიშ.).

ლალო ამბობს, **რ რ მ მ ა დ დ ი დ ბ ა დ შ ი გ ა ი კ ე თ ა**

მ ა შ ე მ ა ბ ი ნ ა . .

2) ოთახიდან თქვენთვის გულის მატვიც
ქვესწავლელს, - ამბობდნენ სოფელში (ი.ჭავჭავაძე).

სოფელში ამბობდნენ, რომ ოთახიდან თქვენთვის
გულის მატვიც ქვესწავლელს.

ლექსში შეიძლება კავშირი გამოვტყოს, მაგალითად:
ბნელ კუთხეში მიგდებულ ნათესა ღამაა წუწუნებდა;

- გიგანური გიგანობა ბნელ გარეგან, მიგანა-
გონი მიწუნებდა (ი.ჯორჯიანი).

ბნელ კუთხეში მიგდებულ ნათესა ღამაა წუწუნებდა, გიგანური
გიგანობა ბნელ გარეგან, მის ბნელ გარეგან მიწუნებდა
პირდაპირ ნათქვამთან შედარებით ირიბი ნათქვამი არ არის ემო-
ციური.

„... მეტი გამომეტყველებითი ძალა, საერთოდ, პირდაპირ ნათქვამს
ახასიათებს და არა ირიბს, რომელიც შედარებით ღარიბია და უფერული.
ის ემოციურობა, ფერები, რითაც ესოდენ მდიდარია პირდაპირი ნათქვა-
მი, ხშირად არც კი შეიძლება გადმოიყვას ირიბით, ანდა, თუ გადმოიყ-
ვა, მხოლოდ დაახლოებით, ერთობ შეცვლილი სახით“¹.

ეს ნათლად ჩანს თუნდაც ასეთი უბრალო შედარებითად:

1. - რა კარგი ყოფილა ქვეყანა! - ჩურჩულებდა ია (ი.ეფ.) -
ია ჩურჩულებდა, თუ რა კარგი ყოფილა ქვეყანა.

2. შენი გარ, შენთვის მოგცდები, შენთვის დაგიცემ დანასა, -
იტყოდა ხოლმე თავის გულში დედა, როცა შეიღწა სამუშაოდან მომავალს
დინახავდა (ი.ჭავჭავაძე). - როცა შეიღწა სამუშაოდან მომავალს დინახ-
ავდა, დედა თავის გულში იტყოდა ხოლმე, რომ მისია, მისთვის მოც-
დება, მისთვის დაგიცემ დანასა.

3. ოჰ, როგორ მომბერდა ეს ჩხავილი! - ჯავრობდა შველი (ი.რ.
ეფ.) - შველი ჯავრობდა, რომ მას მომბერდა ეს ჩხავილი.

4. შენ ჩერქეზი ხარ? - ჰკითხა ჯაჯალამ (ა.ყაზბ.) - ჯაჯალამ
ჰკითხა, ის ჩერქეზია თუ არა.

5. ... ზბიჭოს, საიდან იცის ამ უცხო კაცმა ჩემი სახელი? -
გაიფიქრა პლატონმა (გ.ჩიქ.) - პლატონმა გაიფიქრა, თუ საიდან
იცის ამ უცხო კაცმა მისი სახელი.

პირდაპირი ნათქვამი ირიბად გადაიქცევა მიუხედავად იმისა,
იგი თხრობითია, კითხვითი, ბრძანებითი, ძახილის თუ კითხვითი ძახი-
ლისა.

1 ლ. კვაჭაძე - რაული წინადადების სწავლების მეთოდიკა, თბ.,
1950, გვ.113.

მაგალითები:

1) თხრობითი წინადადება:

მთისკაცს მძებნიან უფრო ხშირად=მეტეტი, - ცუთხარი (ღ.ქიარ.).
 ცუთხარი, რომ მთისკაცს მძებნიან უფრო ხშირად.

- მაშამ წამომიყვანა, - უპასუხა ღვინო (ი.ევდ.). - ღვინო უპასუხა, რომ მაშამ წამომიყვანა.

2) კითხვითი წინადადება:

- დედი, ხვალ ახალწველიწადია? - ჰკითხა შაქომ (შ.არაგვ.). -
 შაქომ ჰკითხა დედას, ხვალ ახალწველიწადია თუ არა.

ქალი თავის თავს ეკითხებოდა: - რა უნდა მას? (ს.კლდ.). -
 ქალი თავის თავს ეკითხება, თუ რა უნდა მას.

ამ შემთხვევაში პირდაპირი კითხვა იტყვება ირიბ კითხვად და
 ამის გამო კითხვის ნიშანი უკვე საჭირო არ არის.

3) ბრძანებითი წინადადება:

- გარემედი, გარემედი, გიორგი! - შესძახა სულშეგუბებით მაიამ...
 (მ.რიქ.). - მაიამ სულშეგუბებით შესძახა, რომ გარემედეს.

... სამსონმა დავითს, მიხოსა და ირაკლის უბრძანა: - მეცენ
 ამ ზოლს გაჰყვეთ! (ს.თავ.). სამსონმა დავითს, მიხოსა და ირაკლის
 უბრძანა, რომ ისინი ამ ზოლს გაჰყვენ.

4) ძახილის წინადადება:

- კარგია, ძალიან კარგი! - დაუდასტურა ჟრიკტრიკთ მერცხალმა
 (ი.ევდ.). - მერცხალმა ჟრიკტრიკთ დაუდასტურა, რომ კარგია, ძა-
 ლიან კარგი. - მე მას თან წავიყვანე! - წაიჩურჩულა ქალმა...
 (ი.ევდ.). - ქალმა წაიჩურჩულა, რომ მას თან წავიყვანს.

5) კითხვით-ძახილის წინადადება:

- ეჰე, ამეებსაც არა უჭირს რა? - ჩაიჩურჩულა გოგამ...
 (ი.ევდ.). - გოგამ ჩაიჩურჩულა, რომ ამეებსაც არა უჭირს რა.
 - რა ამბავია ყარამან? - ჰკითხა და შორიახლო შედგა (გ.რიქ.).
 ჰკითხა, თუ რა ამბავია, და შორიახლო შედგა.

როცა ბრძანებითი, ძახილის ან კითხვით-ძახილის პირდაპირი ნა-
 თქვამი გადაკეთდება ირიბად, მის ბოლოს ძახილის ან კითხვით-ძახი-
 ლის ნიშანი უკვე აღარ დაისმის.

პირდაპირი ნათქვამი არ გადაკეთდება ირიბად, თუ იგი უშემასმე-
 ნლო წინადადებაა.

მაგალითები:

- ხელში მადლა! - ევლავ შესძახა მიხომ (ს.თავ.).

- ეგვიც კარგი, - თქვა ბახვამ (გ.წორ.).

- მშვიდობით, მანანა, - შესძახა და გაიქცა სკოლისაკენ (გ.რიქ.).

- დედას სიციცხლე და სიხარული - მიესაღმა მედიკოს ბერქი-
დან გამომხტარი კურდღელი (ი.ევდ.).

ზოგი მათგანი გადაკეთდება ირიბად მხოლოდ იმ შემთხვევაში,
როცა შემასმენელს დავუმატებთ, მაგალითად:

- ხელები მაღლა! - კვლავ შესძახა მიხომ.

მიხომ კვლავ შესძახა, რომ ხელები მაღლა აწიოს.

თუ პირდაპირ ნათქვამში მოცემულია I ან II პირის ნაცვალსა-
ხელი, ან ამავდენ პირთა ფორმის ზმნა-შემასმენელი, როგორც ნაცვალ-
სახელი, ისე შემასმენელიც III პირის ფორმით გადაკეთდება:

1) როცა სხვისი ნათქვამი თხრობითი წინადადებაა:

- უარქუე დეას, ასე ამბობს: მე ფალანგებს ექვიდავები და არა
გოლიათებსო (ა.წერ.).

უარზე დეას, ასე ამბობს, რომ ის ფალანგებს ექვიდავება და არა
გოლიათებს.

- რეზომ უახრია: მე კი მიყვარს ჩიტუნების მოძახილი (ი.გრიშ.).

რეზომ უახრია, რომ მას უყვარს ჩიტუნების მოძახილი.

2) როცა სხვისი ნათქვამი კითხვითი წინადადებაა:

- იქ რა გინდა შენ? - ჰკითხა მან ბოლს (ი.ჭავჭ.).

მან ბოლს ჰკითხა, თუ იქ რა უნდა მას.

- შეშა არა გაქვს? - ჰკითხა სტუმარმა (ი.ჭავჭ.).

სტუმარმა ჰკითხა, აქვს თუ არა შეშა.

- სად წახვალ? - ბოლს ჰკითხა ონოფრემ (ა.ყაზბ.).

ბოლს ონოფრემ ჰკითხა, თუ სად წავა.

3) როცა სხვისი ნათქვამი ბრძანებითი ან
ძახილის წინადადებაა:

- დაწერეთ, - უბრძანა მწერალს (ა.ყაზბ.).

მწერალს უბრძანა, რომ დაწეროს.

მეგობრებს მიმართა: „მიირთვიეთ!“ (დ.ქიაჩ.).

მეგობრებს მიმართა, რომ მიირთვიან.

- არ წამოვად ცოცხალის თავით! - შეჰყვირა იმან (ა.ყაზბ.).

იმან შეჰყვირა, რომ არ წამოვად ცოცხალის თავით.

- არ შემიძლია, არა! - პირზედ ხელის დაფარებით გაიმეორა

უცნობმა (ა.ყაზბ.).

პირზედ ხელის დაფარებით გაიმეორა უცნობმა, რომ არ შეუძლია.

თუ პირდაპირ სხვის ნათქვამში არის მიმართვა, შორისდებული (ზოგჯერ ნაწილაკიც), ირობ ნათქვამში ისინი არ გვეტონება, რადგანაც ემოციის გამოხატვა მასში არ ხერხდება:

1) როცა მიმართვაა:

... დაჯდა ისევ და ნათელას მიმართა: - პკითხე, შვილო, რა უნდა (ს.კლდ.).

... დაჯდა ისევ და ნათელას მიმართა, რომ პკითხოს, რა უნდა. ესეც ცუთხარო: ჩემი გული ჩაიდგი, შვილო, და თუ გაგიჭირდეს, მომიგონებთქო (ლ.ქიაჩ.).

ესეც ცუთხარო, რომ ჩემი გული ჩაიდგას და, თუ გაუჭირდა, მომიგონოს.

ბოლოს პკითხა მან: „გინა ხარ, შვილო?“

ბოლოს პკითხა მან, თუ ვინ არის.

2) როცა შორისდებულია:

„ოჰო, ჩემს მეტს სხვასაც სდომნია მზის ამოსვლის ნახვა,“ - უსიტყვოდ წამოიძახებ, რადგანაც თვალის მოგვარ გემის ცხვირთან ყმაწვილს (შ.არაგვ.).

რადგანაც თვალის მოგვარ გემის ცხვირთან ყმაწვილს, უსიტყვოდ წამოიძახებ, რომ ჩემს მეტს, სხვასაც სდომნია მზის ამოსვლის ნახვა.

- ახ, რა ბედნიერი ვარ, რომ თქვენი მეტველი ვარ, - შეუხამებელი სიხარულით წამოიძახა ლეგამ და ნეტოს გვერდით მიუჯდა (შ.არაგვ.).

ლეგამ შეუხამებელი სიხარულით წამოიძახა, რომ ბედნიერია, რომ მისი მეტველია, და ნეტოს გვერდით მიუჯდა.

- ჰა, რაღას ჩაფიქრებულხარ? - დაეკითხა ის, რაკი პასუხი ვერ მიიღო (შ.არაგვ.).

რაკი პასუხი ვერ მიიღო, ის დაეკითხა, თუ რაღას ჩაფიქრებულა.

- უჰ, უჰ, რა ცივა! - თქვა მან - სტუმარმან (ი.ჭავჭავ.).

მან სტუმარმა თქვა, რომ ცივა.

- ეჰ, რაც უნდა გახდეს, ესთხოვ! - გოგამ ხელის ჩაქნევით გადაწყვიტით წარმოთქვა, რაკი ქვა და წყალი თავისას არ იშლიდნენ, და შინ შევიდა (შ.არაგვ.).

რაკი ქვა და წყალი თავისას არ იშლიდნენ, გოგამ ხელის ჩაქნევით გადაწყვიტით წარმოთქვა, რომ სთხოვს, რაც უნდა გახდეს, და შინ შევიდა.

3) როცა ნაწილაკია:

ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს არა ყველა, არამედ მი-
გებიანი ნაწილაკები და ზოგი სხვა, როგორცაა, მაგალითად: აბა,
აი, ნეტავი, ხომ, განა, აკი, მოდი...

- ჰო, რეჟისორი! - უპასუხა თეკლემ (შ.არაგვ.).

თეკლე უპასუხა, რომ მასთანაა.

... თამამად მიუგო: - ჰო, უცერად მოხდა! (ს.კლდ.).

თამამად მიუგო, რა:მ უცერად მოხდა.

წვერა, ვერ დავთმობ! - გადაწყვეტილ წამოიძახა იმან...

(შ.არაგვ.).

გადაწყვეტილ წამოიძახა იმან, რომ ვერ დავთმობს.

- აბა ახლა კი არაგვის ნომრებში მოისვენეთ! - წამოიძახა
შაქრომ და ვანოს ხელი ჩაავლო (შ.არაგვ.).

შაქრომ ვანოს ხელი ჩაავლო და წამოიძახა, რომ ახლა კი არა-
გვის ნომრებში მოისვენონ.

- აი რას ეპირებ, - მიპასუხა... (შ.არაგვ.).

მიპასუხა, თუ რას აპირებს.

- ნეტავ მამარეში მამინე შინ იყოს! - ნატრობდა ილა...

(ი.ივლი.).

ილა ნატრობდა, რომ მამამისი მამინე შინ იყოს (ან: შინ ყ-
ფილიყო) და 'ხე.

აგებულების მიხედვით პირდაპირი ან ირიბი სხვისი ნათქვამი
და მოუბრის სიტყვები ერთად რთული ქვეწყობილი წინადადებაა, სა-
დაოუ მოუბრის სიტყვები არის მთავარი წინადადება, ხოლო სხვისი
ნათქვამი - უკავშირო და მოკიდებული ნაწილი.

578. სტილისტიკური შეცდომები სხვის- ნათქვამიდან წინადადებაში

სხვისი ნათქვამის ხმარებასთან დაკავშირებით გვხვდება შემდე-
გი სტილისტიკური შეცდომები:

1. პირდაპირი და ირიბი სხვისი ნათქვამის ერთმანეთში აღრე-
ვა: შექვემდებარებელი კავშირის უმართებულო დასმა პირდაპირ
სხვის ნათქვამთან და ნაწილაკის შეცდომით ხმარება ირიბ სხვის
ნათქვამთან.

2. სხვისი ნათქვამის ნაწილაკების თუნქვიის აღრევა.

3. მოუბრის სიტყვები სხვისი ნათქვამისათვის შეუსაბამო შე-
მასმენლის გამოყენება.

4. პირის ნაცვაღსახელისა და ზმნის პირის ფორმის ძირსწორად გამოყენება ირიბ ნათქვამში.

5. სხვისი ნათქვამის ვაჟმე ვცემი ნაწილაკების უმართებულად განმეორება ან ნათი უადგილო ადგილას დასმა.

I. პირდაპირი და ირიბი სხვისი ნათქვამის ერმმანეთში აღრევის შემთხვევები

პირდაპირი და ირიბი სხვისი ნათქვამის ერმმანეთში აღრევის მთავარი მიზეზია სიტყვასიტყვითი ნაწილაკისა და კავშირის უმართებულად გამოყენება.

სხვისი ნათქვამის ვადმოსაცემი ნაწილაკები (ო, თქო, მეტქი) იხმარება პირდაპირ ნათქვამთან და, როგორც დამოკიდებული წინადადება, იგი მთავარ წინადადებასთან (ე.ი. მოუბრის სიტყვებთან) ერთად ქმნის უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინადადებას, მაგალითად:

შეეხვეწა აბა ჩქარა მოამზადე ცხმამიო... (ა.წერ.).

— აკი გითხარ: არ დაიჯერებმეტქი (ი.ჭავჭავ.).

... დედაშენს უთხარი: ერთი პური გვასესხეჯტო! (ნ.ლომ.).

წინადადება კავშირიანი იქნება მაშინ, როდესაც პირდაპირ სხვის ნათქვამს ვადდაკეთებთ ირიბად:

შეეხვეწა, რომ ჩქარა მოამზადოს ცხმამი.

აკი გითხარ, რომ არ დაიჯერებ.

დედაშენს უთხარი, რომ ერთი პური გვასესხოს.

მაგრამ ხშირად კავშირიანი ირიბ სხვისი ნათქვამთან პირდაპირი ნათქვამის „ო“, „თქო“, „მეტქი“ ნაწილაკებსაც ხმარობენ, რაც პირდაპირი და ირიბი ნათქვამის ერმმანეთში აღრევას იწვევს. გამოდის, რომ ამ ტიპის რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული წინადადება, რომელიც მატვემდებარებელი კავშირის გამოყენებით ირიბ ნათქვამს წარმოადგენს, ამავდროს ნაწილაკის დართვით თითქოს პირდაპირი ნათქვამიც არის, მაგრამ უნდა ციცოდეთ, რომ დამოკიდებულ წინადადებაში ერთ და იმავდროს მატვემდებარებელი კავშირისა და სხვისი ნათქვამის ნაწილაკის გამოყენება მართებული არ არის. სტილისტიკურად წინადადება სწორად მაშინ იქნება აკებული, როდესაც სხვისი ნათქვამთან გამოვიყენებთ ან მატვემდებარებელ კავშირს, ან ნაწილაკს, ე.ი. ანაკებთ მას ან ირიბ ნათქვამად, ან პირდაპირად. კავშირის გამოყენებისას დამოკიდებული წინადადება იქნება ირიბი ნათქვამი, ნაწილაკის გამოყენებისას კი — პირდაპირი.

ამ თვალსაზრისით სწორად არ არის აკებული შემდეგი წინადადება:

1) რომ-ო:

შეატყობინეს მოსეს, რომ საქმრო ჯვარს არ იწერსო (ი.ჭავჭ.).
სპირიტუალმა დაინახა, რომ აქ ხუმრობა აღარ არისო (ე.ნინ.).
ყაღდანი ხომ ასე ამბობს, რომ ესენი სულ ჩამომავლობით გიყვები
არბანო (ნ.პარბ.).

ამ დროს საატყობილედან მოიტანეს ამბავი, რომ მაცი ხეტიბა
აღარ არისო თავის ორმოში (ა.ლურც.).

2) რომ-თქო:

... უთხარი, რომ უიმისოდ ჯვარს არ იწერსო (დ.ჭონქ.).

შენ უთხარი, რომ თითონ ბატონმა თავის პირით ბრძანაო (ი.
ჭავჭ.).

3) რომ-მეთქი:

შინ მივწერ, რომ მზითვეს ცუმზადებ=მეთქი (ი.ჭავჭ.).

აკი გითხარი, რომ შეიღებს არავინ გაგვიყიდის=მეთქი (დ.ჭონქ.).
მაშინ მე სრულიად ხუმრობით ცუმზადებ, რომ ყველაზე უფრო მე მი-
ყვარხარ=მეთქი? (ა.ბელ.).

უნდა იყოს:

შეატყობინეს მოსეს, რომ საქმრო ჯვარს არ იწერს. ან შეატყო-
ბინეს მოსეს: საქმრო ჯვარს არ იწერსო.

უთხარი, რომ უიმისოდ ჯვარს არ იწერს. ან-უთხარი: უიმისოდ
ჯვარს არ იწერსო.

შინ მივწერ, რომ მზითვეს ცუმზადებ. ან-შინ მივწერ: მზითვეს
ცუმზადებ=მეთქი და სხვ.

ჩვენ მოვიყვანეთ ისეთი მაგალითები, სადაც ირიბი ნათქვამი
მოუბრის სიტყვების მიმართ არის კავშირიანი (მარტივი) დამოკიდ-
ებული წინადადება, მაგრამ სხვისი ნათქვამი შეიძლება გამოიხატოს
კავშირიანი რთული ქვეწყობილი წინადადების სახითაც.

თუ ასეთი წინადადების ბოლოს გამოყენებულია სხვისი ნათქვამის
ნაწილაკი, ეს უკანასკნელი მაშინ ეკუთვნის არა ესავე აღებულ დამო-
კიდებულ წინადადებას, არამედ მთლიანად სხვისი ნათქვამის გადმომევი
რთულ ქვეწყობილს, რომელიც მოუბრის სიტყვებთან მიმართებაში იქნება
უკავშირო სხვისი ნათქვამი. ამიტომ ასეთ წინადადებას შევემდებარე-
ბელი კავშირიც შეუნარჩუნდება და სხვისი ნათქვამის ნაწილაკიც,
მაგალითად:

I. დედამ უთხრა: ეს კარგად დაიხსომე და ხეაღისთვის აღარ გა-
დალო ის, რაც დღეს უნდა გააკეთო (ი.გოგ.).

ის მატირებს, რომ ხვალ ჩემს წიწილასაც მოიტაცებენ და მომა-

შორებენო (ა.წერ.).

2. ჩემი მაგიერ მოიკითხე და უხარ, რა ღმერთი ვაგვიწყრა, რომ აგრე ფეხი აიკვეთე ქალაქისაკენათქო (ნ.ბარათ.).

... ბიჭებში კი ხმა გააგდე, რომ ტყუილიაათქო, - უხარა ლუ-
არსაბმა (ი.ჭავჭავ.).

3. მეცოდებოდა კრუხი და ხშირად გეკითხებოდი ხოლმე ძიძას:
რა დაუშავა კრუხმა ქორს, რომ წიწილებს სტაცებს და არ ასვენებს-
მეტქი? (ა.წერ.).

ამრიგად, ამ მაგალითებში „ო“, „თქო“ და „მეტქი“ ნაწილაკები
ახლავს მთლიანად ქვეწკობილ წინადადებას, რომელიც სხვისი ნათქვა-
მის სახით არის გამოყენებული, და არა მხოლოდ დამოკიდებულს.

2. სხვისი ნათქვამის ნაწილაკის არასწორად ხმარება

ო, თქო და მეტქი ნაწილაკებს თუშეა ურთმანეთისგან სავსებით
განსხვავებული ფუნქცია აქვთ, მაგრამ ხშირად გხვდებით მათი აღრე-
ვის შემთხვევებს. მაგალითად, მეტქი ნაწილაკი აღნიშნავს მოუბარის
ნათქვამს ან მის განმეორებას, მაგრამ გხვდებით III პირის ნათქვა-
მის გადმოსაცემი ო ნაწილაკის ნაცვლად:

ზიჭუნა მაინც არ ეშვებოდა, ისევე ისე დაუცინეთ უხარა:

- ბაბუა, ავად ხარ=მეტქი.

უნდა იყოს: ... ისევე ისე დაუცინეთ უხარა: ბაბუა, ავად
ხარა.

ასევე საჭიროა ო, მაგრამ შეცდომით ნახმარია თქო, რომელიც
გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოუბარი ავადებს II პირს გა-
დასვენს თავისი ნათქვამი III პირს, მაგ.,

მამამ შემოგიფარა: ძალიან მინდა შენი ნახეათქო.

უნდა იყოს: მამამ შემოგიფარა: ძალიან მინდა შენი ნახეაო.

უხეში სტილისტიკური შეცდომაა ისიც, როდესაც „მეტქის“ ნაცვლად
„თქო“ ნაწილაკია გამოყენებული. მაგ.:

ხომ ვითხარი: დრო წინა გვაქვსათქო.

უნდა იყოს: ხომ ვითხარი: დრო წინა გვაქვს=მეტქი.

ასეთი შეცდომები იმიტომ არის გამოწვეული, რომ ზუსტად არ არის
გააზრებული ამ ნაწილაკთა სხვაობა დანიშნულების მიხედვით და მხე-
დევლობაში არ არის მიღებული ის, რომ ისინი ვერ ცვლიან ერთმანეთს.

3. უთხრა თუ ჰკითხა?

სხვის ნათქვამთან გამოყენებულ მოუბრის სიტყვებში ჩვეულებრივ ისეთი შემასმენლები იხმარება, რომლებიც მიუთითებენ არა მარტო იმაზე, თუ ვის განეკუთვნება ნათქვამი (III, II თუ I პირს), არამედ იმაზედაც, თუ რას გამოხატავს იგი შინაარსის მიხედვით - ამბავს, კითხვას თუ ბრძანებას. ასეთი შემასმენლებია, მაგალითად: უთხრა, ჰკითხა, უბრძანა და სხვ.

თუ სხვისი ნათქვამი თხრობითი წინადადებაა, მასთან გამოყენებულ მოუბრის სიტყვებში უნდა გამოვიყენოთ ზმნა-შემასმენლად სიტყვები - თქვა, უთხრა, ამბობს (ან ბრძანა, მოახსენა-მოიხდებულ საუბარში), მაგ.:

ამხანაჯმა თქვა: ოპერა „დაისი“ ძალიან მომწონსო.

ნინო დედას უთხრა: არასოდეს არ გაწყენინებო.

მოსუცმა სტუდარმა ბრძანა: დიდხანს ვერ დავტრებიო.

ბრძანებითი წინადადებით ვადმოცემულ სხვის ნათქვამთან შემასმენლად იხმარება ზმნები: ბრძანა, უბრძანა, ბრძანებს, მაგ.:

მეთაურმა ბრძანა: „ასეულო, ნაბიჯით წინ!“

მამამ შევიღს უბრძანა: ამ წუთში მოიხადე დედის წინაშე ბოდიშო.

თუ სხვისი ნათქვამი კითხვითი წინადადებაა, უმთავრესად მიმართული სხვა პირისადმი, მასთან გამოყენებულ მოუბრის სიტყვებში უნდა ვიხმაროთ ზმნა შემასმენლად: იკითხა, ჰკითხა, ეკითხება და არა: თქვა, უთხრა, ეუბნება, ბრძანა, უბრძანა და სხვ., მაგ.:

უცნობმა იკითხა: „კბილის ექიმი აქ ცხოვრობს?“

დედამ ნათელას ჰკითხა: „თბილისი ძალიან გიყვარს?“

არ არის სწორი, როცა ასე ამბობენ ან წერენ:

გუშინ სად იყავი? - უთხრა გოგომ ვანოს.

არჩილმა გიორგის რამ დაანახნა ეს თავისი ახალშენი, თავმოწონებით უთხრა:

- როგორ მოგწონს?

ერაზელ, სახლში რამ დავბრუნდი, მოწყენა შემინიშნა ძიძამ და მიიხრა:

„რა იყო, ქორბობა ხომ არ გითამაშნიათო?“

მეჯინიბე ეუბნება: „უნაგირი სადა ძვესა?“

- მენ წიგნის სწავლა გინდა, ძმობილო? - მიბრძანა დალოცვილმა.

ჩიტმა უთხრა: ეგ არის შენი მამაცობაო?

მე ცუთხარო!

- რატომ თავიდან არ მაწყვებინებენ?

უნდა იყოს:

- გუშინ სად იყავი? - პიიხა გიგომ ვანოს.

ერახულ, სახლში რომ დაებრუნდი, მოწყენა შემნიშნა ძიძამ და მკიხა...

მეჯინიბე ეკითხება: .. და სხვ.

მაგრამ, რაღა სხვისი ნათქვამი შედგება ორი წინადადებისგან, რომელთა შორის პირველი კითხვითია (მეორე კი სხვა ტიპის), მოუბრ-ის სიტყვებში შემასმენლად იხმარება ზმნა „უთხრა“, მაგალითად:

- რა დაგემიძრა, კაცო, გამარჯვება მაინც გვითხარი! - უთხრა ცოლმა (ქ.ლორთქ.).

ზმნა „ათქვა“ შეიძლება გეტონდეს ისეთ კითხვით წინადადებასთან, რომელიც სხვა პირისადმი არ არის მიმართული, გამოყენებულია მონო-ლოგურ მრტყველებში და პასუხს არ მოითხოვს, მაგ.:

მან თქვა: „ხვალ ნუთუ შინ არ დამხვდება?“

4. ნაცვალსახელისა და ზმნის პირის წარმების არასწორად გამოყენება ირიბ სხვის ნათქვამში

რადესაც პირდაპირი სხვისი ნათქვამის ნაცვლად გვიტეს ისეთი ირიბი ნათქვამი, რომელიც მოუბარს არ განეკუთვნება, მასში პირდა-პირი ნათქვამიდან გადმოსული I ან II პირის ნაცვალსახელი და ზმნა-შემასმენელი III პირის წარმაში დაისმის, ე.ი. იგი შეიცვლება მოუ-ბრის მიერ, მაგალითად:

პირდაპირი სხვისი ნათქვამი:

„მანის დაგება უსწავლია და გაიძახის: „მეც უნდა დავიჭირო მწყერი?“

ირიბი სხვისი ნათქვამი:

მანის დაგება უსწავლია და გაიძახის, რომ მანაც უნდა დავიჭიროს მწყერი. და არა: ... და გაიძახის, რომ მეც უნდა დავიჭირო მწყერი ან: ... და გაიძახის, რომ მეც უნდა დავიჭირო მწყერი...

პირდაპირი სხვისი ნათქვამი:

ღმილით განაცხადა: მეც მაგას მოველაღო.

ირიბი სხვისი ნათქვამი:

ღმილით განაცხადა, რომ ისიც მაგას მოველაღო.

და არა: ღმილით განაცხადა, რომ მეც მაგას მოველაღო.

ან: ღმილით განაცხადა, რომ მეც მაგას მოველაღო...

შენიშვნა: წინადადებები: . . . და გაიძახის, რომ მცუ უნდა დავიჭი-
რო მწყერი; დიმილით განაცხადა, რომ მცუ მავას მოველოდი-სხვა შე-
მხვევიაში სწორად ატეხულად მიიჩნევა, მაგრამ აქ პირდაპირი ნათ-
ქვამის შესატყვისი არ არის.

პირდაპირი სხვისი ნათქვამი:

მივაძახე: „ჭინჭარში ნუ ვარდები!“

ორიბი სხვისი ნათქვამი:

მივაძახე, რომ ჭინჭარში ნუ ვარდება.

და არა: მივაძახე, რომ ჭინჭარში ნუ ვარდები

ან: მივაძახე, რომ ჭინჭარში ნუ ვარდებიო.

ორიბ ნათქვამში პირს იცვლის კუთვნილებითი ნაცვალსახელიც,
მაგ.:

პირდაპირი სხვისი ნათქვამი:

მაშინ თქვა ოძელაშვილია: „უკვე დაბნელდა მზე ჩემი!“

ორიბი სხვისი ნათქვამი:

მაშინ თქვა ოძელაშვილია, რომ უკვე დაბნელდა მზე მისი.

და არა: მაშინ თქვა ოძელაშვილია, რომ უკვე დაბნელდა მზე ჩემი.

(აქ აზრი უკვე სხვაა):

ასევე:

მე მაშინ ცუპასუხე: „ხვალ ვიქნები შენთან“.

მე მაშინ ცუპასუხე, რომ ხვალ ვიქნები მასთან.

და არა: მე მაშინ ცუპასუხე, რომ ხვალ ვიქნები შენთან.

(აქაც აზრი სხვაა).

პირთა შეცვლა გვაქვს მაშინაც, როცა სხვისი ნათქვამი განე-
კუთვნება მოუბარს, მაგალითად:

მან მითხრა: შენ მაინც ივარჯეო.

მან მითხრა, რომ მე მაინც ვივარჯეო.

რა არა: მან მითხრა, რომ შენ მაინც ივარჯეო.

(აქაც სხვა აზრი ჩანს).

5. სხვისი ნათქვამის ნაწილაკების უმართებულად
განმეორება ან მათი არასათანადო ადგილას დასმა

სხვისი ნათქვამის გადმოსაცემად ნაწილაკი (ო, თქო, მეტქი) მხოლოდ ერთხელ უნდა ვინმართ (იხ. „ტაქტიკა“).

1) ო:

სალიტერატურო ქართული მიხედვით არ არის სწორი, როცა ისე ამბობენ (ავტორი ალაპარაკებს პერსონაჟს):

მეო, - ერთხელ მიხება, - ერთი დანიწყებული კაცი ვარ, რად გინდა ჩემი ვინაობა? შემომხედო, ჩემო ძმობილო, და მიცანიო (ი. ჭავჭავაძე).

ქართული ბურჟუაზიის არის ჩვენში! მწვანელი მიყრილ-მოყრილი, მოთალი, თევზი, კარგი ბოზბაში და ცხელი მწვადიო... თუ არ მოგწონს, ადექი და შინ წადიო, - დაატანდა ხოლმე სიცილით (ა. წერ.). პოემა „თამარ-ცხიერიში“ ეს ფორმა აკაკის აქვს რთმად გამოყენებული:

მაშინ მოიხმო მეფემ მგოსანი
და თქვა: „მგოსნების ციანით ძალიო
რაც გინდა, გეთხოვე და აგისრულებთ,
რამ გადვიხადო შენი ცალიო!“
გორამ ეს პაადრა: „ქვეყნის დიდება
მგოსნისთვის არის მეტი ტვირთიო!
რა საჭიროა მღელვარე ზღვისთვის,
რამ მიემატოს ზვირთზე ზვირთიო?“

- ახლა უნდაო, - განაგრძო ისევ საღამომ, - ბავშვებს და ქალებს მიჰყოს ხელიო... თქვენი ხსნა ერთი იმავიდა არისო, რამ აიყარნეთ და სადმე შორს გადასახლდეთო. თუ ესე არა ქენით, ალი სულ დედააბუ-დიანად მუსსრს გაგადენთო (ნ. ლომ.).

2) მეტქი:

ასე მეგონა - დაუზავდება=მეტქი, ამ საცოდავს ორთავე მკლავები-მეტქი (ნ. ლომ.).

ცხეცეწი და ვემუდარე: - ნუ ამომავდება=მეტქი, ჩამომავორე ეს შენი ღორები და ცხვრები=მეტქი (დ. კლდ.).

- რამ ვარჩენო=მეტქი, ციფქრე, ვაი თუ ამის იმედით საქმეზევ მუყაითობა იმისთანა ადარ გასწიოს=მეტქი (ი. ჭავჭავაძე).

3) აქო (თქვა):

გერა ნახე და უთხარი: ბაბაია დღესაც იმ დონორთან წავიდა= თქვა, შენ რამ პირველად წაიყვანე=თქვა. ცოტა შეგვიანდება, მაგრამ მაინც მოვა და იმუშავებ=თქვა (ღ.ქობაძე.).

ასეთი ფორმა დასაშვებია ნაწარმოებში მოქმედი პირის მტაცებელი კოლორიტის დასაცავად, მაგრამ ლიტერატურული ენის მიხედვით ასევე წინადადებებში სხვისი ნათქვამის გადმოსაცემი ნაწილაკი უნდა გონივრულად მხოლოდ ერთხელ, ისიც სხვისი ნათქვამის ბოლოს, მაგალითად:

მე, - ერთხელ მითხრა, - ერთი დავიწყებული კაცი ვარ, რად გინდა ჩემი გინაობა? შემომხედე, ჩემო ძმობილო, და მიცანო.

- ახლა უნდა, - განაგრძო ისევ სალმემ, - ბავშვებსა და ქალებს მიჰყოს ხელი... თქვენი ხსნა ერთი იმაშიდა არის, რომ აიყარეთ და სადმე შორს გადასახლდეთ. თუ ასე არა ქენით, ალი დედააბუღიანად მუსრს გაგაღენთო.

ასე მიგონა: დაუშვებდა ამ საუკდაცს ორივე მკლავიამთქი.

მიეღდი და გკითხე: მამა ბატონო, ჩვენი მურა რამ დაბერდეს, აღარაფერი არ შეეძლოს, აღარც ყვება და აღარც ღებნა, მამინ რა გუკომამთქი? (ა.წერ.).

სხვისი ნათქვამის ნაწილაკის განმეორება შეიძლება გაცემარტულ იმ შედეგებში, რადესაც იგი ახლავს ერთად გამოყენებულ რამდენიმე კითხვით წინადადებას, გამოყოფილს კითხვითი ნიშნებით, მაგალითად:

მიუბრუნდა სვანი ყორანს და მიედიერი კილოთი დაუწყო კითხვა: - როგორაო? რას მიაშიზბდი იმ დღეს ბუღბუღზე, ლამაზად მდერისო? რაო? ნეტავი მერ ბუღბუღად მატკიოაო? (გ.ფშავ.).

- რაო? სვანნი და ყორანნი? - თქვა სვანმა მრისხანედ.

6. ბრჭყალების გამოყენების საკითხი

რცოა დიალოგს ტირე არ ახლავს, უნაწილაკო პირდაპირი სხვისი ნათქვამი ბრჭყალებში უნდა ჩავსვათ, ნაწილაკიანი კი უნდა დავწყო- რთ უბრჭყალებო, მაგალითად:

1) ბოლოს კი კაკომ უთხრა თამამად:

- გიცე მე, ძამო, არ გამიწყობები... (ი.ჭავჭავ.).

ბოლოს კი კაკომ უთხრა თამამად: გიცე მე, ძამო, არ გამიწყობიო.

2) - ახ, ნეტავი შენ! - წაიღუღუნა... (ი.ჭავჭავ.).

ნეტავი შენ! - წაიღუღუნა...

- ახ, ნეტაუი შენო, - წაიფუფუნა...

3) - შენი ჳირიმიე, - უთხრა, - ბატონო, სახლს ვერ გავუვცი მე მარტოხელი... (ი. ჳივეცი-).

"შენი ჳირიმიე, - უთხრა, ბატონო, სახლს ვერ გავუვცი მე მარტოხელი"...

- შენი ჳირიმიე, - უთხრა, - ბატონო, სახლს ვერ გავუვცი მე მარტოხელიო.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ ნაწილაკები ო, თქო, მეოქი, მთელი სხვისი ნათქვამის გაღმოსაკეში საშუალებანია და ამის გამო მათი დასმა ბუნებრივია სხვისი ნათქვამის ბოლოს და არა შიგნით. ამას მოწმობს ძველი ქართლის მაგაღითებიო. ამის გამო ნაწილაკი ო "ზოგჯერ ზმნასთან დაისმის, ზოგჯერ სახელთან და სხვა, ე.ი. იმასთან, რითაც ბოლოვდება სხვისი ნათქვამი, მაგრამ ზოგი მწერალი ამ წესს არ იცავს. ყველაზე უფრო ეს შეინიშნება კ. გამსახურდიას ნაწილებში. მწერალი ო ნაწილაკს ხმარობს მხოლოდ შემასმენელთან და, რადგანაც ამ უკანასკნელს ის უფრო ხშირად წინადადების შიგნით სვამს, ამ მხრივ თავისებურ სტილს ქმნის მაგალითად, ის წერს:

სახლივა: წამოყვანეო ჳიბა...: საფლავეო (კ. გამსახ.).

გიორგის შეებრალა და ბ...: სასეირნოდ მიინე წამოიყვანეთო ჳურშიაი, თაკი ბატონო ტყემი (იქვე).

დამმარტოხელა სპასალარი გიორგიმ, უჩურჩულა: გავგეპარაო მთავარი ნადირი.

ვერ შეგბედეთო თარემ, არ მინდოდაო მამამზის გამომშვება ციხიდან (იქვე).

მამამზემ თათბირი მიაწოდა ასეთი: ... დასაუღეთისკენ ქარაფე-ბი ახლავს იმ ხევს, როცა მდევრები მოსდევენ მხეცს, იგი იოლი გზით გაარბისო მუდამ, არ ეტანებაო არასდროს ქარაფს. იმ ხევის ყელთან დაუვხვდებოდა და არ აგვედებოა არ: ერთი (იქვე).

უარესად გაგვიზიზნებდებოა ნაიარები ფხი, ნუ იქმო, აფიცებდა ბბაგრატ კუროპალატის სულს (იქვე) და სხვ.

როგორც ვხედავთ, გარდა იმისა, რომ ანტონი ო ნაწილაკს წინადადების შიგნით ხმარობს, ის სხვის ნათქვამში რამდენიმეჯერაც იმეორებს მას. ეს მწერლის სტილის ერთ-ერთი თავისებურებაა. ყოველ მწერალთან, განსაკუთრებით დიდ მწერლებთან, შეინიშნება ამა თუ იმ სახის ენობრივი თავისებურება, მაგრამ სალიტერატურო ქართლისთვის, საერთოდ, ბუნებრივად უნდა ჩათვალოს ამ წინადადებათა ასე აგება:

სახლივა: წამოყვანეო ჳიბაბერის საფლავეო.

გიორგის შეებრალა და ბრძანა: სასეირნოდ მიინე წამოიყვანეთო

ყურში, თოკით ატარეთ ტყეშიო.

დაიმარტოხელა სპასალარი გიორგიმ, უჩურჩულა: გაგვეპარა მთავარი ნადირი. ვერ შეგბედეთ, თორემ არ მინდოდა მამამშის გამოშვება ციხიდანო და სხე.

სულ სხვა მდგომარეობაა მაშინ, როდესაც სხვის ნათქვამში ნაწილაკის ვანძეობებით აცტორს სურს დაიცვას მთქმელის ენის კულრიტი, სტილის თავისებურება. ამის ნიმუშია შემდეგი მაგალითი: ამ ნიაღვრებისა და ტბორების გამოისობითაო, მოსთქვამაჲ მისი პატრონი, არხი და ზუბა თვალში გამიერთდაო, ევლარ განვასხვავეო, უცებ დაეგვერდელავდი და აგრე წავევალეო, ზარტომ ვერა ვუღონე, რომ ამომეთრია და არუ კაციშვილი გამოჩნდა ამ ზუზუე ბარემ ორი საათიც იქნებოო (გაზ.სახ.კომ., 9.4.1969, გვ.3.).

ამრიგად, ენობრივი ელემენტების (ბგერების, სიტყვების, სიტყვათა წარმებისა და წინადადებების) კონტრაცია (დამატებითი მნიშვნელობის ან აზრობრივი ელფერის გამოხატვა), ტრანსფორმაცია (ერთი ენობრივი ელემენტის სტრუქტურული გარდაქმნა მეორე ელემენტად) და ტრანსპოზიცია (ენობრივი ელემენტების გადასმა, გადაადგილება) არის აზრისა და გრძნობის ექსპრესიულად გამოხატვის უმთავრესი სტილისტიკური საშუალებანი. ისინი, როგორც შემოქმედებითი მოვლენები, დიდად უწყობენ ხელს შეტყვევების მხატვრულობასა და, საერთოდ, ენის კულტურის ამადლებას, რომელთა მიღწევა, თანაც ენის სისწორისა და სიწმინდის დაცვა, როგორც დიდი ეროვნული და სახელმწიფოებრივი საქმე, უნდა იყოს ყოველი მამულიშვილის, განსაკუთრებით ახალი თაობების აღმზრდელთა და კულტურის დარგში მომუშავეთა, დიდი მისწრაფება და დაუხერხებელი საზრუნავი.

მეხუთე ნაწილი

სასვენი ნიშნების გამოყენება სტილისტიკური დანიშნულებით

§ 79. სუბიექტური მომენტები სასვენი ნიშნების ხმარებისას

სასვენი ნიშნების სწორად გამოყენებაზე დიდად არის დამოკიდებული წინადადებაში აზრისა და გრძნობის სწორად გამოხატვა. სასვენი ნიშნების ხმარებისას ზუსტად უნდა ეიცავდეთ საერთოდ დადგენილ წესებს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ღამწერმა ყველა შემთხვევაში პედანტურად გამოიყენოს ეს წესები. ინდივიდის წერილი შეტყვევების სტილისტიკურ თავისებურებებთან დაკავშირებით აზრისა და გრძნობის სხვადასხვა შინაარსით ან ელფერი გამოხატვისას ხშირად არის საჭირო როგორც გამოსაყოფი სიტყვის, ისე სასვენი ნიშნის შერჩევა. როგორც წინადადების ბოლოს, ისე თვით წინადადებაში დამწერს შეუძლია პირადი შეხედულებით ერთი ნიშნის ნაცვლად გამოიყენოს მეორე, მაგრამ მხოლოდ ისეთი, რომელიც საჭიროა წინადადების შინაარსის მიხედვით და რომელსაც პუნქტუაციის წესების ფარგლებში შეუძლია მსგავსი ან ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში საჭირო ფუნქციის შესრულება, მაგალითად:

1. მძიმის ნაცვლად იხმაროს ძახილის ნიშანი მიმართვასთან, შორისდებულთან ან მიჯნებით ნაწილაკთან, ან კიდევ თვით წინადადებასთან გრძნობის უფრო ძლიერად გამოხატვის მიზნით:

1) მეგობრებო, ჩვენ მშვიდობა გვინდა! - მეგობრებო! ჩვენ მშვიდობა გვინდა. 2) ვეუო, ეს რა უჩადი ბიჭი ყოფილა! - ვეუო! ეს რა უჩადი ბიჭი ყოფილა! 3) დიახ, ამას მე გავაკეთებ! - დიახ! ამას მე გავაკეთებ! 4) სამუშაოდ ერთად წავიდეთ. - სამუშაოდერთად წავიდეთ!

2. მძიმის ნაცვლად იხმაროს ტირე ღანართის ან განკერძოებული წევრის გამოსაყოფად მათი უფრო ხაზგასმით აღნიშვნის მიზნით:

1) მე ყოველთვის თვალწინ მიდგას ჩემი მშობელი, ჩემი საყვარელი დედა.

მე ყოველთვის თვალწინ მიდგას ჩემი მშობელი - ჩემი საყვარელი დედა.

2) ის წიღს ისვენებდა ბიჭვინთაში, ახალ კეთილმოწყობილ აგარა-აბე.

ის წიღს ისვენებდა ბიჭვინთაში - ახალ კეთილმოწყობილ აგარა-აბე.

3. ორწერტილის ნაცვლად გამოიყენოს მძიმე ან ტირე მომდევნო სხვისი ნათქვამის გამოსაყოფად მოუბრის სიტყვებისა:

- 1) ნიკომ ღამიზარა: ექსკურსიაზე ბავშვებიც გამოიყვანა.
- ნიკომ ღამიზარა, ექსკურსიაზე ბავშვებიც გამოიყვანა.
- ნიკომ ღამიზარა - ექსკურსიაზე ბავშვებიც გამოიყვანა.

2) იმ დღეს სასიხარულო ამბავი გავიგე: ჩემმა ძმამ სახელმწიფო გამოკვლები ჩააბარა.

იმ დღეს სასიხარულო ამბავი გავიგე - ჩემმა ძმამ სახელმწიფო გამოკვლები ჩააბარა.

4. მძიმის ნაცვლად წერტილი ან წერტილ-მძიმე, ან, პირიქით, წერტილის ნაცვლად მძიმის ღასმა წინადადებათა ჩამოთვლისას ნუმერაციის წესით და ა.შ.

სასვენი ნიშნების ასეთი შენაყველება არის სუბიექტური მომენტი ბუნებრივი ხმარებაში, მათი ინდივიდუალური შერჩევის შედეგად.

სასვენი ნიშნების შერჩევას მვიდრო კავშირი აქვს წერილი მეტყველების სტილის თავისებურებასთან. ამ შედეგებში მხედველობაში გვაქვს განსაკუთრებული შინაარსი და დამწერის ინდივიდუალუა, რომლებიც თავს იჩენენ ერთი ტიპის წინადადების შეყვლაში მუარით, მაგალითად: თხრობითი წინადადების შეყვლა ძახილის წინადადებით, კითხვითი წინადადებისა - კითხვით-ძახილის წინადადებით, ბრძანებითისა - ბრძანებით-ძახილის წინადადებით და სხვ. ასევე წინადადების გაერთობა და შეკუმშვა, განმარტავადი სიტყვის ჩასმა ან გამოტოვება შერწყმულ წინადადებაში, ერთგვარი წევრების კადრებზე და წყვილებად ჩამოთვლა, წევრთა უკავშირო და კავშირობანი შეერთება, უკავშირო და კავშირობანი რთული თანწყობილი და ჰერეზიული წინადადებების შერჩევა, მარტივი წინადადების შენაყველება რთული და რთული - მარტივი, მარტივი და შერწყმულ წინადადებათა წყობა რთული და აგრეთვე სხვის-ნათქვამთან წინადადებებში და ა.შ. ამ მოვლენებთან მვიდროვად არის დაკავშირებული ბუნებრივი შეყვლა: იმისდა მიხედვით, თუ რა აზრობრივი ელფერით სურს დამწერს გამოხატოს ესა თუ ის ფაქტი, ის არჩევს ამისთვის არა მარტო ენობრივ საშუალებებს, არამედ სათანადო სასვენი ნიშნებსაც, სახელმწიფო, თუ რამდენი ნიშნის გამოყენებით უკეთ გადმოიცემა წინადადებებში აზრი ან გრძნობა.

წერის დროს წინადადების აზრისთვის გარკვეულ ელფერის მისაცემად ზოგჯერ არა მარტო სასვენი ნიშნის შერჩევას აქვს მნიშვნელობა, არამედ, საერთოდ, მისი ღასმის ან არღასმისაც.

სასვენი ნიშნების საშუალებით მკითხველს აწვირად შეუძლია გა-

ბა, ისე გინსხვავებული აზრობრივი ელფერიც, შიგაღიდად:

1. მე დავებამ. ის აუშეებს (წერტილის გამოყენებით აზრი გადმოყეშულია ცალ-ცალკე აღებული ორი მარტივი წინადადებით).

მე დავებამ, ის აუშეებს (აქ შიშის საშუალებით იკივე აზრი გამოხატულია უკავშირო რთული თანწყობილი წინადადებით, სადაც იკულისხმება შიშისპირებული „ავშირი კი“).

მე დავებამ - ის აუშეებს (ნიშნავს რაღა მე დავებამ, ის აუშეებს. აქ კი იმავე აზრის გადმოსაყვამად ტირეთი გამოხატულია უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადადება). ისინი ერთმანეთისგან განსხვავებულია მხოლოდ აზრობრივი ელფერით.

2. მან დამავალა: „ხვად წიგნი მომიტანე!“ (ან: ხვად წიგნი მომიტანეო. ეს პირდაპირი სხვისი ნათქვამიანი წინადადებაა).

მან დამავალა, ხვად წიგნი მიუტანო (ეს კი ირბი სხვისი ნათქვამიანი რთული ქვეწყობილი წინადადებაა. პირველ წინადადებაში პირდაპირი სხვისი ნათქვამი ბრძანებითი ექსპრესიული=ემოციური, მეორე წინადადებაში კი იგი ირბი, თბრობითი, ნეიტრალური სტილისაა).

3. წინადადებაში - მან მოიტანა წითელი ღამაში ყვავილი - ნათქვამი, რომ მოტანილი ღამაში ყვავილი იყო წითელი (ღა არა სხვა წერიის), მაგრამ ამას თუ ასე დავწერთ - მან მოიტანა წითელი, ღამაში ყვავილი (ე.ი. „წითელი“-ს შემდეგ დავსვამთ შიშის) - მივიღებთ აზრის სხვა ელფერს ანუ ნიუანსს, სახველობრ, რომ მოტანილი ყვავილი იყო წითელიცა და ღამაშიც.

მამასადაში, იშის შიბევეით, თუ რა აზრის გამოხატვა სურს, ბეროთ ბრძუვს რაგორც წინადადების შესაფერ კონსტრუქციას, ისე დასასწავლ სასვენ ნიშანსაც.

თუ რა სტილისტიკურ ფუნქციას ასრულებენ სასვენი ნიშნები წინადადების ბოლოს ან წინადადებაში შილიანი აზრის ან შისი ელფერის გამოხატვისას - ეს ნათლად ჩანს ერთი და იმავე სიტყვებისგან შედგენილი შემდეგი მაგალითების დაპირისპირებიდან:

1. დავადება პირნათლად შეასრულე. (აღნიშნავს ფაქტს. წინადადება თბრობითია).

დავადება პირნათლად შეასრულე? (გამოხატავს კითხვას: წინადადება კითხვითია).

დავადება პირნათლად შეასრულე! (გამოხატავს ბრძანებას. წინადადება ბრძანებითია).

2. ურთბილად იკეტება (თბრობითი მარტივი წინადადებაა, შედგება ვითარების გარემოებისა და შემასმენლისგან).

ურთბილად, იკეტება! (რთული თანწყობილი წინადადებაა, პირველი წინადადება ბრძანებითია, მეორე ძახილის).

3. დადგა გაზაფხული. გათბა ჰაერი. ამწვანდა მთა და ბარი (სამი მარტივი წინადადება, მათ შორის პირველი ორი მარტივია, მესამე შერწყმული).

დადგა გაზაფხული, გათბა ჰაერი, ამწვანდა მთა და ბარი (რთული თანწყობილი წინადადება).

4. სარბიელზე მომავალი ექიმები (ნიშნავს - ექიმები, რომელნიც სარბიელზე მოდიან).

სარბიელზე - მომავალი ექიმები (ნიშნავს - მომავალი ექიმები, რომელნიც სარბიელზე არიან).

5. ნიკო ძია - ვანოს მეგობარი - აქ იყო მაშინ (ნიშნავს - ნიკო ძია, რომელიც ვანოს მეგობარია).

ნიკო - ძია ვანოს მეგობარი - აქ იყო მაშინ (ე.ი. ნიკო, რომელიც ძია ვანოს მეგობარია).

6. კარგი უფროსი მოგვივიდა, გიორგი ჩხარტიშვილი, გადასარევი კაცია („გიორგი ჩხარტიშვილი“ აქ დანართადაა გამოყენებული. ე.ი. გადასარევი კაცია უფროსი. წინადადება შერწყმულია).

კარგი უფროსი მოგვივიდა, გიორგი ჩხარტიშვილი გადასარევი კაცია (აქ კი „გიორგი ჩხარტიშვილი“ უკვე ქვემდებარეა მეორე შემასმენელთან. წინადადება რთული თანწყობილია).

7. ჩემი შვილი გურამი ახლა IV კურსის სტუდენტია („შვილი“ გამოყენებულია ქვემდებარე „გურამი“-ს განსაზღვრებად).

ჩემი შვილი, გურამი, ახლა IV კურსის სტუდენტია.

ან: ჩემი შვილი - გურამი - ახლა IV კურსის სტუდენტია (ახლა ქვემდებარეა „შვილი“, „გურამი“ კი დანართია).

8. მე ვარ გიორგი, ვერ მიცანი? (აქ „ვარ გიორგი“ შედგენილი შემასმენელია ქვემდებარესთან „მე“. წინადადება მთლიანად რთული თანწყობილია).

მე ვარ, გიორგი, ვერ მიცანი? (ახლა კი „გიორგი“ მიმართება).

9. როგორც მოწინავე, მწყემსი გაბო რამდენიმეჯერ დააჯილდოვეს (ამ წინადადებაში „როგორც მოწინავე“ განკერძოებული განსაზღვრებაა, „მწყემსი“ კი დამატება „გაბო“-ს ატრიბუტული განსაზღვრება).

როგორც მოწინავე მწყემსი, გაბო რამდენიმეჯერ დააჯილდოვეს (ახლა „როგორც მოწინავე მწყემსი“ დანართია, „მოწინავე“ დანართის ატრიბუტული განსაზღვრებაა).

10. მახსოვს, ის ბავშვი გახარებული შემოივლიდა წიგნებით ხელში („გახარებული“ ცითარების გარემოებაა შემასმენელთან „შემოივლიდა“).

მახსოვს, ის ბავშვი, გახარებული, შემოივლიდა წიგნებით ხელში (აქ კი „გახარებული“ არის განკერძოებული განსაზღვრება ქვემდებარისა „ბავშვი“).

ამავე ტიპისაა შემდეგი წინადადებებიც:

ურემი შეშით დატვირთული მოადგა ჭიშკარს.

ურემი, შეშით დატვირთული, მოადგა ჭიშკარს.

II. მას გაიანეს ამხანაგი პყავს თანაშემწედ („გაიანეს“ არის „ამხანაგი“-ს განსაზღვრება).

მას, გაიანეს, ამხანაგი პყავს თანაშემწედ („გაიანეს“ ახლა გამოყენებულია ნაკუალსახელით გამოხატული წევრის დანართად).

ასევე სასენი წიშნების ხმარებასთან დაკავშირებით განსხვავებული შინაარსია გამოხატული შემდეგ წინადადებებშიც:

1. მასწავლებელი გვარად შინდელი არ გახლავთ.
მასწავლებელი, გვარად შინდელი, არ გახლავთ.
2. მოხუცი წელში ისარივით გამართული ყმაწვილივით დადიოდა.
მოხუცი, წელში ისარივით გამართული, ყმაწვილივით დადიოდა.
3. დეიდა ნინო უკვე კარგად არის.
დეიდა, ნინო უკვე კარგად არის.
4. ვანოს ნიკოს ბევრი ემადლიერებოდა.
ვანოს, ნიკოს ბევრი ემადლიერებოდა.
5. ის სწავლობდა, გატაცებით კითხულობდა წიგნებს.
ის სწავლობდა გატაცებით, კითხულობდა წიგნებს.
6. ჩემი პატარა ღამაში ფინია ყოველთვის უკან დამდედა.
ჩემი პატარა, ღამაში ფინია ყოველთვის უკან დამდედა.
7. დილას წახვალ, მაღაზიაში წიგნს იყიდი და მომიტან.
დილას წახვალ მაღაზიაში, წიგნს იყიდი და მომიტან.
8. მთელ სოფელს უყვარს მერტყევე მონადირე.
მთელ სოფელს უყვარს მერტყევე - მონადირე.
მთელ სოფელს უყვარს მერტყევე, მონადირე.
9. ეს გახლავთ ვაჟა-ფშაველა - ცნობილი მგოსანი, მრავალი შესა-
ნიშნავი ნაწარმოების ავტორი.
ეს გახლავთ ვაჟა-ფშაველა, ცნობილი მგოსანი - მრავალი შესანი-
შნავი ნაწარმოების ავტორი.
10. იმ დღეს სოფელში ჩამოვიდნენ განათლების მინისტრი, აღმასკომ-
ის თავმჯდომარე, დამსახურებული აგრონომი და სხვები.
იმ დღეს სოფელში ჩამოვიდნენ განათლების მინისტრი, აღმასკომ-
ის თავმჯდომარე - დამსახურებული აგრონომი და სხვები.
11. მაგალითად ეს არ გამოგადგება.
მაგალითად, ეს არ გამოგადგება.
12. ბავშვები აგარაკზე გაგზავნეს, ეზოში შეწყდა ხმაური.
ბავშვები აგარაკზე გაგზავნეს, ეზოში შეწყდა ხმაური.
ბავშვები აგარაკზე გაგზავნეს - ეზოში შეწყდა ხმაური.

13. ადრე მოვა; შინ დაცხედები.

ადრე მოვა - შინ დაცხედები.

14. მამამ მკითხა: „სად წაგიდა ნუგზარი?“

მამამ მკითხა, სად წაგიდა ნუგზარი და სხვ.

ასეთი მაგალითი უამრავია, სადაც სასვენი ნიშნის დასმა ან არდასმა, ან კუდიც ერთი სასვენი ნიშნის შეცვლა მეორეთი იწვევს წინადადების აზრის ან აზრობრივი ელფერის შეცვლას. სასვენი ნიშნების შენაცვლებით შეიძლება გამოიხატოს არა მარტო აზრობრივი სხვაობა, არამედ სხვადასხვა ემოციაც და ექსპრესიულობაც.

ძირითადი ლიტერატურა

1. არნ. ჩიქობავა - ენამეცნიერების შესავალი, თბ., 1952.
2. ვ.თაფურია - ორმაგი უარყოფა ქართულში. წიგნიწვეული, I-II, 1923-1924.
3. გრ.კიკნაძე - მეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957.
4. ვ.თაფურია - ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის, თბ., 1964.
5. ვ.თაფურია - ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965.
6. შ.ძიძიგური - მწერლის ენა, თბ., 1957.
7. შ.ძიძიგური - ენა და ლიტერატურა, თბ., 1965.
8. აღ.ღლონტი - ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1971.
9. ძველი ქართული მწერლობის სტილის საკითხები (V-XIII სს:), თბ., 1965.
10. ვალ.რამიშვილი - სტილისტიკის სწავლებლასა და მეტყველების სტილზე მუშაობის საკითხები, თბ., 1966.
11. ე.ბაბუნაშვილი - ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970.
12. აღ.გვენცაძე - სტილისტიკის საკითხები, თბ., 1971.
13. აღ.გვენცაძე - ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები, თბ., 1974.
14. ზ.ჭუმბურიძე - ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები, თბ., 1956.
15. ზ.ჭუმბურიძე - სალიტერატურო ენა და მწერლობა, თბ., 1962.
16. მის.კეკელიძე - სტილზე მუშაობის შესახებ საშუალო სკოლაში. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში, კრებული V, 1953.
17. რ.გაბერიავა - პრაქტიკული სტილისტიკის სწავლების საკითხები. ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, №1, 1971.
18. გ.შალაშხერიძე, რ.გაბერიავა - ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ., 1974.
19. გ.ჭიღლიძე - სამედილიშვილო საგანძურში. ჟურნ. „ციცკარი“, №3, 1958.
20. რ.თვარაძე - წიგნი და მკითხველი, თბ., 1971.
21. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბ., 1970.
22. ქართული სიტყვის კოდირების საკითხები, წიგნი პირველი, თბ., 1972.
23. თედო სახოკია - ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ტ. I, თბ., 1950. ტ. II, 1954. ტ. III, 1956.

24. აღ.ნეიმანი - ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1953.
25. სულხან-საბა ორბელიანი - სიტყვის კონა, თბ., 1949.
26. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ.1, 1950, ტ.11, 1951; ტ.111, 1953, ტ.1V, 1956; ტ.V, 1958; ტ.VI, 1960; ტ.VII, 1962; ტ.VIII, 1964.
27. ქართველურ ენათა ლექსიკა (გურული, ზემოიმიერული და ღერხუ-მური ლექსიკონები), თბ., 1948.
28. ს.გარეგილაძე - ლიტერატურის მკვლევების შესავალი, თბ., 1957.
29. ს.გარეგილაძე - სიტყვიერებისა და ლიტერატურის თეორია, თბ., 1962.
30. აღ.ონიანი - ქართული იდიომები, თბ., 1968.
31. რ.შამელაშვილი - თანამედროვე ქართული ენის ლექსიკა, ნაკვ. I, თბ., 1972. ნაკვ.11, 1974.
32. ა.თაყაიშვილი - ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბ., 1961.
33. ბ.ფორხუა - ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
34. ე.ჯორჯანელი - ეფემეზიმები და სიტყვა ტაბუ, თბ., 1977.
35. თ.გარეგილაძე - შორისდებული ახად სალიტერატურო ქართულში (ლექსიკონითურთ), თბ., 1979.
36. შ.ძიძიგური - ილია ჭავჭავაძე და ქართული ენა, თბ., 1978.
37. ბ.ჯორბენაძე - ქართული ზმნის ლრმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980.
38. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მესამე, თბ., 1980.
39. ჯ.სილაგაძე - ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმის საკითხები, თბ., 1981.
40. ე.წერეთელი - პარონომასია ქართულში. იმეროულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ.6, 1954.
41. ს.ყაუხჩიშვილი - რას ჯვიაშობენ ძველი ბერძნები საქართველს შესახებ, თბ., 1964.
42. ნ.კანდელაკი - ქართული მწვერმეტყველება, თბ., 1968.
43. არისტოტელე - პოეტიკა, თბ., 1944.
44. ბ.გუგუშვილი - ქართული ჟურნალისტიკა, თბ., 1941.
45. მ.გოკაძე - ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, თბ., 1954.
46. ვ.გვანია - ქართველი იურისტები, თბ., 1961.
47. ნ.ღავითაია - ტანთველ აფეოკატრა სამოსამართლო სიტყვები, თბ., 1963.
48. ნ.ბასილია - ქართული ენის მართლწერის საკითხები, თბ., 1957.
49. შ.კეკელია, ბ.ღავითაიანი - ქართული ენა, თბ., 1973.
50. ს.გორგაძე - ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან. ტომი. მნათობი. 1925-191 193 1924-195-6.

51. М.В.Ломоносов - Полн.собр.соч., т.7, 1952.
52. В.Г.Белинский - Полн.собр.соч., т.3, 1948.
53. А.Р.Ефремов - О стилистическом нигилизме. Ж. "Вопросы языкознания", № 6, 1954.
54. Х.Касарев - Введение в современную лексикографию, М., 1958.
55. Ш.Балли - Французская стилистика, М., 1961.
56. Р.А.Будагов - Литературные языки и языковые стили, М., 1967.
57. Язык и речь, Тб., 1977 (под ред. Т.Шарадзеидзе).
58. В.П.Вамперский - Стилистические учения М.В.Ломоносова, М., 1970.
59. И.В.Аркольд - Стилистика современного английского языка, Л., 1973.
60. А.Н.Гвоздев - Очерки по стилистике русского языка, М., 1955.
61. В.А.Мамонтов, Д.Э.Розенталь - Практическая стилистика современного русского языка, М., 1957.
62. В.П.Мурат - Об основных проблемах стилистики, М., 1957.
63. Очерки по стилистике русского языка и литературному редактированию, под ред. проф.К.И.Былинского, М., 1961.
64. В.В.Виноградов - Стилистика. Теория поэтической речи. Поэтика, М., 1963.
65. М.М.Михайлов - Стилистика русской речи, Чебоксары, 1968.
66. Д.Э.Розенталь - Практическая стилистика русского языка, М., 1968.
67. А.И.Ефимов - Стилистика русского языка, М., 1969.
68. Е.Н.Прокопович - Стилистика частей речи, М., 1969.
69. П.Г.Черемисин - Пособие по стилистике русского языка, М., 1971.
70. Практическая стилистика русского языка, под ред. проф. М.К.Милых, М., 1971.
71. Античные теории языка и стиля, М., 1936.
72. М.И.Козина - Стилистика русского языка, М., 1977.

ს ა რ რ ი ე გ ი

წინათქმა	3
პირველი ნაწილი. სტილისტიკა	
§ 1. სტილისტიკის ისტორიიდან	5
§ 2. სამი სტილის თეორია	9
§ 3. ენა და მიტყველება	14
§ 4. სტილისტიკის საგანი	15
§ 5. სტილისტიკის საგნის სხვადასხვაგვარი გაგება	18
§ 6. სტილისტიკის შესწავლის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა	21
§ 7. სტილისტიკა და ენის კულტურა	23
§ 8. სტილისტიკის კავშირი ენათმეცნიერების სხვა დარგებთან	24
§ 9. სტილისტიკის დარგები	25
მეორე ნაწილი. სტილი	
§ 10. სტილის რაობა და საერთო ნიშნები	27
§ 11. სტილის ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები	30
§ 12. სტილის კლასიფიკაცია	37
§ 13. ობიექტური და სუბიექტური სტილი	41
- ობიექტური ფუნქციური სტილის სახეები	
§ 14. ნეიტრალური სტილი	43
§ 15. ოფიციალურ-დოკუმენტური სტილი	44
§ 16. სამეცნიერო სტილი	49
§ 17. პუბლიცისტური სტილი	55
სუბიექტური ფუნქციური სტილის სახეები	
§ 18. სასაუბრო სტილი	61
§ 19. მხატვრული სტილი	64
§ 20. ორატორული სტილი	71
§ 21. სტილისტიკური ნორმა	79
მესამე ნაწილი. ლექსიკური სტილისტიკა	
§ 22. სიტყვათა შერჩევა მნიშვნელობის მიხედვით	81
§ 23. ზედმეტი სიტყვები წინადადებაში	85
§ 24. სიტყვათა განმეორება ანუ რეპეტოლოგია	92
§ 25. ენობრივი შტამპები	94
§ 26. სხვა ენებიდან შემოსული, არასაკმარის სიტყვები ანუ ბარბარიზმები	117
§ 27. კალკები	120
§ 28. დიალექტიზმები	107

§ 29.	უარგონიზმები	111
§ 30.	ცულგარეზმები	114
	ენის გამომსახველობითი ძირითადი ლექსიკური საშუალებანი	
§ 31.	სიტყვის გამოყენება ერთი ან რამდენიმე მნიშვნელობით	115
§ 32.	სინონიმები	123
§ 33.	ომონიმები	131
§ 34.	ანტონიმები	138
§ 35.	პარონიმები	139
§ 36.	ეფემერიზმები	141
§ 37.	თავაზიანობის გამოხატველი სიტყვები	143
§ 38.	სიტყვათა მყარი ანუ ფრაზეოლოგიური შენაერთი	145
	სტილისტიკურ-ფუნქციური ლექსიკა	
§ 39.	ნეოლოგიზმები	150
§ 40.	პროფესიონალიზმები	154
§ 41.	უცხო სიტყვების სესხება	157
§ 42.	არქაიზმები	157
	მეთაბე ნაწილი. გრამატიკული სტილისტიკა მორფოლოგიური სტილისტიკის საკითხები	
§ 43.	სიტყვების შერჩევა ფორმის მიხედვით	163
§ 44.	არსებითი სახელის სინონიმური ფორმები	165
§ 45.	ზედსართავი სახელის სინონიმური ფორმები	176
§ 46.	რიცხვითი სახელის სინონიმური ფორმები	185
§ 47.	ნაკვალსახელთა ფორმების შერჩევა	192
§ 48.	ქართული ზმნის სტილისტიკური პოტენციური ზმნის ფორმების შერჩევა	197
§ 49.	მსგავსი და სხვადასხვა მნიშვნელობის ზმნებისა და სახელზმნების შერჩევა	210
§ 50.	ზმნისწინების ხმარების შესახებ	221
§ 51.	ზოგიერთი ნაზმნარი სახელის პარალელური ფორმები	224
§ 52.	ზმნიზედის შერჩევის შესახებ	225
	ღამხმარე სიტყვები	
§ 53.	თანდებულების შესახებ	230
§ 54.	ნაწილაკების შესახებ	232
§ 55.	კავშირების შესახებ	235
§ 56.	პირისდებულების შესახებ	240
§ 57.	მორფოლოგიურ-სინტაქსური სინონიმები	241

სინტაქსური სტილისტიკის საკითხები

§ 58. წინადადების შერჩევა რაგვარობის მიხედვით	243
§ 59. წინადადების ტიპები მტკიცების მიხედვით	253
§ 60. ორმაგი უარყოფის ხმარების საკითხი	254
§ 61. წინადადებათა შერჩევა აგებულების მიხედვით	257
§ 62. სინტაქსური სინონიმები	262
§ 63. სინტაქსურ-სტილისტიკური შეცდომები	263
§ 64. ქართული ბუნებრივი აქმების დაცვის შესახებ	264
§ 65. სტილისტიკური დარღვევის სხვა შემთხვევები	278
სიტყვათა წყობა	
§ 66. სიტყვათა წყობის მნიშვნელობა წინადადებაში	281
§ 67. სიტყვათა პირდაპირი და არაპირდაპირი წყობა	285
§ 68. სიტყვათა არამყარი (თავისუფალი) წყობა	280
§ 69. სიტყვათა გავრცელებული წყობა	292
§ 70. სიტყვათა მყარი წყობა	296
§ 71. სიტყვათა გათიშული წყობა	301
§ 72. სტილისტიკის საკითხები შერწყმულ წინადადებასთან დაკავშირებით	307
§ 73. სტილისტიკის საკითხები რთულ თანწყობილ წინადადებასთან დაკავშირებით	316
§ 74. სტილისტიკის საკითხები რთულ ქვეწყობილ წინადადებასთან დაკავშირებით	323
§ 75. მოქმედებათა ერთდროულობა, რთულ ქვეწყობილ წინადადებაში	339
§ 76. ერთნაირი კავშირებისა და საკავშირებელი სიტყვების მართებულიად ხმარება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში	340
§ 77. სხვისი ნათქვამისა და გამოცემის შესახებ	343
სხვისი ნათქვამის სახეები	344
§ 78. სტილისტიკური შეცდომები სხვის ნათქვამთან წინადადებაში	352
მეხუთე ნაწილი. სასცენო ნიშნების გამოყენება სტილისტიკური დანიშნულებით	
§ 79. სუბიექტური მომენტები სასცენო ნიშნების ხმარებისას	363
ძირითადი ლიტერატურა	369

სამომცემლობის რედაქტორი - ე. ბ. ლ. ლ. ი. კ. ა. შ. ი. ლ. ი.
სამხატ. რედაქტორი - გ. ზ. ა. კ. ა. ლ. ა. შ. ი. ლ. ი.
ბეჭდვ. რედაქტორი - ნ. ძ. ნ. ე. ლ. ა. ძ. ე.
ფურც. კორექტორი - მ. ლ. ლ. ი. ლ. ა. გ. ა. ძ. ე.
სურათ. რედაქტორი - ლ. ლ. ი. ბ. ა. რ. ტ. ე. ლ. ი. ა. ნ. ი.
ფოტოპრეტორი-მემიანქანე - მ. კ. ე. ლ. ე. ნ. ჯ. ე. რ. ი. კ. ე.

ბ № 2501 Ученное общество для вузов

სტამბოვნილია დასაბეჭდად 20.08.90. ქალაქის ზომა 60X84 1/16.
საბეჭდო ქალაქი №2. ნაბეჭდი თაბახი 23,5. პირ. ნაბეჭდი თაბახი
21,86. პირ. სადებეგვატარება 22,09. საადრ. საგამომც. თაბახი 21,43.

ტირაჟი : 1.000

შეკვ. № 517

ფასი 3 მან. 60 კაპ.

სამომცემლობა "განათლება", თბილისი, გ. რუბინაშვილის ქ. №50.
Издательство "Ганатლება", Тбилиси, ул. Г. Рубинашвили № 50.

1991

საქართველოს რესპუბლიკის გამომცემი სისტემის სა-
ხელმწიფო დაარსებების თბილისის მ. კავთავაძის
სახ. წიგნის ფაბრიკა, პრ. რედაქციის ბაზა. № 7.